

# პევიდუდ დოსევირუპვიდო

---

## შვიკი სეოენე

ენე ვინ თქვე ბიჭვიბი ენ ლინინენო!



# ავერუდ დოსუაჩაშვილი

## „შავი სატანა“

### ანა

## ვინ თქვა ბიჭები არ ტირიანო!

### პირველი ნაწილი

#### I თავი

— მაშ ასე, ბატონებო! მე ამაღამ უნდა წავიდე, ამ წუთებში ჩემი იქ ყოფნა საჭირო. მიხედეთ საქმეს. ჩემს მოვალეობას ბატონი ავთანდილი შეასრულებს. გისურვებთ წარმატებებს! — დაასრულა ბრიგადის ახალგაზრდა გენერალმა და გადაღლილი მზერა მძიმედ მოაულო თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის ოფიცერთა შემადგენლობას. — დაბევრვის უფროსს სთხოვეთ შემოვიდეს!

წამოდგა. თანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია და ქაშვეთის ეკლესიას გახედა. ამ ბოლო დროს რატომღაც მეტ მოკრძალებას გრძნობდა ეკლესიის და ღვთის მსახურთა მიმართ. პირველი გადაიწერა და გაეღიმა: „ნამეგანი სათუთი გულის ვარ? არა მგონია! დავბერდი? — არა! სიბერემდე შორია კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ სულ ოცდაათი წლის ვარ, ჩემს თავზე, როგორც იტყვიან, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა მხოლოდ. ავღანეთი, ქვემო ქართლი, სამაჩაბლო, თბილისის გრაგედია და დღეს უკვე აფხაზები გვიყვარებენ იარაღს. მარტო აფხაზები? თურქი, სირიელი, რუსი თუ ჩეჩენი, ყველა ჩვენკენ მოიწვეს. ჩვენი ბიჭების სისხლით მოიწვეს ზღვისპირეთი, მაგრამ მოვა დრო და ყველას შევანანებთ ამ თავხედობას. საქართველომ გაუძლო ათასწლეულებს და გაუძლებს ამასაც“.

კარების ხმამ გამოათხიზლა. მხედრული ნაბიჯით შემოვიდა მაღალი, ხმელ-ხმელი პოლკოვნიკი.

— პოლკოვნიკი არჩვადე გამოცხადდა თქვენი განკარგულებით, ბატონო ბრიგადის გენერალო!

— არ გინდა, ლევან, ეს ოფიციალური ტონი. დატყევი, საქმე მაქვს.

ლევან არჩვადემ სიგარეტს მოუკიდა, დივანზე ჩამოჯდა და ყურადღებით შეხედა გენერალს. ცოცხალი ხანს ორივე დუმდა. სიჩუმე დაბვერვის უფროსმა დაარღვია:

— გისმენ, გია, ახალია რამე?

— კი, ახალია... ლევან, ერთი აზრი მომივიდა თავში.

— გისმენ მთელი ყურადღებით.

— ცოცხალი შორიდან მინდა დავინყო, — გიამ სიგარეტის ბოლს გააყოლა მზერა და სადღაც ერთ წერტილზე შეაჩერა. — ეს იყო წლების უკან. შენც იცი და ძალიან ბევრმაც, რომ მოსკოვში არსებობდა სპეცდანიშნულების დივერსიული სკოლა, რომელიც, ძალიან რბილად თუ ვიტყვით, ამზადებდა პროფესიონალ მეომრებს, სინამდვილეში პროფესიონალ მკვლევებს. არც ერთი კურსდამთავრებული პროფესიონალიზმის დონით არ ჩამოუვარდებოდა არც „დელტას“ და არც „მწვანე ბერეტებს“, — გია ცოცხალი ხანს ჩაფიქრდა და გაეღიმა და გაეღიმა რატომღაც. — არ ვიცი, როგორ ხდებოდა ამ სკოლაში მიღება, ან როგორები იყვნენ კურსანტები სკოლაში შესვლამდე, მაგრამ შემდეგში მე მათ შევხვედრივარ.

ეს იყო 1980 წელს. ავღანეთში, ქალაქ ჭელაბადის ახლოს განლაგებულ ჩვენს ნაწილში სპეცდანიშნულების ვერტმფრენი დაჯდა ერთ მშვენიერ დღეს. სამნი გადმოვიდნენ: ერთი შენთვისაც კარგად ცნობილი ცხინვალის „გმირი“, — ირონია გაუკრთა ხმაში, — გენერალი კიმ ცაგოლოვი, ის ორი კი მაშინ პირველად ვნახე. ახალგაზრდა, უცხო თვალისაგან არაფრით გამორჩეული ბიჭები იყვნენ. მოდი, ლევან, და ერთს პირობითად „იქსი“ დავარქვათ, მეორეს კი „იგრევი“. ორივე სამოქალაქო ფორმით იყო, ჯინსის შარვლები, შავი მაისურები და ცყავის უსახელო ქურთუკები ემოსათ. რაღაც გრძელი, მძიმე ჩემოდნები გადმოათრიეს ვერტმფრენიდან და შტაბში შევიდნენ ცაგოლოვთან ერთად. იმავე საღამოს ხმა დაირხა „ნაიომნიკები“ ჩამოვიდნენო...

ბევრს აღარ გავაგრძელებ: მე მათთან ერთად მომიხდა არა ერთი და ორი ბრძოლა და მონაწილე ვიყავი იმისა, თუ როგორ იბრძოდნენ. მსგავსი მხოლოდ ვიდეო ფილმებში მქონდა ნახაბი, რაც მაშინ ჩვენთან ძვირი სანახავი იყო. მე ისეთივე ახლო კონტაქტში შევედი „იქსთან“,

როგორც ვიყავი ჩემს ღვიძლ ძმასთან. თუ რაგომ, ამას სულ ბოლოს გეტყვი. ორივე ხორცშესხმული ქატი გეგონებოდა. როცა ვფიქრობდით, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ, მაშინ მოვიდოდნენ ისე, რომ არც ერთს განაკანრიც არ ჰქონდა.

მონინააღმდეგემ მალე გაიგო, რომ რაიონში პროფესიონალები მოქმედებდნენ. მით უმეტეს, რომ ამ ბიჭებს ჩვეულებად ჰქონდათ: შემთხვევის თუ ოპერაციის (არც ვიცი, როგორ ვთქვა) ადგილზე „იქსი“ ხატავდა ნახშირის ნატეხებით ეშმას და ინგლისურად მიაწერდა ხოლმე: „შავი სახანა“. ავლანელებმა მას „შავი სახანა“ შეარქვეს. მისი თავი მრავალ ათას დოლარად იყო შეფასებული...

და ერთ დღეს, სამშობლოდან სადღაც ძალიან შორს „იქსის“ და „იგრეკის“ მეგობრობა შეწყდა. უფრო მეტიც — ისინი მტრებად იქცნენ...

ჩვენმა ბიჭებმა ცყვედ აიყვანეს ავლანელთა ამერიკული ინსტრუქტორი ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად. მე პირადად შევხედე თუ არა, შევცბი. ასეთი სილამაზის ქალი ცხოვრებაში არსად მენახა. კუბრივით შავი თმა, უძირო ზღვისფერი თვალები. აზიის მზისგან გარუჯული სახე... ტანი? ნულარ იკითხავ! ფრესკებიდან გადმოსულ ანგელოსს ჰგავდა... თვალწინ მიდგას ის წუთი, მათი დაკითხვა.

— გვარი?

— ჯონსონი! — ამერიკელის ხმა ცივი, გამომწვევი იყო.

— ეს ქალიშვილი რა არის თქვენი?

— სჯულიერი მეუღლე.

— მისი გვარი?

— გელოვანი!

მეგონა მინა იძრა, ან ნაღმი აფეთქდა, ან სიზმარში ვიყავი... გონს რომ მოვეგე, ანგარიშიუცემლად იქით გავიწიე, სადაც ეს ღვთიური არსება იდგა რუს მეავტომატეთა დაცვით გარშემორტყმული. უცებ ადგილზე გავიყინე. შევეჩხე თვალებს, რომლებიც მე მომჩერებოდნენ; თვალებს, რომლებიც სავესე იყო რისხვით და მუდარით, უმწეობით და... ცრემლით! და ეს ცრემლი, ეს შეუმჩნეველი ცრემლი, იცი, ვის თვალებზე კრთოდა, ლევან?

იცო ვინ მომჩერებოდა ათასი კითხვის

გამომხატველი თვალებით? ეს იყო „იქსი“, ეს იყო „შავი სახანა“, ვისი ხელითაც არა ერთი და ორი გამგზავრებულა იმ ქვეყანას.

დაკითხვა გრძელდებოდა.

— ამერიკელია თქვენი მეუღლე?

— დაბადებული შტატებში ვახლავთ. ისე კი ქართველი ემიგრანტის ქალიშვილია, — ჟონსონმა ისეთი თბილი, სიყვარულით აღსავსე მზერა შეაწვლია გელოვანის ქალს, მაშინვე მივხვდი, თუ რაოდენ ძვირად უღირდა ამ ერთი შეხედვით პირქვემ კაცს ეს კოვბოურ განსაცემელში გამონყობილი გოგონა.

— გელოვანი ქართული გვარია? შემომიგრიადდა სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი.

— კი, გელოვანები მთავრები იყვნენ საქართველოს ერთ-ერთი მთიანი კუთხის.

— ეცემა კიდევ! — ჩაიციხა „იგრეკმა“. — პრინცესა სადაც არ უნდა გადაისროლო, თავისი მაღალი წარმოშობა, დიდგვაროვნება თან ახლავს მაინც. სანამ ქაბულში გადავაგზავნით, იმედი მაქვს, გართობაზე არც ჩვენ გვეცევის უარს!

ორლესულმა გრძელმა დანამ სისინით გაჰკვეთა ოთახი და „იგრეკის“ თავთან, კარებში გარამდე ჩაერჭო. ეს უკანასკნელი არც შეტოკებულა. უბრალოდ თვალი შეაწვლია მისკენ ნასროლ ამ ავბედით იარაღს და ისეთი ღიმილით გახედა „იქსს“, რომ ტანში გამცრა. ხელი ჩემს უნებლიედ პისტოლეტისკენ გამეჭვა, როცა „იგრეკმა“ ავტომატის დამცველი ძირს დასწია. უიარალოდ იყო „იქსი“, და როცა დაილაპარაკა, გავოცდი. იმდენად მშვიდი იყო მისი ხმა:

— ჩვენ ორივე კავკასიელები ვართ. ჩემენ-ინგუშთა ტრადიციებზე აღზრდილს, არ გეპატიება უმწეო ქალის შეურაცხყოფა. ყველაზე უკეთ შენ მიცნობ აქ და გაფრთხილებ, ვაფრთხილებ ყველას, ამ გოგოს ერთი ღერი თმაც რომ შეერხეს თავზე, სასაკლაოდ ვაქცევ აქაურობას! — ისეთმა ფოლადმა გაიჟღერია „იქსის“ ხმაში, რომ ყველამ თვალებით მიწა მოძებნა.

აღბათ აღარ გჭირდება, ლევან, იმის თქმა, „იქსი“ რომ ჩვენი თანამემამულე, ერთი

ჩვეულებრივი ქართველი ბიჭი იყო, ბედის ირონიით საიდანლაც მოხვედრილი სკოლაში.

— იყო?! — დაძაბული სახე შეეჭმუსხნა არჩვადეს.

— საქმე ისაა, რომ არ ვიცი, ცოცხალია თუ არა.

— ხო... იმ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ მეც და „იქსიც“ სამშობლოში უნდა დავბრუნებულიყავით. მესამე საღამოს უეცრად განგაში ატყდა. ყველა თეხზე დადგა. დახოცილნი ეყარნენ ამერიკელი ინსტრუქტორი, მისი დაცვა და სამი ჯარისკაცი. „იგრეკს“ თავისი გაეგანა მაინც — ნატო გელოვანი გაეგაცა და უგზოუკვლოდ გამქრალიყო. გაოგნებული ვგრიანდები, რომ ჯარისკაცმა მოიბრინა და „იქსი“ გეძახისო — მითხრა. მე რომ შევედი, ის უკვე სამგზავროდ გამზადებული, როგორც იცყვიან, კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი, ფანჯარასთან დამხვდა. გაოცებულმა შევხედე. უსიცყოდ გამოიწოდა რაღაც ქალაქის ფურცელი. დაფხედე:

„მე ვიტაცებ შენს თანამემამულეს. შენ ყოველთვის ბედი გწყალობდა, წყეულო ქართველო. ეს იქნება ჩემი შურისძიებაც. შენ მიდიხარ ორ-სამ დღეში და მშვიდობით სამუდამოდ დიდ არს ალავი!“

კრიჭა შემეკრა. იმ წუთში „იგრეკი“ ხელში რომ ჩამვარდნოდა, ალბათ კბილებით დავგლეჯდი.

„იქსი“ მომიახლოვდა. ერთმანეთს შევხედეთ. ნაღველი, რაღაც საოცარი, თითქოსდა განწირულის ნაღველი უგრიანდებდა თაფლისფერ თვალებში. ხელი მომხვია და მეორით კონვერტში ჩადებული ორი ბარათი მომანოდა.

— გია, თუ ძმა ხარ, ეს ბარათები საქართველოში ჩაიტანე.

— შენ? — ჩემი ხმა ველარ ვიცანი.

— მე... — გაუჭირდა გაგრძელება, — მე ცოცხალი ხანს აქ უნდა დავრჩე ისევ.

— რას აპირებ?

არათფერი უთქვამს. ზურგი შემაქცია და კვლავ ფანჯარასთან მივიდა. კარგა ხანს სიბნელეს მისჩერებოდა, შემდეგ კი ნელი, წყნარი ხმით წამოიწყო:

— ღმერთმა ხომ იცის, არათუ ქალზე და ბავშვზე, უიარაღო მამაკაცზეც ხელი არასოდეს ამიწევია. რას აპირებო, შენ მკითხე. მხოლოდ, იმას, რასაც ჩემს ადგილზე გააკეთებდი შენ, გააკეთებდა ყველა თავის ღირსების დასაცავად. მან ამ ბარათით, გაკეთებული საქმით, გამოიმწვია მე და მხოლოდ მე. დაეხარო თავი და სამშობლოში დაებრუნდე? ეს იქნება ხვადგობა, ეს იქნება ჩემგან ყოველგვარი კაცურის ფეხქვეშ გათელვა და ამას სიკვდილი მიჯობს.

— მეც შენთან ვრჩები! — უცებ მოუუჭერი.

— შენ მე ვერაფრით მიშველი. ამაშია საქმე, ასეთია იმ დანყვევლილი სკოლის ჭუნგლის კანონი. ჩვენ მხოლოდ ერთი-ერთზე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და ღმერთი განსჯის მცყუნასა და მართალს.

— კი მაგრამ, სად აპირებ მის ძებნას? ყოველ ნაბიჯზე მტერია და თუ ხელში ჩაგივდეს, იცი, რაც მოგელის, — ვცადე მისი გადარწმუნება. — სარისკო საქმეა, ათასი ხიფათია ირგვლივ.

— ჩემი ხელში ჩაგდება ცოცხალია, — გაელიმა. — მთელი ჩემი ცხოვრება რისკი იყო და ხიფათი კი მე ვარ თვითონ. დროს ნულარ ვუარგავთ. ერთი გახსოვდეს მხოლოდ: თუ სიკვდილი მელის ამ უცხო მიწაზე, მოვკვდები ისე, როგორც „შავ სახანას“ შეეფერება. თუ გაიგეთ, რომ მე ავლანელებთან ვარ, იცოდეთ, თვითონ ჩაუბარდი მათ, ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ „იგრეკის“ სუნი ვიკარი სადმე მათ ახლო-მახლოს. მშვიდობით, გია! ბედნიერი იყავი!

მაგიდაზე დადებული ხელის ტყვიამტრქევევი აიღო და სიბნელეს მისცა თავი. ეს იყო და ეს, ლევან. მას შემდეგ მისი აღარაფერი გამივია. ვიცი, ჩემი დიდი მიწუსია, მაგრამ მის საძებნელად ვერ მოვიცალე.

სიჩუმე ჩამოვარდა, ერთხანს მხოლოდ ეწეოდნენ.

— ალბათ ფიქრობ, რისთვის უნდოდაო ეს ისტორია, არა? — მოულოდნელად იკითხა ვიამ.

— ბუნებრივია.

— ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე... კონფედერაციის რაზმებს, ვინც ჩვენს

წინააღმდეგ იბრძვის, იცი, ვინ მეთაურობს?

— ვიცი, ვინმე ახმელ რამაზანოვი, მეგსახელად „კომანდორი“. ინგერვიუც იყო გაზეთში მაგვასთან, თუ არ ვცდები, „ნოვოსტში“.

— და იცი, ვინ არის ეგ „კომანდორი“? — გია უცებ აენტო და სიგარეტი წერვიულად დაასრისა საფერულეს.

— ვინ?

— „იგრევი“! — მონმენდილ ცაბე მების გავარდნას ჰგავდა ეს ერთი სიტყვა. არჩვადე ანგარიშმიუცემლად წამოხტა ფეხზე.

— აქედან გამომდინარე...

— ვიცი, რაც გინდა მითხრა, ლევან, ვიცი რაც უნდა მკითხო და ეგ კითხვა უნდა ამოვხსნათ ერთად, — გიას სახე მოეღრუბლა. — კითხვა მხოლოდ ერთია: რა მოხდა წლების უკან იქ? „იქსი“ არ იყო ის, ვინც თავის სიტყვას უკან წაიღებდა. რა დაემართა მას? აი კითხვა, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა გვინს მიღლის და მიბურღავს და ეს იმის შემდეგ, რაც გავიგე, თუ ვინ ბრძანდება „კომანდორი“. თუ საქართველოშია, თუ ცოცხალია, ჩვენ ის უნდა ვიპოვოთ, თუ არა და მე პირადად ერთილა დამჩხა, ყველაფერს ვიღონებ, ხელში ჩავივლებ და ცოცხლად გავაგყავებ „კომანდორს“! — გიას სიბრაზისგან ხელები აუცახცახდა.

— მოუძებნი, გია, მენდე!

— ძებნაში ჩართე უშიშროების კომიტეტი. აუხსენი, რა სიტუაციაც შეიქმნა, ჩვენ „იქსი“ ამ წუთებში ისე გვჭირდება, როგორც არავინ.

— მისამართი არ ვიცით, არა?

— საქმეც მაგაშია, რომ არა. რომელიღაც მთიანი რაიონის მკვიდრია. ისე უეცრად მოხდა ჩვენი დაცილება, რომ მისამართიც კი ვერ გამოვართვი. გვარი, სახელი და მამის სახელი, — ფურცელზე წაანერა და გაუნოდა. — რაც შეიძლება იჩქარე, ლევან!

არჩვადემ ფურცელს დახედა. ბაკურ ზურაბის ძე ფხოველი — ამოიკითხა.



## II ტაზი

ფათარა ტალღები გრუხუნით ეხლებოდნენ თიხნარ ნაპირს, მიწას რეცხავდნენ და შავად შეღებილნი უკან იხევდნენ, რომ ცოცხალი ხნის შემდეგ კვლავ სცემოდნენ ხმელეთს. დაბურული ცა ლამის წყალზე განოლილიყო და მანქანის სახურავზე ხრაშუნა თქორს ფანტავდა. საზიზღარია წვიმა, რომელიც ნერვებს ასველებს. სველი ნერვები კი ბიოდენტა მოკლე ჩართვას ახდენს და ერთმანეთში კომპარულად ურევს ძველსა და ახალს.

ციოდა. თეთრი „მერსედეს-500“ სტამბულს უახლოვდებოდა. წყნარი მუსიკის ხმა საამოდ იღვრებოდა მანქანის კომფორტულ სალონში.

ხომ არ დაიღალე? — საჭესთან მჯდარმა ქალიშვილმა ცერად გახედა გვერდით მჯდომ, თმაში ჭაღარაგამორეულ, ელეგანტურად გამონწყობილ ვაჟს.

— არა, არ დავღლილვარ, — თვალმოჭუტულმა მოათვალიერა ნისლში გახვეული მიდამო კაცმა. — ჩემი ქვეყნის და ამ ქვეყნის წარსულმა გამიბრინა უცებ თვალწინ, ვის მიწაზეც ვიმყოფებით ახლა. წარსულმა, რომელიც სავესე იყო მგრობით, მუხთლობით, ღალატით... იცი, მარი, ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. ისტორია საგანძურია, სადაც ერი პოულობს თავისი სულის ღონეს... იცი, რამდენი მილიონი ქართველი ცხოვრობს დღეს აქეთ მხარეს, ეგრად წოდებულ „თურქულ საქართველოში“?! საქართველოს მძიმე ბედმა გაგვაშორა ჩვენი ძმები. მაგრამ, ჩვენ ვიცით და მათაც, რომ მაინც ძმები ვართ, სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, ჭვარცმულმა თავისი სარწმუნოებისათვის, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისა. ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სდომოდეს სხვა სარწმუნოების ჩაგვრა და დევნა. თვით მაჰმადიანნიც, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაზე ალბათ ვერაფერს წაგვაყვედრებენ... განა ასე არ არის?

— ასეა...სამწუხაროდ ასეა, — ჩაფიქრებულად, მოღუშული გაჰყურებდა მარიკა გზას. — საოცარია ჩვენი ისტორია, საოცარნი ვართ ქართველები, საოცარნი, როგორც ჩვენი ტაძრები, ჩვენი მოაჯანგული ცისარცყელა ქანები, რუხჩაკრული ბორცვები, მუქყვითელა ტაფები და ოდრიკალები... დაუჭერებლად

— ერთად გამომთვარული ხილვა გაქვაგებულად გადასული საუკუნენი...

ცა თანდათან იღრუბლებოდა. მანქანა ქალაქის ცენტრში მისრიალებდა. მარიკა უცებ გამოთხიზლდა და ღიმილით მოავლო მზერა ერთიანად განათებულ, წვიმისაგან

ვარსკვლავებით აელვარებულ განიერ პროსპექტს. ჩათქრებული, არათრისმთქმელი თვალებით გაჰყურებდა ბარების და სასტუმროების განათებულ, აციმციმებულ აბრებს, ათასგვარ რეკლამებს.

— სად წავიდეთ? — ღიმილით კითხა ქალმა.

— ისე მეკითხები, თითქოს გუშინაც აქ ვიყავი და ყველა ქუჩა ზეპირად ვიცი, — გაეღიმა უბადო, მომხიბლელი ღიმილით. — ალბათ ჯობია ჯერ სასტუმრო მოვნახოთ. დანარჩენზე მერე ვითქვით.

— გემორჩილები, ჩემო მეუფეო! — წაიღიღინა მარიკამ და მანქანა მონყვევით შეაჩერა იქვე მდგარ პოლიციელთან. ჩათქრებული პოლიციელი დამუხრუჭების ხმაზე განზე გახტა, შემდეგ კი დამუხრუჭებული მოადგა მანქანას, მაგრამ როცა მთვრალი მძღოლის მაგიერ ათასერთი ღამის ზღაპრიდან გამოსული, ფერიასავით ქალიშვილი შერჩა ხელთ, ბრიყუულად, ხმაძალდა გაიცინა და თავიდან ფეხებამდე მოურიდებლად ჩაათვალიერა ეს მინიკაბიანი უცხო ფრინველი. უცებ მძღოლის გვერდით მჯდომი ვაჟის თვალებს შეეფეთა და ღიმილიც გაუქრა სახიდან, თუმცა ვერ გაიგო რატომ შეაკრთო უცნობის მზერამ. პოლიციელმა სასტუმრო თავაზიანად მიასწავლა და ფეხარეული სწრაფად გასცილდა მანქანას.

მარიკას მანქანა არ დაუძრავს. მთელი ტანით შემოტრიალდა და გამომცდელად შეხედა ვაჟს.

— მითხარი, რატომ ეშინია შენი ყველას? ეს მე ჯერ კიდევ თბილისში შეენიშნე. ყველა უცნობი მამაკაცი, ვინც შემოგხედავს, დამფრთხალი კურდღელივით გარბის. რატომ? ეს პოლიციელიც...

— იმიტომ, რომ ისინი ჩემამდე შენ გიყურებენ, გამიგე? და კიდევ იმიტომ, რომ შენს მონა-მორჩილს არავისი ეშინია, რადგან ცხოვრება იმ კაცისა, რომელსაც შენ სიყვარულს ეფიცები, ჩაღის ფასია და ასეთი სიცოცხლისთვის შიში სისულელეა. ის გრძნობა კი, რასაც საერთოდ შიში ჰქვია, ჩემში ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში ჩაკლეს...

მარიკას გაოცებულ სახეს, გადიდებულ თვალებს შეხედა, ხელი მოხვია, მიიზიდა და აკოცა.

— ალბათ ვახშობის დროა, არა? მანქანა ადგილიდან მოსხლტა.

სასტუმრო „სტამბულის“ მეხუთე სართულზე ოროთახიანი „ლუქსი“ მანქანების სადღეღამისო სადგომს გადაჰყურებდა. გადანწყვიტეს ნომერში ევანშმათ. ვახშამთან ერთად მშვენივრად ჩაციებული შამპანურიც გააჩინა პორტიემ. მარიკამ შხაპი მიიღო და ახლა სარკის წინ ტრიალებდა. აბაზანიდან წყლის გამაყრუებელი ჩხრიალი ისმოდა.

— ბაკურ, რას აკეთებ ამდენ ხანს? გაცივდა ყველაფერი! — გასძახა ქალმა.

— დაჯექი შენ, ახლავე გამოვალ! — მოისმა პასუხად.

აქაფებული შამპანურით საფსე სასმისი აიღო მარიკამ და თანჯრიდან წვიმაში გახვეულ, მაგრამ მაინც ლამაზ სტამბულს კმაყოფილებით გახედა. წყლის ხმა მიწყდა და ბაკურიც შემოვიდა. წელზევით შიშველი თმას იმშრალედა. ქალმა მონონებით შეავლო თვალი ერთი შეხედვით გამხდარს, მაგრამ ერთიანად კუნთებად ქცეულს. ბაკურმა პირსახოცი კისერზე მოიგდო, სავარცხელი აიღო და სარკისკენ შებრუნდა. მარიკამ შეხედა და შეჰკვივლა. გაოგნებული მისჩერებოდა ვაჟის ბეჭებზე უსამინლეს, გრძელ ნაიარევს. სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა ოთახი და ახლოდან შეხედა უკვე დიდი ხნის შეხორცებულ, ვარდისფრად შემორჩენილ იარებს.

— რა არის ეს? — ყრუდ გაისმა მარიკას ხმა.

— არაფერი! — იყო მშვიდი პასუხი.

— ბაკურ, მე ექიმი ვარ, ქირურგი და ათასნაირი ჭრილობა მინახავს, ძალიან ბევრისთვის მიმკურნალთა და მოძირჩენთა, მსგავსი კი ჩემს პრაქტიკაში არ შემხვედრთა. მაინტერესებს როგორც ექიმს, რისგანთა ასეთი გრძელი იარები?

ბაკურის ხელში საშინელი ტკაცანი მოიღო სავარცხელმა. შემობრუნდა.

— გრძელი ისტორიათა, მარი. უბრალოდ გეტყვი: ავლანეთის სახსლოვართა. ეს იარები კი, — სახეზე უცებ ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა, — მათრახების კვალითა.

— მათრახების?!

— დიახ, მაგრამ არა იმ მათრახების, ცხენოსნები რომ ხმარობენ ჩვენთა. არა, ეს იყო ერთმანეთში ჩანსული ფოლადის მავთული, რომელსაც დარტყმის წინ ცეცხლში ავარვარებდნენ.

მარიკას ხორკლმა დააყარა შიშველ მკლავებზე.

— განამეს? — ხმა აუთრთოლდა.

— ჰო... ბაკურმა დაცლილი სასმელი შეავსო შამპანურით, ცორშერი ანთო და თანჯრისკენ წავიდა. მარიკა სიბრაღულით მისჩერებოდა. „ორი წელია ვიცნობ. მეგონა ვიცნობდი, თურმე არ მცნობია. მთელი ცხოვრება მხოლოდ ასეთ მამაკაცზე ვოცნებობდი. ჩემი ქმრის და ამის შედარება განა შეიძლება?! ის ცხოვრებისგან განებივრებული და გაბულუქებული, არათუ მე, ხშირად საკუთარ თავსაც ვერ ამჩნევს. ეს კი...“

პირველი შეხვედრა დაუდგა თვალწინ. სამსახურიდან ბრუნდებოდა ფეხით. მისი აღმართზე ამაველი ქუჩა თოვლს დაეთარა, ამიტომაც იყო უმანქანოდ. შუა ქუჩაში ბიჭებს თოვლის გუნდები დაეხვავებინათ და „გამოუთოთავს“ არ უშვებდნენ არავის. შედგა მარიკა და აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ გაეგლო გუნდების წვიმა. მის გვერდით კრემისფერი, უნომრო, ტონირებულმიწიანი „07“ გაჩერდა. ამერიკულ ფორმაში გამონწყობილმა გვარდიელმა, რომელიც მანქანიდან გადმოვიდა, წყრომით ახედა მოლიპულ ქუჩას — როგორც ჩანს იქ ასვლის იმედი გადანურულად ჩათვალა, კარები მიკეცა და შემოგრიალდა. განათული, სწრაფი მზერით ჯერ „მოიერიშეებს“ გახედა, კეთილად გაეღიმა და თითქოს მარიკას ფიქრებს ჩასწვდაო, სრულიად უცნობ ქალიშვილს ხელი გაუწოდა: „ხელი მომეცით, ნურათურის გეშინიათ!“ ეს იყო ორი წლის უკან.

მარიკა წამოდგა. ზურგიდან მიუახლოვდა და ხელები კისერზე შემოაჭდო. სადღაც შორს დაქროდნენ ბაკურის ფიქრები. ყელზე შემოხვეულმა ნაზმა ხელებმა გონს მოიყვანა. არ გატოვებულა. სიამოვნებდა თლილი თითები და უცხოური სუნამოს სუნი. ერთხანს ასე იდგნენ. მერე კი ერთხილად, ძალიან ერთხილად მოიცილა მარიკას ხელები. შემობრუნდა, თვალებში ჩახედა. ქალი ისე შეჰყურებდა, თითქოს ყველაფერი, რაზეც მთელი სიცოცხლე ეოცნება, ახლა ერთად შესრულებოდა. გარეთ წვიმდა. მარიკაც წვიმის და ვნების სურნელებით იყო სავსე. შავმა, უძირო თვალებმა ბაკური მოხიბლა, ალუბლისფერმა ტუჩებმა კი თავი სულ დააფინყა და მათ გაშმაგებით დააცხრა. ქალი თითქოს ელოდა ვნების ასეთ მოზღვაებას, ხელები ყელზე შემოაწნა და ცხელი, მწყურვალე კოცნა შეაგება. ჭაბუკი ვნებამ წალეკა, დააბრძავა, დაფერფლა და ხელის ერთი გაქნევით შიშველ ტანზე მოსხმული მარიკას ხალათი ძირს დაეცა...

საქართველოს ხოდაბუნებში ალბათ სადღაც „დედალი ხოხობი ყივილით მოუხმობდა მამალს“, სტამბულში კი მოლას გამყინავი ხმა არღვევდა სიმყუდროვეს ღამის...

— რომელი საათი იქნება?

— ორის ნახევარია, — ბაკურმა სივარეცს მოუკიდა. — გეძინება?

— შენ წარმოიდგინე, არა.

— მარიკა, — ბაკური იდაყვზე წამოიწია და რამდენადაც სინათლე საშუალებას იძლეოდა, თვალებში ჩახედა. — მაპატიე ეს სულელური კითხვა, გიყვარვარ?!

მარიკამ თავი მკლავზე დაადო და სევდანარევი ღიმილით შეხედა.

— იცი, მიხარია და ვგრძნობ, რომ მიყვარხარ, თუმცა წელან კი შემაშინე, უფრო სწორედ, გუშინ და გული დამწყვიტე, რადგან შენს ხასიათში თავკერძობის დანახვა არ მსურს. მეზობლება ყოველგვარი ამბიციურობა და გულგზიადობა. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი სიყვარულის დიდი ნაკლულობაა ადამიანში. დისტანცია და დიპლომატია უბრალო ურთიერთობაში სრულიად ზედმეტია. მე შენ არაფერს ვთხოვ, სიყვარულის გარდა, რაც, თუ გაქვს — გაქვს, თუ არა — არა... მე შენ სანამ გნახავდი, ჯერ კიდევ მანამ გულის ფიქრით მოგაგენი, გიპოვე, აღმოვაჩინე და გულის ფიქრითვე უნდა ვუტრიალო შენს სიყვარულს, რადგან უფიქროდ, ლალად და ალაღად გულის გახსნა ჩემი ნებისა კი არაა, შენი ნებისაა და იყავნ ნება შენი... ეგებ ფიქრიც და სიცოცხლეც იმისთვის გვაქვს ბოძებული, რომ ძალისხმევით, საკუთარი ნებისყოფით მივდიოთ სიყვარულს, რადგან სხვა გზა გულის გასახსნელად, ზეგარდმო მადლის მისაღებად მე არ მიჩანს და არც მნამს...

— ჩემი ჭკვიანი გოგო, — ბაკური ლუდს გადაწვდა, ერთი ყლოუბი მოსვა და ჩაფიქრდა. — ამ წუთებში შენ ჩემი ხარ, შენ მეხები, მაგრამ ეს ცხოვრება უნიათობად მეჩვენება. საიდანადაც გამოგდებულის შეგრძნება მეუფლება. ცხოვრება ხომ დანაკარგების ჭამია და შესაბამისად მუდმივი განცდა იმისა, რომ იქ, სადაც თავს კარგად გრძნობ და სად ყოფნის სურვილიც გაქვს — არ ხარ და არც არასდროს იქნები... ირგვლივ ცხოვრებაა — საქმე, სიყვარული, ჭირი და ლხინი. თითქოს ყველაფერია ბედნიერებისათვის, მაგრამ სულში ბოლმია დაკარგულ გზაზე, ხელიდან გაშვებულ ცხოვრების ვარიანტებზე... და სევდა... — რა გაუძლებს იმ სევდას, რომელიც თუნდაც შენ მომიტანე. იქნებ შემიძლია თავი ავარილო ამ სევდას? იქნებ ეს ის სევდა არ არის, ყველას რომ გარდაუვლად ელის? ბოლომდე უნდა ველოდოთ, მარიკა, სანამ არ გაირკვევა ყველაფერი. დრო თვითონ დახსნის კვანძებს, დაგვაშორებს, შეგვაერთებს, გვაიძულებს“, და, თუმცა იღბალი საერთოდ არ მწყალობს, მაინც უნდა ვძლიო ეგოიზმს... შენ შეიძლება ქედმაღალი, არაგულწრფელი გეგონო, მაგრამ მიხვდები ოდესმე, რომ

გულწრფელი ვარ, მუდამ უშუალო და ჩემი ბრალი არ არის, თუ ბუნებით ცივი სხვაზე არანაკლები ნაგიჟარი ვარ. ასეთი ვარ და არაფერი მაქვს დასამალი... ლუდი არ გინდა?

— არა.

— კმაყოფილი ხარ ჩვენი პატარა მოგზაურობით?

— ძალიან, ბაკურ! — მარიკას უცებ თვალები აუციმციმდა. — გინდა აქედან ეგვიპტეში წავიდეთ?

— გაგიჟდი?

— რატომაც არა? ჩემი ქმარი ორი თვის შემდეგ ჩამობრძანდება, ჩვენ კი ორ კვირაში მთელ არაბულ სამყაროს მოვივლით. ხომ ვიცი, შენი ერთადერთი საყვარელი ქვეყანა, რატომღაც, ეგვიპტეა. მოსულა?

— მერედა „სპონსორობას“ ვინ გავგინევს? — ხმამაღლა გაეცინა ბაკურს. — სულ ათასი დოლარიღა მაქვს დარჩენილი. ეს ბენზინშიც კი არ გვეყოფა. ჩავიდეთ საქართველოში და იქიდან წავიდეთ.

მარიკა წამოჭდა. სწრაფად გადაიხტა. შამპანური მოიყუდა და მაცივარზე დაუდევრად დაგდებულ ცყავის დიპლომატს მისწვდა. ეს დიპლომატი მთელი გზა, მთელი ერთი კვირა მანქანის უკანა სავარძელზე ეგდო. გახსნა და სანოლზე დააგდო:

— შეგიძლია დათვალო...

თხუთმეტი ათასი დოლარი მაცდურად შეჰყურებდა ბაკურს.

— საიდან ეს თული?

— ხილი მიირთვიო, შენ არ გაგიგია? მაგრამ მაინც გეგყვი. ბოლო ჩამოსვლაზე ქმარმა ოცდაათი ათასი დამიგოვა. აქედან თხუთმეტი აქ წამოვიღე.

— ყოჩაღ! მომწონს შენნაირი წინდახედული ქალები, მაგრამ შენ თუ იცი, რომ მე ქალების ხარკზე არასდროს მიცხოვრია?

— ბაკურ!

— არავითარი ბაკურ! დავეტე ეს დიპლომატი და უკან წაიღე. ასე სჯობია, მარიკა. ძილი გაძიკრთა, წყალი უნდა გადავივლო...

მარიკა დამუნჯებულივით, განცვიფრებული უყურებდა კაცს, ახალგაზრდა კაცს, ვინც უარი თქვა დროსტარებასა და უცხო ქვეყნებზე. მან არ იცოდა, რომ ბაკური, ვისაც ქმრის შემდეგ პირველად გაულო გული, ხან მონტე-კრისტოს მღვიმეების მფლობელივით მდიდარი იყო, ხან კი სიგარეტის ფულიც არ ჰქონდა ჯიბეში...

### III ტაზი

— ალო! საინფორმაციო-სადაზვერვო სამმართველოა?

— დიახ! ვინ გნებავთ?

— განუხებთ... მაიორი გადალენდია მინდოდა...

— ახლავე, ერთი წუთით...

— მაიორი გადალენდია გისმენთ! — გაისმა ყურმილში ბოხი, სასიამოვნო ბარიტონის ხმა.

— თენგიზ, გამარჯობა შენი, ლევანი ვარ, ბიჭო.

— ოო! თავდაცვას ჩვენი უმდაბლესი სალამი! სად ხარ, სად დაიკარგე, ორი დღეა შენ გეძებ.

— ხომ არათურია იმ საქმეზე?

— „ვინც ეძებს, ის პოულობს“, ხომ გავიგონია ჩვენი „უფროსი ძმის“, რუსის ანდაზა...

— ნუ გადამაყოლებ ახლა, ანდაზები და ანეგლოციები შემდეგ. იპოვეთ? — მღელვარება გაისმა არჩვადის ხმაში...

— არა, ბიჭო, და თავდაცვის სამინისტროს ვგავართ ჩვენც. შენთან იყავი. ათ წუთში მანდ ვიქნები!

„ეს ქილიკი კიდევ ვერ მოიშალა ამ ხნის კაცმა“, — გაეღიმა გულში ლევანს. თენგიზ გადალენდია მისი თანაკურსელი, ბავშვობის მეგობარი იყო, ერთად დაამთავრეს იურიდიული

ფაკულტეტი. შემდეგ კი მათი გზები გაიყარა, მაგრამ მეგობრობა უფრო განამტკიცეს და შეაკავშირეს.

კარი შემოაღო თენგიზმა, ხელის აწევით მიესალმა ლევანს და და დივანზე კი არ დაჯდა, ღაეცა.

— აბა მოყევი! — ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ლევანს მის გვერდზე ჩამოჯდა.

— ცოცა ხანს მადროვეთ, ბატონო გვარდიის პოლკოვნიკო, ალბათ შეიძლება თქვენი „ქემელიც“ მოვნიო თქვენი ნებართვით?! — სივარეცის კოლოფი ხელში შეათამაშა. — ნეტა რომელი კომერციულიდანაა დაყაჩაღებული?!

— მორჩი მაიმუნობას! — ველარ შეიკავა თავი არჩვადემ.

— მართლაც ღროა, ლევან, საქმეზე გადავიდეთ. საქმე, რომელიც ჩვენ გადმოგვეცით, როგორც იცყვიან, აღჩუბეა, — ცოცა ხანს შეჩერდა და რატომღაც გამომწვევად შეხედა პოლკოვნიკს. — კიდევ მეცყვი ალბათ, მაიმუნობო, მაგრამ როგორ არ ვიმაიმუნო, როგორ არ დაგვინოთ, როცა საკუთარი სამინისტროს ოფიცრის მოძებნას გვაგალებს ჩვენ, უშიშროებას?

— ბაკურ ფხოველი ჩვენი ოფიცერია? — ენა ჩაუვარდა ლევანს. — ალბათ ფრონგზეა ახლა...

— მაცადე! — პროტესტი ხელის აწევით გამოხატა გადალენდიამ. — მაშ ასე: ბაკურ ზურაბის ძე ფხოველი ჯერ კიდევ ორი წლის უკან გახლდა ერთ-ერთი თქვენი ბატალიონის ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდებით. მაგრამ ეს ფიქტიურად.

— როგორ ფიქტიურად?

— ჭრელად! — ეშმაკურად ჩაეცინა დაზვერვის ოფიცერს. — ფიქტიურად, ესე იგი სინამდვილეში, ბაკურ ფხოველი იყო თქვენი სამინისტროს სპეცდანიშნულების სადესანტო გასაიდუმლოებული ჯგუფის უფროსი და უშუალოდ ემორჩილებოდა მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ბვიად გამსახურდიას...

ლევან არჩვადემ გაოცებისგან წაუსტვინა.

— ახლა ალბათ ქობალიასთანაა?



— ნუ ვიჩქარებთ ადამიანის შეფასებაში. ის ქობალიასთან არ გახლავს. არც ყოფილა არასდროს. როგორც კი თბილისის ომი ატყდა, ყველაფერი მიატოვა, დატოვა თბილისი და თავის მშობლიურ მთებს მიაშურა. ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა იქ, როგორც ყველა მთიელი ახალგაზრდა, თევზაობდა, ნადირობდა, შეშას ჩეხდა, თივას თიბავდა, კითხულობდა, ქალებში ერთობოდა და ჟიპიგაურს სვამდა...

— რას? რას სვამდა? — ვერ გაიგო ლევანმა.

— ჟიპიგაურს! — გაელიმა გადალენდიას.

— ეგ რაღა ჯანდაბაა?

— ეხ, ძმაო, ეგ არი, თუ არი... ერთხელ დავლიე და მისი გემო დღესაც მახსოვს. თბილისში მომავალი, მახაჩკალაში გამოვუხიბლდი. ხილის, ვაშლის და მსხლის არაყს ეძახიან ჟიპიგაურს.

— შენი ჟიპიგაური აღარ მაინტერესებს, ბოლო-ბოლო სადაა ახლა ის ბიჭი?

— ჩვენიდან ძალიან შორს, მაგრამ ეს პლანეტა არც ისე დიდია, რომ ჩვენი დაზვერვის ბიჭებმა ვაყი ვერ იპოვნონ, — თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა, — თუ ეს აუცილებელია. ერთი კვირის უკან, ლევან, ბაკურმა მანქანით, ქალთან ერთად, გადალახა სახელმწიფო საზღვარი და თურქეთის რესპუბლიკაში გადავიდა.

— და საითაა მისი მარშრუტი?

— ეშმაკმა იცის.

— იქნება მთელი წლით წავიდა?

— საქმე ისაა, რომ მაქსიმუმ ორ თვეში მისი თანმხლები ქალი აქ უნდა იყოს.

— ვინაა ეს ქალი?

— თბილისის უმდიდრესი კაცის, რესპუბლიკის ერთ-ერთი აღიარებული ბიზნესმენის მეუღლე. ახალგაზრდა, სულ ოცდაშვიდი წლის ულამაზესი ქალია, და ახალგაზრდობისდა მიუხედავად უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

— მერე და რა იცი, რომ ორ თვეში ჩამოვა?

— ახლა მაისია. ივლისის ბოლოს ბატონი ბიზნესმენი შტატებიდან ჩამოდის და ბუნებრივია მეუღლე სახლში უნდა დახვდეს. ერთგული მეუღლე! — დააკონკრეტა თენგიზმა.

— თენგიზ, მე არ მაინტერესებს სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ ის ბიჭი უახლოეს მომავალში, უფრო სწორედ, ამ რამდენიმე დღეში აქ უნდა იყოს. შეგიძლია ამაში დამეხმარო? მე პირობა მივეცი მინისტრს და შენი დახმარებით, იმედი მაქვს, შევძლებ ამას.

— თუ თურქეთშია და მის ფარგლებს არ გაცილებიან, მაქსიმუმ ხუთ დღეში ჩამოვიყვანთ. იქაურ კოლეგებთან კავშირი არის. ჩემი ხალხი ამაღამვე გადავა თურქეთში. მამ ნუღარ ვაყოვნებთ. რაკი საქართველოს ბედი ჩემზე ყოფილა დამოკიდებული, დედას ვუცირებ, — თავისებურად გაიქილიკა თენგიზმა და კარებთან მისული უცებ შემოტრიალდა. — როგორ მიყვებოდით, ბაკური რას ახატავდაო შემთხვევის ადგილზე ავლანეთში?

— შავ ეშმას და „შავ საგანას“ აწერდაო ინგლისურად, ასე მითხრა ვიამ.

— ოქეი! — გადალენდიამ ფაშისტი ოფიცირით ხელი მაღლა აისროლა და კარები გაიჭახუნა.

#### IV ტაზი

— მართალი უთქვამს პოეტს: „გნამდეს, ბუნების ქარიშხალი მალე დაცხრება, ქარიშხლის შემდეგ ცხრათვალა მზე გამოაშუქებს“, — მხიარულად გიგინებდა მარიკა და ახალთახალ, ინგლისური წარმოების შავ კოსტუმში გამონწყობილ ბაკურ ფხოველს ჰაღსტუხს უსწორებდა. შეენოდა ხმელ-ხმელი ტანის, ბეჭებში ლაღად გაშლილ კაცს კოხტად მორგებული კოსტიუმი და შავი სათვალე. კმაყოფილებით შეავლო თვალი სარკეში საკუთარ თავს. მარიკას შეხედა. ეღავდა მარიკა. სადედოფლოდ გამზადებულს ჰგავდა თეთრ ტანსაცმელში. თავი ვერ შეიკავა, ისეთი ლამაზი, საყვარელი იყო იმ ნუთას. მიუახლოვდა.

— იცი რა მინდა?

— ბრძანეთ, თუ შემიძლია...

— მინდა თვალეხი დაგიკოცნო...

— დახუჭული თუ გახელილი? — გაეცინა.

— ორივე მდგომარეობაში!

— მეც საღებავი არ წამეშალოს! — თვალეები დახუჭა. — შეგიძლიათ...

მარიკა თვალეებზე თანქარნასმული არასდროს ენახა ბაკურს. ქალი იყო სადა და უბრალო, მაგრამ მიმზიდველი „როგორც თოვლი სპეგაკი, რომკის მწვერვალისა“. — კონსტანტინეს ეს სიტყვები გაახსენდა თხოველს და უცებ რაღაცამ გაყინა, რაღაც მოგონებამ... უცებ ირინა გაახსენდა. ირინა, რომელიც აქედან ძალიან შორს იყო, მაგრამ ვისი გულისათვის სიცოცხლეს, არც დათუქრდებოდა, ისე გასწირავდა, ირინა, ვისგანაც მას უკვე ღრმა უფსკრული აშორებდა...

— ქალაქში გავდივართ, მაგრამ კონკრეტულად სად?

— მარიკა, დღეს რა რიცხვია, თუ გახსოვს?

— ოცი მაისი გახლავს, ჩემო სიცოცხლე.

ბაკურმა კოსტიუმის ჭიბიდან პასპორტი ამოიღო, გადაშალა და გაუნოდა. მარიკამ ყურადღებით ჩაათვალიერა და უცებ სიხარულმა იელვა მის თვალეებში.

— გილოცავ დაბადების დღეს! — კისერზე შემოხვია ხელები. — იცი? უნდა გაკოცო იმდენჯერ, რამდენი წლისაც გახდი დღეს, სტამბულში, სასტუმრო „ისტამბულში“...

— კოსტიუმი არ დამიჭმუჭნოთ, ქალბატონო მარიკა! — წარბი აქაჩა ბაკურმა — კოცნას მერეც მოასწრებთ.

— კარგით, ბატონო, ის მაინც მიბრძანეთ, სად აპირებთ თქვენი დაბადების დღის აღნიშვნას?

— ოო, აი ეს უკვე შეკითხვაა, სად და ეგვიპტეში! მარიკას სიხარულის შეძახილი აღმოხდა.

— არა, მარი, სახელმწიფო ეგვიპტეში კი არა, აქ, რესტორან „ეგვიპტეში“, ხოლო ორ დღეში საქართველოში უნდა დაგბრუნდეთ.

ცივად აჟღერდა ბაკურის ხმა...

— დღეს საქართველოში ომია, იხოცებიან ჩვენი ბიჭები, ეწირებიან ამ უაზრო პოლიტიკოსების ბინძურ თამაშს, თამაშს, რომელსაც ომი, რომელსაც კაცისკვლა ჰქვია... რატომ არ მეკითხები, რატომ ფრონტზე არა ვარ ამ წუთში? იმიტომ, რომ ყელში მაქვს ამოსული სისხლი, ცრემლი და უბედურება. გახსოვს, რომ გითხარი, ჩემში ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაკლეს შიშის გრძობა-მეთქი? ასე იყო ეს... კრავი ვიყავი და მაქციეს მგლად, რომლის ნავალზე მხოლოდ ნანგრევები და გვამები რჩებოდა... ღმერთი მოჰკითხავს კომუნისტებს ცოდვებს, სიკეთისათვის გაჩენილ ბიჭებს, თვრამეტი-ოცი წლის ბიჭებს ხელში იარაღი რომ აგვალეხინეს და უდანაშაულო, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ ხალხზე დაგეშილი ძაღლებით მიგვიშვეს...

მარიკა ერთ ადგილზე გაშეშებულიყო და თვითონაც ვერ ამჩნევდა, როგორ სცვიოდა ცრემლები. ერთ წერტილს მიშტერებული ბაკურის მზერა იყო ცივი, როგორც ანატეხი ყინულისა...

— ნუხელ შენ რომ დაგეძინა, ამათმა მოამბემ, თუ მაცნემ გადმოსცა ფრაგმენტები ჩვენიდან. ცეცხლი, გყვია და კოშმარი ტრიალებს საქართველოში. გადავწყვიტე სასწრაფოდ უკან დაბრუნება. ჩემი ადგილი მხოლოდ იქაა. როცა ბავშვებს დანებზე აგებენ, ქართველ თეხმძიმე ქალებს მუცლებს უფატრავენ და ცეცხლში ყრიან, მე ეგვიბტეში წავიდე სამოგზაუროდ?! მხოლოდ ღმერთმა უნყის, როდის წარვსდგები ყველაზე დიდ სასამართლოზე, სადაც ცოდვა მადლს წონიან ხოლმე. კაცობრიობისთვის ნანამები უფალი იესო ქრისტე ისევ ადამის ძეთ აცვეს ჯვარს, მაგრამ მან აპაგია, რამეთუ ის ღმერთი იყო. მე კი ვერ ვაპაგიებ ვერც აფხაზს, ვერც რუსს და ვაზაკს ჩემი ხალხის განამებას და დაგლახავენას, რადგან მე ადამიანი ვარ, უბრალო მოკვდავი, ბოროტი, ეშმასთან წილნაყარი და თავგებულადებული. კარგა ხანია ცხოვრება მომბებრდა, სიკვდილს ვეძებ დღითა და ღამით, მაგრამ არ მოდის... რამდენი გყვია ამცდენია თეხზე მდგომარეს და დამალულ კაცს მოხვედრია... ბედი მწყალობდა... იქნება ღმერთმა შემომინახა ამ დროისთვის? სადაც ვინრო იყოს, დაე იქ განყდეს... ან ბევრჯერ ნახავენ აფხაზები მათ გადამწვარ სახლებზე მიხატულ შავ ეშმას...

— რას? რა თქვი ბაკურ? — მარიკას უკვე ხმამაღალ ქვითინს აღარათფერი უკლდა. უცებ გამოფხიზლდა ბაკური, ბართან მივიდა, კონიაკს საცობი მოხსნა და პირდაპირ ბოთლიდან მოსვა. ცოცხა ხანს ერთ ადგილს მიაყინა ისევ გაფითრებული მზერა და რომ შემობრუნდა, მარიკას წინ კვლავ მშვიდი და მომლიძარი ბაკურ ფხოველი იდგა.

— მაპატიე, მარიკა, მაპატიე, თუ შეგიძლია ეს უცაბედი, უტაქტო გამოხტომა. მოდი თვალები მოგბანო...

— იყოს, მე თვითონ! — მარიკამ თავი უცებ აიყვანა ხელში. მონესრიგდა.

— საპატიებელი არათფერი გაქვს, პირიქით. მე მხოლოდ იმიტომ მიყვარხარ, რომ ასეთი ხარ, და მეყვარები სიცოცხლის ბოლო წუთამდე, მხოლოდ ასეთად დარჩი...

ნომრიდან გამოვიდნენ. სასტუმროს ვესტიბული ხალხით იყო სავსე. ღიმილიანი მზერით აცილებდა ყველა შესანიშნავ წყვილს. უკვე მანქანასთან იყვნენ მისულნი, რომ მარიკა უცებ შეჩერდა, მანქანის გასაღები ბაკურს შეაჩეჩა ხელში და უსიტყვოდ უკან შებრუნდა. ბაკურმა შენიშნა, რომ მარიკა რაღაცას სთხოვდა სასტუმროს ადმინისტრატორს. შენიშნა ისიც, რომ დოლარების საკმაოდ სქელი დასტა ჩაცურდა ნაცნობი ადმინისტრატორის ჭიბეში. ბოლოს ორივე მანქანისაკენ წამოვიდა. თურქმა უკანა სავარძელზე მოიკალათა. ათიოდე წუთში მანქანა გაჩერდა. ბაკურს არათფერი უკითხავს. შენობა, რომლის წინაც იყვნენ გაჩერებულნი, მაღაზიას წააგავდა უფრო. თურქი და მარიკა შიგ შევიდნენ. ასე თხუთმეტი წუთში გამობრუნდნენ. მარიკას შეხვეული, რაღაც პატარა მძიმე საგანი ეჭირა ხელთ. მანქანასთან თურქს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და საჭეს მიუტდა.

— საიდუმლოდ აკვარახჭინებ რაღაცეებს?

— არავითარი საიდუმლო, ბაკურ, უბრალოდ მინდოდა დაბადების დღე მომელოცა. ეს ვარჩიე ყველაფერს...

ბაკურმა შეხვეული გახსნა და თვალები გაუბრწყინდა. ხელში ეჭირა მსოფლიოს ერთ-ერთი უნიკალური პისტოლეტი „ბერეტა“, მოოქროვილი კორპუსით და ორასი სათადარიგო ცყვიით. იქვე, მაღაზიაში, წაენერებინა მარიკას გარბე: „ბაკურს — ბოროტების ამოსაძირკვად. მარიკა მაღაშხია“.

სიყვარულით შეავლო თვალი ქალის დაფიქრებულ, ნაღვლიან სახეს.

— მადლობელი ვარ! — ბაკურმა მჭიდი ცყვიებით გაგენა, გარში შეაცურა და პიტაკის ქვეშ გაირჭო იარაღი. — მაგრამ საზღვარზე როგორ გინდა ამის გადაგანა?

— ეგ ჩემზე იყოს! — მარიკას სახეს ნაღვლიანი ღიმილი არ შორდებოდა. — სადაა ეგ რესტორანი

„ეგვიპტე“?

— ზღვისპირას, ბალში, სადაც გუშინ ვიყავით.

— ბაკურ, ერთი სათხოვარი მაქვს, — მანქანა დაძრა. — მე ვიცი, რომ შენ პოეზია გიყვარს, რომ ლექსის მანიაკი ხარ. ძალიან გთხოვ, მითხარი რამე თუნდაც პატარა, მაგრამ შენთვის საყვარელი ორი ლექსი.

გაეცინა ბაკურს. სიგარეტს მისწვდა.

— მაინცდამაინც ორი? ერთი რომ იყოს, ან სამი?

— თუ სამი იქნება, ძალიან კარგი, ერთი კი არავითარ შემთხვევაში...

— იცი, მარიკა, მე გრანელი მიყვარს ძალიან. მაგრამ ამ წუთში სულ სხვა აზრები მომდის თავში...

„ხშირად რომ მხედავთ ასე დარდიმანდს და ყველაფერისგან მოცლილს, იცოდეთ ყველამ! ჩემი დარდი მაქვს, და... ჩემი ჟამი ლოცვის...“

— ეს ერთი. ჩამეთვალა? — კითხვანარევი მზერით შეხედა მარიკას.

— დიდებულია! საუცხოოა! — სვლა არ შეუწყვეტია, ისე გადმოიწია და აკოცა. — მეორე?

— ხელჩანთაში სარკე გაქვს?

— ბაგონო?!

— სარკე მინდა, მარიკა! ჩქარა! — და როცა გაოგნებულმა ქალმა სარკე მიანოდა, ნელა ასწია სარკიანი ხელი და სარკიდან თავის უკან მიმყოფ მანქანების ნაკადს გახედა. გაეღიმა. მწიფე შინდისფერი „09“, საბჭოური წარმოების, საქართველოდან უცხოეთში გასასვლელი ნომრებით, კუდში ედგა. ეს მანქანა ჯერ კიდევ დილას შენიშნა სასტუმროსთან. მანქანაში მჯდომი სამი ახალგაზრდა მას მისჩერებოდა და მისი მზერა როგორც კი იგრძნეს, იქით-აქეთ დაუდევრად დაიწყეს ყურება. მეოთხე ქერათმიანი, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა ახლდათ, მძლოლის გვერდით მჯდარი. „ნუთუ?“ — გაუელვა გუნებაში. მაგრამ არა, მას არათვერი ჰქონდა იმნაირი გაკეთებული, მისთვის რომ საქართველოში დევნა დაეწყო

ვინმეს... „მამ რა ხდება?“

— მარი, შენ შემოგვევლე, გაზი მიეცი და რაც შეიძლება დიდი სისწრაფით შევარდი იმ ჩიხში! — მარტენიე ანიშნა. მარიკამ ბაკურის მშვიდ სახეს, მაგრამ აელვარებულ თვალებს რომ შეხედა, მიხვდა, რომ მათ თავს რაღაც არასასიკეთო იყო და ნელა მიმავალი მანქანის ძრავის უეცარმა აღმუვლებამ და საბურავების ღრჭიალმა დააფრთხო გარშემო მდგარი ადამიანები. „09“ კვალში ჩაუდგა...

— შეატრიალე და რესტორანთან შეაჩერე!

— რა ხდება?

— მეც არ ვიცი, მარიკა. ვილაც ლაწირაკები გვდევნენ დღეს მთელი დღე.

ბაკურს საოცარი სიტბო ჩაეღვარა, როცა შენიშნა, მარიკაზე არავითარი რეაგირება ამ სიტყვებს რომ არ მოუხდენია. მანქანა უკუსვლით დაძრა და „მდევრებს“ კედელს რომ არ მიეგდოთ მანქანა, ალბათ ზედ გადაუვლიდა...

აზიური, წყნარი, სევდიანი ჰანგები ეფინა ირგვლივ. ხალხმრავლობა იყო ამ საოცარ, ზღაპრულ რესტორანში. უკვე მთელი საათი ისხდნენ და აქ ყოფნა ალბათ არც მოსწყინდებოდათ, რომ არა სულისშემხუთავი სიცხე, უსაშველო და აუტანელი. ათასფერებში იყო აელვარებული დარბაზი. იყო თითქმის სიბნელე, იყო სიცოცხლის საოცარი გასხივოსნება და ინგიმური გარემო.

— ესე იგი სამი დღის შემდეგ ყველაფერი მთავრდება? — თითქოს თავისთვის, წყნარად ჩაილაპარაკა მარიკამ, ისე რომ დარბაზში ანთებული ერთადერთი ნათურისათვის თვალი არ მოუცილებია.

— მარი, მისმინე, — ბაკურმა მის ხელს დაადო ხელი, ოდნავ მოუჭირა. — მე არ ვიცი, შენ რას ეძახი ყველაფრის დამთავრებას. ჩემთვის პირადად ყველაფერი ეხლა იწყება. და, თუ გიყვარვარ, ეს საღამო იყოს ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე. იცოდე, გახსოვდეს, ამ ქვეყნად არსებობს ადამიანი, ვინც შენი გულისთვის ყველაფერზე წავა, მიუხედავად იმისა, რომ შენ გყავს მეუღლე, გაქვს ოჯახი, წრე, რომელშიც ჩემნაირებს არ ღებულობენ, უბრალოდ, ვერ იგუებენ.

— ბაკურ!

— მაცადე! მე სრულფასოვან ადამიანად იცი როდის ვგრძნობ თავს? როცა მარტოდმარტო პარაშუტით დავეკიდები ღამის სიბნელეში ცას, მგრის ტერიტორიის თავზე, როცა გარშემო ჩემიანი არავინ მყავს და მხოლოდ საკუთარი თვალის და მკლავის იმედზე ვარ დარჩენილი. მითხარი, დღეს ჩემიანი განა სჭირდება ვინმეს? არავის!

— მე მჭირდება! გესმის? მე! — წამოიძახა მარიკამ და ის იყო კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, რომ ოფიციალტი წამოადგათ თავს გორგოლაჭებიანი პატარა მაგიდით.

— ეს თქვენ მოგართვს! — და დაიწყო მაგიდაზე ფრანგული შამპანურების გადმოლაგება.

— ჩვენ? — გაკვირვებით შეხედა მარიკამ ბაკურს და ელდა ეცა. სახე ანთებოდა ბაკურ ფხოველს, ნერვიულად უცახცახებდა მარცხენა წარბი და გაყინული მზერა ერთადერთი ქართული წარმოების კონიაკისთვის გაეშტერებინა, რომელიც შამპანურებს შუა ჩამოდგა ოფიციალტმა. „ვარციხეს“ ეტიკეტის თავზე მიკრულ თეთრ ქაღალდზე შავი ფანქრით ეხატა ეშმა და ქვეშ ლამაზი, გამართული ხელით ინგლისურად იყო მინერილი ორი სიტყვა: „შავი სახანა“.

უეცრად მუსიკა შეწყდა და ყველა სინათლე ერთად აინთო. რესტორნის სტუმრებს თვალი მოჭრა ათას ფერებში აელვარებულმა სინათლემ. მეზაგრონე, ორმოცდაათ წელს გადაცილებული სქელ-სქელი ძია, ძვირფას აბიურ ხალათში გამონწყობილი, კრიალოხნით ხელში, ესტრადაზე შედგა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ბატონებო და ქალბატონებო! ჩვენი სტუმარი, ქართველი ხათუნი ეკა ბუჩუკური მიესალმება და დაბადების დღეს ულოცავს ქართველ ტურისტს, ჩვენი რესტორნის სტუმარს, ბატონ ფხოველს იუბილარის საყვარელი სიმღერით... გთხოვთ! — და ღიმილით მიუჯდა იქვე მდგარ მაგიდას.

ბაკურის გასაოცრად ესტრადაზე სწრაფი ნაბიჯით, გიგარით ხელში ავიდა გოგონა, რომელიც მათ მადევარ მანქანაში იჯდა. შეენოდა სპორტული ჩაცმულობა და დაუდევრად მხრებზე დაყრილი ქერა თმა. ნაზ, ჰაეროვან ტანს ისე მიარხევდა, ისეთი უშუალო, თავისუფალი ქცევის იყო, რომ სანამ ხმას ამოიღებდა, უკვე მოხიბლა ყველა იქ მყოფი.

— ვინაა?! — მარიკა შემთვასებელი თვალთ, ოდნავ თვალმოჭუტული მისჩერებოდა ეკას.

— წარმოდგენა არა მაქვს!



— დავიჭერო? — ნაღველგარეული ირონიით შეხედა ვაჟს, მაგრამ როცა მის თვალებს ჩახედა, ქალის, შეყვარებული ქალის ალღოთი მიხვდა, ბაკური გულწრფელი იყო.

ნაზად, საამოდ აჟღერდა გიტარა და სალონში გაისმა გალაკტიონის სიტყვები: „ვერხვის თოთოლთა თეთრი ლაშქარი...“ მღეროდა ეკა, მღეროდა აქ მყოფთათვის უცნობ, ქართულ ენაზე, მაგრამ ყველა ისეთი სულგანახული მისჩერებოდა, აშკარა იყო, ქართველმა ქალიშვილმა უცებ დაიპყრო ყველას გული... აშკარა იყო ისიც, რომ ინსტრუმენტი მის ჯადოქარს ეპყრა ხელთ...

მორჩა სიმღერა. ცოცხალი ხნით სიხუმე ჩამოვარდა, მერე კი უეცრად მთელი დარბაზი წამოიშალა და ტაშისცემამ გააყრუა იქაურობა. „ბრაუო“, „ბრაუო“, „ბის“, „ბის!“ — ისმოდა შეძახილები...

— ეტიკეტი დაიცავი! — მოესმა გაოგნებულს მარიკას ჩუმი, მაგრამ მბრძანებლური ხმა.  
— თავი შეიკავე!

ბაკური წელში გამართული, წელი ნაბიჯით გაემართა მაგიდებს შუა ეკასკენ. შედგნენ პირისპირ.

— გმადლობთ! დიდებული სიურპრიზია... განსაკუთრებით კონიაკი! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ხმადაბლა უთხრა ბაკურმა და ლოყაზე აკოცა. ახედ-ჩახედა უცხო თვალისაგან შეუძნეველად და მზერა ქალიშვილის „შორტებზე“ შეაჩერა.

— ამ „შორტებით“ ხშირად მღერით თურქებთან? — სამაგიერო გადაუხადა, მაგრამ იმავე წუთში ენაზე იკბინა. ეკა გათითრდა და ისეთი საყვედურნარევი მზერით შეაგლო ცისთერი თვალები, ბაკური შეცბა.

— გრცხვენოდეთ! არ მოველოდი თქვენგან. აქ რომ მოვდიოდი, მეგონა ოცნებაში წარმოდგენილი ჯენტლმენისკენ მივისწრაფოდი... რას იზამთ. ყველა „მერსედესით“ არ დასრიალებს ამ ქვეყნად და ყველა არაა ბრილიანტების დედოფალი, — მარიკასკენ გაექცა მზერა. — მე და ჩემს მეგობრებს სასწრაფოდ თქვენი ნახვა გვსურს.

— ვინ ბრძანდებით?

— საქართველოს უშიშროების კომიტეტიდან ვართ. აუცილებელი, სასწრაფო საქმეა. აგერ ისინიც.

— ვინ ისინი?

— ჩვენები! — ეკამ მკლავში ხელი გამოსდო და შემოგრიალდნენ. ისევ ტაში გაისმა. დარბაზი უკვე იუბილარს ესალმებოდა. ბაკურიც და ეკაც იღიმებოდნენ, თითქოს მთელი ხუთი წუთი სასიამოვნო კომპლიმენტებით უმასპინძლებოდნენ ერთმანეთს. როცა მგიღებს შორის გზას მიიკვლევდნენ, ეკამ ჩუმად, მაგრამ მკათიოდ, ისევ ღიმილით წარმოსთქვა:

— ბაკურ, მე თქვენზე ბევრი რამ ვიცი. მე თქვენ არათერს გასწავლით, მაგრამ უცხო ქვეყანაში პიტაკქვემ პისტოლეტგარჯობილი არ უნდა დადიოდეს ტურისტი...

მარიკა ელოდათ. ბაკურმა ქალები ერთმანეთს გააცნო და შემობრუნდა. ღიმილით შეეგება ვაჟებს, რომლებიც უკვე მათ მაგიდას მიადგნენ. სამივემ მიულოცა დაბადების დღე. ოფიციატმა სასწრაფოდ განაახლა სუფრა.

— ბაკურ, გვაპატიებ ალბათ, — გაეცინა ქერა, მაღალ ბიჭს, — მაგრამ ორით ერთია ჩვენს სასარგებლოდ.

— გეთანხმები, ერთით ნოლი იყო მაშინ, როცა შეგნიშნეთ და როცა ასე სულელურად გამომეკიდეთ უკან, მერე კი უცებ ორი ქულა მოაგროვეთ, — ჩათუქრებულმა შეხედა ბიჭებს.

— მე ამასთან, — მარიკას გახედა, — დასამალი არათერი მაქვს. ჩემი დაპატიმრება რომ გდომოდათ, თურქეთში არ დამიწყებდით ძებნას, ასეა?

ყველამ უხმოდ დაუქნია თავი.

— აქედან გამომაქვს დასკვნა, რომ რაღაც მოხდა ჩემი წამოსვლის შემდეგ, რაკი გავახსენდი ვილაცას, მაგრამ რა? და მოხდა რაღაც ისეთი, რასაც კავშირი აქვს ჩემთან და ავლანეთთან. თქვენ ჩემს შესახებ ყველაფერი იცით, ამას მოწმობს ეს! — კონიაკის ბოთლი აიღო ხელში და ნახაგს შეხედა.

გაეღიმა, კალამი ამოიღო ჭიბიდან. — საქმე ისაა, ძმებო, რომ მე ურქო ეშმაკს ვხატავდი, — ნახაგზე გამოსახულს რქები წააშალა. — თუ საიღუმლოებას არ წარმოადგენს, იქნებ აქვე გამარკვით საქმეში?

ეკას შეხედეს...

— რადგანაც ჯგუფის უფროსი მე ვარ, — ხმადაბლა დაიწყო ეკამ და როცა ბაკურის

ირონიული გამოხედვა შენიშნა, თვითონაც გაეღიმა, — დიახ, მე ვარ ამ პატარა ჯგუფის სრულუფლებიანი ხელმძღვანელი, დაბვერვის კაპიტანი ეკა ბუჩუკური, — ქერა ძალა ბიჭს გადახედა. — ეს ჩემი ღვიძლი ძმა გახლავთ, ხშირად მესმარება საქმეებში...

ეკამ უცებ მოიწყინა.

— ჩვენ არც დედა გვყავს, არც მამა და, სხვათა შორის, ბაკურ, შენი რაიონიდან ვართ, ობლად გაბრდილნი, — ეკამ წუთიერად შეხედა და მიხვდა, მარტოკები რომ ყოფილიყვნენ, ბაკური მუხლებზე დავარდებოდა და ისე შესთხოვდა პატიებას წელანდელი თავხედობისთვის. ეკას ღანვები აუფერადდა, უნდოდა დიდხანს, ძალიან დიდხანს ეცქირა მისთვის, ვისზეც ყველაფერი იცოდა, ვინც დღეს პირველად ნახა და ვინაც ესოდენ მოხიბლა იგი. მაგრამ ბაკურს გვერდით მარიკა ეჭდა — მართალია სხვისი ცოლი, მაგრამ მაინც...

— ეს ბიჭი, — შავგვრემანი, ცყავისქურთუკიანი ბიჭისკენ გაიხედა, — ჩემი თანამშრომელია, თემურ კორძია. ეს ბატონი კი, — მესამეს შეხედა, — აქაური კოლეგაა ჩვენი, წარმოშობით ქართველი. ჩვენი მოკრძალებული ჯგუფი გაგაცანით. რაც შეეხება საქმეს, არაფერი ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ შენ სასწრაფოდ საჭირო ხარ საქართველოში. ჩვენ მივიღეთ დავალება შენი მოძებნის. დავალება შესრულებულია. ჩემთვის შენი ძალით იქ ჩაყვანა არავის უბრძანებია. ჩვენ გნახეთ და სათქმელი გადმოგვცით. ახლა შენს სინდისზეა, გააგრძელებ მოგზაურობას თუ...

— ზეგ, საღამოს ათ საათზე თბილისში ვიქნებით! ბაკურმა სწრაფად მოჭრა და მარიკას გადახედა.

— თუ საჭიროა, უფრო ადრეც! — ხმადაბლა. მაგრამ მგვიცედ თქვა მარიკამ.

— ვიცი, მჯერა თქვენი, — ბესიკმა, ეკას ძმამ, მარიკას შეხედა. — მე პოლიციის ოფიცერი ვარ და არასოდეს ვისურვებდი, გამოგვიღებოდი დამნაშავეთა იმ მანქანას, რომლის საჭესთან თქვენ იქნებოდით.

— გმადლობთ!... დამნაშავეთა მანქანა კი ღმერთმა მაშოროს!...

დიდხანს ისხდნენ. მარიკამ ეკა მოხიბლა, ეკამ — მარიკა. ბიჭებმა არც აქ უღალატეს ქართულ ტრადიციას და საკმაოდ შეზარხომდნენ. საუბარს უმაგეს. თურქთა დაბვერვის თანამშრომელი მამედ თანდილ-ოღლი მთლად ენად გაიკრიფა. ბაკურს თვალები ამღვრეოდა ოღნავ.

— მაშ როდის აპირებთ გამგზავრებას? — მამედისგან დასმული ეს შეკითხვა ყველას ეხებოდა.

— ალბათ ხვალ დილით! — თემურმა ეკას ესროლა მზერა. ეკა შამპანურს წრუპავდა და ფხოველს მისჩერებოდა. კორძაიას გაელიმა. მუდმივად მამაკაცების გარემოცვაში მყოფ ეკას თემური პირველად ხელავდა ვილაციით ასე გატაცებულს. „კარგი არჩევანია, გინონებ!“ — გაჰკრა გულში.

— ბაგონებო! — მამედი თითქმის სუფთად, ოდნავ აქცენტით ლაპარაკობდა ქართულად, რადგანაც თბილისში დაემთავრებინა უნივერსიტეტი, — ხვალ ჩემს სოფელში, საიდანც ქალაქს ჩამოვედი, ქართველთა დღესასწაულია. სულით და გულით გეპატიუებით. ძალიან მინდა ნახოთ, როგორ ცხოვრობენ თქვენი თანამემამულენი. მათაც მინდა თქვენი სახით დაგანახო ქართველები, ნაღდი ქართველები, არა ისეთნი, მხოლოდ დოლარებისთვის რომ აგალახებენ აქაურობას, ლაფში სვრიან თქვენს და ჩვენს სახელს და უკანასკნელ სიბინძურებეც არ ამბობენ უარს.

ეკას თვალები აუციმციმდა. მარიკამ ბაკურს შეხედა.

— ხვალ შაბათია, აქედან კვირას რომ წავიდეთ დილით, მგონი ჩავალწევთ? — ძმას მიმართა ეკამ.

— ერთმანეთს შევცვლით საჭესთან. ჩავალთ.

— რა კარგია! — აცმუკდა ეკა. — მართალია პირველად ვარ უცხოეთში, მაგრამ სულაც არ ვგრძნობ თავს უცხოობაში, — მამედს მიუბრუნდა. — ცხენები თუ ყავთ თქვენთან სოფელში?

— რამდენიც გნებაუთ!

— მაშ ცხენიც მიტყნებია! — ყავის ფინჯანს ჩააშტერდა და ხმამაღლა იკითხა. — „რემბო“ აგარებს ცხენს? — დაუფარავი ირონია გაურია ხმაში. ბესიკმა თვალები გადაუბრიალა დას. ყველა მიხვდა ვისკენ იყო შეკითხვა გამიზნული. „სამაგიეროს მიხდის“, შეუმჩნეველად ჩაიკვნიტა ტუჩი ბაკურმა. — ახიცაა ჩემზე! რა ეშმაკმა მოაგონა ცხენი?“

— ეკა, მე ბოლიშს ვიხდი შენს ძმასთან, იმედი მაქვს არ ეწყინება ბესიკს, მაგრამ იცი, ცხონებულ ბებიაჩემს რომ ენახე, რას დაგარქმევდა?

— რომელ ბებიას? — ცნობისმოყვარედ შეაწყერდა ეკა, — ნინოს თუ ღარეჯანს? ბაკურს სასმისი ხელში შეუტოკდა. ღვინო მაგიდაზე დაიქცა...

— შენ ჩემი ბებიის სახელებიც იცი?

— რას იზამ, პროფესიაა! — უბრალოდ თქვა ეკამ. — მაინც რას შემარქმევდა?

— „ახგაჯანას“!

— გმადლობთ, მაგრამ ბებიაშენი პირველი არ იქნებოდა, რადგან ბებიაჩემიც ზუსტად იგივეს მეძახდა. ამას თავი დაუვანებოთ, მე წელან რაღაც ვიკითხე, რისი პასუხიც არ გამიგია.

— მართალია მთაში დავიბადე, გავიზარდე და აღვიზარდე, მაგრამ ცხენზე არასოდეს ვძვდარვარ. დაკმაყოფილდა შენი ცნობისმოყვარეობა?

— საესებით! — ეკა წამოდგა. — მარიკა, დროა ერთმანეთს დროებით გამოვეთხოვოთ. ამ ვაუბატონებს რომ ვუყუროთ, ალბათ ხვალამდე გააგრძელებენ ლოთობას. ხვალ როდის გავემგზავრებით, ბატონო მამედ?

— ასე ცხრა საათისთვის.

მარიკაც წამოდგა, ჩანთა აიღო. თემური სასმისებს ავსებდა.

— თუ მამაკაცთა საზოგადოებას საწინააღმდეგო არათფერი გაქვთ, მანქანაში დაგელოდებით, — მარიკამ ბაკურს შეხედა.

ფხოველმა მხრები აიჩეჩა.

— არათფერი საწინააღმდეგო, ახლავე გამოვალთ ჩვენც.

როცა ქალები თვალს მიეთვარნენ, ბაკურმა სასმისი ასწია და თემურ კორძაიას თვალი თვალში გაუყარა:

— მოდით, საქართველოს სადღევრძელო შევსვათ. მეხუთე დღეა, თემურ, ვგრძნობდი, რომ უკან მდევდით, რადგან ინგუიცია, რომელიც წლებმა, ხითათმა გამომიძეშავა, თითქმის არასდროს მლაღაგობს. და არ ვიცოდი, რისთვის. ნულარ დაჭირვებოდეს...

— უკაცრავად! განწყევტინებ, ბაკურ, მაგრამ ცდები. ჩვენ მხოლოდ დღენახევარია, რაც აქ

ვართ. ირონიულად, ცინიკურად ჩაიციხა:

— იქნებ სხვა ჯგუფია თქვენამდე გამოგზავნილი?

— არა! მხოლოდ ჩვენ ვართ! — თემურმა ბესიკს შეხედა.

— არა, ბიჭებო! ჩვენი ამ ქალაქში ჩამოსვლის პირველი დღიდან, ჩემი და მარიკას აქ გამოჩენიდან, განუწყვეტლად გვითვალთვალებენ. ნუ მომჩერებისხართ ურწმუნოდ. მე არ ვარ ის კაცი, ვისაც ოდესმე დევნის მანია შეიპყრობს. ამის შესახებ მარიკასთვის არაფერი მითქვამს, არ მინდოდა შემეშოთებინა...

გარედან სროლის ხმამ ჩაახშო ყველაფერი. შეყვრება, ავტომატის და პისტოლეტების ხმა, მსხვრევა, ყველაფერი ერთმანეთში აირია და უცებ ჩანყნარდა.

— ეკას ხმა იყო! — ბესიკმა გვერდზე მდგარ მაგიდას ფეხი ჰკრა, გზა გაინთავისუფლა და ელვასავით გაუარდა გარეთ. ბიჭები მიჰყვნენ.

დაჭრილი პოლიციელი, რესტორნის დაცვის თანამშრომელი, უკვე სულს ლევდა. მეორე, ერთიანად დაცხრილული, მანქანას გადაშობოდა ზედ. რამდენიმე ქალი და მამაკაცი კუთხეში მიყუჟულიყო და შიშით დაბაფრული ადგილიდან ვეღარ იძროდა.

იქვე ავტომატიანი ახალგაზრდა კაცის გვამი ეგდო კიბის საფეხურთან.

ბაკურმა სწრაფი, ფხიზელი მზერით გადაავლო თვალი მომხდარს და ეკასთან მიიჭრა. თავისივე „09“-ის კაპოტზე ჩამოყრდნობილ ქალს გახეთქილი ტუჩიდან სისხლი სდიოდა, „მაკაროვის“ სისგემის პისტოლეტი ორივე ხელით ჩაებლუჯა და ცივი, გაყინული მზერა მეავტომატის გვამისათვის მიეპყრო. გამოთიშული იყო.

— მარიკა სადაა?! — მხრებში ხელი მოკიდა და შეანჯღრია ბესიკმა.

ეკამ მხოლოდ ახლა შენიშნა ბიჭები, მოდუნდა, მოეშვა და იარაღი ხელიდან გაუვარდა.

— გაიტაცეს! იჩქარეთ! — ამოიკვნესა და ძმის მკლავზე გადაესვენა.

ბაკურ ფხოველი იქვე მდგარ ხეს მიეყრდნო. მოეჩვენა, რომ სამყარო ინგრეოდა, თავზე ენგრეოდა. ცამეტი წლის შემდეგ ნაიარევი აენვა ბეჭებზე და გულისტკივილით მიხვდა, ისტორია მეორდებოდა...

## V ტაზი

მამედი სწრაფი ნაბიჯით მივიდა მოკლულთან, ავტომატი ააცალა, გადმოაბრუნდა და წელში გასწორდა. განცვიფრებული დაამტვრდა. ის არ გაუოცებია ეკას ზუსტად ნასროლს, მისგან გახვრეტილ შუბლს. თანდილ-ოლლი თვით მოკლულის პიროვნებამ გააოცა. გადამცემი ამოიღო პიჯაკის შიგნით ჯიბიდან:

— ლაპარაკობს დაზვერვის პოლკოვნიკი მამედ თანდილ-ოლლი. დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ინტერპოლს და სასწრაფოდ აქ გაჩნდით! — კოორდინატები გადასცა.

პოლიციის და სასწრაფო დახმარების მანქანები თითქმის ერთდროულად მოვიდა. პოლიციის კომისარი წესის სრული დაცვით მიესალმა მამედს და როცა მოკლულს დახედა, ჯერ გაფითრდა, შემდეგ კი:

— როგორც იქნა! — შუბლით ამოისუნთქა — ვინ?

— იმან! — მამედმა ხელი გაიშვირა ეკასკენ, რომელიც უკვე მოგონებულიყო და ტუჩს ინმენდდა.

— მაგ ბავშვმა?! — ბუთხუბა კომისარმა ისეთი უცნაურად გახედა ეკას, რომელსაც არ სჯერა ნათქვამისა. მამედს აფეთქებას აღარაფერი უკლდა.

— ეგ ბაშვი, კომისარო, დაზვერვის კაპიტანი გახლავთ, ჩვენი კოლეგა საქართველოდან და ეს ბიჭები ყველა! — კბილებში გამოსცრა პოლკოვნიკმა თანდილ-ოლლიმ. — გატაცებული მათი მეგობარი ქალი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. მის გატაცებას შეეწირნენ ეს პოლიციელები. დაუყოვნებლივ მიიღეთ ზომები. სასწრაფოდ უნდა დაიკვდოს რესპუბლიკიდან გამავალი ყველა გზა, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საჰაერო. როცა ამ ღონის ბატონი, — მოკლულს მიშვირა ხელი, პირადად იღებს მონაწილეობას გატაცებაში, ამ შემთხვევაში საქმეს სერიოზული საფუძვლები აქვს, გამიგეთ?

კომისარმა უხმოდ დაუქნია თავი.

— ინტერპოლს დაუკავშირდით?

— დიახ. ათ წუთში აქ იქნებიან.

— მიხედეთ საქმეს! — მამედი სწრაფად მივიდა თემურ კორძაიასთან. — თემურ, ბაკური

მარტო არ დაგოვოთ, სანამ პრესა და ტელევიზია მოვლენ, წადით აქედან და ნომერში დამელოდეთ.

— გასაგებია! — თემური შეგრიალდა.

— მოიცა! — მამედმა თვალეში შეხედა. — იარაღი ყველას გაქვთ?

— ჩვენ კი. ბაკურს არ ვიცი.

— ძალიან კარგი.

მამედი მივიდა ბაკურთან, რომელიც არაფრისმთქმელი მზერით, იმავ ხეს მიყრდნობილი, უაზროდ მისჩერებოდა პოლიციელთა ფუსფუსს. „მე მჭირდება! გესმის? მე!“ ჩაესმოდა მარიკას ხმა. მამედმა მკლავში მოკიდა ხელი:

— ბაკურ, რაც მოხდა, იმას ვეღარ ვუშველით. მიცვალებულებს ვერ გავაცოცხლებთ. ცოცხალს სჭირდება ამ წუთას შეველა. შენთან ნომერში დამელოდე. ესენიც შენთან იქნებიან.

„კოლტი“ ამოიღო.

— ა, ეს შენ. იქნებ დაგჭირდეს. ბაკურს მწარედ გაეღიმა.

— გმადლობთ. მაქვს იარაღი, — ნელი ნაბიჯით მანქანისკენ წავიდა, იქვე დაგდებული მარიკას ჩანთა აიღო. გახსნა, მანქანის გასაღები ამოიღო. არავისთვის შეუხედავს ზედ. მანქანა დაქოქა და ტყვიასავით მოწყდა ადგილიდან.

სასტუმროსთან შეაჩერა. ჩანთა აიღო და მანქანა არც დაუკეცავს, სწრაფი ნაბიჯით შევიდა სასტუმროში. ფეხით აუყვა კიბეებს. კარები გახსნა და ნომერში შევიდა ფრთხილად. ფეხზე შემდგარი იარაღით. ნელა მოავლო თვალი იქაურობას. ყოველი ნივთი ისევე დახვდა, როგორც დაგოვეს. აქ არავინ იყო ნამყოფი. კონიაკის ბოთლს მისწვდა, მოხადა. სარკისკენ გაეცა მზერა. გაახსენდა დღეს დილა, მათი საუბარი.

...მთელი ძალით ნაცყორცნი ბოთლი კედელს შეასკდა.

აბაზანაში შევიდა. წყალი შეისხა სახეზე. იგრძნო, ცივ წყალს გამოჰყავდა მღვომარეობიდან. სახე არც შეუმშრალეობია, კარადა გამოაღო. განსაცმელს შეხედა. გამოიღო წინა დღეს ნაყიდი ტყავის შარვალი, თავისივე ქურთუკით. შავი მაისური მოხვდა ხელთ.



ყველაფერი დივანზე მიყარა, განსაცმელი გაიხადა და გადაიცვა. „ბერეგა“ ქურთუკის ქვეშ, ქამარში გაირჩო, სათვალეს დაავლო ხელი და ნომრიდან უნდა გასულიყო, რომ დიპლომატი მოხვდა თვალში. გახსნა. ფულს არ აკლდა. გონება საოცარი სისწრაფით მუშაობდა. „პირველი, რაც მჭირდება, ესაა მონახვა კაცის, ვინც ინგლისურს ნორმალურად ფლობს. შემდეგ შემიძლია ძეხნის დანყება. ფული მაქვს, ჯერჯერობით მეყოფა. პოლიციის იმედზე ჩემი მტერი დარჩეს... მაგრამ თუ თურქეთიდან გაიყვანეს?!“ ეს ამინებდა, ურევდა გონებას. მერე რა ქნას? ეს ფული საზღვარგარეთ ძეხნისთვის არ ეყოფა. საქართველოში სანამ ჩავა და უკან დაბრუნდება, რა მოელის მანამდე მას?!

„მე მჭირდება! გესმის? მე!“ — ამოიჩემა გონებამ.

კონიაკი უნდოდა. აღარ იყო. ვისკი გადმოიღო, ისევ ბოთლიდან მოსვა. მოეყურა? არა! ზარის ხმა. ეკა და ბიჭები მოვიდნენ ალბათ... ნელა წავიდა კარისკენ. ვისკის წრუპავდა და თან ფიქრობდა...

პოლიციის კომისარმა იქვე დაკითხა ეკა და სხვა მონშეები. ეს დაკითხვა კი არა, საუბარი უფრო იყო. ეკამ, რაც მოხდა, დეტალებში აღიდგინა ყველაფერი. თითქმის ნახევარი საათი გავიდა. პოლიციელმა მოირბინა და კომისარს რაღაც უთხრა ჩუმად. კომისარმა მანქანას მიაშურა, რაცისას მიუტდა. ნანყვეგ-ნანყვეგ ისმოდა მისი ხმა. მამედი დაიძაბა, როცა სიცივა „ქართველი“ გაიგონა. იგრძნო, ახალი არასასიამოვნო ამბის მაუნყებელი იყო რაცია.

— ბატონო პოლკოვნიკო! — გამოსძახა კომისარმა. რა გვარია თქვენი მეგობარი, რომელიც წელან აქედან წავიდა?

— ფხოველი! — ხმადაბლა უთხრა მამედმა და ფეხქვეშ თითქოს მიწა ეძრა. „მოკლეს“! — გაუელვა გულში.

— დაგველოდეთ! ახლავე მოვდივართ! — ჩასძახა რაციას კომისარმა და თავის ქნევით წამოვიდა.

გამშრალი, გაქვავებული იდგა ეკა ბუჩუკური, მიხვდა — საფრთხე იყო ბაკურის თავს. უნდოდა ძირს დაეარდნილიყო, ხმამაღლა ყვიროდა, მაგრამ ხმა ვეღარ ამოეღო. გაფითრებული იდგნენ ბიჭებიც.

— რა მოხდა? — ვეღარ მოითმინა მამედმა.

— ის, რაც უნდა მომხდარიყო! — ჩაიბურცუნა კომისარმა. — მარტო არ უნდა გაგეშვათ.

— ჭკუას ნუ მასწავლი! — უყვირა.

— ბოდიში, ბატონო პოლკოვნიკო! ექვსკაციანი, ავტომატებით შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა სასტუმროში თქვენს მეგობარს...

ბესიკი მანქანას ეცა.

— შეჩერდი, მეგობარო, აღარაა საჭირო. ჩვენ ისედაც დაუავგიანეთ... ეკამ ხმამაღლა იკვილა და ქვითინი აუვარდა.

— მოკლეს? — ხმადაბლა, მინას ჩაჩერებულმა იკითხა მამედმა.

— მაცადეთ, ბატონო! ის კი არ მოკლეს, მან დახოცა ექვსივე თავდამსხმელი. ექვსი კაცი ექვსი ტყვიით გააგორა. ეს მესმის! სუთთა ნამუშევარია! — ჩაიცინა კომისარმა. — მაგრამ ერთი არ მესმის, ამნაირი ხალხი საიდან გამოძებნეს ქართველებმა, ხომ არ გვაშინებენ ა, ბატონო პოლკოვნიკო?

— სისულელეს ნუ რომაეთ! ჩქარა მანქანებში!..

...ეკა და ბიჭები მოვიდნენ ალბათ. ნელა ნავიდა კარებისკენ. ვისკის წრუპავდა და კვლავ თეძრობდა...და უკვე, როცა გასაღები უნდა გადაეცრილა, იგრძნო, წლობით გამოძევა-ვებულმა ინსტიქტმა ხითათი აგრძნობინა, ამცნო. ფრთხილი ნაბილით, უხმაუროდ ნავიდა უკან; ასეთი ნაბიჭებით არაერთხელ უვლია ავღანეთის მთებში, სადაც ყოველი მხრიდან სიკვდილი ელოდა. ბოთლი ფრთხილად დადგა და მკვეთრი მოძრაობით, ისე, რომ კარისთვის თვალი არ მოუშორებია, „ბერეტა“ იძრო. კიდევ ერთხელ დახედა წარწერას: „ბაკურს — ბოროტების ამოსაძირკვად. მარიკა მალაშხია“. გული შეეკუმშა. კარებს გახედა. თუ ჩვენებია — დაიძახებენ! ელოდება. უცებ გაახსენდა, მანქანაში დარჩა ტყვიების მარაგი. თან მხოლოდ ერთი მჭიდი ჰქონდა. „მეყოფა! არ მინდა მეტი...“ კარებს ძლიერად რაღაც მოხვდა. შეირყა. კიდევ რამდენიმე დარტყმა და... მანამ არ უსვრია ბაკურს, სანამ წინ შემოვარდნილმა ახმახმა ავტომატი არ ასწია და სროლა არ დააპირა. „ჰმ! ჩემი ლიკვიდაცაა საჭირო?“ პირველი ტყვია პირველს თითქმის მიბრუნით ესროლა... ბაკურ ფხოველი უკვე თავის სტიქიაში იყო...

...სასტუმრო „ისტამბული“ პოლიციის რეალში თქო მოქცეული, როცა მამედი, ევა, კომისარი და ბიჭები მოვიდნენ.

— სადაა ქართველი? — პირველივე პოლიციელს ჰკითხა კომისარმა.

— რომელი ქართველი?

— ვირო! — მამედზე გამწარებულმა, პოლიციელზე იყარა ჭაფრი. — რომელი და ვისაც დაესხნენ თავს.

— ფოიში, შიგნით! — აიბუბა პოლიციელი.

— დაჭრილია? — იკითხა მამედმა.

— რისი დაჭრილი, ბატონო პოლკოვნიკო! — გაეცინა პოლიციელს, — განაკანრიც არა აქვს. რომ მივედით, მაგიდაზე იყო შემომჯდარი და ვისკის ბოთლიდან სვამდა, — ნერწყვი გადაყლაპა.

პირველი ევა შევარდა შიგნით. სხვებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. სანიტრებს და პოლიციელებს მოკლულები გაჰქონდათ. მშვიდად იდგა ბაკური, თითქოს ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ევა შედგა. ახლოს არ მისულა. აღტაცებით შეაფლო თვალი. თავიდან ფეხებამდე შავებში იყო გამონწყობილი. თავისიანები რომ დაინახა, სათვალე მოიხსნა, გამოუცნობი, რაღაც ნალვლიანი ღიმილი შეაგება ევას.

მამედმა სასტუმროს მორიგე ახმობინა.

— რა მდგომარეობაშია ამისი ნომერი? — ბაკურს გადახედა.

— კარები შეღწენილია, იჭაურობა მთლიანად ცვეითაა დაცხრილული, — აღელვებულმა თუ შეშინებულმა მორიგემ ძლივს ამოილულულა.

— მერე და მეხუთე სართულზე ომია გაჩაღებული, თქვენ რა, გეძინათ? — შეუბღვირა.

— როგორც კი შემოცვიფდნენ, გელეფონის ხაზები დაჭრეს, ერთი კი თავზე დაგვადგა იარაღით. რა უნდა გვექნა?

— გაიქცა ის?

— ვინ?

— ვინც თავზე გედგათ!

— აგერის არის! — ანიშნა მოკლულზე, რომელიც კიბის აქეთ, სარკის წინ ეგდო.

— მაინტერესებს ერთი! — კომისარმა ქალღიმილი მოიმარჯვა, — თქვენ, ბატონო! — ბაკურს შეხედა, — იარაღი საქართველოდან ჩამოიტანეთ თუ აქ შეიძინეთ?

— იარაღი ქალის მოტაცების შემდეგ მე მივეცი! — მამედმა დაასწრო ბაკურს. — სადაა იარაღი?

— მე მაქვს, ბატონო პოლკოვნიკო! — იქვე მდგარმა პოლიციის ოფიცერმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა.

— მომეცით!

— ინებეთ! — ოფიცერმა აელვარებული პისტოლეტი გაუნოდა. მამედმა ერთი კი შეავლო თვალი ამ ბრწყინვალე იარაღს და კომისარს მიუბრუნდა.

— ბატონო კომისარო, მაპატიეთ ჩემი წელანდელი უტაქტობა. ალბათ გამიგებთ. ერთი სტუმარი თვალსა და ხელს შუა გამტაცეს, მეორეს თავს ესხმიან...

— როგორ გეკადრებათ! — გაიბადრა კომისარი.

— რა სათხოვარი მაქვს ახლა თქვენთან...

— ბრძანეთ!

— სანამ ძიებას შევუდგებით, აიღეთ ამ ახალგაზრდა კაცის პასპორტი, ამ იარაღის ნომერი და ყოველგვარი კანონიერების დაცვით, გაუფორმეთ მას, ერთი სიტყვით, მიეცით იარაღის გარეხის უფლება.

— თქვენ მას ჩუქნით? — კომისარმა შურით შეხედა ლაპლაპა პისტოლეტს.

— დიას! შევთანხმდით?

— შესრულებული იქნება, ბატონო პოლკოვნიკო!

მამედმა „ბერეგა“ ბაკურს გაუწოდა. მაღლიერების გრძნობით იყო ფხოველის მზერა აღსავესე. იარალი გამოართვა.

— კომისარო! — მამედმა ირგვლივ მიმოიხედა, — გააკეთეთ ყველაფერი, რაც საჭიროა და დილით ჩემთან, ოჯახში მობრძანდით. ეს ახალგაზრდები იქ იქნებიან.

— გასაგებია, ბატონო მამედ! — კომისარი თავის დაკვრით გამოემშვიდობა ყველას და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა მანქანას.

— ბაკურ, ნომრიდან რაიმე ხომ არ გაქვს ნამოსაღები?

ფხოველი უხმოდ გაემართა ამაველი კიბისკენ. თემურ კორძაიამ საათს დახედა. პირველის ნახევარი იყო ღამის. 21 მაისი თენდებოდა... 1993 წელი...

## VI ტაზი

მზიანი, უღრუბლო დილა გათენდა. უზარმაზარი, მარმარილოთი ნაშენი სასახლე მზის სხივებში გახვეულიყო. მამედი აივანზე ყავას სვამდა სტუმრებთან ერთად. მსახურმა დილის გაზეთები შემოიგანა. სწრაფად გადაავლო თვალი. წუხელ მომხდარი ამბები უკვე მთელმა თურქეთმა იცოდა. მყვირალა სათაურებით: „ქალიშვილის გატაცება“, „თავდასხმა ქართველ მზვერავეზე“, „სროლის დიდოსტატი“ — აჭრელებული იყო გაზეთები. ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ... დიას, მე ვარ, კომისარო... ასეა საქმე? — თანდილ-ოღლის მკვდრის ფერი აედო სახეზე. — კარგით, კარგით, კომისარო. გმადლობთ.

ყურმილი დაკიდა და დიდხანს თავჩაქინდრული მიშტერებოდა საკუთარი ფეხსაცმლის წვერს. სიგარას გადაწვდა. თავი ნაატყხა. თემურმა ცეცხლი შეაგება.

— ახალია რამე, ბატონო მამედ?

პოლკოვნიკმა თავი ასწია და მზერა ბაკურის გაქვავებულ სახეზე შეაჩერა. მძიმედ წარმოთქვა:

— დღეს, დილის ექვს საათზე, პატარა, ეგრეთწოდებულმა სპორტულმა თვითმფრინავმა, რომელიც თურქეთიდან აფრინდა, დაარღვია მეზობელი ქვეყნის საჰაერო საზღვრები. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, თვითმფრინავი ვერ დასვეს. ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალები იძულებული გახდნენ ესროლათ. დაზიანებულმა თვითმფრინავმა

მშვიდობით მოახერხა დაჯდომა უდაბნოში. ინგერპოლის ცნობით, სანამ თვითმფრინავი აფეთქდებოდა, რამდენიმე მამაკაცმა გადმოიყვანა ახალგაზრდა, თეთრებში ჩაცმული ქალი და მასთან ერთად უდაბნოში გაუჩინარდა. მიმდინარეობს ძებნა. — ეს სხვა არაფერია, გარდა მარიკასი... შორს ვერ წავლენ. ჩემი ხალხი მიწიდან ამოთხრის მათ.

კომისარი ტელეფონს მისწვდა. ნომერი არც ჰქონდა აკრეფილი, რომ ღია კარში შავი „ბენგლი“ ნელი სვლით შემოვიდა. უკან ნაცრისფერი „მერსედესი“ მოჰყვა. პირველი მანქანა შეჩერდა თუ არა, „მერსედესიდან“ ათლეტური აღნაგობის ორი ახალგაზრდა ვაჟი გადმოვიდა და მონინებით გამოალო პირველი მანქანის უკანა კარი. ჭალარანვერიანი, ბეჭებში მოხრილი მოხუცი ძლივს გადმოვიდა მანქანიდან. მიიხედ-მოიხედა და ღიმილიანი მუქარით ხელჯოხი დაუქნია მამედს. ამ უკანასკნელს ტელეფონის ყურმილი ხელიდან გაუვარდა და ზეზე წამოიჭრა. სიხარულით სახეგაბადრულმა სწრაფად გადაულაპარაკა სტუმრებს:

— ეს გახლავთ კაცი, ვის წინაშეც მუხლზე დგებიან იგალიის და, საერთოდ, ევროპის უდიდესი მათეობები. კაცი ერთადერთი, ვინც შეინარჩუნა ქრისტიანობა და ქართული გვარი...

და მამედი კიბეზე სირბილით დაეშვა. მოიხარა და მკერდზე ეამბორა მოხუცს, მან კი მუხლზე აკოცა და რატომღაც ყური აუწია პოლკოვნიკს. კიბეს შეუყვან. ბესიკმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გალიძებოდა. „ამის წინაშე დგებიან მუხლზე?! ხელის კვრაც არ უნდოდა, ისეთი სუსტი, ფარაგინა მოხუცი იყო. სახე მთლიანად დანაოჭებოდა.

კიბე ამოათავა და შედგა. გამჭრიახი, ცისფერი თვალებით გამომცდელოდ დააკვირდა ახალგაზრდებს, რომლებიც ფეხზე წამომდგარნი შეეგებნენ მას. მზერა ეკაზე შეაჩერა. ახედ-დახედა. გაეცინა და ოცი წლის ბიჭს რომ შეშურდებოდა, ისეთი კბილები გამოაჩინა:

— აი, აი, მამ ამ ერთი ციდა გოგომ გაავგორა ანკარისა და სტამბულის რისხვა, ასლან დემირი?...

...ეკამ თავი ჩახარა. გუშინდელი ღლე ალბათ არასოდეს დაავიწყდება. რესტორნიდან გამოვიდნენ. იქვე ვიღაცეები იდგნენ. პოლიციელებიც იქ ცრიალებდნენ. ეკას სიგარეტის მონევა უნდოდა და ერთი სული ჰქონდა მანქანაში ჩამჯდარიყო, რომ ძმის თვალთა ხედვის არედან გამქრალიყო. ბესიკთან არ ეწეოდა. მარიკას მანქანისკენ წავიდნენ. სანამ გახსნიდა, მარიკამ მანქანაში შეიხედა და სიგარეტი თან წაუღიაო — უთხრა. ეკამ თავის მანქანას მიაშურა. იქ ეგულვებოდა. კარი გახსნა თუ არა, ატეხილმა ხმაურმა შემოაბრუნა. იარაღმე-მართული ოთხი მამაკაცი მარიკას მანქანაში სვამდა. ერთს პირზე აეთარებინა ხელი. ახლაც

არ ახსოვს, როგორ გაჩნდა მათთან. ერთ-ერთი შეგრიალდა და პისტოლეტჩაბლუჯული ხელი პირდაპირ სახეში გაარტყა ეკას. ტკივილი არ უგრძენია. არა თუ მამაკაცს, ცხოვრებაში არავის გაერთყა ობლად გაზრდილისთვის. გამწარებისგან გონება დაეხინდა. თავისი მანქანისკენ გაქანდა. იცოდა, ბესიკს ხელყუმბარები ჰქონდა. ელვის სისწრაფით ამოიღო „თ-1“. ერთ-ერთი თავდამსხმელი პოლიციელებს ავტომატით ცხრილავდა. უკვე რგოლი უნდა წაეძრო ყუმბარისათვის, რომ გაახსენდა, მარიკა იყო მანქანაში. ისიც მათთან დაიღუპებოდა. ყუმბარა სკამზე დააგდო და „მაკაროვს“ მისწვდა, ზედიზედ ესროლა მანქანის მძღოლს. დააცილა. ავტომატიანი სროლის ხმაზე სწრაფად შემობრუნდა და ქალიშვილი რომ შეეჩხება, ნუთით დაიბნა და ამ წამიერმა დაბნეულობამ დაღუპა ის. მანქანაზე გადაწოლილმა ეკა ბუჩუკურმა თავში ესროლა... მომაკვდავმა ხელები აიქნია და პირქვე დაეცა. თავდამსხმელების უნომრო „ბმე“ ადგილს მონყდა...

მოხუცი ახლოს მივიდა. ეკას თავზე გადაუსვა ხელი, თმები აუწენა და შუბლზე აკოცა. ეკა გააოცა მოხუცის დახვეწილმა ქართულმა მეტყველებამ. მამედმა რბილი, ფუმფულა სავარძელი მიართვა საპაგიო სტუმარს, მან კი ღიმილით შეავლო თვალი სავარძელს და იქვე მღვარ ხის სკამზე ჩამოჯდა.

— მეგობრებო! — შვერა მოავლო ყველას, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო! მე ქართველი ვარ და ჩემი ცხოვრების ხანგრძლივი დროის მანძილზე გიორგი აბაშიძეს, ეს გახლავთ ჩემი სახელი და გვარი, ყოველთვის ახსოვდა და ახსოვს, რომ ის ქართულ პერანგშია გაზრდილი, მაგრამ ბევრ გარეწარს არაფერი ახსოვს ამ ქვეყნად ფულის მეტი. თქვენ რაც გადაგხდათ გუშინ, ეს უკვე ვიცოდი მანამ, სანამ გაზეთები ატეხდნენ ამ დილაადრიან ხმაურს. სამწუხაროდ, მათ მე ჰაერში ამასწრეს და ჩემი ვერტმფრენები უმწონი აღმოჩნდნენ სისწრაფეში მათთან. სამაგიეროდ, ისინი უდაბნოების გადასახხრეკად ყოველგვარ სპორტულ თვითმფრინავებს ჭობიან. მე მოვედი თქვენს დასახმარებლად.

— ჩათქრდა. — დღეს თუ ხვალ გავეცლები ამ ქვეყანას და წავალ ისე, რომ არც შვილი დარჩება ჩემი, არც შვილიშვილი, არც ახლობელი ვინმე; მეუღლე და ქალიშვილი ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა... ცოლი აღარ შემირთავს. ჩემი დღეები დათვლილია და მინდა სიკვდილის წინ ყველა ქართველს გავუწოდო დახმარების ხელი. იქნებ ვინმემ ჩემს სახელზეც დაანთოს სანთელი სიონში ან სვეტიცხოველში, —

თვალები აუწყლიანდა. სათვალე მოირგო. — ბოდიშს ვიხდი, ჩემი პირადულით შეგანწყინეთ თავი. ახლა საქმეზე გადავიდეთ. მინდა გაუწყოთ ის, რაც ჭერჭერობით არც

დაბვერვამ იცის და არც ინტერპოლმა, — მამედს შეხედა. — მე მაცნობეს, რომ გუშინ ჩვიდმეც საათსა და ოცდაათ წუთზე, ქალაქ მეხიკოდან გაიტაცეს ქართველი ბიზნესმენი, ნიკა ანჯაფარიძე...

ეკამ სწრაფი მზერა ესროლა თემურს.

— ალბათ იცით, რომ ნიკას მეუღლეა მარიკა მალაშხია? უხმოდ დაუქნიეს თავი.

— ადრე თუ გვიან გამოჩნდება ანჯაფარიძეც, მაგრამ რაც შეეხება მის მეუღლეს, მას მე რამდენიმე დღეში ვიპოვი, გააგრძელა აბაშიძემ. — საერთაშორისო პოლიციის ნებართვა უკვე აღებულია. ჩემი მფრინავები მზად არიან უდაბნოში ექსპედიციისათვის. მათ თავისუფლად შეუძლიათ საჭაერო საზღვრების გადაკვეთა, — ბიჭებს შეხედა. — რომელია გუშინდელი დღის გმირი, ვინც აალაპარაკა პრესა და ტელევიზია, ვინც ჯინჯოლიას ბიჭები ამოხოცა?

გაოცებით შეხედეს...

— როგორ, დაბვერვის თანამშრომლებმა არ იცით, ვინაა ვაჟა ჯინჯოლია?! — გაოცდა მოხუცი.

— ბატონო გიორგი! — თემურ კორძიას მოულოდნელობისაგან ხმა ჩახლქოდა. — ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინცაა ვაჟა ჯინჯოლია, მაგრამ რა შუაშია ის აქ?

— ჩემო შვილო, გიორგი აბაშიძეს არ სჩვევია სიცხეების ჰაერზე თანგვა, შუაშიც ისაა, თავშიც და ბოლოშიც. ეს თქვენ დაგესხნენ თავს?

— არა, ამას, — ბაკურზე მიუთითა.

აბაშიძემ ყურადღებით შეავლო თვალი ბაკურს.

— ძებნაში მიიღებთ მონაწილეობას? — მოულოდნელად ჰკითხა. თხოველი მუხლებზე დაეცა მოხუცის წინ.

— ბატონო გიორგი, გთხოვთ როგორც საკუთარ მამას, არავითარი ხალხი არაა საჭირო. მხოლოდ მე გადაძვებით იმ ადგილას, სადაც თვითმფრინავი დაეშვა. მე მას ვიპოვი, გწამდეთ...

ისეთი თვალებით შეჰყურებდა, გაელიმა აბაშიძეს. წამოაყენა. ჩემი ხალხი წამოვა. გიშვებ



ერთი პირობით. ჭინჭოლია ცოცხალი უნდა ჩამოიყვანო. მხოლოდ ცოცხალი...

— გპირდებით! — ბაკურმა თვალებში შეხედა.

— მეც შენთან მოვდივარ! — ფხოველს ეკა ამოუდგა გვერდით.

— შენ თბილისში დაბრუნდები, ბაკურთან ერთად მე წავალ! — ბესიკმა გულმოსულმა შეხედა დას.

— არა, ბესიკ, შეგიძლია მითხრა, რაც გინდა, შეგიძლია იმ იდიოტით ხელი გამარტყა, მაგრამ უდაბნოში მე ვარ საჭირო...

ბაკურმა მშვიდად შეხედა და-ძმას.

— არც ერთი თქვენგანი არაა იქ საჭირო... გასაკეთებელს მე გავაკეთებ. ეკა ბესიკს და თემურს შეუბრუნდა:

— მე არ ვიცი და არ მაინტერესებს საერთოდ, ვინაა ბაკურ ფხოველი. გატაცებულია ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქე, მისი ძებნა შედის ჩემს კომპეტენციებში. მოვძებნი და ვიპოვნი კიდევ. მართალია მოქმედებას ვინცე შეფის ნებართვის გარეშე, მაგრამ პასუხისმგებლობას ვიღებ ჩემს თავზე. თქვენ, — უტეხი მზერა შეავლო ბიჭებს, — დაუყოვნებლივ დაბრუნდით თბილისში და ბატონ თენგიზს აუხსენით, რა მდგომარეობაა აქ. იმედია სწორედ გამიგებს, — მოხუცს მიუახლოვდა. — ბატონო გიორგი, ალბათ უფლებას მომცემთ ვისარგებლო თქვენი ვერგმფრენით?

გაეღიმა აბაშიძეს. დიდხანს უსიგყვოდ მისჩერებოდა, შემდეგ საკინძე გაიხსნა, ბრილიანტებით მოლჭვილი ოქროს ჯვარი თავისი ჭაჭვით მოიხსნა და ყელზე ჩამოჰკიდა. პირჯვარი გადასახა.

— დაე ეს ჯვარი გიკვლევდეს გზას! ბესიკი უხმოდ მისჩერებოდა ეკას.

— და, ბოლოს, მინდა გაუწყობთ მთავარი, — გიორგი აბაშიძემ საათს დახედა. — ვერგმფრენები გავლენ ხუთ საათსა და ნოლ-ნოლ წუთზე. ჯერ დრო გვაქვს, — როცა შეაგყო, რომ ბაკური აწრიალდა, დინჯად შენიშნა. — შეილო, როცა მიდიხარ ისეთი მგრის წინააღმდეგ, როგორიც ვაჟა ჭინჭოლიაა, მინიმლურ დონეზე მაინც უნდა იცნობდე მას. მაშ მისმინეთ... მინდა იცოდეთ სათავე იმ ბოროტების, რომელმაც სადღაც უდაბნოში გადაკარგა

ქართველი ქალი, რომელმაც მოიტაცა ნიკა ანჯათარიძე. მინდა ზოგადად მაინც გაგაცნოთ ვინაობა ვაჟა ჭინჭოლიასი, ვის სულშიც ბოროტი გენია ჩასახლებული, — ბაკურს შეხედა. — ეს აღარაა ახალგაზრდა კაცი, სამოც წელს მიაღწია უკვე. გაათვაზებული ქართველი გახლავთ, უპირველესი მარტვენი ხელი ვლადისლავ არძინბასი. კაცი, რომელიც საკუთარ შვილს გამოსჭრის ყელს ფულის გულისთვის. ოთხი თვის უკან ჩემმა მეგობრებმა შემატყობინეს ჩრდილო-ამერიკის ქალაქ სენტ-ლუისიდან, რომ ვაჟა ჭინჭოლია შეხვდა ქართველ ბიზნესმენს, ბატონ ნიკა ანჯათარიძეს. შეხვედრა მოხდა სენტ-ლუისის ყველაზე თანამედროვე, კომფორტაბელურ რესტორანში. ვითომ სრულიად შემთხვევით, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, ეს იყო ჭინჭოლიას დიდი ხნის ჩანათფიქრის განხორციელება. ანჯათარიძეს თან ქალი ახლდა. შეხვედრა დამთავრდა საკმაოდ დიდი აურზაურით, რომელიც მთელმა სენტ-ლუისმა გაიგო. გამხეცვებულ ანჯათარიძეს პოლიციელებმა ძლივს გააგდებინეს ხელიდან ვაჟა ჭინჭოლია. მიზეზი? ჭინჭოლიამ ანჯათარიძეს მოსთხოვა ათი მილიონი დოლარი. როცა ამ უკანასკნელმა ჰკითხა, თუ რაში სჭირდებოდა მას ამხელა თანხა, ჭინჭოლიამ ურცხვად განუცხადა: „გაჭირვებული ათვაზური მხარისთვის იარაღის შესაძენად“. ფინალი გითხარით. ჭინჭოლიამ ფიცი დადო, რომ ანჯათარიძეზე შურს იძიებდა, — მოხუცის თვალებში ცეცხლი გაკრთა. — ეს ნაწილობრივ კიდევ განხორციელა, მაგრამ თავსაც გადააყოლებს ამას. შეიძლებოდა ამის პატიება, მაგრამ რა ვუშველოთ იმ ბავშვებს, იმ გოგონებს, რომლებიც ჭინჭოლიას ხალხს ათვაზეთიდან ჩამოჰყავს და ალჟირის, ტუნისისა და მაროკოს საროსკიპოებში აბარებს?!

მსმენელებს სისხლი გაეყინათ ძარღვებში...

— სადაც მივწვდები, — განრისხებული განაგრძობდა აბაშიძე, — თუ ნებით არა, ძალით ვაბრუნებ იმ საცოდავებს, საცოდავი ერის შვილებს, — გუჩი ჩაიკვნიცა, — მაგრამ რამდენსაც ვერ ვპოულობ?! ანჯათარიძე მას უკვე ხელში ჰყავს, მაგრამ მისგან ის ვერაფერს აიღებს. ნიკა ანჯათარიძესთან ის ფიზიკური ზემოქმედებით ვერაფერს გააწყობს, ამიტომ გაიტაცა მისი მეუღლე მარიკა ძალაშხია. სულიერად უნდა მოსპოს და დააკნინოს ეს ქართველი ვაჟკაცი. მისდა სავალალოდ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა: მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ჩვენი მიზანი ერთია, — ბაკურს და ეკას ისე შეხადა, როგორც ჯარისკაცებს, საბრძოლო დავალების შესრულების წინ: არაფრით არ უნდა დაუშვათ მარიკა ძალაშხიას იმ წერტილში მიყვანა, სადაც ეს ჭინჭოლიას აქვს გამიზნული. სადაც ალბათ უკვე ნიკა ანჯათარიძე ჰყავთ. ჩემი მეგობრები ალჟირშიც, ეგვიპტეშიც, ლიბანშიც, საუდის არაბეთშიც ამ დილიდან საქმის კურსში არიან. თუ დაგჭირდათ შესვლა ამ რესპუბლიკებში, ყოველთვის და ყველგან უზრუნველყოფილი იქნებით ფულით, გრანსპორტით, ბინით და იარაღით. ზემოთ

ჩამოთვლილი ყოველი ქვეყნის საზღვრებზე ამ წუთებისთვის ჩიტიც ვერ გადაფრინდება. ვიძელოვანებ, ეგვიპტეს თქვენ არ გაცილებით. თუ სადმე რაიმე გაუგებრობას ექნება ადგილი, — თქვენს გვერდზე გაფხნდება. ახლა კი — გადალლილი მზერა მოაწვდის ყველას, — შევსვით ჩვენი საქმის დანების და კეთილად დაბოლოების სადღეგრძელო! ამ საქმით ჩვენ პატარა წვლილს შევიტანთ აფხაზეთის ომის წაღმა შემობრუნებაში. თქვენ უკვე ჩემთან წამოხვალთ! — მიმართა ეკას და ბაკურს.

— მათი გაცილება თუ შეიძლება? — მორიდებით იკითხა მამედმა.

გიორგი აბაშიძემ გამომცდელად შეხედა პოლკოვნიკ თანდილ-ოლლის და გაეცინა. მხიარულად აუციმციმდა მოხუცს ცისფერ, მოუსვენარი თვალები.

— არ შეიძლება თქვენთვის, როგორც დაბვერვის ოფიცრისთვის, მაგრამ შეიძლება როგორც ქართველისთვის, ხუთ საათზე შეგიძლიათ გაცილოთ თქვენი მეგობრები, რომლებმაც ახლა უნდა მიიღონ ტანსაცმელი, იარაღი და ბოლო ინსტრუქცია. ხუთი საათისთვის სამივე, — თემურს და ბესიკს შეავლო თვალი, — ჩემი სტუმრები იქნებით.

უხმოდ დაუქნიეს თავი. ეკა და ბაკური მოხუცმა გასასინებულ „ბენტლში“ ჩაისვა და დარჩენილებს მხიარულად დაუქნია ხელი. ბესიკს სახე გადაფითრებოდა. თემურმა ხელი მოკიდა. მამედმა თვალებში ჩახედა მას.

— ნუ გეშინია. ბაკურს შეიძლება ვენდოთ! თემურმა ღიმილით გამოხატა თანხმობა.

## VII თავი

... მანქანაში შეაგდეს და აქეთ-იქიდან მიუსხდნენ. დაძვრას აყოფნებდა მძლოლი. მის გვერდით ადგილი ცარიელი იყო. ეს ალბათ მისთვის, ვინც პოლიციელებს ავტომატის ცეცხლებით უმასპინძლდებოდა. მარიკამ თავის შემობრუნება მოასწრო და ეკას გახედა. ეკას უკვე იარაღი ეჭირა.

უეცრად მძლოლმა საშინლად დაიკუნესა და სახე სიმწრით დაეღრია. არა, არ აუცილებია ეკა ბურბურს... იმავე წუთში მანქანიდან დაინახეს, როგორ მონყვევით დაეცა ძირს ავტომატიანიც...

— ასლანი მოკლეს! — შეჰყვირა მარცხნივ მჯდომმა. — წადი! გაუძელი ცოტა ხანს! — პისტოლეტი

წაჰკრა.

მძლოლისთვის მხარი გაეხვრიტა ცეცხლს. თავს სძლია და მანქანა სწრაფად დასძრა. ხუთასი მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მანქანა სადღაც ბნელ ჩიხში შეაგდო და გული შეუღონდა. მეორე სავარძელზე გადააწვინეს და მარიკას მარცხნივ მჯდომი მიუჯდა საჭეს. მანქანა ცეცხლსავით მიჰქროდა სტამბოლის ქუჩებში...

ელოდნენ. ჭიშკარი, რომლის შიგნით შეიარაღებული დაცვა იდგა, უხმაუროდ დაიხურა მათ უკან. მანქანიდან გადმოიყვანეს...

სანთლებით გაჩირაღდნებულ დარბაზში ერთადერთი მამაკაცი იდგა. მალაღს, გემოვნებით გამონყობილს, თვალები სიამით გაუბრწყინდა, მარიკას რომ შეხედა. ქალისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე ჰკითხა მის თანმხლებს:

— ასლანი სადღაა?

— მოკლეს! — გაისმა პასუხი.

ძარღვი არ შეგოკებია სახეზე. მხოლოდ თვალებში გაუკრთა რაღაც მძულვარების მაგვარი.

— ვინ მოჰკლა? — შებრუნდა, ხმადაბლა იკითხა.

— არ ვიცი. ეს და ამის მხლებელი რასტორანში ვილაცხვებს შეხვდნენ. მათგან ერთ-ერთმა, ქალმა.

— ქალმა?

— დიას! ახალგაზრდამ თანაც. ასლანი მოჰკლა, მუსგათა დაჭრა.

— ოჰო! — მარიკასთან მივიდა. ნიკაპში წააფლო ხელი, თავი აუწია. — ისეთი ტუჩები გაქვს, ღირდა შენთვის ასლანის განირვა, — ქალის ათქვირებულ მკერდს დაადგა თვალი. — ღირდა... ნამდვილად ღირდა...

მარიკა ზიზლით შეჰყურებდა მამაზე უფროს, აცუნდრუკებულ კაცს. უფრო მოემატა მძულვარება, როცა მიხვდა ეს ჭარმაგი კაცი ქართველი იყო.

— ვინაა ის ქალიშვილი, ვინც ჩემ ხალხს ესროლა?

— ჩემი მეგობარია! — თვალეში შეხედა. — იქნებ მიბრძანოთ, რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

კაცმა ხმამაღლა გადაიხარხარა. გამომწვევად, ვნებიანი თვალეებით მიაჩერდა მარიკას თეხებს. მზერა ააყოლა, მიუახლოვდა, თვალეში ჩახედა.

— არაფერს ისეთს. ხვალ დილით ჩვენ ერთგან გავემგზავრებით...წარმოიდგინე, რომ შენ მოგვევლინა ზღაპრული პრინცი და მასთან ერთად მიდიხარ სამოგზაუროდ, — ისევ ნიკაპზე დააპირა ხელის შევლება. მარიკამ ოდნავ უკან დაიწია და ისეთი ზიზლარევი თვალეებით შეხედა, კაცს ხელი ჰაერში გაუჩერდა.

— გადაყრუებულ ბებერო! შენ მე იმ ქალებში ხომ არ გეძლები, აქ რომ ჩამოდიან და თულისთვის თვითონ უხსნიან შარვლებს მამაკაცებს? თუ სიცოცხლე გინდა, დაუყოვნებლივ მიმიყვანეთ იქ, საიდანაც წამომიყვანეთ! — მარიკას რისხვისგან თვალეები აენტო და სახე გაუფითრდა.

— უყურე შენ! — მეგრული აქცენტით, დამცინავად ჩაილაპარაკა. — მემუქრები კიდევ? არ გცნობია შენ ვაჟა ჭინჭოლია.

— მე არ ვიცი, შენ ჭინჭოლია ხარ თუ დადიანი, რაც ვითხარი ის გააკეთე და რაც შეიძლება ჩქარა! თუ არა შენი ძებნა უკვე დაწყებული აქვთ და ვაი შენს ცყავს!

— ვის? — კვლავ გაეცინა ჯინჯოლიას, — იმ ბიჭს ხომ არა, ვისთანაც ერთად აქ სამძუნაოდ ჩამობრძანდი? ისეთი ბიჭების არ ეშინია ვაჟა ჯინჯოლიას...

მარიკას სიბრაზისგან ხმა წაერთვა.

— თავხედო! ვისაც შენ ბიჭს ეძახი, ის მოგიღებს ბოლოს!

უეცრად ჯინჯოლიას სახე შეეცვალა, ხელი მოიქნია და მარიკას სახეში ლენა. დარტყმა ისეთი ძალის იყო, რომ მარიკა მონყევით გადაემხო იქვე მდგარ ტახტზე. მივარდა, წამოაყენა. ისევ გაარტყა. ქალს სისხლი წასკდა.

— შენც და შენი ქმარიც ჩემს ხელში ხართ უკვე. — გამოსცრა კბილებში. — როცა გაგაშიშვლებ შენი ქმრის თვალწინ და ჩემს ბიჭებს რიგით მოუშვებ, ცხადია ჩემს შემდეგ, მაშინ გადამიხდის შენი ქმარი! მაშინ, როცა საკუთარ ხორცს საკუთარი კბილებით ვაგლეჯინებ...

ტელეფონს მისწვდა.

— მე ვარ! გავალთ ზუსტად ექვს საათზე! — ყურმილი დაკიდა და კარებიც გაიღო. კარებში აქომინებული, გაფითრებული ახალგაზრდა იდგა. ვაჟა ჯინჯოლიამ კითხვით შეხედა.

— შეფ, კრახია!..

— რა თქვი?! სადაა ხალხი? რა ქენით?

— ყველა მკვდარია! დახოცა!

— ვინ?

— იმ ბიჭმა, ამასთან რომ იყო! — მარიკასკენ გაიქნია თავი.

— როგორ მოხდა? — კბილები გაახრჭიალა ჯინჯოლიამ.

— ქუჩაში მოვერიდეთ სროლას. მე მანქანაში დამტოვეს, სასტუმროში აჰყენენ. შიგნით სროლა ატყდა. მერე ყველაფერი ჩანყნარდა. ცოცხალი ხანში ის ქართველი გამოვიდა სასტუმროდან. ცალ ხელში პისტოლეტი ეჭირა, მეორეში, უსუბის ავტომატი იყო, ვიცანი, მიიხედ-მოიხედა და ისევ შიგნით შებრუნდა. პოლიციაც მოვარდა. ჩვენები ყველა მკვდრები გამოიგანეს. მე წამოვედი. გზაში სროლა ამიტყეს. ჩვენ კვალზე მგონი აბაშიძის ხალხია.

ღროთით უნდა გავიღეთ აქედან.

— გაეთრე!

მარიკას ნაცემი უკვე აღარ სტკიოდა, ირონიული ღიმილით შეხედა ჭინჭოლიას:

— რაო, ბატონო ვაჟა, შეგამცირათ იმ ბიჭმა?

— ხმა! — ისევ ანია ხელი, მაგრამ აღარ გაურცყამს, ერთი კი შეხედა მარიკას და გარეთ გავიდა. გარედან კარი დაკეტეს. აღარავინ შემოსულა.

მთელი ღამე უძილოდ, მჭლომარემ გაატარა. იქნებოდა დილის ხუთი საათი, სამგზავროდ გამონწყობილმა ჭინჭოლიამ რომ შემთავლო კარი. უკან ორნი მოჰყვნენ. აქეთ-იქიდან მხრებში უხეშად მოაველეს ხელი და მანქანაში ჩასვეს. ეს უკვე სხვა მანქანა იყო. ჭინჭოლია წინ, მძღოლის გვერდზე იჯდა...

თვითმფრინავი მიწას მონწყდა. როცა საკმაო სიმაღლე აიღო, მარიკამ ძირს გადაიხედა. ზღვის თაგზე მიფრინავდნენ. მარიკას და ჭინჭოლიას გარდა, თვითმფრინავში ხუთნი იყვნენ, ყველა — შეიარაღებული. მფრინავი შემოვიდა:

— ბატონო ვაჟა, მარშრუტი?

— ეგვიპტე!

— პირდაპირ? სანავაი არ გვეყოფა.

— აბა? — შეუბღვირა ჭინჭოლიამ.

— კიპრში უნდა დაგვადეთ.

— ჭანდაბას! ოღონდ ჩქარა!..

არ გაეგვლო რამდენიმე საათს, რომ ცეცხლმოდებული თვითმფრინავი უდაბნოში დაეშვა.

## VIII ტაზი

„აი თურმე როგორ ცხოვრობენ მილიონერები!“ — გაუელვა ეკას. გაცეხებული უყურებდა გიორგი აბაშიძის სასახლეს. სასახლეც არ ეთქმოდა, ეს იყო რაღაც ზღაპრული ნაგებობა, რომლის მსგავსი მას სიბმრადაც არასდროს მოლანდებია. გარშემო ბალი ერცყა, წალკოტი, რომელიც ზღვის პირას მთავრდებოდა. უზარმაზარი აუზი, რომელშიც გედები დაცურავდნენ, ლურჯად ლივლივებდა ბალის სიღრმეში. „ზღაპარში ვარ!“ — თვალები დახუჭა ეკამ და თავისი პატარა ოროთახიანი ბინა გაახსენდა თბილისში, თავისი პატარა ნავთსაყუდელი...

ბატონი გიორგი შუაში ჩაუდგა ახალგაზრდებს, ორივეს ხელი გაუყარა და სასახლისაკენ წაიყვანა. წინ შუახნის, 55-60 წლის მამაკაცი შემოეგებათ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — აბაშიძემ სტუმრებს გააცნო. — ეს კი ჩემი ცხოვრების, ჩემი სახლისა და კაპიტალის გამგებელი ვახლავთ, მერაბ ყურაშვილი. ჩემი მდივანიც ესაა და ადვოკატიც. იცნობდეთ ერთმანეთს! — მერაბს შეავლო თვალი. — უდაბნოში მიემგზავრებიან და შემოსე ტანსაცმლით, რაც იმ პირობებს შეეფერება. იარაღი გაუჩინე ის, რაც მოითხოვონ.

— იარაღს კი გაუჩინე, მაგრამ ხმარება თუ იციან? — ეს შეკითხვა ეკასკენ იყო მიმართული. უხმოდ შეხედეს ყურაშვილს, არათფერი უთქვამთ.

— მერაბ, ეს ის ხალხია, ვინც გუშინ მთელ თურქეთს დაანახა, რომ ქართველები არ დაძაბუნებულან, რომ მათ მათ ბრძოლა შეუძლიათ.

— აჰ! ეს ისინია? — სიხარულისგან სახე აუფორაჟდა მერაბს. ორივეს მოეხვია, თვალები აუნყლიანდა. — გმადლობთ, შვილებო იმ სიხარულისთვის, რაც თქვენმა საქციელმა მომიტანა პირადად მე. ბატონო გიორგი, ნებას მომცემთ წავიყვანო?

— მიეცი ტანსაცმელი, იარაღი და ჩემთან ამოდით! — აბაშიძე ნელი ნაბიჯით აუყვავა კიბეებს.

— მომყევით, მეგობრებო! — ყურაშვილმა პირველი სართულის ერთ-ერთი კარი შეაღო. — ჯერ რომელს აიღებთ?

— განა სულ ერთი არ არის?



— მართალი ბრძანდებით. მობრძანდით, იარაღი აირჩიეთ.

ბოქლომები გახსნა და შუქი აანთო. ევამ კინალამ შეჰკვივლა. ეს იყო კოლექცია, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი, უნიკალური იარაღის კოლექცია... კარებში შედგნენ...

— აიღეთ, აარჩიეთ! — ბატონი მერაბი იქვე სკამზე ჩამოჯდა.

ბაკურმა სწრაფი მზერა მოავლო საიარაღოს. არც შეყოყმანებულა, სამი შეარჩია. ერთი ევას გაუნოდა. ყურაშვილმა ყურადღებით და მონონებით შეხედა ფხოველს:

— ესე იგი სამივეს რუსების ნაწარმს იღებთ? — ღიმილით შეავლო თვალი ბაკურის არჩეულ ახალთახალ „კალაშნიკოვებს“ და ისევე რუსულ, სნაპირულ, ავტომატურ კარაბინს. — პისტოლეტები?

— პისტოლეტები გვაქვს. მეტი არ გვინდა. ზედმეტი ბარგის თრევა დამლუბველია, — ევას მიუბრუნდა. — იქნებ შენ რაიმე გინდა კიდევ?

— არაფერი! ეს საკმარისია! — ევამ ავტომატის დაბეითილი საკეტი გააჩხაკუნა...

ორმოციოდე წუთს ისხდნენ გამოსათხოვარ სუფრასთან. ყველაფერი ქართული წესჩვეულებისამებრ იყო გაკეთებული. ყველა უხმოდ მისჩერებოდა გიორგი აბაშიძეს...

— ეს თვითმფრინავი, რომელიც უდაბნოში ჩამოაგდეს, ეკუთვნის ვლადისლავ არძინბას. განსაკუთრებულ შემთვევაში მისით სარგებლობდა ვაჟა ჭინჭოლია. ამ შემთხვევაშიც უტყუარი მონაცემებით ვიცი, — ჩათუქრდა, — დიას, ნამდვილად ვიცი, რომ ჭინჭოლიამ პირადად წაიყვანა ანჯათარაძის მეუღლე. მე თქვენთვის შემთხვევით არ მითხოვია მისი ცოცხლად შეხერობა. სადაც მიაგნებთ მარიკა მალაშხიას, იქვე იქნება ისიც. ვერგმფრენები, გამოცდილი პილოტებით თქვენს განკარგულებაშია ბოლომდე. თავს გაუფრთხილდით! ღმერთი გთარავდეთ! — აბაშიძემ ოდნავ მოსვა და დადგა. — ახლა კი დროა! — მძიმედ წარმოსთქვა და გამომცდელი მზერა ესროლა ბაკურს. ღიმილი დასთამაშებდა სახეზე ფხოველს... ღიმილი, შურისმაძიებლის ღიმილი...

პატარა, გემოვნებით მოწყობილი აეროდრომი ზღვის პირას, ბალის ბოლოში იყო. ოთხი ვერგმფრენი გვერდიგვერდ იდგა. მათმა ფერმა მოხიბლა და გააოცა ევა. ეს არ იყო ის სამხედრო, მწვანე ფერები, როგორც მრავლად უნახავს საქართველოში თუ სხვაგან. ორი მათგანი თეთრი ფერის იყო, ორიც ნაცრისფერი. მფრინავები იქვე ტრიალებდნენ. ხუთის

ნახევარი იყო, როცა ბესიკი, თემური და მამედი მოვიდნენ. აბაშიძემ საათს დახედა.

— ხუთ წუთში ჯგუფის სხვა წევრებიც აქ იქნებიან, — ხმადაბლა, ეკას და ბაკურის გასაგონად თქვა. ბესიკს დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა, ცდილობდა ეხუმრა, რომ ის საშინელი განწყობილება, რომელიც მას დაუფლებოდა, სხვასაც არ გადასადებოდა.

ბაღში მთელი სისწრაფით შემოიჭრა ნაცნობი „მერსედესი“ და აეროდრომთან შედგა. ხუთნი გადმოვიდნენ. „ალბათ ესენია!“ — გაიფიქრა ეკამ და მოსულები შეათვალიერა. არც ერთი არ ჰგავდა ჰოლივუდის ფილმების გმირებს. ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებულნი, ორმოცი-ორმოცდახუთი წლისანი, სერიოზული, ათას ქარცეცხლში გამოვლილ ადამიანთა შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ბაცონი გიორგი კმაყოფილი მზერით მიაჩერდა მოსულებს და როცა ყველამ მის გარშემო მოიყარა თავი, ექსპედიციის წევრებს ერთმანეთი გააცნო. ბაკურს უცებ მოეწონა ეს სიგყვადიერი, თავისზე ათიოდე წლით უფროსი ხალხი. სამი მათგანი ქართველი იყო, ერთი არაბი, ერთიც თურქი. ხუთივეს უცხოური წარმოების მოკლე ავტომანქანი ეჭირა ხელში, ქართველს კი, რომელსაც სოსო ერქვა, ხელის ტყვიამრთქვევიც თოფივით ეკიდა მხარილლივ.

— ათ წუთში გახვალთ! გაემგზავრებით ორი ვერტმფრენით. ერთით თქვენ, მეორით წყალი, პროდუქტი, კარგები და იარაღის მარაგი წამოვა. არცერთი თქვენგანის გამოცდილებაში ეჭვი აბსოლუტურად არ მეპარება, მაგრამ მაინც გთხოვთ, გაუფრთხილდით ერთმანეთს. უსიერ უდაბნოში თქვენ იქნებით ერთმანეთის დედაც და მამაც, და, ძმა თუ ახლობელი. რისთვის მიდიხართ, ეს ყველამ იცით. მიდიხართ ბოროტების დასათრგუნავად და ღმერთი იყოს თქვენი შემწე! პირობას შეგახსენებთ კიდევ ერთხელ: ჯინჯოლია მხოლოდ ცოცხალია ჩვენთვის საჭირო! მე მისი არც ძვალი მინდა, არც ტყავი და არც მისი ბინძური სული. ადამიანის ნამებასაც არასოდეს მოუგვრია ჩემთვის კმაყოფილება. ვაჟა ჯინჯოლიას მეშვეობით უნდა დავაბრუნოთ საქართველოში მისგანვე გაყიდული ახალგაზრდები. შემდეგ კი ვნახოთ... თითოეულ თქვენგანს ვთხოვ, თვალისჩინივით გაუფრთხილდით ამ გოგონას! ახლა კი გზა მშვიდობისა!

ყველას სათითაოდ გადაეხვია, აკოცა. ეკას შუბლზე ეამბორა და ცრემლი, ერთადერთი ცრემლი გადმოუვარდა მოხუცს...

— თავს გაუფრთხილდი, შვილო!

ბესიკმა, იმის შიშით, ხმამაღლა გირილი არ ამივარდესო ალბათ, გულში ტკიპასავით

ჩაკრულ, აცრემლებულ ეკას მხოლოდ თმები აუნუნა და განზე გადგა.

მამედმა კიდევ ერთხელ დამოძღვრა ბაკური:

— თუ ძმა ხარ, გაუფრთხილდი თავს და ამ გოგოს. შენი ჯგუფის წევრებს მე ყველას ვიცნობ. შეგიძლია ყოველ მათგანს საკუთარი თავივით ენდო. არც ერთი არაა დაქირავებული, — ხმადაბლა განაგრძო. — ეს ბიჭები მსგავს სახითათო ამბებში ხშირად ერევიან და იცი რისთვის? მხოლოდ და მხოლოდ რისკის სიყვარულისთვის. აურაცხელი სიმდიდრის პატრონებია და ბრძოლის დროს კი თითოეული მთელ ბატალიონს უდრის. ისინი მიეკუთვნებიან თურქეთის უმაღლეს არისგოკრაციას. ცნობისთვის, სოსო, შენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ანკარის პოლიციის კომისარია. გზაში, უდაბნოში უკეთ გაიცნობ მათ და დარწმუნდები გიორგი აბაშიძის ყოვლისშემძლეობაში. კეთილად გველოს! — მამედი ძმასავით გადაეხვია მოსმენილისგან გაოცებულ, ჩაფიქრებულ ფხოველს...

— უკაცრავად! — მოესმათ. სოსო მათ გვერდზე იდგა, — თქვენ, თუ არ ვცდები, პოლკოვნიკი თანდით-ოღლი ბრძანდებით?

— დიახ!

— მე მიცნობთ?!

— გიცნობთ! გიცნობთ და ძალიან კარგადაც! — გაელიმა მამედს.

— აი რა, პოლკოვნიკო! მე გთხოვთ როგორც ქართველი ქართველს, როგორც მეგობარს, დაივიწყეთ ჩვენი აქ შეხვედრა. ალბათ ხედებით, რაგომ...

— გასაგებია, ბატონო კომისარო! — ორივეს გაეცინა. ხელი ხელს დაჰკრეს და გამოემშვიდობნენ. თანაბრად, მწყობრად აგუგუნდნენ ვერტმფრენთა ძრავები. ცოცხალი ხანში თვალს მიეტარნენ ხმელთაშუა ზღვის აბორგენული ტალღების თავზე. ბესიკი თავს ვედარ ერეოდა, ცრემლიანი თვალებით მისჩერებოდა ჰორიზონტს, სადაც წერტილებივით მოსჩანდნენ ვერტმფრენები და საითაც ეკლიან გზაზე სავალად მიემშრებოდა მისი და, მისი ერთადერთი საყვარელი არსება ქვეყნად...

გიორგი აბაშიძემ დანალვლიანებული ბიჭები სახლში მიიპატიჟა...

## IX თავი

გამტვერილი, შინდისფერი „09“ საოცარი სისწრაფით შევარდა თბილისში და ათიოდე წუთში უშიშროების კომიტეტთან შეჩერდა. თემურ კორძაიამ და ბესიკ ბუჩუკურმა თითქმის სირბილით აიარეს კიბეები და თენგიზ გადალენდიას კაბინეტის კარი შეაღეს. თენგიზმა ბიჭების ანითლებულ, გადაღლილ სახეებს რომ შეავლო თვალი, მიხვდა, ყველაფერი გეგმის მიხედვით არ წასულიყო...

გადალენდიამ მძიმედ აათავა თავდაცვის სამინისტროს მესამე სართულზე ამავალი კიბეები და ლევან არჩვაძესთან შევიდა. ლევანს ბევრჯერ ენახა მეგობარი თითქოსდა გამოუვალ სიტუაციებში ჩავარდნილი, მაგრამ ყოველთვის, ყველაგან ხალისიანი და იუმორით აღსავსე. ახლა კი რაღაც შინაგანი განცდების, ღრმა ფიქრის კვალი აჩნდა სახეზე.

— მოხდა რამე გაუთვალისწინებელი? — გვერდით ჩამოუჭდა, სიგარეტი მიანოდა. თენგიზს ზედაც არ შეუხედავს სიგარეტისთვის.

— შენ იცი ალბათ, ლევან, რომ ომის დაწყებისთანავე საზღვარგარეთ მყოფმა ათეზბურმა და ქართულმა მათეებმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ომი გამოუცხადეს ერთმანეთს. ერთმანეთს დაუნდობლად ჟღერენ სანამლაავით, დანით. პისტოლეტებით და ეშმაკმა იცის, კიდევ რით... მე, მიუხედავად ჩემი სამსახურისა, პირველ რიგში ქართველი ვარ და გულში ქართული მათეის გამარჯვებას შევთხოვ ღმერთს, — ჩათუქრებულმა განაგრძო, — შენ მკითხე, რაიმე გაუთვალისწინებელიაო? კი, ლევან. მოხდა ის, რასაც ასე წელი ვერ ვიფიქრებდი. ჩვენი ხალხი, კერძოდ ჩვენი ერთი თანამშრომელი და ბაკურ ფხოველი მონინააღმდეგე მათური დაჯგუფებების მოქმედების შედეგულში აღმოჩნდნენ. აღმოჩნდნენ სრულიად შემთხვევით...

თენგიზმა დანვრილებით მოუთხრო არჩვაძეს თურქეთში მომხდარი. ჩათუქრებული, სახემეჭმუნული ლევანი უხმოდ უსმენდა.

— შეილივით გაგზარდე ეკა ბუჩუკური. საკუთარ ოჯახს, შვილებს ვაკლებდი, ოღონდ ეს ღვთის და კაცისგან მივინყებელი ობოლი და-ძმა როგორმე სწორ გზაზე დამეყენებინა. გამიმართლეს, ბესიკმა გლდანის პოლიციის უმაღლესი სკოლა დაამთავრა. დღეს ის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორია. ეკამ უცხო ენების ინსტიტუტი და შეთავსებით იურიდიული ფაკულტეტი. ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს. ქვეყანა შევანრიალე და რის ვაი-ვაგლახით ბინაც მივალეხინე. მართალია პატარა, მაგრამ მაინც მათი საკუთარი და სანუკვარი... დღეს კი ეს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვის

გაჩენილი, სიკეთისთვის მოვლენილი არსება ქვეყნად ისეთ მგელს უდგას კვალში, როგორც ვაჟა ჭინჭოლია. ეკას რომ რამე დაემართოს, — თითქოს რაღაც სიმი აკანკალდაო გადალენდიას ხავერდოვან ხმაში, — აღარც ღმერთისას ვინამე რამეს, არც კაცისას და არც ეშმაკისას. საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ მის იქ გაგზავნას...

დუმდნენ ერთხანს. უხმოდ ეწეოდნენ. საათის მონოტონური წიკნიკი არღვევდა გამეფებულ სიჩუმეს.

— ძნელია მოიძებნოს შესაფერისი სიტყვები იმ ღუბჭირი ვითარებისთვის, რაც ამჟამად ჩვენს დაცემულ, ომით გაუბედურებულ ქვეყანაშია გამეფებული ყოველ სფეროში, ყოველ უბანზე, — მძიმედ წარმოსთქვამდა ლევანი ყოველ სიტყვას. — ირგვლივ თვითნებობა, კადნიერება, უკანონობა, ქაოსია მოძალეხული, ვითარცა მარადიული თანამგზავრი სილაგაკის, ჭირის და ძალადობისა. ძნელბედობის გრძელი გზა გამოუვლია საქართველოს უწინაც, სიაოშივით ცეცხლის ქარში გადმოულახავს საუკუნენი, მაგრამ გარკვეული თავისებური მდგომარეობით მაინც ჩვენი ისტორიის შავი წერტილი კრწანისში დაისვა და ერეკლეს გარდაცვალებით დასრულდა ჩვენი გმირული ისტორია. საყოველთაო ძნელბედობა, ამაო დაპირებებმა, სილაგაკის ტრიუმფმა დააქვეითა მოქალაქეობრივი ქცევის დეველვაცია და სადაც კანონი არ კანონობს, იქ ადამიანთა საზოგადოება ცხოველთა ღონეს უახლოვდება. მსჯელობა სასტიკია, მაგრამ სინამდვილე უარესი... მთლად უბედურება კი ისაა, რომ ამ გრძელი, მრუდე გვირაბიდან გამოსავალი არ ჩანს, იმედის სხივი არ კიათობს... მშვიდობიანი ღრო რომ იყოს, შევანუხებდით თვით სახელმწიფოს მეთაურს და ყოველ ღონეს ვიხმარდით ეგვიპტიდან მათი მშვიდობიანი ჩამოყვანისთვის, ახლა კი, ამ წუთებში, როცა ბოროტება ხარხარებს, ძნელია რაიმეს თქმა, რაიმეს რჩევა. სოხუმზე შეგვეა მთელი რკალითაა დანყებული, ზღვიდან, ჰაერიდან, გუმისთიდან, სოფელ შრომის ზემოდან, თვითმფრინავებით, გემებით... სამეცნიერო „ლაბორატორიიდან“ უშენენ ქალაქს... აფსუურ ენთუზიაზმთან ერთად ზეიმობს რუსული სამხედრო სტრატეგია, ტექნიკა...

ფიქრებში წასული, მღუპარედ იჭდა გადალენდია. ხელში სანთებელას აცრიალებდა და ფიქრობდა...

— მეტი ალბათ აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, იმედი ვიქონიოთ ფხოველის და ჭგუფის სხვა წევრების გამოცდილებისა.

— სანამ შენთან მოვიდოდი, — თენგიზმა თავი ასწია და ლევანს შეხედა, —

დავუკავშირდი შინაგან საქმეთა მინისტრს და ბესიკ ბუჩუკური გავათავისუფლებინე გარკვეული დროით. თემური და ბესიკი დღეს ისევ უკან, აბაშიძესთან დაბრუნდებიან. კავშირის განწყვეტა არაფრით არ შეიძლება. უნდა ველოდოთ ყველაზე უარესს. ჭინჭოლიასგან ყველაფერია მოსალოდნელი...

— თენგიზ, შენამდე თუ მოაღწია იმ ხმებმა, რომ ჩეჩნებს და აფხაზებს ერთმანეთში შეტაკება მოუხდათ?

— ვიცი ეგ ამბავი, მაგრამ რა მოხდა?

არჩვადე მძიმედ წამოდგა, სეიფი გახსნა და მოსწავლის უბრალო, ორმოცდარვა ფურცლიანი რვეული გადმოიღო.

— ეს დღიურებია!

— დღიურები? ვისი?

— ახმედ რამაზანოვის! — არჩვადეს გაეღიმა, როცა გადალენდიას გაოცებულ სახეს შეხედა. — რვეული ჩვენმა ბიჭებმა ჩაიგდეს ხელში, როცა რამაზანოვი უკვე შორს იყო აფხაზეთიდან. ეს დღიურები ჩვენს გეგმებს მთლად ყირაზე აყენებს. გადავიკითხე ერთხელ, ორჯერ, მესამედ, მაგრამ მაინც ვერაფერი გავიგე. როგორც ჩანს, ყველაფერი მთლად ისე არაა, არც ყოფილა, როგორც ვფიქრობდით, როგორც გია ფიქრობს. თუ არ გეჩქარება, გადაავლე თვალი, მე ცოტა ხნით დაგტოვებ, — ლევანმა რვეული გაუწოდა და გავიდა ოთახიდან.

თენგიზმა დაჭმუჭნული, აქა-იქ გდებისგან ყდამოცვეთილი, დასვრილი რვეული გადაშალა. მკაფიო, ლამაზი ნაწერი რუსულ ენაზე... ალაგ-ალაგ გადაშლილი...

### 23 აგვისტო, 1992 წელი.

წუხელ ჩამოვედი აფხაზეთში. თითქოს რაღაც შეთანხმებაც დადეს მოსკოვში, მაგრამ... როგორც ჩანს, ომია ისევ საჭირო. დანიშნული ვარ კონფედერანტთა საერთო ხელმძღვანელად. ნეტავ ყველას ჩემნაირად შეაყვარა ომი, მაშინ ალბათ აღარასოდეს იქნებოდა... გავრასთან, მის კარიბჭესთან ვდგავართ. ქართულმა სამხედრო შენაერთებმა რატომღაც უკან დაიხიეს და კოლხიდასთან შეჩერდნენ. სანგრებს თხრიან. აქ რომ მიშვებდნენ, როდი იცოდა შანიბოგმა, რომ ძალით გაგზავნილი საქმეს არასოდეს გააკეთებს. ჭერჯერობით

თავს ზევით ძალა არა მაქვს. მართალია ხელმძღვანელი მქვია, მაგრამ აქ ქაოსია, არც ვიცი, სადაა ჩემი ხალხი. ჭგუფებად დაყოფილნი ეშმაკმა იცის, სად დაეხეტებიან, რას აკეთებენ...”

### 27. VIII.1992 წელი.

უბოძოდ დაფთვერი წუხელ. შეგნებულად დავლიე. არ შემიძლია ყურება ამ ხალხის, ვისაც ყოველგვარი ადამიანური უკვე დაკარგული აქვს, კაცური აღარათფერი გააჩნია. ნეტავ სადაა ჩემი ძმა?! იქნებ მოპირდაპირე სანგარში, ჩემიდან სულ ორიოდ ნაბიჯზე?! სიამოვნებით მივაცხრილავდი არძინბასაც და ელცინსაც. პოლიტიკოსების სახსენებელი არ უნდა იყოს ამ ქვეყნად... თავი მისკდება... კანტიკუნტად ისვრიან.

### 3. IX. 1992 წელი.

გაგრა აიღეს. ეს დღეები ოთახიდან არ გამოვსულვარ. არც ერთი ტყვია არ მისვრია. საღამოთი გავიარე, განუკითხაობა ირგვლივ... ქალაქი უკვე აღებულია, მაგრამ ერთ ქუჩაზე ჭერხივით დავგაყარეს ტყვია. სადარბაზოს შევატარე თავი. სამი ჩემიანი ადგილზე მოჰკლა ვილაცამ. ბიჭები იქით მიიწვევენ. ვაჩერებ, იქნებ ისაა?! იქნებ მოასწროს გასვლა... ღმერთო, უშველე!.. ვერ გავიდა. ალყა შემოარტყეს. შენობიდან გამოვიდა. არა, სულ სხვაა! ოცდახუთი-ოცდაათი წლის იქნება... თავიდან სისხლი ჩამოსდის, დაჭრილია. ცარიელი ავტომატი კედელს შეაღწა და რატომღაც ცას გახედა. როცა აფხაზები მისკენ დაიძრნენ, ყუმბარას რგოლი მოხსნა და თეხებში ჩაიგდო... ნამებში სანამ ყუმბარა აფეთქდებოდა, ისევ ცას უყურებდა. ყოჩაღ, ჩემო უცნობო ძმაო! თუ მოკვდები, მხოლოდ ასე, კაცურად უნდა მოკვდე...”

### 5. X. 1992 წელი.

რაც აქ ხდება, ამას არ შეიძლება ომი ეწოდოს. ეს რაღაც საშინელება, ანგარიშსწორებაა ისეთი, როგორც მე არსად მინახავს, ესაა ხოცვა, ჟლეტა განუკითხავად ქალის და ბავშვის... დატყვევებულებს ყველას მასზე ვეკითხები. არაფერ არაფერი იცის. არაფერ იცნობს! ცხადია, არაა ფრონტზე... მეოთხე წელია არ მინახავს. ბოლოს 89-ში ვიყავი მასთან. თუშაში ვინადირეთ. თბილისში დავბრუნდით 8 აპრილს და მომიტინგეებს შევეერთდით. ღმერთო! რა იყო ეს! არც ერთი სიტყვა არ მესმოდა. ის მითარგმნიდა. მერე რუსის ჯარისკაცები. ტანკები... მისი გაფართოებული, აღენილი სახე... დაღენილი, დაჩეხილი ქალები, ბავშვები... მის თვალებზე ცრემლი მხოლოდ მაშინ შევნიშნე და ახლაც არ ვიცი, საიდან გაჩნდა ჩვენს ხელში რუსის „ლაფატკები“... ტანკზე ტყვიამფრქვევი იყო. იქით გავინიე, წუთიც და ტანკი ჩვენი იქნებოდა... „არ გინდა! — მომაცხა, — უარესი მოხდება! დაჭრილები გავიყვანო!“

ცხოვრებაში მხოლოდ იმ წუთს ვიყავი მადლობელი იმ ინსტრუქტორების, ვინც კაცისკვლა მასწავლა... ცხვირმოუხოცავი რუსი „მედესანტეები“ აქეთ-იქით მივყარეთ და თავდახეთქილი, უგრძობელი გოგონები, თითქმის ბავშვები, გავიყვანეთ. მეორე დღეს თალხი ებურა თბილისს, მთელ საქართველოს. 11-ში ნამოვედი... სადაა ახლა?”

### 12. X. 1992 წელი.

გუშინ გავიგე, რაღაც ახალი შენაერთი ჩამოვიდაო ქართველების. წუხელ, ორ საათზე გადავედი მათთან. უმეტესობა ბავშვებია. მანდარინის ხის ძირში იდგა დარაჯად. უკნიდან მხარზე შევახე ხელი. შემოგრიალდა. წყნარად იყავი-მეთქი — ვანიშნე. გაცეხული, ბავშვური სახით შემომცქეროდა. იარაღის ხმარება არც უფიქრია. ოო, თქვენი დედა... ვინც ეს ჭუჭუმნოვა ბავშვები ამ სასაკლაოზე გამოუშვეთ. მასზე ვკითხე, აქ ხომ არ არის-მეთქი. არაო! მსგავსი აქ არაფერ არისო! მესვრი, რომ შეგგრიალდები-მეთქი? არა, ძმაო, რაგომ უნდა გესროლოო! — ალალი ღიმილით შემომამჩერდა. ერთი კოლოფი სიგარეტი დაუტოვე და შემოვბრუნდი. არ უსვრია. არც განგაში აუტეხია...

### 14. X. 1992 წელი.

როგორ მომენატრა ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი ნაცა, ჩემი ლეილა და ჩემი პატარა ბიჭი, ჩემი ბაკური. რადგან მეუღლეც ქართველია, ჩემი მეგობრისა და ძმადნათესის ქართული სახელი დავარქევი ჩემს ბიჭსაც. ისინი შორს არიან აქედან, ამერიკაში, ქალაქ ატლანტაში ამერიკელებად იბრდებიან და წარმოდგენაც არა აქვთ, თუ მათი იარაღასხმული მამა მათი სამშობლოსა და მათი სისხლით ნათესაუვების პირისპირ სდგას. ვითმენ, ველაპავ ჯერჯერობით ყველაფერს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ამომივა ყელში და... თავისთან, სოფელში ბაკურმა წამიკითხა პოემა, „სტუმარ-მასპინძელი“ ერქვა მგონი. კითხულობდა და მითარგმნიდა. ჩემი და ჩემი წინაპრების მგრობა, ძმობა და გაგანა იყო აღწერილი. მთელი ღამე გავათენეთ. ეჰ! ნეგა იმ დროს!

### 20. X. 1992 წელი.

დღეს დილით არძინბამ გამომიძახა. ვეახელი. თეთრ, ქათქათა კოსტიუმში გამონყო-ბილი ღიმილით შემომეგება. სახე უღიმოდა, თვალები კი, გველის თვალები, ისე შემომყურებდნენ, თითქოს მონუსხვა უნდოდათ ჩემი, პასიურობო! — მისაყვედურა... არაფერი მითქვამს, მის დაცვას შევხედე. თითო გასროლა და ამ გაბღენძილებს შაშვებივით დავეყრი ძირს, მაგრამ არძინბას მარტო ცყვია?! არა! მისი ცყვით მოკვლა მკრეხელობაა უბრალოდ.



მისთვის ისეთი სასჯელია საჭირო, რაც კაცის გონებას ჯერ არ მოუგვინია. რუკაზე რაღაცეებს მიხსნის... ჩემს თავში არაფერი შედის... ჩემი თქმები სხვაგანაა... მოვა დრო და თუ მე ვერ შევძელ, სხვები განანებენ, ბატონო ვლადისლავ, შენს ჩანადენს, გავრის სტადიონზე ჭია-ლუის საჭმელად დაყრილ ათასობით გემს ისტორია არ დაიფინებს...

### 25. X. 1992 წელი.

ჩემს ხალხს ცეცხლები აუყვანია სამნი არიან, ნაცემები უმონეალოდ, გაკოჭილები. რომელი ბატალიონიდან ხართ-მეთქი, — ვკითხე. „მხედრიონიდან“, ბადრი ფირცხელიანის ბიჭები ვართო! — უკმეხად მომიგდეს და ზიზღით, გამომწვევად შემომაჩერდნენ. ეხ, ბიჭებო! ბიჭებო! ნეტა როგორც თქვენ გადაგარჩენთ, ისე შემეძლოს ყველას შევლა და დახმარება, ყველას გაცოცხლება და ნუგეშისცემა... ღამით პოზიციიდან გამოვიყვანე, პისტოლეტები, ყუმბარები მივეცი და წადით-მეთქი! — ვუთხარი. შემოვტრიალდი. ადგილიდან არ დაძრულან. ერთი წამომენია და მკლავეში მომკიდა ხელი. შევჩერდი. თვალებში ჩამხედა. რატომ აკეთებ ამასო, — მკითხა. რა უნდა მეთქვა?... ღმერთი გადაგიხდისო! — მითხრა და სიბნელეში გაუჩინარდნენ. ხის ქვეშ ჩამოვჯექი და დიდხანს გულდამძიმებული ვიყურებოდი იქით, სადაც ქართველთა პოზიციებია.

### 27. X. 1992 წელი.

ახალი ჯგუფები ჩამოვიდნენ დონის როსტოვიდან და ჩეჩნეთიდან, ასოცი კაცია. კაცი-მეთქი ვამბობ! კაცები კი არა, მათ ცხოველიც არ შეიძლება უნოდო. ყოველგვარ სისაზიზღრებზე რომ ხელს მოაწერენ, ნეტავ სად პოულობენ ამნაირებს?! მაგრამ სად მიპოვეს მე?! ალბათ ასევე დაეძებენ მათაც. მუშაობს მოსკოვის „კგბ“... მუშაობს... ვგრძნობ, ქართული მხარე განწირულია... დავიჭერო მას რამე დაემართა? ფრონგზე რომ იყოს, აქამდე არ დარჩებოდა შეუმჩნეველი. მით უმეტეს, რომ ეს „ფრონტი“ სულ რამდენიმე კილომეტრს ითვლის. აქ რომ იყოს, უკვე ათასჯერ ვნახავდი გადაძვარ და აფეთქებულ სახლებზე, მოკლულთა შუბლებზე მიხატულ შავ ეშამს!“

ფეხის ხმამ გამოათხიზლა გადალენდია. ლევანი შემოსულიყო. მაგიდაზე რაღაც ქაღალდები დააწყო და თენგიზს მიუბრუნდა:

— წაიკითხე?

— ვკითხულობ! — ერთი სული ჰქონდა კითხვა გაეგრძელებინა. ლევანმა რვეულს

ჩახედა.

— საინგერესო იმდენად უკვე აღარაფერია, თუმცა, შეგიძლია თან წაიღო და გადაავლო თვალი.

— ლევან, შენ მითხარი, ეს რვეული მაშინ ჩაგვივარდა ხელთ, როცა რამაზანოვი უკვე შორს იყო აფხაზეთიდან. ეს როგორ გავიგო?

— პირდაპირი მნიშვნელობით.

— ფრონგის ხაზი მიატოვა და წავიდა?

— ჰოც და არც! იქ მოხდა რაღაც ისეთი, რაც ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი. საერთო სურათი კი ასეთია: ერთ-ერთ ჩვენს ქართულ სოფელზე იერიში მოჰქონდათ. ხალხის გამოყვანა ვერ მოვასწარი. სოფელში დარჩნენ ქალები და ბავშვები. როცა ყველა თითქმის უკვე განწირული იყო, მოხდა მოულოდნელი, საოცარი რამ... რამაზანოვი შეუბრუნდა და აფხაზების მონინავე, მოიერიშე ჯგუფი თითქმის ერთიანად ამონყვიცა. გგონია გაიქცა? არა! მიაშურა. პირდაპირ არძინბას რეზიდენციას. რა საუბარი იყო მათ შორის, ეს არ ვიცი... ალბათ ერთმანეთს მომხდარის შემდეგ კოცნას არ დაუნყებდნენ. იქიდან გაათრეული გამოიჭრა რამაზანოვი თავისი დაცვით, სულ ორი თუ სამი კაცი და ზღვის სანაპიროს მიაშურა, აქედან ივარგება მისი კვალი. ფაქტია — ის აფხაზეთიდან წავიდა! მაგრამ საით? ღმერთმა იცოდეს...

— ამ დღიურებზე რას ფიქრობ?

— როგორ გითხრა. თუ დღიურებს ვენდობით, ეჭვგარეშეა, რომ წლების უკან ავლანეთში მოხდა ისეთი რაღაც, რამაც ეს ორი თავზეხელაღებული კაცი, მცრები ერთმანეთის, განუყრელ მეგობრებად აქცია... მოხდა რაღაც ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით და მათ გარეშე ვერც ვერასოდეს გავიგებთ...

— როდის მოხდა ეს?

— 23 მაისს...

## X თავი

### 23 მაისი, 1993 წელი...

ზღვის სანაპიროზე ბინდი წვებოდა. ნელ-ნელა მოსალამოვდა. თხელ, მსუბუქ ნისლში გაეხვია ზღვისგან განბანილი, დაკლავნილი შესახვევები. შორს, პატარ-პატარა ყურეებში მკრთალი სინათლეები აინთო, თითქოს მათი შექი საუკუნეთა წყვდიადიდან ეშურებოდა და ახლავდა მოაღწიაო.

ვლადისლავ არძინბა რუკის წინ იდგა. დათუქრებული შეჰყურებდა. ქვემოდან, ქუჩის მხრიდან ხმაური, ღრინანცელი არ წყდებოდა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ფრონგისპირა ქალაქისთვის. დაცვის უტროსი შემოვიდა:

— ბატონო ვლადისლავ, თემურ აშბა მოვიდა!

— შემოვიდეს! — რუკისთვის თვალი არ მოუშორებია, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა არძინბამ. გამტვერილ, საველე სამხედრო ფორმაში გამონწყობილმა ჭარმაგმა კაცმა კარი რომ შემოაღო,

მხოლოდ მაშინ მონყვიგა თვალი რუკას.

— ახალია რამე? რაღაც ცუდი ფერი გადევს სახეზე.

— კარგი არათურია! — დაღლილი აშბა მძიმედ დაეშვა სკამზე. — რამაზანოვმა გვილაღატა.

— ქართველებთან გადავიდა?

— არა, მაგრამ კვაცბაიას ჯგუფი გაანადგურა.

— სადაა ახლა?

— აქ მოდის, ალბათ თქვენთან. გზაზე გადმოვასწარი.

შემოსასვლელში ატეხილმა ხმაურმა შეანყვეცინათ საუბარი. წუთიც და ახმედ რამაზანოვი არძინბას დაცვასთან ერთად ქარიშხალივით შემოიჭრა ოთახში. არძინბამ ყურადღებით შეავლო თვალი რამაზანოვის სიბრაზისგან ანითლებულ, წვერმოშვებულ, მაგრამ

მაინც ლამაზ, ვაჟკაცურ სახეს. შავ თვალებს ავად აელვებდა ახმედი. უკან თავისი მეგობრები ედგნენ. ვლადისლავ არძინბამ გაიღიმა და ოლიმპიური სიმშვიდით სავარძელზე მიუთითა.

— დაჯექით, ახმედ! რაღაც გაუგებრობას ქონია დღეს ადგილი, როგორც გავიგე...

— რისთვის ჩამომიყვანეთ აქ? — თვალი თვალში გაუყარა რამაზანოვმა.

— საომრად!

— მერედა სადაა ომი? ვის ველო, აკვნის ბავშვებს და ფეხშიძე ქალებს?! — ისეთმა ფერმა გადაჰკრა სახეზე ახმედს, რომ არძინბას ტანში გასცრა.

ტელეფონის ზარმა შეაკრთო რაგომლაც. ყურმილს მისწვდა. უსმენდა ვიღაც უხილავს და სახე თანდათანობით მომაკვდავივით უფითრდებოდა. კალამი აიღო და რაღაც ჩაიწერა. ყურმილი დაკიდა და ჩაფიქრდა. თითქოს საერთოდ გადაავიწყდა რამაზანოვიც და მასთან საუბარიც... ტელეფონს მისწვდა. ნომერი აკრიფა.

— ალო! სად ხართ! დაგეძინათ? ბორისი სადაა?... ბორია, მისმინე. გუშინნინ დილით არაბეთის უდაბნოში ჩამოავდეს ჩვენი თვითმფრინავი. თვითმფრინავი აფეთქდა დაჯდომიდან თხუთმეტი წუთში. ვაჟამ მოასწრო გასვლა, მაგრამ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. აბაშიძის ძაღლები უდგანან კვალში. იღონე ყველაფერი მის გადასარჩენად, რადგანაც მისი დაღუპვით ჩვენ დაგვარგავთ ძალიან ბევრს, მიხვდი?! გაემგზავრები დაუყოვნებლივ. ძებნა უნდა წარმართო პორტ-საიდიდან ქალაქ კაირომდე მოქცეულ უდაბნოში. ჩემი ბრძანებაა: ლიკვიდირებულ იქნას ჯგუფი მთლიანად, ვინც აბაშიძემ ჯონჯოლიას შესაპყრობად გაგზავნა. მოკალით ჯგუფის მეთაური, ვინმე — არძინბამ ფურცელს დახედა — ბაკურ ზურაბის ძე ფხოველი. გასაგებია? შეკითხვა გაქვს? ძალიან კარგი. ვისურვებ წარმატებას. ნახვამდის... — მძიმედ ამოიხვნეშა და რამაზანოვს შეხედა. შეხედა და გაოცდა. თვალები, რომელნიც ათიოდე წუთის წინ რისხვას აფრქვევდნენ, ახლა ეშმაკობაში გამარჯვებული პატარა ბიჭივით უციმციმებდა ახმედს. ერთ წერტილს მიშტერებული რაღაცას უღიმოდა...

— ესე იგი თქვენ ბრძოლაზე უარს აცხადებთ?

— დიახ! მე მოვრჩი! — ხმადაბლა, ისევ ღიმილით წარმოსთქვა.

— მორჩით ჩვენი ბიჭების დახოცვით, არა? — იფეთქა არძინბამ. — და როგორ გგონიათ, აქედან დაუსჯელი გახვალთ?

— რა თქმა უნდა!... მე ეჭვიც არ მეპარება თქვენს კეთილგონიერებაში. მგონი იმდენი ჭკუა გეყოფათ, რომ ჩემს წინააღმდეგ არ განიზრახავთ რაიმეს გაკეთებას.

— იმუქრებით?

— როგორ გვეადრებათ, ბატონო ვლადისლავ, მუქარა რა მოსაცანია. მე უბრალოდ გატრთხილებთ! — ახმედმა მშვიდად შეხედა არძინბას ბრაზისგან მოლრეცილ სახეს. — მე მივდივარ ამ წუთში და ღმერთი არ განწყრეს, წინ ვინმე არ გადამელობოს! — შემოგრიალდა და ნელი ნაბიჯით გავიდა. თავისიანები უკან მიყენენ... მცირე ხანში რამაზანოვის შავი „იაგუარი“ ადგილს მოსწყდა და სიბნელეში თვალს მიეთარა...

შუქებხამქრალი მანქანა სანაპიროზე იდგა. ახმედ რამაზანოვი დაძაბული მისჩერებოდა ნავებით და კატერებით ავსებულ ბღვის ნაპირს. მიმოსვლა არ წყდებოდა. სულგანაბულნი ისხდნენ მანქანაში ახმედის მხლებლები...

— ძმებო! — ახმედმა წენარად, ოღნავ ჩახლეჩილი ხმით დაილაპარაკა, — თქვენ რომ არ მენდობოდეთ მე, ჩემს გვერდზე არც იქნებოდით. მენდობით და პატივს მცემთ იმიტომ, რომ ერთი სისხლი გვიღუეს ძარღვებში, ერთმანეთის ძმები ვართ და ბიძაშვილები. ჩვენ ერთად უნდა დავბრუნებულიყავით დღეს გროზნოში, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა. უჩემოდ მოგიწევთ წასვლა, — სათითაოდ შეავლო ოთხივეს თვალი. — მე დაუყოვნებლივ თურქეთში უნდა გადავიდე, ნუ მკითხავთ, თუ რატომ. ასეა საჭირო... თქვენ ჩემი მანქანით დაბრუნდებით უკან, ამ მანქანას აქ კარგად იცნობენ, საჭეს მსუბუქად დაარტყა ხელი, — თქვენი გამჩერებელი არავენაა, მაგრამ სანამ ერთმანეთს დავეცილდებოდეთ, დახმარება მჭირდება თქვენი...

— შენ თქვი, ახმედ! — მანქანაში მსხდომთაგან ყველაზე ახალგაზრდამ კბილები გააეღვა.

— ფული მჭირდება! დოლარები, და ალბათ ძალიან ბევრი... როგორ თქვით, რამდენის შოვნას შევძლებთ სასწრაფოდ?!

ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს.

— რამდენია საჭირო, პირდაპირ გვითხარი! — თვალებში შეხედა გვერდით მჯდომმა.

— მინიმუმ ოცდაათი ათასი, — სიბნელეს გახედა. — ათი ათასი მე მაქვს. ჩამოვალ და ხომ იცით, ჩემთან არაფერი დაიკარგება.

ფული ვისაც რა ჰქონდა, ამოიღეს და წინ მკლამს გადაანოდეს. სწრაფად გადათვალა და რამაზანოვს გაუნოდა:

— ორმოცდაათი ათასია, ძმაო! თუ გეყოფა, კარგია, თუ არა და ერთ საათში ერთ მაგდენს კიდევ ვიშოვით!

— არა! მეტი არაა საჭირო, — გაიღიმა. — რჩება მთავარი! აი ის კატერი მჭირდება! — თითი მიაშვირა ნაპირთან ტალღებზე მოლივლივე თეთრ, ქათქათა კატერს. მის შორიხლას აფხაზი შეავტომაცეები მიმოდრიდნენ.

— ეგ არძინბას კატერია მგონი? — კითხვით შეხედა ერთ-ერთმა.

— კი, ღურსუნ! არძინბას კატერი გახლავს, სპორტული კატერი, რომელიც პორტუგალიაში დაუმბადეს საგანგებო დაკვეთით, — თვალმოჭუტულმა გახედა. — ეგაა ყველაზე სწრაფმავალი შავ ზღვაზე და ბატონი არძინბა მაგას დღეის შემდეგ ისევე ვეღარ იხილავს, როგორც საკუთარ ყურებს სარკის გარეშე...

— კი მაგრამ, პროდუქტი, სანავი? — სწრაფად იკითხა ღურსუნმა.

— ყველაფერი გამზადებულია. გადმოგანაა მხოლოდ საჭირო — კატერის დაცვას გახედა. — ამათ მე მოვეუვლი თქვენ კი რაც მჭირდება, გადმომიზიდეთ. იქნარეთ რაც შეიძლება...

მანქანიდან გადმოვიდა. ღურსუნი საჭეს მიუჯდა და მანქანა ადგილს მოსწყვიტა. ახმედი ნელი ნაბიჯით, უდარდელი სტვენით გაუყვა ზღვის ნაპირს. ზღვიდან მონახერი ცივი, გამჭოლი ქარი, ძვალსა და რბილში აგანდა, მაგრამ სიცივეს არ გრძნობდა. გადაღვლილი მკერდით ხარბად ისუნთქავდა ცივ ჰაერს. „ცოცხალია! — რეკდა გონება, — ცოცხალია! მაშ არძინბამ მისი მოკვლა განიზრახა? ვერ შეძლებ მაგას! შენი გეგმა ამთავიდან ჩასათუშადაა განწირული, ეშმაკების მეუფე! იმ შენს ბორისს რომ უდაბნოში ჩავმარხავ სადღაც, მაშინ ისწავლი ჭკუას, ოხერო! ახმედ რამაზანოვი არაბეთში კი არა, ქვესუნელში ჩავა თავისი მეგობრის და ძმადნაფიცის გადასარჩენად“...

ჭიქურ, პირდაპირ მიადგა კატერის დაცვას. სამოქალაქო თორმეხით, ავტომატებით შეიარაღებული სამი აფხაზი ბოთლიდან სვამდა რუსულ არაყს. ავტომატები მოიძრეს, მაგრამ რამაზანოვი რომ იცნეს, დამშვიდნენ. საიდანღაც ჭიქა, ძეხვი, პური გააჩინეს. იქვე მდგარი

„ჟიგულიდან“ კონიაკები ამოიღეს. ახმედმა ჭიქა გამოცალა და ძეხვის ნაჭერს მისწვდა.

— თქვენ რა, ბიჭებო, ამ ომში მარტო კატერის ყარაულობა გაკისრიათ? — ირონიული ღიმილით შეავლო თვალი მათ განსაცემელს. მათგან ერთ-ერთს ზომამე მეტი მოსვლოდა არაყი. უცებ აენტო:

— რას იზამთ! ყველა კაცისმკვლელად არ ვართ დაბადებულნი ამქვეყნად, — უკმეხად მიუგვლო.

— ქართველი ჯერ არ მოგიკლავს?

— ღმერთმა მაშოროს! — ზიზღით გადაათურთხა მეორემ.

გამომცდელი თვალით შეათვალიერა სამივე. ახალგაზრდა, ოცი-ოცდაორი წლის ბიჭები იყვნენ.

— მაშ ამ წუთას მე რომ ეს კატერი წავიღო, არ მესვრით?

— სროლით ვისვრით, — გაიღრიჭა ქერა, დაბალი ბიჭი. — მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ჰაერში ვისვრით! შემდეგ კი შეიძლება თითო ცყვიით ერთმანეთსაც გაუუმასპინძლეთ საღმე რბილ ადგილებში, — გაელიმა ქერას.

ახმედს შეეცოდა ეს ბიჭები, ვისაც იარაღი შემთხვევით აელო ხელში. ვისაც ჯერ კიდევ შეურყეველი ჰქონდა სული. ამათვე რომ მოდიოდა, მზად იყო წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში ერთიანად ამოეხოცა. ახლა კი იდგა ამ ბაუშვების წინ და აღარ იცოდა რა ექნა. შორიდან მანქანის სინათლეები გამოჩნდა. იცნო თავისი მანქანის ფარები. უცებ მიიღო გადანწყვეტილება.

— ბიჭებო, თქვენ მე მიცნობთ! იცით ისიც, რომ შემეძლო მარტო ან სხვებთან ერთად მოვსულიყავი და დამეხოცეთ. მე ეს არ გავაკეთე, არც გავაკეთებ! პირდაპირ გეუბნებით, ეს კატერი მჭირდება, უნდა წავიღო. ნუ მომაჩერდით გაოცებით, მე არ ვხუმრობ! ყველაფერს ჯობია ახლა ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ, რომ თქვენ არ დაისაჯოთ...

ოცი წუთის შემდეგ თეთრი სპორტული კატერი მთელი სისწრაფით მიაპობდა შავი ზღვის

გაღლებს. საჭესთან ფეხზე მდგარ ახმედ რამაზანოვს გეზი სტამბულისკენ ჰქონდა აღებული, იქიდან კი, ბოსფორის სრუტით, ხმელთშუა ზღვაში.

## XI ტაში

ვერცმფრენმა თანაბარი სვლით გადალახეს ჩრდილო აფრიკის საჰაერო საზღვრები. მგზავრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ამდენ ხანს ჰაერში ყოფნის შემდეგ ხმელეთზე დაეშვებიან, მუხლს გამართავენ. ეკა ილუმინატორს აჰკვროდა და თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა ძირს გადაშლილ უცნობ, მაგრამ თვალწარმტაც მიდამოს. ბიბლიური ფურცლები ცოცხლდებოდა თითქოს... პანია სახედრებზე არაბები გადამჭდარან. მობაკუნობენ გზაზე და ლამის არის ლანჩებით მინას ხვეცენ. გზის მახლობლად თვალახვეული აქლემი, გვეგონება მოუმართავთო, დაუღალავად წრეს უვლის და ჭიდან წყალს ქაჩავს. უდაბნოს ხრიოკ გარემოსთან შედარებით მინის ეს ბოლი შესამჩნევად ამწვანებულია. არც მანქანა ჩანს და არც ტრაქტორი, აქლემისა და კაცის მეც აქ ვერაფერს ნახავ. მაგრამ მაინც თესენ, მკიან და ცხოვრობენ, ცხოვრობენ ზანგად, თავიანთ ყაიდაზე: თამაშობენ ჭადრაკს, სვამენ ყავას, ცხოვრების გამოცანაზე მასლაათობენ და კვლავ და კვლავ ცოლებს ეძიებენ, რადგან აქაური კანონით ღვთისმოსავ მაჰმადიანს ერთად ოთხი შეუძლია ჰყავდეს. ამბობენ, ოთხი ცოლი ჰყავდაო მაჰმადს. მაშ რჯულით ასე ყოფილა წინასწარ დასახული და რას იზამ, ვერ გაამტყუნებ მათ...

მზერა მონწყვიტა გარემოს. ბაკურს გახედა. ფეხი-ფეხზე გადადებულს, გულხელდაკრეფილს, თავი უკან, სკამის საზურგისთვის მიეყრდნო. ფხოველის შავმა სათვალემ საშუალება არ მისცა ეკას, გაეგო, ეძინა თუ ეღვიძა. მას უყურებდა! მის ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი კრთოდა. ეკას გული ლამის ამოუხტა საგულედან, მაგრამ ტუჩები დამცინავად აიბზუა და:

— საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებული კაცი! — გესლიანად, ბაკურის გასაგონად ჩაილაპარაკა, რასაც ამ უკანასკნელზე არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია. კვლავ მშვიდად იღიმებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აშუარად გაიგონა. საათს დახედა და არაბს შეუბრუნდა:

— ნორმან, აქ შენ ითვლები მასპინძლად. უდაბნოში გავალთ ხვალ, დილის შვიდ საათზე. დღეს სად გავათევთ ღამეს, შენ ბრძანე! ჩვენ გისმენთ და გემორჩილებით...

არაბმა სოსოს შეხედა. სოსომ სიგარეტის ნამწვავი ფეხით დაასრისა იატაკს და ყველას



მოავლო თვალი:

— ბაკურ! მეგობრებო! ახლა მხოლოდ საღამოს ოთხი საათია. ჩვენთვის კაიროში, ჩრდილო აფრიკის ამ ლამაზ დედაქალაქში უკვე მზადაა ღამის გასათევი. ჩვენი ნომრები უკვე დაჯავშნულია. ბატონი გიორგის მეგობრები გველოდებიან. უმჯობესია ალბათ ეს ბოლო ღამე ქალაქში გავატაროთ, ხვალ ღამეს კი „სალამქრო კოცონთან“ შევხვდებით.

— ქალაქში გასვლა შეიძლება? — წყნარად იკითხა ეკამ.

— რატომაც არა! — გაელიმა ნორმანს, — მთელი საღამო თქვენს განკარგულებაშია. მაგრამ გირჩევდით კი ადრე მოსვენებას, მძიმე გზა გველს.

მფრინავებმა, როგორც ჩანს, მარშრუტი ბრწყინვალედ იცოდნენ. ვერცმფრენები ქალაქის მახლობლად დაემშენნ და ათიოდე წუთში უკვე ახალთახალი „ჭიპებით“ კაიროსკენ მისრიალებდნენ ჯგუფის წევრები. კვირა დღე იყო, მაგრამ კვირა სახეს არ უცვლის კაიროს, რადგან არაბები კათოლიკენი არ არიან. ბეგონის მიხვეულ-მოხვეული გზის ორსავე მხარეს თეთრი ქვიშაა. ალაგ-ალაგ თითო-ოროლა ხეც მოჩანს. მათ ქვეშ ბარაკის ტიპის ყაზარმებია, მალლა ცაში — თვითმფრინავები. ჰორიზონტზე კაიროა, უძველესი და უმდიდრესი საცახტო ფარაონთა აკლდამებით... აი უკვე ქალაქიც...

ცუდად განათებულია ალბათ ღამით ფართო პროსპექტები... ბეგონის თანამედროვე ხიდი. ხიდქვეშ ნილოსი ბრწყვიალებს. საღამოს თბილი ჰაერი შემწვარი ცხერის ხორცის სუნით და ბენზინის ორთქლითაა გაჟღერებული. აურაცხელი მანქანა დაქრის...

სასტუმრო. სუფთა, განკრიალებული ნომრები ფართო, მოხერხებული სანოლებით, ტელეფონებით. ფანჯრებიდან მოჩანს, თუ როგორ ფუსფუსებს ძირს აღმოსავლეთის ბაბილონი. არცთუ გრძელი დერეფნის ბოლოში ძალიან ფართო სააბაზანო ოთახია, ნომრებში მხოლოდ პირსაბანია...

ეკამ თავი წესრიგში მოიყვანა და ნომრიდან გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა. საათს შეხედა. ხუთი სრულდებოდა. ირგვლივ არაფერ იყო. თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარიყო. ყველა ნომრებში იყო ჩაკეტილი. „არც მჭირდება არაფერ!“ — გაივლო გულში და მაინც საყვედურნარევი მზერით გახედა ბაკურის კარს... ნელი ნაბიჯით დაემშვა კიბეებზე. „ნებივრობს ალბათ ვაჟბატონი! დანვა და დაიძინა!

მაგან მხოლოდ ხალხი ხოცოს... ფეხებზე ჰკიდია ნილოსის სილამაზეც და ხეოფის

პირამიდებიც!“ წუთით შედგა და ჩაფიქრდა. „ღირსია, ავბრუნდე უკან და მისი ნომრის კარები ძირს ჩამოვიღო! უტაქტო, უბრძოლველი, გაუთლელი პროვინციელი! ისე მიმატოვა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს!“ — გაგულსებულს ლამის ცრემლები წამოსცვივდა. ჰოლი განათებული იყო უკვე. ეკამ, ისე, რომ ნაბიჯი არ შეუწელებია, ნელი მბერა მოაულო დარბაზს და უცებ შედგა... პირდაპირ შემოსასვლელთან, იგივე მდგომარეობაში, როგორც ფრენის დროს, ფეხი-ფეხზე გადადებული, გულხელდაკრეფილი ფხოველი იჯდა. მხოლოდ სათვალე აღარ ეკეთა. მას ხელში ათამაშებდა და ეკას მისჩერებოდა... ნელი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ...

— სად ხარ აქამდე?

— არ მითხრა ახლა, შენ გელოდებოდიო! არაბ ქალებზე ნადირობდი ალბათ და ხელი შეგიშალე!

— ნაკბინა.

ბაკურს არათფერი უთქვამს. გაელიმა მხოლოდ. გაელიმა ისე, როგორც პატარა, ონავარი ბავშვის სიცვლქებზე გაიღიმებს უფროსი. უსიტყვოდ მოხვია ხელი. თვალებში ჩახედა... შეცბა ეკა. ასეთი თვალები, ლამაზი, ნაღვლიანი თვალები მას არასოდეს ენახა... ანგარიშმიუცემლად მინებდა ვაჟის მკლავს...

— მაპატიე, ბაკურ!

— არ გინდა, გავიდეთ ქალაქში?!

— ჰო!

ქუჩაში გავიდნენ. ნელი ნაბიჯით გაუყვნენ სასტუმრო „შეპერდის“ მიმდებარე პროსპექტს. ყოველ ხუთ ნაბიჯზე ვიღაც უახლოვდებოდათ, ვინმე კი არა, ზოგჯერ, ერთად რამდენიმე კაცი აჩერებდათ და მთელი ძალით ცდილობდნენ საქონელი მიესალვინათ.

თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, ყველა ტყავის ქარქაშებით ვაჭრობდა. ქარქაშები აბსოლიტურად ერთნაირი იყო, ყოველი მათგანიდან ოთხკუთხედი მახვილი პირი მოჩანდა, სტილგისმაგვარი. თითო იარაღს ოც შილინგს აფასებდნენ. ეკა დახვეწილი ინგლისურით, თავაზიანად უარობდა...

— იცი? — უკვე ნილოსის ჯებირთან სანაპიროს მიუყვებოდნენ, ეკამ რომ სიჩუმე

დაარღვია, — შეიძლება ეს იყოს ჩემი პირველი და უკანასკნელი ყოფნა კაიროში. ძალიან გთხოვ, ეროვნული მუზეუმი დაგათვალიეროთ!

— სიამოვნებით...

ქანდაკეები... აკლდამები... ძვირფასეულობანი... ტუგანხამონის მუმი, ნილოსის ქვიშა-შლამიდან ამოღებული ძველისძველი გალერეა... რამდენიმე დარბაზი შემოიარეს და პირამიდების სანახავად მანქანით გაემგზავრნენ. მძლოლმა ადგილზე გიდი უქირავა — გამოცდილი თარჯიმანი. გიღს გრძელი, მინამღე დაშვებული თეთრი ხალათი ეცვა. მთელი მისი ფიგურა იმას მეტყველებდა, რომ მზად იყო დიდი ხალისით, მთელი მონდომებით მომსახურებოდა. პირველი ხეოფისის პირამიდა ინახულეს, მაგრამ დარბაზის დასათვალიერებლად, სადაც სარკოფაგებია, დაახლოებით ასმეგრიანი

ჭერდაბალი ღერეფით მაღლა ასვლა დასჭირდათ. ხეოფისის პირამიდა ყველაზე დიდი პირამიდაა, მაგრამ არავითარ სიგვეას არ ძალოქს მისი სიდიადის გამოხატვა. გაოგნებული შეჰყურებდნენ. როგორ მოჰქონდათ ადამიანებს მრავალტონიანი ლოდები მშენებლობის ადგილზე, როგორ ახერხებდნენ ამ სიმაღლეზე აგანას და მშრალად, ყოველგვარი დუღაბის გარეშე მათ წყობას, ისიც იმ შორეულ დროში, როცა რაიმე ამნეე საშუალებათა ხსენებაც არ იყო!... მაგრამ მაშინ მანქანას მონები ცვლიდნენ, ტექნიკას — მათრახები, ვინ იცის რამდენ ათეულ ათას ადამიანს აღმოხდა სული მათრახებქვეშ, სანამ ეს ტაძრები და პირამიდები აიგებოდა. დღევანდელ კაიროში ყველაფერს როგორღაც ერთად მოუყრია თავი და ერთმანეთისგან სულ რამდენიმე ნაბიჯზე განლაგებულა... იქვე ახლოს ცნობილი სფინქსი — მრავალი ათასწლეულის წინ შექმნილი, უძველესი ძეგლი...

მაღე თარჯიმანთან ერთად ალი მოჰამედის სახელგანთქმულ მეჩეთში ავიდნენ. მეჩეთშიც და მის ირგვლივ მდგომი სხვა საკულტო შენობებიც ღიაა. ყველგან უმშვენიერესი ხალიჩებია, ოქრო-ვერცხლი და განტოგვილი ელექტროჭადი. „ო-ო“ — წამოიყვირა გიღმა შუაგულ მეჩეთში და მაღალ თაღქვეშ რბილად, გარკვევით აგუგუნდა ექო... დიდხანს და დანწირლებით მოუთხრობდა გიდი ალი მოჰამედისა და მეჩეთის ისტორიას. ზემოდან დაჰყურებდნენ კაიროს. მოჩანდა გაჩახახებული ქალაქის დიდებული პანორამა...

— კიდევ რის ნახვას ისურვებდით? — იკითხა გიღმა.

— ჩვენ აქ ყველაფერი ნამდვილი და ჭეშმარიტად არაბული გვანტერესებს, თუ, რა თქმა უნდა, ამ საღამოს კიდევ მოვასწრებთ რაიმეს ნახვას, — მიუგო ეკამ.

— ამ შემთხვევაში ჩემი რჩევა იქნება „შეხერებადა“ მოინახულოთ.

— რას ნიშნავს „შეხერებადა“?

— კაიროს ყველაზე პოპულარული გასართობი ადგილი გახლავთ.

— ვლელობთ თქვენს წინადადებას, რადგანაც ამ გასართობი ადგილის თვით სახელწოდებაც კი ძალბა რომანტიკულად და წარმტაცად ჟღერს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანით დიდ მოედანზე გავიდნენ. „შეხერებადა“ მოედნის ერთ-ერთ კუთხეში აღმოჩნდა. როგორც ჩანდა, აქ მარტო გასართობი ადგილი როდი იყო. შესასვლელთან ფართო, ნათელმა კიბემ მეორე სართულზე აიყვანა ისინი. კედლები არაბ მოცეკვავე ქალთა პორტრეტებით იყო შემკობილი. დარბაზი, სადაც შევიდნენ, დიდი კინოთეატრის ჩაბნელებულ დარბაზს ჰგავდა. სკამები აკურატულად იყო დამწკრივებული, ოღონდ იატაკზე არ დაემარგებინათ — ეს კი დარბაზის მთელ მონყობილობას ერთგვარ უბრალოებას ანიჭებდა. პრიმიტიული ლამპებით განათებულ უფარდო სცენაზე ოთხი მუსიკოსი იჯდა. ორ მათგანს ხელში ეჭირა, უფრო სწორად, ფეხებს შორის გამოემწყვდიათ რალაც უცნაური, ერთსიმიანი გრძელი ინსტრუმენტი — ვიოლონჩელის უძველესი წინაპარი. მესამესაც ერთსიმიანი, ოღონდ განსხვავებული საკრავი ეპყრა, მეოთხეს რალაც დოლის მაგვარი. კედლების გასწვრივ მოძვრო მაგიდები და სკამები იდგა. ხალხი ნამდვილ ეგვიპტურ ლუდს და შავ ყავას შეექცევა, თამბაქოს ეწევა. მოხუცი არაბები დინჯად აბოლებენ ყალიონებს...

სცენაზე ახალგაზრდა მოცეკვავე ქალი გამოვიდა და დარბაზშიც ტაშმა იქუხა. სულ თვრამეტიოდე წლის თუ იქნებოდა. სადა, ტანზე შემოტმასნილი შავი კაბა ეცვა (ეგვიპტეში აკრძალულია შიშვლად ცეკვა).

კვარტეტი რომელიღაც აბსოლუტურად მონოტონურ მელოდიას უკრავს, ხანდახან დოლი გრუხუნებს. აშხვართული ტანით გოგონა წინ გამოდის, მისი სხეული ირწევა და იღუნება, ვითარცა ლერწამი ქართავან. მთელი არსებით ინყებს თრთოლვას, მერე კი ტრიალს. კიდევ ერთი ნაბიჯი და თითქოს შეერწყა, შეერია გამშაგებულ მონოტონურ კაკაფონიას. მისი მოძრაობა გასაოცარ აზრსა და შინაარსს აძლევს მუსიკას. ცეკვა არაჩვეულებრივია. მსგავსს ვერსად ნახავ. იგი ბალეტსაც არ ჰგავს. საბალეტო ცეკვაში ხომ ყოველი ნაბიჯი გაანგარიშებულია, ყოველი მოძრაობა წინასწარ გააზრებულია, ეს უბრალოდ ჩაცმული არაბი ქალიშვილი კი თავისუფალ იმპროვიზაციას ახდენს. იგრძნობა, რომ თვითონაც არ იცის, მომდევნო წამს რას მოიმოქმედებს. ეს არც როკის, მოძრაობის

ხელოვნება გახლავთ, აქ არის უფრო მეტად რაღაც რიტმული და რიტმის ტაქტები ფართაგა, ტალღისებრ, ჟინიან მოძრაობებთან ერთად აღმოსავლური მუსიკის უჩვეულო ბგერათა ნიაღში იბადებიან. ეს არც აკრობატიკაა, არც ბალეტი, არც როკის ხელოვნება, არამედ სამივე ერთდროულადაა, რასაც თან ახლავს მუსიკა და ჯადოსნობა სიგვეათა, რომელთა გამოხატვა შეუძლებელია.

მწუხარე უდაბნოებისა და შეუნელებელი სევდის ფონზე შობილ მელოდიათა გასაოცარი ჰარმონია, შეერთებული ადამიანის სხეულის მოძრაობასთან... წამიც და ბგერა და მოძრაობა ერთურთს ეხლართება და სრულ დისჰარმონიას ქმნის... ეს ნომერი ჭეშმარიტად არაბულ ეროვნულ ხელოვნებას მიეკუთვნება...

ეკაც და ბაკურიც დაძაბულნი მისჩერებოდნენ სცენას. ქალიშვილი მუქთად როდი იღებს ხელთასს. მისი წარმგაცი, არაჩვეულებრივად რთული ცეკვა დაახლოებით ოც წუთს გაგრძელდა. დაიქანცა, ძალა წაერთვა მთელ მის არსებას, დიდი, ბრიალა თვალებიდან დაწყებული და უდაბნოს მზით გარუჯული ფეხებით დამთავრებული.

მუსიკოსებმა დაამთავრეს დაკვრა და მონყენილი სახით დასტოვეს ინსტრუმენტები. ქალიშვილმაც გაუბედავი, მერყევი ნაბიჯით დატოვა სცენა. ისე გავიდა, თითქოს ყინულზე მიაბიჯებდა.

შემდგომი ნომერი პირველს ჰგავდა... თითქოსდა ჯადოსნურ წრეში მოხვედრილი თხოველი გამოერკვა, გამოთხიზლდა... თავი შეზიზლდა... „აქ გასართობად ვარ ჩამოსული?!“ წამოდგა.

— წავიდეთ, უკვე გვიანაა! — ხმადაბლა უთხრა ეკას.

რამდენიმე წუთში უკვე სასტუმროში იყვნენ. ეკა ნომრამდე მიაცილა და გამოემშვიდობა...

## XII თავი

გაიჭრიალა ჩაქანგულმა კარმა. შიგნით შემოჭრილმა მზის სხივებმა გაანათა ოთახის უკუნი სიბნელე. წამშივე სინათლე დაფარა ვეება ჩრდილმა. ვილაც კარებში ცოცხალი ხნით შედგა, შემდეგ კი ანთებული ჭრაცით შევიდა ოთახში. ფრთხილად მიუახლოვდა ხის ტახტს, რომელზეც პირით კედლისკენ გოლიათური აღნაგობის მამაკაცი მიწოლილიყო. არ ეძინა, მაგრამ არც კარის ხმაზე შეტოკებულა და არც ზედ თავზე დანთებულ სანთელზე გაუხელია თვალი.

— სადელი მოვიგანე, აბრძანდით! — მიმართა შემოსულმა.

— წადი, შენი! — მოისმა პასუხად, მაგრამ თითოს უცებ მოიფიქრაო, ტახტზე წამოჯდა.  
— ჰაერზე არ შეიძლება გამიყვანოთ?

— კი, ბატონო! რამდენი ხნითაც გინდათ...

ნელა, ძძიმედ წამოიმართა. სახეზე მოისვა ხელი. მზის სხივებმა მოსჭრა თვალი. კარებში შედგა. სინათლეს აჩვევდა თვალს. გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა. მწარედ გაეღიმა. აქ რომ მოიყვანეს, ღამე იყო. მაშინ არაფერი დაუნახავს, ოთახში შეიყვანეს და ჩაკეტეს. იქ უბიდავდნენ საჭმელს. ტუალეტაც შიგნით იყო და პირსაბანიც. ახლა კი თვალწინ გადაეშალა ოთხივე მხრივ თვალუწვდენელი, უკიდევანო, მზისგან გადახრუკული უდაბნო. ჰორიზონტამდე არაფერი ჩანდა. შენობას, რომელიც მის საპყრობილედ ქცეულიყო, ნელა შეავლო თვალი. ძველი, საუკუნეების წინანდელი ციხე-სიმაგრე იყო. გალავანი ალაგ-ალაგ ჩცამოშლილიყო. ძირს, ებოში გადაიხედა. ხალხი ტრიალებდა. გრძელ ჯობზე წამოცმულ ცხვარს პირდაპირ ცეცხლზე, მთლიანს წვაუდნენ. აქა-იქ მთვრალეები დაბორიალობდნენ. რამდენიმე მანქანა იდგა. მძღოლები მათ ჩრდილში წამოწოლილიყვნენ და ეძინათ. იქვე ეყარა გამოცლილი ბოთლები. მანქანებს გაუშტერა ჯიუტად მზერა... ისევ ჰორიზონტს გახედა. არსად რაიმე ნიშანწყალი სიცოცხლისა... „აქ სად მომიყვანეს? ნუთუ იმდენად სულელები არიან, რომ ფიქრობენ ჩემგან თუნდაც კაპივის მიღებას?! ვაი ამათ პაგრონს! ვერა! სანამ ნიკა ანჯათარიძეს პირში სული უდგას, თქვენ მისგან ვერაფერს მიიღებთ... ანჯათარიძეთა გვარში თავისი ერის და მამულის გამყიდველი არავინ ყოფილა; არც მე ვიქნები გამონაკლისი. თქვე მათხოვრებო, ნუთუ ფიქრობთ, რომ ანჯათარიძე იარაღს გიყიდით საკუთარი ხალხის სისხლში და ცრემლში ჩასახრჩობად?! ცუდად გცნობივარ! თუ აქედან გავისხლგით როგორღაც, მერე გიჯობთ საკუთარი სამარეები თქვენზე ხელით გაითხაროთ. დედას გიტირებთ! იმ მილიონებს, ჩემგან რომ გინდათ მიიღოთ, თქვენს ამოხოცვას მოვახმარ!“

უცებ ნიკა — თავისი მოსახელე პატარა ძმისშვილი — გაახსენდა, თვრამეტი წლის სტუდენტი, რომელმაც მზე და მთვარე ამოსდიოდა. ძმისშვილები სხვებიც ჰყავდა, მაგრამ ის მაინც გამორჩეულად უყვარდა. ძმა წყალში დაეხრჩო და ღარჩა პატარა ნიკა ობლად. მთელი წლები ის მეურვეობდა, ზრდიდა. მათ შორის მეგობრული ურთიერთობა უფრო იყო, უფრო ძმაკაცები იყვნენ ერთმანეთის, ვიდრე ბიძა-ძმისშვილი. სამი თვის უკან საქართველოსკენ მიმავალმა მანქანა უყიდა ტრაპიზონში ნიკას. თბილისში ჩასულმა პირდაპირ მას მიაკითხა. ნიკა არ დახვდა, სახლში რძალი იყო. მალე ისიც მოვიდა. ეს მანქანა შენიაო! — ახარა დედამ. ნიკამ ერთი კი შეავლო თვალი უცხოურ სპორტულ მანქანას, ბიძას ხელი გამოსდო, ცალკე გაიყვანა და ასი დოლარი მჭირდება სასწრაფოდო! — მუდარით სთხოვა... მხოლოდ მეორე დღეს გაიგო უფროსმა ანჭაფარიძემ, რაში სჭირდებოდა მის ძმისშვილს ფული. ავტომატი ყიდა და იმავე ღამეს მეგობრებთან ერთად აფხაზეთში გაპარულიყო...

გული ჩასწვა მოგონებამ... ნელა წავიდა და იქვე ჩრდილში ხის კუნძზე ჩამოკდა. ხელი მოუსვა კუნძის ხაოიან ზედაპირს. ნეგავ საიდან მოათრიეს ამ შუა უდაბნოში?! უკან მოიხედა. ღარაჯები თავს არ ედგნენ, იცოდნენ, აქედან მაინც ვერსად გაიქცეოდა. ძირს ჩასულიყვნენ და სასმელს მიძალებოდნენ. სპირტიანი სასმელების მოყვარული არასოდეს ყოფილა ნიკა, მაგრამ ახლა რატომღაც მოუნდა დალევა. თითქოს მის გულში იჯდა, ერთ-ერთმა ამოიხედა და ხომ არ გინდაო? — მუნჯურად ანიშნა ბოთლზე. თავი დაუქნია. კონიაკის გაუხსნელი ბოთლი, ჭიქა, სიგარა და ასანთი ამოუგანეს, შემდეგ კი შემწვარი ხორციც დაუდგეს წინ. საჭმლისთვის ზედაც არ შეუხედავს, რამდენიმე ჭიქა კონიაკი ზედიზედ დალია. სასიამოვნო სითბო, მოთენთილობა იგრძნო. სიგარის ბოლი ღრმად ჩაისუნთქა... შორეთს გახედა...

„სადაა მარიკა ახლა? ალბათ გაიგებდა აქამდე ჩემს გაუჩინარებას. ეხ, მარიკა! მე ვარ დამნაშავე შენთან. მეგონა მიყვარდი, მაგრამ საშინლად ვცდებოდი თურმე. ცხოვრების ორმოცდამეხუთე წლისთავზე შეგხვდი ქალს, რომელმაც ერთიანად შეძრა და ამაფორიქა, ვინც ამხელა კაცი პატარა ბიჭვით მეშიდე ცაზე ამათრინა და ძირს დაშვების უფლება აღარ მომცა. მისი გაცნობის დღიდან ყოველთვის ცივი ვიყავი შენთან. რადგანაც ჩემს გულს ორმაგი თამაში არ სჩვევია. მე არაფერს გეუბნებოდი, მაგრამ ვიცი, შენ ხვედებოდი ყველაფერს. თბილისში გული აღარ მიჩერდებოდა, ჩამოსვლა და კვლავ ამერიკისკენ მივინევდი, სადაც მულოდებოდა ის, ვინც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა, ვისაც ვალმერთებდი და თავყანს ვცემდი. ის, ვინც მიყვარს ამ წუთებშიც... მინდოდა გამოგვცდომოდი, მუხლებზე დამდგარს მეთხოვა პატიება შენთვის, მაგრამ ვერ ვბედავდი. მერიდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი გამიგებდი, სწორად გამიგებდი...“

კონიაკმა და ჰაერმა საოცარი ძალის მოზღვავება აგრძნობინა. წამოდგა. გაიარ-  
გამოიარა. ზიბლით უყურებდა ცხის „გარნიზონს“, რომელთაგან სულ რამდენიმე კაცი იყო  
ფხიზლად.

„საინგერესოა. სად არის აქამდე ის მაიმახი ჭინჭოლია?! მთელი რვა დღეა, რაც აქ  
ჩამომიყვანეს, თვითონ კი არ ჩამობრძანებულა. არა! აქედან უნდა გავიქცე! სხვა გზა არ  
არსებობს! მაგრამ როგორ? ან საით? თუმცა კი არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, სად  
მოვხვდები, შუაგულ, უკაცრიელ უდაბნოში თუ რომელიმე დასახლებულ პუნქტში. მთავარია  
ამათ ღავალნიო თავი. შემდეგ საქმე თვითონ მიჩვენებს გასაკეთებელს...“

მანქანებს ყურადღებით დააცქერდა. წარსულში ცნობილი ავტომობილოლოგი ნიკა  
ანჯათარიძე კარგად ერკვეოდა მანქანების მარკებში. მუქი ნაცრისფერი „ნისან-პატრული“  
მოუვიდა თვალში. მძღოლს შიგ ეძინა. ამ მანქანას უდაბნოს პირობებში აქ მდგომი  
მანქანებიდან ვერც ერთი ვერ დაუდებდა ცოლს, მაგრამ როგორ გინდა მანქანამდე მისვლა?!  
თუ ისევ იმ წყეულ, ბნელ საკანში ჩაკეტეს? მაშინ გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. რა  
იღონოს? რით მოისყიდოს მცველები? არც ერთი კაპიკი არ გააჩნია. რაც ჰქონდა, მომტაცე-  
ბლების ჭიბეებში გადაინაცვლა... უცებ გონება გაუნათდა. სპორტული, ყელიანი მაისურის ქვეშ  
ნელა შეაცურა ხელი. ლუიზა პროფესის ნაჩუქარი სქელი, ოქროს სამმაგი ჭაჭვი, ბრილიან-  
ნგებიანი ნახევარმთვარით კვლავ ყელზე ეკიდა. გამტაცებლებმა ვერ შენიშნეს, კარგად არ  
გაჩხრიკეს და შემორჩა ნიკას ეს უძვირფასესი, მრავალ ათასად შეფასებული, უნიკალური  
სამკაული. ეს პატარა, ლამაზი ნივთი თავისი ღირებულებით ალბათ ათასჯერ მეტი იყო იმ  
თანხასთან შედარებით, რასაც ჭინჭოლია და მისი დამქაშები უხდიდნენ ხალხს, რომელიც მის  
დარაჯებად გაემწესებინათ. რისკზე წასვლის უფლება არა აქვს. ყველას ნდობა არ შეიძლება.  
ნებისმიერს ვერ შესთავაზებს საჩუქარს და დახმარებას ვერ სთხოვს. როგორ მოიქცეს? კვლავ  
მანქანას გახედა. მძღოლს გაღვიძებოდა. ლუდს ხსნიდა. ნიკას ერთი შეხედვით მოუვიდა  
თვალში ეს მაღალი, სპორტული აღნაგობის ვაჟი. წელსბევით შიშველს, ბრინჯაოსფერად  
ულაპლაპებდა ნავარჯიშები, ნანრთობი სხეული. მონონებით მისჩერებოდა ნიკა. თვალწინ  
არც თუ შორეული წარსული დაუდგა, როცა თვითონაც ასეთი იყო. მძღოლმა იგრძნო მისი  
მზერა. გამოხედა.

— რაო, მისტერ, ხომ არ ინებებთ? — ლუდის ქილა ხელში შეათამაშა და ღიმილით,  
სუფთა, ყოველგვარ აქცენტს მოკლებული ინგლისურით გამოსძახა.

„ერუდირებული ბანდიტი! — ბრაზით გაითიქრა ნიკამ. — ალბათ ინგლისში ჩაიღინა



რაღაც და აფრიკას შეათარა თავი. თუ ეს აფრიკაა, ჯერ კიდევ საკითხავია. მოდი, ჯერ ამასთან ვცადოთ ბედი!”

— ცივია? — ღიმილით გასძახა თვითონაც.

მძლოლმა მანქანის სკამზე დაგდებული „კოლტი“ ბრტყელ ქამარში გაირჭო, მანქანის კარი მიხურა და ლუდის რამდენიმე ბოთლით ხელში ძველ, დახაფსებულ კიბეებს ამოუყვავა. ნიკას გვერდით ჩამოჯდა. ლუდი იქვე დააწყო. სწრაფად ჩაათვალიერა ანჯათფარიძე.

— აი, თურმე როგორნი ყოფილან ამერიკელი მილიონერები, — გაიცინა. — მე კი ცოტა სხვანაირად წარმოგედგინა. გაგიხსნათ? ცივია, მაცივრიდან ეს-ესაა გამოვიღე...

„საიდან მოიგანა, რომ ამერიკელი ვარ?! ნუთუ ამათ არ იციან, ვინ ვარ და რისთვის მომიგაცეს?”

— გაუელვა თქვამა, მაგრამ ჯერჯერობით ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— მაინც როგორი წარმოგედგინათ?

— ვერ გეტყვით ზუსტად, — ჩათუქრდა. — ალბათ ასე: ჭალარა წვერით, შავი სმოკინგით, ან პერანგზე მიბნეული ეპელით და ხელში სიგარით.

ორივეს გაეღიმა. უხმოდ სვამდნენ ერთხანს ლუდს. სიჩუმე ნიკამ დაარღვია.

— აფრიკაში ვართ?

— დიახ! ეგვიპტეში...

„ცოლოა, ამნაირი დახვეწილი, არისტოკრატიული მანერების მქონე ყაჩაღი იყოს...”

— ეგვიპტე... ეგვიპტე... — ჩათუქრებულმა, ნალველგარეული ხმით განაგრძო მძლოლმა. — იყო დრო, როცა ჩემი წინაპრები აზანზარებდნენ ეგვიპტეს, მეოცნებე თვალთ გახედა ჰორიზონტს, — და არა მარტო ეგვიპტეს. ეგვიპტისა და ერაყის მმართველობის სადავეები საუკუნეთა მანძილზე მათ ხელში იყო...

ისტორიის შესანიშნავად მცოდნე ანჯათფარიძეს გულმა რეჩხი უყო. ყურადღებით შეათვალიერა ვაჟის სახე, რომელსაც ხორბლისფერი უფრო ეთქმოდა, ვიდრე შავგვრემანი:

კუშტად გაჰყურებდნენ შორეთს ხშირი ნამწამებით დაჩრდილული ცისფერი თვალები. აქ შეცდომა შეუძლებელი იყო...

— არაბი ხართ? — ყასიდად ჰკითხა.

— არა! — გაელიმა მძლოლს. — მე ჩემი წინაპარი ვახსენე, მხედველობაში მყავდა მამელუკთა მხედრობა, ქართველი მამლუქები.

— საქართველოდან ხართ, აბა? — ნიკამ კვლავ ინგლისურად გააგრძელა საუბარი. ძლივს, ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით შეძლო თავს მორეოდა, აბორგენული გული დაეწყნარებინა.

— ქართველი ვარ, მაგრამ არა საქართველოდან, — მოიღუშა მძლოლი. — ანკარაში დავიბადე და გავიზარდე. აღვიზარდე ოჯახში, სადაც... — უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სიგყვა შეწყვიტა, ამოიოხრა და გაჩუმდა.

— ასე ბრწყინვალედ ინგლისური სად შეისწავლეთ?

— ჯერ კიდევ ბავშვობაში მასწავლებლები მხევივნენ ოჯახში თავს, შემდეგ ინგლისურ სკოლაში მიმბარეს. მერე კემბრიჯის უნივერსიტეტი და... დაახლოებით ასევე ვფლობ თრანგულ, არაბულ და რუსულ ენებს.

გაოცებით შეხედა ანჯათარიძემ.

— ქართული ენა თუ იცით?

— განა შეიძლება მშობლიური ენის არცოდნა?!

— რა გეკითხა?

— ბაქარი! — თვალებში შეხედა ცყვეს. — გვარი არ მკითოთ. ნამდვილს, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ გეტყვით, ცყული კი არ მინდა გითხრათ.

— ამათთან საიდან მოხვდით? — ეზოსკენ გადაიქნია თავი ნიკამ.

— უფრო სწორი იქნება მკითხოთ, ეგენი საიდან მოხვდნენ ჩემთან, — ბაქარმა მძლოვარებით გახედა ეზოში გაშლილებს. — უკვე მორე წელია, ეს ბრბო ჩემთან ერთად

დაძრწის ამ უდაბნოში. მიუხედავად იმისა, რომ ამათთან არაფერი მაკავშირებს, მე მათ ვერ ვთმობ, ისინი მე. ასე გრძელდება ალბათ ჩემი ცხოვრება, სანამ სადმე გყვია არ წამომენწვა, სანამ ამ ცხელ ქვიშაში არ გამითხრიან სამარეს, თუ სამარე მეღირსა საერთოს! — მძლოლმა სიგარეტს მოუკიდა.

ნიკამ უცებ მიიღო გადანყვეტილება. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. რაც მოსახდენია, მოხდეს!

— ბაქარ! — ხმადაბლა, ქართულად მიმართა, — შენ არ იცი, რომ მე ქართველი ვარ?

მძლოლი მოულოდნელობისგან შეცბა, გაფითრდა, სიგარეტიანი ხელი აუკანკალდა, და გაფართოებული თვალებით მიაჩერდა ანჭაფარიძეს.

— ქართველი? — ძლივს წარმოსთქვა ჩახრინწული ხმით. — მერე და რა გინდათ აქ?

— ეს შენთვის უნდა მეკითხა. რისთვის მომიტაცეთ?

— მოგიტაცეთ? — ხელში ხელი მარწუხივით ჩაავლო. — თქვენ ჭკუიდან ხომ არ შეშლილხართ?

— მაშ საიდან მოგხვდი თქვენთან?

ბაქარმა შეძლო საკუთარი თავის ხელში აყვანა. დანწნარდა. ნიკას მისჩერებოდა და რაღაცას ფიქრობდა...

— მაშ თქვენ არავითარი ამერიკელი მილიონერი არ ხართ? — ყრუდ იკითხა.

— რისი ამერიკელი, ბაქარ, ისეთივე ქართველი ვარ, როგორც შენ. მისმინე...

თავიდან ბოლომდე მოუყვა ყველაფერს, რაც მოხდა. წყნარად, დაფიქრებული იჭდა ბაქარი. ნიკამ რომ თხრობა დაამთავრა, აღელვებული წამოიჭრა ფეხზე.

— მომატყუა? ნაბიჭვარი! — გაბოროტებულმა გამოსცრა კბილებში.

— ვინ?

— ვინ და იმ ნაძირალა ასლან დემირმა. ჩემთან მსგავსი ხუმრობა არ შერჩენია არავის და ისიც ძალე იწვნევს საკუთარ თავზე, როგორი გასასულელელებელი ვარ მე!

— ვინაა ასლანი?

— თურქეთის მოქალაქე. შემდეგ კი ზიზლით დაამატა:

— შავი სამყაროს ავტორიტეტი...

— არ გითხრა, ვინც უნდა გადმოეცა შენი ჯგუფისთვის?

— ბატონო ნიკა! — ბაქარმა თვალი გაუსწორა. — ცხოვრებაში რაც მეზობლება, ეს სიცრუეა! მან მე მითხრა, რომ გარკვეულ დროს, გარკვეულ ადგილას ჩამოიყვანდა კაცს, ამერიკელ მილიონერს, რომელიც საიმედოდ უნდა გადაგვემალა. როგორც იცყვიან, მისთვის მზის სხივი არ უნდა გვეჩვენებინა, სანამ თვითონ ის ვაჟბატონი და ვილაც კიდევ ერთი არ ჩამობრძანდებოდნენ. ისინი ჯერ კიდევ ხუთი დღის უკან უნდა ყოფილიყვნენ აქ. არ ჩანან. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! ერთი დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან, — ნათელი, სუფთა თვალებით ახედა ანჯათფარიძეს.

— თუ შემიძლია!

— საქართველოში შეგიძლიათ წამოიყვანოთ?! — ათრთოლებული, დაბალი ხმით იკითხა. ნიკამ განცვიფრებისგან კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო.

— საქართველოში?! ეგ ადვილი სამსახურია, მაგრამ მე ჯერჯერობით ცყვე ვარ, — ფრთხილად შეაპარა.

— მორჩით! არავითარი ცყვე და პატიმარი ამ წუთიდან თქვენ არ ხართ. მიგულეთ თქვენს უმცროს ძმად.

სიხარულისგან გაოგნებულ ანჯათფარიძეს ცრემლები მოაწვა.

— საქართველოში წასვლამდე ალბათ ჯერ სახლში, ანკარაში გინდა შევლა?

სახე წამოუჭარხლდა ბაქარს. თავი ჩაღუნდა. მერე კი ერთბაშად მოიკრიტა სითამამე:

— იცით, სანამ თქვენი თანამგზავრი შევიქმნებოდე, მინდა, ჩემს შესახებ ყველაფერი იცოდეთ. მე შვიდი წელია მეძებენ! — მწარე ღიმილი დაეფინა სახეზე. — პოლიცია კი არა, ჩემიანები, ჩემი ოჯახი. მეძებს უფროსი ძმა, რომელიც ანკარის პოლიციის კომისარია. მასთან ერთად მეძებს კაცი, რომელსაც ცოლ-შვილი დაუფხოცე ჩემს უნებლიედ, მაგრამ მეძებს არა

შურის საძიებლად, არამედ იმიტომ, რომ ოჯახს და საზოგადოებას დაუბრუნოს ჩემი თავი და გზარეული ცხოვრების სწორი გზისკენ შემომბრუნოს...

ეს იყო შვიდი წლის უკან. ქალაქ იზმირიდან ანკარაში ვბრუნდებოდი. მანქანაში გიორგი აბაშიძის ცოლ-შვილი მეჯდა... არის ასეთი სათნო კაცი ამქვეყნად... მე მისი ქალიშვილი, ერთადერთი შვილი მიყვარდა, მიყვარდა ისე, როგორც მხოლოდ ერთხელ უყვართ ცხოვრებაში. ის გვერდით მეჯდა, ღელამისი — უკან. რაღაც ერთ თვეში უნდა გვექორწინა.

ოცდაორი წლის ვიყავი მაშინ. როგორც იცყვიან, ცა ქუდად არ მიმაჩნდა და ღელამინა ქალამნად. მეონდა აურაცხელი ფული, სასახლეები, სიმდიდრე, კომფორტი და გვერდით იმ წუთებში მეჯდა ის, ვინც საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა. მეტი რა უნდა ახალგაზრდა კაცს? თავანყვეტილი მივაქროლებდი მანქანას... ქალაქ ესკიშეხირთან ავარია გავაკეთე. საგვირთო მანქანას შევასკდი მთელი სისწრაფით მიმავალი. გონს საავადმყოფოში მოვედი. მათზე ვიკითხე. თავიდან არ გამიმხილეს, მაგრამ როდემდე დამალავდნენ? იქვე, საავადმყოფოში გავიგე, რომ ორივენი ადვილზე გარდაცვლილიყვნენ. იმავე წუთში საიდანლაც შემოსულ პოლიციელს მოვკარი თვალი. ექიმს ელაპარაკებოდა. მივუახლოვდი. სანამ გონს მოეგებოდა, პისტოლეტი ამოვაცალე და თავის მოკვლა ვცადე. მაინც გადავრჩი. ცყვია მილიმეტრებში ასცდა გულს. ცალკე ჩემიანების, ცალკე ძია გიორგის თავგამოდებამ მიხსნა. ბედმა თუ განგებამ არ გამწირა. არ გამწირა ალბათ იმიტომ, რომ გარყვნილების მორევი გადავშვებულიყავი და ფსკერამდე ჩავძირულიყავი. საავადმყოფოდან გამოსულმა ნარკოტიკებს მიყვავი ხელი. თანდათანობით ჩამოვცილდი ჩემს ძველ მეგობრებს და შეუძნეველად იმათ წრეში ამოვყავი თავი, ვისი სახელიც შიშის ზარს სცემდა მთელ თურქეთს. იმ წლებში გავიცანი ასლან დემირიჯ... ხელშეუხებელი ვიყავი ამ დროს, რადგანაც ჩემი ერთადერთი უფროსი ძმა პოლიციის მაღალი რანგის ჩინოფნიკი იყო. ბევრჯერ გამათროხილა, მაგრამ ჩემს თავში არაფერი შედიოდა. ნარკოტიკებში, თავზეხელაღებულ მოქმედებებში ვეძებდი შევებას. ერთ დღესაც ძია გიორგიმ მომინახულა. პირობა დამადებინა, რომ მსგავს ცხოვრებას მოვეშვებოდი. ვერ შევძელი. არ შემეძლო თვალეებში შეხედვა ჩემიანებისთვის. ვგრძნობდი, ვიფლობოდი ისეთ წუმბეში, საიდანაც ველარასდროს გამოვიდოდი. ვულახავდი ღირსებას ჩემიანს ყველას... როგორც ჩანს, ბოლომდე არ ვიყავი განწირული. შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს გავიყდე ჩემი საკუთარი სასახლე, დაგუქი ფარულად გემზე და ატრიკაში ამოვყავი თავი. ვიყიდე იარაღი, ყველგანმავალი მანქანა, „ლენდროვერს“ რომ ეძახიან აქ და უდაბნოს მივეცი თავი, — ფიქრიანი მზერა ესროლა უდაბნოს. — ხუთი წელი ვიცხოვრე უდაბნოში. ხუთი მძიმე წელი გავატარე არაბულ პატარა ყიშლალში. ნარკოტიკების მაგიერ ვარჯიში დავინყე. თავიდან ცოცხა გამიჭირადა, მაგრამ

შევეგუე ყველაფერს. პროფესიად ნადირობა გავიხადე. ნადირობით შემოვიარე მთელი აფრიკა... ორი წლის უკან კი ეთიოპიაში, ქალაქ ადისაბებაში, ასლან ღემირს გადავეყარე. ღამით კაბარეში შევეჩხეთ ერთმანეთს. მან ვერ მიცნო. მისი ღანახვა არ მესიამოვნა, მაგრამ იმდენად მინდოდა, ჩემს ოჯახზე რაიმე გამეგო, რომ თვითონ გამოველაპარაკე... მისგან შევიტყვე, რომ რამდენიმე კონცინენტის დიდ ქალაქებში დამეძებდნენ ერთდროულად მამაჩემის კერძო დეტექტივები და გიორგი აბაშიძის ხალხი. არავის მოსვლია თავში აზრად, რომ გამოუსწორებელი ნარკომანი და ბანდიტი უდაბნოში ეძებათ... ასლან ღემირს პირობა დავადებინე, რომ ძეხორციელთან არ გაამხელდა ჩემთან შეხვედრას. ამ პირობას ის მართლაც ასრულებდა, მაგრამ გარკვეული გასამრჯელოს ფასად. რაში გამოიხატებოდა ეს გასამრჯელო? ამნაირად, როგორც თქვენ, ვუნახავდი ადამიანებს. რამდენჯერმე რალაც გასაიდუმლოებული გვირთი გადავატანინე... ექვსი თვის უკან საჩუქრად ეს მანქანა ჩამომიგანა, — „ნისან-პატრულს“ გახედა, — მაგლამ თუ ხელში ჩამივარდა დღეის შემდეგ, ვთიცავ, ჩავსვამ ამ მანქანაში, დავასხამ ბენზინს და ორივეს ერთად ფერთლად ვაქცევ! — რისხვით აუელვარდა ცისფერი თვალები. — ბაქარ ვაჩნადეს შეუძლია საკუთარი სისხლიც კი აპატიოს მგერს, მაგრამ ფლიდსა და ორპირს ის არასოდეს მიუტევებს.

— შურისძიებაზე ნურასდროს იფიქრებ! ღმერთი მიუზღავს ყველას...

— ღმერთი! სადაა ღმერთი! ღმერთი რომ ყოფილიყო, აქ რა მინდოდა მე?! — წამოდგა. — დროა, ბატონო ნიკა, როგორც კი გადაივრილებს ცოტა, გზას გავუდგეთ...

### XIII თავი

დიდი ხანია უკან დარჩა ბოსტორისა და დარდანელის სრუტეები. ავტობილოტზე გადართული კატერი სწრაფი სვლით მიაპობდა ხმელთაშუა ზღვის ტალღებს. კატერის უკან, თითქმის კილომეტრზე თეთრი ბოლი რჩებოდა. ნებიერად მიწოლილი ახმედ რამაზანოვი დაკონსერვებულ ხორცს შეექცეოდა და მოზრდილი ყლუპებით გაგრიდან წამოღებულ ქართულ „ენისელს“ აყოლებდა. ზღვა იყო წყნარი...

კიდევ ერთხელ დახედა რუკას. კომპასს გახედა. ყველაფერი რიგზე იყო. საღამოს მანც ალბათ მიაღებოდა აფრიკას, ეგვიპტის სანაპიროს. მოლალა მოგზაურობამ, რომელსაც მგზავრობაც არ შეიძლებოდა რქმეოდა. ეს იყო წამება სხეულისა და კიდევ ერთი დიდი, მომქანცველი გამოცდა ადამიანის სულიერი სიმტკიცისა... მაგრამ გაუძლო...

ათი საათი იყო დილის. დაფიქრებული რალაც ხმამ გამოათხიზლა. მალლა აიხედა. სახე

გაუნათდა. თავზე თოლიები დასტრიალებდნენ, თოლიები — პირველი მახარობლები ნაპირის სიახლოვისა. ნამოდგა. დაბუყებული ხელ-ფეხი გამალა, ვედროს მისწვდა, ზღვის წყალი ამოიღო და თავზე გადაისხა. შეიმშრალა. დათოთლილი სამხედრო ფორმა ერთად შეკრა და წყალში ისროლა. სწრაფად შევიდა პატარა, კომფორტულ კაიუტაში. სანოლზე მიგდებული ჩანთა გახსნა. „ჯინსები“ ამოიღო. გადაიცვა. გამოვიდა, პილოტი გამორთო და შორს შავად გამოჩენილ ბოლს მშვიდად გახედა. სანაპირო ახლოვდებოდა. უცებ შებრუნდა, ხელის ტყვიამთრქვევი, ავტომატი, ვაზნები ზღვაში გადაყარა. ორი ხელყუმბარა ჯიბეებში ჩაიწყო უკან, „მაკაროვი“ წელში გაირჭო, სარკეში შეხედა საკუთარ თავს, საჭეს ხელი მოკიდა... საზღვაო, გრძელი ღურბინდით მოათვალიერა მინის ბოლი. ნაპირი უკაცრიელი ჩანდა. ფრთხილად მიადგა მინას. კიდევ ერთხელ გადაჩხრიკა გამოცდილი თვალით უცნობი მიდამო. ზღვაში პატარა კლდეები შეჭრილიყვნენ და წყნარ, ლურჯად მოლივლივე ყურეს ქმნიდნენ. კლდეები გრძელდებოდა ხმელეთზეც — ასე ოთხმოც. ას მეტრზე.

კატერი ნელი სვლით, ძრავაგამორთული, უხმოდ შესრიალდა ვინო ყურეში. ახმედი ქიმზე იჯდა დახვეული თოკით ხელში. როგორც კი კატერის წვერი მინას შეეხო, სწრაფად გადახტა მუხლამდე წყალში. კლდის გამოშვერილ ნაპირს თოკი მაგრად შემოახვია და მიაბა. ნელ-ნელა დაიწყო კატერის გამოთრევა წყლიდან. უდიდესი დაძაბვით შეძლო მისი ქვიშაზე გამოჩოჩება. კომპასი,

რუკები, სურსათი, წყალი ზურგჩანთაში ჩაიწყო. კატერს ბრეზენტი გადაათარა და შედგა... მძიმედ მოიხსნა ბარგი და მინაზე დააგდო — ხუთი იარაღშემართული, მოკლე შარვლებში, ერთნაირ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი კლდის ქიმებს გამოცილდა და გარს შემოერტყა. მესაზღვრეები! უცებ მიხვდა. თავისი პუნქტუალობით მსოფლიოში აღიარებულ საზღვრის დამცველებს პირველად ხედავდა. ცნობისმოყვარეობით შესცქერდოდა მისკენ მომავლებს... ხელის განძრევაც არ უფიქრია...

— ვინ ბრძანდებით, საიდან ჩამოხვედით? — დამტვრეული ინგლისურით ჰკითხა ოფიცერმა.

— მოგზაური ვარ! თურქეთიდან მოვდივარ! — არაბულად მიუგო ახმედმა და უდარდელი კაცის ღიმილით სიგარეტს მოუკიდა.

— ოხო! თქვენ არაბულსაც ფლობთ! დიდებულია! — გაეხარდა ოფიცერს. — მაგრამ მოგზაურს ეს სათამაშოები რისთვის გინდათ? — იარაღზე მიუთითა.

— გამყოლს სანამ ვნახავდი, უდაბნოში მარტოს უნდა მევლო, აქ კი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ათასი ხითათია ირგვლივ... მარტო ესენი კი არა, თან თოფიც მქონდა, მაგრამ კუნძულ კარპატოსთან კაცერი ამომიბრუნდა. თოფიც და ბევრი სხვა რამ ზღვამ შთანთქა.

— თქვენი საბუთები?

— სამწუხაროდ, საბუთებიც ზღვაში დავკარგე.

— ცუდია, ძალიან ცუდი! — მოიღუმა ოფიცერი. — მოგიხდებათ ჩვენთან ერთად წამოსვლა. ბოდიშს გიხდით, მაგრამ თქვენი ვინაობის საბოლოოდ დასაზუსტებლად.

— კი, ბატონო! — კვლავ უდარდულობის ნილაბი იყო ახმედის სახეზე. — სანამ ადგილიდან დავიძრებოდეთ, იქნებ მიბრძანოთ, რა ადგილას ვარ ამ დიდებული, სტუმართმოყვარე ქვეყნის სანაპიროზე გამოსული? ან საით, რომელ ქალაქში აპირებთ ჩემს წაყვანას?

— სიამოვნებით გიპასუხებთ! — ოფიცერი აშკარად მოხიბლა დაუბატიყვებელი სტუმრის მორჩილებამ და კომპლიმენტმა. — რუკაზე ერკვევით?

— ცხადია!

— თქვენ გამოხვედით ამ წერტილში! — თითი ატაკა რუკას. — პორტ-საიდიდან ვიმყოფებით სულ ასიოდე კილომეტრში. მაგრამ თქვენ უნდა ჩაგიყვანოთ ცენტრში.

— უფრო ზუსტად?

— კაიროში.

— რამდენი კილომეტრია აქედან კაირომდე?

— სამასი.

— ძალიან კარგი! — უდარდულად გაიცინა კვლავ. — ბატონო ოფიცერო, თუ ძალიან საჩქარო არაა ჩემი წაყვანა, მთელი სულით და გულით გეუბნებით კონიაზე და თინჯან ყავაზე. ასეთი შორი მგზავრობის წინ, ცოცხალი არ იყოს მოგვაცოცხლებდა.

მესაზღვრეებს თვალეები აუციმციმდათ. ახმედს არ გამოპარვია ეს.



— კი მაგრამ, სად გვეპატიჟებით? — გამოცოცხლდა ოფიცერიც.

— შორს არსად! აქვე, კატერზე! — შებრუნდა და კატერს შალითა მოხადა...

კონიაკმა გაამხიარულა მესაზღვრეები. ბოლო წვეთსაც არ სტოვებდნენ. ენა ამოიდგეს.

— რაიმე გარკვეული მიზანი აქვს თქვენს მოგზაურობას, თუ მხოლოდ უცხო მხარეთა ხილვის სურვილმა ჩამოგიყვანათ აფრიკაში? — გემრიელად გაიზმორა და უბრდელად დააბოყინა ოფიცერმა.

— მგონი ვითხარით, მე ვარ თურქეთში საკმაოდ ცნობილი, პოპულარული კაცის ერთადერთი ვაჟიშვილი. ეს კატერიც, — ქვიშაში ჩათლულს სინანულით შეავლო თვალი, — მამაჩემმა სპეცშეკვეთით დაამზადებინა ჩემთვის უცხოეთში. რაც შეეხება ჩემს თქვენს მხარეში გამოჩენას: ერთი კვირის უკან გეროროსტებმა მოიტაცეს თვითმფრინავი, რომლის პილოტიც ჩემთან თანაშემზრდილი, ჩემი ღვიძლი ბიძაშვილი ვახლავთ. როგორც ვაუიგე, თვითმფრინავი ჩამოუვლიათ სადღაც ამ ტერიტორიაზე... მოკლედ, ბიძაშვილის ბედით აფორიაქებულმა გადმოვსერე ხმელთაშუა ზღვა. მინდა ეგვიპტის ხელისუფალთ ვთხოვო მისი მოძებნა და იმ ავიაკაპების საკადრისად დასჯა. რას ვაფხვს ეს?! ჩვენს ცივილიზებულ სამყაროში განა შეიძლება ადამიანის ასე ყაჩაღურად მოტაცება და თავისი ბილნი ზრახვების განსახორციელებლად სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება?!

— მართალს ბრძანებთ! — კვერი დაუკრა ოფიცერმა და რუკა გადაშალა, გაქონილი თითი დაადო ერთ წერტილს, — აი, აქ ჩამოავდეს თქვენი ბიძაშვილი. აქედან იმ ადგილამდე სამოცდაათი კილომეტრია...

ოფიცერს აღარ დასცალდა... ნამები და თვითონაც და მესაზღვრეებაც თავპირდამგვრეულები, უგრძნობლად ეყარნენ ძირს. ახმედმა მშვიდად, აუღელვებლად აიღო თავისი ზურგჩანთა, საკუთარი პისტოლეტი და ყუმბარები. კატერიდან მთელი პროდუქტი, რაც ჰქონდა, მოხვევა და კლდის უკან გაჩერებულ მესაზღვრეთა ღია, სამხედრო „ჭიპში“ გადაიტანა. აგბი შეამონმა — საფსე იყო. მობრუნდა, მესაზღვრეთა ავტომატებისთვის არც დაუხედავს, ოფიცერს „ვინჩესტერი“ ააცალა, პატრონტაში შემოხსნა და მანქანაში ჩაღო; კვლავ უკან გამობრუნდა, მათივე ქამრებით ხელები გაუკრა ყველას, სათითაოდ მიათრია და კლდესთან მისვა ხუთივე. ზღვის წყალი შეასხურა სახეებზე. მოგონდნენ. თვალი გაახილეს. გოცებით უყურებდნენ თავზე წამომდგარ „თურქი მილიონერის ვაჟს“, რომელმაც ოფიცერი-სათვის ართმეული რაცია კლდეს შემოაღწია, მერე კი ზღვაში ისროლა. მხიარულად დაუქნია

ხელი მათ, მანქანაში ჩაჯდა და ბოლში და მტვერში გახვეული, უდაბნოში გაუჩინარდა.

## XIV თავი

სადილობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნილოსის პირას ისხდნენ, მზე აუტანლად აჭერდა. უდაბნოს ქვიშაც უსაშველოდ იყო გახურებული. უდაბნოში ყოფნის მეოთხე დღე იწურებოდა. ეკას „კოკა-კოლას“ ბოთლი ეჭირა ხელში და მდუმარედ მისჩერებოდა მდინარეს...

— ოცნებობ? — ბაკურმა მის გვერდით ჩაიმუხლა.

— კი!

— საიდუმლო თუ არაა, რაზე?

— სილამაზებზე!

— რაც შენ არ გაკლია! — დანა ამოიღო და კონსერვის ქილა გახსნა.

— სილამაზებზე ვოცნებობ! — ეკა ისევ მდინარეს მისჩერებოდა. — ფარულ ქართაგან განთავსებულ, ხალხის ბრბოში გაუჩინარებულ, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, მაგრამ ისეთ სილამაზებზე, რომელიც წარუძღვლელ შთაბეჭდილებას გოვებს, როგორც კი შენიშნავენ...

ბაკურმა ყურადღებით შეავლო თვალი მის მზისგან გარუჯულ, ალაგ-ალაგ აქერცლილ სახეს. გადაღლილი ეჩვენა...

— დღეს რაღაც ძალიან მონყენილი ხარ. თუ დაიღალე, დარჩი ვერცმფერენში...

— იცი, დილით თვალი რომ გავახილე, კარავი მზით იყო საფსე. სიზმარი ვნახე, ვითომ დედამ შემახო ხელი, მისი ხმა გავიგონე, ღიმილი დავინახე, როგორც ადრეულ ბავშვობაში... შავი ნისლი გვეფინა თითქოს ორივეს... მიღიმოდა დედა და გიროდა... ვცდილობდი მივახლოებოდი, ის კი უკან-უკან იწევდა და წადი, მოშორდი აქაურობასო, მემუდარებოდა... რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ამბავი — არ ვიცი! ფერთხილობდი. მეშინოდა არ დამეკარგა სიზმრად ნახული, ვუფრთხილდებოდი, მაგრამ ამსობაში გამეღვიძა. სიზმრის ჯადოსნობა თანდათან განელდა, გაიფანტა და ბოლოს სულ გაქრა, ამაოდ ვცდილობ აღვადგინო და შევინარჩუნო სიზმრად ნანახი...

— დანყნარდი! ნერვების ბრალია, შეჭამე რაღაც, გახსნილი კონსერვი წინ დაუდგა.

— არ მინდა!

— გინდა! — ხმა გაუმკაცრდა ბაკურს. — ნუ მაიძულე, პატარა ბავშვივით ძალით გაჭამო. რაც გითხარი, ის გააკეთე...

ეკამ ნაძალადევად დაიწყო ჭამა. ბაკურმა ერთხანს უყურა, შემდეგ კი ნელი ნაბიჯით მდინარის პირზე ჩავიდა. ჩათუქრებული, მოღუშული ჩაწყურებდა ნილოსის ბლანტ, ყვითელ გალღებს...

ჯგუფი ორად გაიყო. ერთი ვერტმფრენით უდაბნოს აღმოსავლეთი მხარის გადასახრევად ბაკური, სოსო, ეკა და ნორმანი დარჩნენ. დანარჩენები დასავლეთისკენ გადურინდნენ მეორე ვერტმფრენით. ნახეს აფეთქებული, დამწვარი თვითმფრინავის ნარჩენები. არავითარი კვალი გარშემო არ ჩანდა. ჯერ ქარს, შემდეგ კი წვიმას ერთიანად გადაეშალა ადამიანთა ნაკვალევი. ძნელი იყო სამას კილომეტრიან უდაბნოში ოთხი-ხუთი კაცის მოძებნა, მით უმეტეს რომ მათ შეეძლოთ ვერტმფრენების ხმის გაგონებაზე სადღაც მიმალულიყვნენ, ან სულაც ღამით ევლოთ. მესამე დღე იყო, მეორე ჯგუფიდან არათფერი ისმოდა. თითქოს შთანთქა თვალუნვდენელმა უდაბნო ჯინჯოლია და მისი თანამგზავრები. ახლომდებარე დასახლებული ოაზისები უნდა შეემონშებინათ, — ასეთი ადგილები კი ირგვლივ უამრავი იყო. ეჭვი არაა, რომელიმე მათგანში არიან თავშეფარებულნი, მაგრამ რომელში?

ძრავის ხმამ ბაკური ფიქრებიდან გამოიყვანა. მათკენ სწრაფი სვლით მოიწვედა ყველგანმავალი მანქანა. შიგ ორნი ისხდნენ. იცნო აბაშიძის მეგობრები. შეეგებნენ. ხნიერი, თეთრპლაშიანი არაბი მაშინვე საქმეზე გადავიდა:

— მეგობრებო! დღეს დილით მივიღეთ გიორგი აბაშიძის რადიოგრამა, — ჯიბიდან ფურცელი ამოიღო, სოსოს გაუნოდა. — საჭიროა სიფრთხილე, მაქსიმალური სიფრთხილე.

სოსომ სწრაფად გადაავლო თვალი ბეჭდურ ასოებს:

„თქვენს გასანადგურებლად უდაბნოში ჯგუფია გადმოძღვარი. იყავით ფხიზლად. ეკას გაუფრთხილდით“... რადიოგრამა ბაკურს გაუნოდა. მას ზედაც არ დაუხედავს, მოსულთა მანქანაში რაღაცას მისჩერებოდა. თითქმის სირბილით ეკა მანქანას და უკან სავარძელზე დაუდევრად დაყრილი გაბეთებიდან ერთ-ერთს სტაცა ხელი. ხარბად დააცქერდა გაბეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ სურათს. ნერვიულად შეატრიალა გაბეთი ხელში და სოსოს

მიაჩნია:

— წაიკითხე და მითარგმნე, რა წერია აქ! — სურათის გვერდზე მოთავსებულ სტატიას მოუთმენლად დაარტყა ხელი. სოსო, ეკა, ნორმანი, არაბები — ყველანი გაბეთს შემოეხვივნენ. სურათიდან წვერმოშვებულ ახალგაზრდა კაცის სახე იყურებოდა. სოსომ გადაიკითხა:

„ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სადაზვერვო სამმართველო აცხადებს ძებნას უცხოეთის მოქალაქეზე, ვინმე ახმედ ხუსეინის ძე რამაზანოვზე...“

ქვემოთ წვრილი შრიფტით ეწერა:

„ორი დღის უკან ეს უცხოელი მოადგა ეგვიპტის სანაპიროს სპორტული იახტით. მესაზღვრეებთან საუბარში მათ თავი გააცნო თურქეთის მოქალაქედ. მიაყენა რა ფიზიკური შეურაცხყოფა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს, გაიტაცა მათი ავტომანქანა, იარაღი და უდაბნოში შევიდა. იახტის გაჩხრეკისას ნაპოვნი იქნა მისი პირადობის მონიშნა, საიდანაც მგვიცდება, რომ ის არის არა თურქეთის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე. უცხოელი შეიარაღებულია და ძალზე სახიფათო. ეგვიპტის რესპუბლიკის ყველა მცხოვრები ვალდებულია, დასახლებულ პუნქტებში მისი გამოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს.“

ბაკურმა ნილოსს გახედა. მღვრიე მდინარე მშობლიურ არაგვზე ლამაზი ეჩვენა. ირგვლივ ყველაფერი ცისფერ ფერებში გადავიდა თითქოს. ახმედი აქ არის! მეძებს! სადღაც აქვია, ახლოს! საოცარია, საიდან გაიგო სად ვიყავი? მაგრამ მასაც ეძებენ! — შემთვთებულმა დახედა გაბეთს. — თუ ჩემამდე მოაღწია, ან ჩვენ ვიპოვეთ, მერე აღარაფერი უჭირს, მაგრამ მანამდე? მასზე უკვე, ალბათ, როგორც მგელზე ისე ნადირობენ! ო, ღმერთო!

კითხვის თვალთ მისჩერებოდა ყველა. ბაკური მიხვდა, რაც აინტერესებდათ.

— ჩემი მეგობარია! — სიყვარულით დახედა ახმედის სურათს. — მეგობარი კი არა, ძმაა ჩემი და ძმაზე მეტიც!

— აქ საიდან მოხვდა? — პროფესიონალის თვალთ უყურებდა ეკა სურათს. მოიღუშა რატომღაც...

— არ ვიცი, ცხადია ჩვენ გვეძებს, მაგრამ საიდან გაიგო ჩვენი კოორდინატები, ამის თქმა ძნელია, სანამ არ შევხვდებით თვითონ, სოსო, თუ ძმა ხარ, სთხოვე ამ არაბებს, რომ ზომები

მიიღონ, რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდეს. მას ესენი ვერ შეიპყრობენ, — გაეღიმა. — მაგრამ თვითონ არაფერი ჩაიდინოს ისეთი, რომ მისი დახსნა მერე საძნელო გახდეს...

სოსომ გააცნო არაბებს საქმის ვითარება. მათ უხმოდ მოუსმინეს.

— ხელისუფლებაში ჩვენ ჩვენი ხალხი გვყავს, — საქმოსანი აბიელის სიღინჯით თქვა არაბმა. — ამ ახალგაზრდას, — სურათს მიაჩერდა, — თავზე თმის ღერსაც ვერაფერ შეურხევს, რადგან თქვენი მეგობარი ყოფილა. დღესვე მივიღებთ ზომებს. ახლა კი დაგტოვებთ. დროებით.

ბაკურმა შენიშნა, რომ ახალგაზრდა მძლოლი თვალებით ჭამდა მის ავტომატს. თვალაცმციმებულს მხერა ვერ მოეწევიტა გალაპლაპებული „აკმ“ — ისთვის.

— სოსო, უთხარი იმ ახალგაზრდა არაბს, ძეხნას რომ მოვრჩებით, იმ წუთიდან ეს იარაღი მისი

იქნება!

სოსომ უთარგმნა ბაკურის ნათქვამი. არაბს თვალები აენტო, ბაკურს მიეჭრა, გადაეხვია და სამჯერ გადააკოცნა. მოიხსნა ქამარზე დაკიდებული მოკლე ხანჯალი და გაუნოდა. ბაკურმა გაოცებით დახედა ქარქაშიდან ამოღებულ, ელვარე სატევარს. მთაში გაზრდილს ბევრი ლამაზი ნაკეთობა ენახა ფშავ-ხევსურეთში, ჩეჩენ-ინგუშეთშიც ახმედთან ყოფნისას, მონონებია ხმლებიც და ხანჯლებიც, მაგრამ მსგავსი არსად უნახავს. ოქროში ჩამჯდარი სპილოს ძვლის ტარი ლამაზად ელავდა მზის სხივებზე. ორღესულ პირს სამი ღარი გასდევდა. მოლურჯო თერი გადაჰკრავდა თოლადს. ერთ მხარეს გველი იყო ამოტვიფრული, მეორეზე მთვარე, ვარსკვლავები და ქვეშ გრძელი არაბული წარწერა ჰქონდა. სოსო ყურადღებით დააკვირდა ნაწერს და გაკვირვებულმა შეხედა ახალგაზრდა არაბს.

— რა აწერია? — იკითხა ბაკურმა.

— შარკის უდაბნოს მეფეთა საგვარეულო ნივთია, — სოსო მონინებით დაჰყურებდა ხანჯალს. — მე უბრალო მძლოლი მეგონა, ეს კი... ბოდიშს ვიხდი, — მიუბრუნდა არაბს. — თქვენ შარკის საგვარეულოდან ხართ?

— დიას! — გაიღიმა. — ერთ დროს უდიდესი საგვარეულოდან მხოლოდ მამაჩემია შემორჩენილი და მისი ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ. ეს ხანჯალი დიდმა პაპამ მაჩუქა

სიკვდილის წინ. არაბეთში წესია ასეთი: როცა იარაღს გჩუქნიან, შენც უნდა აჩუქო სამაგიერო. ამ ხანჯლის ბადალი უდაბნოში არ მოიძევება. გთხოვთ მიიღოთ ეს მცირედი ჩემგან, — გაუღიმა ბაკურს. — და როგორც თქვენ ბრძანეთ, ძეხნის შემდეგ ჩემი სტუმრები იქნებით. გეპატიჟებით მთელი სულითა და გულით.

ეკამ ბაკურს ხელი მოკიდა. განზე გაიყვანა.

— იარაღი არ გვაკლია. მოდი და ამ არაბ პრინცს ახლავე ვაჩუქოთ ეს ავტომატი?

— ზუსტად იგივეს ვფიქრობდი მეც...

ვერტმფრენში შევიდა. ორი რკინის ყუთით დატვირთული გამობრუნდა უკან. მანქანაში ჩააწყობა. ავტომატი აიღო და გაუნოდა:

— ეს ჩემგან. თუ თქვენ არ უღალატეთ, ეს არასოდეს გიმტყუნებთ. რა გქვიათ?

— მურადი!

— ჩემი დისშვილია! — ჩაერია საუბარში ხნიერი არაბი. — ამისი პაპები იყვნენ ამ უდაბნოთა მბრძანებლები. მურადილამ შემორჩენილი ძირძველი, ძლევაძმოსილი გვარიდან. ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტია და არაბეთში ყველაზე პოპულარული სასიძო, — გაეცინა. — მაგრამ სასახლეში განცხრომით ცხოვრებას უდაბნოში ხეტიანს არჩევს.

მურადი იარაღს დაჰყურებდა და რაღაცას ფიქრობდა. მერე კი მგვიცვდ, შეუვალი ხმით განუცხადა ბიძას:

— შეაგყობინეთ მამაჩემს, რომ ვრჩები უდაბნოში ახალშეძენილ მეგობრებთან მანამ, სანამ საჭიროება მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ამ წუთებში შევლა ესაჭიროებათ. შეაგყობინეთ, რომ ჩემი ნიშნობა და ქორწილი, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა ყოფილიყო ბილბეისში, ღროებით გადადებულად გამოაცხადოს, მეგობრებს გაჭირვების ღროს ვერ მივატოვებ!

— შენგან სხვანაირ საქციელს არც მოველოდი. დარჩი. შენი გამოცდილება წაადგება ამ საქმეში, — დინჯი, წყნარი ხმით უთხრა ბიძამ ჭაბუკს. — მეგობრებო, მინდა იცოდეთ, რომ მურადი გახლავთ აზიისა და ევროპის ორგზის ჩემპიონი ძიუდოში და უდაბნოში უკვე საკმაოდ სახელმძღვანელო ლომებზე მონადირე... მაშ ასე, მე წავედი. მალე დავბრუნდები, ფრთხილად იყავით...

მურადმა ცყვიის ყუთები მანქანიდან უკან ამოაწყო და გასაღები გაუწოდა. არაბი საჭეს მიუჯდა და ძაღვს მიეფარა. ჯგუფის წევრები გარს შემოეხვივნენ ახალ მეგობარს...

## XV თავი

„როგორ მინდოდა ეგვიპტის ნახვა, იმ ზღაპრული ეგვიპტისა, სადაც ზებრები ჯოგებად დაჰქრებიან, ანტილოპები დაბალახობდნენ, სადაც თვალუნვდენელი სავანეები გადაჭიმულა, სადაც მოგზაურთა კოცონები ბოლავს და შორეულ გზებს მგვერი ასდის, სადაც ადამიანი დაძაბული ხარ და ყოველ წამს საოცრებას ელი... თავგადასავლის მაძიებელ სულს აქ თვით პირნავარდნილი მეშხანიც კი იგრძნობ, როცა ლომები და ლეოპარდები შენს ირგვლივ რბილად, თესაკრეთით დააბიჯებენ, ხოლო ოთახის ჭერსა და კედლებზე ხვლიკები დაშლივინებენ“... მარიკამ მწუხარე სახით, სევდაჩაგუბებული თვალთ გახედა ირგვლივ გადაშლილ არემარეს — ვაკე, წარმტაც ტრამალს. სადღაც შორს, ჰორიზონტზე, ჩამწკრივებულიყვნენ ლურჯი მთები, რომელნიც საღამოსანს წამდაუნუმ თერს იცვლიდნენ...

„რას ვფიქრობდი, რაზე ვოცნებობდი... განა ოდესმე ვიფიქრებდი, რომ სიმდიდრეც, ჩამოყალიბებულ, ნორმალურ ადამიანს დაღუბავდა? უკვე აღარ შემიძლია საკუთარ თავს კონტროლი გავუწიო. შემეძლო უარი მეთქვა ყოველგვარ იდეალსა და გრძნობებზე. ცხოვრება რეალურად უნდა შემეცნო, ილუზიების გარეშე. გულცივობა სჭობდა ვნებიანობას, ცინიზმი კი მგრძნობიარობაზე საიმედო იყო ყოველთვის. ვფიქრობ არ არსებობს სიყვარული. არსებობს მხოლოდ სწრაფვა“

ტკბობისკენ. ვინც ასე ფიქრობს, იგი აღარ გრძნობს თავს ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილად, მიუსაფრად, ორ დოლაბს შორის მოქცეულად. მარტობა მანამდეა აუტანელი, სანამ ადამიანი შეეჩვევა“...

მაგრამ მარიკა თავს არ იცყუებდა, თითქოს ამ მოსაზრებებს მტკიცე ნიადაგი ჰქონოდა. განა ბაკური მუდამ არ აღელვებდა?! და თუ მას მარიკა გულგრილად გადაჰქედავდა, განა ამით დღემდე ცხოვრებაში შემორჩენილ ღირსეულ რამეს არ გადაჰქედავდა?! იქნებ ჯობდა, რომ ბაკურთან ამაღლებული სულიერი მეგობრობა დაემყარებინა და თავიდანვე უარი ეთქვა უცხოეთის სასტუმროთა ნომრებში ღროსტარებაზე? მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანი იყო...

მარიკამ თითქოს შორიდან შეავლო თვალი თავისი ცხოვრების არცთუ ხანგრძლივ გზას. დაიბნა, მხოლოდ ბოლო წელს დაიბნა, მცდარ გზას გაჰყვა, მაგრამ ამ გზაზე მარტო არ იყო და იცოდა, რომ ღმერთი არ იყო ამაში დაძნაშავე. რადგან ერთი ჭეშმარიტება სამარადჟამოდ

შთაბეჭდოდა ქალს: არა განგება, არა ბედისწერა და ღვთის ნება უნიშნავდა ადამიანს სავალ გეზს, არამედ თვით ადამიანი იყო ადამიანისავე ბედისწერა, განგების ძალა იყო ძალა კაცისა, კაცზე ბატონობისათვის. მაგრამ რატომ არის ერთი ძლიერი, მეორე უძლური? რატომ მიმართავენ ძლიერი ძალას უძლურის დასახაგრავად? ვინ დაანანილა როლები? ვინ დაადგინა საზომი ბოროტისა და კეთილისა, სამართლიანობისა და უსამართლობისა? რატომ არიან ადამიანები ერთმანეთის მტრები? რატომ ჰყოფთ მათ უფსკრული? მარიკამ ეს არ იცოდა და ვერც ვერასოდეს ჩასწვდებოდა ამას...

ჯინჯოლიამ თავისი ხალხით და მოგაცხებული ქალით არაბთა პატარა ყიშლალს შეატარა თავი. ალიზის, თიხის, ფიცრისა და თუნუქის ნაჭრებისგან აშენებულ ქოხებში ცხოვრობდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. კაცის სიმაღლე ხუხულების ფართობი თორმეტი-თოთხმეტი კვადრატული მეტრი თუ იქნებოდა — პატარა, ხელისგულისოდენა ფანჯრებით. ვისაც ამ ქოხმახებში ეძინათ, მათ ცხელი, ჩახახა აფრიკული მზეც კი არ ხვდებოდა თვალში. ქოხები ერთმანეთს ორ-ორ, სამ-სამ ნაბიჯზე მისდგომოდნენ და ჩამწკრივებულიყვნენ. თითო სკამი და თითო მაგიდა იდგა ქოხის შესასვლელებთან, არავითარი განათება საღამოობით და, რაღა თქმა უნდა, არავითარი ცროტუარები და ქვაფენილები... ქოხებთან აქლემები, ძაღლები, თხები, ქათმები და ბაჟუვები მიყუჟულიყვნენ. ამ ღვთისგან მივინყებულ ადგილას არ არსებობდა სტატისტიკა, არც შობადობის აღნუსხვა და არც სიკვდილიანობის...

კარგად იცოდა ვაჟა ჯინჯოლიამ, რაოდენ დიდი სიფრთხილე მართებდა არაბებთან ურთიერთობისას, რადგანაც ამ უკანასკნელთ ძლიერ განვითარებული აქვთ სამართლიანობის გრძნობა და მწვავედ განიცდიან ყოველგვარ უსამართლობას. უსამართლო, დაუმსახურებელმა შეურაცხყოფამ არაბი შესაძლოა სულ მთლად გამოიყვანოს წონასწორობიდან. დიდხანს ამას სოფრდებათ შეურაცხყოფა.

ყიშლაყი პატარა ტბის გარშემო იყო განლაგებული. ყოველი მხრიდან შესაძლებელი იყო დასახლებულ ოაზისში შემოსვლა. მოსვლის პირველსავე წუთს ჯინჯოლიამ ამ პატარა სოფლის თავკაცი მოიკითხა. ჩადრშემოხვეულმა ქალებმა ხელით მიანიშნეს ერთადერთ, შედარებით ნორმალურ სახლზე, რომელიც ევროპული კოტეჯის სტილზე აეშენებინა პატრონს. სახლი ზედ ტბის პირზე იდგა. ცნობისმოყვარე ბაჟუვებით გარშემორტყმულებმა იქით მიაშურეს. ორი მხრიდან თიხით შელესილი გალავანი შემოერტყათ სახლისათვის. ეზო მწვანედ გადაებურა ხეებს. გაღებული ფანჯრიდან, მარიკას გასაოცრად, როიალის საამო ხმები ისმოდა. ვაჟა ჯინჯოლიამ ეზოში პირდაპირ შეაბიჯა და მაშინვე ტყვიანაკრაფით უკან მოაწყდა... უშველებელი ლომი მძიმედ წამოიზღაზნა ბალახებიდან და მათკენ წამოვიდა.



გაიხსაკუნა თოფის საკეცმა. ამ ხმის გაგონებაზე მშვიდად მომავალი ლომი უცებ შეჩერდა, დაიძაბა, ბალანი აეშალა და ყრუდ დაიღრინა. შეწყდა როიალის ხმა და აივანზე გამოჩენილი ახალგაზრდა ქალის ხმამ ერთ ადგილას გაყინა მრისხანე მხეცი:

— ხათუ, ადგევილზე!...

ლომი მორჩილად შებრუნდა და კვლავ ხის ქვეშ მინვა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მოსულთათვის. გოგონამ სწრაფად ჩამოირბინა საფეხურები და სტუმრებს შეეგება. შიშით დაზაფრულებმა მხოლოდ ახლა შეძლეს მისი შეთვლიერება. საოცარი სილამაზის ქალიშვილს შეენოდა ვეროპული განსაცმელი. დიდი, ეშმაკურად მოციმციმე თვალები, შავი, მოშვილდული წარბები, სწორი ცხვირი და მარწყვისებრი ტუჩები თვალს იტაცებდა. მის მოქნილ, პროპორციულ განს, თითქოსდა ნაქანდაკარ თეხებს ვერცერთი მამაკაცი გულგრილად ვერ შეხედავდა. მის მზისგან გარუჯულ სხეულს ნამდვილი, სრულყოფილი აღმოსავლური სილამაზე ჰქონდა.

— მობრძანდით! კეთილი იყოს თქვენი თეხი! — მიიპატიჟა.

— ოჯახში მარტო ხართ? — ქალიშვილის გალანტური ინგლისურით ნათქვამს საკმაოდ გამართული ინგლისურით შეეგება ვაჟა ჭინჯოლია. — სოფლის თავკაცი ვიკითხეთ, აქეთ მოგვასწავლეს. სად შეიძლება მისი ნახვა?

— თქვენ მამაჩემი გინდათ? ის უკვე ერთი კვირაა, რაც უდაბნოში გაემგზავრა. წუთი-წუთზე ველოდები. მობრძანდით, დაელოდეთ! — მარიკას შეხედა. — ო, ღმერთო! როგორი გადაღლილი ჩანხართ! წამოდით ჩემთან! — მკლავში გაუყარა ხელი და სახლისკენ წაიყვანა. დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ. ჭინჯოლია მარიკას ამოუდგა გვერდით.

— გაფრთხილებ, ხმა არ ამოიღო! — ხმადაბლა გადაულაპარაკა.

მარიკამ ბიბლით იბრუნა პირი. არათვერი უთქვამს...

დაიბანეს. ივანშემეს. მასპინძელმა სანოლი ოთახები მიუჩინა მამაკაცებს და მარიკა თავისთან შეიყვანა. ვაჟა ჭინჯოლიას ეს არ ესიაძვნა, მაგრამ მოერიდა საქმის გამწვავებას. ქალიშვილის სანოლი ოთახის მორთულობა მისი პატრონის თაქიზ, მაგრამ მკაცრ გემოვნებაზე მეტყველებდა. სანოლთან ორი სურათი იდო. მასპინძელი ქალიშვილი ძალაღ, წარმოსადგე ვაჟთან ერთად ეიფელის კოშკთან იყო გადაღებული. მეორე სურათშიც იგივე ვაჟი იყო, მხოლოდ კოსტიმის ნაცვლად მოჭიდავის თეთრ კიმპანოში. მარიკამ მოვარაყებულ

ჩარჩობებში ჩასმული სურათები ხელში აიღო. დააკვირდა.

— ლამაზად გამოიყურები, ზეინა! ეს ბიჭი ვინაა?

— ჩემი საქმრო. საფრანგეთში ვიმოგზაურეთ გასულ წელს, იქ გადავიღეთ. მეორე სურათი მიუნხენშია გადაღებული, როცა ევროპის ჩემპიონი გახდა.

— მოჭიდავეა?

— კი, ძიუდოში...

— მერედა როდის აპირებთ დაქორწინებას? — მარიკა ღიმილით შეჰყურებდა ზეინას, რომელიც სანოლთან თუსფუსებდა.

— ქორწილი დანიშნულია პირველი ივნისისათვის. უკვე რამდენიმე თვეა, რაც გრძელდება ამ ქორწილის სამზადისი. ჩემი მომავალი მეუღლე არაბეთის უმაღლეს ელიტას მიეკუთვნება და ამზადებენ რაღაც განსაკუთრებულს, — უცებ მოიწყინა. — იცი, მარიკა, ისიც ბიძამისთან არის ჩამოსული ამ უდაბნოში. ჯერ კიდევ გუშინ უნდა მოსულიყო ჩემთან. რატომღაც არ ჩანს, — ლამაზი თვალები ცრემლით ავესო.

— ნუ გეშინია, მოვა, — დაამშვიდა მარიკამ. — წელან შენ რომ არ გამოსულიყავი, ალბათ ეგ ლომი ნაკუნებად გვაქცევდა?

— არა! თვინიერია. ჯერ კიდევ პატარა ბოკვერი იყო, როცა ჩემმა შეყვარებულმა მაჩუქა. საოცრად ვუყვარვართ მეც და ისიც. ჩვენი გაზრდილია. მხოლოდ იარაღი სძულს. შეიარაღებულებს ვერ იგანს.

მარიკა თანჯარასთან მივიდა. ჭინჭოლიას ორი მხლებელი კიბეზე იჯდა. ეწეოდნენ და მათ თანჯარას შემოჰყურებდნენ. სწრაფად შემობრუნდა, ზეინასთან მივიდა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— თუ შეგიძლია მიშველე, გადამარჩინე, გეხვეწები, გემუდარები! გოგონამ გაოცებით შეხედა:

— რა ხდება? არათფერი მესმის...

მარიკამ ყველაფერი აუხსნა. ზეინას სიბრაზისგან სახე გაუფითრდა:

— მაშ მე, მამაჩემის შვილმა და მურად ხათუთ-ბეგის საცოლემ ადამიანის, უძნეო ქალის გამტაცებლები შევიტარე?! — მარიკას ხელი მოხვია. — ნუ გეშინია, შენ ეგ არამზადები ვეღარ შეგეხებიან!

— სწრაფად წამოდგა, ღია ფანჯარასთან მივიდა.

— ხათუ, ჩემთან!

ლომი მძიმე ნახტომით სახლისკენ გამოქანდა. მამაკაცები კისრისტეხით შეცვივდნენ ოთახში. ლომმა თათებით შეალო კარები და ზეინასთან მივიდა. მან მიუაღერსა და კარებისკენ ანიშნა:

— იქ დანეჭი! — ხათუ მორჩილად შებრუნდა და საწოლი ოთახის კარებში ჩანვა.

— ძალიან გთხოვ, ზეინა, შენ რომ საქმის კურსში ხარ, ამათ არ გააგებინო დროებით.

— რატომ?

— ჩვენ ამ წუთში მარტოკები ვართ, ღმერთმა უწყის, რას ჩაიდენენ, თუ გაიგეს რომ კარგი გახსნილია, შენ ყველაფერი იცი...

ზეინა ჩათუქრებული შეჰყურებდა.

— მარიკა, ჩვენ მარტოკები არა ვართ. მთელი ეს ყიშლალი ფეხზე დადგება, თუ გაიგეს, რომ რაიმე გეჭირს. ამას თავი დაუვანებოთ და გული მიგრძნობს, ჩემი მურადი წუთი-წუთზე უნდა გამოჩნდეს. ის უსიკვდილოდ ამაღამ აქ იქნება. დამიჯერე. ნულარაფრის გეშინია.

— მაგრამ მარტო, კბილებამდე შეიარაღებულ ნაძირალებთან, რომლებიც ყველაფერზე მიდიან, მურადი ვერაფერს გაანყოფს. ცყვია არ არჩევს ძლიერს და სუსტს.

— მართალი ხარ! — უცებ თვალები ეშმაკურად მოწკურა ზეინამ. — მაგ მდგომარეობიდანაც შევძლებთ გამოსვლას.

— ფანჯარასთან მივიდა. ქოთნებში ჩალაგებული ყვავილები ერთმანეთის მიყოლებით გადმოდგა. დატოვა მხოლოდ ერთი, თეთრი, მაღალი ყვავილი შავი თიხის ლამაზი ქოთნით. შემობრუნდა.

— ესე ასე. ამ ყვავილის დანახვის შემდეგ, მურადი აქ უკვე მანამ არ შემოვა, სანამ არ გაარკვევს, ვინაა სახლში და რა ხდება. ეს ჩვენი ძველისძველი პირობითი ნიშანია.

ღამის სიმყუდროვეს, რომელსაც ხანდახან ბაყაყების ყიყინი არღვევდა, სხვა გაურკვეველი ხმაც დაემატა. ეს ხმა თანდათან გაძლიერდა და სულ მალე მანქანების ძრავის ხმაური აშკარად გამოიკვეთა. ნელი სვლით, გაკაშვამებული ფარებით მომავალი სამი მანქანა ყიშლალში შემოვიდა. ზეინა სახეგაბრწყინებული გაჰყურებდა მომავალ მანქანებს, მარიკა სულგანაბული იდგა მის გვერდით. ჭინჭოლია და სხვებიც, დაძაბულნი, ღია ფანჯრიდან მისჩერებოდნენ მანქანებს, რომელნიც პირდაპირ ეზოში შემოვიდნენ. გამოიშალნენ. შეიარაღებული ხალხით აივსო ეზო.

— ვინ არიან? — მარიკამ ჩურჩულით იკითხა.

— არ ვიცი! — ზეინას ფერი აღარ ჰქონდა.

— ეი, მასპინძელო! — ჩახრინწული ხმით დაიძახა ვილაცამ. — სტუმრები ღამის თავშესაფარს ითხოვენ, გამოგვხედე!

ხმაურით გაიღო მეორე ოთახის კარი. ვაჟა ჭინჭოლია, ასაკის მიუხედავად სახეგაბადრული სწრაფად გამოიჭრა და კიბეზე ამომავლებს წინ შეეგება.

— ჩემი სიცოცხლე ბორის ოსიპოვს! — რუსულად შესძახა ჭინჭოლიამ და აივანზე პირველ ამოსულს გადაეხვია.

— დავიღალე თქვენს ძებნაში, ბატონო ვაჟა! — ჩაიროხროხა ოსიპოვმა და მაგრად შეანჭვრია. —

მაგრამ, მადლობა ღმერთს, შევხვდით ერთმანეთს...

— არათერია, დალლა გაივლის, როცა ჩვენსას მივიღებთ.

— მართალია! აქ მარტო თქვენ ხართ?

— არა! მასპინძელი ქალიშვილი გვყავს, თანაც ისეთი, თითებს ჩაიკვნეც. — ჩაიცინა.

— ძალიან კარგი. ქალი მომენაცრა ამ წყეულ უდაბნოში, მაგრამ მანამდე ვივასშმით, დავლით ცოცხალდენი ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად.

— სიამოვნებით, ბორის!..

კოპნიად მოვლილი სახლი, მალე ჯარისკაცურ ყაზარმას დაემსგავსა. ოჯახურ გარემოს და ქვეყნის მონატრებული მამაკაცების თავაშვებულობამ შუალამისას ზენიგს მიაღწია. ბორის ოსიპოვი ორმოც წელს მიღწეული, სახენაიარევი, ქერა გოლიათი თავს ველარ ერეოდა — მთვრალი იყო.

— სადაა ქალები? — ჩახლჩილი ხმით იკითხა.

— იქ! — თითი მიაშვირა ზენიგს ოთახს ჭინჯოლიამ.

ბორისი მძიმედ წამოდგა, არყიანი სასმისი ერთი მოყუდებით გამოცალა და იქით გაემართა. დაუკაკუნებლად შეაღო ოთახის კარი და წამიერად გამოთხიზლდა. წამომართულმა ლომმა ავად შემოღრინა. ოსიპოვი არც დაფიქრებულა, ხმის ჩამსშობიანი პისტოლეტი ამოიღო და მსხვილკალიბრიანი ტყვია თავში ესროლა. ლომი უსულოდ დაეცა...

ზუსტად ამ წუთას ყიშლალს ცყის მხრიდან შექებხამქრალი „ჯიპი“ მოადგა. მანქანა შეჩერდა. ახმედ რამაზანოვმა მანქანიდანვე მოავლო თვალი ერთი შეხედვით ჩამკვდარ დასახლებას და მზერა იმ ერთადერთ სახლზე შეაჩერა, საიდანაც სინათლეები გამოკრთოდა. საათს დახედა — სამის ნახევარს უჩვენებდა. მის გამახვილებულ სმენას უცებ რაღაც ყრუ გუცანის ხმა მისწვდა, რასაც თან ქალის შეკვივლება მოჰყვა. მანქანის კარი არ გაუღია, აინია, მსუბუქად გადმოეგლო კარებს, „ვინჩესტერი“ აიღო და ფრთხილი, უხმაურ, კატისებრი ნაბიჯებით განათებული სახლისკენ წავიდა...

## XVI თავი

ღამდებოდა. სოსო, მურადი და ნორმანი კოცონს ანთებდნენ. ეს ღღეც უშედეგო ძებნაში დაილია. გულაღმა გადაწოლილ ფხოველს ხელები თავქვეშ ამოეწყო და ცას მიშტერებოდა. ეკა თავთან ეჭდა. უხმოდ, თვალმოუშორებლად დაჰყურებდა ბაკურს. რა უცებ გაირბინა დრომ! იმ პენენიკი ვაჟუკაცის მაგიერ, ვინც ეკამ რესტორან „ეგვიპტეში“ ნახა, მის წინ მისი ოცნების გმირი იწვა. წვერმოშვებულს, თმებიც წამოზრდოდა ოდნავ. თვალის უბეები ჩამაფებოდა.

— რაგომ დუძხარ?

— რა ვითხრა, — ფხოველი წამოჭდა. — იცი რას ვფიქრობდი?

— რას?

— ვიპოვით მარიკას. დაგბრუნდებით უკან. თუ ომი ისევ იქნა, იქით წავალ, თუ არადა ჩემს მთებს მივაშურებ.

— რა გინდა იქ?

— თვითონაც არ ვიცი. ცხოვრება! — და ცოცხალი ხნის შემდეგ დაუმატა: — ძველებურად განვაგრძობ ძებნას.

— რას ეძებ ამდენს? — ჩაჰკითხა ეკამ.

— არ ვიცი, — ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს საკუთარ თავს ებაასებოდა, — არაფერი არ ვიცი. ისიც კი არ ვიცი, ნამდვილად ვცოცხლობ თუ არა. ხანდახან მგონია, ეს ყველაფერი სიზმარია-მეთქი. ხან იქით მიმაქანებს მდინარე, ხან აქეთ, ხან შუაში მომიქცევს, ხან მორევში მაგრიანებს. ვეძებ ცხოვრებას, ჩემს ცხოვრებას, მაგრამ ყველაფერი გვერდს მიქცევს და მიედინება, არაფერია მყარი. მე რაღაც მყარსა და უცვლელს ვეძებ, ეგებ სიყვარულს, ეგებ ჭეშმარიტებას, არ ვიცი, არქიმედეს საყრდენით დავეძებ რაღაცას...

— შენ საკუთარ თავს დაეძებ, ბაკურ! შენ არ იცი, მაგრამ მე შენი ცხოვრების შესახებ ყველაფერი ვიცი. შენ დაოჯახება გჭირდება, გესმის? შენ გჭირდება მეუღლე და არა მარტო მეუღლე ამ სიცხვის პირდაპირი გაგებით. შენ გჭირდება ისეთი მეუღლე, ვინც უპირველეს ყოვლისა, შენი სულიერი მეგობარი იქნება. არა ისეთი, როგორცსაც ირანის შაჰივით იცვლიდი... მაშინ შენც დაიჭერ ცხოვრებაში ადგილს მათ გვერდით, ვისიც დღეს არაფერი გაგეგება.

— ვშიშობ, ვაითუ ესეც ილუზია იყოს.

— ყოველ შემთხვევაში, ეს არის შანსი! — მტკიცედ თქვა ეკამ. — ცხოვრება აქამდე თუ არ ყოფილა შენს მიმართ გულმონყალე, ახლა გაძლევს საშუალებას მოძებნო მეგობარი და როცა მისკენ მიმავალ გზას იპოვნი, მაშინ იპოვნი საკუთარი თავისა და სხვა ადამიანებისკენ მიმავალ გზასაც. შენ სიყვარული გჭირდება, მხოლოდ სიყვარული...

— სიყვარული?! ცუდად ნუ გამიგებ, ეკა, მაგრამ მე სიყვარულის მოლოდინი მიჭობს თვით სიყვარულს. სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა წინააღმდეგობებით საფხე ცხოვრება, ხან გაგაბრუებს, ხან გამოგათხიზლებს. ხოლო ის, ვინც სიყვარულზე ბევრს ოცნებობს,

შემდგომში იმედგაცრუებული რჩება, — სიგარეც მოუკიდა. — მე არ მსურს, ეკა, შეგიძლია გიჟად ჩამთვალო, მაგრამ არ მსურს, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი ჰქონდეს...

— რატომ ლაპარაკობ ასე? — გოცებით შეხედა ეკამ. — შენი არ მესმის. განა შეიძლება ცხოვრება უაზრო იყოს? უაზრო ცხოვრება სასონარკვეთასთან მიგიყვანს ადრე თუ გვიან.

— ჩვენი ცხოვრება უაზრობაა, — კვლავ ჭოუტად გაიმეორა თხოველმა. — მხოლოდ უმეცრები ხედავენ ჩვენში, ადამიანებში ბუნების მიზანს. ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებლობა ვართ მარად ცვალებადი ყოფისა, ერთი პატარა ეპიზოდი ცოცხალი ბუნების განვითარებისა, რაც ჩვენი ახდენს თავისი არსებობის შეცნობას და ყოველგვარი აზრის გარეშე, მხოლოდ შემთხვევისა და მინიერი აუცილებლობის გამო ვიქცევით ადამიანებად. აბა თვალი გადაავლე ამ დედამინას: განა მინიერი განვითარება და ქმნალობა მხოლოდ და მხოლოდ ისევ სამყაროს ერთ პატარა ეპიზოდს არ წარმოადგენს? ასეა, რადგან დედამინიდან მზისკენ, მზიდან ირმის ნახტომისკენ და მის იქითაც, ჩვენთვის უცნობი უმაღლესი სამყაროებისკენ, ახალი სისტემებიდან სხვა, შეუცნობელი და ამოუხსნელი სისტემებისკენ, ჩვენთვის მიუწვდომელი წარმოშობითა და გაქრობით, გაზრდითა და დაკნინებით, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლით გამოიხატება მარადიული მოძრაობა, რომელსაც არც დასაბამი აქვს, არც დასასრული და თავისივე თავით კმაყოფილდება. სად უნდა იყოს აქ აზრი, ჩვენი ადამიანური მასშტაბების მიხედვით? ვისაც სურს, რომ ცხოვრებაში აზრი იპოვოს, დაე, თვითონვე მისცეს თავის ყოფას რაიმე აზრი. ხოლო ეს მაინც ადამიანური გავებით იქნება აზრი, ადამიანური მიზანსწრაფვის მასშტაბებში...

ეკას შეხედა. შემდეგ კი ჩაფიქრებულმა დაამატა:

— ახლა თქვი კიდევ, ცხოვრება არ უნდა იყოს უაზრო. იცყვი ამას და ეს იქნება მოთხოვნა საკუთარი თავის მიმართ, რათა შენს ცხოვრებას აზრი და მიზანი თვითონვე მისცე. ექებე ეგ მიზანი, ვექებოთ ერთად, თუ გნებავს და შევეცადოთ ადამიანები გავხდეთ...

— კი მაგრამ, შენი აზრით, რა არის ადამიანი?

— ადამიანი ის არის, ვინც შეგნებულად ცხოვრობს რაღაც მიზნისათვის და ამით ცხოვრების უაზრობას აძლევს აზრს ადამიანურ მასშტაბებში, თანაც არა მხოლოდ თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც და წინასწარ ტკება მომავალი საუკუნეების ულამაზესი და სრულყოფილი შთამომავლობით...

ეკამ ნაღვლიანად გახედა სიბნელეჩამონოლილ მიდამოს.

— შენ გინდა დაუბრუნდე შენს მშობლიურ მთებს. არაა ეს ცუდი. გინდა იქვე სხვა ადამიანად, მაგრამ უფრო ბუსტად შენ ეს როგორ გეხატება? როგორი გინდა იყო?

— მე მინდა ვიქცე ისეთ ადამიანად, რომელსაც აღარავითარი მოთხოვნილება აღარ ექნება, — თქვა ფხოველმა, ქალიშვილს ხელი მოხვია და მიიზიდა. — ღიას, არ მქონდეს სურვილები; მუდამ მზად ვიყო სხვების დასახმარებლად, განვთავისუფლდე ყოველგვარი ქედმაღლობისგან, გულგრილი გავხდე კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ. მსურს ყოველგვარ სიმდიდრესა და ფუფუნებას ზიზღით ვუყურებდე. მინდა ვშრომობდე და რაც მჭირდება, ყველაფერი ჩემი ხელით შევქმნა და მსურს ვუცადო, მოთმინებით და მშვიდად ვუცადო...

— უცადო? რას უნდა უცადო?!

ბაკუმა თვალები დახუჭა. ეკას მხარზე დაადო თავი და მონოტონური ხმით დაიწყო:

— ცხოვრება ხელში გველევა, სურათები შეუჩერებლივ მირბიან თვალწინ. გრძელ ღამეებს და მოკლე ღღეებს მოკლე ღამეები და გრძელი ღღეები ცვლის, წელიწადს წელიწადი მოსდევს ერთხელ, ათასჯერ და დაუსრულებლად. მთების თხემებს ღრუბლები გადაუვლია, წამოვა თოვლი, დაუბერავს სამხრეთის ქარი, მოიგანს ნაზამთარი ბალახის სურნელს. იები და ენძელები მინიდან თავს ამოყოფენ, აყვავდებიან და დაიყვავილებენ. ასევე ადამიანებიც, როგორც იტყვიან — ეს ცოდვის შვილები, იჟუეებიან, ხოცავენ ერთმანეთს, ცვივიან უფსკრულში მსგავსად ფრიალოდან კლდეზე დანარცხებული წყლისა. წლითინლობით თავისას ჭახჭახებს როჭო, უსტვენს მურთხი, დროის მსვლელობის გაგება კი არა აქვთ მათ... და ჩვენც არაფერი გაგვეგება მისი. მთელი სიცოცხლე რაღაც ერთ წამს გრძელდება. ერთი კაცის სიცოცხლის მანძილზე თავისი ორასი თაობა იცვლება, მაგრამ ადამიანის ორასი თაობის მანძილზე, ვარსკვლავი თავის სფერულ გზაზე ერთი გრადუსითაც ვერ ასწრებს გადაადგილებას. ვერ ვასწრებთ თვალის გახელას, სამყაროს ნორმალურად დანახვას და უკვე სამუდამოდ გვეხუჭება თვალი, სიკვდილი მოგვადგება კარს, — ცოცხალი ხანს იყუჩა და დაუმატა: — აი მეც ამას დაველოდები, გადახვენილი უდაბურ მთებში...

ერთ ხანს ორივე ღუძდა. ეკა შემობრუნდა, რაღაცის თქმას აპირებდა, რომ უეცრად საშინლად შეჰკვივლა:



— ბაკურ!

მათ უკან უშველებელი კობრა ზე ნამონეულიყო და წყნარი სისინით ავისმომასწავლებლად აქნევდა თავს აქეთ-იქით. ელვის სისწრაფით ფეხზე ნამომხგარმა ეკას კოცონისკენ უბიძგა და პისტოლეტზე გაივლო ხელი. თავნაცვეტილი გველი ძირს დაეცა, დაიკრუნჩხა და გაშეშდა. მურადი პირველი მოიჭრა ბაკურთან. გველს დახედა სინათლის შუქზე და სახე გაუფითრდა.

— ნაია! — ხმადაბლა, არაბულად გადაულაპარაკა ნორმანს. მან თავი დაუქნია.

— გადარჩით, მეგობრებო! — მიუბრუნდა ეკას და ფხოველს. — ეს გახლავთ ეგრეთწოდებული „ფურთხია კობრა“. არაბულად ნაია ჰქვია. ამ საშინელი ქვეწარმავლის თავისებურება ისაა, რომ ამოისუნთქავს რა დიდი ძალით ჰაერს, რომელიც თან წარიტაცებს მისი კბილებიდან შხამის უმცირეს წვეთებს, ქმნის შხამის ნაკადს. ამ „იარაღის“ მოქმედების სიშორე სამ მეტრს აღწევს. შხამის წვეთების სასუნთქ გზებში, ლორწოვან გარსში ან თვალეებში მოხვედრა მსხვერპლის მძიმე მონამვლას, დაბრმავებას და მაქსიმუმ თორმეტი საათში სიკვდილს იწვევს. მას ვეღარ შეეღობა ვერავითარი შრატები.

— იქნებ მოასწრო უკვე? — შეშინებულ ეკას ხმა უთრთოდა.

— არა, ნუ გეშინიათ, — ხმამაღლა გაიციხა მურადმა. — ჩემს მეგობარს, — ბაკურს მოხვია ხელი, —

სწრაფი ხელი და ზუსტი თვალი ჰქონია. რომ არა ბაკურის ასეთი არაადამიანური რეაქცია, მაშინ კი...

— ბაკურ, დროა ვივასშმით! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა სოსომ. — უკვე მთელი საათია ვახშამი მზადაა, მაგრამ ისე გართულნი იყავით საუბრით, ხელი არ შეგიშალეთ...

კოცონისკენ გაემართნენ. თავთავიანთ ფიქრებში გართულნი უხმოდ შეექცეოდნენ. მურადი კოცონს მიშტერებოდა. ვახშამი ხელუხლებელი იდო მის წინ.

— რატომ არ ჭამ? — ბაკურმა ცხელი ყავა მოსვა და კითხვით შეხედა მურადს. მხოლოდ ახლა მიაქციეს ყურადღება სხვებმაც მურადის რატომღაც დანალვლიანებულ სახეს.

— აქედან ოცდახუთ კილომეტრზე, — ისე დაიწყო მურადმა, რომ ცეცხლისთვის თვალი

არ მოუცილებია, — ცხოვრობს ის, ვინც მე ძალიან მიყვარს, ვინც უახლოეს მომავალში ჩემი მეუღლე უნდა გახდეს. აღარ მოგიყვებით იმას, თუ რამდენი ტანჯვა გამოვიარე მანამ, სანამ მამაჩემისგან მივიღებდი თანხმობას მის შერთვაზე. ჩემიანებს ვინმე დიდგვაროვანი უნდოდათ ჩემთვის, მე კი არ დავეძებ არაფერს. ვინც მიყვარს, ის ჩემთვის დიდგვაროვანიცაა, დედოფალიც და ქალღმერთიც, — თავი ასწია, თვალი მოაწვლო ყველას. უხმოდ, ყურადღებით უსმენდნენ. — არასოდეს მისთვის ტყუილი არ მითქვამს, მაგრამ ამ წუთებში მასთან დამნაშავე ვარ და მინდა ეს გამოვასწორო...

— შენს გვერდით ვართ! — გაელიმა ეკას.

— გუშინ დილით მელოდა. ვერ წავედი. წუხელაც აქ დავრჩი, იმიტომ რომ უმანქანოდ ვიყავი. ამ წუთებისთვის მანქანა აქ გვაქვს და თქვენი ნებართვით სულ ორიოდე საათით დაგტოვებთ. ვნახავ, ვეცევი, რომ არაფერი მიჭირს და მაშინვე თქვენთან გაფრინდები.

— არ შეიძლება ჩვენც წამოვიდეთ, და თუ გაცნობას ვერ მოვახერხებთ, შორიდან მაინც შევხედავთ მომავალ დედოფალს? — მთელი სერიოზულობით იკითხა ეკამ.

მურადს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა.

— მე ვერ შემოგბედეთ. ისედაც იღლებით. თუ არ გეძინებათ, მანქანა ყველას დაგვიტევს.

— სოსო, ნორმან, წავიდეთ? — ეკა ბიჭებს მიუბრუნდა.

— მე და ნორმანი დედოფალს ქორწილში გავიცნობთ, — თქვა სოსომ, — შენ და ბაკური გაყევით, თუ არ გეძინებათ, რა თქმა უნდა. ღამე სასიამოვნოცაა უდაბნოში მანქანით მგზავრობა, — ბაკურს მიუბრუნდა. — შამპანურები წაიღე. არაბებს ძალიან უყვართ.

ბაკურმა შამპანურის გაუხსნელი ყუთი მანქანაში ჩადო. ჩასხდნენ. მანქანასთან სოსო მივიდა.

— ესეც წაიღე! — ტყვიამტვრქვევი მიანოდა ბაკურს.

— არ მინდა. ავტომატები გვეყოფა...

— რა იცი! იყოს მაინც, იქნებ დაგჭირდეთ! — მანქანის სავარძელზე დააგდო და გამოსამშვიდობებლად ხელი ასწია...

წელბევით შიშველ მურად ხათუთ-ბეგს უკაცრიელი უდაბნოს ღამის სიბნელეში სწრაფი სვლით მიჰყავდა მანქანა. ბაკურს მურადის ორლულიანი ბელგიური წარმოების სანადირო თოფი ეჭირა ხელში და გაფაციცებული, მონადირული აზარტით შეპყრობილი განათებულ მიდამოს, გზას გაჰყურებდა. ორი მოკლული კურდღელი უკვე მანქანაში იდო...

მურადმა მანქანა ებოში შეაჩერა და საჭეზე გადახრილი განათებულ, ღია ფანჯარას დააკვირდა. არაფერი უთქვამს, გადახტა, ფანჯარასთან მივიდა და ოთახში შეიხედა. შემობრუნდა და ორიოდ ნახტომით მანქანასთან გაჩნდა. ავტომატს დაავლო ხელი და სირბილით აიჭრა კიბეებზე. კარებს ძლიერად ჰკრა წიხლი და შიგნით შეიჭრა.

— რალაც მოხდა! მანქანაში დარჩი! — ბაკურმა პისტოლეტი იძრო და მურადს მიჰყვა.

აივანზე შესასვლელთან ორი გვამი ეგდო. სწრაფად დაიხარა მათკენ. შეხედა მათ არაბუნებრივად მოღრეცილ კისრებს... არც ტყვიით, არც ღანით არ იყვნენ მკვდარნი. ორივეს კისრის ძალები ჰქონდათ გადამტვრეული. პროფესიონალის გაკეთებულია! გაუელვა ფიქრმა და სახლში შევიდა. ოთახებში ქაოსი იყო. შედგა. მიიხედ-მოიხედა. ფეხის ხმა შემოესმა. ეკა შემოვიდა. სახლში არაფერ იყო.

— მურადი სადაა? — ხმადაბლა იკითხა ეკამ.

— იქ! — გვერდით კარებისკენ ანიშნა. კარები შეაღეს. სანოლ ოთახში ვეება ლომი ეგდო. მისი ტყვიით გახვრეტილი შუბლიდან გამომავალი სისხლი სანოლებისკენ მიიკლავებოდა.

ხათუთ-ბეგი შემლილი სახით დასჩერებოდა სანოლზე გადაშობილ უზარმაზარი ცანის მამაკაცის გვამს, რომელიც პირქვე ჩამხობილიყო. სანოლზე სისხლის გუბე იდგა. ბაკურმა მხარში ხელი ჩაავლო, გადმოაბრუნა და... ეკამ ხმადაბლა შეჰკვივლა, ბაკურს მკლავზე მოკიდა ხელი. შეხედა... ფხოველი ცივი ღიმილით დაჰყურებდა გულში დანაგაყრილი მამაკაცის შუბლზე მიხატულ შავ ეშმას...

## XVII თავი

— სულ ასილდე კილომეგრი დაგვრჩა პორტ-საილამდე. სალამოს უკვე იქ ვიქნებით. ბატონო ნიკა, ხომ არ აჯობებს ვისაუბროთ? უკვე ცხრა საათი სრულდება.

— იმ ხის ქვეშ შედარებით სივრილე იქნება, — ანჯათფარძემ ხელით მიანიშნა ერთადერთ, ობოლივით მდგარ, მეჩხერად გაფოთლილ ხეზე. შეჩერდნენ. მანქანიდან გადმოვიდნენ. ბაქარ ვაჩნაძემ სწრაფი მზერა მოავლო გარემოს. მდინარის მიმართულებით რალაცას დააკვირდა. ღურბინდი აიღო. გახედა.

— რას უყურებ?

— ვერგმტურენია, თანაც, საოცარი ფერის — ცისფერი.

— ვინ იქნება?

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი, — ხელი დაუდევრად ჩაიქნია ბაქარმა. — ვინმე მილიონერი იქნება სანადიროდ ჩამოსული. რაში გვაინტერესებს...

საუბმობდნენ. შორს მტვერში გახვეულმა მანქანამ გაიქროლა დიდი სისწრაფით. ანჯათფარძემ ღურბინდს სტაცა ხელი. დააკვირდა. უცებ მოიცილა თვალებიდან. ისევ გახედა. მტვერი და ბოლი ჩანდა მხოლოდ. თვალები დახუჭა. ერთხანს ასე იყო. მერე გადაიხარხარა, ყავა მოსვა.

— რა გაგახსენდათ? — ღიმილით შეხედა ბაქარმაც.

— არათფერი. მომეჩვენა, თითქოს ჩემი ცოლი იჯდა იმ მანქანაში. ეჰ, როგორც ჩანს, ვბერდები, ჰალუცინაციები მენწყება...

— კონიაკი დავლიოთ?

— როგორც გინდა, ბაქარ!

ვაჩნაძემ ბოთლს საცობი მოხსნა. პატარა სასმისები შეავსო, ჭიქა ასწია:

— მაპატიეთ, ბატონო ნიკა, მაგრამ... ნიკამ ხელი ასწია. შეაჩერა:

— სანამ ცყველობიდან დამიხსნიდი, შენ მითხარი, მიგულე შენს უმცროს ძმად! ასეა?

— დიას!

— მე მინდა, მე მოვითხოვ შენგან, როგორც უფროსი ძმა, რომ ჩვენი ურთიერთობიდან გამომდინარე ოფიციალური ტონი. ყოველგვარი ბატონობის გარეშე! გამიგე? მომმართე პირდაპირ სახელით.

— გასაგებია, ნიკა! — ჩაუფიქრდა. — იცი, რა მინდოდა შენთვის? ჩვენ ხვალ თუ არა, ზევან მასზე დაგვფიქრებთ ეგვიპტის, არაბთა მიწას და ღმერთმა იცის, ოდესმე დაუადგამთ თუ არა ფეხს კიდევ მასზე.

— გაიღიმა, ხმას დაუნია. — ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ვიქნებოდი, როცა საქართველოდან ჩამოსულმა სტუმრებმა საჩუქრად პატარა ქართული ნიგნი ჩამომიტანეს. ნამოვიზარდე. მოთხოვნილებები გამეზარდა. პასკალის აბრებით, ჰემინგუეის, გოეთეს, შექსპირის, გოლსტონის თუ სხვათა და სხვათა ცომებით იყო საფესე ჩემი ოჯახის საგვარეულო ბიბლიოთეკა, მაგრამ ჩემი მაგიდის ნიგნად მაინც ის პატარა ქართული ნიგნი დარჩა. მას „მამლუქი“ ჰქვია. თან ნამოვილე ეგვიპტეშიც. თუ კაცს გული გაქვს, არ შეიძლება არ შეგძრას და არ აგაფორიანოს სულის სიღრმედე ქართველთა წარსულმა. მოდი, იმ არაბი ათასისთავის სადღეგრძელო შევსვათ, ვისაც მაჰმუდ ბეის უძახდნენ, იმ მისგან მოკლულ ვენეციელ ასისთავს გაუმარჯოს, ვინც სიკვდილის წინ „ვაი ნანა“ ამოიძახა. მათთან ერთად ასობით და ათასობით ქართველ ვაჟკაცთა სადღეგრძელო იყოს, ვისი ხმლის კაშკაშიც ძილს უფრთხობდა ევიტესა და ერას, ვისი ცხელი სისხლიც შერწყმია ამ ხრიოკ უდაბნოებს, ვისი ძვლებიც ჩანაცრებულა ამ გახურებულ ქვიშაში. ისევ და ისევ სიკვდილის წინ ვისაც დედა უნატრია ქართულად და საქართველოს მთა-კლდეები მონატრებია! — დადუმდა. გამოცალა. თავი დახარა, დამალა ცრემლმორეული თვალები...

„ეს გადარევეს თბილისელ გოგოებს!“ — გაიფიქრა ნიკამ; წარმოიდგინა უცებ, რუსთაველზე გავლილი ვაჩნაძის ბიჭი რა შთაბეჭდილებას დაგვტოვებდა თბილისელებზე. გაეღიმა. ჭიქა აიღო...

— მე ახლა მივხვდი, თურმე არ ჰქონია არსებითი მნიშვნელობა, ქართველი კახეთში დაიბადება, სვანეთში თუ ლუანდაში. მთავარია, როგორ გარემოში აღიზრდება ის... ადამიანთა ბედი, მათი ცხოვრება, ის, რაც ჩვენს თავზე ტრიალებს, ინვესტის იმის შეგრძნებას, რომ სამყარო უსამართლოდაა მონყობილი. ქაოსი იყო და არის. რამდენ ბოროტ კაცს შერჩენია ცოდვები და დაუსჯელად, სამაგიეროს გადაუხდელად ჩასულა სამარეში მაშინ, როდესაც ყოველმხრივ კეთილ, მართალ და პატიოსან ადამიანს დაუმსახურებელ განჯვაში აღმოხდენია სული?!

საიდან მოდის ეს უსამართლობა? ჩვენი არცოდნიდან? უმიზნოდ ხომ არაფერი ხდება სამყაროში, ყველაფერს აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები და ეტყობა უსამართლობაც, რაღაც მიზეზის კანონზომიერი, სამართლიანი შედეგია... ბაქარ, მე მნამს იმიერი ცხოვრების, სადაც ყველაფერი წონასწორდება, მაგრამ ჩვენ ადამიანები ვართ და ჩვენს დაუკმაყოფილებელ ვნებებს, შურისძიების წყურვილს ვერ ჰკლავს იმის აბსტრაქტული შეგნება, რომ იმ ქვეყნად მივბღვება ყველას თავისი...

ჩაიცინა.

— მოვედი ფილოსოფოსობის ხასიათზე... ნამდვილად, მარადიული ხსოვნა მათ, ვინც სამშობლოდან ძალიან შორს შეინარჩუნა ქართული გენი, მებრძოლი სული; შენი არ იყოს, ზოგს ვენეციელი ოფიცრის ფორმა ეცვა, ზოგს არაბული ხმალი ეჭირა ხელთ, მაგრამ მართლაცდა, ღმერთმა ხომ იცის, „არც ერთნი იყვნენ არაბნი და არც მეორენი ვენეციელნი, ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“... ალბათ გახსოვს ეგ სიტყვები, მე ცოცხა გადავაკეთე.

ბაქარმა თავი დაუქნია.

— ხსოვნა, დიდება მათ! — ნიკამ მოსვა კონიაკი და ნახევარი ჭიქა ცხელ ქვიშაზე გადააქცია... შზე უსაშველოდ აჭერდა. ბაქარმა სიგარეტი ამოიღო, ნიკას გაუწოდა...

— მიმიღებენ კი ქართულ გვარდიაში? — კითხვით შეხედა. გაეცინა ანჯათფარიძეს.

— უკეთეს სამსახურს მოგიძებნი. გვარდიაში შენ არაფერი გინდა.

— მაინც რას?

— პოლიციის სამმართველოს უფროსი ჩემი მეგობარია, მას ვთხოვ და... ბაქარ ვაჩნაძემ სმამაღლა გადაიხარხარა:

— და პოლიციაში დამანწყებინებ მუშაობას? არა, ნიკა! მე პოლიციელად არ ვივარგებ. ჩემგან პოლიცია შორსაა ძალიან. მე არასდროს ჩავიცვამ მათ ფორმას, ვინც ადამიანებს თრგუნავს, ვინც ზღუდავს მათ თავისუფლებას. ვინც ებრძვის მათეურ კლანებს, ბანდიტიზმს, ქურდობას, ძარცვას, მაგრამ პირველი მათეობები, ბანდიტები და ქურდები, მძარცველები და მკვლევლები მათ რიგებში არიან. ბუნებრივია, ეს ყველაზე არ ითქმის... როგორც შენგან ვაუიგე, დღეს ომია საქართველოში. მე მათ გვერდზე მინდა ვიყო, ვისაც გვარდიელები, ჯარისკაცები

ქვიათ, ვინც იბრძვის გერიგორიული მთლიანობისთვის... სწორედ გამიგე, მინდა პაგარა, სულ უმნიშვნელო რაღაც გავაკეთო ჩემი სამშობლოსთვის და დაე სიცოცხლეც წავაგო იქ. ხუთი თვის უკან არაბმა მკითხავემა მიმარჩიელა, უდაბნოში მოკვდებო. არ აცხადდა მისი სიტყვები, — გაჩუმდა. მანქანის საბურავს ფეხი წაარტყა, მეგობარს შეხედა. — საქართველოში ლამაზი გოგოებია?

— ძალიან! თუმცა ნათქვამია, გავიწილს ნანახი სკობიაო! ჩავალთ და...

ნიკამ საუბარი შეწყვიტა და რაღაცას დაამტერდა შორს, თვალმოჭუტული. ბაქარმაც იქით გახედა. მტვერში გახვეული მანქანები სწრაფი სვლით უახლოვდებოდნენ. სამი მანქანა გვერდიგვერდ მოჰქროდა. ღურბინდი აიღო. შეიარაღებულები ისხდნენ. მანქანაში, რომელიც შედარებით წინ მოდიოდა, ორი თეთრჩაღმიანი მოსხანდა. აქეთ-იქით იყურებოდნენ. ხის ქვეშ გაჩერებული მანქანა შენიშნეს და მისკენ აიღეს გეზი. ბაქარმა, ისე რომ არც წამომდგარა, კარი გამოაღო, ამერიკული ექვსლულიანი მრგვალი ტყვიამტრქვევი გამოიღო და თავის გვერდით, მანქანაზე მიაყუდა. მოახლოვდნენ და შედგნენ... ყველგანმავალში მჭადარი ვაჟა ჭინჯოლია გაოცებული სახით მიაჩერდა ფეხზე წამომდგარ, რისხვისაგან სახეშეცვლილ ანჯათფარიძეს...

— ამას აქ რა უნდა? — გადაულაპარაკა აღელვებულმა თანამგზავრს.

— ვინაა? — იკითხეს.

— ის, ვისი გულისთვისაც აქ ვართ, — ბრაზით თქვა. — აიყვანეთ!...

— მანქანები გარს შემოერტყნენ.

— ბაქარ, ეს ისინია! — ხმადაბლა გამოსცრა კბილებში ნიკამ.

— გასაგებია! — აულელვებლად წარმოსთქვა ვაჩნაძემ და ფეხზე წამოდგა. მის ღანახვაზე არაბებმა „ო, ალაჰ!“ თითქმის ერთდროულად წამოიძახეს და რაღაც ცხოველური შიში, ძრწოლა გამოესახათ შავგვრემან სახეებზე. ერთი მათგანი მიუბრუნდა ჭინჯოლიას:

— ჩვენ ვერ დაგეხმარებით!

— რატომ? — ზიზღი გამოეხატა.

— ვისი შეპყრობაც თქვენ გინდათ, — შიშნარევი მზერა ესროლა ბაქარს, — მისი

თანამგზავრი თუ მას გამოესარჩლა, ამას ჩვენთვის მძიმე შედეგი მოჰყვება...

— კი მაგრამ, ვინაა ასეთი?

— შარხანი!

— ეგ სახელი და გვარია? — ჭინჭოლიამ თვალთ გაბომა ვაჩნაძე.

— მისი გვარი და სახელი არ ვიცით. ვიცით ის, რომ ეგ არის ამ უდაბნოს უგვირგვინო მბრძანებელი. მისი ბანდა, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია, აკონტროლებს ამ ტერიტორიას. თვითონ ეგ უშიშარია უხორცოსავით და თავმებელაღებული. ამიტომ შეარქვეს „შარხანი“. ერთი ღერი თმაც რომ შეერხეს, მაგისი ხალხი ცოცხლად დაგვწვავს. მარტო ჩვენ კი არა, ჩვენს ყიშლალებს, ჩვენს საგვარეულოებს მთლად ამონყვეტენ...

— არ მაინტერესებს! — ვაჟა წამოინია, მანქანებში მსხდომთ გასძახა:

— ეი, თქვენ, შეიპყარით ეს! — ნიკაზე მიუთითა.

— ნიკა! დატყე მანქანაში და გადი აქედან! — ბაქარმა ტყვიამტრქევეი აიტაცა, — ამით მე შევაკავებ!.. მათხოვრებო! — იქუხა. — აქედან ვინც ცოცხალი გახვალთ, მან დაიკვეხეთ! — ორი თუ სამი მოკლე ჭერი მიუშვა მათკენ დაძრულებზე. ოთხი კაცი ადგილზე დაეცა. სხვები მანქანებს ამოეთარნენ. ანჭათარიძემ ბაქარის სახეს შეხედა. ისე გულმშვიდად გზავნიდა ვაჩნაძე ტყვიებს აქეთ-იქით, რომ მიხვდა ნიკა, ბაქარისთვის უცხო ხილი არ იყო ცოცხალ სამიზნეებზე, ადამიანებზე სროლა. ამ წუთებში ეს არ სწყენია. ბუნებრივად ჩათვალა რატომღაც... სეცევისავით წამოვიდა ტყვია. ნიკამაც ავტომატს დაავლო ხელი. ბაქარს სროლა არ შეუწყვეტია, ისე გამოხედა ანჭათარიძეს.

— შენ გითხარი, სანამ დროა, გადი, გააღწიე აქედან!

— ცუდად გცნობივარ, ბაქარ! — ნიკამ გრძელი ჭერი მიუშვა იმ მანქანაზე, რომლის უკან ვაჟა ჭინჭოლია ეგულეობდა. — შენ აქ დაგტოვო და მე წავიდე? ან ორივე ერთად გავალთ, ან არცერთი...

ბაქარმა თავი გააქნია, შემობრუნდა და მუხლებზე წამოიჩოქილმა გრძელი ჭერებით ჩაცხრილა მანქანა, რომელიც უკნიდან, მდინარის მხრიდან უჭრიდათ გზას. მანქანა აბოლდა, ააღდა და ცეცხლში გაეხვია. მხოლოდ რამდენიმე მოასწრო გადმობგომა...



უცებ, მომენტალურად დადუნდა მისი ტყვიამფრქვევი. ნიკამ მოხედა. „ბაქარ!“ — არაადმიანურად იღრიალა ანჭათარიძემ, იარაღი დააგდო და მისკენ გაქანდა. წამოდგომას ლამობდა ვაჩხაძე, მაგრამ ველარ დგებოდა. ცდილობდა ძირს დავარდნილი იარაღის აღებას, ძალა აღარ ჰყოფნიდა... მკერდში სასიკვდილოდ დაჭრილს, ღვარად მოსჩქეფდა სისხლი. მწარე ღიმილი, სასიკვდილოდ განწირულის ღიმილი ეფინა მის კეთილშობილურ, ვაჟკაცურ სახეს... ნიკამ წამოსვა, ხელი მოხვია, მანქანასთან მიაჩოჩა, ბეჭებით მიაყრდნო, მის წინ დაიჩოქა, თვალებში ჩახედა... ნელ-ნელა ეცლებოდა აზრი, ბინდი ისადგურებდა ბაქარის მუქ, ცისფერ თვალებში. უსუსურად, ნელა შეძლო მაინც ხელის წამონევა, ნიკას დაადო ხელბე, გაუღიმა:

— ხელავ? ამიცხადდა მაინც მოხუცი მკითხავის სიტყვა, — თავი გადაუვარდა, ღრმად ამოისუნთქა და თვალები დახუჭა.

— არა! — იყვირა ნიკამ, ბაქარის ტყვიამფრქვევი აიღო და თავდამსხმელებისკენ შებრუნდა. სასხლეტს დაანვა... მანქანას, რომელსაც ვაჟა ჭინჭოლია ეფარებოდა, ნაბიჯით, ნელში გამართული უახლოვდებოდა და ტყვიას ტყვიაზე აყრიდა...

— ესროლეთ! — გაათვრებულმა ჭინჭოლიამ ძლივს წარმოსთქვა ერთადერთი სიტყვა...

თითქოს სადღაც უსასრულობაში უნდოდა გაფრენა, მძლავრი მკლავები მალლა აიქნია ნიკამ, შეიმართა ჰაერში, იარაღი ხელიდან გაუვარდა, მუქარანარევი, ზიზღიანი ღიმილით გახედა ვაჟა ჭინჭოლიას და ერთიანად გულმკერდდაცხრილული მონწყევით დაეცა...

— ვერცმფრენი მოდის ჩვენსკენ! — იყვირა არაბმა. ჭინჭოლიამ ნიკა ანჭათარიძის უსულო გვამს სინანულით დახედა და მანქანას შეახტა. „გავიდეთ აქედან, სწრაფად!“ — შეუძახა გადარჩენილებს...

ვერცმფრენი ახლოვდებოდა...

...ბინდგადაკრული თვალები გაახილა ბაქარმა. რალაც გუგუნმა გონს მოიყვანა. საოცარი ბოლი ეფინა ირგვლივ ყველაფერს. ბოლი, რალაც მყრალი კვამლი ჩაჰგუბებოდა სხეულშიც... უცრად ცხენის ჭიხინი და თლოქვთა თქარათქური ჩაესმა... შესძლო მუხლებზე წამონევა... გახედა... მიწა ირყეოდა. აურაცხელი ჩალმიანი მხედარი მთელი ძალით ზედ შეეღწენა უცხოურ სამოსში გამონყობილ მხედართა დასტებს... საუკუნეებმა უკან დაიხია და ბაქარმა იცნო ისინი... იცნო არაბი, რომელმაც ყალყზე შემდგარი ბედაური ზედ მიაგდო ვენეციელ ოფიცერს და

ცხენიდან ძირს გადმოუშვა... იცნო... ორივე იცნო... რაღაც ნამმა უცებ გაყინა ყველა და ყველაფერი... არაბებიც, ვენეციელებიც, ყველანი ბაქარისკენ შემობრუნდნენ... „მიშველე, მაჰმუდი!“ — დაიხურჩულა ბაქარმა, მაგრამ ეს ჩურჩული გრგვინვასავით გაისმა უდაბნოში... „მაჰმუდი კი არა, ხეჩა ვარ, გამაგრდი, ბიჭო!“ — შესძახა არაბთა ასისტავმა და მეთხვინავი ცხენი გამოაქანა... ვენეციელი ასისტავიც ცხენს მოეწვლო. გვერდიგვერდ მოჰქროდნენ მისკენ...

ვერცმურენის ბორბლები მიწას არც შეხებოდა, რომ სოსო და ნორმანი იარაღშემართულნი უკვე ძირს გადმოხცნენ. დაჭრილ-დახოცილები ეყარნენ ირგვლივ... ნორმანმა სოსოს შეხედა და შეცბა... ამ უკანასკნელმა ავტომატი შორს მოისროლა, ამოიყვინა გაუგებრად რაღაც და ხელებგანვდილი დაჭრილს ეცა, რომელიც მუხლზე დამდგარი მანქანას მიყრდნობოდა და უკვე ძირს ეცემოდა...

— ბაქარ! ბაქარ, ძმაო! — ჩურჩულებდა სოსო და პაგარა ბავშვივით ცრემლები ლაპალებით სცვიოდა. ნამოსვა უკვე გონებაშიხდილი, მკერდზე მიიკრა, სახეზე მოუსვა ხელი...

— ხეჩა, მოხვედი? — დაიხურჩულა მომაკვდავმა. — საქართველოში წადი... აქ არ დარჩე... აქ სიკვდილია... გესმის, ხეჩა?

— ხეჩა კი არა, სოსო ვარ, ბიჭო შენი ძმა! — სოსოს მხრები უცახცახებდა. გაქვავებულნი ედგნენ თავს ნორმანი და მფრინავები. გულდამძიმებულნი შეჰყურებდნენ ძმების საბედისწერო შეხვედრას.

უცებ აზრი მოიკრიბა თითქოს... წამოიწია, თვალები გაახილა. შეხედა, გაუღიმა; თავი მიაყრდნო სოსოს მკერდს და შვებით ამოისუნთქა...

— შენ ხარ, სოსო? მაინც მიპოვე? ვკვდები, ძმაო! უთხარი დედას, ძია გიორგის, ყველა ჩვენთანს, რომ მთელი ეს წლები მხოლოდ სიკეთეს ვემსახურებოდი. თუ რაიმე ჩემს უნებლიედ ჩამიდენია, დღეს ჩემი სიკვდილით გამოვისყიდე ალბათ... მაგრამ ვერ ვუშველე მაინც... — იქით გაექცა დაბინდული მზერა, სადაც ცხელ ქვიშას ანჭათარძე გადამხოვოდა. — აქ არ დაგვტოვოთ არც ერთი, ბიჭო! როგორ მინდოდა... — ამოიკვნესა, რაღაცის მავედრებელი, ცრემლიანი თვალებით შეხედა ძმას, არაფრისმთქმელი მზერა მოავლო ირგვლივ, თავი ჩამოუვარდა და გათავდა...

დანალვლიანებულნი შეჰყურებდნენ სოსოს, რომელსაც ძმის უსულო სხეული გულში ჩაეკრა და რაღაცას ჩასჩურჩულებდა...

## XVIII თაზი

ბორის ოსიპოვმა ლომს გადააბიჯა და ამღვრეული თვალები მიაპყრო ქალებს, რომელნიც შიშით გათანგულნი კუთხეში მიყუყულებდნენ. ოთახს მოავლო თვალი. სანოლზე ჩამოჯდა. იქვე, კედელთან გიტარა იყო მიყუდებული. ხელში აიღო, სიმებს ჩამოჰკრა და ჩახლეჩილი ხმით წამოიწყო:

В час ранней, утренней прохлады,

Вперял он любопытный взор,

На отдаленные громады,

Серых, румяных, синих гор...

გიტარა იატაკზე მოისროლა. კვლავ ქალებს შეხედა. წამოდგა, მათკენ გაემართა. ზეინა შეშინებულ-შემკრთალ თვალებს არ აშორებდა ოსიპოვს. შედგა მათ წინ... მუშტის თვალით შეათვალიერა ორივე...

— შენ უფრო ქორთა ხარ, — ნიკაპზე ხელი მოკიდა ზეინას, — მოდი ჩემთან!

მკლავზე მოავლო ხელი, სანოლისკენ გაათრია.

— ხელი გაუშვი და გაეთრიე აქედან! — უყვირა მარიკამ.

— ნუ გეშინია, ძვირფასო! — მიუბრუნდა ბორისი, ამაღამ შენც დაგაკმაყოფილებს ბაგონი ვაჟა და თუ მას არ მოუნდება, ამის მერე შენი ჯერი იქნება. უდაბნოები გადაეჩხრიკე და ბაკური ვერსად ვიპოვე, რომ წინილივით წამედრო მისთვის კისერი, — ჩაიხითხითა. სანოლზე ჩამოჯდა, აფართხალეული ზეინა მუხლებზე დაისვა. საკინძე შემოახია და მკერდზე დააცხრა. ზეინას გული შეუღონდა. ოსიპოვმა სანოლზე გადააწვინა და ქამრის შესწნა დაიწყო. აღარ დასცალდა. ვიღაცის რკინის ხელმა ზეზე წამოაგდო და კედელს შეანარცხა...

მარიკა სულგანაბული შეჰყურებდა შუალამისას თანჯრიდან გადმომხტარ უცნობს...

ბორის ოსიპოვი გონს მოეგო, სახეზე ხელი მოისვა და მოულოდნელ თავმდამსხმელს მძვინვარე თვალები შეანათა. სახეზე გაცეცხა გამოეხატა.

— რამაზანოვ, შენ? აქ რა ეშმაკმა გადმოგაგდო?

— შენს დასასჯელად მომავლინა ალაჰმა! — ჩაიციხა ახმედმა. — როგორც ვაცყობ, ვერ

შეასრულე მეფის ბრძანება!

— ეგ ჯერ კიდევ საკითხავია! — გამოსცრა ბრაზით ოსიპოვმა.

— საკითხავი აღარაფერია. ყველაფერი ნათელია. შენ რომ ბაკურს გადაჰყოფდი, მერნმუნე, მე ველარასოდეს გნახავდი, ეგ შენი ბინძური სიფათი უკვე სადღაც უდაბნოს შლამში იქნებოდა ჩათლული...

— მოლაღატე! აქედან ცოცხალი ვეღარ გახვალ! — ბორის ოსიპოვმა დანა იძრო. ახმედს ეცა. მარიკამ თვალები დახუჭა... სანოლზე მძიმედ დაეცა ვიღაც. ამოიკვნესა...

— სწრაფად! — ჩაესმა მარიკას, — ამ გოგონას შემოაცვი რამე... თვალი გაახილა. მის წინ ახმედი იდგა...

— ვინ ბრძანდებით? შემკრთალმა შეხედა.

— მეგობარი! — მოკლედ მოჭრა რამაზანოვმა. — იჩქარეთ! ჯერ თქვენ გაგიყვანთ, მერე კი ამათ მივხვდავ. — თავი გაიქნია მეზობელი ოთახისაკენ, საიდანაც მთვრალეების ჟრიაშული ისმოდა.

მარიკამ ზეინა სწრაფად მოასულიერა და კითხვით შეხედა მხსნელს. ახმედმა თანჯრისკენ ანიშნა. თანჯარასთან მისულეებმა უკან დაიხიეს. აივანზე ორნი ისხდნენ...

— ნუ გეშინიათ! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა რამაზანოვმა, — ეგენი საშიში აღარ არიან.

სათითაოდ გადასვა თანჯრიდან. თვითონაც გადავიდა. იქვე ეზოში ხის ქვეშ დადებული თოფი აიღო, მიიხედ-მოიხედა და მანქანისკენ გაუძღვა. „ჯიპი“ ყიშლალს რომ გასცილდა, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა მარიკამ თავისუფლად. მიხვდა, საფრთხე გავლილი იყო. ზეინა მარიკას მიჰკვროდა. მანქანა ნელა მიყავდა ახმედს. სახეშეჭმუნული რაღაცას თეიქრობდა.

— თქვენ ბაკურის მეგობარი ხართ? — დაარღვია სიჩუმე მარიკამ.

— დიახ!

— ბაკურიც აქ, უდაბნოშია?

— კი, აქ არის. თქვენ გეძებთ...

— სადაა ახლა? — მარიკას სიხარულისგან სუნთქვა შეეკრა.

— არ ვიცი! — ნაღველგარეული ხმით თქვა. — ვიცი, რომ აქაა, მაგრამ ჭერჭერობით ვერ შევხვდი

— ახლა საით მივდივართ?

ახმედმა მანქანა შეაჩერა. შემობრუნდა. დაფიქრებულმა შეხედა მარიკას.

— არც ეს ვიცი! — ზეინას მიუბრუნდა, არაბულად მიმართა:

— ისეთი საიმედო ადგილი გეგულებათ სადმე, რომ გულმშვიდად შევძლო თქვენი იქ დატოვება?

— კი! — ზეინა ცრემლიანი თვალით შეჰყურებდა. — ბიძაჩემთან.

— შორია იქამდე?

— სამოცდაათი კილომეტრი.

— სამოცდაათი კილომეტრი, თუქრიანად გაიმეორა, — შორია. შორია, მაგრამ სხვა გზა არ არის. მიმართულება მითხარით! — მანქანა დაძრა.

თენდებოდა...

ვაჟა ჭინჯოლიას სასმელი გვარიანად მოეკიდა. ოსიპოვის და მისი ხალხის ჩამოსვლით გახარებული ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. სიფრთხილედ უკვე აღარ ახსოვდა. ხშირად იყურებოდა კარისკენ, რომლის იქით რუსი გაუჩინარდა. მარიკას მაღალი მკერდი დაუდგა თვალწინ. ნებიერად, ჟინიანად გაიზმორა. „მეყო, რაც ვითმინე!“ — გაიფიქრა და ფეხზე წამოდგა. ოთახისკენ გაემართა. სიამოვნების მოლოდინში ფრთხილად შეაღო კარი... განცვიფრებულმა მიმოიხედა. ქალები არსად ჩანდნენ. ბორის ოსიპოვი თავისივე სისხლში ცურავდა. თვალები დახუჭა. გაახილა. არა! აქ საეჭვო არაფერი იყო. გარეთ გამოვარდა... ვინც გარეთ ყავდა დატოვებული, ცოცხლები აღარ იყვნენ. გიჟივით შევარდა სახლში.

— გავდივართ! — შეჰყვირა და მძინარეებს, რომელთაც ვერ აღვიძებდა, გაგულისებულმა წიხლები დაუშინა...

ციშლალის დაგოვებიდან სამ საათში ბაქარს და ნიკას გადაეყარნენ...

გზა უსაშველოდ გაგრძელდა. შუადღემ მოანია. მზე საშინლად აჭერდა. არსად ჩანდა ის დასახლება, სადაც, ზეინას თქმით, მისი ახლობლები ცხოვრობდნენ. ახმედი დაძაბული იყურებოდა აქეთ-იქით. არსად ჩანდა ნიშანწყალი სიცოცხლისა. მიხვდა, გზა აებნათ. სანვაგი იღვოდა... ზეინას უცებ სახე გაუნათდა...

— შეხედეთ! — შეჰყვირა. — იმ კლდეებს ხედავთ?

აღმოსავლეთით მთაგრეხილი მოჩანდა. სვლა შეანელა. მანქანა გაჩერდა.

— მაგ მთაგრეხილს იქით ქალაქი დამასია! — მტკიცედ თქვა ზეინამ.

— არ გეშლებათ?

— არა. ვიცანი ეს ადგილი. აქ არაერთხელ ვარ ნამყოფი.

— ძალიან კარგი, — მშვიდად თქვა. ჩათუქრდა. — ნაცნობი, ახლობელი, თუ გყავთ ვინმე?

— არაუინ!

— კლდეებიდან რა მანძილია ქალაქამდე?

— ალბათ კილომეტრი...

— მანქანას აგარებთ? — მარიკას მიუბრუნდა.

— რა თქმა უნდა.

— იცით, — ახმედს გაელიმა, — მე ცოცხალი სხვანაირი გზებით ვარ შემოსული ამ ქვეყანაში და ჩემი გამოჩენა ქალაქებში ჯერჯერობით არ შეიძლება. არ მინდა, რომ თუნდაც ნუთიერად შემეყოვნოს პოლიციამ ან ვინმე სხვამ, რადგანაც ბაკურის მცირერიცხოვანი ჯგუფის გასანადგურებლად ამ უდაბნოში საკმაოდ ბევრი ხალხია გამოსული. არა მხოლოდ ისინი, ვინც თქვენ ნახეთ... მათ გარდა კიდევ ორი ჯგუფია...

ჯინსის ქურთუკი გადაიხსნა. ფული ამოიღო. გაუნოდა.

— ათი ათასი დოლარია. აიღეთ. იყიდეთ განსაცემელი, რაც გჭირდებათ ყველაფერი. დაბინავდით სასტუმროში. თუ სამ დღეში მე ან ბაკური არ გამოეჩნდით, ეცადეთ სამშობლოში დაბრუნდეთ. ფული გეყოფათ. სასტუმროდან ეცადეთ გახვიდეთ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. მგონი ყველაფერი გასაგებად ვთქვი!

მარიკას თვალები აუნწლიანდა.

— კი, მაგრამ როდის, სად შევძლებ ამ ფულის დაბრუნებას? მე ხომ ისიც არ ვიცი, ვინ ხართ თქვენ, ვინც ჩვენი გულისთვის ამდენი გააკეთა?

— გითხარით, ბაკურის მეგობარი ვარ. მეცის თქმა არაა საჭირო. რაც შეეხება ფულს, ამაზე საერთოდ ნუ ვილაპარაკებთ. მე მეგობარი მიტობს ფულს და ყოველგვარ საგანძურს. ახლა კი ძალიან გთხოვთ, მანქანაში სანვაგი ჩაასხით. ქალაქგარეთ კლდეებთან დაგელოდებით. შეძლებთ?

მარიკამ თავი დაუქნია. საჭესთან გადაინაცვლა და ზეინას ნაჩვენები გზით წავიდა. ახმედი ნელი ნაბიჯით გაემართა მთაგრეხილისკენ. დაცხა. გაიხადა ქურთუკიც და მაისურიც... კლდეებს შუაგულს თვალი. ნელა ავიდა ზედ. მის წინ ქალაქი იყო გადაშლილი. ჩამოტვლილი. სიმარტოვე და სიჩუმე ესიამოვნა. კლდის შვერილს ზურგით მიყრდნობილი, თვალმოჭუტული გასცქეროდა ქალაქს, სადაც სიცოცხლე ჩქეფდა — მიმოდრიდნენ მანქანები, ირეოდა ხალხი, ბოლაგდა ქარხანა. მზე უკვე იხრებოდა და მუქი ყვითელი უდაბნო ისე ღუმდა ირგვლივ, ისეთი უძრავი იყო ყოველივე, რასაც თვალი სწვდებოდა, თითქოს ბუნება რაღაც საიდუმლოებას ინახავდა გულში და არ უნდოდა გაემხილა. საოცარი, ველური სილამაზე იყო ირგვლივ. თვალები დახუჭა... სასიამოვნო ბურუსში გახვეული ქვეყანას რაღაც არაჩვეულებრივად, უცნაურად აღიქვამდა ამ წუთებში... რატომღაც ძალზე მკაფიოდ იგრძნო ყველაფერი, რაც უნდა ეგრძნო და განეცადა, რის განცდაც თურმე ყოველთვის უნდოდა, მაგრამ რასაც სხვა დროს არ აქცევდა ყურადღებას ასე მძაფრად... თითქოს ჩასწვდა თავისი ყოფის საიდუმლოს, რომელიც სიგყვით არ გამოიხატებოდა, რადგან სიგყვა აუბრალოებს გულში დაგუბებულ განცდას... „უარგია ეს ოხერი ქვეყანა! სიცოცხლე“ — გაიფიქრა. ასეთი თხიბვლი და ნათელი შეგრძნება თითქოს იმ უცნაური გაბრუების გამო დაეუფლა, რომელსაც განიცდის ახლა... ყველაფერი, რაც ირგვლივ ჩანს, რასაც თვალი ხედავს, ადამიანებს თავისთვის გონივრულად შექმნილი, მაგრამ მაინც უცხოა ის კაცისთვის და მხოლოდ დროებით არის მისი. ყველაფერი დროებითია. ადამიანი არ არის მარადიული როგორც სამყარო, და ამიტომაც ცვალებადი და წარმავალია ყოველივე ადამიანური...

იჭდა ახმედ რამაზანოვი. იჭდა კლდის შვერილზე, სადაც არავითარი საშიშროება არ ელოდა, იჭდა და ცდილობდა არათფერზე ეფიქრა, დროებით, ნუთიერად მაინც გამოთიშოდა ყველაფერს, მაგრამ მიუხედავად სულიერი სიმტკიცისა, მაინც ვერ იცილებდა მოლოდინს რალაც ცუდის, რალაც შემზარავის, რომელიც საკუთარ თავზე ვერასდროს წარმოედგინა, მაგრამ მაინც უფუჭებდა ხასიათს თავისი ყოველ ნუთს შესაძლო გამოვლინებით. „მაინც უნდა მოვკვდე, მაგრამ სად მელის ნეგა სიკვდილი?“ — ფიქრობდა ის და მიუხედავად ასეთი განცდისა, ახლა, ამ ნუთს არ აფიქრებდა ეს ცუდი, არ ახსოვდა ბუნების უღმობლობა, მისი უსამართლო სიმკაცრე, შეგნებულად ცდილობდა არ ეფიქრა ამაზე, დაევიწყებინა. მოახერხა კიდევ ეს და იმდენად ბედნიერი იყო ამ შეგრძნებისგან, რომ უნდოდა დაფიქრების ეს უცბესი ნუთი, ნუთი თავის თავთან, თავის განწყობილებასთან განმარტოებისა, ნუთი ბუნებასთან შეერთებისა და შერწყმისა, დაუსრულებლად გაგრძელებულიყო. მის გულში, ერთმანეთის გვერდით, ერთდროულად ტრიალებდა ორი ურთიერთსანინააღმდეგო განცდა: ბედნიერებისა და მისი წარმავლობისა, გაქრობისა.

„როგორ მომენატრე, ნატა! როგორაც არ უნდა მჯეროდეს შენი, ყველაზე მტკიცე ვაჟუაცობაც კი შეირყევა, როცა არათფერი გესმის იმაზე, ვინც შენთვის ამქვეყნად ყველაფერზე ძვირფასია. ჩემთვის კი ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი შენ ხარ. ცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაგიცანი, ვინც ჭეშმარიტი ბედნიერების იმედი გამიჩინე. ერთი სული მაქვს, როდის გიხილავ. ჩემი ცხოვრება, ჩემი ფიქრები თითქოს აქ ჩერდება — უფრო შორს ვეღარ ვიხედები. ამ ნუთს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვერები — რა საბრალო და საცოდავი ვიქნებოდი, იმედი რომ არ მქონდეს, მალე გიხილო... ყოველთვის მიკვირდა, ადამიანებს რელიგიისთვის მონამებრივი სიკვდილი რომ შეეძლოთ. ამის გაგონება მაკრთობდა. ახლა აღარ ვკრთი — მე არ შემეძლო მონამებრივი სიკვდილი ჩემი რელიგიისთვის. სიყვარულია სარწმუნოება ჩემი და მისთვის სიკვდილი შემიძლია. მე შემიძლია მოვკვდე შენთვის. ჩემი მრწამსი სიყვარულია და შენ ხარ მისი ერთადერთი საყრდენი... სიყვარული ღვთიური უნარია, რომელიც უნდა დარგო და ახარო, მე კი ის სასტიკი განჯვისა და საშინელი გამოცდის ფასად მომეკვლინა. როგორ მინდოდა ჩამოვსულიყავი შენთან, მაგრამ უფალი ახალი და მოულოდნელი გზებისკენ მიბიძგებს მუდამ... მეც მეტი აღარათფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ მივენდო ბედს, არ შევედო მას, იმედი ვიქონიო, რომ იგი თავის რჩეულებს არასდროს დალაგობს...“

მანქანის ხმამ გამოიყვანა ფიქრებიდან, „ასე მალე დაბრუნდნენ?“ გაითიქრა. წამოჯდა. არაფერს ჩანდა წინ. უკან მიიხედა. ფრთხილად აიღო გვერდით დადებული „ვინჩესტერი“. კლდეს აეკრა. ერთი კი არა, კლდის ძირში ოთხი მანქანა იყო გაჩერებული. მაშინვე იცნო მანქანები,



რომლებიც ყიშლალის იმ ეზოში ნახა, სადაც ოსიპოვს გადაეყარა. მანქანაში მსხდომნი ღურბინდებით გაჰყურებდნენ ქალაქის შემოგარენს. იქით გაექცა თვითონაც მზერა. ერთადერთი მანქანა გამოსცილდა ქალაქს, კლდეებისაკენ აიღო გეზი. იცნო, მარიკა ბრუნდებოდა. ძალუმად მოუჭირა ხელი იარაღს. ფიქრის დრო აღარ იყო...

„ათიოდე წუთში აქ იქნებიან. უნდა გაიგონ რომ აქეთ საფრთხეა, მაგრამ როგორ? სროლის ხმა მიაღწევს იქამდე?“

მანძილს გახედა. „მიაღწევს! გაიგონებენ!“ ზედიზედ იქუხა მესაზღვრისგან ართმეულმა ავტომატურმა „ვინჩესტერმა“. პირველი ტყვიები მძლოლებს გაუგზავნა. სამი მათგანი საჭეებს დააკვდა ზედ, მეოთხე, რომელიც იმ წუთას მანქანიდან ძირს გადმოდიოდა, ქვიშაზე ზურგით დაეცა. პანიკური შიშით შეპყრობილი, სხვები მანქანებიდან ხტებოდნენ და კლდის შვერილებს ატარებდნენ თავს. ახმედმა მიიხედა-მოიხედა. სწრაფად, ზუსტად შეათვასა სიტუაცია.

„ღია პოზიციაზე ვარ. აქ პატარა ბაშვიც არ ამაცილებს ტყვიას. ძირს უნდა ჩავიდე!“ გადაიხედა. იმ ბილიკის ბოლოში, რომლითაც კლდეზე ამოვიდა, უკვე ხუთი თუ ექვსი კაცი

ჩანოლილიყო. გაეღიმა. როგორც კარგი კალათბურთელი აგზავნის ბურთს ბადისკენ, ისე ამარტულად, ზუსტად ისროლა პირველი ყუმბარა. აფეთქებამ შეძრა იქაურობა. ქალაქისკენ გაიხედა. მანქანა შეეჩრებიანთ და ფეხე წამომდგარნი იყურებოდნენ. მაშინვე თვალი მოჰკრა კიდევ ერთ მანქანას, რომელიც მგვერდში გახვეული აქეთ მოიჩქაროდა. „ემატებიან ნელ-ნელა!“

— ბრაზით გაიფიქრა. მეორე ყუმბარა იმ მანქანისკენ ისროლა, რომელზეც ტყვიამტრქვევს უკვე მისკენ აბრუნებდნენ. ყველაფერი — ტყვიამტრქვევი, მანქანის ნამსხვერვეები, დაჭრილები და მოკლულები ერთმანეთში აირია. ძირს, კლდიდან მარცხნივ, უშველებელი ლოდები, თითქოს ადამიანის ხელს დაუნყვიაო, ერთმანეთზე ელაგნენ. ახმედმა მანძილი გამოზომა, აინია და გადახტა. ლოდიდან მინამდე სულ 5-6 მეტრი თუ იქნებოდა. ჩანგრეული ლოდების გრუხუნმა წუთიგ გადათარა სროლის ხმა. მორყეულმა ქანებმა ვერ გაუძლო სიმაღლიდან გადმომხტარი ადამიანის სიმძიმეს... უშველებელმა ლოდმა ძირს დაიგანა ახმედ რამაზანოვი... გულმკერდდანგრეულმა შეძლო, ანია მარტყენა ხელი და საკუთარი სისხლით ზედ დაცემულ ლოდს მიანერა: „აგლანგაში ჩადი! მიხედე ნაცას“. ხელი ჩამოუვარდა. ისევ მეუღლე დაუდგა თვალწინ... „სად ხარ ნაცა!.. ისე მინდა ახლა შენს ახლო ვიყო, შენს სუნთქვას ვგრძნობდე, მაგრამ ეს ისეა შესაძლებელი, როგორც ცისა და დედამიწის შეერთება. ჩემი ფიქრები, ოცნებები ნელან გედის სიმღერა ყოფილა თურმე. რა საშინელი

მარტობაა... რა უსაზღვრო უთვისტომობაა... რა საშინელი უფსკრული მიპირებს შთანთქმას... ბუნებამ მიძუბოლა. ალბათ აღარ იყო სამყაროსთვის ჩემი სიცოცხლე საჭირო... ბედისწერა... ბედისწერა...“

ამოიხრიალა, პირიდან სისხლი წასკდა — შეერია უდაბნოს მეჩხერ ხავსს და ცხელ ქვიშას... გაქცევა აღარ დასცალდა ვაჟა ჭინჭოლიას. მანქანა, რომელიც ბოლოს შენიშნა ახმედმა, მურად

ხათუთ-ბეგს ეკუთვნოდა. ლომებზე მონადირეს ვერ შეძლეს გასხლტომოდნენ. კვალდაკვალ მოჰყვა. შეგაკება სწრაფად დამთავრდა. ახმედ რამაზანოვის დაღუპვით თითქმის ჭკუაზე შერყეულმა თხოველმა არაფერს დაინდო. სახედასისხლიანებული ჭინჭოლია მურადმა გამოიყვანა კლდეებიდან. გაძაგრული ეჭირა ხელში. ლოდი გადააგორეს. ახმედისთვის ლოდს მკერდი ჩაემტვრია. ბაკურმა იარაღი ძირს დაყარა, მაისური გაიძრო, სახე მოიწმინდა. დაიხარა, ხელში აიყვანა მეგობრის უსულო გვამი და კლდეების ბოლოსკენ წელი, მოტორტმანე ნაბიჯით გაემართა. ევა, მარიკა, მურადი, ზეინა, ქალაქიდან სროლის ხმაზე მოვარდნილი პოლიცია და ცნობისმოყვარეთა ჯგუფი სულგანაბული მისჩერებოდნენ. ევა წამოწია:

— ბაკურ, სად მიდიხარ?

— მარტო დამტოვეთ! — ყველაფრის და ყველას მიმართ ზიზღი და სიცივე გამოკრთა ბაკურის თვალებში და საოცრად მშვიდ ხმაში... მოთარებულში, ხავსმოდებულ ქვაზე დაასვენა. მუხლზე დაშვა მის წინ. აკოცა სისხლით მოთხვრილ მუხლზე, მიიხედ-მოიხედა. არაფერს იყო. ცრემლმა თავისით იპოვა გზა. გიროდა ბაკურ თხოველი. გიროდა ჰაგარა ბიჭობის, შორეული ბავშვობის შემდეგ პირველად. გიროდა და არ რცხვენოდა თავისი ცრემლების. მუხლებშუა ბავშვივით თაფხარგული თავს ველარ ერეოდა. უეცრად ზეზე წამომხტარი თავით დაეჯახა კლდეს. სისხლი გადმოსკდა გახეთქილი შუბლიდან. მეორედ დააპირა კლდეს შესკდომოდა. ვილაცის ძლიერმა ხელებმა შებორკეს.

— ბაკურ, დანყნარდი, გთხოვ! — მურადი მავედრებელი თვალებით შეჰყურებდა.

— იქით! — იღრიალა საშინელი ხმით. ხელიდან გაუსხლტა მურადს. კლდისკენ გაქანებული უეცრად შეჩერდა, დაბარბაცდა, მუხლებზე ჩაიჩოქა. ხელით დაეყრდნო მიწას. მეორით თვალებზე ჩამონადენი სისხლი მოიწმინდა. უაზროდ მიმოიხედა ირგვლივ. ევა ცრემლიანი თვალებით მისჩერებოდა. ეს აღარ იყო ის ბაკური, ვინც წუთების წინ

დაუნდობლად ხოცავდა ყველას, არ იყო ის, ვინც ეკას თვალწინ შეუბრალებელი სისასტიკით ამოჟლიტა ჭინჯოლიას ჯგუფის წევრები. მას აღარ ჰქონდა შურისმაძიებლის სახე. ეს იყო თითქოს და უმანკო, გულუბრყვილო ბავშვის სახე, რომელიც უბოძო ტკივილს დაემახინჯებინა. წუთის წინ მიღებული სულიერი განცდების კვალი ალბათ აღარასოდეს წაეშლებოდა... წამოინია. სახეარეული, ცრემლიანი თვალებით კვლავ ახმედს დააჩერდა... მურადმა მისკენ გაიწია. მარიკიამ შეაჩერა. ექიმის უცყუარი ალღოთი მიხვდა, ცოტაც და ბაკურ ფხოველი ჭკუიდან შეიშლებოდა.

— იტიროს, თავისუფლად მიუშვით, მოიხოს გული. — თვითონაც ცრემლები წასკდა, კლდისკენ შებრუნდა...

ქალაქიდან გამოსულ მოქალაქეთა ჯგუფში მყოფმა ქალბატონმა ნაღვლიანი ხმით გადაულაპარაკა მეგობარს:

— რა არ ხდება! ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ამდენი ხალხის მკვლელს მეორე წუთში ასეთი სახე ექნებოდა... ვინ თქვაბიჭები არ ტირიანო!..

## XIX თავი

როგორც იქნა, შხაპუნა წვიმამ ქალაქ სტამბულს ივნისის ხვატი სიგრილით შეუცვალა. დაიწყო ზაფხულის მონმენდილი ამინდები. დღისით ზღვიდან მონახერი გრილი ნიაგი მზის მცხუნვარებას ძალას აცლიდა. შებინდებისას ნიაგი ისევ ჩადგებოდა ხოლმე. მშვენიერი საღამო იყო და ქალაქის თავზე ჩამონოლილი ნისლის ფარდა ჩამავალ მზეს მომხიბვლელ ელფერს აძლევდა.

მზე იისფერქობაშემოვლებულ მოცისფრო-რუხი მგერის ღრუბლებს იქით მიიძალა და ჰორიზონტზე დასულმა ზეცას ჯერ ყვითელ-წითელი, შემდეგ კი მენამული ცეცხლი წაუკიდა. ცაზე ათამაშდნენ დაისის მზით აელვარებული ფერები, რომლებიც ჰორიზონტის ჩრდილო და სამხრეთ კიდედმე აღწევდნენ. გავარვარებული ბურთი მთებს იქით იმალებოდა, ხოლო მის ზურგს უკან ქალაქს უკვე ამოსცილებოდა გაცრიატებული წითელი მთვარე...

ვერცმფრენები სტამბულისკენ მიფრინავდნენ. კიდევ რამდენიმე წუთიც და გამოჩნდებოდა დიდებული ქალაქი. კუთხეში მიმჯდარი, გარინდებული ფხოველი ხელის შეხებამ გამოაფხიბლა. თვალი გაახილა. მის გადაღლილ, უძილობისგან გატანჯულ სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდა კაცი. გზაში შეეცადა ცოტა მაინც მოეცყუებინა თვალი. არაფერი გამოუვიდა.

ფიქრები, მოჭარული ფიქრები, მოგონებები უფროსობდა ძილს...

ეკას ხმა ჩაესმა. გვერდით მიუტდა აქამდე მარიკასთან მჯდარი:

— გონს მოდი, ბაკურ! შეძელი საკუთარი თავის ხელში აყვანა. გემუდარები, ნუ დაეცემი სულით. ჩათვალე, რომ ეს ყველაფერი ზმანებაა მხოლოდ. გნამდეს ერთი: როგორი მტანჯველიც არ უნდა იყოს ზმანება, მოვა დრო და ბნელში შთაინთქმება ყველაფერი. რაც ამ წუთში გულს გიკლავს, მას დრო თანდათანობით ჩამოგაცილებს. ჩამოიცილებ იმ სურათებს, ასე რომ გზარავდა. დაივიწყებ ავლანეთის ომს; ვიცი, ძნელია, მაგრამ მაინც დრო გაათერმკრთალებს აქ დახოცილ მეგობართა სახეებს. მაშინ ამნაირად გულშეკუმშული აღარ დაუნყებ ცქერას, თუ როგორ იღვევ შენი ცხოვრება სადღაც. გზის პირას, უშინაარსოდ, თუჭად, უაზროდ. მაშინ ველარც იმას დაინახავ, როგორ ჩაქრება ოდესმე თვით შენი სიცოცხლე, როგორ შეერევი მიწას, როგორ იქცევი ფერფლად. შენ ამასაც ვერ დაინახავ, ამასაც მოიშორებ თავიდან, დაბრმავდები ორივე თვალით. დადგება დრო და გაქრება საერთოდ ჩვენი ხსენება, სრულიად გაქრება ჩვენი შეცოდებანი, სიმართლე, ყველაფერი, სულ ყველაფერი... ახლა კი მოეშვი ამაზე ფიქრს, გეხვეწები...

ხელზე ოდნავ მოუჭირა ხელი და კვლავ მარიკასთან გადაჭდა. გაქვავებული, ცრემლგამშრალი იჭდა მარიკა მეუღლის ცხედართან. ნიკა, ბაქარი, ახმედი გვედრიგვერდ ესვენენ... საღამოს ბინდი იპარებოდა ილუმინატორიდან...

ვერცმერენტა ბორბლები მიწას შეეხო. გიორგი აბაშიძე გულხელდაკრეფილი იდგა. ელოდა. მღუპარედ გადმოვიდა ყველა. მიცვალებულები გადმოასვენეს. აბაშიძემ ყველას მოავლო მზერა. დაიძრა ნელი ნაბიჯით. დახოცილებთან შეჩერდა. გადახადა სახეებზე წათენილი ბრეზენტი. დააცქერდა მღუპარედ. დაიხარა. წუთიერად ჩაეკონა ვაჩნაძის გაციებულ გვამს, ჩაიხურჩულა:

— ეს იყო შენი პირობა, შენი სიტყვა? იმის იმედი მაცოცხლებდა აქამდე, რომ გამოჩნდებოდი. მე მისთვის მინდოდა ყველაფერი, ვინც ჩემს შვილს უყვარდა. შენც დამტოვე? შეგირცხვა ნამუსი!

წამოდგა. აღარავისთვის შეუხედავს. პირდაპირ მიაშურა ვაჟა ჭინჭოლიას, რომელიც გვერდზე მიმდგარი, ჩალურჯებული სახით, საკმაოდ გულმშვიდად შეჰყურებდა ამ სცენას. შედგა მის წინ.

— რას აპირებ ახლა, მინაში ჩაძრომას თუ ჰაერში აფრენას? — მრისხანე, მკათიო, მაღალი ხმით თქვა აბაშიძემ. — არ გეყო, ვერ გაძეხი ქართველთა სისხლით? გახსოვს? მე შენ გაგაფრთხილე! ყურად არ ილე ჩემი რჩევა. შენ ადამიანი კი არა, ბოროტი სული ხარ, ქვეწარმავალი, რომელიც ნახვის უმაღლეს უნდა გასრისო. გაისრისები კიდევ!

ბაკური მიუახლოვდა მათ:

— ბატონო გიორგი, თქვენ მოითხოვეთ ვაჟა ჭინჭოლიას ცოცხლად ჩამოყვანა. ის თქვენს წინაშეა. მე თქვენ მას გაბარებთ ერთადერთი პირობით!

გიორგი აბაშიძემ კითხვით შეხედა.

— ბრძანეთ! — გაოცება გაუკრთა ხმაში.

— თქვენგან მოვითხოვ მხოლოდ ერთს! — თვალი თვალში გაუყარა. — ვაჟა ჭინჭოლია ცოცხალი უნდა გაუშვათ!

ჩათიქრებულმა აბაშიძემ ყურადღებით შეავლო თვალი. უცხად შეჰყურებდა თხოველი. მოხუცი მიხვდა მისახვედრს...

— ორი კვირის შემდეგ ვაჟა ჭინჭოლია თავისუფალი იქნება! — ხმადაბლა, მტკიცედ თქვა გიორგი აბაშიძემ. — მას თავისუფლად შეეძლება თურქეთიდან ნებისმიერ ქვეყანაში წასვლა... დაკმაყოფილდით?

— სავესებით! გმადლობთ! — ბაკურმა ჭინჭოლიას შეხედა. გაუღიმა. ხმადაბლა, ღიმილით წარმოსთქვა:

— ნახვამდის, ბატონო ვაჟა!

ვაჟა ჭინჭოლია, რომელსაც წარბიც არ შეუხრია გიორგი აბაშიძის მუქარაზე, შეაძრწუნა თხოველის ბაგეზე გამკრთალმა საშინელმა ღიმილმა, მისმა მშვიდმა ხმამ. ბაკურ თხოველის თვალებში მან სასიკვდილო განაჩენი ამოიკითხა...

— წაიყვანეთ! — ანიშნა გიორგი აბაშიძემ თავისიანებს.

ვაჟა ჭინჭოლია მანქანაში ჩასვეს. მანქანა ბაღის სიღმეში გაუჩინარდა.

მიცვალებულები აბაშიძის სასახლეში გადაასვენეს. ატლანტას დაუკავშირდნენ. მესამე საღამოს ჩამოფრინდა ნატა გელოვანი მამასთან ერთად. მანქანიდან გადმოვიდა. განცვიფრებული შეჩერდა ყველა. ეს იყო მართლაცდა თრესკებიდან გადმოსული, ხორცშესხმული ანგელოსი. მაგრამ მაინც ეს იყო ქალი, რომლის თუნდაც ცრემლჩამდგარი თვალები კაცს უყოყმანოდ მიაყიდინებდა ეშმაკისთვის სულს. შავი ტანსაცმელი ემოსა ნატას. შავი, საოცრად შავი, გრძელი თმა მხრებზე ეფინა... თავდახრილი, მძიმე ნაბიჯებით შეეგება თხოველი. შედგა მის წინ. ნატამ ყელზე შემოაჭლო ხელები. ქვითინით ჩაეკრა მკერდში. თავი აანეგინა ბაკურმა. თვალებში ჩახედა. შუბლზე აკოცა...

— სადაა? — იკითხა ნატამ.

— იქ! — სახლისაკენ ანიშნა.

— ო, ღმერთო! — ამოიკვნესა, მერე კი ჩაიჩურჩულა:

— მეშინია! მეშინია, ბაკურ!

— ნატა! მე მოვითხოვ შენგან ისეთივე სიმტკიცეს, როგორც იყავი მაშინ, როცა ყოველი მხრიდან სიკვდილი გველოდა, — ხმადაბლა თქვა. — ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ, ჩვენ სხვა უფლება არ გვაქვს! მერწმუნე, შენს გვერდით ვიქნები.

— წამომყვები? წამოხვალ ამერიკაში? — იმედის სხივი გაუკრთა ცისფერ, ცრემლიან თვალებში.

— კი! ახმედის ბოლო თხოვნა, მისი ბოლო სურვილი ეს იყო, — ხელი მოხვია, კიბეებს აუყვებენ...

კიდევ რამდენიმე წუთიც და თვითმფრინავი ამერიკისკენ აიღებდა გეზს. ისევ ისე წვიმდა, როგორც სტამბულში ჩამოსვლის პირველ დღეს. გიორგი აბაშიძის გვერდით მდგარი ეკა ბუჩუკური ნალვლიანი თვალებით მისჩერებოდა შორეულ გზაზე წასასვლელად გამზადებულ ბაკურ თხოველს. თვითმფრინავის ტრაპთან მისული ბაკური შეჩერდა, შემობრუნდა, გამოხედა ეკას. უკან გამობრუნდა, ხელი მოკიდა. ერთმანეთს მიჩერებოდნენ და ღუძდნენ. აბაშიძემ ხმადაბლა, უხერხულად ჩაახველა, განზე გადაგა მამედთან ერთად.

— სევდის დედოფალს გაფხარ!

გაეღმა ეკას. ნაძალადევი იყო ეს ღიმილი...

— დედოფლობის რა მოგახსენო, — თავი დახარა, ცრემლი მოერია. სძლია თავს, მოთოკა ნერვები.

— როდის დაბრუნდები?

— ერთ თვეში...

— ბაკურ, სწორად გამიგე, მე შენ სიყვარულს არ გიხსნი. უბრალოდ მინდა იცოდე, რომ ყოველი წუთი უშენოდ ჩემთვის საუკუნე იქნება. მიუხედავად ამისა, მალე არ მსურს მიატოვო ნატა. იყავი მის გვერდით. ეცადე ყველანაირად შეუმსუბუქო დარდი. მითუმეტეს, რომ შენ უკვე არცთუ იმდენად საჭირო ხარ საქართველოში.

— როგორ? ვერ გავიგე!

— თავდაცვის სამინისტროსგან და უშიშროების კომიტეტისგან უნდა მიგელო ერთადერთი დავალება. შენ საჭირო იყავი ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლი კონტრადვერსიის რამზმების ხელმძღვანელის, „კომანდორის“ შესაპყრობად. უკიდურეს შემთვევაში მისი ლიკვიდაციისთვის.

— ახლა გვიანია?

— გვიანია, ბაკურ! სამწუხაროდ, გვიანია! — ხმა აუთრთოლდა ეკას. — ის უკვე აღარავისთვის არ წარმოადგენს საშიშროებას, მისი მეამბოხე, დაუდგრომელი სული უკვე ცაშია.

— გასაგებად არ შეგიძლია ამისხსნა?

— „კომანდორი“ შენი მეგობრის ფრონტული სახელი გახლდა. ახმედ რამაზანოვს ეძახდნენ

„კომანდორს“.

— გაგიჟდი, ეკა?!

— არა, ბაკურ, სრულ ჭკუაზე ვარ!

— არ მკერა! — ფხოველმა სადღაც შორს, ერთ წერტილს მიაყინა მზერა. — არ მკერა, რომ ახმედი ქართველთა წინააღმდეგ იბრძოდა. მე ამას არც არასდროს დავიტყერებ!

— ნება შენია! ამას უკვე აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა. იცი, ბაკურ? შეიძლება ამას არ უნდა ვთხოვდე ამ წუთებში, მაგრამ ოდესმე შეიძლება მომიყვე, რა მოხდა ავღანეთში?

ჩათქვამულმა შეხედა ეკას. ოდნავ თვალმოჭუტულმა ისე ჩაათვალიერა ქალიშვილი, თითქოს პირველად ხედავს.

— ეკა, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ... ჩემი თხოვნაა, ჩემდამი ყოველგვარი სიმპათიები თავიდან ამოიღო. მე არ ვარ ის კაცი, ვინც შეიძლება შენი სიყვარულის ღირსი იყოს. მოძებნე ვინმე სხვა. დაფიქრდი, საღად განსაჯე ყველაფერი, როცა მიხვდები, რომ ნამდვილად გიყვარს ვინმე, მიდი მასთან და პირდაპირ განუცხადე ეს. ასე აჯობებს... და თუ ოდესმე შეგვხვდით ერთმანეთს, შევასრულებ შენს თხოვნას, გპირდები ამას! — აკოცა, მამედს და აბაშიძეს გადაეხვია, ერთხელ კიდევ შეხედა აცრემლებულ ეკას და სწრაფი ნაბიჯით ავიდა ტრაპზე...

ეკამ საოცარი სიცარიელე, მარტოობა იგრძნო. ტირილი მოუნდა. მის გვერდით მდგარი მამაკაცების მოერიდა...

გიორგი აბაშიძე მიუახლოვდა, ხელი გამოსდო. მანქანისკენ წაიყვანა.

— შეილო, ჩემი ხალხი გაგაცილებს თბილისამდე. — ნალვლიანად შეხედა აბაშიძემ. — მხოლოდ წასვლის წინ პირობა უნდა მომცე, რომ ხშირად ჩამოსვალ ჩემთან, გულს გაუხარებ შენს ძია გიორგის. მე ხომ ამქვეყნად აღარავინ მყავს. შენ ისე გაახარ ჩემს ქალიშვილს... მინდა ჩემს გვერდით იყო, შენ გიყურებდე სულ...

— გპირდებით, ძია გიორგი! — ობლად გაბრდილს, გული აუჩუყა მოხუცის სიციყვებმა. — როგორც კი ჩემი ძმა ღროს გამონახავს, მაშინვე თქვენსკენ წამოვალ. მანქანა ხომ მისია და უმანქანოდ გამიჭირდება...

— მანქანის პრობლემა დღეის შემდეგ აღარ გექნება, — გაიღიმა აბაშიძემ. — ეს მანქანა შენია!

— ბატონო? — ეკამ გაოცებულმა შეხედა — რა ბრძანეთ?

— შენ მხოლოდ ჩემთან ჩამოსვლა ნუ გეზარება... ჩემი მანქანა უკვე შენზეა



გათორმეხული. ამ მანქანით წახვალ თბილისში...

ეკა ბუჩუკურს სიზმარში ეგონა თავი... სტამბულში წვიმდა... წვიმდა... გადაუღებლად წვიმდა...

## მეორე ნაწილი

*„ველზე დაფრინავს პეპელა მარდი,  
და სულ არა აქვს სიკვდილის დარდი“.*

### I ტაზი

თითქმის ცარიელი იყო საქართველოს სამხედრო გზა. კანტიკუნტად მოძრაობდნენ მანქანები. კვირა დღე იყო. ბულაჩაურის გადასახვევთან გამართულ ბაზრობასთან შავი ფერის, ახალთახალი „ბენტლი“ შეჩერდა. ჩამუქებულმინებიან მანქანას გარს ცნობისმოყვარენი შემოხვეოდნენ. ელოდნენ კარის გაღებას და ისეთი მძღოლის გადმოსვლას, რომელიც საკუთარ სხეულს ალბათ ძლივს გადმოიტანდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მანქანიდან. რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა ჰალსტუხიანი, ჩასუქებული კაცის მაგიერ შავ მაისურში, ჯინსის შარვალსა და უბრალო სპორტულ „კედებში“ გამონყობილი მომხიბლავი გარეგონობის გოგონა შერჩათ ხელთ. ქალიშვილმა სათვალე მოიხსნა და ღიმილით ჰკითხა იქვე მდგომ გვარდიელებს:

— ბიჭებო, მარწყვს ყიდიან თუ იცით?

— მარწყვს? ახლავე! — ახალგაზრდა, ქერათმიანი კაპიტანი შებრუნდა, ბაზარი მოათვალიერა და მარწყვის გამყიდველთან თითქმის სირბილით მიიჭრა:

— ქალბატონო, მარწყვი მინდა, ამირჩიეთ მხოლოდ!

გამყიდველმა ამრებით შეავლო თვალი გვარდიელის დაფოთლილ ფორმას, მაგრამ მის ხელში ფულის მსხვილი კუბიური რომ შენიშნა, სახე შეეცვალა, გამხიარულდა.

— კი, ბატონო!

ცელოფანი გაავსო მსხვილი, წითელი მარწყვით. მიანოდა გვარდიელს, ფული გამოართვა. ხურდა მოიქექა ჯიბეში. შეხედა:

— ნეგა შენნაირი იყოს, შვილო, ყველა. ზოგი მოვა და...

— არა, დეიდა, მე არავისთვის არაფერი წამირთმევია. მითუმეტეს ამაღამ ფრონგზე მივდივარ და თქვენს წყევლას ვერ გავიყოლებ თან.

მოხუც ქალს ფული ხელში გაუშეშდა. ხურდა უკან, ჭიბეში ჩაიგენა და თავისი ფული მარწყვთან ერთად გაუნოდა მეომარს.

— ნაილე, შვილო, არ მინდა შენი ფული, ღმერთმა შეგარგოს!...

კაპიტანი დახლზე გადაინია, გამყიდველს დედასავით ეამბორა შუბლზე, ფული იქვე დააგდო, მარწყვი აიღო და მანქანას მიაშურა.

— რაგომ შენუხდით? — ქალიშვილი მანქანიდან გადმოვიდა, პარკი ჩამოართვა. — თან ჩაკბიხა.

— სამხედრო ნაწილში.

— სადაა თქვენი სამხედრო ნაწილი?

— ღუშეთში.

— დაჯექით! — გოგონა მანქანისკენ შებრუნდა. — მე აგიყვანთ.

სიცარიელე იყო ღუშეთის გზაზე.

— ღუშეთიდან ხართ? — იკითხა მძღოლმა.

— მე კი! — კაპიტანმა გასცა პასუხი. — ჩემი მეგობრები თბილისიდან არიან.

— რა გვარი ბრძანდებით? — ქალიშვილმა წუთით მონწყვიტა თვალი გზას, ოფიცერს ყურადღებით შეხედა. — ძალიან ნაცნობი სახე გაქვთ.

— მართლა? — კაპიტანმა გულიანად გადაიხარხარა. — ეკა, შენ შეაყირობ თუ მართლა ისე შევიცვალე, რომ ახლობლებიც ვეღარ მცნობთ ზაზა ნონკოლაურს? — სათვალე მოიძრო.

— ზაზა! — წამოიყვირა ეკამ. მანქანა შეაჩერა. გაოცებულმა შეხედა მომღიმარე ნონკოლაურს. — ზაზა! ჩემო ძამიკო!

აკოცეს ერთმანეთს.

— ექვსი წელია არ გვინახავს ერთმანეთი. როგორ შეცვლილხარ, რა დაგემართა, ბიჭო!

— რას იზამ, ეკუნა, ასე იცის დალხინებულმა ცხოვრებამ, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ზაზამ.

— დაოჯახდი?

— კი, ორი შვილი მყავს, — მძიმედ ამოიხვნეშა.

ზაზა წონკოლაურის მამა იყო ნათლია ბესიკ და ეკა ბუჩუკურების. წლები იყო გასული, ერთმანეთს აღარ შეხვედროდნენ. მიხვდა ეკა, ოჯახში მთლად რიგზე არ ჰქონდა ყველაფერი ზაზას. აღარაფერი უკითხავს.

— მარინე სადაა?

თბილისში.

— წერს კიდევ?

— კი. ახლახან გამოსცა წიგნი, — ზაზამ მინა დასწია. — შენ სად მიდიხარ?

— ფშავში.

— თუ საიდუმლო არაა, ვისთან?

— მეგობრის ნახვა მინდა.

— ჩვენთან არ შეივლი?

— იქიდან რომ დავბრუნდები, მაშინ შემოვივლით, ზაზა. ახლა ძალიან ვჩქარობ.

— აუცილებლად მიდი ჩვენებთან. მამაჩემი სულ შენს ხსენებაშია. მე არ ვიქნები სახლში, მაგრამ...

— სად იქნები?

— აფხაზეთისკენ გავდივართ ამაღამ.

სამხედრო ნაწილთან გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. ევამ მანქანა შემოაბრუნა, ზაზას გახედა. ღიმილით უქნევდა ხელს წონკოლაური...

იმ წუთებში არც ერთმა არ იცოდა, რომ ეს იქნებოდა მათი ბოლო შეხვედრა. არ შეეძლოთ წარმოდგენაც იმის, რომ სულ ხუთი დღის შემდეგ სრულიად საქართველოს შესძრავდა დუშეთის ბატალიონის ერთი ნაწილის მუხთლურად ამოჟლეტის, განადგურების ამბავი. განშორებისას ვერ წარმოდგენდა ევა, რომ მეხუთე დღეს სასიკვდილოდ დაჭრილ მეგობარს გადაეფარებოდა ზედ ზაზა წონკოლაური და თვითონაც ველარ უშველიდა მარწყვის გამყიდველის დედობრივი ლოცვა...

ცხელოდა. ცა ისე იყო გადალურჯებულ-მოკრიალებული, რომ მოდარაჯე კაცი, რომ არა მთები, ცის კიდემდე გაარჩევდა ყველაფერს. სადღაც შორს, ფშავის თვალშეუდგამ მთებს მიღმა, ძალიან თეთრი, ჩახუჭუჭებული, უძრავი ღრუბლის ფთილები ჩანდა. გზის პირებს აწვლი მოდებოდა. მაყვალი ყვავდა ჯაგნარებში, მენამული, მოვარდისფრო ფერი გადაკრავდა შორიდან. ფერდობებზე თხილის, ჭუჭა ზღმარტლის, ებოებში ვაშლის, ბლის, კაკლის ხეები ჩანდა. დაბურული ხეები მწიფე ნაყოფით იყო დახუნძლული.

ევა არაგვის პირზე ჩავიდა. ფეხზე გაიხადა. შარვალი დაიკაპინა. რბილ ლამზე, ცვრიან მოღზე და წყლით გადასრიალებულ სიპებზე ფეხშიშველი სიარული საოცრად სასიამოვნო იყო. მოჩხრიალე ნაკადულები და ღელეები ევლებოდნენ ნაცრისფერ ქვებს, არაგვს ერთვოდნენ.

სოფელ ჩინთს გასცილდა. ხიდზე გადავიდა. იქვე, გზაზე შაოსანი მოხუცი ქალი იდგა. მანქანა გაუჩერა.

— საით მიბრძანდებით, ქალბატონო?

— შახგისკარში, შვილო.

— დაბრძანდით! — ევა გადმოვიდა, მიეხმარა მოხუცს ჩანთების, ცარიელი ვედროების ჩალაგებაში. ქალი მოუსვენარი, ენაწელიანი ჩანდა. ღიმილით უსმენდა მოხუცის სუთთა ფშაური კილოკავით ნათქვამ ცალკეულ სიტყვებს თუ წინადადებებს.

— შენ საითღა მიხვალ? — ცნობისმოყვარედ, მოურიდებლად აათვალ-ჩაათვალიერა ქალიშვილი.

- ჩარგალში, ვაჟას სახლ-მუზეუმი მინდა დავათვალიერო, — მიუგო ეკამ.
- ვინა გყავ მასპინძელი?
- არაფერ. იქ არ ვიცნობ არავის.
- ეჰე! — გაოცდა მოხუცი. — ამხელა ხეობაში სუ არაფერა გყავს ნაცნობი?
- იცით, ბავშვობაში ვიცნობდი ერთს, მაგრამ არ ვიცი, სოფელშია თუ არა ახლა.
- რომელ სოფელში ცხოვრობს, რა გვარია, რა ჰქვია? — აცქმუტდა ქალი.
- შახტიკარელია, სადაც თქვენ მიბრძანდებით. ფხოველია გვარად, ბაკური ჰქვია.
- ეე! — ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია, — შენცა გყოლია, რა, ნაცნობი!

ეკა ბუჩუკურს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, მოიღუმა. უცებ რატომღაც თვალისდასანახად შესძულდა ეს ქალი.

— რატომ, ცუდი ბიჭია? — წყნარად იკითხა.

— მა რა არი, სახლში საქმეს ის არ აკეთებს, სათიბს ის არ ეკარება და სახვეცსა. იმის ხელში თოხი და ბარი მე არ დამინახია. ძროხებში ის არ დადის და ცხვრებშია. ემაგის მეგ არაფერა ჰყავ ემაგის დედასა და ხან წელ გავა ისე, სახში არ მუა. სად დადის, რას აკეთებს, ეშმაკმა იცის. ნადირობა, თევზაობაა ე მაგის საქმე, მაგან სხვა არაფერ იცის. ოცდაათ წელს გადაცილებულ კაცი უცოლმეილოდ დადის, აბა მაშ მაგაზე რარიგა შეიძლება კარგი თქვას კაცმა.

— გასაგებია, მართალი ბრძანდებით! — ეკა ძლივს იკავებდა სიცილს. — ახლა სოფელშია, თუ იცით, ეგ პარაზიტი?

— ჰო! ეხლა სახშია. სამი-ოთხი თვე დაკარგულ იყო სადამა, ეს ორ-სამ დღე რაც მოიდა. მაგრამ, —

მოხუცი ჩაფიქრდა, — დღე კვირა არ არი?

— კვირა გახლავთ! — დაუმონმა ეკამ.

- ვერა ნახავ, სახში არ იქნება.
- არც მაგაზე ვიღარღებ, — გაიცინა ეკამ. — მაინც სად იქნება წასული?
- ხატობაა, შვილო, მაგათი გვარისა. კი რაით იქ იქნება ისიცა.
- შორია ხატობამდე?
- იქნება ერთი ოცდაათ კილომეტრი, მაგრამ იქ ორხიდიანის გარდა მანქანა ვერ ადის.

სივრილე იყო არაგვის ვინრო ხეობაში. თავისუფლად ამოისუნთქა ეკამ. მოჭადლოებული გაჰყურებდა გორობად წამომართულ, მწვანედ გადაბურულ მთებს, უდაბურ ხეობებს. მანქანა სოფელში შევიდა.

— მე აქ ჩამოვალ, — გადმობარგება დაიწყო მოხუცმა. — თუ აქ ღაპპირო დარჩენა, ჩემთან მოდი ამაღამ. კეთილად იარე! — ცუხცუხით გაემართა სახლისკენ.

სოფლის ბირჟაზე ახალგაზრდობა იდგა. საუბრობდნენ. სხვები იქვე, ქუჩაში დომინოს თამაშობდნენ. ეკამ უცებ მიიღო გადაწყვეტილება. მანქანა ადგილზე შემოაბრუნა და რესტორნის წინ გაჩერებულ „ვილისთან“ შეაჩერა. გადმოვიდა.

- ვისია ეს „ვილისი“? — ყველას გასაგონად იკითხა.
- ჩემია! — ბიჭების ჯგუფს მაღალი, შავგვრემანი, სიმპატიური ვაჟი გამოეყო.
- თუ შეიძლება, ერთი წუთით მანქანაში დაჯექით, საცმე მაქვს თქვენთან.

ეკამ თავისი მანქანისკენ მიანიშნა. „ვილისის“ მძღოლს არაფერი უთქვამს. კარი გამოაღო.

ჩაჯდა.

- რა გქვიათ?
- ენვერი.
- და თუ გყავთ?

— მყავს.

— ენვერ, — ეკამ თვალეში შეხედა, — ძალიან, ძალიან დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან. თქვენი მანქანა მჭირდება სულ ორიოდე საათით. ჩემს მანქანას თქვენ დაგიტოვებთ. როგორც თქვენი საკუთარი და, ისე გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით.

ენვერს გაეცინა.

— არ გრცხვენიათ? ორი საათით კი არა, თუ გინდათ, ორი კვირით წაიღეთ. არც თქვენი მანქანა მინდა. აქვე ეზოში გავაჩეროთ სადმე.

— მოიცადე, ენვერ. იქნებ არც დამჭირდეს, — ფიქრიანად თქვა ეკამ. — ბაკურს ალბათ იცნობთ?

— ფხოველს?

— ღიას!

— ჩემი ძმადნათუცია. ფშაური წესჩვეულებისამებრ სისხლით ვართ გაფიცულნი ძმებად.

— სადაა, თუ იცი? — იკითხა ეკამ. გახარებულმა იმით, რომ მისამართი არ შეეშალა.

— ხატში წავიდა გუშინ. იქ გინდათ ახვიდეთ? ნახოთ გინდათ? — ღიმილით შეხედა.

— უსიკვდილოდ უნდა ვნახო.

— ძალიან კარგი! მაგრამ საქმე ისაა, რომ თქვენ იქ მარტოს ვერ გაგიშვებთ, მანქანა კი არ მენანება, იმ გზაზე რამე რომ შეგემთხვეთ, ბაკურს მე ვეღარ შევხვდები. — კარი გამოაღო. — ზაზა! — გასძახა.

პატარა, სუსტი ტანის ბიჭი წამოვიდა მათკენ.

— მომეცით თქვენი გასაღები! — ეკას გასაღები გამოართვა ენვერმა, ზაზას გაუწოდა. — ეს მანქანა წაიღე და ბაკურის ეზოში გააჩერე. წავიდეთ, ეკამ!

ეკა სწრაფად გადაჯდა „ვილისში“.

რეკლენენ ზარები. მუხლზე დამხობილიყო დიდი თუ პატარა. ირგვლივ მთების უბეებიდან

მორღვეული ლოდები ეყარა. გაკრიალებული ცა მდუმარედ დასცქერდოდა ქვეყანას. ნიავი უბერავდა და ციოდა.

— დოლი იწყება. კარგ დროს მოვედით.

— მერედა სად არიან დოლში მონანილენი? — ეკამ მათ წინ გაშლილ მინდორს გახედა. ხალხს მოავლო თვალი. ბაკური არსად ჩანდა.

— ხედავ? — ენვერმა მალლა, მთის მწვერვალისკენ გაახედა. — იქ არიან. ზარები რომ შეწყვეტენ რეკვას, მერე დაეშვებიან.

— საიდან დაეშვებიან, იმ კლდეებიდან? — შიშით გახედა კლდეზე გადაჭიმულ ვიწრო, ციცაბო ბილიკებს.

— კი, იქიდან. საშიში არათურია. დოლში საკმაოდ გამოცდილი მხედრები იღებენ მონანილეობას დღეს. ხევსურები და თშაველები ეჭიბრებიან ერთმანეთს.

— საინგერესოა. დოლი არასოდეს მინახავს. კი მაგრამ, ბაკური სადაა? აქ არ ჩანს?

— იქ იქნება ისიც! — ენვერმა თავი გაიქნია მწვერვალისკენ, სადაც წერტილებით მოსჩანდნენ ცხენოსნები.

— ბაკურმა იცის ცხენის ტარება? — განცვიფრდა ეკა.

— ცხენის ტარება? მეშვიდე თუ მერვე კლასში იყო პირველად, დოლში რომ გაიმარჯვა. მას შემდეგ ყოველ წელს, თუ აქაა, პირველობას არავის უთმობს. ქაჯივით დაჰყავს ცხენი.

— მაგყურა! — ტუჩები გაბუსხა ეკამ.

— რა თქვი? — ვერ გაიგო ენვერმა. გაოცებულმა შეხედა.

ეკას აღარათფერი უთქვამს. გაფართოებული თვალებით გაჰყურებდა მხედრებს, რომლებმაც უკვე მოსხლიტეს ცხენები. კლდის თავზე დაოთხილნი მოქროდნენ. თეთრი ცხენები დაწინაურდნენ.

— წინ მინდია ას! — გახარებულმა შესძახა მთვრალმა ხევსურმა.

— არაბულთ გიგია მაჰყვება! — ყიჟინა დასცხეს ხევსურებმა. — ყოჩაღ, ვაჟებო! სად რა



ას ფშაველთ მოსაგები!

გასუსულნი ისხდნენ ფშაველები. დაბოლმინი მისჩერებოდნენ წინ გამოჭრილ ხეესურებს.

— გაგიჟდა? რას შერება! — მოესმა ეკას ენვერის ჩუმი, დაძაბული ხმა.

— ვინ?

— ბაკური! საიდან დაუშვა ცხენი, გადაირია? — ენვერი უკვე ადგილს ველარ პოულობდა, წამოდგა, დაჯდა. ისევ ფეხზე წამოდგა.

— შავი ცხენით ბაკურია?

— ჰო!

უგზობე, პირდაპირ კლდის ქიმზე დაუშვა ცხენი. ხალხს ერთობლივმა გმინვამ, ყრუ ჩურცულმა გადაუარა. ერთი არასწორი ნახტომი და უფსკრულში ჩაჩეხილ ცხენ-მხედრის ძვლებსაც კი

ველარავინ აკრეფდა. ორიოდე წუთიც და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. გამოივაკა შავმა ცხენმა. საკმაო მანძილით ჩამოიგოვა თეთრი ცხენები. აცყდა ფოტოაპარატების ჩხაკა-ჩხუკი. ფშაველების სიხარულის შეძახილები მთებს ანგრევდა. ხატის ნიშს ცხენდაცხენ სამჯერ შემოუარა გამარჯვებულმა. დაიქვეითა. დაიჩოქა. პირჯვარი გადაინერა. წამოდგა. ხევისბერს გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ლუდით სავსე ვერცხლის თუნგი ჩამოართვა. დაილოცა. ასნია და გალიბლიპებული ლუდიანი სასმისი ხელში გაუშემდა... გაცისკროვნებული სახით შეჰყურებდა ეკა ბუჩუკური ბაკურ ფხოველს.

მოცვივდნენ უკან ჩამორჩენილი მხედრები. ჩამოხცნენ ცხენებიდან. მოღუშული სახეებით გაემართნენ ბაკურისკენ. „ვაიმე! ჩხუბი აცყდება!“ — გაუელვა ეკას. მსგავსი არათფერი მომხდარა. ხეესურები ძმურად გადაეხვივნენ ბაკურს. მიულოცეს. ფხოველმა ხევისბერების ნადულარი ფშაური ლუდი მოსვა და ხეესურებს გადაანოდა.

წელი ნაბიჯით გამოემართა ეკასკენ. ერთგული ცხენი უკან მოჰყვა. თვალმოჭუტული, ოღნავ გახსნილი ბაგეებით, ღიმილით შეჰყურებდა ეკა ფხოველის წვერმოშვებულ, სევდიან სახეს...

— იცი, ეკა? — გაიღიმა ბაკურმა, — მე დღეს პირველად ვიჯექი ცხენზე.

შებრუნდა. მოევლო უნაგირს, გადმოიწია, ეკა აიტაცა და მწვერვალებისკენ გააქანა ცხენი. ფრთებგამოსხმულივით მიჰქროდა შავი ბედაური. თითქოს მასაც ეგრძნო გამარჯვების სიხარული. პატრონის ალგკინება მასაც გადასდებოდა თითქოს. შედგნენ ზეგანზე. ფრთხილად ჩამოსვა ქალი ბაკურმა. ჩამოვიდა თვითონაც. ალვური უნაგირს გადაადო. საბალახოდ გაუშვა გაოფლილი ცხენი. ეკას მიუბრუნდა. ქარი უწენავდა ქერა, გაშლილ თმას ეკა ბუჩუკურს. აქ ყოველგვარი სიტყვები უკვე ზედმეტი იყო...

— როდის დაბრუნდი? — ხმადაბლა იკითხა ეკამ, როცა ერთმანეთის ალერსით გული იჯერეს.

— ერთი კვირაა, — მუხლებზე მტდომი ქალიშვილი ბალახზე გადაანვინა, აკოცა ერთხელ, მეორედ, მესამედ... ეკას ვნებიანი კვნესა ერთვოდა, ივარგებოდა ჭიუხებში მონავარდუ, მსტვენი ქარის ხმაურში... ბაკური გულადმა გადაწვა ბალახებში. თვალები დახუჭა.

— მთელი სახე დამეჩხვლიტა, ვერ მოიშორებ ამ ჯაგარს?! — ეკამ ხელით მიუალერსა წვერზე.

— ჩავალთ სახლში და გავიპარსავ! — თვალი არ გაუხელია, ისე თქვა. — აქ საიდან მომაგენი?

— თუ არ ვცდები, საზღვარგარეთ გიპოვე და აქ ვერ მოგაგნებდი? — ეშმაკურად მონკურა თვალები. ერთხანს უყურა, წყნარი ხმით ჰკითხა:

— ნატა როგორ დატოვე?

— შეეპირდი ახალ წელს ჩასვლას.

— ჩახვალ?

— აუცილებლად! — ბაკური წამოჭდა. — აუცილებლად ჩავალ, მაგრამ მხოლოდ შენთან ერთად. გამომყვები?

— აგლანტაში კი არა, ჯოჯოხეთშიც გამოგყვები, ჩემო სიყვარულო, — ეკამ თავი მკერდზე მიაყრდნო. — ჩავიდეთ ხალხთან, უხერხულია.

ბინდებოდა. კარვებს შუა კოცონები ენთო. ღრეობდნენ ფშაველები. თანდურებზე ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, ხევსურ სტუმრებს. ხორაგით გადატვირთულიყო მოღზე გამლილი სუფრები.

— იცნობდეთ, ჩემი მეგობარია! — ბიძებს, ბიძაშვილებს წარუდგინა ბაკურმა ეკა. ფეხზე წამოდგარნი შეეგებნენ მომხიბვლელ სტუმარს. ნაბადი დაკეცეს, ქვეშ დაუგეს ეკას. ნუთიც და მწვადები, ოხშივარავარდნილი ცხელი ხინკალი დახვავდა ეკას წინ. ბაკურის ბიძაშვილი გოგონები თავს ევლებოდნენ. გვარიანად მოშიებოდა ეკას. ხინკალი უნდოდა, შეუმჩნევლად მოავლო თვალი სუფრას. ჩანგალი არსად ჩანდა. ბაკურს არ გამოჰარვია ეს.

— ეკა, ფშაველები ხინკალს უჩანგლოდ, ხელით ვჭამთ. არათფერი არაა აქ საუხერხულო.

ასეთი გემრიელი ხინკალი არასდროს ეჭამა ეკას. თამადის, ბაკურის ბიძის დაჟინებული თხოვნით სამი ყანწი არაყიც გამოცალა. სასიამოვნო თავბრუსხვევა იგრძნო. ბაკურს შეხედა. ჩათფრებული მთის მწვერვალებს გაჰყურებდა ფხოველი. ასეთი ბედნიერი არასდროს ყოფილა ეკა. თამადამ ყანწი შეავსო. ფეხზე წამოდგა. წამოიშალნენ სხვებიც.

— მთაში ვართ, ჩემო ძმებო და ძმისწულნო, მოდიტ, წესს ნუ დავარღვევთ მთისასა. სტუმარი დაგლოცოთ. დაგლოცავ, შვილო! მანამ იცოცხლე, სანამ არაგვი გეზს შეიცვლიდეს და ამ მთაზე ამოდიოდეს. იხარე და იბედნიერე მანამ, სანამ ა ეს მთები ფეხს აიდგამენ და ამ ადგილებს მიაგოვებენ. ღმერთს შავთხოვ, სულიც ისეთი ლამაზი გქონდეს, როგორც შახედულადა ხარ. ხატის კარზე ვართ. დიდება ამ ხატს, ამ სალოცავს! მწყალობელ იყოს შენი, სტუმარო! — თამადამ ვეება ყანწი ერთი მოყუდებით გამოცალა. ბაკურს ესროლა ცარიელი რქა.

— ალავერდ შენთანა ვარ. დალოცე სტუმარი! სინყნარე იყოს! — დაიბუხუნა.

ბაკურს სწრაფად შეუესეს. სიჩუმემ დაისადგურა. შეხედა ეკას. ყანწი ასწია:

— მე რომ განგებას სულთანად დავესვი, მეყოლებოდა ჯარი ურიცხვი, და ვილაშქრებდი საქართველოზე, სწორედ ასეთი ქალის გულისთვის... ვერ ამიბამდა ვერც თვალს, ვერც ჭკუას, მე სხვა საუნჯე გურჯთა ქვეყნიდან, შენი სულ ერთი წარბის მოღუშვაც საჰარის თავზე ღრუბელს შეჰყრიდა... აი, გიყურებ, ეკა, და ვლამობ, გადავაცილო ხვაშიადს მტვერი, იქნებ შენგვარი ქალების გამოც, ქართლს ფუტკარივით ეხვია მტერი?! შენ გაგიმარჯოს! — ყანწი დაცალა. ენვერს გადააწოდა. ოვაციებით შეხვდნენ ბაკურის ნათქვამს. სადღეგრძელო

ჩამოატარეს. გულთბილად დალოცეს ეკა... თამადამ კვლავ სიჩუმე ითხოვა წუთით. ბაკურს მიმართა:

— ძმისწულო, სტუმარიც შენია და დღევანდელი დღის გმირიც შენა ხარ. ადრე დოღში გამარჯვებული შებმულ ხარს იღებდა საჩუქრად. საჩუქრის მაგიერ, იქით ვთხოვ, სადღევრძელო გვითხარ ერთი. მე არ მამისმენია, მაგრამ შენი მეგობრებისგან გამიგონია შენზე, სწორუბოვარ თამადა არიო... რაც გულში გაქ, რაც შენ რო ძალიან გიყვარს, ისა თქვი.

ბაკურ თხოველმა სასმისი შეაფსო. ფიქრიანი მზერა მოავლო ბინდში გახვეულ მთებს. თეხზე წამოდგა:

— იმ მთიელი რაინდების შესანდობარი იყოს, ვინც იცოდა ძმობაც, მგრობაც და კაცის გატანაც. ვისი საფლავეებიც რომ არ არსებობს, ვისაც სამარეც არ ეღირსა. იმათი ხსოვნა იყოს, ვისაც ყაჩაღებს ეძახდა ბოლშევიკური მთავრობა, იმ სამშობლოზე, ამ მთებზე უსაზღვროდ შეყვარებული ბიჭების, ვინც შეგნებულად გასწირა თავი ერის და მამულისათვის, ვინც იარაღით დაუპირისპირდა ბოროტებს, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, განწირული იყო. „ლექსო, ამოგთქოვ ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე, და შენ კი ჩემად სახსოვრად, სააქაოსა რჩებოდე...“ მოდით, ამ დიდებული ლექსის ავტორის, მისა ხელაშვილის თამადაობით, მოგონება იყოს გიორგი წიკლაურის, მისა ხადიაშვილის, გოგია ჭიჭოშვილის, იმედა ბუჩუკურთელის, იმედა ლიქოველის და სხვათა და სხვათა... ნუ მოშლილიყოს ამ ხეობაში მათი სახელები, მათნაირებს ეძრაველოთ ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში და სრულიად საქართველოში. ხსოვნა იმათი!

— ხსოვნა, დიდება მათ სახელებს! — ერთხმად შესძახეს მოხუცებმაც და ახალგაზრდებმაც. დაცალეს პანგის არყით საფსე ყანწები.

ღრმად მოხუცმა, თეთრწვერა ფშაველმა ფანდური აიღო ხელთ. სიმებს ჩამოჰკრა. მონუსხულივით მისჩერებოდა ეკა ბუჩუკური მოხუცს. ძლიერი, ხავერდოვანი ხმით მღეროდა ბერიკაცი. სიმღერის გეჟსტმა ერთიანად შეძრა და ააფორიაქა ეკა. მოღუშული ჩაშტერებოდა მიწას ბაკური...

როგორ შამბიზღდი ორწყლისა, ციალო არე-მარეო,  
გლოვამ მოიცვა მთლიანად ფშავ-ხევსურეთის მხარეო,  
ბენინტურ, ძმაო, მარტოკა რუსებს რად შეეყარეო,  
ვეფხვივით ჩასდექ ორწყალში, არ გარბი გარე-გარეო,

შენ არც გაქცევა იკადრე, არც მალვით გაიპარეო,  
 თავზე ხელ-აღებულობით ქაქუცა დაიფარეო,  
 გავიგეთ შენი ამბავიც, რაც გულბანს დაუბარეო,  
 „ტყვია აღარ მაქვს, ვერ მოგსპეთ, რუსი და გადამთიელი,  
 ცოლ-შვილს ნუ დამინიოკებ, თუ ვაჟუკაცი ხარ, მთიელი;  
 რუსის ფეხს არ ათელინო ჩვენი დეკა და იელი,  
 ერის და მთის მოღალატეს წყევლა და კრულვა მიელის...“  
 რუსი ნელ-ნელა ინეგდა, როგორც მშიერი მგელია,  
 ნება არ მიეც, ფშაველო, შენთვის შეეკრათ ხელია,  
 რიყე სუ მკვდრებით მაჰფინე, ვეფხვის შაპრობა ძნელია,  
 ვაი, რომ კარგი ვაჟუკაცის დღე მოკლე არი, ბნელია,  
 ქართველებს ტყვიას არიდებ, რუსებს დაანვი მთელია,  
 კარაბინ კლდეს შეაღწე, მაუზრის ლულაც ცხელია,  
 გაქცევას როგორ იკადრებ, თორო მდინარე თხელია,  
 სევდით გახედე მაღალ მთებს, ქვემოთ ბიბინებს ველია,  
 „ვაჰჰე! რა ცოტა ვიცოცხლე, სუ ოცდაათი წელია...“  
 და ბოლო ტყვია, ბენინგურ, გულში დაგიკრაე, ძმობილო,  
 რო ცოცხალ არ ჩავარდნოდი, კაი ვაჟუკაცად ხმობილო.  
 მშვიდობით! ჯვარი გენეროს, აქ არავისგან გმობილო,  
 სალი კლდისაგან ნაშობო და არწივისგან წრთობილო...

მორჩა მოხუცი. თავი ჩაჰკიდა. ცეცხლის შუქზე ცრემლი გაუკრთა თვალებში.

— ვისი ლექსია? — იკითხა ვკამ.

— მიხასია, შვილო, ხელაშვილისი, — ბაკურის ბიძამ გასცა პასუხი.

— ვინ იყვნენ ბენინგური ან გულბანი?

— ბენინგურ ფხოველი ბაკურის პაპა იყო, ჩემი ბიძა. ლევან გულბანი წითელი კომისარი, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილს სდევდა.

— გულბანმა მოკლა ბენინგური?

— არა, შვილო, გულბანს არ მოუკლავს! — სიგარეტს მოუკიდა. — თუ არ გეძინება, თუ

გაინტერესებს ეს ამბავი, ვთხოვთ ძია ღვთისაგან, მოგიყვება ბენინგურის დაღუპვის ამბავს.

— როგორ გეკადრებათ, რა ღროს ძილია, — ეკა ახლოს მიუჭდა მოხუცს. — თუ არ შენუხდებით, პაპა ღვთისაგან!

— რას ამბობ, ბაღლო, რაის შენუხებაა! — ჩათეძრდა. სამოცდარვა წელია მას მერე გასული. მე ვიყავ თავშკვდარი ერთადერთი მონმე იმ სისხლიანი, საშინელი შეტაკებისა, ბენინგურის სიკვდილისა. ზათხული იყო...

## II ტაჰი

1924 წლის ზათხული იწურებოდა. ფშავის და ხევსურეთის არაგვების შესართავთან, ორწყალს რომ ეძახიან, პატარა ბიჭს ცხვრები გამოერეკა საძოვარზე. არეული ღრო იყო და მამას „ბერდანა“ ეთხოვებინა ბიჭისთვის. ალაღებდა პატარა ფშაველს შავად მოლაპლაპე იარაღი და შიგ ჩალაგებული სამი ბოკოლა ტყვია. შუადღის ხვატისგან ჩრდილში შეყუყული ცხვრები აშალა ბიჭმა, შუათხოსკენ შეაბრუნა. თვითონ წყლისკენ დააპირა ჩასვლა, რომ თხოვის მხრიდან მომავალ ეულ მხედარს მოჰკრა თვალი. ნაბადმოსხმული მხედარი მთელი ძალით მოაქროლებდა ფეხთეთრ, შუბლნიკორა წითელ ცხენს. პატარა შენიშნა. აღვირი მოსწია, ზედ მიაგდო მეთხვინავი ცხენი. კაცს მთელ ტანზე მჭიდროდ შემოეკრა ნაბადი. სახე ყაბალახით ჰქონდა აკრული. უჩანდა მხოლოდ ცალი ხელი, რომლითაც აღვირი ჩაებლუტა. ამ სახემებურულ მხედარს უკვე მეორედ ხედავდა ბიჭი. პირველად მაშინ შენიშნა, როცა ქაქუცა ამოვიდა ფშავში. გვერდით მოჰყვებოდა ჩოლოყაშვილს, მეამბოხე პოლკოვნიკს. არც მაშინ მოუხსნია ნაბადი და ყაბალახი, როცა ხალხს, აქაურებს შეხვდა — ძალავდა სახეს...

მხედარმა ცხენიდან გადმოიწია. სითბოთი, სიყვარულით დააჩერდნენ ბიჭს ყაბალახიდან გამომზირალი ცისფერი, ცეცხლოვანი თვალები.

— ღვთისაგან, ჩემო პატარა ძამიკო, ნუ დაათრევ ამ თოფს ასე აშკარად, თუ არა ჩეკისტები ციმბირს უკან დაატოვებინებენ მამაშენს...

ღმერთო! მოაგონე პატარა ბიჭს, სად გაუგონია ეს ვაჟკაცური, სულშიჩამწვდომი ბუბუნა ხმა, სად უნახავს ეს მოკრიალებული ცისფერი თვალები? იცის პატარა ბიჭმა, რომ ახლობელია ვიღაც, მაგრამ ვინ? ღმერთო, მოაგონე!

უცნობმა ნაბდიდან ხელი გამოიღო და გაოგნებულ ბიჭს ნაგანი გაუნოდა.

— თუ იარაღი გიყვარს, ეს ატარე. იოლად დამალავ უფრო... მშვიდობით, ღვთისაგან!  
— ცხენი ადგილიდან მოსხლიტა.

მოულოდნელი ძვირფასი საჩუქრით გულაჩქროლებულმა ბიჭმა იარაღს სათუთად გადაუსვა ხელი, უცნობს გახედა. გახედა და შეცბა. თოფი და ნაგანი ცივად მიყარა წყლის პირზე. უცნობი მხედარი მოსახვევში წინ შეეჩეხა ნითელარმიელთა დიდ ჯგუფს. შეეჩეხა და შედგა.

— ვინ ხარ? — ხმამალლა გამოსძახა ჯგუფის წინამძღოლმა, თეთრ ცხენზე მჯდარმა, ცყავის ქურთუკში გამონყობილმა ახოვანმა ვაჟუაცმა.

— მგზავრი! — იყო მხედრის მშვიდი პასუხი.

— მოიხსენი ნაბადი და ყაბალახი! — ბრძანა ცყავის ქურთუკიანმა.

მხედარმა გადაიხარხარა. მის ხელში მაუბერმა იელვა. „დაყარეთ იარაღი, გველებო!“ — არცთუ ხმამალლა, მაგრამ ისე თქვა, რომ ყველა მიხვდა ნათქვამის აზრს. ჯგუფის უფროსის გვერდით მდგომმა ჩოფურა რუსმა იარაღზე მოივლო ხელი, მაგრამ იმავე წუთს მაუბერის ტყვიით მკერდშენგრეული უსულოდ გადმოეშვა ცხენიდან. შემკრთალ ნითელარმიელთა თვალწინ სწრაფად მოიძრო ნაბადიც და ყაბალახიც. უნაგირზე დაკიდებული კარაბინი აიგაცა, ორიოდვე ნახტომით წყლისპირზე გაჩნდა და უზარმაზარ ლოდს ამოეფარა.

თხილების ძირში მიყუჟულ ბიჭს უნდოდა ეყვირა, ებღავლა — ბენინტურ, ძმაო, — მაგრამ ხმა აღარ ამოსდიოდა. იცნო ბიჭმა, იცნო მათი კარის მეზობელი, ფშავ-ხევსურეთში თავისი სიკეთით, ვაჟუაცობით და სილამაზით განთქმული ბენინტურ ფხოველი, მენშევიკური გვარდიის ყოფილი ოფიცერი. მასზე ხმები დადიოდა, კახეთის ტყეებში მოკლესო. ახლა კი მიხვდა ბიჭი, თითქმის ყოველ კვირა რატომ ჩხრეკდნენ ჩეკისტები ფხოველების ოჯახს. იცოდა ჩეკამ, რომ მათი სისხლის გამშრობი, მოუხელთებელი ოფიცერი ცოცხალი იყო. უცებ ნითელი კომისრის, ნიკო ტულუშის მოკვლის ამბავი გაახსენდა ბიჭს... ულამაზესი ცოლი ჰყავდა ბენინტურ ფხოველს. ქალაქში გაზრდილმა თავადის ქალმა ბურგი აქცია ყველაფერს და მთებში გამოჰყვა ბენინტურს. ოცდაშვიდი წლის იყო მაშინ ბენინტური, წინო კი — თვრამეტის. გავიდა წლები. ფხოველის შესაპყრობად ფშავში ამოსულმა კომისარმა ტულუშმა მის ცოლს დაადგა თვალი. ქეთის ღროს ნაუგრებახია ნიკო ტულუშს, მალე ბენინტურის ცოლს მკლავზე გადავიგორებო! მესამე დღესვე თვითონ ტულუში ნახეს ხევში გადაგორებული, ტყვიით შუბლგახვრეტილი.

პირველმა ელდამ გაუარა წითელარმიელებს. ჩამოქვეითდნენ. ალყის შემორტყმა დაუნყეს. იქუხა ფხოველის კარაბინმა. არაგვის ტალღებმა გაიტაცა დახოცილები... სხვები უკან მიანყდნენ.

— დამნებდი! პირობას გაძლევ, სიცოცხლეს შევინარჩუნებთ! — დაიძახა ცყავისქურთუკიანმა.

— ვინა ხარ შენ? — შეწყვიტა სროლა ბენინტურმა.

— კომისარი ვარ, ლევან გულბანი.

— სვანი ყოფილხარ! ჰოდა იცოდე, გულბანო, ბენინტურ ფხოველი სიცოცხლეს მტერს არასოდეს თხოვს. ქართველები გადით, მოცილდით აქედან, თქვენს სისხლში ნუ გამსვრევიანებთ ხელს, რუსები მოუშვი.

— გონს მოდი, ბიჭო! — ქვის უკან მინოლილი ლევანი ფეხზე წამოდგა. — თავს ნუ დაიღუბავ! ენდე კაცურად ჩემს სიტყვას.

— ვერა, ლევან! ვერც შენ გენდობი და ვერავის, ვისაც წითელი ვარსკვლავები გიკეთიათ. ვერ გენდობით მათ, ვინც საქართველო სისხლში ჩაახრჩვეთ, ვინც სული ეშმაკს მიჰყიდეთ და ქართული ჩოხა რუსის ჩექმაზე გაცვალებთ, საუკუნეების მანძილზე ნაშენები, სისხლში და ოფლში დამბალი ეკლესიები თავლებად და სანყობებად აქციეთ. ვიცი, აქედან მე ცოცხალი ვერ გავალ. ღმერთი იყოს ჩვენი მსაჯული, ვინ მტყუანი ვართ და ვინ მართალი. არ მინდოდა, მაგრამ მაინც გთხოვ, მხოლოდ ერთს გთხოვ, როგორც მთიელს, ცოლსა და შვილებს ნუღარ ამინოკებთ. ჩემი სიკვდილიც ეყოფათ ამათ!

— დათქირდი, ბენინტურ!

— სათქირალი აღარათფერი მაქვს. ჩემი ბოლო სიტყვა გითხარი!..

მძიმედ შებრუნდა გულბანი. თოფი კლდეს მიაყუდა. ჩამოჯდა. თავი ხელებში ჩარგო... ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა ბრძოლა. როცა ბენინტურმა ხელი ასწია, ბრძოლაც შეწყდა. „გვნებდება!“ — გაუელვა ლევანს ფიქრმა. უსიტყვოდ მოავლო თვალი დაჭრილ-დახოცილებით მოფენილ მინდორს.

ნელი, დინჯი ნაბიჯით გამოვიდა ბენინტურ ფხოველი. კარაბინი კლდეზე გადაამგვრია



და წყალში ისროლა. მარცხენა ხელში კვლავ მაუზერი ეჭირა. შედგენენ პირისპირ.

— მოვრჩი, გულბანო! ეს იყო ჩემი ბრძოლა, — მშვიდად გაიღიმა. — ბოლო ცეცია შემოვინახე ჩემთვის. ერთი საათი მაინც შეგაყოფნეთ აქ. ქაქუცა შორს იქნება უკვე. ახლა შეგიძლიათ ნახვიდეთ.

ასწია იარაღიანი ხელი, გულთან მიიღო. მთებს გახედა სევდაჩაგუბებული მზერით.

— რას შერები! — იყვინა ლევანმა და ბენინგურს ეცა... დააგვიანა... ლევან გულბანის ხელში დალია ბენინგურ ფხოველმა სული. სხვისი ვაჟკაცობის უებრო შემთასებელმა სვანმა გაციებული ბენინგური ფრთხილად დაუშვა ძირს. ნაბადი ამოუგო თავქვეშ. მზის სხივებზე აელვარებულმა იარაღმა მოსჭრა თვალი. აიღო ხელში დავერცხლილი მაუზერი. კონდახზე წარწერას მოჰკრა თვალი. დახედა: „ბენინგურ ფხოველს. სამშობლოს ერთგულ ყმას და კარგ მამულიშვილს. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისგან“. მკერდზე დაადო იარაღი. თვალები დაუხუჭა. ნაბადი გადაათვარა. ჩაიმუხლა მიცვალებულთან. თავი დახარა. მხრები აუცახცახდა. კაცურად, უხმოდ გიროდა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რას დასტიროდა ისტორიის ლაბირინთებში გზაბნეული სვანი...“

გაჩუმდა პაპა ღვთისაგარი. მორჩა თხრობას. ამოიღო წერილად დაჭრილი თამბაქო. გახვევას შეუდგა. მოსმენილისგან გულდამძიმებული ეკა მდუმარედ მისჩერებოდა ცეცხლს. დუმდა ყველა.

— იმავე ღამეს, — დაამატა მოხუცმა, — ლევან გულბანმა ოჯახში აასვენა ბენინგური. ერთი კვირის თავზე კი თვითონ გულბანი დააპატიმრეს და დახვრიტეს.

— დახვრიტეს? რატომ? — ეკას თვალები აუნწყლიანდა.

— იმიტო, შვილო, რო კაცი იყო, — დინჯად თქვა პაპა ღვთისაგარმა. — იმიტო, რომ გულქვა არ იყო სხვებივით. იმიტო, რო თანაუგრძნო ვაჟკაცურად დაღუპულს, მის გვარს და ოჯახს. აი, მაგიტო დახვრიტეს.

ვეება მთვარე დასჩახახებდა კოცონების შუქით განათებულ ხაგიონს. მებატეები ნაბდებში ეხვეოდნენ. დასაძინებლად ეშურებოდნენ.

— დალი! — ბიძაშვილს მიუბრუნდა ბაკური, — ეკა თქვენთან, კარავში დააძინე.

— აბა რას ვიზამ?! — დალიმ ეკას ხელი მოხვია. — ნაფიდეთ?

— შენ სად იძინებ? — ეკა ბაკურს შეაჩერდა.

— არ მეძინება, ეკა. აქ, ცეცხლთან ვიჯდები.

— არც მე მეძინება. შენთან მინდა ვიყო, — მხარზე მიაყრდნო თავი.

— თუ გიყვარვარ, ვიცი, დალლილი ხარ, დაიძინე ცოცხალ სახლში ნაფიდეთ. ეკა უხალისოდ წამოდგა. ნაბადმოსხმული მიჰყვა დალის. კარავში შეიმალნენ.

— ენვერ, დავლიოთ? — ბაკურმა დოქს მოჰკიდა ხელი.

— დალევით დავლიოთ, მაგრამ..

— მაგრამ რა?

— ცოცხალი, ბიჭო ეს გოგო. საიდან სად ამოვიდა შენი გულისთვის, შენ კი რაღაცნაირად, იცი, ცივად მოიცვილეთ თავიდან. შემეცოდა, ძმაო, მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა. ჩემი ძმა ხარ და ამას იმიტომ გეუბნები ერთი-ერთზე, ასეთი არ იყავი შენ, სულ სხვანაირი მეჩვენები.

— მაინც როგორი? პირდაპირ მითხარი, როგორც მე და შენ გვჩვეოდა ყოველთვის, — დოქი დადგა. ჯიუტად შეხედა.

— გულჩათხრობილი ხარ ბოლო დროს რაგომდაც. მითხარი, იქნებ გიჭირს რამე, იქნებ შემძლია დახმარება რაღაცით? — ენვერს სიმთვრალე საერთოდ არ ეგყობოდა. — ამ ბოლო თვეებში რაღაც მოხდა შენს ცხოვრებაში, რაღაც საშინელება ან გადაიტანე ან ელოდები. რაც გადაგხდა, იმას ალბათ აღარაფერი ეშველება. რადგანაც ასე თუ ისე, ვიცი შენი ცხოვრება, მაგრამ თუ ელოდები რაიმე ცუდს, მითხარი, ნუ იმარხავ გულში, მითხარი და ერთად ველოდოთ.

ბაკურმა სასმისები შეაგასო. ერთმანეთს მიურტყეს, უხმოდ დალიეს.

— ენვერ, ნურაფერს მკითხავ. მინდა იცოდე, შენ, მხოლოდ ერთმა, რომ მე მაქვს მეორე ცხოვრება. ეკაც, — კარვისკენ გაიშვირა ხელი, — ჩემი მეორე ცხოვრებიდან მოვიდა ჩემთან. ნუ მკითხავ, სად შევხვდი, როგორი იყო ჩვენი ვაცნობის პირველი წუთები. ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. უბრალოდ გეტყვი, მე ის მიყვარს, მიყვარს საკუთარ თავზე.

სიცოცხლეზე მეტად. ეს მისთვის არასდროს მითქვამს. პირიქით. ყოველთვის ვცდილობდი რალაც ისეთი გამეკეთებინა, რაც მას ჩემზე გულს აუცრუებდა. ვერ შევძელი. სამი თვის უკან ჩვენ ვცილდებოდით. მე მას ავუკრძალე ჩემზე ფიქრი, მაშინ, როცა იმაზე ფიქრიც კი მაგიჟებდა, რომ შეიძლებოდა მართლაც ველარასოდეს მენახა...

ბაკური ცეცხლს ჩააშტერდა.

— ეკას მშობლები ვინ არიან?

— ეკას არ ჰყავს მშობლები. ერთადერთი ძმა ჰყავს. ბებიამ გაზარდა ობლები.

— მშობლები არ ჰყავს? — გაოცებით შეხედა ენვერმა. — მე კი მეგონა...

— რა გეგონა?

— რომ სულ მცირე, ტრესტის მმართველი მაინც ეყოლებოდა მამა.

— საიდან მოიგანე? — გაეღიმა ბაკურს.

— იმნაირი მანქანა აქვს, რომ...

— კარგი, თუ ძმა ხარ, ჯერ ერთი, ეგ მანქანა მაგისი კი არა, მაგისი ძმის არის, მეორეც, „09“ პირველად ნახე?

— რისი „09“ და „0-10“, შავი ახალთახალი „ბენტლი“ აქვს!

ბაკურმა თვალები დახუჭა. თვალწინ დაუდგა სტამბული. მამედის ეზო. ჭიშკარში ნელი სვლით შემოსული შავი მანქანა. გიორგი აბაშიძემ ეკას აჩუქა მანქანა?! ალბათ ასეა!

— ძმამ უყიდა ალბათ, ენვერ. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს მანქანას. რომელი საათია.

— ოთხი სრულდება, — ენვერმა იქვე დადებული გიტარა აიღო, — ყველაზე მეტად ამ ქვეყნად გიტარის დაკვრა მინდოდა მესწავლა, მაგრამ...

ფხოველმა ყურადღებით შეათვალიერა მეგობრის დათუქრებული, ლამაზი სახე. გაეღიმა.

— ვინდა გიტარის ხმა გაიგონო ამ წუთში?

— მაგას კითხვა უნდა?! — სახე გაუნათდა ენვერს.

— გააღვიძე ეკა!

ენვერი კარვისაკენ გაემართა. ცოცხალი ხანში მისი ხმამალალი ხარხარი მოესმა ბაკურს. ისე გულიანად, გადამდებად იცინოდა, ხალხს გაელვოდა. ნაბდებიდან წამოიწიეს გაჭავრებულმა, აბურღულმა თავებმა. გაეცინა ბაკურსაც. იქით წავიდა.

— რა ხდება? — გაოცებულმა შეხედა კარვის წინ საცოდავად აბუზულ ეკას და იქვე მოხარხარე მეგობარს.

— „კედები“ გამხადეს, — აცრემლდა ეკა. — როგორღა წავიდე, რა ჩავიცვა?

— რა თქვი?! — მოიღრუბლა ბაკური, წყრომით გახედა უდროო დროს რატომღაც გამხიარულებულ ენვერს.

— ახალი ჩაძინებული ვიყავი. ვიგრძენი, თასმები შემისხნა ვილაცამ. მეგონა, შენ იყავი. შევხედე. მთვარის შუქზე ვილაცის გაბურძღნული სახე შევამჩნიე. ველარ დაგიძახე შემემინდა. ამ ვილაცამ კი ნაბადი წამახურა ფეხებზე და ფეხაკრებით გაიპარა. ვერ გაიგო, რომ მეღვიძა.

სახე გაუფითრდა ფხოველს. რისხვით შებრუნდა კარვებისკენ. ენვერმა მკლავში მოჰკიდა ხელი:

— ნუ სულელობ, თუ ძმა ხარ, წადი, არაყი გაამზადე!

— რა?! — მოღუშულმა შეხედა. უცებ თვითონაც სახე გაუნათდა. ღიმილით შეავლო თვალი ეკას.

— ნუ გემინია, ახლავე მოიტანენ!

დოქი არყით გაავსო. შემობრუნდა. სამწვდე შეახვიაა და კარვების მიღმა გაუჩინარდა...

— სად წავიდა?

— ეკა, არ გეწყინოს, — ენვერმა ნაბადი წამახურა შიშველ ფეხებზე. — ეს გახლავს ძველთაძველი ფშაური წესი, თუ გნებავს, ჩვეულება, სრულიად უწყინარი ხუმრობა. ხატობაში მძინარეს ხდიან, პარავენ ფეხსაცმელს, რომლის გამოსყიდვაც შეიძლება მხოლოდ არყით და

ლუდით. ეს ჩვეულება თითქმის მივიწყებული იყო და როგორც ჩანს, გახსენებია ვიღაცას.

ბაკური წვერმოშვებულ ბიჭთან ერთად დაბრუნდა. ამ უკანასკნელს ეკას „კედები“ იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. წინ დაუნყო, მორცხვად შეხედა:

— მაპატიე, ჩემო დაიკო, შემეშალა, სხვისთვის მინდოდა გამეხადა და ამ წყეულმა სიბნელემ შემაცდინა, — ისე გაიქნია ხელი, თითქოს ჩამონოლილი სიბნელე უნდოდა გაეფანტა.

— ნოდარ! — გულიანად გაიციხა ბაკურმა, — აქ სხვა არავინ გვისმენს, ძალიან გიყვარს დალი?

— ძალიან! — თავი ჩაღუნა.

— მერე რა გიძლის ხელს, რატომ არ მიგყავს?

— არ მამყვება!

— უყვარხარ კი?

— მგონი კი!

— მაშ რა არის მიზეზი? რად გეუბნება უარს?

— ქალაქში ბინა არა გაქვსო! საიდან მექნება, ბაკურ, დედის მეტი არავინა მყავ, ცხოვრებას ეხლალა მოვეკიდე. ვინ მიყიდიდა თბილისში ბინას?! ვერ ვიქურდებ და ვერ ვიყაჩაღებ. საით მოვიტანო ბინის საყიდი ფული?! ღამე ძილი აღარ არი ჩემთვის...

ღიმილი ზედ შეაშრა თხოველს. სახე შეეცვალა, მოეღრიცა ბრაზისგან.

— დაუძახე დალის! — ეკას გადაულაპარაკა.

— აღარ მაძინებთ, რა! — თვალების სრესით გამოვიდა დალი. — შენც გაგალვიძეს, ეკუნა? ლოთები! ბაკურმა მკლავში მოჰკიდა ხელი. თვალებში ჩახედა;

— ვინა ხარ ჩემი?

— გაგიჟდი? ვინ ვარ და შენი ბიძაშვილი. ველარ მიცანი? ხაგმა ხო არ მოგამიზეზა? ხელი

გამიშვი, ნუ მომატეხე მკლავი!

— გიყვარს ეს ბალლი? — ნოდარზე მიუთითა.

დალიმ მხოლოდ ახლაღა შეამჩნია ნოდარი. გაეღიმა.

— ბალლი ჰო, თითზე არ გიკბინოს, ფრთხილად იყავი! რა, მაინც და მაინც უნდა მიყვარდეს? დიახ, ბატონო, მიყვარს, მერე შენ რა?

— რატომ არ მიჰყვები?

— მაგან იცის რატომაც! — გამომწვევად შეანათა მწვანე თვალები ნოდარს. ნოდარი აწრიალდა.

— თბილისში ბინა გინდა? — ხმადაბლა, კბილებში გამოსცრა ბაკურმა.

— რატომაც არა?

— სად გირჩევნია, ბარნოვზე თუ დოლიძეზე? — დაუფარავი ირონიით ჰკითხა.

— იცი, რა გითხრა?! — აპილპილდა დალი. — ვერ გავიგე, ჩემი ძმა ხარ თუ მტერი? გინდა მთელი ცხოვრება ორღობის ტალახი ვზილო და ძროხები ვწველო? ეს გინდა? რას გაჩუმდი? მითხარი, თუ ეს გინდა და ამ წუთში გავყვები ამ ვაჟბატონს!

— დალი! ნოდარი ჩემთან ერთად იბრძოდა ცხინვალში და როცა მძიმედ დაჭრილი, უგრძნობელი, თამარაშენიდან გორში მომყავდა, მთელი გზა შენს სახელს აბოდებდა. მე ეს შენთვის აქამდე არ მითქვამს. არ იყო საჭირო. არც ნოდარისთვის მიგრძნობინებია რამე. გახსოვდეს, რომ ჩემი ბიძაშვილი ხარ, ჩემი სისხლი და ხორცი. ახლა შენ იცი, დაფიქრდი, ჩემი თხოვნა, ბოლო თხოვნა იქნება, სიყვარულს ფულზე და კომფორტზე ნურასდროს გაცვლი! — ეკას და ენვერს ხელი მოხვია, კოცონისკენ წაიყვანა.

გათენდა. ცეცხლის პირზე ნაბადში გახვეული ვიღაცის ძახილმა გამოაღვიძა. ნაბადი გადაიძრო, წამოჭდა. თვალები მოისრისა. იქვე, ცეცხლის მეორე მხარეს, ეკა იჯდა. ბაკურმა გაოცებულმა შეხედა ბიძაშვილს, რომელიც სახემქმლილი რალაცას ეუბნებოდა.

— რა მოხდა?

— ქალი მოგვტაცეს, ბაკურ!

— ვინ ქალი, გაგიჟდი?

— დალი, ბიჭო, დალი მოიტაცა იმ ჩემანელამ! მოვკლავ! — ცხენს ეცა.

ეკამ ღიმილით გამოხედა ბაკურს. თითი დაუქნია. მოვიდა. წინ ჩამოუტდა. ბაკურმა ყანწები

შეაგესო.

— ეკა, მოდი ნოდარი და დალი დავლოცოთ! — ჩასჩურჩულა. ცხენოსანი მღვერები დაეშვნენ მთებიდან ხეობისაკენ. ხეობებიდან წისლები მოინეგდნენ მწვერვალებისკენ.

### III ტაზი

— გაიცანი, დედა, ეს ეკაა, — თქვა ბაკურმა.

— გამარჯობათ, დეიდა თამარ! — გაიღიმა ეკამ.

— მობრძანდით, შვილო! — თბილი ღიმილი შეაგება თამარმა. — დილიდან გელოდებით! —

ცომიანი ხელები სწრაფად გადაიბანა, ეკას მოხვია ხელი, აკოცა.

— დედა, როგორ არის საქმე, ჩემი დახმარება გჭირდება რამეში?

— ბატკანია, შვილო, დასაკლავი. სხვა ყველაფერი მზადაა.

ეკამ დაინახა იქვე, მოღზე მოკუნტრუშე თეთრი ბატკანი, რომელიც ნებიერად დარბოდა აქეთ-იქით. ბაკურმა ბატკანი დაიჭირა, ქამარზე დაკიდებული სანადირო ორლესული დანა ამოიღო. ეკა შემობრუნდა. არ შეეძლო ყურება. „ალბათ აცყავებს უკვე!“ — გაიფიქრა ცოცხლის შემდეგ და ბაკურს გახედა. გაოცდა. ხეს მიყრდნობილი, რალაც უხერხული ღიმილით დაჰყურებდა ვაჟი გაშიშვლებულ დანას. თავდახრილი იდგა. ბატკანი იქვე ბალახს წინწნიდა... მიუახლოვდა ეკა.

— არ შემიდლია! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ბაკურმა. ეკას თვალი მოარიდა.

— რა არ შეგიძლია?

— მე ამ ბატკანს ვერ დავკლავ და ისევ თვითონ გამოვისმევ ყელში დანას! მეცოდება, რა ვქნა!.. ეკას თვალწინ სწრაფად გაირბინა არცთუ დიდი ხნის წინანდელმა კადრებმა. ქალაქი დამასი.

მის მახლობლად პატარა მთაგრეხილი. გაქანებული მანქანიდან ხტება ბაკური, ჰაერში ცრილდება და სანამ მინაზე დაეშვება, უკვე ისვრის. ზედიზედ ეცემიან ძირს მისგან დაცხრილული ადამიანები. ცყვიამტურქვევმა უმტყუნა... კლდის შვერილიდან ავტომატომარჯვებული გამოვარდა მაღალი, მოხდენილი ვაჟკაცი. ბაკურმა ძლიერად გაიქნია მარჯვენა. მურად ხათუთ-ბეგის ნაჩუქარი ხანჯალი ყელში გაერჭო მეავტომატეს. ნვერი კისერში გავიდა. პირიდან სისხლმა ამოხეთქა. თხოველმა ავტომატი აიგაცა... სისხლიანი ხანჯალი ამოაძრო და ზედ შეაწმინდა მოკლულს. მხოლოდ ზიზი, საოცარი ზიზი ეხატა სახეზე.

ახლა კი სახე შეცვლილი და სრულიად უწყინარი იმ კაცს ჰგავდა, რომელსაც ცხოვრებაში ჭიანჭველისთვისაც არ დაუდგამს ფეხი...

— მაგრამ ეს არათერს ნიშნავს! — მეზობელი სახლისკენ გაიხედა ბაკურმა. — ვინმეს დაუუძახებ და დაკლავენ!

— ბაკურ, მომისმინე, — ხელით შეაჩერა ეკამ წასასვლელად გამზადებული. — ჯერ ერთი, ბატკნის ხორცი მე საერთოდ არ მინდა, თუ, რა თქმა უნდა, ჩემს პაციფისაციამად კლავ. თუ შენ გინდა ხორცი, ხორცის მეტი რა ჩამოიტანე ხატვიდან?! მოდი რა, ძალიან ვთხოვ, თავი დაანებე ამ საცოდავ ბატკანს. მე შენგან დაკლულ ბატკნებს, ცხვრებს თუ ხარებს ამ წუთში ერთი ფინჯანი ცხელი ჩაი მიჯობს. ყელში ამომივიდა ეს ხორცით გადაგვირთული სუფრები.

— რისი ჩაი?

— როგორ რისი? ჩაი არ იცი, რაც არის?

— ჩვენთან ადულებენ პიტნის, ასკილის, დეკის, შალშვის, ჟოლოს, მაყვლის ჩაის. რომელი მათგანი გინდა?

— იმდენი რამ ჩამომითვალე, — გაეცინა ეკას, — მე უკვე ამეზნა თავგზა. შენ რომელიც ყველაზე უფრო გიყვარს, იმას დავლევ მეც.



ბაკური დაფიქრდა. გაეღიმა.

— ალბათ ხუთი წელი მაინც იქნება, რაც ჩაი არ დამილევია. ადრე ასკილის ჩაი მერჩია ყველაფერს.

— ვენდობი შენს გემოვნებას. ასკილის იყოს! ეკას უცვებ თვალეები გაუბრწყინდა.

— ეს რა არის?

სახლის უკნიდან შველი გამოვიდა. რქიანი, კობგა თავი მაღლა ასწია. ყურადღებით შეათვალიერა ეკა. შედგა. უკან დააპირა ნასვლა.

— ბემბი! — დაუძახა დაბალი ხმით ბაკურმა, — მოდი ჩემთან!

შველი წელა გამოემართა მათკენ. დიდი, წყლიანი თვალეებით შეაჩერდა პატრონს. ბაკურმა თავზე მიუაღერა. შველმა ხელი აულოკა.

— საიდან მოიყვანე? — ჩაიძუხლა ეკამ. შვლის ლამაზი თავი მკერდში ჩაიკრა. ხელი აუსვა ბუსუსიან რქებზე.

— სანადიროდ ვიყავი. ნომერში ვიდექი. ცრიატი დღე იყო, ნისლიანი. მგელი დავინახე უცვებ. არ ჰგავდა მარეკებისგან გამოქცეულს. ფეხაკრეფით ეპარებოდა რალაცას. გაილურსა. ნახტომისთვის მოემზადა. ვესროლე, ჩავირობინე. მუხის ქვეშ ინვა ეს ვაჟკაცი, — ნკიპურტი წაარცყა თავში, — პატარა, ახალშობილი. დედა გაქცეულიყო. წამოვიყვანე. დედაჩემმა გაბარდა რძით. უკვე სამი წლისაა. საშინელი ღორმუცელია. ერთი ცომარა ნამცხვარი შეუძლია შეჭამოს ერთ ჭამაზე.

— რა სიცოცხლეა! — ეკას ყველაფერი დავინწყებოდა. თვალგაბრწყინებული მისჩერებოდა ბემბის. სადილს ვახშამიც ზედ გადაეხა. ჩამობნელდა. სინათლეები არ იყო თუშავში. სანთლებით

გაენათებინათ კაკლის ქვეშ გაშლილი სუფრა. სადღეგრძელოს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას — სადღეგრძელო. ბაკურის მეზობელს, რომელსაც მეგობრები „მოხუცას“ ეძახდნენ, უკვე ხმა ჩახლქოდა. მაინც არ უშვებდა გიგარას და თანდურს ხელიდან. „სადაური ხარ, ბიჭო, შენ, ეი!“ თავდავინწყებით გაჰკიოდა. ბაკურის აქაური მეგობრები, ანუ „საძმო“, როგორც თავს უწოდებდნენ, ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები იყვნენ. ეკა ყურადღებით უსმენდა თითოეულ

მათგანს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ შეზარხოშებულიყვნენ, არავითარი ზედმეტობა მათთვის არ შეუმჩნევია, არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არავითარი ვულგარულობა. საბოლოოდ მოხიბლეს ეკა ფშაველებმა. ლამაზი სალამო იყო.

— ბაკურ! — მაგიდის ბოლოში აქამდე ჩუმად მყოფმა ენვერმა, როგორც იქნა ხმა ამოიღო. — შენ წუხელ მგონი მე რაღაცას შემპირდი?!

— მახსოვს! არ დამვიწყებია! — ეკას შეხედა. — ეკა, თუ ძალიან არ ხარ დაღლილი, შეგიძლია გვიმღერო? ძალიან გთხოვ!

— გთხოვთ! „საძმოს“ ნუ გაგვანანყენებთ! — „მოხუცამ“ გიტარა მიანოდა.

ქალმა გიტარა ჩამოართვა. ბაკურისკენ გაექცა მზერა. შავი პერანგი ეცვა თხოველს. უძილობას თავისი გაეგანა. სახე გაფითრებოდა. ეკამ კარგა ხანს ვერ გაარჩია, რა ეკიდა ყელზე შავი უბრალო

დაგრეხილი ძათით. გადაინია, ახლოდან შეხედა. გადაღეღილ მკერდზე ვაჟს ჭვარი და ტყვია დაუნახა.

„სიმბოლურია!“ — სინანულით გაიფიქრა.

— ბაკურის სიმპათიები გალაკტიონის „ვერხვებისკენ“ იხრება. იქნებ იცოდეთ „ვერხვები“? — შეკვეთა ჩამოაწოდა თამადა ჭემალმა.

— სამწუხაროდ, არ ვიცი ტექსტი! — გაეღიმა ეკას. სევდიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. სტამბული. რესტორანი „ეგვიპტე“...

სულგანაბულნი შეჰყურებდნენ ეკა ბუჩუკურს. გიტარის ხმები საამოდ იღვრებოდა ლამის სევდიან სიჩუმეში. მიჩერებული ერთ წერტილს — ბაკურის თვალებს, ქალი მღეროდა სიმღერას, რომელიც ამ წუთებს ალბათ ყველაზე უფრო შეეფერებოდა.

„საღღაც სოფელში ყმუის მურია და მიჭრიალებს გზაზე ურემი, მე შენი ნახვა ისე მომწყურდა, დავეოცნე შენი ნაფეხურები...“

შუალამისას დაიშალა „საძმო“. რბილ, თუმიფულა სანოლში თავჩარგულმა ეკამ შვებით, ნებიერად ამოისუნთქა. საღღაც ძალი იყვოდა. მამლები ყიოდნენ უკვე. კარზე მორიდებული კაკუნის ხმა გაისმა.

— მობრძანდით! — შემკრთალმა გასძახა.

კარი თამარმა შემოაღო. ჩაი შემოუტანა. დაუდგა.

— ვაიმე! რაგომ შეწუხდით, დეიდა თამარ, ისედაც მთელი ღამე ფეხზე, უძილოდ გაატარეთ. — შეწუხდა ეკა, წამოინია, მისწვდა ფინჯანს.

— რა შეწუხებაა, შვილო! თქვენ იყავით კარგად და მე თუნდაც მთელი წელი არ დავიძინებ. სინათლე დაგიტოვო? — თამარმა დაცლილი ფინჯანი აიღო, დაიხარა, აკოცა ეკას. — დაიძინე, ჩემო ანგელოზო. ხომ არ გცივა?

— არა! ბაკურმა დაიძინა? — მოკრძალებით იკითხა.

— კი. დანვა უკვე. ძილი ნებისა! — კარი გაიხურა.

ეკამ ბალიშს შემოხვია ხელი. „ღმერთო, რა კარგია აქ!“ გული დანყდა, უცებ გაახსენდა, რომ კვლავ თბილისში უნდა დაბრუნებულიყო. კედელს შეავლო თვალი. ვეება დათვის ტყავზე გარდიგარდმო ძვირფასი თვლებით მოჭედული ხმალი ეკიდა. გვერდით ირმის რქებზე თოფი, პატრონგაში, ხანჯალი... „ბრაკონიერი!“ — გაეღიმა. სანთელს შეუბერა. ჩააქრო. თვალეხი დახუჭა. თითქმის მაშინვე ძილ-ბურანში გაეხვია...

...უსიერ, უღრან ცყეში მიაბიჯებდა ეკა. თეთრი, საქორწინო განსაცმელი ეცვა. უჭირდა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით და ვინრო კაბით გადმოლენლი ხეებზე გადაბიჯება, ეკლიან ჯაგნარში

სიარული. წინ ბეჭი მიუძღვოდა. ჯიუტად მიიწევდნენ წინ. ცოტაც და დამთავრდა ცყე. ირგვლივ ყვითლად გადაპენტილიყო იელი, თეთრად ყვაოდა დეკა. ცა იყო ლურჯი... ქარმა დაჰქროლა. ცა შავად დაიბურა უცებ. მთის მწვერვალზე მხედარი გამოჩნდა. იცნო შავი ცხენი ეკამ. გაოცებულმა შენიშნა რომ კვლავ შავები ეცვა ბაკურს. მანაც შენიშნა ეკა. უყვირა რაღაც. მთებში გავარდნილმა ექომ მოაღწია ეკამდე. „უკან! უკან შედი, ცყეში! წადი აქედან! ნაბიჯი არ გადმოდგა წინ!“ — საშინელი ხმით ღრიალებდა ბაკური. მიიხედ-მოიხედა. შველი აღარსად იყო. თვალის დახამხამებაში გახმა ყვითლად და თეთრად დაპენტილი ყვავილები. გამხმარ ბალახებში აფუთფუთდა, ამოძრავდა რაღაც. გაშეშდა ეკა, გაშრა. მის წინ ასობით, ათასობით გველი ირეოდა. თავანულები, საშინელი სისინით მოიწევდნენ მისკენ. ბედს შეგუებულმა ბაკურს გახედა. გველებზე ბედ მოფრინავდა შავი ცხენი. თლოქვებით თქერავდა, სრესდა ქვეწარმავლებს. არაბი უფლისწულის ნაჩუქარი ხანჯალი ეჭირა ხელში ფხოველს.

გველების სისხლში იყო ამოსვრილი ცხენიც და მხედარიც. უკან მიიხედა ეკამ. თვალუნდენელი უფსკრული გაჩენილიყო ცყის ბოლამდე. „ნუ გეშინია!“ — ჩაესმა. მოიხედა. გვერდით გულხელდაკრეფილი, სევდიანი სახით, წვერმოშვებული, მაღალი ტანის ვაჟუცი ედგა. ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა ბაკურს. თხოველმა წუთით შეაჩერა ჰაერში სისხლიანი ხანჯალი. სიხარულმა გაუნათა სისხლით მოსვრილი სახე. „ეკას უშველე, ახმედ!“ — გამოსძახა. რამაზანოვს ღიმილი გამოეხატა თითქოსდა სანთლისგან ჩამოქნილ სახეზე. ეკას უცებ გაახსენდა: ის ხომ მკვდარი იყო...

„ეკას მე წავიყვან! ჩემთან იქნება! არ იღარდო!“ — ხმადაბლა, საშინელი ხიხინით წარმოსთქვა მკვდარმა. ქალიშვილისკენ გამოიშვირა ჩონჩხად ქცეული, გრძელი ხელები. ეკა უკან მიანყდა, უკან, სადაც საშინელ უფსკრულს დაელო ხახა...

— ეკა! ნუ გეშინია! — ბაკურმა კარები ლამის შეამტვრია და საწოლის კუთხეში მიუყუწული ეკა ხელში აიგაცა. — დედა! სინათლე აანთე ჩქარა! — ეკას შემადრწუნებელ კვილს ზებე წამოეყარა დედა-შვილი.

— რა სიზმარი ნახე მაგნაირი? — ბაკურმა ლოგინში ჩაანვინა, საბანი ფრთხილად წაათარა. საწოლზე ჩამოყდა. თამარმა წყალი შემოიტანა. შეშინებული დატრიალებდა თავს. „როგორა ხარ, შვილო?“ წამდაუნუმ ეკითხებოდა შემკრთალი. შერცხვა ეკას.

— კოშმარები იყო რაღაც საშინელი! — გული ძალუმად უცემდა ისევ.

— ოხ, შე მშიშარა! — გაიცინა ბაკურმა. კედელზე დაკიდებულ ხანჯალს მისწვდა, ქარქაშიდან ამოიღო, ბალიშქვეშ შეუდო ეკას. — დაიძინე, ახლა უკვე აღარ ნახავ ცუდ სიზმარს.

— დედა, სინათლე არ ჩააქრო. იყოს სანთელი, — თხოველმა ზენარი აიღო, იქვე მდგარ დივანზე მიწვა. ზედ წაითარა.

მართლაც აღარ შეუწუხებია ცუდ სიზმრებს ეკა. დილა შეუმჩნევლად შემოიპარა მაღალი, ნათელი ოთახის თანჯრებში. მზე ამოვიდა. წამოდგა ეკა. გადაიცვა. ბაკური არსად ჩანდა. თამარი ჭურჭელს რეცხავდა.

— დეიდა თამარ, სადაა ბაკური?

— სათევზაოდ წავიდა, მალე მოვა. როგორ გეძინა?

— კარგად. აღარ მინახავს ცუდი არათფერი, — გაიცინა ევამ. — მოგეხმარებით.

თავიდან ფეხებამდე სველი მოვიდა ბაკური. ბადე მოღზე გაშალა.

— ვაიმე, რამდენია! რა ლამაზებია! — ევა სახეგაბრწყინებული დაჰყურებდა კალმასებს, რომელთაგან ზოგი ისევ ცოცხალი იყო.

არაგვის პირას ისხდნენ. ევას ბაკურის მუხლებზე ედო თავი. თვალდახუჭული გარინდებულიყო. ფხოველი მთების ჩამოთლილ თრიალოებს გასცქეროდა ჩათიქრებით. მინებდა თიქრებსა და მოგონებებს და ეს თიქრები და აზრები თანდათან მონესრიგდნენ, მოზაიკის კენჭებით შეუერთდნენ მის მოგონებებს და მთელი მისი გამოცდილება, ნახულ-გადაცანილი და სიმწრით მოპოვებული ცოდნა და მრავლის უმრავლესი პასუხგაუცემელი კითვა შეერწყა ახლადათვისებულ ჭეშმარიტებასა და იმ ცოცხალ სამყაროს, რომელიც ახლა მის წინაშე დილის ბრწყინვალებაში გაშლილიყო.

თმებში შეეცურა ხელი. სიცოცხლეს მისცემდა ბაკური, ოღონდ მთელი ცხოვრება გაგრძელებულიყო ეს წუთები. „გათბი მისი სხეულის სიმხურვალით, დაგვბი მისი სილამაზით, ყური დაუგდე მის განთავისუფლებულ სუნთქვას, იყავ ბედნიერი. ხომ ამოხველ ბოლოსდაბოლოს იმ უფსკრულიდან, ამ დრეობამ თუ ბედმა მდევარმა რომ გადაგისროლა, ჭეშმარიტი, სიყვარულით აღვსილი ცხოვრების ზედაპირზე, იმ ცხოვრებისა, შენ რომ ეძებდი! აღარათფერი გყოფს ევასგან, არც უცხოობის უფსკრული, არც რამ წარსული! წარსული?“ — სინანულით გადახედა განვლილ ცხოვრებას. უაზროდ დაკარგულ წლებს.

თხუთმეტი წლის იქნებოდა ბაკური, როცა სიყვარულის ოცნება ჩაესახა გულში. მაგრამ ყველაფერი სიცრუე აღმოჩნდა მისთვის ამ ქვეყნად. სიცრუე აღმოჩნდა სიყვარულიც და მასზე ოცნებაც. ცხოვრება სულ სხვაგვარი იყო, სიყვარულიც სულ სხვაგვარი. სიყვარულიც ცხოვრებასავით საესე აღმოჩნდა წინააღმდეგობებით. გატაცება, გაბრუება, გამოითხიზლება, სასონარკვეთა. მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება და ასეთით უნდა დაკმაყოფილდე.

— წამოსვლისას მარიკა ვნახე. — ევას თვალი არ გაუხელია, ისე თქვა. ბაკურს ხმა არ გაუღია.

— შენი ნახვა უნდა! — ევამ პირდაპირ შეხედა. — უნდა ნახო. სხვანაირად ალბათ არ შეიძლება.

— ჩამოვალ თბილისში და ვნახავ, — ჩათიქრებული ჩააცქერდა არაგვის სწრაფ, თეთრ

გაღლებს.

— ბაკურ! — ევა წამოჭდა. თავი გაიქნია. თმები ხელით გადაისწორა, — იცი? მე და ჩემს თანამშრომლებს ერთი აზრი მოგვივიდა თავში. ჩვენთან გეპატიუებით სამუშაოდ.

— შენი აქ, ჩემთან ამოსვლა ისევ საქმიანი შეხვედრა ყოფილა?! — ნაღვლიანად გაიღიმა. — მერე და შენ თუ იცი, რომ მე არ მაქვს საიმისო განათლება, უშიშროებაში რომ შეიძლებოდეს ჩემი მუშაობის დაწყება?

— ყველაფერი ვიცით. გეტყვი უფრო მეტსაც. შენ მაიორის სამხედრო წოდება გაქვს. ჩვენ გინარჩუნებთ ამ წოდებას და ინიშნები თენგიზ გადალენდიას მოადგილედ. ცხადია, ღროებით.

— დიდი პატივია! გმადლობთ! კი მაგრამ, ვინაა თენგიზ გადალენდია? ეკამ დათუქრებით შეხედა ბაკურს.

— გინდა ერთი პატარა ზღაპარი მოგიყვე?

— ზღაპარი? ძალიან მიყვარდა ბავშვობაში ზღაპრები. მომიყევი.

— იყო და არა იყო რა, — ევას თვალები დაენისლა. — იყო ერთი ობოლი და-ძმა. ბებია ზრდიდა მათ, მოხუცი პედაგოგი, რომელიც წლებზე ფეხს იდგამდა, რომ ყოველდღიური ლუკმა-პური ჰქონოდათ მისი ხელის შემყურე უმწეო ბავშვებს. გადიოდა წლები. გაჭირვებით, მაგრამ მაინც იზრდებოდნენ. აკლდათ ბევრი რამ. განსაცმელიც არ ჰქონდათ წესიერი. ამაყი იყო ბებია. არავის სთხოვდა დახმარებას, შევლას. ცდილობდა მხოლოდ ერთს: ზნეობრივად ამაღლებულად დაეზარდა შეილიშვილები. ერთ მშვენიერ დილას, როცა უკვე ობლებმა ცხრა კლასი დაამთავრეს, ბებია ლოგინიდან ვეღარ წამოდგა. მის თავზე დახრილ შემკრთალ ბავშვებს უკანასკნელად შეავლო სიბრალულით ცრემლიანი თვალები. მიიცვალა იმავე დღეს. უცებ გაჩნდა ნათესაობა. დაკრძალეს ბებია. ანუგეშებდა ობლებს ყველა. ყველა თანადგომას პირდებოდა, მაგრამ მალე ყველამ მიივიწყა ისინი. ყველამო, გითხარი? არა, ყველამ არა!

მთელი ბათხული ძმა გასული იყო სახლიდან. სადღაც იკარგებოდა. საღამოს მოდიოდა გამგვერილი, ჭუჭყიანი, დაღლილი. გვიან გაიგო დამ, რომ თურმე ცეცხლფარეშად დაენყო მუშაობა, მხოლოდ იმიტომ, რომ დისტოვის სასკოლო განსაცმელი ეყიდა...

მორჩა მეათე კლასის გამოსაშვები გამოცდებიც. ბანკეტს იხდიდა მათი კლასი. ჯერ დილა იყო. საღამოს შეიკრიბებოდნენ თანაკლასელები, რაიკომის მდივნის ვაჟიშვილის ოჯახში, სადაც გამოსათხოვარი სუფრა უკვე მზადდებოდა. სიხარულით სახეანთებული ახალგაზრდები ჭგუფ-ჭგუფად დასეირნობდნენ პატარა, პროვინციული ქალაქის ქუჩებში, სკვერში. სურათებს იღებდნენ. ვიდეოები სიყვარულს ეფიციებოდნენ ერთმანეთს. სხვები პირდაპირ ქუჩაში ხსნიდნენ შამპანურს.

და-ძმა კი ამ დროს მარტო იჯდა სახლში, მივინყებელი ყველასგან. ძმა ფანჯარასთან მიმდგარიყო. თვალს არიდებდა ლოგინზე ჩამხოხილ, მოქვითინე დას. მათ ბანკეტისთვის შესაფერისი ტანსაცმელი არ ჰქონდათ. ბებიასავით ამაყები იყვნენ. დახეული, გაცვეთილი ტანსაცმლით ვერ მივიდოდნენ იქ. ამ დროს მანქანა შეჩერდა მათ კარებთან. ძმამ ფანჯარაში გაიხედა. „თვალეები მოიბანე!“ — უთხრა დას. კარების გასაღებად წავიდა. ქალაქიდან იყო სტუმარი, მათი მამის ბავშვობის მეგობარი. გამომცდელად შეხედა სახეანთლებულ გოგონას. მზერა ძმაზე გადაიტანა. „მე აქ ჩამოვედი იმიტომ, რომ თქვენთვის სკოლის დამთავრება მომელოცა. თქვენ კი გირით?“ ძმასთან მივიდა. თავი აანეგინა. ცრემლები კიაფობდა ბიჭის თვალეებშიც. „დღეს, როგორც ვიცი, ბანკეტია თქვენი კლასის. რატომ იქ არ ხართ?“ — სიმკაცრე გაკრთა მამის მეგობრის ხმაში. უსიგყვოდ იდგა ძმა. ხმას არ იღებდა. სტუმარი პასუხს ელოდა. „ტანსაცმელი არა გვაქვს!“ — უცებ თქვა გოგონამ და კვლავ გირილი წასკდა. გაოცებულმა შეხედა ბავშვებს. სახე გაუფითრდა. საათს დახედა. „ჩქარა მანქანაში!“ — ლამის ძალად ჩაყარა და-ძმა „ვოლგაში“. მანქანა თბილისისკენ მიქროდა...

ბანკეტის ახმაურებული სუფრა უცებ ჩაჩუმდა. კარებში და-ძმა იდგა. განცვიფრებულები შეჰყურებდნენ თანაკლასელები. მდივნის ბიჭმა უხერხული ღიმილით დახედა თავის ატელიეში შეკერილ კოსტიუმს. უკანასკნელი მოდის თეთრ, უცხოური წარმოების კოსტიუმში იყო ძმა გამონწყობილი. შეწონდა მაღალ, ლამაზ ბიჭს თეთრი ტანსაცმელი. თეთრები ეცვა დასაც. ზღაპრების დედოფალს ჰგავდა...

მამის მეგობარს ისინი აღარ მიუგოვებია. ორივეს დაამთავრებინა ინსტიტუტი. ბინა მიაღებინა. ცხოვრების გზაზე ხელი შეაშველა. ადამიანებად, ნორმალურ პიროვნებად ჩამოაყალიბა.

ეკა გაჩუმდა, დუმდა ბაკურიც.

— აღბათ აღარ გჭირდება იმის თქმა, ვინ იყო ობოლი და-ძმა. მათი კეთილი ანგელოზი კი ის კაცი იყო, ვისზეც შენ მკითხე, თენგიზ გადალენდია გახლავთ ჩემი აღმზრდელიც, მამაც

და უფროსი მეგობარიც... მე ველოდები პასუხს შენგან!

— ეკა, შენ ელოდები ჩემგან პასუხს! მე არათუ არ დავინცებ სამსახურს თქვენთან, შენც გთხოვ, თავი დაანებე მანდ მუშაობას. არაა ეგ შენი მონოდება. უშიშროება არაა ქალის, შენნაირის შესაფერისი ადგილი...

არათვერი უთქვამს ეკა ბუჩუკურს. ყელზე მოეხვია. ლოცაზე ნამნამებით მიელამუნა.

— ესე იგი არა?!

— არა!

გრილოდა არაგვის პირას.

#### IV თავი

აგვისტოს ბოლოა. ღამის პირველი საათი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი მცხეთა ორი მდინარის შესართავს მიჰკვრია ზედ, საშინელი ხვატი ცრიალებს მაინც. კარ-ფანჯრები გამოუღიათ მცხეთელებს, ცდილობენ დაძინებას, მაგრამ ამაოდ. შეუძლებელია ძილი. ძილი გაუკრთო უსაშველო სიცხემ სვეტიცხოვლის წინამძღვარს. ანათორიანად მიწოლილი მამა დავითი ზეზე წამოდგა, ეკლესიის მსახურთათვის შეუფერებელი სიცივეები წარმოთქვა ბუნების გამჩენის მიმართ. სინათლე არ აუნთია. გარეთ გამოვიდა. სკამზე ჩამოჯდა აივანზე. ჭერის მონასტერს გახედა. პირჯვარი გადაიწერა. სიყვარულით შეათვალიერა სვეტიცხოველი, მკრთალად განათებული ეზო. გალავნის მიღმა სადღაც მანქანა გაჩერდა. სულშეხუთული, გაბეთით ინიავებდა სახეს მამა დავითი. გაბეთი ხელში გაუშეშდა. გაოცებული მიაჩერდა გალავანს. გალავანზე დალანდა კაცის სილუეტი, რომელიც მავნე სულივით უხმაურად გადმოეშვა ძირს, გაძრის ეზოში. „მძარცველი! წყეული საგანა!“ — ბრაზით გაიფიქრა წინამძღვარმა. ხელი გელეფონისკენ გაექცა. საჭირო იყო მილიციის გამოძახება. შეყოყმანდა. ერთგულმა ღვთის მსახურმა ვერ გაიმეცა უდროოდ დროს მოვლენილი სტუმარი. წამოიწია. რამდენადაც სინათლე საშუალებას იძლეოდა, დააკვირდა უცნობს, რომელიც წელში გამართული, წელი ნაბიჯით ეკლესიისკენ მოემართებოდა. გაიბრჭყვიალა რაღაცამ მის ტანზე. მამა დავითმა მხედველობა დაძაბა. ფორმიანი იყო. „პორტუპი“ ყვითლად ციმციმებდა მკრთალ სინათლეზე. ქამარში გაშიშვლებული იარაღი ჰქონდა გაჩრილი. პისტოლეტი ამოიღო. იქვე, საფლავის ქვაზე დადო; გაძრის წინ შეჩერდა. სამჯერ ზედიზედ პირჯვარი გადაიწერა, ეამბორა გაძრის თალებს. მუხლებზე დადგა. სანთლები დაანთო თან მოგანილი.



კედელს მიაკრა... გული გაუნათლა წინამძღვარს. ჩამოვიდა კიბეებზე. უკნიდან მიაღვა დაგვიანებულ მლოცველს. ჩაახველა ხმადებლა. უცნობმა თავი აწია. წამოდგა.

— შევცოდე, მამაო? — იკითხა თავდახრილმა.

— არა, შვილო! ჭეშმარიტი მორწმუნე სხვათა დასანახად კი არ უნდა ლოცულობდეს, მარტომყოფი უნდა ევედრებოდეს უფალს. შენ არაფერი შეგიცოდავს. პირიქით. ლოცვა სულის განჯვას ამსუბუქებს. მცხეთელი ხარ?

— არა. ღუშეთიდან ვარ.

— არ გვითხავ იმას, აქ საიდან მოხვდი შუალამისას! არაა ეგ ჩემი საქმე. სტუმარი ხარ, მცხეთაში ჩამოსული, მეცი პატივი, შემოდი ჩემთან, თითო ჭიქა ღვინო დაგლიოთ.

— გვიანი არაა, მამაო?

— არა, არ არის გვიანი. ძილი გამიკრთა. ვეღარ ვიძინებ მაინც...

წინ გაუძღვა. აივანზე ავიდნენ. მამა დავითმა ოთახში შესვლამდე ბოლიში მოიხადა. წუთით დატოვა სტუმარი. გვარდიელი სკამზე ჩამოჯდა. თვალეზმოჭეცვით გახედა მთვარეს, რომელიც ზედაზნის პირად ამართულ კლდეს თავზე მოქცეოდა. შემწვარი ქათამი, მწნილეული, სალათა, თონის პური და თიხის ღოჭით ღვინო დაალაგა მღვდელმა პაგარა მაგიდაზე. ჩამოჯდა თვითონაც. შეავსო ჭიქები.

— სანამ ჩემთან ჭიქას აწევდეთ, მამაო, — მაგიდას მიჩერებულმა წარმოთქვა ოფიცერმა, — მინდა იცოდეთ, რომ რამდენი ცოდვაც არსებობს ამ ქვეყნად, ორჯერ იმდენი მე მაქვს ჩადენილი.

— კაცი მოგიკლავს? — ყურადღებით შეათვალიერა წინამძღვარმა.

— ბევრი ძალიან.

— სად, თბილისის, მცხეთის, ღუშეთის ქუჩებში?

— ღმერთმა დამითაროს! — შუბლშეკრულმა გამოხედა. — არა, მამაო, ომებში მხოლოდ და მხოლოდ.

— ჩემი წონა ვარსკვლავები გაკერია, შვილო, მხრებზე და კი უნდა იცოდე, რომ ომში მტრის მოკვლა არაა ცოდვა. შენ არ მოკლავ და შენ მოგკლავენ, დაიხსომე ეს. არ მოკლავ, არ მოსპობ თიზიკურად და ნავიბილწავენ ერსა და მამულს, ოჯახს და საკუთარ მეს.

— განყვეტინებთ, მამაო, მაგრამ იყო დრო, როცა მე თვითონ ვბილწავდი სხვის ერს და მამულს, სხვის ოჯახს და მეობას.

— ავლანეთი გაქვს მხედველობაში?

— მიმიხვდით.

— მანდ შენ არათურ შუაში ხარ. შენ ბრმა იარალი იყავი მხოლოდ. ცოდვას მათ კისერზე გადაატარებს უფალი, ვინც ომი წამოიწყო იქ. ნუ ნაღვლობ მაგაზე. იქ ნაომარი მე ძალიან ბევრი ვიცი, ავლანეთი რომ ცხოვრების წყაროდ გამოიყენეს და იყენებენ დღესაც.

— მათ აქვთ ის, რაც მე არ გამაჩნია, — თვალეში შეხედა მამა დავითს. — მათ აქვთ თავისთავადობა, ცხოვრობენ ისე, როგორც ესმით, თავისთავადი ცხოვრებით.

— ცოცა არ იყოს, არ მესმის შენი.

— ცხოვრებით მეც ვცხოვრობ. ჩემი ცხოვრების ოცდაცამეტი წლის მანძილზე მთელი ჩემი შესაძლებლობანი ამოვწურე და დღესდღეობით თავი პროტესიონალი მეომარი მგონია. მაგრამ ეს არ არის თავისთავადობა. არა, ეს უფრო წინასწარგანზრახული ამოცანა იყო, რომლის მიღწევა და დაუფლება ძალიან ძვირი დამიჯდა, დამიჯდა ნებისყოფის დაუსრულებელ დაძაბვად. ეს მხოლოდ იმით მოვახერხე, რომ ჩემს უნებლიედ მივყევი დინებას, მიზნის მიღწევა შეგნებულად დავისახე და არა თავისთავად გამიჩნდა...

— რა მიზანი გაქვს ამ წუთში? გვარდიელს ხმა არ ამოუღია.

წინამძღვარმა მცირე ხანს შეიცადა. გამოცალეს თითო სასმისიც. მერე კვლავ ჰკითხა:

— მგონი, შენ თვითონაც არ იცი?

— ვიცი! ვიცი, მამაო! ჩემი მიზანი მხოლოდ ერთია: ჩვენი დაკარგული ქალაქების და სოფლების დაბრუნება.

ამოიხვნეშა მამა დავითმა.

— ძალიან კარგი. შეძლეგ? ვთქვათ, დავიბრუნეთ, შეძლეგ, რა იქნება შენს ცხოვრებაში?

— რა ვიცი... შეძლეგ ალბათ დიდი, ნამდვილი ბედნიერება დადგება, ისეთი, ბავშვობისას რომ ვოცნებობდი. რა ვიცი, შეიძლება ეს ყველაფერი მხოლოდ მოლოდინია, რითაც ადამიანი ცხოვრობს. შეძლეგ ალბათ დადგება უღიმღამო, შინაარსისგან დაცლილი დრო, რომელიც როგორმე უნდა გაათრიო.

— გადამრევ შენ! — გაოცდა მამა დავითი. — ისეთ რაღაცეებს ამბობ, კაცს გულს გაუხეთქავ. ცხოვრებას უნდა უყურო, როგორც ამოცანას, რომელიც უნდა ამოიხსნას.

— ვიცი ეგ მე. ადამიანი რაღაც მიზანს ისახავს, უნდა, რომ გონივრულად იცხოვროს, მაგრამ კაცი მარტო გონებით ხომ არ ცხოვრობს, მამაო?

— ღირს შენთან კამათი. მართალი ხარ. ადამიანი ცხოვრობს გრძნობითაც, გულითაც.

— სინამდვილეში ეს ყველაფერი არამეცნიერული მცნებებია, — გაეღიმა მოსულს. — ერთი პროფესორი ასე ამბობდა: ცენტრალური ნერვული სისტემა უჩვეულოდ რთულია... ასეა თუ ისე, გრძნობაში, გულში ჭეშმარიტს ყალბისგან ძნელად გაარჩევ. ისტორიას გადავაგლოთ თვალი: იმ ეპოქაში, როცა ადამიანი უპირატესად გონებას ეყრდნობოდა, მისი დაბნევა უფრო ძნელი იყო.

— შესაძლოა, შენ კვლავ მართალი ხარ, — ჩაფიქრდა წინამძღვარი. — შენი ლოგიკით მე უკვე დამაბნე. ყოველ შემთხვევაში, ახლა ჩემთვის ნათელია, რას გულისხმობდი, როცა ამბობდი, ყოფილი

ავლანულების მეტი წილი თავისთავადი ცხოვრებით ცხოვრობსო. ეჰ, რა აუცილებელია ეს წყევლი ომები?!

— ომი აუცილებელი არ იყო არასდროს! — განაგრძო სტუმარმა, — მაგრამ კაცმა რაღაც გაჭირვება უნდა გაიაროს, საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ ილუზიები რომ გაფანტოს. საქმე ისაა, რომ ჩემი ამჟამინდელი „მე“ სხვაგვარია, ვიდრე ბავშვობისდროინდელი იყო და ცხოვრებაც სხვაგვარი აღმოჩნდა, ვიდრე მას ბავშვური თვალეებით ვხედავდი.

— მწნილი მიაგანე! გემრიელია! — თეფში მიუწია. — ესე იგი შენ ფიქრობ, რომ საჭიროა ადამიანის რამენაირად გამოთუხიზლება?

— საჭიროა! ბავშვობიდანვე შევექმენით მითები სამყაროს და საკუთარ თავზე, მერე კი, რაც უფრო მეტს ვსწავლობდით ცხოვრებისგან, მით უფრო სწრაფად იმსხვერვოდა მითები. ყველაფერი, რაც კი საიმედოდ და ღირებულად გვეჩვენებოდა, ქაოსურად ირეოდა და მნიშვნელობას ჰკარგავდა. ასე მოვხვდით ერთ მშვენიერ დღეს ჩქარ დინებაში და ვეღარსად მოვიკიდეთ ფეხი. შემდეგ შევუდექით ძებნა-ძიებას, ვეძებდით ისეთ ცხოვრებას, როგორც სინამდვილეშია, ისეთ სიყვარულს, როგორსაც ცხოვრებაში ვხვდებით, იმ ძალებს, რომლებიც სინამდვილეში წარმართავენ ცხოვრებას. და ეს ყველაფერი ხდება იმ დაწყევლილ დროს, როცა სიმართლის ნაცვლად ახალ მითებს გჩრიათ — აი, ესაა ჩვენი ახალგაზრდობის უბედურება...

— დღეს შენ, როგორც ვხედავ, ძიებაში ხარ...

— დიახ! ვეძებ დღეს, მაგრამ არა ისე, როგორც უნინ. მაშინ ჩვენ უმწიფონი ვიყავით... ხაზს ვუსვამ: არა მარტო მე, ჩემი თაობა. არა გვექონია რამე საბოძი, საყრდენი წერტილი, რომელზე დაყრდნობითაც სამყაროს გადაბრუნებას შევძლებდით. არ გვექონდა, ასე ვთქვათ, არქიმედეს საყრდენი წერტილი. დღეს ჩვენ ეს წერტილი გვაქვს! მე პირადად ვგრძნობ ფეხქვეშ მინას და ახლა სამყაროს შეცნობას შევუდექი.

მამა დავითი წინ გადაიწია და მოუთმენლად, დაძაბულად შეაცქერდა:

— მაშ რაღას ეძებ კიდევ?

— საკითხი ასე დგას: სამყარო და „მე“. სამყარო შეცნობადია, შეიძლება მისი შეცვლა და დადგება დრო, როცა იგი ცივილიზებული უწმინდურობის ორმო აღარ იქნება, იქცევა იმად, რაც უნდა იყოს — ურთიერთშეთანხმებული, მშვიდობიანი კაცობრიობის სამშობლოდ. ასე იქნება ეს. მაგრამ რა ეშველება ჩვენს „მეს“? შეცნობადია თუ არა ჩვენი „მეც“? შეძლებს თუ არა ეს „მეც“, აქ, თავისი ცხოვრების მანძილზე მიაღწიოს იმას, რომ აღარ იყოს დევნილი, აღარ ხრავდეს შინაგანი წინააღმდეგობანი, აღარ იყოს ქვეყნად მიუსაფარი, მხოლოდ მოაზროვნე, გამრჯე, მეტყველი ცხოველი და იქცეს იმად, რაც უნდა იყოს — ჭეშმარიტ ადამიანურ „მედ“?

წინამძღვარმა ისე შეავსო ღვინო, რომ ოფიცრისთვის თვალი არ მოუშორებია. ჩათუქრებული ღუმდა კარგა ხანს.

— ძალიან ბევრი რამის გარკვევა მოგიწოდებია, შვილო ჩემო, — თქვა ხანგრძლივი თუქრის შემდეგ. — ძიება ცოდნისა. სიცხადისა გასაგებია ჩემთვის; მაგრამ „მეს“, ცხოვრების,

სიყვარულის ასეთი სასონარკვეთილი ძიებისა რა მოგახსენო... დააცადე, რომ შენი „მე“ შენსავე არსებაში მომნიჭდეს, ადროვე, რომ სიყვარული თავად გეახლოს და იცხოვრე ისევე, როგორც შენს ირგვლივ მყოფნი

ცხოვრობენ. მოცდაც უნდა შეძლო... თუმცა, რასაც ვამბობ, ეს შენი კითხვის პასუხი არ არის! — გაიღიმა მამა დაავითმა და რატომღაც ამ ღიმილს წუხილის იერი მიეცა. — შენ ალბათ გირჩევნია, ყველა კითხვას თვითონ გასცე პასუხი. რასაც ადამიანები ერთად გადაიტანენ, ზოგიერთმა ის ტანჯვით უნდა განიცადოს. ასეა ეს. ხდება ასეთი რამ. მე წავიკითხე სტუდენტობისას გერმანელი პოეტის ბეხერის ლექსები. ის, რაც სხვებმა გადაიტანეს — გერმანიის დაბრუნება ბარბაროსობის საფეხურზე, სამშობლოდან განდევნა, მშობლიური კერისა და ენის გამო გულისტკივილი — პოეტს უნდა სულიერი ტანჯვით განეცადა და მკითხველი გრძნობს, თუ რაოდენ ღრმად და პატიოსნად განიცადა მან ეს...

— მე პოეტი არა ვარ, მამაო. ძალიან გთხოვთ, მოვეშვათ ამ თემას და ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ, — ღამეს გახედა, განათებულ ფონზე შავად აღმართულ მონასტერს შეავლო თვალი. რომელიღაც ღამის ფრთოსანმა გაიფრთხილა ჩირგვნარში.

— ეჰ! მოდი, შეილო, სიცოცხლეს გაუმარჯოს, უფლის ბოძებულს! — სასმისი ასწია მამა დაავითმა.

— გაუმარჯოს, მამაო! — გაიღიმა გულლიად გვარდიელმა. — გაუმარჯოს. ღირს სიცოცხლე ნამდვილად, რადგან არის ასეთი ღამეები, ასეთი მთები, გვაქვს ასეთი ხელთუქმნელი ძეგლები, როგორც სვეტიცხოველია, ნაძვების თავანებზე დაკიდული გალუული მთვარის ნამგალი, რადგან გვყოლია, გვერდით გვყავს მეგობრები და შეგვიძლია ბედნიერებაზე ვიოცნებოთ!...

გამოსცალა. ღიმილით შეჰყურებდა მამა დაავითი.

— როდის მიღიხარ ატეხაზეთისკენ?

— ხვალ!

— ფრთხილად იყავი. გახსოვდეს, რომ უბედურება და ბედნიერება გვერდი-გვერდ სახლობენ. მათ შორის ღობეც კი არაა გავლებული. განშორებისას მაინც მითხრა იქნებ სახელი შენი?

— ბაკური მქვია, მამაო!

— შვილო ჩემო, ბაკურ! მანამ, სანამ სასულიერო აკადემიას დავამთავრებდი, თეოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. სამოცდაშვიდი წლის ვარ. ბევრთან მისაუბრია, მიკამათია, მაგრამ ასეთი სულიერი სიამოვნება არასოდეს განმიცდია, რაც შენთან საუბარმა მომგვარა. ბედნიერი ვარ იმით, რომ მიფხვდი, დავინახე: უფლის და შენი შემწეობით, საქართველოში არ გადაგვარებულა ახალგაზრდობა. ხართ უაღრესად ერუდირებულნი, შეგიძლიათ ბრძოლაც და კამათიც.

გაეღიმა ბაკურს.

— არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში ყველაფერს იოლად აღწევენ, ბრძოლის გარეშე, თითქოს ეს ასეც უნდა იყოსო. სხვებს კი ყველაფერი ძვირი უჯდებათ, ნუთი-ნუთ ცხოვრობენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგანი არსებობით ცხოვრობენ და ჭეშმარიტებას გაჭირვებით ჰპოვებენ. მაგრამ მათ არ შეუძლიათ ჭეშმარიტების გარეშე ცხოვრება და თუ დაიბნენ, დაიღუპებიან. მეც იმ სამყაროდან მოვდივარ, რომელმაც დაბნეულობის მეტი არაფერი მომცა და მინდა მას თავი დავაღწიო. ახლა კარგად ვიცი, რომ ეს გზა გაცილებით გრძელი და ეკლიანი იქნება, ვიდრე ვფიქრობდი, მაგრამ მე შევძლებ ბრძოლას... ისიც გამოვცადე, თუ რაოდენ საშინელია, როცა ადამიანები შეცდომების გამო ზურგს შეგაქცევენ. რადგან არის ისეთი შეცდომა, რომლის გამო შეუძლებელია დამნაშავე არ შეიძულო. ამჟამად მე მხოლოდ ერთი რამ მაშინებს — კვლავ მარტო არ აღმოვჩნდე ბრძოლაში. მსურს დავძლიო ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ყოველი სიძნელე, საამისოდ საკმარის ძალას ვგვრძნობ. შემიძლია იმედი ვიქონიო, რომ ჩემს სახელმეც დაანთებთ სანთელს?

— ყოველთვის, სანამ ბრძოლაში ფარ-ხმალს არ დაჰყრი და სულიერად არ დაეცემი!  
— წინამძღვარს ცრემლები მოაწვა. — სანამ შენში ადამიანის კეთილი ნება არ ჩაქრება! მშვიდობით გველოს! ჭვარი გეწეროს!

— მშვიდობით, მამაო! მადლობელი ვარ! — კიბეზე დაეშვა.

— უფალი იყოს შენი მფარველი! ლოცვა-კურთხევა გითარავდეს მგრისგან! ამინ!..

## V ტაზი

გაიწკრიალა ტელეფონმა. მარიკას თვალი არ გაუხელია, ისე მიწვდა ყურმილს, აიღო. ნაცნობი ხმა ჩაესმა. წამოინია.

— გისმენთ, ბატონო მიხეილ!

— მაშასადამე, თქვენ კვლავ სახლში ხართ? — მოისმა ბრაზიანი, ჩახლეჩილი ხმა. — ნუთუ ეს თქვანა ხართ, ვისზეც ამხელა იმედებს ვამყარებდით ყველა, პირადად მე? თქვენ არ გაქვთ სახლში ჯდომის უფლება, გესმით? ყველას დაგველუპა ვიღაც, თავები დავისოცოთ ჩვენც?! თქვენ თქვენი კოლექტივი მოუთმენლად გელით, მარიკა. თქვენ ხალხს, ერს სჭირდებით ამ წუთში. სძლიეთ საკუთარ თავს და დაუყოვნებლივ გამოცხადდით სამსახურში. ეს ჩემი თხოვნა კი არა, ბრძანებაა. ბრძანება აღმზრდელისა აღზრდილისადმი. იქნებ არ მაქვს ბრძანების უფლება?

— გაქვთ უფლება, ბატონო პროფესორო, — ხმადაბლა თქვა მარიკამ. — მაგრამ მე ჯერ კიდევ გუშინ განცხადება დაგიტოვეთ. ნუთუ არ გადმოუციათ თქვენთვის?

— რა განცხადება?

— სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე.

— რამ გაიძულათ?

— მივდივარ.

— შეიძლება გკითხოთ, სად? ალბათ უცხოეთში?

— არა, ბატონო მიხეილ. უცხოეთში დიდხანს ვიყავი. იქ მე აღარაფერი დამრჩენია. მივდივარ ფრონტზე.

— გადაირიეთ? მამაკაცები დაილიენ ამ ქვეყნად?

— მე ჩემი საქმე მაქვს. როგორც ექიმი, მიყვები რესპუბლიკის სახალხო ფრონტს, ბატალიონ

„იმელს“.

— ეს გადამწყვეტილია?

— ღიას!

ერთხანს დადუმდა პროფესორი. შემდეგ კი გაისმა მისი სინანულნარევი ხმა:

— მე მესმის თქვენი, მარიკა. ყოველ შემთხვევაში, მინდა მესმოდეს... გაემგზავრეთ. გახსოვდეთ მხოლოდ ერთი: თქვენ რჩებით ჩვენს თანამშრომლად. დაბრუნდებით და კვლავ ჩვენთან მოხვალთ. შევთანხმდით?

— გმადლობთ, ბატონო პროფესორო! — ხმა აუთრთოლდა მარიკას.

— გირით? არ გინდათ! თუ რამეში საჭირო შევიქნე, არ მოგერიდოთ. მომაკითხეთ. გისურვებთ წარმატებებს. თავს გაუფრთხილდით.

— ნახვამდის, ბატონო მიხეილ!

— ნახვამდის, შეილო!

მარიკამ თავი ბალიშში ჩარგო. მხრები უცახცახებდა. თავი წამოწია. საათს შეხედა. ორი საათი იყო შუადღის. წამოდგა. გადაიცვა. ფანჯარა გამოაღო. ქუჩას გახედა. თბილისს თითქოს საერთოდ არ შეხებოდა ომის მსახვრალი ხელი. თითქოს დაფინყებოდა თბილისს, რომ სადღაც ახლოს ქუხდნენ ქვემეხები, გრუხუნებდნენ ტანკები და საქართველოს ძირძველი, განუყოფელი ნაწილის დაცვას ეწირებოდა ქართველი ახალგაზრდობის ჯანსაღი ნაწილი. სახლის მოპირდაპირე კომერციული ჯიხურის გამყიდველი მოხვდა თვალში. ორმეტრიანმა გიგანტმა საღეჭი რეზინა მიანოდა ქალიშვილს და ხელიც არ აჰკანკალებია, ისე გამოართვა ფული. ზიზღით გაჰყურებდა მარიკა. „ჩვიდმეტი-ოცი წლის ბიჭები სისხლს ღვრიან, ეს კი!“ სასტუმროს ნომერში ნათქვამი სიტყვები გაახსენდა, ფხოველის სიტყვები: „როცა ბავშვებს დანებზე აგებენ, ქართველ ქალებს მუცლებს უფატრავენ და ცეცხლში ყრიან, მე ავდგე და სამოგზაუროდ წავიდე?! მხოლოდ ღმერთმა უწყის, როდის წარვსდგები ყველაზე დიდ სასამართლოზე, სადაც ცოდვა-მადლს წონიან ხოლმე“... სადაა ბაკური? ალბათ სოფელშია. ეკაც მასთან იქნება. „დრო შეგვაერთებს, დაგვაშორებს, გვაიძულებს!“ — კვლავ ბაკურის სიტყვები გაახსენდა. მწარედ გაეღიმა. მართალი იყავი, ბაკურ! ცამდე მართალი! ნუთუ გული გიგრძნობდა, რომ ყველაფერი ასე წარიმართებოდა?!

ზარის ხმამ შეაკრთო. ნელა წავიდა კარისკენ. გააღო. სახე გაუნათდა. კარებში ეკა იდგა.



მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა მარიკა, ეკას ბაკური უყვარდა, მაინც ვერ შეძლო შეეძულებინა იგი. და, საერთოდ, ალბათ მტერიც კი ვერ შეიძულებდა ეკა ბუჩუკურს. გაეღიმა მარიკას:

— ანგელოზი დაახლოებით ასეთად წარმომედგინა, შენ რომ ხარ!

აკოცეს ერთმანეთს. ხელმობვეული შეიყვანა ოთახში. დასხდნენ. ეკამ სიგარეტს მოუკიდა.

— სანამ ვისადილებთ მომიყევი, როგორ მოგეწონა ფშავი? — მარიკამ ყავის საფეკვაფი აიღო.

— ძალიან, ძალიან, ძალიან! — სულმოუთქმელად, ბავშვით წაიტიტინა ეკამ.

— როგორაა თამარი დეიდა?

— როგორ იქნება თავისი არანორმალური შვილის გადაძვიდე?! — გაიცინა. — ეს შენ გამოვიგზავნა ქალბატონმა თამარმა, — ჩანთა გახსნა, შეხვეული ამოიღო. გაუნოდა. — ხევსურეთში გაუკეთებინებია შენთვის.

— გახსნა საჩუქარი მარიკამ. ვერცხლის ჭვრიანი ბეჭედი, გრძელი საყურეები, ვერცხლისავე ჭაჭვი შერჩა ხელთ. წარმტაცად იყურებოდა ხევსური ოსტატის ნაკეთები დასვეადებული სამკაული. სიხარულმა გაუნათა გული მარიკას. „არ დავეინყებებარ დეიდა თამარს!“, მოაგონდა: ბაკურის ღის ქორწილში იყო მარიკაც. იქ მოეწონა ვიღაც გოგონას ვერცხლის სამკაულები. ვერცხლეული ერჩია რატომღაც მარიკას ყოველგვარ სხვა ძვირადღირებულ სამკაულებს, ყოველგვარ ოქროს და ბრილიანტს. მაშინ შეჰპირდა ბაკურის დედა, მე გავაკეთებინებ შენთვის უკეთესსო. და მართლაც...

— ეს ფორმა ვისია? — ეკამ გაოცებით შეხედა იქვე დაკიდებულ საველე სამხედრო ფორმას. მაგიდაზე წითელჭვრიანი ჩანთა იდო.

— ჩემი! — ყრუდ თქვა მარიკამ.

— მერედა რად გინდა? — ეკამ ფორმას გახედა: სამხრეებზე ოთხი ვარსკვლავი ეკეთა მარიკას. — რას გაჩუმიდით, კაპიტანო, თქვენ გეკითხებით, რისთვის გინდათ ეს ტანსაცმელი?

— შენ მარტო შენი თავი გგონია კაპიტანი? — აჰყვა ხუმრობას მარიკაც. — ნება მომეცით მოგახსენოთ: ეგ ტანსაცმელი ეკუთვნის სამედიცინო სამსახურის კაპიტანს, ბატალიონ „იმედის“

მთავარ ექიმს მარიკა მალაშხიას, რომელიც ხვალ ღამით ფრონტზე მიემგზავრება.

სახე მოეღრუბლა ეკას. წამოდგა. ხელი მოხვია მარიკას.

— მარიკა, მე არ მაქვს იმის უფლება, რაიმე გაიძულო. უბრალოდ როგორც მეგობარს, ჩემს უახლოეს დაქალს, ისე ვთხოვ, თუ შესაძლებელია, დარჩი. ექიმი მამაკაცების მეტი რა არის?! გაგიჭირდება იქ. ალბათ ხვდები შენც, ეს ომი წაგებულია. დღე-დღეზე დაეცემა სოხუმი. ამ კარგად დადგმულ სპექტაკლში აღარაა საჭირო ზედმეტი სისხლი. მგონი ხვდები, რას გეუბნები...

— ძალიან კარგად ვხვდები, რისი თქმაც გინდა, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. შენ იცი, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები მიჰყვებიან სამხედრო შენაერთებს ექიმებად? სტუდენტები, რომლებმაც ნორმალურად ჭრილობის გადახვევაც კი არ იციან. მე ვიცი, რომ ჩვენი ბიჭები მუხლზე დამდგარნი არ მიაართმევენ მგერს სოხუმს. ბევრი დაეცემა, ბევრი გახედავს იმედის თვალთ ნითელჯვრიანებს და იმ წუთებში მე ვარ იქ საჭირო, ჩემნაირი ექიმებია მათ გვერდით აუცილებელი. ეს გადანწყვეტილია, ეკა.

მღუმარედ, დაფიქრებული შეჰყუებდა ეკა.

— ნაცნობები მაინც თუ არიან ბატალიონში?

— ბატალიონი „იმედი“ სახალხო ფრონტმა შექმნა. ბატონი ნოდარ ნათაძე ჩემი ოჯახის ახლობელია, ბატალიონის მეთაური დათო ხომასურიძე კი ჩემი დეიდაშვილი.

— გასაგებია, — ფიქრიანად, ხმადაბლა თქვა ეკამ. ყავა მოსვა. — იცი მარიკა? მე შენ თანდათან მომწონხარ. თანდათან უფრო მიყვარდები. ასე მგონია, მთელი ცხოვრება ვიცნობდით ერთმანეთს, თითქოს მთელი წლები გვაქვს გატარებული ერთად... მითხარი, სიკვდილის არ გეშინია?

ნაღვლიანად გაეღიმა მარიკას.

— სიკვდილი, იცი, რა საყვარელია? გაოცებულმა შეხედა ეკამ.

— საყვარელია?

— საყვარელია იმიტომ, რომ დიდი სიკეთე მოაქვს ადამიანებისთვის. ხოლო ის, რასაც სიკეთე მოაქვს, ყოველთვის საყვარელია, თვით სიყვარული სიცოცხლისა და სიკვდილის

ერთიანობა გახლავს. ჩვენ არ გვიყვარს სიკვდილი იმიტომ, რომ ცოცხლები ვართ და გვეშინია დასასრულის. მთელი ჩვენი მოქმედება, ჩვენი ცხოვრება ცდაა, როგორმე დავივიწყოთ დასასრული ანუ სიკვდილი, მაგრამ იმას კი არ ვფიქრობთ, რა იქნებოდა, ის რომ არ იყოს... სიცოცხლე იმიტომ გვიყვარს, რომ შევქვიყეთ. შეჩვევა არის ყველაფერი. სიკვდილი არ გვიყვარს იმიტომ, რომ იძულებულს გვხდის გადავჩვიოთ. იცი? სიცოცხლე გალობს და არანაკლებ გალობს სიკვდილი. მოედინება ეს სიკეთე და ვერც კი ვხვდებით, როგორ გვაყვარებს ერთიმეორეს, როგორ გვაყვარებს სილამაზეს, სიცოცხლეს და თვით სიყვარულს...

მარიკამ შეხედა ეკას გაფართოებულ თვალებს და ღიმილით დაამატა:

— ალბათ ფიქრობ, გაათრინაო, არა?!

— სულაც არა!

— ჰოდა თუ არა, ჩემო ეკა, ნურასდროს შედრკები სიკვდილის წინ, რადგან თავისთავად სიკვდილი არაა ბოროტება... რას დალევე? — ბართან მივიდა. ეკას გამოხედა. ეკამ სწრაფად გადაავლო თვალი უცხოური ეტიკეტებით აჭრელებულ ნაირ-ნაირ ბოთლებს. ეშმაკურად მიწკურა თვალები:

— ჟიპიტაურს დავლევედი!

— ოხ! ჩვენ ბოდიში! — რამდენი ხნის შემდეგ პირველად გაიცინა გულიანად მარიკამ. ჟიპიტაურს მიეჩვიე უკვე? დაგაღვინეს თშაველებმა ყანწით?

— მერე რამდენი! ხორცი და არაყი შემეზიზნა საერთოდ...

— არ იჭრებიან არაფერში. კარგი ხალხია! — მარიკამ კონიაკს საცობი მოხსნა. პაგარა, თლილი ჭიქები შეავსო, ბაკური როდემდე აპირებს სოფელში ყოფნას?

ეკამ თავი დახარა. ერთხანს უხმოდ დასჩერებოდა ხელში ალებულ ჩანგალს. თავი ასწია. მარიკას შეხედა. ცრემლი გაუკრთა თვალებში.

— მარიკა, ჩვენ ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს გადაგვხდა, უფლება არ გვაქვს სიცრუე ვუთხრათ ერთმანეთს. ჩვენ — მე, შენ, ბაკური — უცხოეთმა ისე დაგვაახლოვა ერთმანეთს, რომ რაც ვიცი მე, ვაღივლებდი ხარ იცოდე შენც. ბაკურმა ერთი კვირაა, რაც სოფელი დატოვა.

— თბილისშია?

— არა. ის უკვე აფხაზეთშია.

— რომელ სამხედრო ნაწილშია, თუ იცი? — იკითხა მარიკამ.

— საქმე ისაა, — ეკას კვლავ სისუსტე გაერია ხმაში, — რომ ის არც ერთ სამხედრო შენაერთს არ ექვემდებარება. მას მიღებული აქვს გარკვეული დავალება და მოქმედებს მარტოდმარტო აფხაბთა ღრმა ზურგში.

მარიკამ თვალები დახუჭა. „მე სრულფასოვან ადამიანად, იცი როდის ვგრძნობ თავს? როცა ღამის სიბნელეში დავეკიდები ცას. მტრის გერიგორიის თავზე, როცა გარშემო ჩემიანი არაფერია მყავს და მხოლოდ საკუთარი მკლავის და თვალის იმედზე ვარ დარჩენილი. მითხარი, განა ჩემნაირი სჭირდება ღლეს ვინმეს?“ — თვალწინ დაუდგა რესტორნის ნახევრად ჩაბნელებული დარბაზი, თხოველის ანთებული სახე...

— როდის წავიდა? — ხმადაბლა იკითხა თვალდახუჭულმა, არ უნდოდა შეემჩნია ეკას მისი შეძრწუნებული თვალები.

— შაბათს, შუაღამისას დაეშვა პარაშუტით გუდაუთის მახლობლად. კვირას მივიღეთ ცნობა, რომ ქალაქში შევიდა. უკვე მეოთხე დღეა, რაც კავშირი განცდა.

— რას ნიშნავს „კავშირი განცდა?!“ — ღამის შეჰკვივლა მარიკამ.

— დანყნარდი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას რაიმე შეემთხვა.

— აბა რა შეიძლება ვიფიქროთ?

— ყოველ შემთხვევაში, ცუდი არაფერი, რადგან მას ვიცნობთ თითოეული ჩვენგანი. ის არაა ცინგიცა ბიჭი, ვინც შეიძლება დაუღვევრობით დაიღუპოს თავი. არც ისაა, ვის შეპყრობასაც იოლად შეძლებს მონინააღმდეგე. ჯერჯერობით რაღაც მიზეზით ვერ ახერხებს კავშირზე გამოსვლას. ესაა და ეს.

სიჩუმე ჩამოვარდა. უხმოდ ისხდნენ ფიქრებში გართულნი. მანქანის საყვირის ხმამ გამოაფხიზლა მარიკა. ხმამაღლა იძახდა ვილაც.

— ბი-ცო-ლა!

ნაღვლიან სახეზე ღიმილმა გადაურბინა მარიკას. თითქმის სირბილით მიიჭრა თანჯარასთან.

„შენ შემოგველე!“ — ხმადაბლა ჩაილაპარაკა და — შემოდი! — გასძახა.

— „ბათინკების“ ბრახა-ბრუხით შემოიჭრა ოთახში ახალგაზრდა, 19-20 წლის ბიჭი. გვარდიელის მწვანე ფორმა შეენოდა შავგუხას. ავტომატი დაუდევრად მიაგლო იქვე, დივანზე. წელზე დაკიდებული „მტიკნოჟი“ შეისწორა და მარიკა ხელში აიტაცა.

— ჩემი საყვარელი ბიცოლა! — აკოცა შუბლზე, ლოყაზე. — როგორა ხარ?

— როგორ ვიქნები? — მარიკა სიყვარულით შეჰყურებდა. — ხომ არ შეგაშინეს აუხაზებმა?

— ანჯათარიძეების შემშინებელი ჯერ არ დაბადებულა! — ჩაიცინა. უცებ ეკა შენიშნა. — ეს რა ლამაზი მეგობარი გყოლია, ბიცოლა!

გაეცინა მარიკას.

— გაიცანი, ეკა! ჩემი მაზლიშვილია, პატარა ნიკა ანჯათარიძე, სწორუბოვარი მეომარი, მგრების რისხვა. „თეთრ არნიეში“ იბრძვის.

— ეკა ძქვია! — თვალებში შეხედა ნიკას. — მართლა მოგეწონე?

— ძალიან! — დაიბნა ნიკა.

— აბა, დედიკო დაიფიცე...

— დედას გეფიცებით! — მთლად აირია ნიკა. განცვიფრებულმა შეხედა მარიკას, რომელიც სიცილს ველარ იკავებდა.

— ცოლად წამიყვან? — ჭიქურ შეაჩერდა ეკა. ნიკა ანჯათარიძეს თვალები გაუფართოვდა.

— მე... იცით... — ბიცოლას მუდარის თვალით შეხედა, — მე... მე შეყვარებული მყავს...

— რა უბედური ვარ! — აწუნუნდა ეკა. — სამი ქმარი მყავდა. ყველამ მიმატოვა. ოხ, არა! იმათ კი არა, მე მივატოვე ისინი. დღეს კი ვისაც მოვეწონები, ან ცოლიანია, ან

შეევარებული ჰყავს! იდიოტი კაცები! ამათი სახსენებელი არ უნდა იყოს ქვეყნად! — სახეზე ხელები აიფარა დამწუხრებულმა.

ნიკამ მარიკას გახედა. თითი საფეთქელთან მიიგანა. დაიგრიალა.

— ეს რა, აფრენს? — ჩუმაღ ჰკითხა.

მარიკას და ეკას ერთობლივმა ხარხარმა ანჭათარიძეების ჭერი ლამის მაღლა ასწია. გაოგნებული იდგა ნიკა. გოგონებში საკმაოდ განებივრებული გვიან მიხვდა, როგორ გაასულელა,

„ააგლო“ წუთების წინ გაცნობილმა ქერათმიანმა ქალიშვილმა. მეუღლის დაღუპვის შემდეგ პირველად იცინოდა მარიკა მაღაშხია.

მოღუშული მისჩერებოდა ნიკა. მარიკამ სწრაფად განაახლა სუფრა.

— ხომ არ მიწყრებით? — ღიმილით იკითხა ეკამ.

— არა, რატომ... — დარცხვენით ჩაილაპარაკა ნიკამ.

— აბა რატომ ხართ მოღუშული?

— განა სასაცილოდ მაქვს საქმე?

— ნიკა, იცით? ჩემი აზრით, ღიმილი, გნებავთ სიცილი, უწყინარი ნებივრობა როდია, — ეკა ჩათიქრდა. — დაკარგო სიცილის უნარი, ნიშნავს დაკარგო საკუთარი სულის რაღაც ძვირფასი, მნიშვნელოვანი მხარეები და ალბათ არ არსებობს იმაზე უფრო დიდი უბედურება, ვიდრე იყო ზღაპრულ-კომედიური სამეფოს „გაუცინარი“ მპყრობელი.

— მართალი ხართ! — გაეცინა ნიკას.

— შენი ჩამოსვლა დაულოცოთ! — მარიკამ შამპანური მოსვა. — აბა, რა ამბებია იქით, მოგვიყვი.

— კარგი არათერი.

— როდის ჩამოხვედი?

— დღეს. ამაღამ უკან მივდივარ ისევ.

— უტევენ ქალაქს?

— საშინელება გრიალებს, ბიცოლა, იქ. — სახე მოეღრუბლა ნიკას. — შეგევა შეგევაზა. ეს ორი დღეა, ცოცა ამოვისუნთქეთ. გუდაუთში აფხაზების შგაბი აუფეთქებიათ. გადაკეცილია გუდაუთის მიდამოები. მიმოსვლა შეწყვეტილია. გერორისცს დაეძებენ. აფეთქებამ ას კაცამდე იმსხვერპლა. მოკლულია შინკუბა — აფხაზური შენაერთების უფროსი. ახლა კი თქვენ დაგლოცავთ და გამოგემშვიდობებით. სახლშიც უნდა შევირბინო, — ნამოდგა.

ეკა ბუჩუკურს სიგარეტიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა. გამომცდელად შეხედა ანჯათარიძეს.

— ნიკა, თუ იცით, აფხაზებმა იციან გერორისცის ვინაობა? კარებთან მისული შემოგრიალდა.

— იციან! ვილაც ბერძენი ყოფილა. პასპორტი უპოვიათ შემთხვევის ადგილზე. ორმოცდაათიათას დოლარად შეათასეს მისი თავი... მე ჩემი თავი მეომარი მეგონა, მაგრამ ვგრძნობ, იმ ბერძენთან შედარებით ძუძუმწოვარა ღლაპი ვარ! მშვიდობით! — მარიკას აკოცა, ეკას ხელი დაუქნია და გარეთ გაიჭრა...

მარიკამ თვალი გააყოლა ნიკას. შემობრუნდა. გაცეხული შედგა. ეკამ უზარმაზარ ვაზებში ჩაასხა ქათქათა შამპანური და ერთი ვაზა ღიმილით გაუნოდა მარიკას.

— მარიკა, იმ ბერძენს გაუძარჯოს, რომლის პასპორტშიც აფხაზებმა „ვლადიმერ პოპანდოპულო

— ეროვნებით ბერძენი“ ამოიკითხეს, რომელმაც შეგნებულად დააგლო იქ თავისი პასპორტი. იმ ბერძენს გაუძარჯოს, ვისაც სინამდვილეში.. რა ქვია თუ იცი?

მარიკას ტანჯვა და სიხარული ერთად გამოესახა სახეზე...

— ბაკური? — დაიხურჩულა.

ეკა ბუჩუკური იღიმებოდა...

## VI ტაზი

— ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო! სილამაზის კონკურსი გოგონათა შორის „მის სოჭი — 93“ დამთავრებულია. კონკურსში გაიმარჯვა ჩვენი ლამაზი ქალაქის მკვიდრმა, ოცდაორი წლის ალინა ბელოვამ. ალინამ გასულ წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. გვინდა იცოდეთ, რომ ალინა ბელოვა გახლავთ სოჭის პროკურორის, ივან ბელოვის ქალიშვილი! მივულოცოთ ალინას სოჭის დედოფლობა, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია! — გამოაცხადა აქურის თავმჯდომარემ. პირველი თვითონ მივიდა გამარჯვებულთან. მიულოცა. სახეანითლებული იდგა ალინა ბელოვა...

დაიძრა ვარდების და მიხაკების ზღვა მისკენ. ყვაფილების გამაბრუებელ სურნელში გახვეულმა თავბრუსხვევა იგრძნო. ღიმილით მოაწვლო თვალი დარბაზს. მზერა გაეყინა უცებ. თვალმოჭუტული დააცქერდა პირველ რიგში ყველასგან განსხვავებით მშვიდად მჯდარ ვაჟს. არც თაიგული ეჭირა მას ხელში, არც რაიმე აღტაცება ეტყობოდა გამარჯვებულის მიმართ. თეთრ კოსტიუმში გამონწყობილს, ცისფერი ჰალსტუხი ეკეთა შავ პერანგზე. მისმა გამოხედვამ შეაკრთო რატომღაც ალინა. თვალი მოარიდა. „ელეგანტურია. ვინაა ნეტავ?“ — გაუელვა ფიქრმა. იქით გაექცა მზერა ისევ. უცნობი რაღაცას წერდა. „აქურნალისტია?“ — უკმაყოფილოდ გაითიქრა. ვაჟი წერას მორჩა. ქალაღი დაკეცა. წამოდგა. ალინასკენ წამოვიდა. ოთხად დაკეცილი ქალაღი გაუნოდა, თვალეში ჩახედა და სიტყვის უთქმელად შებრუნდა. გავიდა დარბაზიდან. მექანიკურად ჩამოართვა ალინამ ვილაცას ყვაფილების შეკვრა. შემინულ კარებს იქით გაიხედა. ვაჟმა შავი „ვოლგის“ კარები გააღო. ჩაჯდა. მანქანა არ დაუძრავს. ალინამ სწრაფად გახსნა ქალაღი. თვალი გადაავლო:

„Любить иных – тяжелый крест

А ты прекрасна без извилин,

И прелести твоей секрет

Разгадке жизни равносильен“

გაეღიმა... დარბაზი იცლებოდა. მამის მძღოლი შენიშნა კარებში. ხელი დაუქნია. სწრაფი ნაბიჯით მოვიდა მძღოლი. მიულოცა.

— მე მელოდებით, არკადი გიორგის ძევ?

— დიახ! — მოკრძალებით მიუგო იმანაც.



— აქედან ლენასთან მივდივარ. თქვენ თავისუფალი ბრძანდებით. შეგიძლიათ წახვიდეთ. მძლოლმა თავი დაუქნია, გამომეშვიდობა და ნელი ნაბიჯით მიაშურა მანქანას. ალინამ თმები

წესრიგში მოიყვანა, სარკეში შეათვალიერა თავი. კმაყოფილებით გაეღიმა. ჩანთა აიღო და ქუჩაში გავიდა. პირდაპირ მიადგა „ვოლგას“. მძლოლის გვერდით კარი გამოაღო.

— ელოდებით ვინმეს?

— თქვენ! — იყო პასუხი.

— გმადლობთ! — მანქანაში ჩაჯდა. — კი მაგრამ, რა იცოდით, რომ გამოვიდოდი და მხოლოდ თქვენთან?

— არ ვიცი! ვერ გეტყვით. გული მიგრძნობდა ალბათ, — გაიღიმა ვაჟმა. — ფაქტი ჭიუტია... თქვენ ჩემთან ხართ.

ალინა ბელოვამ დაკვირვებით შეაგლო თვალი ვაჟის სახეს. ოდნავი ჭკალარა შერეოდა თმაში. სითბოთი მისჩერებოდნენ ქალიშვილს თათლისფერი, ოდნავ მოჭუტული თვალები.

— ქართველი ხართ? — იკითხა ალინამ.

— ქართველი?! ისეთივე რუსი ვარ, როგორც თქვენ.

— რუსი? — დაიბნა ალინა.

— დიას. თუ რაღაც აქცენტით ვსაუბრობ რუსულად, ეს იმის ბრალია, რომ უცხოეთში ვიზრდებოდი. იქ ვცხოვრობ დღესაც. თქვენს ქალაქში სტუმრად ვარ ჩამოსული.

— საიდან ჩამოხვედით? — ცნობისმოყვარეობით აუციმციმდა თვალები. — სად ცხოვრობთ?

— ბარსელონაში.

— ესპანეთში? — სიხარულით შესძახა ალინამ.

— კი. ბაბუაჩემი პეტერბურგიდან ემიგრაციაში წავიდა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე. მამაჩემიც და მეც უცხოეთის ცის ქვეშ მოვევლინეთ ქვეყანას.

— რა გქვიათ?

— თქვენთვის უბრალოდ საშა ვიქნები, — ღიმილით გაუწოდა ხელი. — ისე კი ალექსანდრე ვოლკოვი მქვია. შეიძლება ნაგვიანევად, მაგრამ მაინც მოგილოცოთ გამარჯვება?

— შეიძლება!

— სულ მუდამ ასეთი ლამაზი ყოფილიყავით! — გადაინია. შუბლზე აკოცა. — ალბათ თავისუფალი ხართ ორიოდე საათით?

— დრო განუსაზღვრელი მაქვს. ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის! — გაიცინა ალინამ. გაიელვეს უბადო, თეთრმა კბილებმა. ვოლკოვმა მანქანა დაძრა...

რესტორნის აივანი ზღვას გადაჰყურებდა. შორს, ჰორიზონტზე გემები მოსჩანდნენ. ნაგებით იყო სანაპირო საესე. გასაოცრად შევნოდა რესტორნის ეზოს მაგნოლიები. ღვინის დაღევა ისურვა ალინამ.

— ღვინოები მხოლოდ ქართული გვაქვს! — დამნაშავესავით გაიღიმა ოფიცინტმა.

— მერე ქართული ღვინო ღვინო არ არის? — წყრომით შეხედა ალინამ. — როგორც ვიცი, ყველაზე კარგი ღვინოები ქართველებს აქვთ. თქვენ რა აზრის ხართ? — საშას შეხედა.

— ქართველებს განა შეიძლება რაიმე კარგი ჰქონდეთ?! — დაუფარაემა ღვარძლმა გაჟონა ვოლკოვის ხმაში. — მათ ღვინოს კი არა, უკვდავების წყალსაც არ დავლევ. თქვენ შეგიძლიათ. მე კონიაკს ვარჩევ!

— საშა, თავიდანვე შევთანხმდეთ ერთზე, — ბელოვას ლამაზ თვალებში მრისხანება გაკრთა. — თუ ჩემთან ურთიერთობა გსურთ, მოეშვით ქართველების ლანძღვას, რა დანაშაულიც არ უნდა მიუძღოდეთ მათ თქვენს წინაშე.

— გასაგებია! — გულიანად გაეცინა საშას. — რახან თქვენ ასე გყვარებით ქართველები, ღმერთს გეუიცებით, თუ მოითხოვა საჭიროებამ, სიცოცხლეს წავაგებ ქართველი ერისთვის. დაკმაყოფილდით?

— მადლობელი ვარ! მაგხელა მსხვერპლი არაა საჭირო. მინდა უბრალოდ ჰატივს სცემდეთ ქვეყანას, რომლის უძველეს კულტურასთანაც ჩვენ, რუსი ერი ვერ მოვალთ...

მეუღლე ალბათ გყავთ?

— მყავდა! — სინანულნარევა ღიმილმა გადაურბინა ვაჟს.

— შვილები?

— არა!

— რა პროფესიის ხართ, საშა?

— ცყუილი გინდათ ვითხრათ?

— რატომ ცყუილი? — ქალიშვილი სიგარეტს მისწვდა.

— ნურასდროს მკითხავთ, თუ რა პროფესიის ვარ. არ მაქვს სახარბიელო პროფესია, — საშა ვოლკოვს ნაღველი ჩაუდგა თვალებში. — გიმეორებთ: სიმართლეს ვერ გეცყვით, ცყუილიც არ მინდა ვითხრათ, — კონიაკით გავსებული მოზრდილი ჭიქა ერთი მოყუდებით გამოცალა. ალინამ შიშით შეხედა.

— თქვენ მანქანით ხართ! გზებზე მილიციაა ყველგან.

— მერე რა? გვერდით ქალაქის პროკურორის ქალიშვილი მიზის. ნუთუ დამსჯიან?

— რამდენი ხნით ხართ ჩამოსული? — ალინამ ზღვას გახედა.

— დრო განუსაზღვრელი მაქვს: ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის! — თავისივე სიცყვებით უპასუხა. გაეცინათ.

ხუთნი შემოვიდნენ. მეზობელ მაგიდას მიუსხდნენ. ახოვან, წვერმოშვებულ ვაჟკაცებს ორი ქალიშვილი ახლდათ თან. ანთლებული სახეები ჰქონდათ ორივეს. ბიჭები, თითქოს ჭუნგლებში არიანო, არავის და არაფერს აქცევდნენ ყურადღებას. ჭიქების მოტანას აღარ დაუცადეს, პირდაპირ ბოთლებიდან დაიწყეს სმა. ოფიციალტმა რაღაც ვერ მოიტანა დროზე. გინების კორიანტელმა ნაღვეა ყველაფერი. ერთი მათგანი, დაბალი, მხრებჩაკიერი, თავხედურად მოაშტერდა ბელოვას. ალინამ თვალი აარიდა. ვოლკოვს შეხედა. შუბლშეჭმუნული, თქრიანად გაჰყურებდა ზღვის უკიდევანო სივრცეს ვაჟი. დაბალი წამოდგა. ნელი ნაბიჯით მოადგა მათ მაგიდას.

— ვერ მომიკიდებთ? — ქალიშვილს ჩააჩერდა თვალებში. ვოლკოვი არც შეგოკებულა. არც შეუხედავს მისთვის. ალინამ მიაწოდა სანთებელი. დაბალმა მოუკიდა, ღიმილით ჩახედა ბელოვას და თავის მაგიდას მიაშურა. ალინამ ხელზე ოდნავ მოუჭირა ხელი ვოლკოვს.

— საშა, ნავიდეთ აქედან! — მუდარით უთხრა.

— რატომ? შეხედე, რა მშვენიერი ხეა. ზღვაზე გავიზარდე, ჩემი ქალაქი ხომ საზღვაო ნავსადგურია. ძალიან მიყვარს ზღვა. ვიყოთ ცოცხალი ხანს კიდევ, — ზღვისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე თქვა, ცოცხალი ხანს შემდეგ კი დაუმატა: — ის გიპი, შენ რომ სიგარეტს მოუკიდე, გრეგორი პეკს არ ჰგავს?

ალინამ სწრაფად გახედა დაბალს. ეს უკანასკნელი მას მოსჩერებოდა და ქალიშვილის მხერა როგორც კი დაიჭირა, გაუღიმა. ხელით ანიშნა რაღაც. ალინამ იქედნურად გაიღიმა. მხერა მოწყვიტა.

— გრეგორი პეკს არა და გორილას ნამდვილად ჰგავს! გაეღიმა საშასაც.

— შენ პირველივე წუთებიდანვე უარყოფითად განწყვე მავის მიმართ. კარგად დააკვირდი, ორეულია გრეგორი პეკის.

ქალიშვილმა კვლავ დაბალს გახედა. თავიდან ფეხებამდე მოურიდებლად აათვალიერა. „რა საზიზღრობაა!“ — ტუჩები აიბზუა. დაბალმა ახალ სიგარეტს მოავლო ხელი და კვლავ მათ მაგიდას მოაშურა.

— შეგანუხეთ, მაგრამ მიყვარს, როცა ლამაზი ქალი ცეცხლს მიკიდებს! — ჩაუღაპარა კა ქალიშვილს.

— შენი თანმხლები ქალები ვერ გიკიდებენ ცეცხლს? — უცებ შემობრუნდა საშა.

— იცი, რა გითხრა? — მაგიდისკენ დაიხარა დაბალი. სიგარეტი ვოლკოვის თეთვზე დაასრისა. — ეგ ქართველი კახპები გავრიდან გამოვიტაცეთ. ორივეს შენ გაჩუქებთ, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ეს გოგო ჩვენ უნდა ნავიყვანოთ! — უროსავით ხელი დაადლო ალინას მოშიშვლებულ, სალუქ მხარს.

ბელოვა შეკრთა. ვოლკოვს შეხედა. გაოცდა. მშვიდი ღიმილით შეჰყურებდა საშა...

— ესე იგი ნახევარი საათით მაინც ჩემთან იქნება? — ჰკითხა დაბალი ხმით.

— კი! — დაბალს თვალები გაუბრწყინდა. — გყავდეს ნახევარი საათი.

დაბალმა ალინას ნიკაპზე ხელი მოუთათუნა, მიაშურა თავის მაგიდას; გოგონები ზეზე წამოყარა და ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს სილა გაანწა. მეგობარმა შეაჩერა.

— აქ არ გინდა. მერეც მოვასწრებთ. დაეყარეთ! — უღრიალა. შეშინებული, დაბატრული გოგონები ერთმანეთს მიჰკვროდნენ. დასხდნენ. ალინამ მიიხედ-მოიხედა.

— სადაა ტელეფონი? — იკითხა. რისხვის და უმწიბობისგან ხმა ჩახლჩიოდა.

— რად გინდა?

— მამაჩემს დაუურევავ და ამ ნაძირალა ათხაზებს ასწავლის ის, როგორ უნდა გოგონების მოტაცება, — წამოინია.

— არ გინდა! — ხელით შეაჩერა საშამ, — არაა საჭირო.

ზიზღით შეხედა ალინა ბელოვამ. მძულვარება უკრთოდა თვალებში.

— არ დაგიძალავ, შემოგხედე, მომეწონე, კაცი მეგონე. არაკაცი, მხდალი ყოფილხარ! — ისტრიულად, ცრემლნარევი ხმით თქვა.

ძარღვი არ შეგოკებია სახეზე საშამ ვოლკოვს. ოფიციალური მოიხმო თითოთ. დოლარები ჩაუღო ჯიბეში და რაღაც უთხრა. ოფიციალური თითქმის სირბილით წავიდა. ცოცხალი ხანში უკან შემობრუნდა ვეებერთელა თეფშით ხელში, რომელზეც აურაცხელი ასანთის კოლოფები დაეხევავენა. მეზობელ მაგიდაზე მიიგანა და სუფრაზე ჩამოდგა.

აიღე თაბაშირის ფორმა და შენს წინ დაიღე — ვერავითარ მსგავსებას ვერ აღმოაჩენ, ეს იქნება მიცვალებულის ხელი და ამ დროს ჯობია მიმართო მოქანდაკეს, რომელიც თუშა არ მოგცემს ზუსტ ასლს, მაგრამ გადმოსცემს მოძრაობას და სიცოცხლეს. ჩვენ უნდა ჩაწვდეთ ნიუთებისა და არსებათა სულს, აზრს, დამახასიათებელ სახეს. თავის სახეებში სილამაზის იდეალის განსახიარებისას ხელოვნება აღვიძებს ადამიანებში ხელოვანებს, საგანთა შინაგანი ზომის პოვნის უნარს, იმის უნარს, რომ ადამიანებმა შესძლონ საგნის თვისებებში შესაბამისობაში მოიყვანონ ადამიანის საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან, ასწავლის სილამაზის განცდას, გაგებას, სილამაზის კანონების მიხედვით ქმნას...

სტუმარი დადუმდა, ფეხი-ფეხზე გადაიღო, გულხელი დაიკრიფა და სავარძლის

საზურგეს ნებიერად მიეყრდნო. გამომცდელი თვალთ შეხედა მინდელმა.

— ხელოვნებაზე, სილამაზებზე სასაუბროდ მოხვედით ჩემთან?

— რა თქმა უნდა, არა! — გაელიმა უცნობს.

— აბა?

— საქმეზე ვარ მოსული, — სიგარეტის ახალი კოლოფი გახსნა, — მაგრამ სანამ ჩემი ვიზიტის მიზებს შეიტყობდეთ, მინდა თქვენი საქმე მონესრიგდეს.

— რომელი ჩემი საქმე? — გივის კვლავ რისხვა გაუკრთა ხმაში. — ჩემს საქმეებს მე თვითონ ვაგვარებ, უცნობების დახმარების გარეშე.

— ნუ ბრაზობთ! — აუღელვებლად მოუკიდა. — თქვენს შესაძლებლობებში მე ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ...

— ბოლოს და ბოლოს, იქნებ გამარკვითოთ, თუ ვისთან მაქვს მასპინძლობის და საუბრის პატივი? — შეაწყვეტინა მინდელმა.

უცნობს არათფერი უთქვამს. პასპორტი ამოიღო. წინ დაუდო გივის. მინდელმა გადაშალა, ჩახედა, გაელიმა.

— თქვენ ისევე ხართ აღექსანდრე ვოლკოვი, როგორც მე უელსის პრინცი! — პასპორტი კვლავ ხელში აიღო, მონონებით შეათვალიერა. — მშვენიერი ნაყალბეგია. ვერათერს იტყვი. იქნებ მიბრძანოთ, ბატონო აღექსანდრე, ბარსელონას ძირძველო მკვიდრო, ქართული ენა სად შეისწავლეთ?

ვოლკოვს თვალეში საოცარი სიცივე ჩაუდგა უცებ. მოლუშულმა შეხედა გივის.

— მართალი ბრძანდებით. როგორი უელსის პრინციც თქვენ ხართ, ისეთივე ვოლკოვი ვარ მე. ამ სიტყვებს გეუბნებით მხოლოდ თქვენ.

— როგორც ამბობენ ევროპაში: „დრო — ეს ოქროა!“ — გივიმ საათს დახედა. მეტის თქმა ჩემთვის აღარაა საჭირო. მე უკვე ვხვდები, ჩემო ქართველო ძმაო, რომ თქვენ ძებნილი ხართ პოლიციისგან და შემწეობის სათხოვნელად მოხვედით ჩემთან, — ჩათიქრდა. — რომ მოსულიყავით გუშინ, გუშინწინ, იცხოვრებდით პირადად ჩემთან და თავზე ბუზსაც ვერავინ

აგიფრენდათ. დღეიდან სიგუაცია შეიცვალა, — სახე მოეღრუბლა. — ხვალ დილით, უფრო სწორედ, დღეს დილით, ოთხი საათის შემდეგ, მე ან დაპატიმრება მელის, ან... ან სიკვდილი! შემძლია დაგეხმაროთ ერთში: ამ წუთში გადავურეკავ ჩემს ბიჭებს, მიიღებთ ჩვენგან ფულს და ჩემი ხალხის დახმარებით გახვალთ უცხოეთში. განწყობთ ეს ვარიანტი?

— თქვენ თვითონ რატომ არ მიდიხართ საზღვარგარეთ? — თვალეში შეხედა სტუმარმა. — განა დაპატიმრებას, და უარეს შემთხვევაში სიკვდილს, უცხოეთში არ ჯობია ნახვიდეთ?

— მე ვერსად წავალ! — მგვიცვდ თქვა მინდელმა. — არ წავალ იმიტომ, რომ თუ შემიპყრობენ, მრავალი ათეული კაცი დაპატიმრებას გადაურჩება, ხოლო თუ აქედან წავედი, ყველა მათგანს აიყვანენ. მე მინდა ჩემი ხალხი გადავარჩინო, გესმით? — იყუჩა. პირდაპირ შეხედა. — ბოლოს და ბოლოს, დიდხანს გავაგრძელოთ კატა-თავგობანას თამაში? ვინ ხართ, რა გქვიათ?

— ბაკურ ფხოველი! — დაბალი ხმით წარმოთქვა სადღაც ჭიქის ერთ წერტილზე გაშეშებული მზერით. თავი აიღო. გივი მინდელს უტეხად, ჭიუტად შეჰყურებდნენ თათლისფერი, მომწუსხავი თვალეები. — ბატონო გივი, მინდა იცოდეთ, რომ თქვენ ხვალ დილით არც პროკურატურაში გამოცხადდებით და თქვენზე გაცემული სანქციაც ამ წუთიდან ძალას დაკარგავს. აქედან გამომდინარე, თქვენ აღარც დაპატიმრება გელოდებათ და არც სიკვდილი, როგორც თქვენ ბრძანეთ...

უკვე გივი მინდელის გაოცების ჯერი დადგა...

— თქვენ შეგიძლიათ მოახდინოთ ზემოქმედება ქალაქის პროკურორზე? ეს გინდათ თქვათ?

— გამოიცანით!

— როგორ? — კითხვით შეხედა გივიმ. — მე ყველაფერი ვიღონე, მაგრამ მასთან არ გაჭრა არაფერმა. ეს ადამიანი კაცი კი არა, საგანაა, რომლის მსგავსიც არ შემხვედრია.

გაეცინა ფხოველს...

— ხომ გაგიგონიათ ჩვენი ქართული ანდაბა: „მჯობნის მჯობი არ დაილევიაო!..“ რა იცით, იქნებ მასზე უარესი საგანაც არსებობს ქვეყნად? შეიძლება თქვენი ტელეფონით ვისარგებლო?

— ცხადია!

ტელეფონთან მივიდა. ნომერი აკრიფა.

— მე ვარ... ბიჭია თუ გოგო?... ძალიან კარგი!.. ათი საათისთვის მოვალ... კარგი... კარგი... გკოცნი!

— ყურმილი დაკიდა. ღიმილით შეხედა გივი მინდელს. — მაშ ასე, ბატონო გივი. ამ ნუთიდან თქვენ ხელშეუხებელი ხართ, — ჩამოტყდა. კონიაკს მისწვდა.

— რა გარანტიაა ხელშეუხებლობის-მეთქი, ამას არ გვითხავთ, — ოდნავ მოჭკუტა თვალები გივიმ, აღმაცერად გახედა. — არც ისაა ჩემი საქმე, რა კავშირები არსებობს თქვენს და პროკურორს შორის. მადლობელი ვარ! მაგრამ მაინც ცხადია, რომ ჩემი ლამაზი თვალების გულისთვის არ აკეთებთ ამ ყველაფერს. სამაგიეროდ რას ითხოვთ ჩემგან? — თვალი გაუსწორა.

— თქვენთან შემთხვევით არ მოვსულვარ! — ფხოველმა თვალები დახუჭა. წამოდგა. თანჯარასთან მივიდა. ქუჩას გახედა. შემოგრიალდა. — თქვენ იცით ერთადერთმა ამ ქალაქში ჩემი ნამდვილი სახელი და არც ესაა შემთხვევითი. თქვენთან მოსვლით ნავედი რისკზე, მაგრამ მე რატომღაც ბრმად მჯერა თქვენი, რისკი კი ჩემი ცხოვრების ჰობია. თქვენგან არაფერს ვითხოვ, უბრალოდ ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბანალური შეკითხვა მინდა მოგცეთ... შეიძლება?

— სიამოვნებით!

— ვიცი, რომ მეგობრებისათვის შეგიძლიათ ყველაფერზე წახვიდეთ, მე უკვე დავრწმუნდი ამაში, მაგრამ თქვენი ქვეყნისთვის თუ შეგიძლიათ მოკვდეთ?

— ჩემი ქვეყნისთვის?

— დიახ! საქართველო მაქვს მხედველობაში...

— იცით? — მინდელი ჩაფიქრდა, ფიქრიანი თვალებით შეხედა ფხოველს. თუ გინდათ იცოდეთ სიმართლე, ამ თემაზე არასდეს მიფიქრია. მიუხედავად ამისა, ალბათ... ალბათ შემიძლია! — გაელიმა.

— ალბათ?!



— ალბათ კი არა, ნაღდად შემოძლია! — უცებ მოჭრა. კითხვით შეაჩერდა:

— კი, მაგრამ, რაგომ დაგაინტერესათ ამან? ბაკურს სახე შეეჭმუნა. ჩაფიქრდა.

— მე მეგობარს დავეძებ! — ხმადაბლა, მგვიცად თქვა. — მეგობარს, რომელსაც ეწნება იმნაირი ნებისყოფა, როგორც თქვენ. მეგობარს, რომელსაც შეიძლება თამამად ენდო.

— მაგნაირი მეგობრის კანდიდატურის ძიება, თუ არ ვცდები, ჩემზეა შეჩერებული. ალბათ ამიტომ მოხვედით ჩემთან. ასეა?

ფხოველმა უხმოდ დაუქნია თავი.

— ჩათვალეთ, რომ ის მეგობარი ნაპოვნია, — მძიმედ ჩაილაპარაკა გივიმ. — შემდეგ? განაგრძეთ...

— ამ წუთებში სისხლად იცლებიან სოხუმის დამცველები, შველა კი არსაიდანაა, — სახე მოელუშა ბაკურს. — ყოველ წუთს იბომბება ქალაქი. მე თქვენთან მოვედი როგორც ქართველთან, როგორც კაცთან, რომელიც ვიცი, რომ უბოძოდ შეყვარებულია საქართველოზე. ვიცით მეც და თქვენც, რომ ქალაქი განწირულია, ძალიან მალე მას ატეხაზები დაეპატრონებიან, მაგრამ ჩვენ შევძლებთ ამ პროცესის შეჩერებას, თუ მოვინდომებთ. ნუ მიყურებთ გაკვირვებით. კი, მე და თქვენ. დროებით მაინც შევაჩერებთ სოხუმის დაცემას. მანამდე იქნებ გონს მოეგონ ის ძალები, ვინც საქართველო ასე უღმობლად დაასამარა, ვინაც ნათელი დასუდრა ბნელით.

— ალბათ ფულია საჭირო? მე მზად ვარ!

— ვერ გამიგეთ! სამწუხაროდ, ფული ყველაფერს ვერ წყვეტს, ყველა პრობლემას ვერ გვისხნის. აქ ფული არაფერ შუაშია. საჭიროა მოვახდინოთ დროებით მაინც ბომბორას აეროდრომის პარალიზება!

— რა თქვით?! — გივი მინდელი ნამოინია. სუნთქვა შეეკრა. გაოგნებული მიაჩერდა ბაკურს. — თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ? თანამედროვე რუსულ სამხედრო აეროდრომს ავიღებთ ჩვენ? აეროდრომს, რომელსაც ბატალიონები იცავენ?

— მე თქვენთვის არ მითქვამს, რომ ბრძოლით ავიღებთ აეროდრომს. ჩვენ ვახდენთ მხოლოდ მის პარალიზებას და არა განადგურებას.

— კი, მაგრამ როგორ? განა ეს შესაძლებელია?

— შეუძლებელი ამ ქვეყნად არაფერია. საჭიროა მხოლოდ ათი კაცი ჩვენს გარდა, რისკიანი

ბიჭები.

— ათს კი არა, ორმოცდაათს მოვნახავ მაგნირს, — შეაწყვეტინა გივიმ.

— საქმისთვის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ თორმეტი კაცი! — მბრძანებლურად, შეუვალი ხმით თქვა ფხოველმა. — არც თერთმეტი და არც ცამეტი. ვიმეორებ: მხოლოდ თორმეტი! მე უკვე ვიყავი აეროდრომზე. დეტალებში გაანგარიშებული, გამოთვლილია ყველაფერი. ოპერაციისთვის საჭიროა ზუსტად 15 წუთი. თხუთმეტი წუთში აეროდრომი ჩვენს ხელში იქნება. წინდანინ მინდა იცოდეთ...

ფხოველი გაჩუმდა. რატომღაც გაუჭირდა დამთავრება.

— რა? — გულიანად გაიცინა გივიმ. — რა უნდა ვიცოდე, პირდაპირ მითხარით.

— მინდა იცოდეთ თქვენ, იცოდეს ყველამ, ვინც ჩვენს გვერდით იქნება, რომ ჩვენ სიკვდილზე მივდივართ. აქ ცოცხლად გადარჩენის შანსი არაა! — თვალი აარიდა მინდელის ჩათუქრებულ სახეს. — მინდა ამ წუთიდან იცოდეთ პირობები: ყველა ჩვენგანი მოქმედების ზონაში შევდივართ ყოველგვარი საბუთების გარეშე. ყოველი ჩვენგანი საუბრობს მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე. მძევლად აყვანილ ოფიცერთა ოჯახებთან ყოველი ჩვენგანი ჯენტლმენი იქნება. არაფითარი ზედმეცობა. ალბათ თვითონაც ხვდებით, ბატონო გივი, როგორი ხალხი იქნება ამ საქმისთვის საჭირო?

— ვიცი. ვხვდები. მყავს მე მაგნირი ბიჭები. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს შევძლებთ აეროდრომის შენარჩუნებას?

— არ ვიცი, საქმე თვითონ გვიჩვენებს. ალბათ სამი-ოთხი დღე მაინც. — კვლავ წამოდგა. თანჯარასთან მივიდა ისევ. — ასეა. მე თქვენ უსახელო სიკვდილზე გეპატიჟებით. ახლა თქვენზეა.

— რას უძახით უსახელო სიკვდილს?

— მანამ, სანამ აეროდრომის მომსახურე პერსონალი, მფრინავები, მათი ოჯახები ჩვენს

ხელში იქნება, ჩვენ არაფერი გვემუქრება, მაგრამ ეს, ბუნებრივია, დიდხანს ვერ გასტანს. იქიდან გამოსვლის დროც ხომ მოვა, აეროდრომი უკვე სპეცნაზილებით იქნება გარშემორტყმული. შეეცდებიან ჩვენს ცოცხლად აყვანას, რაც არც ერთ ვარიანტში არ უნდა დაგუშვათ. რუსეთის მთავრობამ არ უნდა გაიგოს, რომ ამ საქმეში თუნდაც ერთი ქართველია ჩართული, რადგანაც რუსეთის სამხედრო აეროდრომს პარალიზება ნიშნავს რუსეთისთვის პირდაპირ ომის გამოცხადებას. მიმიხვდით?

— გასაგებია.

— ამ ქვეყნად არავინ არ უნდა გაიგოს, თუ ვინ ვიყავით ჩვენ. ჩვენი ახლობლები, ოჯახის წევრები, მეგობრები ვერასოდეს გაიგებენ, თუ სად გავქრით. რა ვითარებაში დავილუპეთ, — თავი დახარა, სინანული გაუკრთა ხმაში. — აი, ამას ვეძახი უსახელო სიკვდილს.

— როდისთვის თქვით?

— ჯერ ხალხი მონახეთ. დრო მერე დავთქვით.

— კი, ბატონო. ალბათ ჩემთან იცხოვრებთ?

— გმადლობთ, ბატონო გივი! — გაიღიმა თხოველმა. — მაგრამ ამ დღეებში მე აქ არ ვიქნები. ქალაქიდან გავდივარ. ერთი პატარა საქმე მაქვს მოსაგვარებელი. მალე დავბრუნდები.

ჩათუქრებული იჯდა გივი მინელი...

## VII თავი

ფანჯრიდან გაჰყურებდა ევა სალამოს ბინდში გახვეულ ქალაქს.

„მრავლისმომსწრე თბილისი... ამბობენ, თითქოს რამდენიმე ათასწლეულის უკან აქ ვრცელი, ალერსიანი ზღვა იყო გადაშლილი (მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის, რამდენად მართალია ეს). ზღვებსაც რგებიან ხვედრი აღსასრულისა. მოანეეს ჟამი და ზღვამაც გუდანახადი უნდა აიკრას, უკვალოდ უნდა გადაიკარგოს. ჰოდა, ამ ადგილის ზღვაც ალბათ მათსავით აიბარგა. აქაურობას კი მემკვიდრეობად დაუტოვა ვეებერთელა, მთა-გორებით განთენილი სივრცე და ეს სივრცეც თითქოს ზღვის ლივლივს შემოენერა.

და კიდევ იმასაც ამბობენ, ოდესღაც აქ უსიერი ცყე შრიალებდაო. იქნებ ქარიშხალმა

ამოძირკვა, ან სულაც ათასი ჯურის მომხდურთაგან გაჩენილმა ხანძარმა გადაბუგა ეს ცყე? ასე იყო თუ ისე, დრო დაუდგა და ცყეც დაჭვნა, ხოლო ბურმუხტოვან ხმელეთს მარადყვავილობა დაუტოვა ანდერძად...

იქნება აქ ოდესღაც საქვეყნოდ განთქმული გოლიათი მთებიც იდგნენ და გარს ნისლი შემოეხურათ? არაგინ იცის, დრომ არ დაინდო, თუ მინამ ველარ ზიდა მათი ჭაპანი. ერთხელაც კალთები აუკრეფათ და გზას გასდგომიან. ან მათი კვალიც ნაშლილა და მარტოოდენ ეული არნივები დარჩენილან თვალუნვდენელ ლაჟვარდში, თითქოს ახლაც დაეძებნო გაუჩინარებულ მწვერვალთა წარღვნისდროინდელ ციცაბოებს...”

კარი გაიღო. სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა თენგიზ გადალენდია.

— აბა რას შერები, ნავედეთ?

— თქვენ გელოდებით! — ეკამ ჩანთა აიღო, თენგიზს შეხედა. — მოხდა რამე? რისთვის დაგვიბარა ასე გვიან?

— არ ვიცი. ალბათ მოხდა რაღაც. შეფი ცოფებს ყრის. ეკამ კარი გამოიკვტა. კიბეებს აუყვნენ.

მდივანი შემოეგებათ.

— გელოდებათ! — რატომღაც შიშნარევი, შემკრთალი ხმით თქვა.

— მარტოა?

— არა. ვიღაც რუსი ჩამოვიდა! — გოგონამ შეღებილი ნამწამები აათახულა, — მთელი ღღუა, რაც მარტოკები საუბრობენ.

თენგიზმა ეკას შეხედა. რაღაცის თქმა უნდოდა. გადაიფიქრა.

კარი შეაღეს. ჭიბეებში ხელებჩანყობილი გენერალი ოთახში ბოლთას ცემდა. შემობრუნდა. მკაცრი მხერა შეავლო ორივეს. ეკამ ყურადღებით შეათვალიერა სტუმარი, სამოც წელს მიღწეული, ნაცრისფერკოსტიომიანი ქერა მამაკაცი.

— ჩემი თანამშრომლებია, ივან ნიკოლოზის ძეგ! — ერთმანეთს წარუდგინა გენერალმა. — ბატონი ივანის ნიკოლოზის ძე ბელოვი კი ქალაქ სოჭის პროკურორი გახლავთ. გთხოვთ

დაბრძანდეთ!

და რუსულად მოლაპარაკე გენერალმა უცებ ქართულად დაუმატა:

— აბღლებო!

— ბატონო პროკურორო, — გენერალიც საგარძელში ჩაეშვა, „ბორჯომი“ ჭიქაში დაისხა. მოსვა. — მე მინდა ის ისტორია, რაც მოვისმინე თქვენგან, იცოდნენ მაიორმა გადალენდიამ და კაპიტანმა ბუჩუკურმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუ არ შენუხდებით, იქნება გაარკვიოთ საქმის ვითარებაში ეს ოფიცრებიც?

— რა შენუხებაა! ამისთვის ვარ აქ ჩამოსული! — ბელოვი ჩათიქრდა. — სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, მინდა იცოდეთ, რომ ჩემშიც არის რაღაც ქართული, — გაიღიმა. — დედაჩემის დედა ჩიჭავიძის ქალი იყო, კახეთიდან. სოფელ კისისხევში არა ერთი და ორი ლამაზი დღე მაქვს გატარებული ჩემს ბავშვობაში... მაგრამ ისე მოიგანა ცხოვრებამ, რომ ოცდაათი წელია, საქართველოში არ ჩამოვსულვარ, მიუხედავად იმისა, რომ არც თუ შორს ვცხოვრობ საქართველოდან. მეუღლე სრულიად ახალგაზრდა გარდამეცვალა. მყავს ერთადერთი ქალიშვილი.

ეს იყო ორი კვირის უკან. მოსკოვიდან ჩამოვედი. იმავე დღეს სამსახურში გამოვცხადდი. სამსახურებრივი საქმეები მოვანესრიგე და უკვე შინ ვაპირებდი წასვლას, რომ მდივანი შემოვიდა:

— ივან ნიკოლოზის ძე, მილიციის კაპიტანი კოვალჩუკი მიღებას ითხოვს.

— შემოვიდეს!

გული გამინათდა. ბევრ უღირსთან ერთად ბევრი ღირსეულიც მუშაობს შინაგან საქმეთა ორგანოებში და ერთ-ერთი მათგანი დიმიტრი კოვალჩუკი გახლავთ. ყოველთვის მომწონდა ეს ახალგაზრდა, საქმიანი და საბრიანი, პერსპექტიული ოფიცერი. ავღანეთში ოთხი წელი აქვს გატარებული.

შემოვიდა. სამოქალაქო ტანსაცმლით იყო. სახეზე აფორიაქება ეგყობოდა.

— რამ შეგანუხა? — წავათამამე. ვაგყობდი, უჭირდა საუბრის წამოწყება. კვლავ თავდახრილი იჭდა. ყოველთვის ენაწყლიანი კაპიტანი ახლა რაღაცას დაემუნჯებინა. ერთხანს

ღუძდა. წონიდა სათქმელს. მერე კი უცებ შემომხედა...

— მითხარით, ივან ნიკოლოზის ძეგ, — მუდარა გაუკრთა ხმაში, — მე გიჟი ვარ?

— ვინ გითხრა?! — გამელიმა. — მე შენ სულ სხვანაირად გიცნობ.

— თქვენ გჯერათ ჩემი? — ხმა აუკანკალდა მღელვარებისგან.

— მჯერა შენი, დიმიტრი. მოხდა რამე?

— თუ მოხდა, მაშინ მართალი ვარ, თუ არა და მაშინ გიჟი! — თითქოს თავისთვის, უაზროდ ჩაილაპარაკა.

— აღარ იცყვი, რაშია საქმე? — გული მომივიდა.

— თქვენ იცით, რომ მე ავღანეთში ვიბრძოდი, — შემომანათა კრიალა თვალები. — ოთხი წელი ვიყავი იქ. ჩვენს მეღესანტეთა ნაწილში ირიცხებოდა კაცი, ვისი სახელითაც, როგორც იცყვიან, დედები ბავშვებს აჩუმებდნენ. ეს იყო კაცი, ვისაც თამამად შეიძლება ვუწოდო რუსული ზღაპრების

„უკვდავი კაში“. ქართველი იყო, საქართველოდან. სხვას შეიძლებოდა დაეინყებოდა მისი სახე, მაგრამ მე მას რა დამაინყებს?! რა დამაინყებს იმ ქართველს, ვინც ჩემი ცყუბისცალი ძმა, მძიმედ დაჭრილი, მთელი ერთი კილომეტრი ზურგით ატარა ცყვიის ნვიმაში და ცოცხალი გადაარჩინა?! სამი დღის უკან განყოფილებაში მორიგე ვიყავი. დაგვირეკეს, რესტორან „თოლიაში“ აფხაზები დახოცესო. აფხაზები ცოცხლები აღმოჩნდნენ. უბრალოდ ვილაცის ძლიერ ხელს უგრძნობლად დაეყარა ძირს. ის ვილაც არც გაქცეულიყო. რესტორანში დაგვხვდა. წასასვლელად ემზადებოდა. საბუთები მოვთხოვე და უცებ ვიგრძენი, რაღაცამ გამეინა, თითქოს წარსული გამიცოცხლდა თვალწინ. ჩემს წინ ის იდგა, ის! ის ქართველი! — თითქმის ხმამაღლა წამოიყვირა კოვალჩუკმა. — მაგრამ...

გაჩუძდა. თავი ხელებში ჩარგო.

— რა მაგრამ? — ველარ მოვითმინე.

— მაგრამ ეს ის არ იყო! — განწირულივით შემომხედა.

— როგორ, თუ იცანი, რომ ის ქართველი იყო, როგორღა არ იყო ის?

— როგორ და ისე, რომ ხელში მეჭირა მისი უცხოელობის დამადასტურებელი საბუთი, მისი პასპორტი, სადაც გარკვევით, შავით თეთრზე ეწერა, რომ ის არის ესპანეთის მოქალაქე. ვინმე ალექსანდრე ვოლკოვი...

— რატომ არ წაიყვანეთ განყოფილებაში? რატომ არ გვარკვევით, პასპორტი ნამდვილი იყო თუ

ყალბი?

— ვერ წაიყვანდი! — თვალი ამარიდა კაპიტანმა.

— მიზგიბი?!

— ის მარტო არ იყო.

— ვინ ახლდა?

— თქვენი ქალიშვილი! — ძლივს ამოღერდა.

ფეხზე რომ ვმდგარიყავი, მუხლები მომეკვეთებოდა ალბათ... ჩემი ქალიშვილი?! ვიღაც უცხოელთან?! თუ ვიღაც ქართველთან?! ჩემი ქალიშვილი ნახეს კაცთან ერთად, რომელმაც ამ ქალაქში გამოჩენისთანავე მილიციის ყურადღება მიიპყრო?! გაოგნებულმა კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე.

— ახალგაზრდაა ის? — დაბნეულმა ესლა ვიკითხე.

— დიახ. იქნება ასე ოცდაათი-ოცდაცამეტი წლის.

— კი მაგრამ, მთელი სოჭი ქართველებითაა სავსე. რისთვის უნდა დადიოდეს ქართველი უცხოელის პასპორტით? — ეჭვით შევხედე კვლავ. — ხომ არათფერი გეშლება?

— მე არათფერი მეშლება, ივან ნიკოლოზის ძე, — მითხრა. — აი ეგ კითხვა მანვალეს მეც. გთხოვთ მომცეთ უფლება და იმედი მაქვს სამ დღეში ყველაფერს გავარკვევ.

— ხვალამდე უნდა მოიცადო! ჯერ საჭიროა გავესაუბრო ჩემს ქალიშვილს. თუ რაიმე გაურკვეველობას ექნება ადგილი, შემდეგ უკვე ერთად დავსახოთ მოქმედების გეგმა. შევთანხმით?

— რა თქმა უნდა! — კოვალჩუკი წამოდგა. გამოემშვიდობა და წასასვლელად გამზადებული უცებ შეჩერდა. თეორიანად შემომხედა. — ივან ნიკოლოზის ძე, როგორც მილიციის ოფიცერი, ვიცი, რომ არ მაქვს კანონის დარღვევის უფლება, მაგრამ მე პირველ რიგში ადამიანი ვარ და მას თუ რაიმე უჭირს, მზად ვარ დავეხმარო, რადგან მე და ჩემი ოჯახი ვალში ვართ მის წინაშე...

აღინა სახლში დამხვდა, — პროკურორი ცოცხალი ხანს ჩაფიქრდა. — დიას! აღინა ჰქვია ჩემს ქალიშვილს. ჩვეულებრივად შემხვდა, როგორც ყოველთვის. ველოდებოდი, თვითონ მეტყვოდა ახალი ნაცნობის შესახებ, რადგან ჩემი ქალიშვილი არასდროს არაფერს მიმალაგდა. ამოდ... აღარაფერი მითქვამს. ის იყო დანოლას ვაპირებდი, ცელეფონმა დარეკა. საათს შევხედე, თორმეტის რაღაც წუთები იყო. აღინას უკვე ეძინა. ყურმილი ავიღე.

— ბელოვი გისმენთ!

— ო! ივან ნიკოლოზის ძე, თქვენ? ჩამოხვედით?

— იგორ, შენ? — მაშინვე ვიცანი სამხედრო მტრინავის, ჩემი შორეული ნათესავის, პოლკოვნიკ იგორ შალიუხინის ხმა.

— კი. კი. მე ვარ. როგორ იმგზავრეთ?

— გმადლობ. კარგად.

— აღინა სადაა?

— სახლშია, დაიძინა უკვე.

— დიდებული გოგონაა. კარგი ღრო გავატარეთ გუშინ.

— სად? უჩემოდ? არ გრცხვენიათ? — ხუმრობით ვუსაყვედურე.

— ქალაქგარეთ გავისეირნეთ, ივან ნიკოლოზის ძე. აღინას ესპანელ მეგობარს აეროდრომი დავათვალიერებინეთ.

— ვის? რა აეროდრომი?

— ცუდად ისმის? — ხმას აუწია იგორმა. — აღინას მეგობარია უცხოეთიდან.



ყურნალისტი. დიდებული ახალგაზრდაა. ჩვენი, ბომბორას სამხედრო აეროდრომის ნახვა ისურვეს ახალგაზრდებმა და უარს ხომ არ ვეცყოდი?! შუადღის სამი საათიდან უკვე რესტორანში დავსხედით. ოო! მაგრად სვამს სტუმარი, მაგრამ ვერც შეატყობ, რომ ნასვამია.

უკვე აღარ მესმოდა, რას ამბობდა... ყურმილი დავკიდე. თვალწინ მედგა კაპიტან კოვალჩუკის სახე. მისი სასონარკვეთილი ხმა: „ჩემს წინ ის იდგა, ის! ის ქართველი!..“

მთელი ღამე თეთრად, უძილოდ გავატარე. მივხვდი, ჩემი შვილი რაღაც საშინელ, საბედისწერო თამაშში იყო ჩართული. მიუხედავად ამისა, არ ღირდა ჯერ აღინას დაფრთხობა. ჯერ ყველაფერი უნდა გამერკვია და მხოლოდ ამის შემდეგ...

დილით კოვალჩუკს ვუხმე. საღამოს ექვსი საათი იყო, რომ კარი შემთალო და გაღიმებული სახით წამოვიდა ჩემსკენ.

— თქვენი დავალება შესრულებულია, ივან ნიკოლოზის ძე! როგორც ვთქვით, ყველაფერი

ისეა.

— დანვრილებით, თუ შეიძლება, დიმიტრი.

— ავტომანქანა „გაზ-24-10“, შავი ფერის, სახელმწიფო ნომერი 99-99, რომლითაც ჩვენი სტუმარი დასრიალებს, ეკუთვნის ჩვენი ქალაქის მცხოვრებს, გამარჯვებულივით შემომხედა, — დავით ხიგალიძეს.

— ქართველს?

— დიახ!

— და ვინაა ეს ხიგალიძე? — ვკითხე კაპიტანს. სანამ პასუხს გამცემდა დავიძაბე. საიდანღაც მახსოვდა ეს გვარი.

— დავით ხიგალიძე... — კოვალჩუკმა ჯიბიდან ქალაღი ამოიღო, გადაშალა. — დაბადებული 1964 წელს. ქართველი. პროფესიით ინჟინერი. დამთავრებული აქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. წლების უკან ხიგალიძე თანაგიკურად იყო გატაცებული სპორტით. გახლავთ შავი ქაშის მფლობელი. ხუთი წლის წინ ცოლად შეირთო მანანა ბუკია, სოჭის მცხოვრები. ბუკიების ოჯახი მიეკუთვნება იმ წრეს, რომელმაც ამბობენ: „ძლიერნი ამა

სოფლისანი“. მეუღლის ოჯახმა გზა გაუკვლია ხიტალიძეს ძალადი საზოგადოებისაკენ. ამავე დროს, — ხმადაბლა თქვა, — დავით ხიტალიძე გახლავთ გივი მინდელის მარტვენა ხელი...

ოჰო! აი თურმე საიდან მახსოვდა ეს გვარი! მინდელი... ხიტალიძე... ქალაქის ახალგაზრდობის სათაყვანებელი კერპები...

— ჩვენი ინკონიგო ქართველი ხიტალიძესთან ცხოვრობს, — განაგრძობდა კაპიტანი. — ხიტალიძე დღეს არსად გამოჩენილა, მან კი რამდენჯერმე გაიარა იმ ქუჩაზე, სადაც გივი მინდელი ცხოვრობს. ამ წუთებისთვის მანქანით შეჩერებულია მინდელის სახლთან. როგორც ჩანს, მინდელს უნდა შეხვდეს, — კოვალჩუკი ჩათუქრდა. — მაგრამ მინდელმა იცის, რომ ის ძებნილია და არა მგონია, სახლში მივიდეს.

— მივა. ნახევარი საათის წინ ტელეფონით დამიკავშირდა.

— რა მინდაო?

— ხვალ თვითონ მოვა ჩვენთან.

— თქვენ დაიჭერეთ მისი?!

— კი, ღიმიტრი. დავიჭერე იმიტომ, რომ მინდელი და მისთანები ცყუილს არასდროს ამბობენ.

— ამ შემთხვევაში ჩვენ ალბათ ხვალ გვეცოდინება, თუ რა უნდა მას, რისთვისაა აქ ჩამოსული.

— საიდან? — კითხვით შევხედე, — საიდან გვეცოდინება?

— ჩვენ შევედით მინდელის სახლში, — გაიღიმა კაპიტანმა. — ყველა ოთახში დავამონტაჟეთ ხმისჩამწერები...

7 საათზე უკვე სახლში ვიყავი. ერთ საათში აღინაც მოვიდა. ჩანთა იქვე მიაგდო და კისერზე ჩამომეკიდა.

— მამიკო, მითხარი, ძალიან გიყვარვარ? — ლოყაზე მაკოცა.

— ძალიან! — თავის განთავისუფლება ვცადე, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

— ერთი დიდი სათხოვარი მაქვს, მამა, — უცებ დასერიობულდა. — და ეს თხოვნა უნდა შემიხრულო.

— კი, ბატონო! — გამელიძა.

— მპირდები?

— გითხარი, რომ შეგისრულებ შენს თხოვნას. თუ ის, რა თქმა უნდა, ჩემს ძალებს არ აღემატება. გისმენ...

— თავი დაანებეთ გივი მინდელის დევნას. გააუქმე მისი დაპატიმრების ბრძანება! —

სულმოუთქმელად მომაყარა და ჭიუტად შემომაჩერდა.

გული შეშეკუმშა. უსიგყვოდ მივჩერებოდი ჩემს ერთადერთ ქალიშვილს. სინანულმა შემიპყრო. ნუთუ რაღაც დავაკელი ცხოვრებაში? აღზრდა? განათლება? მაგრამ მას არც ერთი აკლდა, არც — მეორე. მაშ რა ხდება? რატომ უნდა ეთხოვა ჩემს შვილს ჩემთვის ვიღაც კანონიერი ქურდის შეწყალება? საიდან მოდის სათავე ამ ამბის? ვიღაც ქართველი... უცხოელის პასპორტით. ინგერესდება სამხედრო აეროდრომით... მაგრამ რატომ მაინცდამაინც სოჭიდან ასე შორს მყოფი ბომბორას აეროდრომით, როცა გარშემო, ქალაქიდან უფრო ახლოს განლაგებულია უფრო კეთილმოწყობილი აეროდრომები?!

უცებ მომენტალურად, ისეთმა აზრმა გამიელვა თავში, რომ კინალამ ხმამაღლა ვიყვირე. ბომბორას აეროდრომიდან ხდება სოხუმის დაბომბვა!!! ამ აეროდრომით, ცხადია, დაინგერესებული უნდა იყოს ქართული მხარე. აქ ორი აზრი არ არსებობს. ვინ შეიძლება იყოს ეს ქართველი, ვინც

უცხოელად ასაღებს თავს? საქართველოს უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი! მეგი არააინ! ო, ღმერთო! ნეტავ ასე იყოს! სიცოცხლეს მივცემ, მხოლოდ იმას ნუ მომასწრებს ღმერთი, რომ ჩემი ქალიშვილი ქურდების სათამაშო თოჯინად იქცეს. ხვალინდელი დილა ყველაფერს გაარკვევს, ნათელს მოჰფენს. კოვალჩუკმა იცის თავისი საქმე. დაე, შეხვდნენ ერთმანეთს გივი მინდელი და უცნობი ქართველი...

— შენ იცნობ გივი მინდელს? — მკაცრად ვკითხე ალინას.

— არა, მამა. მე ის არასდროს მინახავს, — თავი დახარა.

— აბა საიდან დაგებადა მისი გადარჩენის სურვილი?

— მამა! მამიკო! — კვლავ კისერზე მომეხვია. ნუ მაიძულეს ცუდი გითხრა. მერწმუნე, მე მას არ ვიცნობ. ოდესმე მოგიყვები ყველაფერს, დამიჯერე...

— შეილო! არ მინდა, რომ რაღაცით შენი ან ჩემი ღირსება შევბღალთ, ცალახში ამოვსვართ. ამისთვის არ გამიზრდისარ, — როცა მის ასატირებლად გამზადებულ სახეს შევხედე, გამეღიმა. — კარგი! ვასრულებ შენს თხოვნას. გივი მინდელი ხელშეუხებელია ამ ნუთიდან.

— გმადლობ, მამა! — სიხარულით გაუნათდა სახე...

პროკურორმა წყალი მოსვა. ფიქრიანი თვალებით შეხედა გენერალს. მზერა ეკაზე გადაიტანა.

— მეორე დღით უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემი ვარაუდის სისწორეში, მიუხედავად იმისა, რომ თხოველი თქვენი თანამშრომელი არ აღმოჩნდა. ახლა კი შეგიძლიათ მოისმინოთ საუბარი, რომელიც წარიმართა მათი შეხვედრის შემდეგ. — ბელოვმა მაგნიტოფონი ჩართო...

სულგანაბულნი უსმენდნენ... ვანკალმა აიტანა ეკა. მაგიდის კიდეც ისე ჩასჭიდა ხელი, რომ თითები გაულურჯდა. „ამ ქვეყნად არავინ არ უნდა გაიგოს, თუ ვინ ვიყავით ჩვენ, ჩვენი ახლობლები ვერასოდეს გაიგებენ, თუ სად გავქრით, რა ვითარებაში დავიღუპეთ. აი, ამას ვეძახი უსახელო სიკვდილს...“ ისმოდა ბაკურის ხმა.

— თქვენ ცირით? — ბელოვმა წელიანი ჭიქა დაუდგა ეკას. ეკამ სწრაფად მოიწმინდა ცრემლი. პროკურორმა საათს დახედა.

— ჩემი წასვლის დრო მოვიდა, ბატონებო. ალბათ ჩემი გაფრთხილება აღარ გჭირდებათ, რომ ეს საქმე, რომელიც ამ ახალგაზრდა ვაცს ჩაუფიქრებია, აურაცხელ მსხვერპლს მოითხოვს. ამ საქმეს მოყვება გამოუსწორებელი შედეგი.

— მადლობა ღმერთს, — ცივად გაიღიმა გენერალმა, — უჩვენოდ მიხვდით თქვენც, რომ ის არაა ჩვენი თანამშრომელი. თავდაცვის სამინისტროს მაიორი გახლავთ. შევთავაზებთ თანამშრომლობა, მაგრამ უარი განაცხადა. თვითნებურად მოქმედებს, მაგრამ ჩვენ შევძლებთ მისი თვითნებობის აღაგმვას.

პროკურორ ბელოვის წასვლიდან გასული იყო თხუთმეტი წუთი. უხმოდ ისხდნენ. გენერალი თვალმოჭუტული მისჩერებოდა თენგიზ გადალენდიას.

— რას ფიქრობ, თენგიზ?

— არ ვიცი, — თენგიზმა ეკას შეხედა. — არაფერი ვიცი. უკვე ველარ ვაზროვნებ. განა შეიძლება ამ ამბის თუნდაც გაფიქრება? თვითონაც ხვდება, ამას რა შედეგი მოჰყვება. მაინც მიდის ამ საქმეზე... უნდა შევაჩეროთ! — გადალენდიამ თვალი გაუსწორა გენერალს.

— დიას! უნდა შევაჩეროთ და შევაჩერებთ კიდევ!

— მაგრამ როგორ? ჩვენ არ ვიცით, როდის აპირებენ ისინი ოპერაციის დაწყებას.

— მოვასწრებთ, თენგიზ. ნუ ნაღვლობთ მაგაზე! — ნაპერწკალმა იელვა გენერლის თვალებში. — ალბათ ყველაფერს აჯობებს, თუ ფხოველი ავტოკატასტროფაში დაიღუპება, — გესლიანად გაელიმა. სიგარეტი მოქაჩა.

— ბატონო გენერალო, განა ეს აუცილებელია? — შეკრთა გადალენდია, მუდარით შეხედა.

— ეკა ბუჩუკური ფეხზე წამოდგა. ცრემლი გაშრობოდა თვალებში...

— თქვენ მის მოკვლას აპირებთ?! — ზიზღი გაკრთა ქალიშვილის ხმაში.

— მიზანი ამართლებს საშუალებას! — გენერალი ერთ წერტილს მიმტკრებოდა. — ასობით ადამიანის სიკვდილს ჯობია ერთ კაცს შეველიოთ.

— მას თქვენზე მეტად უყვარს საქართველო და ამიტომ სიკვდილის ღირსია? ვერ შეძლებთ მაგას, ბატონო გენერალო! — ეკამ ჩანთას დაავლო ხელი და გარეთ გაუარდა.

— გაყევით! შეაჩერეთ! ენას კბილი დააჭიროს! — გელეფონს მისწვდა. თენგიზი სწრაფად გავიდა. კიბეები ჩაირბინა. ეკა აღარსად ჩანდა.

— მაიორი თოფურიძე ამოვიდეს! — ჩაილაპარაკა გენერალმა. ყურმილი დაკიდა. ჩაფიქრდა.

— დაჯექი, კახა! — გენერალმა ხელით ანიშნა თოფურიძის სავარძელზე. სიგარეტის

კოლოფი მისკენ განია. — ყავას ხომ არ დალევ?

— გმადლობთ. არ მინდა, — ახალგაზრდა, ლამაზი მაიორი ჩამოყდა.

— მე შენ დაგიბარე აი რისთვის, — თვალეში შეხედა. — დავალემა უნდა მიიღო. დავალემა, რომელიც საკმაოდ სახიფათოა. მიუხედავად ამისა, შენი იმედი მაქვს.

— შევეცდები, გაუამართლო თქვენი ნდობა!

— იწილო-ბინილო არ მინდა ახლა მე. პირდაპირ გეტყვი. ამ ქვეყნად არსებობს კაცი, ვისგანაც გვექმნება ძალიან დიდი პრობლემები. ამ საქმეს უნდა მიხედო... ხვდები ალბათ, როგორც...

— გასაგებია! — ჩაიცინა კახამ. — აუხაზია თუ ჩეჩენი?

— არც ერთი და არც მეორე. ქართველია.

— ვინ ქართველი?! — სახე გაუფითრდა მაიორს.

— არსებობს ამნაირი: ბაკურ თხოველი! გვარდიის ოფიცერია...

თვალეში აემღვრა კახა თოფურიძეს. ზეზე წამოიჭრა. პირადლობის მონძობა და პისტოლეტი ამოიღო. წინ დაუნყო გენერალს.

— საამისოდ მაიორი თოფურიძე არ გამოგადგებათ, ბატონო გენერალო! — მაგიდის კიდეზე ოდნავ გადაწეულმა გამოსცრა კბილებში. — გირჩევთ ქილერი მონახოთ... მე კი მივდივარ თქვენთან!

**1991** წლის ზამთარი. სამაჩაბლო. ოსური მხარის ხელმძღვანელობასთან გარკვეულ საკითხზე მოსალაპარაკებლად ორი ქართველი გადავიდა სამხრეთ ოსეთში. ერთი — უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი, მეორე — თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი. ისინი გენერალ ცაგალოვს წარუდგინეს. დამცინავად მიაჩერდა ცაგალოვი ქართველ ოფიცერებს.

— ტყვეები ბუცხრიკიძე, შავერდაშვილი და ხიზანიშვილი უნდა გაათავისუფლოთ! — პირდაპირ განუცხადა ქართული დაზვერვის თანამშრომელმა.

— მათ კი არა, ამ წუთიდან თქვენც ავიყვანთ, ბანდიტებო! — იყვირა გაცეცხლებულმა გენერალმა.

— ბანდიტი მაშინ ვიყავი, — გამოძწვევად შეხედა გვარდიელმა, — როცა ავღანეთში თქვენი, ჩემზე არანაკლები ბანდიტის ბრძანებებს ვასრულებდი. თქვენ ამ წუთში საქართველოს არმიის მაიორს ელაპარაკებით, გენერალო!

ცაგალოვმა თვალეხი მოჭკეტა. ყურადღებით დააცქერდა გვარდიელს.

— ეს შენ ხარ?! — გაოცებულმა ჩაიჩურჩულა.

— მიცანით? დიახ, მე გახლავართ. ნამდვილად მე ვარ, ბატონო კიმ, ვისაც სული წაუბილწეთ ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში, ვისაც ასწავლეთ ადამიანების კვლა, აფეთქება და განადგურება... თქვენ ალბათ არ მოგისმენიათ, გნებავთ, არ წაგიკითხავთ კატის და ლომის ამბავი..

— რა?! — ცაგალოვმა რისხვით დააკვესა თვალეხი.

— კატა და ლომი, — გაეცინა გვარდიელს, — ოდესღაც ერთად აგვარებდნენ საქმეებს. კატა ასწავლიდა ლომს, თუ რა უნდა გაეკეთებინა მგრის თავდასხმის შემთხვევაში. ასწავლა ყველაფერი გარდა ერთისა: თუ როგორ ასულიყო ლომი ხეზე. თქვენ კი, ბატონო გენერალო, არ გამოიყენეთ კატის სიბრძნე და მე ყველაფერი მასწავლეთ. მიფრთხილდით!

— აიყვანეთ! — გენერალმა ბრაზიანი მზერა შეავლო გვარდიელს. თავისიანებს მიუბრუნდა. —

ხვალ დილით მოიყვანეთ ჩემთან!

უშიშროების კომიტეტის ოფიცერმა პროტესტი განაცხადა:

— ბატონო გენერალო, თქვენ არ გაქვთ ჩვენი დაპატიმრების, დატყვევების უფლება...

— არ გინდა! — ჩუმად ჩაილაპარაკა გვარდიელმა. — ამაღამ გავალთ აქედან!

თენდება... ლიახვის ხეობაში მუხლამდე თოვლს მიარღვევს ორი. მღევარი ფეხდაფეხ მისდევს. სადღაც იწივლა ტყვიამ. მუხლი მოეკვეთა ერთ-ერთს. ქართველთა პოზიციებამდე სულ რაღაც კილომეტრია დარჩენილი. ჩაიჩოქა დაჭრილმა...

— ველარ შეძლებ სიარულს? — წამსვე მის გვერდით გაჩნდა მეორე.

— შეძლებ! — კბილები გაახრჭიალა. წამოიწია.

რაგი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ახლადგამოჩეკილ „ბიძაშვილს“.

— იქ დავიბადე. 1917 წელს წასულა ბაბუა რუსეთიდან.

— საიდან, თუ იცით?

— პეტერბურგიდან.

— მე მოსკოველი ვარ! მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ მოგვარეები ვართ, კი მაგრამ, რამ გაიძულათ ესპანეთიდან ამხელა მანძილის გამოვლა საომრად?

— გრძელი ამბავია...

— მაინც? — არ მოეშვა „ბიძაშვილი“. — პირდაპირ თქვით, მეომრულად, ფრონტულად. ბაკურმა დათოს გახედა. მშვიდი ღიმილი შეაგება ხიგალიძემ.

— ცოლმა მილალატა! — უცებ თქვა ბაკურმა.

— ცოლმა?! — გაოცდა ვლადიმერი. — მერე და რა შუაშია აქ აფხაზებისა და ქართველების ომი?

— ქართველს გამოყვა... მას მერე ჭირის დღესავით მძულს ქართველები.

— გასაგებია! — თანაგრძნობით შეხედა კაპიტანმა. ბეჭებზე ხელი მოუთათუნა. — ნუ გეშინია, ამოხვალ ქართველების ოხტში. კურდღლებივით ვარბენინებთ მალე მაგათ! — სასმელი უკვე მოკიდებოდა ვლადიმერ ვოლკოვს. — აი, იქ მაინც ყოფილიყავი ჩემს გვერდით და მაშინ... — აღარ დაამთავრა.

— სად იქ? — ფხოველმა სიგარეტი გაუნოდა.

— თბილისში. ოთხმოცდაცხრა წლის ცხრა აპრილს. აბა იქ იყო, თუ იყო, — მეოცნებე თვალებით გახედა ცყეს. — დავფანტეთ ქართველი ჩმორიკების ჭგუფი. ვინ საით გარბოდა, აღარ იცოდნენ. ერთი

თხუთმეც-თექვსმეტი წლის გოგო შევათრიე სადარბაზოში. სანამ გვარიანად არ ვუთაქე, ვერაფრით დავიმორჩილე. ო, რა იყო! აბა ჩამოასხით! დავლიოთ!

თვალეები აემღვრა ხიგალიძეს. კიდევ წუთიც და ვოლკოვს ყელში სწვდებოდა. ბაკურმა მკლავზე ოდნავ შეახო ხელი. გამათურთხილებლად შეხედა. დათომ თავი ჩაღუნა. მიხვდა, მასზე



უარეს დღეში იყო ფხოველი. მართლაც მთელი ტანი ციებიანივით უცახცახებდა ბაკურ ფხოველს. ხელი მისდაუნებლიედ მიიწევა პისტოლეტისკენ. მაგრამ არა! გაუფრთხილებელი ნაბიჯის გადადგმის უფლება მას არ ჰქონდა. მარტო რომ ყოფილიყო, დაუფიქრებლად მიაცხრილაგდა ოთხივეს, მაგრამ ახლა ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

— ვისია ის გიგარა? — ბაკურმა მათი მანქანისკენ გაიხედა. უკან ავტომატი და გიგარა ერთმანეთზე იყო მიყუდებული.

ცხვირჩაჭყლეტილი ნამოდგა. გიგარა აიღო. ბაკურს გაუწოდა.

— არა, — თავი გაიქნია ფხოველმა, — მაგის ნიჭი არ დაუმაღლებია ჩემთვის მამა-ღმერთს. მე უბრალოდ მიყვარს, როცა სხვას ვუსმენ.

— მაშ შეგიძლიათ მომისმინოთ! — შავგუხა აღარ დამჯდარა. მანქანის საბურავზე ჩამოლო ფეხი. ხმადაბლა წამოიწყო:

„Ночь, улица, фонарь, аптека,  
Бессмысленный и тусклый свет.  
Живи еще хоть четверт века,  
Все будет так. Исхода нет...“

— გმადლობთ! — ბაკურმა თავი დაუკრა. მოეწონა. მართლაც უნაკლოდ მღეროდა რუსი. საათს დახედა. ვლადიმერ ვოლკოვს შეუბრუნდა.

— ჩვენ სოხუმისკენ, თქვენ საით?

— აქვე, ახალ ათონში, — ვოლკოვი დაიხარა, წყალი შეისხა სახეზე.

— ახალ ათონში? ალბათ ქალებთან? არ გეპატიებათ, ვლადიმერ! — ლუდი მოსვა. — ბარსელონაში რომ შევხვედროდით ერთმანეთს, მაშინ მე ვიცოდი, აქ კი...

— არა, არა! — ხელები გაასაფსავა კაპიტანმა. — არავითარი ქალები! ამაღამ სანაპიროზე უნდა ვიმორიგეთ.

— ქართველები ზღვიდან ხომ არ აპირებენ დესანტის გადმოსხმას? — დამცინავად გაეღიმა

დათოს.

— არა, ბიჭებო! არც ქალებია და არც მონინააღმდეგის დესანტი. ამაღამ ვაჟა ჭინჭოლიას უნდა ვუდარაჯოთ.

— ეგ ვინღაა? — წარბი აუცოკდა ბაკურს, — თქვენი გენერალია ვიღაც?

— რისი გენერალი! — ცხვირჩაჭყლეტილმა ზიზლით იბრუნა პირი. — არძინბას მეგობარია, მისი საქმეების ერთ-ერთი უშუალო შემსრულებელი. ბინძური ტიპია. ფულის გულისთვის, დარწმუნებული ვარ, არძინბასაც გაყიდის და მშობელ დედასაც.

— კი მაგრამ, თუ იცით, რომ ასეთია, ვინ დაგაძალათ მისი დაცვა? — ფხოველი მიაძიგად შეაჩერდა რუსს.

— ეხ, ძამიკო! — ცხვირჩაჭყლეტილმა ნაღვლიანად ჩაიქნია ხელი, — ვინ დამაძალა და ცხოვრებამ. გორბაჩოვის და შევარდნაძის დედა ვატირე მე. დაშალეს ეს საათივით ანცობილი ქვეყანა. სამხედრო ოფიცერი ვარ. შემცირდა შტატები და დავრჩი უმუშევარი. ოთხი შვილი მყავს. მათგან უფროსი რვა წლის არის. შენახვა, გაზრდა ხომ უნდა მათ? აი, ავიღე ავტომატი და ფულისთვის რიგითი ჯარისკაცივით წინ და უკან უნდა ვიარო სანაპიროზე. სანამ ქვეშაფსია ჭინჭოლიას და შამილ ბასაევს ქეიფი არ მოსწყინდებათ.

„შამილ ბასაევი... შამილ ბასაევი... საიდან მახსოვს“ — ბაკურმა სიგარეტს მოუკიდა. — „ბასაევი! ჩეჩენი?! არძინბასგან აფხაზეთის გმირად გამოცხადებული. ვისაც არა ერთი და ორი ქართველის სისხლით აქვს ხელები მოსვრილი. მამ შამილიც აქ იქნება?! ძალიან კარგი!“

— მამ ასე, — ბაკური ბოლო ჭიქებს ავსებდა. — ამ ნუთში ვცილდებით ერთმანეთს. არა და, არ მეტმობით, ბიჭებო! სიამოვნებით ვიქნებოდით თქვენს გვერდით მე და ჩემი მეგობარი.

— მერე და ვინ გიშლით? — გულიანად გაეღიმა ცხვირჩაჭყლეტილს. — იყავით ჩვენთან. ხალხი გვაკლია კიდევ.

— თქვენი ხელმძღვანელობა რას იცყვის?

— შენ მაგაზე ნუ იდარდებ, ბიძაშვილო! — ვლადიმერი მის წინ შეჩერდა. — სროლა თუ შეგიძლია ნორმალურად?

ფხოველის თვალებში ანცმა ნაპერწკალმა იელვა. დაიხარა, პატარა ჭიქა აიღო. კაპიტანს

გაუწოდა:

— დაიდგით თავზე, ბიძაშვილო!

— არა. ისედაც მჯერა. ასეთ ექსპერიმენტებს ჩვეული არ ვარ.

— რა გაეწყობა! — ბაკურმა ამოღებული „ბერეგა“ შეინახა. — რაკი თქვენთან ვრჩებით, მაშ თქვენთან დარჩენას გაუმარტოს. რას ვაკეთებთ ახლა?

— ამაღამ ჩვენთან იქნებით. დასალევი ჩვენც გვაქვს მანქანაში. ხვალ კი სოხუმისკენ გავისვინოთ. თანახმა ხართ?

— რა თქმა უნდა. რაც არ უნდა იყოს, ომში ბიძაშვილის გვერდით ჭობია ყოფნა. შენ რას იტყვი? —

დათოს შეხედა.

— სადაც ჩვენი ძმები, იქ ჩვენც! — ხელები ასწია ხიგალიძემ. — ხომ გაგიგონიათ, „ყველა ერთისთვის! ერთი ყველასთვის!“

საღამო. ახალი ათონი. „ლომის ყურე“. ხმელეთში ოდნავ შეჭრილი ზღვის ბოლი მუქ მწვანედ ლივლივებდა საღამოს ბინდში. ნაპირიდან ასიოდე მეტრში წითელი, შავბოლებიანი მოზრდილი იახტა მოჩანდა. მანქანები ნაპირზე იდგნენ. იახტაზე ადამიანები მიმოდიოდნენ. ბაკური მოუსვენრად წრიალებდა მანქანაში. დაღამებას საშველი აღარ ადგებოდა. ვაჟა ჭინჭოლია და შამილ ბასაევი უკვე ორი საათია იახტაზე იყვნენ.

დაღამდა. ვლადიმერ ვოლკოვი და მისი მეგობრები სასმელს მიეძალნენ.

— ბიძაშვილო, მოდიო! — გამოსძახა კაპიტანმა.

— წუხელაც არ გვძინებია, წავიძინებთ ცოცას, — ხიგალიძემ გემრიელად დაამთქნარა. — თქვენ დალიეთ.

— თუ არ გინდათ, კი ბატონო! — ვოლკოვმა მოზრდილი ჭიქა შეავსო.

— წავედი! — ბაკურმა უხმაუროდ გახსნა კარი. — ახლა თერთმეტი საათია. დამელოდე თორმეტამდე. თუ არ მოვედი თორმეტისთვის, გადი აქედან. არც ერთი წუთი არ დააყოვნო.

— ბაკურ! — დათომ გადასასვლელად გამზადებულს მკლავში მოჰკიდა ხელი. — თუ თორმეტამდე არ მოხვედი, იცოდე, შენს დანყებულს მე გაეაგრძელებ.

— ნუ სულელობ! რაც გითხარი, ის გააკეთე! ერთ ხანს შეეცუნდა, მანქანის შექცებზე შეჯგუფებულ, აყაყანებულ ჯინჯოლიას დაცვას გახედა. — ხომ იცი, დაბლვეული არავინ ვართ. ჩემი თხოვნაა, თუ რამე მოხდა და აღარ მოვედი, ნურსად გაამხელ ჩემს სიკვდილს, დაე, იმის იმედით იცოცხლოს დედაჩემმა, ადრე თუ გვიან დაბრუნდებაო...

შემობრუნდა, ღიმილით შეხედა ხიგალიძეს.

— რილკე ამბობს: „ძღვეამოსილია სიკვდილი. ის ბედნიერების დროსაც სადარაჯოზე დგას. მაღალი სიცოცხლის წამს ის ჩვენში იგანჯება. გველოდება, მონყურებულია, ტირის ჩვენში“... შენ იცი. თორმეტამდე! — კარები ისევე უხმაუროდ დაიხურა, როგორც გაიღო. დათო ჩაცვივით ჩააცქერდა სიბნელეს. ფხოველი აღარსად იყო...

როგორც იცვებან, ჩიგის რძეც არ აკლდა სუფრას, რომელსაც შვიდი მამაკაცი შემოჯდომოდა. მონაბერი მსუბუქი ნიავი, ტალღებზე ოდნავ მოქანავე იახტა, რიგშულად მოძრავი მაგიდა და ანთებული სამოცი დიდი სანთელი ზღაპრულ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

— ბატონებო! — შამილ ბასაევმა ჭიხვის რქა შეაფსო ღვინით, ფეხზე წამოდგა. — კიდევ ერთხელ დავლოცავ ბატონ ვაჟას. ბატონო ვაჟა, დიდხანს ვფიქრობდი, თუ რა საჩუქარი შეიძლებოდა მომეტანა დღევანდელ დღეს თქვენთვის. ვერც დოლარებს და ვერც მიხაკებს ვერ მოგართმევდით. ამით შეურაცხყოფდით თქვენც და საკუთარ თავსაც. გუშინ დილით ჩემმა ბიჭებმა ეს მომიყვანეს, — გადახედა გვერდით მჭდარ, გასაოცარი სილამაზის გოგონას. — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის

სტუდენტია, ფრონტზე მოხალისედ წამოსული, — გაეცინა. — თქვენთვის შევინახე! გიძღვნით ორივე ხელით.

ჯინჯოლია წამოდგა. შამილს გადაეხვია.

— გმადლობთ! გმადლობთ, შამილ! — ქალიშვილს დააცქერდა.

— მთელი ღამე წუხელ თეთრად გაატარა, მოსვენება ესაჭიროება აღბათ, — ბასაევმა გოგონა სკამიდან წამოაყენა. — შეგიძლიათ წაიყვანოთ, ბატონო ვაჟა, კაიუტა მიუჩინოთ, — გადაიხარხარა. სხვებიც აჰყვნენ.

მკრთალად განათებულ კაიუტაში ერთადერთი სანოლი იდგა. ჭინჭოლიამ კარები მიხურა. ქალიშვილი შემოატრიალა.

— რამდენი წლის ხარ?

— თერამეტის! — გოგონას მხრები უცახცახებდა.

— რა გქვია?

— თონა! — ცრემლები წასკდა. — გემუღარებით, მიშველეთ!

— აბა რას ვიბამ? — ჩაიქირქილა ვაჟა ჭინჭოლიამ. — აბა! მე გაგხადო თუ შენ თვითონ გაიხდი?

— მხეცო! თონას სახე შეეცვალა. მოქნეული ხელი გამეტებით ლენა სახეში მამაკაცს. — მიჯობს მომკლა!

ვაჟა ჭინჭოლიამ ლოყა, რომელზეც ხუთი თითი აღმეჭდილიყო, ნელა მოისრისა და განრისხებული წავიდა თონასკენ. უცებ შეჩერდა. კარებისკენ გაიხედა. შემობრუნდა. სახე გაუფითრდა. აკვალანგებიანი უცნობი მდუმარედ იდგა კაიუტის კარებთან. გულხელდაკრეფილი მისჩერებოდა ჭინჭოლიას. ნელა მოიძრო ბრტყელი სათვალე, რეზინი გადაიძრო თავიდან, ჭინჭოლიამ თვალები დახუჭა, იცნო... „ნახვამდის, ბატონო ვაჟა!“ — ჩაესმა სტამბულში ნათქვამი. გააჟრჟოლა. თვალი გაახილა. ფხოველი უკვე მის წინ იდგა. აუად ლაპლაპებდა მის ხელში მოკლე, ძვირფასი თვლებით მოჭედული ხანჭალი.

— გილოცავთ დაბადების დღეს! — მოესმა. ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მან ცხოვრებაში გაიგონა...

თონა შიშს დაემუნჯებინა. თვალეგატართოებულს ტუჩებზე ხელი აეფარებინა და გასუსული კედელს აკვროდა. ბაკური სწრაფად მივიდა, მკლავში მოკიდა ხელი.

— ნუ გეშინია, თონა! მითხარი, ცურვა იცი?

— არა! — ამოიკვნესა ქალიშვილმა. ჩაეჭიდა ფხოველს. — გეხვეწებით, აქ არ დამტოვოთ, მირჩევნია წყალში დაეხრჩო!

— ძალიან მალე იწყებ იმედს, — თვალეგატართოებულმა ჩაეხედა. — ნახევარ საათზე ნაპირზე

ვიქნებით. ახლა კი მისმინე...

კაიუტიდან ამომავალ კიბებზე ტყვე ქალიშვილი გამოჩნდა. თავდახრილი წამოვიდა მამაკაცებისკენ. შამილ ბასაევთან შედგა.

— რაო, ლამაზო, — დაცინვით შეხედა ბასაევმა, — ისევ ჩემთან გამოგაგზავნეს? ხომ არ მოხუცდა? დახმარება ხომ არ სჭირდება ბატონ ვაჟას?

— გთხოვთ, რომ ცოტა ხანს კაიუტაში, მასთან ჩახვიდეთ. შამილმა ბოდიში მოიხადა, მაგიდიდან წამოდგა.

— გამიძეხი! — თონა წინ გაუშვა, უკან მიჰყვა.

კიბეებზე ჩავიდნენ, ქალიშვილმა კაიუტის კარი შეაღო. შევიდა, დანდობილად მიჰყვა ბასაევი და... ვერ გაიგო, რა ძალამ ააგდო ჰაერში და ძირს დასცა. გრძნობა არ დაუკარგავს, უცებ წამოიჭრა ფეხზე და პისტოლეტმაც იელვა მის ხელში. გასროლა ვერ მოასწრო. მეორე დარტყმამ იარაღი ხელიდან გააგდებინა და მუხლი მოჰკვეთა. შამილმა თვალი მოჰკრა მის მკერდთან გაელვებულ ხანჯალს. მაგრამ თავდამსხმელმა ხანჯლიანი ხელი ნელა დაუშვა ძირს. ბასაევმა თავი ასწია, უცნობს შეხედა. ბაკურ ფხოველი შუბლმეკრული შეჰყურებდა შამილ ბასაევის მკერდზე ვერცხლის ჯაჭვით დაკიდებულ ვერცხლისავე რგოლს, რომელშიც შავჩარჩოიანი პატარა სურათი ჩაესვათ. სურათიდან გაღიმებული იყურებოდა... ახმედ რამაზანოვი!

— ვინაა ეს? — ფხოველმა სურათზე ანიშნა. ხელი მოჰკიდა. წამოაყენა.

— ჩემი მასწავლებელი! — ბასაევმა ბრაზიანი მზერა ესროლა. — გულჩვილი ყოფილხარ! მე არ დაგინდობდი.

— ვიცი! შენ ეს მითხარი, თუ იცი, სად და რა ვითარებაში დაიღუპა შენი მასწავლებელი?

— თურქეთში, კლდიდან გადმოვარდა.

— გადმოვარდა? არა, შამილ! ის დაიღუპა არა თურქეთში, არამედ ეგვიპტეში. დაიღუპა მის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვისაც შენ ძმობას ეფიცები.

შამილ ბასაევს სახეზე შავმა ფერმა გადაჰკრა.

— შენ გინდა თქვა, რომ ახმედი ვილაცამ მოჰკლა? და ის ვილაც ჩემი მეგობარია?

— იყო!

— სიტყვას დამტკიცება სჭირდება. მითხარი მისი მკვლელის სახელი და თუ ეს ამბავი მართალი აღმოჩნდა, მას ნაწილებად დავჭრი.

— მე უკვე მოგვალი ახმედის მკვლეელი! — თხოველმა შამილის ზურგს უკან გაიშვირა ხელი. შეგრიალდა ბასაევი. დახედა ჭინჯოლიას გვამს. ბაკურმა პისტოლეტი აიღო. ხელში შეატრიალა, ერთ ხანს ჩაფიქრებული შეჰყურებდა შამილის გაოგნებულ სახეს, შემდეგ კი იარაღი პაგრონს გაუწოდა. იქვე მდგარ ქალიშვილს ხელი მოჰკიდა.

— ამ გოგონამ ცურვა არ იცის და ოცდაათი წუთი ნუ ატეხავ ხმაურს. გვაცადე ხმელეთზე გასვლა.

— არ გინდა! — ხელით შეაჩერა შამილმა. — ცურვა არ დაგჭირდებათ, მე გაგაცილებთ! თხოველმა საათს დახედა. ჩვიდმეტი წუთი აკლდა თორმეცს...

## VIII თავი

რა არის ტანჯვით და წამებით სიცოცხლის გამამწარებელი ბედი? რა უნდა ჩვენგან? საით მივყავართ? ეს არაფერს იცის ქვეყნად!

ვინც იცის ამის პასუხი, წყვილადს ხედავს. მარტოდმარტოა და ღმერთი ჰქვია!

ჩვენმა ცხოვრებამ და დღევანდელმა საზოგადოებრივმა წესწყობილებამ ანდერძი აუგო ცოცხალ ადამიანს, ახალგაზრდობას. ადამიანს უკვე ყველაფერი გადახდა, ყველაფერი იგრძნო, აიტანა, სცადა, გამოიტირა, გამოიგლოვა, დაჰკარგა, დაემორჩილა იმ მორჩილებით, რომელიც გულგრილობას ჰგავს, როგორც სიკვდილი — ძილს...

ეკა ბუჩუკური დაღვრემილი გაჰყურებდა გზას. შავი მანქანა სტამბულისკენ მიჰქროდა...

მაშ ბოლო ძაფიც უნდა ჩაუნწყვიტონ ეკას? არა! არა და არა! ისევ თავისიანებმა უნდა მოკლან ბაკური? არა, გენერალო! ახლა აღარაფერს დაერიდება ეკა ბუჩუკური, აღარაფრის ეშინია მას, თუნდაც ზეცა დაატყდეს თავს, თუნდაც ოკეანემ შთანთქას და წალეკოს. თუ სიკვდილი უწერია ბედის წიგნში, მხოლოდ ბაკურთან, მის გვერდით მოკვდება ეკაც. მაგრამ ჯერ „სიცოცხლე ნაფარდობს“ ისევ და სიკვდილზე ფიქრიც ნაადრევია. თქვენ ერთაშესხმული

ხართ, გენერალო, მოსკოვიდან ბოძებული სამსახურით, წარმატებით... მაგრამ ბილნია ეს წარმატება. ბილნი კი იმით არის, რომ ყალბი მსგავსება აქვს ღირსებასთან და ამით აცყუებს ხალხს. ბრბოსთვის წარმატებას იგივე აზრი აქვს, რაც ჭეშმარიტ ღირსებას. მოულოდნელი წარმატება იმდენად ემსგავსება ნიჭს, რომ ისტორიასაც კი აცყუებს. წარმატებამ ყველა დაიმორჩილა ჩვენს დროში და თვით ფილოსოფიასაც მათხოვრის განსაცემელი ჩააცვა. მოახერხე წარმატება? იშოვე ფული? — აი თეორია! წარჩინებული ბრძანდები დღეს? მაშ ღირსეულიც ბრძანებულხარ! ლატარიით მოიგე? — ღირსი ყოფილხარ! ვინც თავისას გაიტანს, სათაყვანოც ის არის. თუ ბედი გაქვს, შენია ქვეყანა. თუ ბედნიერი ხარ, შეიძლება ღმერთად შეგრაცხონ და შენ, ბედნიერო, თუ დათქმულხარ ოდესმე იმაზე, რომ არ შეიძლება განუსჯელად ყველასთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა?!

მანქანა შეაჩერა. საჭეს დაეყრდნო შუბლით. წამოსწია თავი. ცრემლჩამდგარი თვალებით გახედა ქალაქს. მის წინ სტამბული იყო გადაშლილი მთელი თავისი ელვარებით.

იქნება ცყუილად ვარჩიე ეს გზა?! იქნება ცყუილად დავეარგე დრო? მგონი, არა! ერთადერთი ვაცი ამქვეყნად, ვისაც შეუძლია ამ წუთში მისი შეველა, სწორი გზის გამონახვა მის გადასარჩენად,

მხოლოდ გიორგი აბაშიძეა. საჭიროა სწრაფი და ზუსტი ნაბიჯი ბაკურის შესაჩერებლად. ამას კი მხოლოდ ძია გიორგი შეძლებს.

სარკეში ჩაიხედა. ცრემლით დანისლული თვალები მოიწმინდა. თბილისიდან გამოსვლის ღამე დაუდგა თვალწინ...

ათი საათი იყო ღამის. აქეთ წამოსასვლელად ემზადებოდა. განსაცემელს ალაგებდა ჩანთაში. გელეფონის ბარის ხმა გაისმა. ყურმილი აიღო.

— გისმენთ!

— თბილისია?! — მოისმა რუსულად.

— დიახ! — დაიძაბა ეკა.

— ელაპარაკეთ!

— ეკა, შენა ხარ? — მუხლი მოეკვეთა. ბაკურ ფხოველის ხმას ათას ხმაში გამოარჩევდა.



ტელეფონში აშკარად ისმოდა სროლის ხმა.

— ბაკურ! ბაკურ! — მეგის ვერატორის თემა მოახერხა.

— ეკა! სასაუბროდ დიდი დრო არ მაქვს. მინდა რომ გნამდეს, გჯეროდეს, მე შენ მიყვარდი, მიყვარხარ. იცოდე, რომ იმ უკუნ გზას, რომელსაც მე ვადგავარ, შენი თვალები მინათებს. მაპატიე ყველაფრისათვის!

— აბრზე მოდი, ბაკურ! — იკვილა ეკამ. — გონს მოდი! გონს მოდი, შე გადარეულო, არანორმალურო, რას აკეთებ იცი? ხვდები? შენი მოკვლის ბრძანებაა უკვე გაცემული. გესმის? შენი მოკვლის!

— ბავშვობაში „კრაზანა“ წაგიკითხავს? — ყურმილში კვლავ ისმოდა აფეთქებების ხმა.

— რა დროს „კრაზანა“, გაგიჟდი? — ეკას ტირილი წასკდა.

— წაგიკითხავს თუ არა?

— კი!

— გახსოვს „კრაზანიდან“ ეს სიტყვები?: „ველზე დაფრინავს პეპელა მარდი, და სულ არა აქვს სიკვდილის დარდი!“

ტელეფონი გაითიშა.

ეკა ქვითინით გადაემხო საწოლს.

ცხელოდა. ზღვის სანაპირო განვლო და მალე „ბენგლი“ ყოფილი პატრონის სასახლის კიბეებთან შედგა. მანქანიდან გადმოსულმა სასახლეს შეაფლო თვალი. არსად არავინ ჩანდა. კიბეებისკენ წავიდა.

— ოო, ამას ვის ვხედავ! — მოესმა. შებრუნდა ეკა. მისკენ ფართოხუნა გრძელ ხალათში გამონცობილი გიორგი აბაშიძე მოდიოდა. ხელში მებალის გრძელი, ცოცხლის საჭრელი მაკრატელი ეჭირა.

— ოთხი თვე გელოდი! როგორც იქნა! — აბაშიძემ ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა. ჩვეულებისამებრ შუბლზე აკოცა. — რა გატირებს? — გაოცებულმა შეხედა.

— რომ არ გამჭირვებოდა, ალბათ ახლაც ვერ მოვახერხებდი ჩამოსვლას, — ეკა გაღიმებას ცდილობდა.

— მოხდა რამე? — მოიღუშა მოხუცი. — ვინ განწყენინა, მითხარი!

— ბაკური უნდა მოკლან! — უცებ, პირდაპირ თქვა ეკამ. ვედრებით შეხედა.

ეკა ბუჩუკურის განსაცვიფრებლად უცებ ხმამაღლა გადაიხარხარა გიორგი აბაშიძემ. ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩერდა ეკა.

— ოჰო! უყურე შენ! — ეკას ხელი მოხვია კვლავ. აუზის გვერდით მდგარი, გადაბურული ხისკენ წაიყვანა, სკამზე ჩამოსვა. პირდაპირ დაუტლა.

— აბა მითხარი, ვინ არის ის გაბედული, ვისაც ფხოველის მოკვლა განუზრახავს?

— საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე! — ხმადაბლა, თავჩაღუნულმა ჩაილაპარაკა.

— კი მაგრამ, მიზები?

— საქართველოს სიყვარული!

— ჰმ! — გაიღიმა აბაშიძემ. — ოთხი მილიონი ქართველიდან და უფრო მეტიდანაც, დარწმუნებული ვარ, ორ მილიონს მაინც უყვარს საქართველო, მაგრამ ამ ორი მილიონის დახოცვას ვერ შეძლებს ის. უშიშროების კომიტეტმა იცის სადაა ბაკური?

— დიახ. ქალაქ სოჭშია.

— ვინ შეგატყობინათ, სოჭის პროკურორმა ხომ არა?

ეკამ კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო. მოულოდნელობისგან შეცბა.

— საიდან იცით ეს თქვენ, ძია გიორგი?

— ხანდახან ვგებულობ, შვილო, რაღაც-რაღაცეებს, — ეშმაკურაად უციმციმებდა თვალები მოხუცს. — შემთხვევით გავიგე ისიც, რომ ამ წუთებისთვის შენც დაგეძებენ. გადაგეცილია თქვენი სამსახურის მიერ რუსეთისკენ გამავალი ყველა გზა. უშიშროების კომიტეტმა რატომღაც იფიქრა, რომ შენ ფხოველის გასაფრთხილებლად სოჭში რუსეთის

ცერიტორიიდან ჩახვიდოდი. შენ კი სრულიად საპირისპირო გზა აირჩიე. ყოჩაღ, შვილო! შენ ატობე მაგათ ჭკუით. მითხარი, ბოლომდე მენდობი მე? გჯერა ჩემი?

— რომ არ გენდობოდეთ, თქვენი არ მჯეროდეს, ამ საქმეში თქვენ არ გთხოვდით დახმარებას.

— ძალიან კარგი! — აბაშიძემ ხელში შერჩენილი მაკრატელი აუზის კიდებზე ჩამოლო. — სანამ ყველაფერს მოგიყვები, მინდა იცოდეს, რომ ბაკურს უკვე აღარ ემუქრება სასიკვდილო საფრთხე. ახლა კი, — ნელა ნამოდგა, ვისადილოთ. შენი ჩამოსვლა დავლოცოთ. დანარჩენს შემდეგ გეტყვი.

ხელი გაუყარა. კიბეებს აუყვნენ. მშობლიური სიყვარულით იყო სავსე გიორგი აბაშიძის ხმა, ყველა მისი მოქმედება და აქტი. მთელი ცხოვრება მშობლიურ სიტბოს იყო მოკლებული და პირველი დღიდანვე აბაშიძისკენ მიმართა ყოველივე, რაც კი გრძობდა და ოცნებობდა მასში. ბუნებამ, სამოცი წლის ასაკობრივმა განსხვავებამ უფსკრული გააჩინა მათ შორის, მაგრამ განგებამ ეს უფსკრული ამოავსო. განგებამ უცებ შეაერთა თავისი უძლეველი ძლიერებით ეს ორი ნიადაგიდან ამოგლეჯილი არსება, განსხვავებულნი — ასაკით, ერთგვარნი — უბედურებით. ერთმანეთს აფსებდნენ აბაშიძე და ეკა. ეკა ალღოთი ეძებდა მშობლიურ სიტბოს, გიორგი აბაშიძე კი — შვილს. შეხედნენ ერთმანეთს და იპოვეს, რაც ენატრებოდათ. ისინი უკვე სამუდამოდ იყვნენ შეერთებულნი სულით და გულით. თითქოს აკლდამის კედლებით იდგნენ ყველასგან დაშორებულნი. მოხუცი ისეთივე მარტოხელა იყო, როგორც ეკა — ობოლი. თითქოს ზეცამ ინება, რომ გიორგი აბაშიძეს მამის მაგივრობა გაეწია ეკასათვის...

და მართლაც, ის იდუმალი შეგრძნებაც, რომელიც ეკამ განიცადა მაშინ, როცა აბაშიძე გზას ულოცავდა ეგვიპტისკენ, ეს მამაშვილური ლოცვა ოცნება კი არა, სინამდვილე იყო. ჭკმარიგად განგების ნება იყო ამ კაცის მშობლიური ჩარევა ეკა ბუჩუკურის ცხოვრებაში.

გიორგი აბაშიძე წინ გაუძღვა ეკას. მესამე სართულის ბოლო კარი შეაღო. შევიდა. მიიხედ-მოიხედა. ეკაც მიჰყვა. მჭმუნვარე სახით გადაჰქონდა მზერა ერთი საგნიდან მეორეზე.

— ეს ჩემი ქალიშვილის ოთახი იყო, — ამოიხსრა, — ახლა შენია შვილო, აქ იცხოვრებ! ყველაფერი აქაა, რაც გჭირდება. აბაზანა აქვეა, — ხელით ანიშნა. — საცურაო აუზები, ზღვა შენს განკარგულებაშია. მე ძირს ჩავაღ, სადილის თადარიგს დავიჭერ. მალე ჩამოდი, — შებრუნდა.

ეკამ მკლავზე მოკიდა ხელი. შედგა მოხუცი.

— ძია გიორგი, შეიძლება მამა დაგიძახოთ? გიორგი აბაშიძეს სახე გაუბრწყინდა.

— განა კითხვა უნდა მაგას?! — თვალეში ცრემლი აუკიაფდა. შებრუნდა. აივანს გაუყვა მტკიცე, ნელი ნაბიჯით.

თვალი გააყოლა ეკამ. ზღვას გახედა. ბაღს მოავლო მზერა. მხოლოდ ახლა შენიშნა ბაღის კუთხეებში მაღალი საგუშაგოები. ჭიხურებში მეავტომატები მიმოდინდნენ. ოთახში შებრუნდა...

— მამედს დაეურეკე. ძალიან გაეხარდა შენი ჩამოსვლა, — კიბეზე შეეგება ეკას მოხუცი.  
— მალე აქ გაჩნდება.

— სოსო და ნორმანი როგორ არიან? — ეკამ სხვებიც მოიკითხა.

— სოსო კარგად. რაც შეეხება ნორმანს, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, აღარ არის ამ ქვეყნად, ჩვენს გვერდით.

გული შეეკუმშა ეკას.

— როგორ მოხდა?

— ძალიან უბრალოდ, შეიღო. ცეცხლმოდებულ სახლში შევარდა ბავშვის გადასარჩენად. ბავშვის გადმოგდება მოასწრო ფანჯრიდან, მაგრამ თვითონ... ეჰ! — ხელი ჩაიქნია. — როგორც იცყვიან, ზღვას გადაურჩა და ნვეთმა დაახრჩო. მთელი ცხოვრება ბრძოლებში ჰქონდა გატარებული. სულ უწვერული, პატარა ბიჭი იყო, როცა სახლიდან გაიპარა და ვიეგნამში ამოყო თავი. ვიეგნამელებთან ერთად იბრძოდა... შემდეგ ისრაელში, ერაყში, ავღანეთში... მთელი ეს ქვეყნები ომებით გამოიარა. აქ კი, უბრალოდ, სახლის ცეცხლმოდებულმა ჭერმა ჩააქრო მისი სიცოცხლე, — გზას გახედა. — მამედი იგვიანებს. დაველოდოთ თუ... ნამგზავრი ხარ, გშია ალბათ.

— გმადლობთ, მამა. არ მშია. გზაში ვისადილე. ჭობია დაველოდოთ.

ჩრდილში ზღვის სანაპიროზე ჩამოსხდნენ. ეკა მონუსხული მისჩერებოდა ზღვის მუქლურჯად აფერადებულ სივრცეს, მონარნარე ტალღებს.

— ეკა, მითხარი, შეილო, წინდანინ კი დიდ ბოდიშს ვიხდი ამ შეკითხვისთვის, შენ გიყვარს ბაკური?

— დიას! — ეკამ თვალი გაუსწორა. — მიყვარს!

— კარგი არჩევანია, — გულთბილად გაეღიმა მოხუცს. დაფიქრდა. — მე ვერ წარმომიდგენია ახალგაზრდა ქალი, რომელსაც არ ამოძრავებდეს ორი ძალა: სიყვარული და სარწმუნოება. როგორც სიყვარულია აუცილებელი, ასევე — სარწმუნოებაც. ერთიც და მეორეც ესაჭიროება ადამიანს. ვაი იმას, ვისაც არ ჰყვარებია და ვაი იმას, ვისაც არაფერი სწამს ქვეყნად. მიყვარს, როცა ადამიანი ნორმალურად აზროვნებს. ყოველთვის პატივს ვცემდი ამნაირ ადამიანებს, ვგმობდი სხვებს, რომელნიც ხარბად ცხებოდნენ ღრობითობით. მე უსაქმურად არასდროს მიმაჩნდა ადამიანი, რომელიც ფიქრებით იყო გატაცებული. არის შრომა ხილული და შრომა უხილავი — დაიმასხოვრე ეს! შთაჭვრეტა ხვნა არის და ფიქრი — მოქმედება. გულზე დაკრეფილი ხელი შრომობს, შეერთებული ხელი ჰქმნის. ბეცისკენ მიპყრობილ თვალსაც აქვს თავისი ქმნილება. უძრავად იყო თალესი ოთხი წლის განმავლობაში და სწორედ მან დააფუძნა თილოსოფია. ჩემი შეხედულებით, უსაქმურები არ არიან ერთად მცხოვრები ბერები და არც მუქთახორები არიან განდევნილები. აჩრდილზე ოცნება სერიოზული საქმეა.

აჩქარებულია ის, ვინც დაუფიქრებლად წამოიძახებს:

„რა საჭიროა ამდენი ბერ-მონაზვნები, ბეცას რომ შეჰყურებენ? რისი მაქნისნი არიან?!“ ვაი, რომ წყვედიადით ვართ გარემოცულნი და წყვედიადილა მოგველის!

ვაი, რომ არ ვიცით, რას გვიქადის ჩვენ მომავალი განბნევა! და აი, ამიგომ იმ დაუფიქრებლებს მე ვაძლევ პასუხს:

იქნებ არ იყოს არავითარი შრომა ისე წმინდა, როგორც წმინდაა ამ მლოცველთ ღვთა?! იქნებ არ იყოს ასე სასარგებლო სხვა შრომა?! უნდა იყვნენ ყოველთვის მლოცავნი მათთვის, ვინც არასდროს ლოცულობს.

ჩაჩუქდა გიორგი აბაშიძე. თვითონაც თვალი მიაპყრო ბეცას.

— სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, მამა, — ეკა კვლავ ზღვას გაჰყურებდა. — მე კი ვლოცულობ და ფანატიკოს მორწმუნედაც მიმაჩნია ჩემი თავი, მაგრამ მონაზვნად ვერასდროს აღვიკვეცებოდი, ისევე, როგორც ბერად ვერ შევდგებოდი, მამაკაცი რომ ვიყო.

დაფიქრებულმა შეხედა მოხუცმა.

— მესმის შენი. შენ იმ თაობის წარმომადგენელი ხარ, რომლის სიცოცხლის იდეალად ღვინო და დროსტარება გამხდარა და სწრაფმავალი სიამოვნების გარდა არაფერი აგონდება. მე კი პატივისცემის ღირსად მიმაჩნია ყველა, ვინც განდევნილობას ირჩევს. მონასტერი თვითგანდგომაა, შეილო, თავგანწირულებაა. ვალდებულებად რომ გაიხდის ადამიანი საშინელ შეცდომილებას, ამასაც თავისი სილიადე ახლავს თან. ყოველმხრივ რომ გავსინჯოთ მონასტერი და გამოვარკვიოთ მისი ღირსება და ნაკლოვანება, უნდა ვალიაროთ, რომ მონასტერი, უფრო კი ქალების მონასტერი (რადგან ქვეყნად მამაკაცზე მეტად ქალია განჯული), ცხოვრების უკეთურობისაგან გაქცეულთა თავშესაფარი, წარმოდგენს ერთგვარ პროტესტს. და ქალების მონასტერი ამ მხრივ უფრო დიდებულია, ვიდრე მამაკაცების.

ეს კარჩავეცილი არსებობა — ასე მკაცრი და სევდიანი — სიცოცხლე არ არის. არ არის სიცოცხლე, იმიტომ, რომ თვისუფლება არ არის. არც სიკვდილია, რადგან არ არის სრული განსვენება. ეს არის რაღაც უცნაური ადგილი, საიდანაც კარგად ჩანს, როგორც მაღალი მთის ქედიდან, ერთი მხრივ უფსკრული, რომელშიც ადამიანი იმყოფება და მეორე მხრივ უფსკრული, რომელიც ადამიანს ელოდება. ერთი მაღალი, ვიწრო ქედია ამ უფსკრულების შუაზღვარი, მოღრუბლული ქედი, სააქაოს და საიქიოს შუა აღმართული. თავისებურად აწვდის სინათლეს და წყვილადს ამ საზღვარს ერთი და მეორეც. მიხრწნილი სხივი სიცოცხლისა უერთდება ბნელ სხივს სიკვდილსას. ეს არის მკრთალი ჩრდილი სამარისა.

მე არ მწამს ის და ისე, როგორც და რაც სწამთ ამ ბერებს და მონაზვნებს, მაგრამ მათნაირად ვცხოვრობ სარწმუნოებით. და ყოველთვის წმინდა, გვბილი შიშით და შურიანი შებრალებით ვუყურებ ამ თავგანწირულ ადამიანებს, რომლებიც თრთიან და მაინც სწამთ. ამ თავმდაბალ დიდებულთ, რომლებიც ბედავენ ცხოვრებას საიდუმლოების უფსკრულის პირზე, და მათ მიერ უარყოფილი სააქოდან განდევნილნი გვბილი იმედით შესცქერიან სასუფეველის მომნიჭებელ ზეცას. შესცქერიან სინათლეს, რომელსაც ვერ ხედავენ. ბედნიერნი არიან გვბილი რწმენით, რომ იციან, სად არის ეს სინათლე და გულით ნაცრობენ უფსკრულს და მიუწვდომელს. გამტყრებით შესცქერიან უძრავ წყვილადს მუხლმოყრილნი, გონმიბნედილნი, ათრთოლებულნი, ამაღლებულნი მარადისობის ძლიერი ქროლვით.

შსახური მოუახლოვდათ. მოწინებით დახარა თავი.

— ბატონო გიორგი, ბატონი მამედ თანდილ-ოღლი მობრძანდა.

— მოვდივართ! — მძიმედ წამოიწია აბაშიძე. ყველაფერი მზადაა?

— დიდი ხანია.

— წავიდეთ, ეკა! — ხელი მოხვია. სასახლისკენ გაემართნენ.

უკვე ბინდდებოდა, როცა მამედი და მისი მეუღლე მასპინძელს გამოეთხოვნენ. მამედმა მეუღლე საჭესთან დასვა, თვითონ, საკმაოდ შეზარხოშებული, გვერდით მიუჯდა. მანქანა ნელი სვლით მიეფარა თვალს.

ბნელოდა. აივანზე ისხდნენ. ეკა ყავას სვამდა და ჩათვიქრებული, მოლოდინით აღსავსე თვალებით შეჰყურებდა მოხუცს.

— დიას! ბაკურ ფხოველის თხოვნით, გივი მინდელმა შემოიკრიბა, შეარჩია თავისი ხალხიდან სულ ათი კაცი, — ხმადაბლა ყვებოდა აბაშიძე. — ეს არის, შვილო, პატარა, მაგრამ თავგებულად აღებულია ჯგუფი, რომელიც საკმაო თავსაგებს უჩენს აფხაზურ მხარეს. თუმცა ამაზე შემდეგ... ჩემთვის ცნობილი გახდა ბაკურის ჩანათვიქრი, — გაელიმა. — ესეც, რა თქმა უნდა, შემთხვევით. შეიძლება არ გჯერა შენ, არც თქვენი კომიტეტის თავმჯდომარეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ფხოველი და მინდელი შესძლებდნენ აეროდრომის პარალიზებას. დიას! ისინი გააკეთებდნენ ამას! მაგრამ შემდეგ? რა იქნებოდა შემდეგ? ამის გათვიქრებაც კი მაკრთობს... მე ყველაფერი ვიღონე მათ შესაჩერებლად. დავარწმუნე გივიც და ბაკურიც, რომ ეს იქნებოდა მართალია ღირსეული, მაგრამ გაუმართლებელი ნაბიჯი.

— თქვენ შეხვდით ბაკურს? — მორიდებით შეაწყვეტინა. გიორგი აბაშიძემ ღიმილით შეავლო თვალი ქალიშვილს.

— კი, შვილო! სრულიად შემთხვევით გადავეყარე მას ქალაქ სოჭში. შეხვდით, ვისაუბრეთ. ისინი მიხვდნენ, თუ რაოდენ უპერსპექტივო იყო მათი განზრახვა. დამიჯერეს მე, მოხუცებულს და ვერ წარმოიდგენ, როგორი მადლიერი ვარ მათი. მიხვდნენ, რომ ამ ომის მოგება შეუძლებელია. უარი თქვეს აეროდრომზე თავდასხმაზე, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— გადავიდნენ პარტიზანულ ომზე. ამ წუთებისთვის ეს პატარა ჯგუფი სოხუმთან იბრძვის. როგორც გუშინ შევიცყე, უკვე სამჯერ დაუგეს ხაფანგი რუსულმა დაჯგუფებებმა ბაკურს და მის ჯგუფს, მაგრამ ფხოველს სამჯერვე პირდაღებული დაუტოვებია რუსი გენერლები. იმის

მაგივრად, რომ გარემოცვიდან გასვლა ეცადა, ბრძოლა მიუღია, ამოუხოცია თავდამსხმელთა ჭგუფები და სამჯერვე უმსხვერპლოდ გასულა ტყეში.

შეისვენა ბატონმა გიორგიმ. წყალი მოსვა.

— და კიდევ ერთი მინდა გითხრა. ამას წინათ შემაგყობინეს, რომ ოცდაერთ სექტემბერს, ღამის სამ საათზე, არაბეთის სანაპიროებისკენ კურსს აიღებდა ერთი პატარა გემი, რომელზეც უკვე იმყოფებოდა თხუთმეტი ულამაზესი ქართველი გოგონა. ხვდები, ალბათ, საით აპირებდნენ მათ

წაყვანას. ვაჟა ჭინჭოლიამ მაინც ვერ ისწავლა ჭკუა. კუზიანს ხომ მხოლოდ სამარე ასწორებს, — გაჩუქდა. სიბნელეს გახედა.

— და თქვენ ვერათფერი იღონეთ მათ საშველად? — ხმა აუთრთოლდა ეკას.

— ჩემი შველა აღარ იყო საჭირო, — ცივად გაიღიმა აბაშიძემ. — ჩვიდმეტ სექტემბერს, საღამოს, ახალ ათონთან, საკუთარ იახტაზე მოკლეს ვაჟა ჭინჭოლია. ახლა კი მოსვენების დროა, შვილო, — ფეხზე წამოდგა. — დავისვენოთ დღეს და ხვალ. ზეგ მძიმე დღე გველის.

— რა ამბავია ზეგ? — კითხვით შეაჩრდა ეკა.

— მინდოდა შენთვის ეს სიურპრიზი ყოფილიყო, მაგრამ არა! სჯობს ახლავე იცოდე, — კეთილი ღიმილი დაეფინა მის სახეს. — ზეგ საღამოს ბაკურ ფხოველი და გივი მინდელი აქ იქნებიან!

— მიყვარხართ! მიყვარხართ! — ეკა კისერზე ჩამოეკიდა მოხუცს.

— წადი, დაიძინე! — თავზე გადაუსვა ხელი, — უკვე გვიანია.

— ამ წუთში დავიძინებ, მხოლოდ ერთი შეკითხვა თუ შეიძლება?

— გისმენ! — შემობრუნდა.

— ვინ მოკლა ვაჟა ჭინჭოლია?

— არ ვიცი! — კიბისკენ შებრუნდა. ხმადაბლა დაამატა. — ისე კი, როგორც მითხრეს, ჭინჭოლიას თურმე შუბლზე მიხატული ჰქონია... შავი ეშმა! — დაეშვა კიბეებზე. ეკამ ღრმად,



მშვიდად ამოისუნთქა. ნელა ჩაეშვა რბილ სავარძელში. სიგარეტს მისწვდა. უკუნს გახედა..

## IX თავი

ნისლის საბურავია სიყვარული... წარმავალი კვამლია სადღეგრძელოები...

კვლავ რესტორანში ისხდნენ. რესტორანში, სადაც პირველად ნახეს ერთმანეთი. „ეგვიპტეში“ სინყნარე სუფევდა. მათ გვერდით აღარ იყვნენ მარიკა, თემურ კორძია, ბესიკ ბუჩუკური. გივი მინდელს, გიორგი აბაშიძესა და მამედს შეეცვალათ ისინი. რესტორნის შემოსასვლელში, პოლიციელებთან ერთად, აბაშიძის დაცვა იდგა. რვა საათი იყო საღამოს.

ბაკურ თხოველი ეკას პირდაპირ იჭდა. თეთშს დასჩერებოდა და ღუძდა. ყველა სვამდა მის გარდა. აბაშიძემაც გული გახსნა. გივისთან ალავერდს ალავერდზე გადადიოდა. ეკას უკვე მოებრდა ჭდომა, ერთი სული ჰქონდა, როდის განმარტოვდებოდა ბაკურთან, რომელიც საოცრად შეცვლილი ეჩვენა. გადაღლილი სახე, ამოღამებული თვალები, რომელშიც უსაშვლო ბოღმა ჩაჰგუბებოდა თხოველს. ამ ერთი თვის მანძილზე თითქოს ჭაღარა მოძალეობდა.

— ბაკურ, არ გეპატიება, შვილო, ჩვენ ვსვამთ, შენ — არა!

— დღეს მაპატიეთ, ბატონო გიორგი, არ ვარ განწყობილი, — თავი ასწია. ყველას მოავლო მზერა. ეკაზე შეაჩერა წუთით. უცებ გაუქრა სახიდან დარდის კვალი, გაიღიმა, სასმისი აიღო. — ვიცი, სწორად გამიგებთ, იმიტომ, რომ ამას თქვენთან ვამბობ და არა სხვასთან. ამ წუთში ჩემი თავი მძულს, ბიჭები იქ სისხლად იცლებიან, მე კი... მე კი მაინც ვერ ვძლიე თავს და იმ გრძნობას, რომელსაც სიყვარული ჰქვია. მაპატიეთ ჩემი გრძნობების ასე ხმამაღლა გამოვლინება, მაგრამ სიკვდილის პირისპირ მდგარს ყველაფერი ეპატიება ალბათ. ჩვენი აქ გამომგზავრება დაემთხვა იმ დროს, როცა ხალხი უნდა შეგვესვენებინა. გადაიღალნენ უკვე ბიჭები. დღეს ხუთშაბათია. კვირა დილით ისევ განვაგრძობთ საქმეს. თქვენზე ახლობელი დღეს, დედის გარდა, თითქმის აღარავინ მყავს. დაგლოცავთ! დაგლოცავთ! დავლოცავ იმ ხალხს, იმ გულანთებულ ქართველ ბიჭებს, ვინც იცის, დამარცხებულია უკვე, მაგრამ მაინც მგლის ლეკვებივით კბილებით მიიწევენ მტრისკენ... მერწმუნეთ, მე არ ვარ დამარცხებული არმიის ჯარისკაცი, — კვლავ ნაღველი მოეძალა თხოველის თვალებს, — მე დამარცხებული პოლიტიკის მსხვერპლი ვარ... შეგიძლიათ გიჟად ჩამთვალათ, მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რომ დამარცხებული მქვია. რატომ?! იმიტომ, რომ რაკი დამარცხებული ვარ, გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლო. გავა თვეები, წლები... შეიძლება ჩვენ აღარ ვიყოთ ამ ცოდვა-ბრალით სავსე

ქვეყანაზე, მაგრამ მოვა დრო და თსოუდან კობახიომდე, და კობახიოდან ბოთანას ყელამდე ისევ ქართველების იქნება დღეს დაკარგული ქართველთა მინები.

აბაშიძემ, ეკამ და გივი მინდელმა ერთმანეთს შეხედეს. მამედი ჩუმად იჯდა.

— ეგ რა, ახალი საზღვრებია საქართველოსი? — გაეცინა ეკას.

— სასაცილო ვთქვი რამე?! — მოქუთრულმა გამოხედა ბაკურმა.

— სანყენად არ მითქვამს, — მუდარით შეხედა ეკამ. — უბრალოდ, არ ვიცი, სადაა ეგ კობახიო და ბოთანა.

— რა?

კობახიო და ბოთანა არ ვიცი-მეთქი სადაა!

ბაკურ თხოველმა სასმისი ისე დადგა, ხელი არ გაუშვია, თვალები დახუჭა. უსიცივოდ მისჩერებოდა ყველა. გამოთხიზლდა. გულიანად გადაიხარხარა უცებ.

— ბატონო გიორგი! მამედ! გივი! ისევ და ისევ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ეკა მართალია. მე ცოცხალი არ იყოს გადაღლილი ვარ და საკუთარ თავს ალბათ უკვე ვეღარ ვუწევ კონტროლს. — ეკას გახედა. — იცი ეკა? ათასცხრაასიანი წლების დასაწყისში ვაჟა-ფშაველამ შეუძლებელი შეძლო. მწირი, ხრიოკი ადგილებიდან მთის მაცხოვრებლები შირაქის ხვაიან, ბარაქიან მიდამოებში ჩაასახლა... არსებობს ამნაირი სოფელი, ქვემო ქედი ჰქვია. ფშაველები ცხოვრობენ იქ. შიგადაშიგ ბერძნებიც... საკმაოდ დიდი სოფელია. უბნებადაა დაყოფილი და ბოლო უბანს კობახიო ჰქვია... მის იქით უკვე აზერბაიჯანია. ერთი კარგი ძმა ცხოვრობს ამ სოფელში. ყორიანულია გვარად. კარგი მონადირეა და კარგი პურისმჭამელი. რა ვქნა, მიყვარს ამნაირი ხალხი... ჰოდა, თქვენ რომ გავაოცათ, ეს იმ ყორიანულის ნათქვამი სადღეგრძელოა. რაც შეეხება ბოთანას, ეს ფშავის მთების ბოლო წერტილია, მის გადაღმა ჩეჩენ-ინგუშთა ტერიტორიაა. მიმიხვდით ახლა?

— იმერეთი არ მიუყოლებია შიგ? — სერიოზულად იკითხა გივიმ.

— მგონი არა! რაღაც არ მახსოვს.

— ე ბიჭო, დავლუპულვართ და ეგაა. თუ კაცი ხარ, შემახვედრე იმ ყორიანულს, ვთხოვ, იქნება შეიგანოს იმერეთიც საქართველოს ფარგლებში...

იცინოდნენ... გიორგი აბაშიძე ჩაფიქრებული შეჰყურებდა ახალგაზრდებს. გივი მინდელი წამოდგა. უნდოდა ეთქვა რაღაც. ხელით შეაჩერა აბაშიძემ. ბოდიში მოუხადა. ფხოველს შუბრუნდა.

— ბაკურ, შენთვის ჩვენ ყველაზე ახლობლები ვართ, ხომ ასეა?

— დიას! — თვალი გაუსწორა.

— თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს გადაბმულნი ვართ საქმეებით, ურთიერთპატივისცემით და სიყვარულით. ამდენად, საიდუმლოც ერთმანეთთან არაფერი გვაქვს. ჭინჭოლიას იახტაზე შენ შამილ ბასაევს გადაეყარე. რატომ წავიდა ბასაევი ცოცხალი?

— იმიტომ, რომ ვიცანი ის ტიპი! — ხმადაბლა თქვა ფხოველმა. — მე მისი ცოცხლად დატოვებით პატივი ვეცი ჩემი მეგობრის ხსოვნას, ვინც ჩემთვის გასწირა თავი. შვიდი წლის უკან გროზნოში ვიყავი ჩასული ახმედთან. მასთან ვისხედით სამსახურში. შალისის აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა იმ დროს. დღის მეორე ნახევარში გამოვედით. მანქანაში ჩავსხედით. გაცილდა ახმედი ქალაქს. მთებისკენ წავედით.

— საით მივდივართ? — ვკითხე.

— სანჯრთნელ ბაზაში! — მომიგო.

— რის სანჯრთნელ ბაზაში?

ახმედმა სიჩქარეს უკლო. არაფერი უთქვამს. კარგა ხანს ჩაჩუმებულებმა ვიარეთ. სადღაც მაღალი გორაკის ქიმზე შეაჩერა. გადავედით მანქანიდან. ძირს ვეებერთელა მინდორი იყო გაშლილი, გარშემო მთებით შემოთარგლული. ოცდაათი კარავი დავთვალე მინდორზე. ბუბებივით ირეოდნენ ადამიანები. უსაქმურად კი არა — გახურებული წვრთნა მიდიოდა. ისმოდა ხმამაღალი შეძახილები ხელჩართული ბრძოლის მასწავლებლების, პისტოლეტების ხმა, კაკანებდნენ ავტომატები. შევნიშნე, რომ არც ერთი მათგანი არ ჰგავდა ჯარისკაცს. ახმედს გავხედე. დაფიქრებული, გულხელდაკრეფილი დაჰყურებდა ბანაკს.

— ვინაა ეს ხალხი?

— უკანასკნელი არამზადები, ძმაო! — მომიახლოვდა, ჩემს წინ შედგა. თავი დახარა. — სამი თვის უკან გამომიძახეს. დამავალეს ამ ბანაკის მონყოლა და ხალხის მომზადება.

— კი მაგრამ, რისთვის ჭირდებათ?

— ეშმაკმა იცის! ვიცი მხოლოდ ის, რომ როგორც დაქირავებული მეომრები, რომელიღაც ქვეყანაში უნდა წავიდნენ. სად, ზუსტად არ ვიცი...

ჩავედით. ახმედმა საქმეები მოანესრიგა და მანქანისკენ წამოვიდა. მე არ გადავსულვარ. მანქანასთან იყო უკვე მოსული, რომ შეჩერდა. ვიღაც მოიხმო ხელით. სუსტი ტანის, ახალგაზრდა კაცი წამოვიდა მისკენ. წვერი მოშვებული ჰქონდა, თავი გადაპარსული. მონინებით მიესალმა ჩემს მეგობარს. ღიმილით შეჰყურებდა ახმედი.

— როგორ არის საქმე? — ჰალსტუხი მოიფონა.

— უმაღლეს დონეზე ვარ დაუფლებული ყველაფერს, — გაიღიმა წვერიანმა.

— თავი დაიცავი! — უცებ შეჰყვირა ახმედმა და მსუბუქად გაარტყა ყბაში. წვერიანი არ დაცემულა, ოდნავ ჩაიჩოქა მუხლზე და იმავე წამს თავდამსხმელს საპასუხო დარტყმა აგემა. ეს იყო მისი ბოლო ხელის გაქნევა. გულწასული გადაესვენა გარშემომდგარი ამხანაგების მკლავებზე. ახმედი მივიდა. ლოყაზე ხელი გაულანუნა, მოაგონა.

— შენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლო! იცოდე, ყველას ყველაფერს ვაპატიებ, შენ კი არაფერს, იმიტომ, რომ მინდა იცოცხლო!

შემობრუნდა. წვერიანს გაუხედე. ცხვირიდან სისხლს იწმენდა. საოცარი სითბო და სიყვარული ჩანდა მის თვალებში, მის მხერაში, რომელიც ახმედისკენ იყო მიპყრობილი.

— ყოფილი ავღანელია ეგეც, — მითხრა მეგობარმა, როცა ბანაკს გამოვცილდით. — მაგ დანარჩენებს ისევე ეგ ჯობია, კიდევ არის მაგაში რაღაც კაცური. რაკი ცხოვრებაში სხვა გზა ვერ მონახა, რაკი ომი ირჩია ცხოვრების წყაროდ, მინდა პროფესიონალი გავხადო.

ბაკურ თხოველმა სასმისი აიღო. ოდნავ მოსვა. სიგარეტს მოუკიდა.

— მე მისი არც სახელი მიკითხავს და არც გვარი. არ მაინტერესებდა. ახლა გავიგე. თურმე შამილ ბასაევი ყოფილა. ნაპირზე ერთმანეთს რომ ვცილდებოდით, მე მოვავიწყე მას ეს შემთხვევა, და გავატრთხილე, რომ ჩვენი მეორე შეხვედრა უკვე ერთ-ერთისთვის საბედისწერო აღმოჩნდება. მე მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი, ბატონო გიორგი. აი, ამიტომ წავიდა შამილ ბასაევი ცოცხალი...

დუმიდა ყველა. ყველა გიორგი აბაშიძესგან ელოდა პირველ სიტყვას...

— მიუხედავად იმისა, რომ ბასაყვი დღეს საქართველოს ნომერ პირველი მგერია, მომწონს შენი საქციელი, შვილო! მგერთანაც რაინდი უნდა იყო, — არ დააყოვნა მოხუცმა. — გივი რალაცის თქმა გინდოდა და მე შევიშალე.

— ბატონო გიორგი! — მინდელმა წარბები შეიჭმუნა, — ხუთი საათია აქ ვზივართ და მთელი ეს დრო ერთი აზრი მიტრიალებს თავში. პარასკევი და შაბათი შუალედი გვაქვს. მოდით, მიათურთხოთ ყოველგვარ ცუდს და პატარა ქორწილი გავჭიმოთ აქ.

— ქორწილი? — აბაშიძემ აღებული ჩანგალი ისევ დადო. დაფიქრდა. — არაა ქორწილი გლახა საქმე, მაგრამ ვისი ქორწილი გვაქვს მხედველობაში?

— ბაკურ ფხოველის და ეკა ბუჩუკურის! — მოკლედ მოჭრა გივი მინდელმა. — მეჯვარე აგერ ვარ მე. ლოცვა-კურთხევა თქვენგან და განა მეტი გვინდა კიდევ რაიმე?! ბატონო მამედ, გთხოვთ მხარი დამიჭიროთ.

მამედი ფეხზე წამოდგა. გივისთან მივიდა. გადაეხვია. სახეგაბრწყინებული შემობრუნდა.

— ბატონო გიორგი, გივის თხოვნა ჩემი თხოვნაცაა, გაიცინა. — ჩვენი მეგობრისთვის გთხოვთ თქვენი შვილობილის ხელს.

ათასობით ჭინკა დახტოდა აბაშიძის თვალებში. ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა მოხუცს.

— ნუ იჩქარებთ, ბატონო გივი! თქვენც, ბატონო მამედ, მეტი სერიოზულობა გმართებთ! ბოლოს და ბოლოს დაბვერვის ოფიცერი ხართ! — ეკა დამცინავად მიაჩერდა მინდელს და თანდილ-ლელის. — არ ვიცი, რა შემაგყეთ იმნაირი, რომ იფიქრეთ, პირველი დაძახებისთანავე ეკა ბუჩუკური ფხოველის მეუღლე შეიქმნებათ! მე არასდროს გავხდები იმ კაცის თანამეცხედრე, ვინც ყოველ წუთს სასიკვდილო საფრთხის წინაშე დგას და მხოლოდ ეშმაკმა უწყის, სად გააგორებენ. ეს მინდა?! არა, ბატონებო! მე არ ვარ ის ქალი, ვინც ცხრა ძმა ხერხეულიძის სადღეგრძელოს ფიალით შესვამს, არც ის, ვინც მუხლზე დადგება თამარ მეფის მოგონებისას და სასოებით გადაინერს პირჯვარს... არა! დღევანდელი ახალგაზრდობის გიპიური წარმომადგენელი ვარ და მეტი არაფერი. მე ცხოვრება, სიცოცხლე, მხიარულება მინდა, გესმით?! შორს ჩემგან ომი და სიკვდილი! აქეთ წამოსვლის წინ დავინიშნე... მივყვები ორკესტრის დირიჟორს! ო! ღმერთო! ადამიანს გაუღიმებ და მაშინვე ცოლობას გთხოვს!

ლოგინს შემოგთავაზებს! რა ღონეა! ოხ, ეს დანყვევლილი აზია! ბატონო გივი! თქვენი მეგობრის გასაბედნიერებლად რა საჭირო იყო თურქეთში ჩამობრძანება?! თქვენს ღირსეულ პერსონას განა ეკადრება ეს შეცდომა? განა სოჭში ნაკლები ქალიშვილებია? მოგენახათ იქ ვინმე! თუნდაც ის გოგონა, სოჭის სილამაზის კონკურსზე გამარჯვებული. რა ჰქვია? რატომ ღუძხართ? ახ, დაგავინყდათ მისი სახელი? ნუ წრიალებთ! მოითმინეთ, ისევ მე ვაფიქსივებ... ალინა? დიახ! ალინა ბელოვა... ის ხომ ყოველგვარი ღირსებით შემკულია. რატომ არ მიმართეთ მას ამ წინადადებით? არა მგონია, უარი ეთქვა. ქორწილის მეჯვარე თქვენ იქნებოდით, გივი ბატონო. გნახავდათ მამამისი, ბატონი ბელოვი და... თქვენ და თქვენს ხალხსაც გზა ხსნილი გექნებოდათ... აქედან რომ დაბრუნდებით, გაითვალისწინეთ ეს...

ეკამ ფეხი ფეხზე გადაიღო... უღარდელად ააკაკუნა თითები მაგიდაზე.

— და კიდევ ერთი, ბატონო გივი! ჰკითხეთ თქვენს მეგობარს, როცა რესტორან „თოლიაში“ ალინასთვის იქნევდა ხელეხს, ახსოვდა საერთოდ ეკა ბუჩუკური?!

გაქვავებული იჯდა გიორგი აბაშიძე. მამედს ჩამქრალი სივარეტი ედო ტუჩებში და ამაოდ ცდილობდა მის გაღვივებას. მაგიდის ერთ წერტილს დაჩერებოდა გივი.

ბაკური მძიმედ წამოდგა. სკამის საბურგებზე დადებული ქურთუკი აიღო. ჩაიცვა.

— გივი, ჩვენი წასვლის დროა!

— თქვენ კვირამდე თავისუფლები ხართ, — სინანულით შეავლო თვალი აბაშიძემ. — დარჩით ეს ორი დღე ჩემთან.

ფხოველმა სასმისი აიღო. ხელი უთრთოდა...

— მადლობელი ვარ, ბატონო გიორგი, ყველაფერისთვის. ჩვენი, პირადად ჩემი წასვლა ჭობს, და რაც მალე წავალ, უკეთესია. ნუ მეცყვით ნურათფერს... არათფერი აღარაა საჭირო... დიდი ხანია, მიჩვეული ვარ იმედების გაცრუებას...

კარებისკენ გაემართა. გივი მინდელიც ფეხზე წამოდგა. გიორგი აბაშიძემ ბრაზით გახედა ეკას... სათვალე მოირგო... ყურადღებით დააცქერდა... ეკა ბუჩუკური იჯდა, ეშმაკურად ილიმებოდა და ფხოველს გაჰყურებდა. უცებ წამოხტა ფეხზე. კარებთან მისულს წამოეწია. წინ დაუდგა.

— საით აპირებს თქვენი აღმატებულება წაბრძანებას?

— ყოველ შემთხვევაში, ორკესტრის დირიჟორის მოსაკლავად არა! ეკას გულიანად გაეცინა.

— ჩემო სულელო! შენ ხომ მითხარი, რომ „ველზე დაფრინავს პეპელა მარდი, და სულ არა აქვს სიკვდილის დარდი!“ მაგრამ ამ მარდ პეპელას ვერ შეუნიშნავს ველის ბოლოზე მეორე პეპელა, რომელიც სულ იმას ფიქრობს, როგორ გააბრაზოს „მარდი“ პეპელა.

გაეშალა ფხოველს შეკრული წარბები. თვითონაც გაეცინა... ხელი მოხვია. მაგიდისკენ შემობრუნდნენ...

— უჰ! — მშვიდად ამოისუნთქა მინდელმა. აბაშიძემ პირველი გადაინერა. მამედმა მხოლოდ ახლა იპოვა სანთებელა და ისე ღრმად მოქაჩა, ხველა აუვარდა. დაბნეული მამაკაცების შემყურე ეკას ეცინებოდა.

— ბატონო გივი, იცით? კარგა ხანია ეს ვაჟბატონი არ გამიბრაზებია. ძალიან მიყვარს მისი მოლუშული სახის ცქერა. თქვენ არაფერი გენყინოთ, ძალიან გთხოვთ.

— თქვენი სახით შავმა სამყარომ ბრწყინვალე წარმომადგენელი დაკარგა! — ბრძნული სიმშვიდით თქვა გივი მინდელმა. უცებ წამონითლდა. — მაშაგიეთ, რაღაც სისულელე ვთქვი!

— არაფერია, — ისევ იცინოდა ეკა. — დღეს თითოეულმა ჩვენგანმა რაღაც სისულელე ვთქვით. ყველას გვეუბრებიან...

— ქარიშხალმა გადაიარა. დიდმა ქარიშხალმა კარგი ამინდი იცის! — აბაშიძემ სათვალე მოიხსნა, განმინდა. — ჩვენ მგონი ორი ახალგაზრდის ერთმანეთთან შეკავშირებაზე გვექონდა საუბარი, ეგრეთ წოდებულ ქორწილზე, ასე არ არის?

— ღიახ! — გაიღიმა გივიმ. — ინიციატივა ჩემი იყო, ახლა კი თქვენ განაგრძეთ და დააბოლოეთ, რადგანაც ჩემს სიტყვებს აგრესიულად ხვდებიან.

— ბაკურ, ეკა, შვილებო, რას ფიქრობთ?

— განა ახლა ქორწილის დროა? — ბაკურმა და ეკამ ერთმანეთს შეხედეს.

— დროს და უდროობას ადამიანები ვქმნით! — მოხუცს სიბრაზე დაეცყო. — დრო ჩვენ

უნდა გამოენახოთ.

ფხოველმა მხრები აიჩეხა.

— კი ბატონო! ეკა, შენ რას იტყვი?

— მე იმას ვიტყვი, რომ ეგ ქურთუკი გაიხადე, დაინვები...

— ოდესმე გნახავ სერიოზულს?! — კვლავ გული მოუვიდა ფხოველს. გაიხადა.

— სერიოზულს მხოლოდ მკვდარს მიხილაუ! ეკამ პერანგის საყელო გაუსწორა. — მამა, თქვენ იცით, რომ მიყვარს, განა კიდევაა რაიმეს თქმა საჭირო?

— ბატონებო, — მამედმა ხელი ასწია. — ყველამ როლები გაინანილეთ, ზოგი მეფე ხართ, ზოგი დედოფალი, მეჭვარე, მამობილი... მე? მე რაღა?

— ხვალ საღამოს 6 საათისთვის მობრძანდებით ოჯახში ჩემთან, მამედ ჩემო! ჩემთან, სადაც თავმოყრილი იქნება სტამბულელი და ანკარელი ქართველობა. მინდა, ჩემი შვილობილის გაბედნიერება დავლოცოთ. თქვენი როლი გაინგერესებდათ? იქნებით თამადა სუფრის და წინდანინ გილოცავთ ამ როლს!

— ოო! გმადლობთ! — გაიხადრა თანდილ-ოლლი.

— ახლა კი, — ფეხზე წამოდგა აბაშიძე, — ჩემო შვილებო! თქვენი ნებართვით გივის და მამედს წავიყვან. ჩვენი წასვლის დროა. თქვენ დარჩით, ისაუბრეთ... როცა გინდათ, მაშინ წამოდით. მანქანა და მძღოლი დაგელოდებათ. ჩემი ბიჭებიც აქვე იქნებიან.

— დაცვას გვიტოვებთ? — იკითხა ეკამ.

— კი, შვილო!

— ძალიან გთხოვთ, მამა, ნუ შეწუხდება ეგ ხალხი. მე დამცველი აქ მყავს, მეტი არ მინდა. ბაკურს კი დაცვა არ სჭირდება.

— მართალი ხარ! — გაიღიმა მოხუცმა. — მანქანა, როგორც გითხარით, დაგელოდებათ. წავიდეთ! კარებისკენ გაემართნენ...

წისლის საბურველია სიყვარული... წარმავალი კვამლია სადღეგრძელოები...



— ბაკურ, რას ფიქრობ?

— გახსენებას ვცდილობ, დამავინყდა, სიყვარული ავიხსენი?

— მე გაგახსენებ! დიას, ამიხსენი. მე კი ორივე ხელი გტაცე და ხვალ ამ დროს უკვე უღელიც გექნება კისერზე დადგმული. რამდენიც გინდა იხტუნო, ამ უღლიდან მამა-ღმერთიც ველარ გამოვიხსნის! — თავი მიაყრდნო მხარზე, თვალები დაენისლა. — მეშინია ჩემი ბედნიერების, ბაკურ! — ჩაიჩურჩულა. — ადამიანები ხომ ბედნიერებად და უბედურებად იბადებიან. მე უკანასკნელთა რიგებს მივეკუთვნებოდი ბავშვობის წლებიდან. მაშინებს ჩემი მოულოდნელი ბედნიერება. ასე მგონია, ღმერთიც და ეშმაკიც ჩემკენ იშვერენ ხელს და ხარხარებენ, — თავი ასწია, თვალებში მიაჩერდა. — ხვალ

ჩვენი ბედნიერების დღეა. დღეს კი ერთი სათხოვარი მაქვს და უარს ნუ მეტყვი. მითუმეტეს, რომ ეს უკვე გთხოვე ოდესღაც...

— ვიცი, რაც გინდა! სიამოვნებით ეკა! — ბაკურ ფხოველმა სკამის საზურგეს მიაყრდნო თავი. თვალები დახუჭა. — ეს იყო 15 წლის უკან...

## X თავი

1978 წელი. ღელავს ბარენცის ზღვა. კალგუევის კუნძულის ჩრდილოეთით რა არის ეს? ზღვას უკიდია ცეცხლი? კი, დაუჯერებელია, მაგრამ ასეა! იქვე სამხედრო გემია გაჩერებული. ისმის ბრძანება:

— მაგროსებო! სანაპიროზე მგერია გამაგრებული. გემი ნაპირთან ვერ მივა. ოც წუთში უნდა ავიღოთ მონინააღმდგვის პოზიციები. წინ, მედესანტებო!

იარაღმომარჯვებული მეზღვაურები გემიდან ხტებიან პირდაპირ ცეცხლში და წყალში. ხმელეთზე ადმირალის ჯგუფი დგას. ყურადღებით უცქერენ საზღვაო მედესანტეთა ვარჯიშს. აი, პირველმა მეზღვაურმა გამოარღვია ცეცხლის რკალი და წყლის ტალღები. ავტომატშემართული ამოიჭრა ხმელეთზე. მიიხედ-მოიხედა. შენიშნა მაღალი რანგის ოფიცრები. შედგა.

— ამხანაგო მაგროსო, აქეთ! — დაიძახა ადმირალმა. — გვარი თქვენი?

— რიგითი ფხოველი, ამხანაგო ადმირალო! — სმენაზე დგას მეზღვაური.

— უცნაური გვარია. საიდან ხართ?

- საქართველოდან.
- რამდენი იმსახურეთ?
- ორი თვე, ამხანაგო ადმირალო!
- ორი თვე? ყოჩაღ! ასე კარგად ცურვა სად ისწავლე?
- წყლის პირზე ვარ გაბრდილი. — გაუღიმა.
- ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ! წადი, დაისვენე!

ადმირალი გვერდით მდგარ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამონყობილ მამაკაცს მიუბრუნდა:

— ივარგებს?!

— მგონი კი! ცოცხალი კი არის, მაგრამ, — ხელი ჩაიქნია, — მე იქ კინგ-კონგები არ მჭირდება, მთავარია სისწრაფე მათთვის და გაბედულება. გაუმზადეთ საბუთები. ნავიყვან!

**1978** წელი. იანვარი. მოსკოვი. ქალაქის მახლობლად პატარა ნაძენარი... ორსართულიანი აგურის შენობა. გარედან მხოლოდ სახურავი ჩანს შენობის. მაღალი ბეტონის თილებითაა გამიჯნული გარე სამყაროდან. შესასვლელთან ავტომატიანი გუშაგი და დიდი, თეთრი წარწერა: „შესდექ! შესვლა

აკრძალულია!“ შიგნით შენობა? ჩვეულებრივი ჯარისკაცური ყაზარმაა. ყველაფერი ჯარისკაცური წეს-ჩვეულებისამებრაა მოწყობილი. ზედა-ქვედა „კოიკები“, პირსაბანები, ტუალეტი, „კურილკა“... მაგრამ ამ შენობაში მყოფნი თუ არიან ჩვეულებრივი ჯარისკაცები? მგონი არა! ისინი დღეს მოიყვანეს აქ. ოცდაათი ახალგაზრდა მღუპარედ ზის ხის მაგარ სკამებზე. ე.წ. „ტაბურეტებზე“. უსიცივოდ მისჩერებიან ორმოციოდე წლის პოლკოვნიკს, რომელიც მათ წინ დგას და ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ ლაპარაკობს:

— ბიჭებო! თქვენ ხართ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სადესანტო ნაწილებიდან საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. ერთი წელი გაივლის და თქვენ კომუნისტური პარტია და კომკავშირი დაგაკისრებთ ბრწყინვალე მისიას, რასაც ინგერნაციონალური ვალის შესრულება ჰქვია. ჩვენი დიდებული ქვეყნის გარშემო მრავლად მოიძეება სახელმწიფოები, სადაც კაპიტალისტთა უღელქვეშ გმინავს მშრომელთა ფართო მასები. მათ ჩვენი დახმარება

ესაჭიროებათ. ჩვენ შევალთ რიგ ქვეყნებში და იქაც ავათრიალებთ მუშურ-გლეხურ დროშას, ნამგლით და უროთი შემკულს. და თქვენ, აი, ეს ოცდაათი კაცი, იქნებით ყველგან პირველი მერცხლები. პირველი მერცხლები, რომლებიც თავისუფლების სიოს შეჰყვებით ამ ქვეყნებში...

პოლკოვნიკმა ცოცხალი ხანს შეისვენა. წყალი მოსვა. უცებ ნამოდვა ერთ-ერთი:

— მაპატიებთ ალბათ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მაგრამ მე ჩემი სურვილით არ ვარ აქ მოსული, იქნებ არ მინდა მე, რომ თავისუფლების სიოს პირველი შევყვე და პირველი მერცხალი ვიყო ნებისმიერ ქვეყანაში?!

პოლკოვნიკს სახე გაუფითრდა.

— თქვენი გვარი?

— რამაზანოვი!

— წლოვანება?

— 24 წლის.

— განათლება?

— უმაღლესი!

— სპეციალობა?

— იურიდიული ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— ეროვნება?

— ჩეჩენი!

— თქვენს ინსტიტუტს სამხედრო კათედრა არ ჰქონდა?

— ინსტიტუტი კი არა, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუამთავრე! — გაიღიმა რამაზანოვმა. — გვექონდა სამხედრო კათედრა. ლეიტენანტი გახლავართ.

— მერედა საიდან მოხვდით აქ?

— არ ვიცი! ბელორუსიაში, ვეგესკის საჰაერო სადესანტო ნაწილში მომინია სამსახურმა. იქიდან აქ მიკრეს თავი.

— სპორტსმენი ხართ?

— დიახ! ევროპის ჩემპიონი.

— სახეობა სპორტის?

— კარატე!

პოლკოვნიკი მოლუშული მიაჩერდა რამაზანოვს...

— ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენ ამ წუთებში სამხედრო მუნდირი გაცვიათ, ხართ სამხედრო მოსამსახურე. ოფიცერი, რომელსაც არ გეპატიება ამგვარი შეკითხვები. გიბრძანეს — უნდა იმსახურო! ბრძანება ბრძანებაა! გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო! — წელში გასწორდა რამაზანოვი.

— ეს სკოლა, — განაგრძო პოლკოვნიკმა, — რომლის პირველი კურსანტები თქვენ ხართ, ერთადერთია მთელ კავშირში. თქვენს ინსტრუქტორებად მონვეულნი არიან უმაღლესი კლასის სპეციალისტები. სწავლების ვადა ერთი წელია. კიდევ ერთხელ გიმეორებთ: არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება მინერა ოჯახებში, თუ სად იმყოფებით. ბარათებს გაგზავნით იმ სამხედრო ნაწილის მისამართით სადაც მსახურობდით. ოჯახებიდან მოსული ბარათები და ამანათები მოვა პირვანდელ ნაწილებში, იქიდან გადმოიგზავნება ჩვენთან. საზღვარგარეთ პროფესიონალების მომზადებას რამდენიმე წელს ანდომებენ, ჩვენ კი ერთ წელში უნდა ავითვისოთ ის, რასაც წლები სჭირდება. მაქსიმალურად მოგინევთ თქვენი ენერჯის დახარჯვა. სპორტსმენმა შეიძლება რაიმე შეღავათის უფლება მისცეს თავს, რადგან ერთ წელს თუ ვერ მიაღწია ნარმატებს, მეორე წელს გახდება ჩემპიონი. თქვენ კი ეს ერთი წელი უნდა იცხოვროთ ყოველგვარი შეღავათების გარეშე: ასკეტური ცხოვრებით. ვარჯიში, ვარჯიში და მხოლოდ ვარჯიში. თქვენი სიცოცხლე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რაოდენ ზუსტად და მონდომებით აითვისებთ ყველაფერს. თქვენ უნდა იყოთ და გახდებით კიდევ მეომარი რობოტები, რომლებიც შეასრულებთ ყოველგვარ ბრძანებას.

პოლკოვნიკი შეჩერდა. ერთ-ერთს დააჩერდა.

— თქვენ რა გვარი ხართ?

— თხოველი, ამხანაგო პოლკოვნიკო! — წამოდგა.

— საიდან ხართ?

— ქართველი ვარ.

— რატომღაც მოიღუშეთ. სახეზე უკმაყოფილებას გაცყობთ. რაშია საქმე?

— მზად ვარ სამსახურისთვის, ამხანაგო პოლკოვნიკო, მაგრამ რობოტად არასდროს ვიქცევი, რადგან ადამიანი ვარ და ვერც მაიძულებს ვერაფერს, ვიქცე იმად, რაც არ მინდა. მე მზად ვარ შევასრულო ყოველგვარი ბრძანება, მაგრამ თუ ეს ბრძანება სცილდება ადამიანურ მასშტაბებს, მიჯობს სამხედრო გრიბუნალმა გამასამართლოს. ამდგვარ ბრძანებებს არ შევასრულებ!

ვიღაცამ ტაში დაუკრა. პოლკოვნიკს სახე აუწითლდა. განრისხებული მიაჩერდა რამაზანოვს.

— რაო, რამაზანოვ, მოგეწონათ ამ ქართველის გამოსვლა?

— ძალიან!

— ადექით! — უცებ იქუხა პოლკოვნიკმა. ყველა ფეხზე დადგა. — რამაზანოვ! თხოველი! სამი ნაბიჯით წინ!

გავიდნენ...

— სწორდი! სმენა! — გაისმა ბრძანება. სამხედრო ხელმძღვანელის შეურაცხყოფისთვის და არასერიოზული საქციელისთვის რამაზანოვს და თხოველს მიესაჯოს ხუთ-ხუთი დღე-ღამით პაგიმრობა!

— რა შეურაცხყოფა მოგაყენეთ?! — გაოცდა რამაზანოვი.

— ხმა! ზედმეტი ლაპარაკისთვის რამაზანოვს ემატება კიდევ ორი დღე-ღამე. გასაგებია?!

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო! — ჩაილაპარაკეს დასტილებმა.

მათ უკან ჭრიალით დაიხურა კამერის კარი. ერთმანეთს შეხედეს. გაეცინათ.

— ბაკური! — ფხოველმა ხელი გაუწოდა.

— ახმედი! — რამაზანოვმა გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება. — რა ვენათ ვიცხოვროთ ასკეტური ცხოვრებით?

— ბრძანება ბრძანებაა! — სმენაზე დადგა ახმედი. გადაიხარხარეს...

1979 წელი. ზამთარი. ცაშვენცის აეროდრომი. ორი საათია ღამის. შექცებამქრალ თვითმფრინავთან დიდი, სატვირთო სამხედრო მანქანა შეჩერდა. ინევა სახურავი. მანქანიდან ლანდებივით ხტებიან შეიარაღებული ადამიანები და თვითმფრინავში უჩინარდებიან. მანქანა წავიდა, თვითმფრინავი კვლავ დგას. თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარა შიგ.

აეროდრომზე ახალმა მანქანებმა მოაშუქეს. „ვოლგები თვითმფრინავის შორიხლოს შედგნენ. გენერალმა და რამდენიმე სამოქალაქო პირმა სწრაფად აიარეს ტრაპი და შიგ შეიმაღლნენ. სინათლე აინთო. გენერალი ღიმილით, ხელის აწევით მიესალმა შეიარაღებულ ღამეულ მგზავრებს.

— ბიჭებო! ახლა, ბოლო წუთებში უნდა გაიგოთ, თუ საით მიემგზავრებით. იგზავნებით ავღანეთში. თქვენ ოცდაშვიდმა ოფიცერმა უნდა დაამხოთ ავღანეთის მთავრობა. ოპერაციას ინყებთ ხუთ საათსა და ნოლ-ნოლ წუთზე. ექვს საათზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების სადესანტო ნაწილებს გადმოსხამენ თქვენს დასახმარებლად.

მიფრინავს თვითმფრინავი. სალონში სინათლე ჩამქრალია ისევ. აკლდამისებურ სიჩუმეს ძრავების მძლავრი გუგუნი არღვევს. საოცარია, მაგრამ ჭმუნვის კვალი არავის ატყვია სახეზე. ახმედ რამაზანოვი თვალდახუჭული კედელს მიყრდნობია და რალაც მელოდიას უსტვენს ხმადაბლა. უცებ ახელს თვალს. ბაკურ ფხოველისკენ გადაინებს და ხელიდან ართმევს სივარცს. ძირს აგდებს და სრისავს.

— ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, ახლადგამომცხვარო ლეიტენანტო! თამბაქო მავნებელია! — თვალეხს ხუჭავს, სტვენას აგრძელებს. ინთება წითელი ნათურა.

— მოემზადეთ! — ისმის ბრძანება. ბაკური სწრაფად ისწორებს პარაშუტის ქამრებს. თითქმის ერთდროულად გადახტნენ ფხოველი და რამაზანოვი. ძირს პანანკინგელა სინათლეები მოჩანს. ბევრი, ბევრი, ძალიან ბევრი. მათ ქვემოთ ქაბულია, უცნობი მინაა,

რომელიც არავინ იცის, როგორ მიიღებს დაუბატიყებელ სტუმრებს...

დილაა... მოქუთრულა ავლანეთის ცა. გოცეხული ავლანელები გაფართოებული თვალებით მისჩერებიან ზეცას. უცხო თვითმფრინავებს ასობით წერტილი წყდება. იბრდებიან ეს წერტილები და მალე კბილებამდე იარაღში ჩამჭდარი რუსი მედესანტეებით ივსება მიდამო. გოგნებული ხალხი მთავრობისკენ აცეცებს შეძვრთალ თვალებს, მაგრამ სადღაა ავლანეთის კანონიერი მთავრობა? მთავრობა შუალამისას დაემხო.

ოცდაშვიდი კაცი მწყობრში დგას. აელვარებული თვალები. ცივი სახეები.

— ამხანაგებო! — გენერალ-პოლკოვნიკმა დიმილით მოავლო თვალი ჯგუფს, — დავალებას ბრწყინვალედ გართავით თავი. გილოცავთ! პოლპოლკოვნიკო სუბოტინ, ორი ნაბიჯით წინ!

ჯგუფის უფროსმა ორი ნაბიჯით წაინია წინ.

— სადესანტო ჯგუფის უფროსი, პოლპოლკოვნიკი სუბოტინი წარდგენილია საბჭოთა კავშირის გმირის ნოდებაზე. გილოცავთ, ამხანაგო პოლპოლკოვნიკო!

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

— ჯგუფის ყველა წევრი დაჯილდოებული ხართ წითელი ვარსკვლავის ორდენებით. გილოცავთ, ბიჭებო!.. თქვენი მისია უკვე დამთავრებულია. დღესვე გაემგზავრებით უკან, მოსკოვში! — ჯიბიდან ქალაღლი ამოიღო. გადაავლო თვალი. — ლეიტენანტი თხოველი! ლეიტენანტი რამაზანოვი! ჩემთან წამოხვალთ! დანარჩენებს კი — გზა მშვიდობისა! დაიშალეთ!

ბაკურმა ახმედს გახედა. რამაზანოვმა მხრები აიჩიჩა...

— ამხანაგო ოფიცრებო! — გენერალ-პოლკოვნიკი თეხზე წამომდგარი შეეგება რამაზანოვს და თხოველს, — პოლკოვნიკი ცაგალოვი თქვენი მინანქლის კაცია. დიდებული ოფიცერი და, საერთოდ, კაცური კაცია. მან მთხოვა თქვენი თავი. თავის ჯგუფში უნდა ჩავრიცხოთ. გაემგზავრებით მასთან ერთად პაკისტანის საზღვარზე. აბა, ღმერთი თქვენსკენ!

1980 წელი. კლდოვანი ვიწრო ხეობა. ნელა, გააგით მოდის ქარავანი. შემოდის პაკისტანიდან მორიგი იარაღის პარტია. ქარავანს აბდულ სამანი მეთაურობს. ორმოცდახუთი წლისაა სამანი. საშუალო ტანის, შავწვერიანი აბდული ცხენით მოუძღვის წინ ქარავანს. ანაშას

ენეა და ღურბინდით ათვალეირებს კლდეებს. ყველაფერი რიგზეა. საძულველი რუსები ამ ხეობაში ვერ შემოდიან. ავლანთა რაზმები აკონტროლებენ აქაურობას. ღურბინდი ჩამოიღო. „ეჰ!“ — მწარედ ამოიოხრა. რა უნდათ? რას გვერჩიან? ოცი წელი პოლიციაში მუშაობდა აბდული, ახლა კი ტყეებს და კლდეებს აფარებს თავს. რატომ? ვინ სთხოვა კომუნისტებს — არიქა, გვიშველეთო? არაფერი! უბრალოდ ადგნენ და ზედ გადაგვიარეს. არაფერია, დავიხოცებით, მაგრამ ბევრს შევინირავთ ჩვენც...

ფიქრებში წასულ სამანს ხელზე კენჭი დაეცა. თავი ასწია. კლდეზე რუსულ სამხედრო ფორმაში ჩაცმული შავგვრემანი ვაჟკაცი იყო შემომჭდარი, ავტომატს ატრიალებდა ხელში და ღიმილით დაჰყურებდა აბდულ სამანს. „გაგვაბეს!“ — გაუელვა ავლანელს ფიქრმა. წელა გააცურა იარაღისკენ ხელი. რუსმა გამათრახილებლად ასწია ხელი.

— ხელი უშვი იარაღს! ჩამოდი ცხენიდან!

აბდულ სამანი წელა ჩამოვიდა ცხენიდან. თავისიანები უახლოვდებოდნენ. სწრაფად მოავლო თვალი კლდეებს. პირდაპირ მის თავზე საბედისწეროდ ბრუნავდა ცყვიამფრქვევის ლულა. აქედან გასვლა შეუძლებელი იყო.

— უთხარი შენიანებს, ყოველგვარი ფოკუსების გარეშე დაანყონ ძირს იარაღი! ქარავანი შეჩერდა. ავლანელებმა იარაღი შემართეს.

— არ გინდათ! უაზრობაა! — სამანის მტკიცე ხმამ შეაჩერა ისინი.

— იმ კლდესთან დადექით ყველა! — რუსი ბრძანებას ბრძანებაზე იძლევა.

თორმეტი კაცი მორჩილად დადგა გადმოშვერილ კლდესთან. რუსი მსუბუქად ჩახტა ძირს. აბდული ხელით მოიხმო.

— მხოლოდ იარაღია თუ ნარკოტიკებიც?

— იარაღი! — ზიზღით შეჰყურებდა აბდული დამპყრობელს.

— რა სახეობის და რა რაოდენობის?

— ორასი ავტომატი. ოცდაათი ხელის ცყვიამფრქვევი.

— აი, რა ვითხრა, წვერიანო! წაიყვანე ეგ შენი ძმაკაცები და მოუსვით აქედან! — მცირე



ფიქრის შემდეგ, — ბაკურ! რა ვქნათ გავუშვათ? — კლდისკენ ასძახა.

ფხოველი კლდეზე გადმოდგა. თავი დაუქნია.

— გვიშვებთ? — უნდო ღიმილი გამოეხატა სახეზე ავლანელს.

— რა თქმა უნდა, გიშვებთ. თქვენი დახოცვა დიდი ვერაფერი ვაჟუცობაა. ქარავანს ჩვენ წავიყვანთ, თქვენ კი ოთხივე კუთხით გზა ხსნილი გაქვთ.

— ახმედ, გახსრიკე და ისე გაუშვი! — ბაკური უნდობლად ათვალიერებდა ავლანელებს.

ახმედმა ძირს დაყრილი იარაღი აკრიტა. ცხენებს გადაჰკიდა და ფხოველისკენ შემობრუნდა. იმავ წამს სროლის ხმა გაისმა. ერთი. მეორე. მესამე. აბდულ სამანმა ჯიბიდან ესროლა ახმედს. ავლანელებმა გარეული კაცების სიმარდით ისკუბეს და ცხენებს, იარაღს ეცნენ. ბაკურ ფხოველის ტყვიამფრქვევმა ერთმანეთზე დააწყო ცხენებიც და მექარავენებიც. აბდულ სამანი ახმედის წინ ეგდო და იკრუნხებოდა, სიკვდილს ებრძოდა.

— წყეულიმც იქნებით! — ამოთქვა, ბაკურს გახედა.

— საგანაგ!

და გათავდა.

ფხოველი ძირს ჩამოვიდა. ახმედს მკლავიდან სდიოდა სისხლი.

— დაიჭერი?

— არაფერია! ქორწილამდე დამაფინყდება, — მკლავი გადაიხვია. — არ ველოდი ასეთ ვერაგობას. ჩვენ დავინდეთ, ვუშვებდით, ამათ კი ძალით შემოგვაკლეს თავი.

— „ნუ ენდობი ქალს, გველს და ავლანელს“, — გახსოვს ინგლისელი გენერლის ეს სიტყვები? ჩვენც დავრწმუნდით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. კაცმა სიცოცხლე გაჩუქა და მაინც ტყვიით უმასპინძლდები ბურგიდან, ამნაირი არ არის სიცოცხლის ღირსი.

— ისე, მაგარი სახელი შეგარქვა! — გაიღიმა ახმედმა. — მომე ერთი, მეც მოვწიო.

— რა თქვა? ვერ გავიგე!

— საგანა! საგანა გინოდა სიკვდილის წინ.

— საგანა? დე, ვიყო საგანა! — ფხოველმა დახოცილებს გახედა. რატომღაც მომიშვლებულ მკლავზე დააჩერდა აბდულს. — მეგობრისთვის მეგობარი ვიქნები და ასეთებისთვის მართლა საგანა.

იქვე ძველი ნახშირი და ნაცარი ეყარა. ბაკურმა ნახშირი აიღო და მიცვალებულთან დაიჩოქა. ცოცხალი ხანში ზეზე წამოდგა.

— რა გააკეთე?

— ახმედ, თუ ოდესმე დავცილდით ერთმანეთს, აი ეს იყოს ჩვენი პირობითი ნიშანი. დაე, მტერიც ამით ცნობდეს ჩვენს გაკეთებულს და მოყვარეც. — სამანის გვამს მიაშვირა ხელი. ახმედი წამოდგა. დახედა. შუბლზე აბდულის გვამს მიხატული ჰქონდა ეშმა და ძირს წარწერა: „შავი საგანა“.

1980 წელი. ზაფხული. ავღანეთის სამხრეთ-დასავლეთით, საბარის ტბასთან მდებარეობს ქალაქი ჩახანსური. ამ გიპიური აზიური ქალაქის მოსახლეა ერთი პატარა მთიანი აული, რომელიც ჯელალაბადის აღმოსავლეთით, ზედ საზღვართან, მდინარე ქაბულის ახლოს გაშლილა.

აული ჩახანსური. ეს აული ქცეულა ომის დანაშაულის პირველი დღეებიდანვე წინააღმდეგობის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად. ჩახანსურში იყრიან თავს პაკისტანიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული დაქირავებულები. აქედან ნაწილდებიან ისინი ავღანთა პარტიზანულ ჯგუფებში. ყოველთვის ხალხ მრავლობაა აულში, მაგრამ დღეს, თითქოს ჭიანჭველების ბუდე აშლილაო, ყოველი მხრიდან მოისწრაფის ხალხი ჩახანსურისკენ. აგვისტოს ცხელი დღეა. შეიარაღებული წვერმოშვებული, ჩალმაშემოხვეული მეომრებით ივსება აული. რაიმე საშხედრო ოპერაციის სამზადისია? არა! მსგავსი არაფერი. მაშ რა ხდება?

ასობით ადამიანი შუბლზე დგება. ვისაც სად ხვდება იქ დებს იარაღს. ხელებს სასოებით აპყრობენ მალლა. წელში იხრებიან.

— ლოცვა-დიდება მაჰმადის მოციქულს! — ისმის შეძახილები.

დაჩოქილ მეომართა წინ, მიწური სახლის ბანზე ოთხმოციოდე წლის ავღანელი გამოჩნდა. ხელაპყრობილი შუბლებზე დადგა თვითონაც.

— დიდ არს ალაჰი!

— დიდ არს ალაჰი! — ავღანელთა შეძახილებმა მთები შეძრა.

— მაჰმადიანებო! — ფეხზე წამოდგა. — ავღან ხალხს ბევრჯერ შეუხედავს განსაცდელისთვის თვალებში. ბევრმა დამპყრობელმა ბევრჯერ დაგვეჯახა სიმრავლით, მაგრამ სულიერად ვერასდროს შეძლეს ჩვენი გატყობა. ჩვენ გავუძელით საუკუნეთა გამოცდას. გავუძლებთ ახლაც. ჩვენ მარტო არა ვართ, პირსისხლიანი კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი მსოფლიო ჩვენს მხარეზეა. უკვე შვიდი თვეა მიდის სისხლისმღვრელი ომი. ჩვენი საქმე სამართლიანია, ალაჰი მრისხანე თვალთ დაჰყურებს რუსებს. ღმერთი ძალას შეგვმატებს მამაც ჭივიტებს. ჩვენ გავიმარჯვებთ!

— ალლაჰ! — ასობით ჩაღმიანი თავი მინაზე დაეშვა.

— მე დღეს დროებით მოგწყვიტეთ იმ წმიდათა-წმინდა საქმეს, რასაც მამულის დაცვა ჰქვია. მოგწყვიტეთ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ შემეხედა თქვენი, ჭივიტთა კეთილშობილური სახეებისთვის. ყველამ, თითოეულმა თქვენგანმა იცით ჩვენი, ავღანელთა ტრადიციები. სისხლი სისხლის წილ! ორი თვის უკან მოკლეს ჩემი ერთადერთი ვაჟი, აბდულ სამანი. მე, უკვე მოხუცებულს აღარ ძალმიძს ფიზიკურად გავუსწორდე მის მკვლელს. მკვლელს, რომელსაც იმდენი თავხედობა ეყო, რომ მიცვალებულს საგანა მიახაგა სახეზე. ჩემო შვილებო! ათა-პაპიდან ჩემი გვარი მიეკუთვნებოდა იმ დიდებულთა გვარებს, ვისაც არასოდეს მოუხრია ქედი ათასგვარი ჭურის დამპყრობელთა წინაშე. და აი, ბოლო იმედი, გამგრძობელი ჩემი გვარისა, ვერაგულად მოკლეს. მისი დაღუპვის შემდეგ არაერთხელ ვიხილეთ შავი ეშმა ყველაზე მამაც ჭივიტთა შუბლებზე. კმარა! უკვე დროა ბოლო მოეღოს ამ ქაჯის ნაშობის პარპაშს, ამ მართლაცდა ეშმაკის მოციქულს. შემომდუიცეთ, ჩემო მამაცო ვაჟუცებო, რომ შურს იძიებთ, შეიპყრობთ „შავ საგანას“ და ჩემთან მოიყვანთ მას, ვინც ალგავა ჩემი გვარი პირისაგან მინისა..

— ვფიცავთ! — ასობით წყვილი ხელი ჰაერში აინია.

— მის ცოცხლად შემპყრობს საჩუქრად ვაძლევ მილიონ დოლარს და ჩემს სასახლეს ტაივარაში...

— ვფიცავთ! ვფიცავთ! — მეფურ საჩუქარს დახარბებულ ავღანელთა ველური შეძახილები მთებს აბანზარებს.

და იწყება ნადირობა... ნადირობა არნახული...

1980 წელი. სექტემბერი. საბჭოთა სამხედრო ნაწილის შტაბი. შტაბის წინ ვერტმფრენები ჩამწვრივებულა. როგორც ჩანს, რაღაც სანახაობა გარდება აქაც. მაგრამ არა! არ არის ეს ის სანახაობა, რომელსაც ნორმალური ადამიანი გულმშვიდად შეხედავს. აქ, ამ პატარა მოკირწყლულ მინდორზე ადამიანებია თუ ბოროტი დემონები? ო, ღმერთო! რა ხდებაო, იკითხავთ? ისეთი არაფერი! ერთობიან რუსი მტრინავი ოფიცრები. გართობის საგანი? ნიძლავი! დიას, ნიძლავი ორ ბოთლ არაყზე. მოედანზე ცარციტ წრე შემოუხაზავთ. ვერტმფრენში ჩაისვამენ ცყვე ავლანელს, აფრინდებიან ჰაერში და ხუთასი მეტრის სიმაღლიდან ძირს აგდებენ. ვინც წრეში ჩამოაგდებს მსხვერპლს, გამარჯვებული ისაა და ცხადია, არაყიც მისია. ყრია დამახინჯებული გვამები წრეში ტვინი და სისხლი არეულა ერთად.

მორიგი მსხვერპლი — ათი წლის ბიჭუნა. ტანსაცმელშემოხეულ შავთვალა ბავშვს ვერტმფრენისკენ მიათრევენ რუსი მეომრები. არყისგან სახეანითლებული მტრინავი ხელეებს იტყვენებს ახალი სიამოვნების მოლოდინში.

ვერტმფრენის წინ „ვილისი“ შედგა. ახმედ რამაზანოვი და ბაკურ ფხოველი მანქანიდან გადმოვიდნენ. დახედეს ფორმადაკარგულ გვამებს, რომელთაც სულ ერთი საათის წინ ადამიანები ერქვათ.

— სად მიგყავთ ბავშვი? — რამაზანოვი წინ გადაუდგა მთვრალეებს.

— ჰაერში! — გადაიხარხარა კაპიტანმა. — თუ გინდათ თქვენც დამენაძლევეთ, ლეიტენანტო, რომ ამ პატარა, შავ მაიმუნჩიკს პირდაპირ ცენტრში ჩამოვსვამ.

ახმედ რამაზანოვს სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

— შვილი არა გყავთ, კაპიტანო?

— მერე? — შეცბა მტრინავი.

— მერე ის, რომ გაუშვით ბავშვი! — სახე აელენა ახმედს.

— მიუხედავად თქვენი დამსახურებისა, — გესლიანად თქვა კაპიტანმა, — გირჩევთ სუბორდინაცია დაიცვათ, ლეიტენანტო. აქ მე ვიძლევი ბრძანებებს.

რამაზანოვს გაეღიმა. გაეღიმა იმ ღიმილით, რომელმაც წამიერად გამოათხიზლა

კაპიტანი.

— ორჯერ გამეორებას ჩვეული არ ვარ. თუ გინდათ, რომ ცხოვრებაში კიდევ ოდესმე გასცეთ ბრძანება, რაც გითხარით ის გააკეთეთ!

— გაუშვით ეგ ლეკვი! — უყვირა ჯარისკაცებს კაპიტანმა. — რას იზამ, მუსლიმანი იცავს მუსლიმანს!

— მე ქართველი გახლავართ! — ფხოველმა ხელით შემთავრებულა მფრინავი.

— მაგით რისი თქმა გინდათ?

— იმის, რომ მაგ ბავშვს ისევე დავიცავ მეც, როგორც ჩემი მეგობარი.

— მერედა ქართველობა რა შუაშია?

— იმ შუაშია, — დაცინვით შეავლო თვალი, — რომ იმედი მაქვს, მეც მუსლიმანად არ ჩამთვლით, რადგანაც, როცა ჩემი წინაპრები ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ, თქვენი წინაპრები, კაპიტანო, ხიდან-ხეზე დახტოდნენ და უა-უას იძახდნენ! რაც შეეხება ამნაირ გართობას, გირჩევთ შეწყვიტოთ. ბოლოსდაბოლოს ორ ფეხზე დგახართ და ადამიანები გქვიათ.

— როდის აქეთ გახდით ასეთი ჰუმანური? — ღვარძლიანად იკითხა კაპიტანმა.

— აქ ომია, კაპიტანო! ომი, სადაც ადამიანის სიცოცხლე იმაზეა დამოკიდებული, რომ მონინააღმდეგებე ადრე გამოკრას იარაღის სასხლეტს. მე ვკლავ მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ მესხმიან თავს, როცა ჩემს მოკვლას ცდილობენ. რას იზამთ! ადამიანები ხომ ცხოველები ვართ და საკმაოდ ჭარბადაა ჩვენში თავის გადარჩენის ინსტიქტები. მოუხედავად ყველაფრისა, ჯობია ერიდოთ უმწეო ბავშვების და ქალების ხოცვას...

ბაკურმა ბავშვს ხელი მოხვია. მანქანაში ჩასვა. ახმედი გვერდით მიუჯდა პატარას.

— სად ცხოვრობ? — შოკოლადი გაუნოდა. ბავშვი შემკრთალი ნუკრის თვალებით მისჩერებოდა მხსნელებს.

— კერძანში! — ახმედს ტვიპასავით მიუკრო. — თქვენთან ვიქნები, არ მინდა იმათთან, — რუსებისკენ გადაიქნია თავი.

— ნუ გეშინია, — თმები აუჩეჩა. — დღესვე მიგიყვანთ სახლში.

ბავშვი ერთ ხანს რაღაცას თქრობდა, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს, შემდეგ კი:

— თქვენ კარგი ძიები ხართ. მე არ მინდა, რომ იქით წამოხვიდეთ, — თავი ჩაღუნა.

— რატომ? — ნიკაპი აუწია.

— ჩახანსურში სულეიმან სამანი ჩამოვიდა.

— ეგ ვილაა? — სწრაფად იკითხა ახმედმა.

— მმართველია ჩვენი გუბერნიის, რომელშიც ჩვიდმეტი ცომია გაერთიანებული. ორი თვის უკან მას შვილი მოუკლეს. სამანმა აღუთქვა ხალხს, რომ ვინც მისი შვილის მკვლელს შეიპყრობს მილიონ დოლარს მიიღებს საჩუქრად. ყველა ჩვენთან იარაღში ზის და ყველას ჯილდოს მიღების სურვილი აქვს შემტდარი. არ ვიცი, შეიპყრობენ თუ არა იმ საშინელ ძიას, მაგრამ თქვენი იქ წამოსვლა არ შეიძლება.

— ვინაა ის საშინელი ძია?

— ოო! გააჟრჟოლა ბავშვს. — ამბობენ, რომ ცოცხლად ჭამს ჩემნაირ პაგარებს, მოკლულებს კი თურმე ხორცებს აგლეჯს და შავ ეშმაკს ახატავს შუბლზე.

— ოჰო! — ახმედს სახე შეეცვალა. ბაკურს გახედა. თხოველი მოღუშული გაჰყურებდა მზის დისკოს, რომელიც მთებს იქით ნელ-ნელა უჩინარდებოდა...

**1980** წელი. ნოემბერი. მარცხს მარცხზე განიცდიან საბჭოთა სადესანტო ჯგუფები. საიდუმლოდ დაგეგმილი ოპერაციები ცნობილი ხდება ავღანელთა სარდლობისათვის. საბჭოთა დაზვერვამ იცის, რომ „ციხე შიგნიდან ცედება“, მაგრამ ვინ?! ყოველ ოპერაციას უაზრო მსხვერპლი მოსდევს თან. ოფიცრები თვალს არიდებენ ერთმანეთს.

ვეებერთელა ლოდის გვერდით მიწოლილა ბაკური. ბინოკლით ათვალთვრებს ვინრო ხეობას. ელიძება. თვალებს ხუჭავს. თვალწინ მშობლიური სანახები უდგება. საოცრად წააგავს ეს ადგილი არაგვის ხეობას. დაფიქრებული გაჰყურებს კლდეებს.

ორი დღეა ახმედი არ ჩანს. „სად დაბოდილობს?! ეშმაკმა იცის! გულჩათხრობილი გახდა ამ ბოლო ღროს რატომღაც. რაშია საქმე? ყოველი ნაბიჯი იცოდნენ ადრე ერთმანეთის.

ახლა რა ხდება? რაღაცას მალავს, რაღაცის დამალვას ცდილობს ჩემგან, მაგრამ რის?”

უსიამოდ შეეკუმშა ფხოველს გული.

— ამხანაგო ლეიტენანტო! — მოესმა. ჭარისკაცი იდგა მის წინ. — ცყვეები ამოიყვანეს.

— ვინ არიან? — წამოდგა. ავტომატი აიღო.

— ვილაც ამერიკელი, ცოლთან ერთად.

— ამერიკელები გვაკლდა! — გულმოსულმა ჩაილაპარაკა. — რამაზანოვი ხომ არ გამოჩენილა?

— ახლახან მოვიდა ისიც!

— მადლობა ღმერთს! — შევებით ამოისუნთქა. ბანაკისკენ დაეშვა ციცაბო, ვინრო ბილიკით... პატარა ოთახი სიგარეტის ბოლშია გახვეული, საოცარი სიჩუმეა ირგვლივ. ფხოველმა

გაოცებით გადახედა მუდამ იუმორით სავსე, ენაწყლიან ოფიცრებს. რამ ჩააჩუმა ეს ხალხი? მათ მზერას გააყოლა თვალი. კარებს მიეყრდნო. თვალები დახუჭა. მოეჩვენა? არა! არაა ეს მოჩვენება. შუა ოთახში ის დგას. ის, ვისზეც ბავშვობაში უოცნებია ბაკურს. ფერია, ზღაპრული ფერია, რომელზეც ბებია უყვებოდა ბავშვობის წლებში...

ქალიშვილი ოცი წლის თუ იქნება. შავი თმა ცალღებად აყრია შავ მაისურზე. ცყავის შარვალს სპორტულ, მაღალყელიან ფეხსაცმელში აქვს ჩაშვებული. სევდაჩაგუბებული შიშნარევი თვალებით მისჩერებია დაბვერვის ოფიცრს, რომელიც დაკითხვას ანარმოებს.

როგორც იქნა, შესძლო ბაკურმა, მოაცილა ქალიშვილის ცისფერ თვალებს, ცისფერიც რომ არ ეთქმოდა. მუქი — ლურჯი გადაჰკრაავდა მათ. მამაკაცს შეხედა.

ცყვე ამერიკელი, ორმოცდახუთი წლის სქელი, ბულდოგისსახიანი მამაკაცი დამცინაგად მისჩერებოდა რუს ოფიცრებს.

— განა შეიძლება ჩვენი დაპატიმრება? — დამცვრეული რუსულით კი არ თქვა, ამოიღრინა თითქოს.

— ენას ნუ მოიგვხობ, — ინგლისურად გაეპასუხა საბჭოთა დაზვერვის თანამშრომელი.  
 — შეგვიძლია ინგლისურად ვისაუბროთ. რაც შეეხება თქვენს აქ გაჩერებას, ანუ თქვენს დაპატიმრებას, ჩვენ კარგად ვიცით, ვინ ავიყვანოთ და ვინ არა. მაშ ასე, რომელ ენაზე ინებებთ, რამდენიმე შეკითხვას რომ გაცვთ პასუხი?

— რუსულად!

— რა გაეწყობა! თქვენი გვარი?

— ჯო ჯონსონი, — ჭროლა თვალები მოჭკუტა ამერიკელმა.

— დიდებული სახელი და გვარია. რამ გაიძულათ, მისცერ ჯონსონ, ამერიკიდან ამ მანძილის გამოვლა და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება?

ამერიკელი არც დათქრებულა.

— თქვენ, კომუნისტები ამას ვერ გაიგებთ! — გამომწვევად შეხედა.

— მაინც? იქნებ გავიგოთ.

— ფულმა!

— ახ, ფულმა? გასაგებია! ეს გოგონაც ფულის გულისთვის ჩამოვიდა აქ?

— ჩემი მეუღლე გახლავთ! — ჯონსონმა ღიმილით შეავლო თვალი ქალიშვილს.

— მეუღლე? საოცარია. მე შვილი მეგონა. თუმცა ეგ არაა ჩემი საქმე. თქვენი მეუღლის გვარი?

— გელოვანი!

ბაკურ ფხოველს თვალთ დაუბნელდა. სისუსტე იგრძნო. კარის სახელურს ჩასჭიდა ხელი. დაბინდული მზერა ქართველი ოფიცრის, გია ყარყარაშვილისკენ გაექცა. აქ ორად-ორი ქართველი იყო მხოლოდ — გია და ბაკური. სახე გაფითრებული გია მას მისჩერებოდა...

ასეთი გვარი არ მსმენია, — ოფიცერმა თავი ასწია, — ამერიკელია თქვენი მეუღლეც?

— წარმოშობით ქართველი გახლავთ. ემიგრანტის ქალიშვილია.



— ქართული გვარია გელოვანი? — შეუბრუნდა ვიას ოფიცერი.

— კი. გელოვანები მთაგრეხი იყვნენ საქართველოს ერთ-ერთი მთიანი კუთხის. აქამდე უხმოდ მჭდარმა რამაზანოვმა ხმაძაღლა გადაიხარხარა.

ყველამ მას მიხედა.

— ქართველი პრინცესა? — თითები უღარდელად გაატკაცუნა ახმედმა. — დიდგვაროვნებს თავიანთი დიდგვაროვნება თან ახლავთ ყველგან და ყოველთვის. ცხადია, ავღანელებთან უკვე საკმაოდ იხებივრა. სანამ ცენტრში გადავაგზავნით, ალბათ ჩვენც გაგვართობს?

ბაკურ ფხოველს ბოლმისგან სუნთქვა შეეკრა. იქვე, მაგიდაზე დადებულ ვილაცის საზღვაო ხანჯალს დაავლო ხელი და მთელი ძალით სცყორცნა. ხის კედელში, ახმედის თავთან ტარამდე ჩაერჭო ხანჯალი. რამაზანოვი არ განძრეულა, გაღიმებულმა შეავლო თვალი ხანჯლის ტარს. ავბედითი სიჩუმე ჩამოწვა ოთახში.

— გაფრთხილებთ ყველას, — ხმადაბლა, კბილებში გამოსცრა ფხოველმა, — ამ გოგოს ერთი ღერი თმაც რომ შეერხეს, სანამ ჩემს მოკვლას შეძლებთ, გვამებად და ნანგრევებად ვაქცევ აქაურობას!

ხმა არ ამოუღია არავის. ყველა კარგად იცნობდა ბაკურ ფხოველს. ახმედი ნელა წამოდგა. გასასვლელისკენ გაემართა. წუთით შედგა ფხოველის წინ. თვალებში ჩახედა.

— სულელი! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა. გავიდა...

— ამხანაგო ოფიცრებო! რას გავს ეს?! — მხოლოდ ახლა წამოიჭრა ფეხზე პოლკოვნიკი ცაგალოვი. — მეომრები ხართ თუ საბავშვო ბაღია აქ? ლეიტენანტო! დღეს ოთხშაბათია. შაბათს სამშობლოში მიემგზავრებით. არ გეპატიებათ წასვლის წინ აურზაურის ატეხვა, — ჩათიქრდა. — ახლა კი პირველ საგუშაგოზე გაემგზავრეთ. ხვალ შეგცვლით.

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— ოცდაათი კაცი წაიყვანეთ.

— მესმის!

— კაპიტანო სკვორცოვ! — პოლკოვნიკი სახენაჭრილობევე კაპიტანს შეუბრუნდა, — სამი კაცით მიაქციე ყურადღება ტყვეებს. ჩვენ საქმეზე გავდივართ. თვითონ იცი, ვინც უნდა დაიტოვო!

— ვიცი, ამხანაგო პოლკოვნიკო! — შეთქმულივით გაელიმა კაპიტანს.

— ქალიშვილი უცებ ადგილიდან მოწყდა. კარისკენ შემობრუნებულ ფხოველს მიეჭრა. ბაკური ადგილზე გაყინა მისმა ცრემლიანმა თვალებმა.

— რა გქვიათ?

— ბაკური!

— ქართველი ხართ?

— დიახ! — ბაკურ ფხოველი ჯადოქმნილივით იდგა. მექანიკურად იძლეოდა პასუხებს. ვიაც მათთან გაჩნდა.

— ნაცა მქვია. არ შეიძლება, რომ არ წახვიდეთ იმ რაღაც საგუშაგოზე? ძალიან გთხოვთ, ჩემთან იყავით! — სუფთა, აქცენცს მოკლებული ქართულით დაილაპარაკა ნაცამ. ვიაც ცაგალოვს მიუბრუნდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება მომეცით ფხოველის ნაცვლად მე წავიდე!

— იქ ფხოველია საჭირო! — ცივად მოუჭრა პოლკოვნიკმა. ბაკურს გახედა. — ეს თქვენი ბოლო დავალებაა, ლეიტენანტო. ნუთუ არ გინდათ წახვიდეთ?

— მივდივარ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მაგრამ... ცაგალოვმა კითხვით შეხედა.

— ძალიან გთხოვთ, სანამ არ დავბრუნდები, ტყვეები არ გადააგზავნოთ.

— კარგით! კარგით! — გაეცინა პოლკოვნიკს. — თქვენს დაბრუნებამდე ისინი აქ იქნებიან.

— ნაცა! — ბაკურმა ხელზე მოჰკიდა ხელი, — ნურათფრის გეშინიათ. მე მალე დავბრუნდები. მანამდე ვიაც მოგაქცევთ ყურადღებას, — ხელზე ოდნავ მოუჭირა. სწრაფად გავიდა. მიიხედ-მოიხედა. ახმელი არსად ჩანდა.

— რამაზანოვი სადაა? — გასძახა გუშავს.

— მანქანით წავიდა სადღაც!

— პირველი და მეორე ოცეული სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყოს შვიდ წუთში. გავდივართ!

— არის! — ჯარისკაცი ფიცხლად შებრუნდა.

სალამოს ხუთი საათია. ნატა გელოვანი კარავთან, პატარა ხის კუნძზე ჩამოქცარი. იქვე ავტომატიანი გუშავი მიყრდნობია თიხის ღობეს. ნატა ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებს ხეობას, საითაც ბაკურ თხოველი გაემგზავრა. მანქანის ხმამ შეაკრთო. „ვილისი“ მის ფეხებთან შეჩერდა. რამაზანოვი ნელა გადმოვიდა მანქანიდან. იქვე დაგდებული ქვა ფეხით მოაგორა. ჩამოქცა. ბიბლით შეხედა ნატამ. გაოცდა... აღარსად ჩანდა ის თავხედური გამოსხედა, რომელმაც დილას ესოდენ შეზარა ქალიშვილი. აღარც ის საშინელი, ცინიკური ღიმილი აჩნდა ახმელს სახეზე. ჭმუნვის, ღრმა ფიქრის კვალი ეფინა უცნობი, ლამაზი ოფიცრის მთელ გარეგნობას, მთელ მის არსებას.

— მინყრებით? — სევდიანი ხმა ჰქონდა ახმელს.

— მე ხომ გყვე ვარ. რა უფლება მაქვს წყრომის? ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელთაა. რასაც გინდათ, იმას მოიმოქმედებთ... შეგიძლიათ გაუსამართლებლად კიდევ დამხვრიტოთ.

— ნუ ბავშვობთ! — უცებ აენტო რამაზანოვი. ვის რაში სჭირდება თქვენი დახვრეტა?!

— არ ვიცი! ახლა კი, იცით, რა? წადით აქედან და თქვენს საქმეს მიხედეთ. ძალიან გთხოვთ მარტო დამტოვეთ.

— ამ წუთში წავალ. თავს არ შეგანყენთ. მხოლოდ ერთი რამ მინდა გკითხოთ.

— თქვენს ხელთ ვარ, — მწარედ გაეღიმა ქალიშვილს, — შეგიძლიათ!

— რაგომ ხართ აქ? რაგომ მოხვედით? რას ან ვის დაეძებთ? — ხმადაბლა, მინას დაჩერებულმა იკითხა. გუშავს გახედა.

ნატა გელოვანმა დაკვირვებით შეათვალიერა ოფიცერი.

— ეგ რა შეკითხვაა? განა არ იცით, რომ ცყვეები ვართ?

— იცით რა, ნატა? მე ბევრი, ძალიან ბევრი რამ ვიცი. ვიცი, ვინცაა სინამდვილეში მისცერ ჯონსონი... ვიცი ის, რომ თქვენ არაერთიანი ჯონსონის მეუღლე არ ხართ... თქვენ ჟურნალისტი ხართ. ნუ ლელავთ! დანყნარდით. ეს საიდუმლო, რაც მე ვიცი, მხოლოდ ჩემია და ჩემთან ერთად დაიძარცება. დილას თუ გვინახალობი, ქალს დანატრებული ხვადის როლი გავითამაშე, ასე იყო საჭირო და მაპატიეთ. მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ!

ნატა გათართოებული თვალებით, შიშით შეაცქერდა.

— მე მეშინია თქვენი! ვინ ხართ, ან საიდან იცით ეს ყველაფერი?

— ჯერჯერობით მე ველოდები თქვენგან პასუხს.

— რა გარანტიაა იმის, რომ ყველაფერი ჩვენს შორის დარჩება?

— არაფერი, გარდა ჩემი უცური სიტყვისა, რომელსაც თუ ენდობით, ენდობით, თუ არა, თქვენი ნებაა. მე რა უფლება მაქვს გაიძულოთ იმის თქმა, რაც არ გინდათ, — ახმედმა სიგარეტი ამოიღო. ნატას გაუწოდა.

— გმადლობთ! არ ვენევი! — თვალებში შეხედა. — ჯანდაბას! გეტყვით ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ არ მინდა გითხრათ. არ მინდა იმიტომ, რომ თქვენ წმინდა სულის არ ჩანხართ.

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის! მაინც არ ივინყებთ დილანდელს?

— ჩემი შეურაცხყოფა აქ არაფერ შუაშია. თქვენ დილას სასიკვდილოდ გესროლათ ხანჯალი მან, ვინც მხოლოდ დღეს ვნახე. ვისაც არც ვიცნობ და ვინც ამ ნუთას თავდავიწყებით მიყვარს...

გაეღიმა ახმედ რამაზანოვს...

— თქვენ ბაკურზე საუბრობთ. დამიჯერეთ, ნატა, არ იყო ის ხანჯალი სასიკვდილოდ ნასროლი. მას რომ ჩემთვის სასიკვდილოდ ესროლა, ამ ნუთებში აქ აღარ ვიჭდებოდი, რადგანაც ბაკურ თხოველის სასიკვდილოდ ნასროლი ნებისმიერი სახის იარაღი მხოლოდ სიკვდილს იწვევს. ასე ჩვენ არაერთხელ გვისვრია ერთმანეთისთვის. ეს ჩვეულებრივი ამბავია...

— ვის გისვრიათ ერთმანეთისთვის?

— ჩვენ. მე და ბაკურს.

— თქვენ რა, მეგობრები ხართ?

— განუყრელი ძმები.

ნატა გელოვანს მხოლოდ ახლა გაეხსნა სახე.

— მე კი მეგონა, დაუძინებელი მტრები იყავით ერთმანეთის.

— არა! მსგავსი მეგობარი მე ცხოვრებაში არ მყოლია. სწორი იყო მისი საქციელი. ბაკური მთიელთა ტრადიციებზე აღზრდილი და მან სხვაზე უკეთ იცის, რომ ასე ხელაღებით არ შეიძლება ქალის სინძინდის შებღალვა, ვინც არ უნდა იყოს ის... ახლა კი გისმენთ, ნატა.

— არ ვიცი, საიდან გაიგეთ ეს ყველაფერი, — ხმადაბლა წამოიწყო ნატამ, თავი ასწია, მიმოიხედა, — მაგრამ თქვენ მართალი ხართ. ჯონსონის მეუღლე მე არ ვარ და საერთოდ, ასეთი ცხოველის ცოლობას სიკვდილი მიჰობს. ატლანტიდან ვარ, ჟურნალისტი. ორი კვირაა, რაც ჩამოვედი ავღანეთში. წარმოშობით ქართველი ვარ.

ბაბუაჩემი 1924 წელს, აჯანყების დამარცხების შემდეგ გამოჰყოლია ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს საფრანგეთში. ოცდაათიანი წლებიდან შტატებში ცხოვრობს. ბებიაც ქართველია და დედაჩემიც. მამა მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორია, დედა — ექიმი თერაპევტი. ერთადერთი ძმა მყავდა. საზღვაო ოფიცერი იყო. გასულ წელს დაიღუპა. ომის დროინდელ ნაღმზე აფეთქდა მისი წყალქვეშა ნავი, — შეყოვნდა. გუჩი ჩაიკვნიტა. — გაინტერესებთ, რა მინდა თქვენთან, რას ან ვის დავეძებ?

— დიას!

— მიუხედავად ჩემი მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი რა მომეღოს, მაინც ჟურნალისტად ვრჩები ცეცხლის წუთებშიც. ბაკურისთვის მინდოდა მეტყვა, მისთვის მეტხოვა, რომ შევეხვედრებინე იმ ადამიანთან, ვისი ნახვის სურვილმაც მომიყვანა აქ. სამწუხაროდ, ის დაგალების შესასრულებლად გაგზავნეს. ამ წუთებში თქვენ ხართ ჩემს გვერდით, მისი მეგობარი და თქვენ გთხოვთ დახმარებას, თუ, რა თქმა უნდა, თქვენს ძალებს არ აღემატება ეს.

— მითხარით, ვინ გინდათ?

— არ ვიცი მისი სახელი და გვარი. ყველა „შავ საცანას“ ეძახის. ახმედ რამაზანოვმა გადაიხარხარა. ნატას წყენისგან სახე შეეფუკლა.

— ისევე დამცინით? მე გენდეთ, მაგრამ როგორც ვხედავ, ტყუილად. უცებ დასერიოზულდა ახმედი.

— არა, ნატა. თქვენი დაცინვა არც მიფიქრია. ახლა არ გეტყვით, თუ რაზე გაძეცინა, მაგრამ ძალიან თვითონ მიხვდებით და ეჭვიც არ მეპარება, თქვენც გაიცინებთ. იქნებ ამისხნათ, რამ გაგიჩინათ მისი ნახვის სურვილი?

— რამ გამიჩინა მისი ნახვის სურვილი?! — ქალიშვილი დათქვდა. — პირდაპირ გეტყვით: სულეიმან სამანის სიტყვებმა. სიტყვებმა, რომლითაც მან თავის მეომრებს მიმართა. აი ეს სიტყვებიც:

„მე ვისურვებდი, რომ ყოველი თქვენგანი იყოს იმნაირი მეომარი, როგორც ჩემი შვილის მკვლელია. სამწუხაროა, რომ „შავი საცანა“ ავლანელად არ დაიბადა. ის მარტო სწორუბოვარი მონინააღმდეგე როდია. ის ჯენტლმენია. ღიას! ამას მე ვამბობ, სულეიმან სამანი, მისგან გამწარებული მამა. მე მისი სიკვდილი მწყურია და მოკვდება კიდევ. აქამდე ათასჯერ შემეძლო მუხთლურად, ღალატით მომეკვლევინებინა, მაგრამ ცოდვა „შავი საცანა“ ამნაირი სიკვდილისთვის. მან მოკლა ჩემი შვილი, დახოცა ბევრი; უფრო მეტ ჩვენთანს კი პირველი შემთხვევისთანავე ზედ გადაეთარა და სიცოცხლე შეუნარჩუნა. მტერი ვაჟკაცი ჭობია ლაჩარს და გაუტანელს...“ აი მაშინ დამებადა სურვილი შევხვედროდი „შავ საცანას“, გავსაუბრებოდი მას. ან, უბრალოდ, თვალი მაინც მომეკრა მისთვის.

— იცით? — რამაზანოვმა მთებს გახედა. — მას გულშიც არ გაუვლია სულეიმან სამანის შვილის მოკვლა, მაგრამ თვითონ ის, სამანის ვაჟი აღმოჩნდა მუხთალი და გაუტანელი. არავის უფიქრია მისი და მისი მეგობრების სიცოცხლის ხელყოფა, მან კი სროლა ატეხა. „შავი საცანა“ იძულებული იყო ესროლა.

— თქვენ იქ იყავით იმ დროს? — პროფესიული სისწრაფით იკითხა ნატამ.

— მე ცოტა მოშორებით ვიყავი, — გაიღიმა ახმედმა. — იქიდან ვუყურებდი ამ სურათს. მითხარით, ნატა, გარეგნულად როგორ წარმოგიდგენიათ ის?

— როგორ და! — ნატა გელოვანმა თვალები მონკურა. — ასე, ორმოცი წლის. ორი მეტრი სიმაღლის. ნაჭრილობებით დაფარული სახე, ოდნავ კოჭლობს... უაღრესად განვითარებული მუსკულატურა. თავი გადაპარსული... დაახლოებით ამდაგვარია ჩემს ნარმოდგენაში „შავი საცანა“.

— მე დაუბაგებ, — რამაზანოვმა ხელი აწია. — მარცხენა თვალი შავი ნაჭრით აქვს აკრული. ხელში მოღუნული ხმალი უჭირავს. რა გამოგვივიდა? XVI საუკუნის ესპანელი მეკობრე? არა, ნატა! ხმალი ნამდვილად არა. ავტომატის მაგივრად მას თან მსუბუქი ქვემეხი ღააქვს, ამხელა ქვემეხს პისტოლეტით ცალი ხელით ისვრის და ჭურვს ჭურვში აჯენს...

— მოვეშვით ხუმრობას, შეგიძლიათ თუ არა, რომ შემახვედროთ მას?

— გპირდებით. ხვალ საღამოს მე მას გაჩვენებთ.

— ხვალ გვიან იქნება! — თავი ჩაღუნა ქალიშვილმა.

— რატომ იქნება გვიან?

ნატამ თავი ასწია. პირდაპირ შეხედა.

— ხვალ „შავი საცანა“ ცოცხალი აღარ იქნება!

ახმედ რამაზანოვი ფეხზე წამოდგა. ნატა გელოვანი შეაკრთო მისმა თვალებმა... ხელოი მოჰკიდა. წამოაყენა.

— გაიმეორეთ, რა თქვით?

— მეგს ვერაფერს გეტყვით! — ამოიკუნესა.

ახმედმა ხელი შეუშვა. გუშავს გახედა.

— ხან ახმედოვ!

— გისმენთ, ამხანაგო ლეიტენანტო!

— საით წავიდა ფხოველი?

— ნომერ პირველზე! სანვათი ჩაასხით მანქანაში. სწრაფად!

ნაგა შექრწუნებული მისჩერებოდა რამაზანოვს. გონება მომენტალურად გაუნათდა. აი, თურმე რატომ იცინოდა!

— მითხარით, „შავი სახანა“ ბაკურია?

ახმედს მისთვის არ შეუხედავს, ისე დაუქნია თავი. წარბშეჭმუხნული ხეობას გაჰყურებდა და დაძაბული რაღაცას ფიქრობდა. ნაგა ახლოს მივიდა მასთან.

— თუ სამხედრო საიდუმლოება არაა, სადაა თქვენი ნომერ პირველი საგუშაგო?

— რაში გაინტერესებთ?

— თუ თქვენ მართლაც ბაკურის მეგობარი ხართ, მოეშვით ამნაირ ცონს. ამის დრო არაა ახლა. ეს საგუშაგო მდინარეების, ქაბულისა და თურბათის შესართავთან ხომ არ არის?

რამაზანოვი მთელი ტანით შემობრუნდა, შავი, მომწუსხველი თვალებით დააჩერდა.

— საიდან იცით ეს თქვენ?

— ო, ღმერთო! — თვალებზე აიფარა ნაგამ ხელები. მხრები აუცახცახდა.

— ნუ გირით. ტირილი ვერ უშველის მას. მითხარით, ნაგა, რაც იცით. ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, გესმით? თუ ყველაფერი მეცოდინება, მე არ დაგუშვებ მის სიკვდილს.

ნაგამ საათს დახედა.

— ახლა ოცი წუთია შვიდის. რა დრო გჭირდებათ საგუშაგომდე მისასვლელად?

— მანქანით ოც წუთში იქ ვიქნები.

— მაშ დრო გვაქვს! — ნაგა გელოვანი კუნძზე ჩამოჯდა. ხელით ანიშნა ახმედს. რამაზანოვი ქვაზე დაეშვა კვლავ. მოუთმენლად მიაჩერდა ქალიშვილს.

— წუხელ ღამით გვიანობამდე მდინარესთან ვიჯექი, — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით დაიწყო ნაგამ. — შემცივდა და ბანაკისკენ წავედი. ჩემს კარავს მიუახლოვდი. წინ კოცონი ენთო. სიბნელეში შევდექი ერთ ხანს. გუშაგები კოცონთან იჯდნენ. ნარკოტიკებს ეძალებოდნენ. ფეხაკრეფით გავიარე და კარავში უხმაუროდ შევედი. კარავი ორგანყოფილებიანია. ერთში სულეიმან სამანი ცხოვრობს თავის ახალგაზრდა ცოლთან ერთად, მეორეში — მე. საუბარი



მომესმა. აშკარად ისმოდა მამაკაცების დაგუღული, ბოხი ხმები. საძილე ტომარაში ჩავწექი. დაძინება ვცადე. ამაოდ. მოულოდნელად რუსული სიტყვები გავარჩიე თხელ კედელს იქით. ჩემდაუნებლიედ ყური მივუგდე.

— ესე იგი ხვალ ღამით? — ეს სამანის ხმა იყო, საშინელი აქცენტით.

— დიას! ის ხუთი დღის შემდეგ უნდა გაემგზავროს და თუ ხვალ არა!..

— ხვალ! ხვალ! — ისტერიულად ამოიყვირა მოხუცმა.

— კარგით, ბატონო გუბერნატორო! ხვალ ღამით ჩვენ მას თურბათის საგუშაგოზე გავაგზავნით.

— წყლების შესართავთან?

— დიას! ქაბულისა და თურბათის შესართავთნ. მას ხელში გაძლევთ. მაგრამ ჩვენ ჩვენი წინდანინ უნდა მივიღოთ, — ხმას დაუწია უცნობმა.

— ნარკოტიკის ის რაოდენობა, რაც უნდა მიიღოთ „შავი საგანას“ საფასურად, უკვე აქ არის და თქვენ მას მიიღებთ ახლავე. მაგრამ, — სულეიმანის ხმაში მუქარა გავრთა, — იცით, რომ ჩვენ გრძელი ხელები გვაქვს, ჩვენი საცეცები, ყველგან წვდება. შეთანხმება შეთანხმებაა!

ცოცა ხნით სიჩუმე ჩამონვა.

— რომელი საათიდან იქნება „შავი საგანა“ საგუშაგოზე? — ეს კვლავ სამანის ხმაა.

— ხვალ თორმეტი საათიდან ზევ თორმეცამდე.

— რამდენი კაცი ეყოლება თან?

— ოცდაათი ან ორმოცი. ეს მასზეა დამოკიდებული, რამდენს წაიყვანს.

— მაშ ასე! — სულეიმანის ხმა მიწყდა ცოცა ხანს. სიჩუმე ჩამონვა. — ზევ დილას უკვე ვეღარ იხილავს მზის ამოსვლას „შავი საგანა“. ბოლო მეომრის სიცოცხლედაც რომ დამიჭდეს, მას ხვალ ღამით სიკვდილი ელის. ღამის თორმეცზე დაუნიწყებთ შეტევას...

ჩაჩუმდა ნატა.

— ყველაფერი გასაგებია, ნატა! თორმეცზე დაინყებენ შეგევას? ძალიან კარგი! პირველის ნახევარზე მათი გვამებით იქნება იქაურობა მოთენილი. მითხარით, სულეიმან სამანთან მოსაუბრის ხმას თუ იცნობთ კიდევ?

— იცით? — ნატა გელოვანი შეყოყმანდა. ვერ გადაწყვიტა, ეთქვა თუ არა ის, რისი თქმაც უნდოდა.

— გისმენთ! — ახმედმა მოლოდინით საესე მზერა მიაპყრო.

— მე მათი საუბარი ჩავინერე.

— ხმის ჩამწერით? — რამაზანოვს თვალები გაუბრწყინდა.

— ღიახ!

— კასეცა თან გაქვთ?

— არა! მისი თან წამოღება ჩემთვის საკმაოდ დიდი რისკი იყო. იქვე კარვის ქვეშ მინა ამოვიჩიქნე და შიგ დავმალე. დღეს კი ის კაცი, ვინც წუხელ სულეიმან სამანთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, თქვენს შტაბში ვიხილე.

— თქვენ ის დაინახეთ? — ქალიშვილის წინ ჩაიჩოქა.

— დავინახე და საკმაოდ კარგადაც. თანჯრიდან ვუყურებდი. კოცონთან მივიდა, სიგარეტს მოუკიდა.

— ვინაა ის? — სახე დაეძაბა ახმედს.

— ის გახლავთ სახენაჭრილობევი ოფიცერი, ვისაც ჩვენი, ტყვეების დაცვა ავალია.

— კაპიტანი სკვორცოვი? — ახმედ რამაზანოვის თვალებში მძულვარება გამოკრთა, ზიზღით გახედა შტაბის შენობას, მის წინ მობორიალე ოფიცრებს.

— ნატა, მე უნდა წავიდე დაუყოვნებლივ. თქვენ ჩემთვის არაფერი გითქვამთ, გამიგეთ? თუ ვინმე რაიმეს შეგეკითხებათ, უთხარით, რომ მე თქვენ სიყვარულს ვიხსნიდით. შევთანხმდით?

— კარგით! — გაელიმა ნატას ნაძალადევად. — ძალიან გთხოვთ, გადაეცით ბაკურს,

რომ მე მას მოუთმენლად ველი.

— აუცილებლად! ნახვამდის, ნატა. ხვალ დილაამდე!

უკუნი სიბნელეა. სიჩუმეს მხოლოდ მდინარეთა გაღვების შხეილი არღვევს. სადღაც მიკიოტი თუ ჭოტი აკივლდა. ბაკურმა საათს დახედა. თორმეტი სრულდება. მაინც და მაინც ამაღამ გაიწელება დრო. როდის გათენდება? თავი მიაყრდნო ქვას. მთელი ძალით შეისუნთქა მდინარიდან მონახერი ჰაერი. გაღვები ზათქით ენარცხებოდა ნაპირს და შხეფებს ისროდა. თხოველს უცაბედმა, დაუძლეველმა სურვილმა მოუარა, გაღვებში ჩაეყვინთა, ქვეშ გაძრომოდა, ზათქი და გრუხუნი უკან მოეგოვებინა და დიდ, სრიალა, აქაფებულ გაღვებს ზემოდან მოქცეოდა. გაღვებში ცურვა უდიდესი ნეგარებაა. გაღვებთან ბრძოლა არ გჭირდება. აჰყვები და დაჰყვები გაღვებს. ხანდახან წამოიქოჩრება ჩქერები, მაგრამ თავზე არ გადაგივლის. ცურვა ადვილია, გაღვა გაღვას მოსდევს, ლუდის ბოთლივით მწვანე, მთვარის ათინათის შიშინა მაქმანით შემოქარგული.

შხარი იცვალა. თავდაღმა ჩაემხო...

„რა მემართება?! ხომ არ ვგიჟდები? შემიყვარდა? ვინ? სხვისი ცოლი? შემიყვარდა ერთი ნახვით? რა ვქნა? ნატა დაფინახე, მისი ხმა გავიგონე და მიფხვდი, თუ რაოდენ ფუჭი და უაბრო ყოფილა ჩემი ცხოვრება დღემდე. რა უსამართლო ხარ, ღმერთო!“

აფეთქების ხმამ ზეზე წამოაგდო ბაკური. აფეთქებას აფეთქება მოჰყვა. ხეობაში სადღაც, სულ ახლოს, გაკაპასებით აყეფდა ტყვიამფრქვევი. დაძახული მიაჩერდა სიბნელეს, შემდეგ კი ავტომატს დაავლო ხელი და საგუშაგოზე აიჭრა.

— ამხანაგო მეთაურო! — გემდეგი წინ შეეჩება, — ნება მომეცით მოგახსენოთ!

— რა ხდება?!

— ჩახანსურიდან აქეთ მომავალი ბილიკი დანალმული აღმოჩნდა.

— ჩვენი ბიჭები, ვინც ბილიკს იცავდა, სად არიან?

— ბიჭებს არათვერი უჭირთ, ბილიკზე კი ავლანელთა ლამის მთელი ასეული აფეთქდა.

— მარგარიან! რას ბოდავ, თუ იცი? ეგ ბილიკი ჩვენ არ დაგვინაღმავს, თუ მოწინააღმდეგე მხარემ დანალმა, გიყვები იყვნენ, ზედ გაეფლოთ?

— საქმეც მაგაშია, ამხანაგო ლეიგენანტო! — თეთრი კბილები გააელვა სომეხმა. — ჯერ ჩვენი ბიჭები გაკოჭა, შემდეგ კი დანაღმა.

— გაკოჭეს? ვინ გაკოჭა?

— ვილაცამ! — ხელები გაშალა მარგარიანმა. — სათითაოდ მოუყუჩებია მამედოვი და სოკოლოვი, ხელები და თვეები გაუკვრია ორივესთვის, პირები ნაჭრით ამოუტენია, მოუთრევია აქვე ჩვენს ახლოს დაუტოვებია ორივე და თვითონ სარეკორდო ღროში დაუნაღმია მთელი გზა.

— იცნეს, ვინ იყო?

— ვერა, სახე ჰქონია ახვეული. ვინც აფეთქებებს გადაურჩა, უცნობმა მამედოვის ცყვიამფრქვევით მოცელა ყველა, შემდეგ კი იარაღი იქვე მიატოვა და სანამ ჩვენ მივიდოდით, უგზო-უკვლოდ გაქრა.

ფხოველი უსიგვოდ გაეცალა მარგარიანს. პოზიციას ჩამოუარა. ყველა ადგილზე იყო. აღარავისთვის არათფერი უთქვამს. ყველამ იცოდა თავისი საქმე. წყლისპირზე ჩავიდა კვლავ. ჩამოჯდა. მუხლზე დაიდო ავტომატი. წყლის ტალღებს დააჩერდა.

„შემლილი, შემლილი ომი! ყველა, ყველა, მთელი ეს შემლილების ბრბო ცდილობს, რომ ეს ომი ომს ჰგავდეს. არავინ იშურებს ძალ-ღონეს და მთელი კეთილსინდისიერებით ასრულებს თამაშის წესებს. და აი შედეგიც...“

უეცრად უცნაური სახე წარმოუდგა რატომღაც თვალწინ. დამგვრეული საათის სახე — აულების, მეჩეთებისა და სადგურების საათების, მიტოვებული სახლების არეულ ოთახებში მდგარი საათების სახე... და მკვდარი საათების სასაფლაო, გაქცეული მესაათის ვიტრინაში.

„ომია... აღარავინ მართავს საათს. აღარავინ იღებს მოსავალს. ალბათ აღარავინ თიქრობს ომისწინანდელ, ნორმალურ ცხოვრებაზე. წყალი, რომელიც წყურვილის მოსაკლავად და ჩადროსანი ქალების მშვენიერი, სადღესასწაულო განსაცმლის გასარეცხად იყო ყიშლაღებში, დღეს ჭუჭყიან გუბებზედ დგას მეჩეთების წინ.“

ჩემი მომავალი, ჩემი ჭეშმარიტება ნამსხვრევებადაა ქცეული და მე მხოლოდ ცალ-ცალკე შემიძლია განვიხილო ეს ნამსხვრევები. თუ ვიცოცხლე, ღამეს დაველოდები, ამნაირ უკუნს, ჩემს საყვარელ ღამეს. ღამით გონებას სძინავს და წყდება შეგნების დამანგრეველი

მუშაობა. კვლავ იძენს მთლიანობას ის, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია. ადამიანიც კვლავ აერთიანებს თავისი სამყაროს ნაკუნებს და მშვიდდება, როგორც ხე — ქარის ჩადგომისას. ღამით ადამიანი ისევ პოულობს სიყვარულს, ვინაიდან სიყვარული სიცხეების კორიანტელზე ძლიერია. დაე, მალე მოვიდეს ის წყნარი ღამე, რომ ცხადად დავინახო ის, რაც ღირსია სიყვარულისა, რომ შემეძლოს ცივილიზაციაზე, ადამიანის ბედსა და მეგობრობაზე დაფიქრება, რომ მომინდეს რომელიმე ძლიერი, თუმცა იქნებ ჯერ კიდევ შეუცნობელი ჭეშმარიტების სამსახური.

ახლა მე იმ ქრისტიანს ვგავარ, რომელსაც რწმენა დაეკარგა, გამოეცალა. ახმედთან ერთად შევასრულე ჩემს როლს, ეს უეჭველია, მაგრამ მე ისე შევასრულე მას, როგორც იმ წესს, რომელსაც აზრი აღარა აქვს, იმიტომ, რომ მის მიღმა აღარ არის ღმერთი. და, თუ ვიცოცხლე, ღამეს დაველოდე, რომ ცოცხალი ვიყავი იმ გზაზე, რომელსაც სიცოცხლის გზა ჰქვია და მარტოდ დარჩენილმა, გავარკვიო — რატომ ვიყავი ავლანეთში, რატომ ვარ აქ? რატომ უნდა მოვმკვდარიყავი, ან რატომ უნდა მოვკვდე?!

ომი. შეშლილთა ომი!

ჩვენ ხომ ომის საყოველთაო ორომტრიალის ნაწილები ვართ. ჩვენ მისთვის ბაკურ თხოველი და ახმედ რამაზანოვი არა ვართ. ჩვენ არა ვართ ადამიანები, რომლებსაც მოვლენების დანახვის ან დაუნახაობის საკუთარი უნარი შესწევთ, უნარი იმის, რომ იფიქრონ, სვან, გაიღიმონ. ჩვენ რაღაც ვეება ნაგებობის ნამსხვრევები ვართ. ხოლო ამ ნაგებობის აზრსა და დანიშნულებას რომ ჩანვდე, გაცილებით მეტი ღრთა საჭირო, გაცილებით მეტი სიჩუმე და მეტი დაშორება. აქ, ამ ქაოსში, პრობლემების გროვაში, საყოველთაო ნგრევაში, ჩვენ თვითონაც ნამსხვრევებად ვიქცევით. ნამსხვრევები კი ღღეს აღარავის აღელვებს.

ომი! ომი!

რამდენი დაგვარგეთ... რატომ? რისთვის? ბიჭები, ვინც გუშინ სიცოცხლეს შეჰხაროდა, ღღეს... საერთოდ კი, როგორც არ უნდა გვიყვარდეს განსვენებული, ჩვენი, ცოცხლების კავშირი მასთან დარღვეულია. სიკვდილი დიდი საქმეა. სიკვდილი სრულიად ახალ დამოკიდებულებას ბადებს განსვენებულის შეხედულებების, ნივთიერებისა და ჩვეულებებისადმი. იგი ახალ წესებს ამყარებს. ერთი შეხედვით თითქოს არაფერი შეცვლილა. და ამავე ღრთს ყველაფერი შეიცვალა. იმისათვის, რომ სიკვდილი ვიგრძნოთ, ის წუთები და საათები უნდა გავიხსენოთ, როდესაც ის, ვინც ჩვენგან წავიდა, საჭირო იყო ჩვენთვის და მხოლოდ მაშინ ვიგრძნობთ, როგორ გვაკლია იგი. უნდა გავიხსენოთ ის საათები, როდესაც ჩვენ

ვჭირდებოდათ მას და აი — ჩვენ უკვე აღარ ვართ მისთვის საჭირო. უნდა წარმოვიდგინოთ მისი სტუმრობის, მასთან შეხვედრის საათი და ვიგრძნოთ, რომ ეს საათი დაცარიელდა. ცხოვრება პერსპექტივაში უნდა დავინახოთ.

მაგრამ დაკრძალვის დღეს არც პერსპექტივა არსებობს და არც სივრცე. მიცვალებული ჯერ კიდევ ნაწილებად დაქუცმაცებული. დაკრძალვის დღეს ჩვენ თადარიგის ფაციფუცით და გულწრფელი ან პირფერული ხელის ჩამორთმევით ვართ დატანგულნი და დახურდავებულნი. მიცვალებული მხოლოდ ხვალ მოკვდება — სიჩუმეში. იგი მთელი თავისი არსებით წარმოგვიდგება თვალწინ, რომ მთლიანად მოგვწყდეს. და მაშინ გმინვა აღმოგვხდება იმის გამო, ვინც მიდის და ვისი შეჩერებაც აღარ ძალგვიძს.

მე არ მიყვარს ომი! მძულს იგი! არ მიყვარს ომის იათასიანი სურათები. ამ სურათებზე ნამდვილი მეომარი სწრაფად იშორებს ცრემლს და მღელვარებას მწარე ოხუნჯობით თარავს. ეს სიყალბეა! ნამდვილი მეომარი არაფერს თარავს. და თუ მწარე სიტყვა წამოსცდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სწორედ ასე ფიქრობს.

მე უკვე ვეღარ ვხედავ ჩემი ტაძრის კედლებს...

მე მკვდარი ღვთაების სამსახურისთვის ვემზადები...

თუ რაიმე ცნობას მოველი, რომელმაც ბედნიერება ან უბედურება უნდა მომიტანოს, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სიცარიელეში გადამისროლეს. შიშს საკუთარი რაობის გაქრობა ბადებს. და ვიდრე ამ გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ, ჩემი გრძნობები და ჩემი საქციელი დროებითი ნიღაბია მხოლოდ. დროის დინება — ერთმანეთის მომდევნო წამები — აღარ ქმნის იმ პიროვნებას, რომელიც ერთი საათის შემდეგ მე ვიქნები.

მე უკვე აღარ ვგრძნობ მოსალოდნელ საფრთხეს. ეს ასეც უნდა იყოს. ეკლესიის მნათეს სიყვარული ღმერთისადმი იმაში ვლინდება, რომ იგი სიამოვნებით ანთებს სანთელს. წყნარად დააბიჯებს ეკლესიაში, რომელსაც ვერ ხედავს, და უხარია, როცა მისი ხელების ქვეშ ზედიზედ ინთება კანდლები. ხოლო როცა ყველა კანდელი აინთება. იგი კმაყოფილია, ამაყობს თავისი საქმით... მთვარია, მთელი შენი არსებით მიეცე საქმეს, თუნდაც მიზანს გარკვევით ვერც კი ხედავდე. ეს მიზანი გონებისთვის არ არის განკუთვნილი. იგი სულისთვისაა. სულს სიყვარული შეუძლია, მაგრამ მას სძინავს. ახლა მე ეკლესიის მამებზე ნაკლებ არ ვიცი, რა არის ცდუნება; ცდუნება — ესაა აპყვე გონების კარნახს, როდესაც სულს სძინავს.

მე შევპირდი საკუთარ თავს, თუ ვიცოცხლე, დაველოდები ღამეს, სადმე მშვიდობიან ადგილას, მშვიდ, უკუნ, საყვარელ ღამეს და მაშინ უკეთ გავეუგებ საკუთარ თავს. ვისწავლი დანახვას.

თუმცა, იქნებ ვერც კი შევძლო იმის გამოთქმა, რასაც შევიცნობ. როცა ქალი მშვენიერი მეჩვენება, შეიძლება არაფერი ვუთხრა, მაგრამ გავაღმერთო. მხოლოდ დავგვებ მისი ღიმილით. ანალიტიკოსი ნანილ-ნანილ განიხილავს მშვენიერი ქალის სახეს, რომ განმარტოს მისი სილამაზე, მაგრამ ამის შემდეგ იგი ღიმილს ვეღარ დაინახავს.

რაიმეს ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ ნანილებად დაჰყო, ან განმარტო იგი. რაიმეს ცოდნა მის განჭვრეტას ნიშნავს. მაგრამ იმისთვის, რომ დაინახო, უნინარეს ყოვლისა, მონანილეობა უნდა მიიღო. ეს მკაცრი სკოლაა...”

ფხოველმა დამძიმებული თავი ასწია. გაიღიმა...

„მე ვივლი როგორც უსინათლო, რომელიც ხელგანვდილი მიიკვლევს გზას სინათლისკენ. ბრძას არ ძალუძს აღწეროს ცეცხლი, მაგრამ იგი პოულობს მას. და იქნებ ასე მაინც წარმომიდგეს თვალნინ ის, რაც თვალთ არ ჩანს, მაგრამ ცოცხლობს, როგორც ნაკვეთხხალი სოფლის ღამეების ღველფქვემ. მე უკვე ვიშრომე და ვზიდე ქვები უხილავი შენობის ასაგებად. მე თვითონ ვამზადებ ჩემს ბეიმს და არავითარი საფუძველი არ მექნება, რომ საკუთარ სულში ვიღაც მეორე ადამიანის მოულოდნელი გამოჩენა ვამცნო ხალხს, რადგან ეს მეორე ადამიანი ის არის, ვისაც მე ახლა ვეძი. ამ წუთში ისეთი სიმშვიდით ვარ მოცული, როგორც მოხუცი. ყველაფერი, რაც სამი საათის წინ მაღელვებდა, უსაზღვროდ შორეულ წარსულად მეჩვენება, ხოლო ხვალისდელი დღე — უსაზღვროდ შორეულ მომავლად...”

ნატა!

გული რომ ასე ძალიან არ მტკიოდეს, ფეხებზე დავიკიდებდი ავღანელებსაც და მათ ტყვიებსაც. თავს მივდებდი და ბებერი გირანივით ჩავთვლემდი. საოცარია, რომ სულ რაღაც ერთი საათის უკან შენზე ლექსებს ვთხზავდი. ეს საშინელი სიყალბე იყო. განა მე ნაზ ოხვრაზე ვფიქრობდი მაშინ, როცა პირველი აფეთქების ხმა გავიგონე?! არა, ნატა! მე შენზე აღარ ვფიქრობდი უკვე. მე კრახანების გესლზე ვფიქრობდი. ნამდვილად მხოლოდ ამაზე. მე არაფრის დანახვა აღარ შემიძლია ჩემს უკან. უკან მე უკვე მკვლელის თვალთ ვიცქირები... მკვლელის.

სკეპსისისა და სიგყვების თამაშის მეტი აღარაფერი დამრჩენია. რაღა თქმა უნდა, მინდა მწამდეს; ომი არ მინდა, მაგრამ ვომობ; მინდა მომკლან, მაგრამ ბოლო წუთებში მე ვასწრებ სხვას სროლას.

მაგრამ როგორც არ უნდა მოგვეჩინდეს თავი ჩვენი გამარჯვებებით, მშვიდობიანი სოფლების განადგურებით, — ძნელია ამ საქციელმა აღგვაფრთოვანოს.

ძნელია ცხოვრება. ადამიანი იმ ურთიერთობათა კვანძია მხოლოდ, რომელიც მას ქვეყნიერებასთან აკავშირებს. და, აი, აღმოჩნდა, რომ ეს კავშირები არაფრად არ ღირებულა.

რა ჩაკვდა ჩემში? სად იფარება ამ ცვლილებათა საიდუმლო? როგორ აფხნათ, რომ სხვა პირობებში შემაძრწუნებდა ის, რაც ახლა ასეთი განყენებული და შორეული მეჩვენება? როგორ უნდა აიხსნას ის, რომ რაიმე სიგყვას ან ხელის რაიმე მოძრაობას შეუძლია უსაზღვრო სივრცე დაანახოს ადამიანს — სივრცე, რომელმაც მისი ცხოვრება უნდა განსაზღვროს?

ცხოვრება ყოველთვის ამსხვრევს ფორმულებს. და დაღუპვას, როგორი საზარელიც არ უნდა იყოს იგი, შეუძლია თვითონ გაკაფოს ერთადერთი გზა აღორძინებისაკენ.

რომ გაიგონოს ვინმემ, ცხადია გამკიცხავენ, რომ ამ ომს „შემლილთა ომი“ ვუნოდე.

მაგრამ მე ხომ ვუნოდე მას ეს სახელი. მაშასადამე, მე იგი მართლაც „შემლილთა ომად“ მივიღე. მე კი უფლება მაქვს, ისე ვიხუმრო მასზე, როგორც მომესურვება. იმიტომ, რომ მთელ მსხვერპლს მე და ჩემნიარები ვიღებთ. მე უფლება მაქვს ვიხუმრო საკუთარ სიკვდილზე, თუ მე ეს გამართობს... ახმედსაც აქვს ამის უფლება... და, საერთოდ, ყველა მეომარს. მე უფლება მაქვს პარადოქსებით გავერთო. რატომ იწვის სოფლები? რატომ მილასლასებს გზებზე სახლკარიდან აყრილი ხალხი? და რატომ შევიჭერთ უყოყმანოდ ამ მექანიზებულ სასაკლაოში?

მე ყველაფრის ნება მაქვს, იმიტომ, რომ ამ წუთას მშვენივრად ვიცი, რასაც ვაკეთებ. მე ჩემი ნებით ვეგებები სიკვდილს. მე რისკს კი არ ვწევ, მე ომს კი არ ვიღებ, არამედ სიკვდილს ვეგებები! ესაა და ეს. ჩემს წინაშე, ჩემს თვალწინ, დიდ ჭეშმარიტებას მოეფინა შუქი. ომი რისკი არაა. ეს არ არის ბრძოლის მიღება. ზოგჯერ ომი სიკვდილის მიღებაა მხოლოდ.

რისთვის ვიბრძოდი? ინტერნაციონალური ვალი? სისულელეა ამაზე ფიქრიც. კომუნისტთა ლიდერებმა საკუთარი ინტერესებისთვის წამოიწყეს ეს ომი. მთელმა მსოფლიომ იცის ეს. ადრე თუ გვიან ყველაფერი წაგებულ იქნება. მაშ რისთვის განვაგრძობთ სიკვდილს?



სასონარკვეთილების გამო? მაგრამ ჩვენ არავითარ სასონარკვეთილებას არ ვგრძნობთ! ჩვენს უკან ხომ „დიდი საბჭოეთია“, ხალხთა „დიადი კავშირი“. თქვენ წარმოდგენაც არ გქონიათ, რა არის კაცასტროფა, თუ გვინათ, რომ მას სასონარკვეთილების წარმოშობა ძალუძს. არსებობს უფრო მაღალი ჭეშმარიტება, ვიდრე გონების ყველა საბუთი. ჩვენ რაღაცით ვართ გამსჭვალული და რაღაც წარმართავს ჩვენს საქციელს. მე ვემორჩილები ამ რაღაცას... ხეს ენა არა აქვს. ჩვენ ხის რტოები ვართ. არსებობს ამკარა ჭეშმარიტებები, რომელთა სიცყვებით გამოთქმაც შეუძლებელია. იმიტომ კი არ მივდივარ სასიკვდილოდ, რომ თავდამსხმელებს გზა გადაუღობო. არ არსებობს ისეთი სიმაგრე, რომელსაც თავს შევაფარებდი იმათთან ერთად, ვინც მიყვარს და გაუმკლავდებოდი მტერს. სახელის გულისთვისაც არასდროს წავსულვარ სასიკვდილოდ, იმიტომ, რომ სახელის საქმედ არა ვთვლი ამას. მე ყოველთვის უარყოფდი მსაჯულებს. სასონარკვეთილების გამოც არასდროს გამინირავს თავი.

ნატა!

ჩემი ნატა, უცნობი გოგონა, ხანძარში აღმოჩნდა? მე გადავარჩენ მას! და ვერავინ შეძლებს ჩემს დაკავებას. ცეცხლი ედება?! — გავაქრობ ამ ცეცხლს: თუ საჭირო გახდა, ჩემი სხეულის ნაფლეთებს შევნირავე მას...

და უცებ ვხვდები, რომ სრულებითაც არ მყვარებია ის, რაც ასეთი მნიშვნელოვანი მეჩვენებოდა. და მე მზად ვარ გაწირო ჩემი სახელი, ოღონდ კი გაუწოდო იგი მას, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდება. მე მთლიანად ჩემს საქციელში ვვლინდები. მე ჩემი საქციელი ვარ. ჩემი სხეული შენ გვეუთვნის, მაგრამ იგი შენ აღარა ხარ. ველარავინ დამიმორჩილებს ჩემს სხეულზე ძალადობის მუქარით. მე მტრის სიკვდილი ვარ. მიუხედავად ამისა, მოკვლა, ვიღაცის სიკვდილი მინდოდა ოდესმე? არასოდეს!

მე შენი გადარჩენა ვარ, ნატა! მე ვცვლი ჩემს თავს. და ვერ ვგრძნობ, რომ რაიმეს ვკარგავ ამ დროს. ჩემი ხელები? თუხები? ისინი იარაღებია მხოლოდ. მიმიფურთხებია იარებისთვის, თუ ისინი ცყდებიან, როცა ლოდს თლიან. და...

ნატა!

მე არაფერზე გავცვლი შენს თვალებს, შენს ღიმილს... არც მტრის სიკვდილზე, არც არავის გადარჩენაზე, არც ავადმყოფის განკურნებაზე, არც თვით ჩემს სიცოცხლეზე...“

ბაკურ ფხოველი ჩაფიქრებული მისჩერებოდა ღამის სიბნელეში მდინარეთა დინებას. სადღაც მიკიოტი თუ ჭოტიც დადუმებულიყო... ნამოდგა. პოზიციაზე ავიდა. რაციას მიუჭდა...

სძინავს ნატა გელოვანს. თენდება უკვე. სულ რაღაც ორი საათია გათენებამდე დარჩენილი. საოცარ სიზმრებს ხედავს. უნდა თავი წამოსწიოს, გამოუხიზლდეს. ამაოდ. სიზმარი, ტკბილი ზმანება გრძელდება კვლავ.

სადღაც უდაბურ კუნძულზეა მარტოდმარტო. ირგვლივ წალკოცია თითქოს, მაგრამ სიცარიელე. ეშინია ნატას. ეშინია მარტოობის. უეცრად ხმა, რაღაც ხმა ჩაესმის. თავს სწევს. კუნძულს გარს შემოჭარული ღრუბლებიდან თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, ბრვე მამაკაცი გამოდის. ღიმილით გამოხედა ნატას. იცნო ნატა გელოვანმა. ეს ხომ ამერიკის პრეზიდენტი! პრეზიდენტმა ხელი აწია:

„ნუ გეშინიათ! დაიხსომეთ, სადღაც არ უნდა იმყოფებოდეს ამერიკელი, თუ მის სიცოცხლეს საშიშროება დაემუქრება, მის სახსნელად აფრინდებიან თვითმფრინავები, ოკეანეებს გადაცურავენ ავიამზიდები და წყალქვეშა ნაგები. ცოცხალი სადღაც გაქრება რასობრივი და სოციალური პრობლემები — ყველაფერი, მცირედ და არაფრისმთქმელად ქცეული ამერიკის ერთი მოქალაქის სიცოცხლესთან შედარებით. არ შეშინდეთ!“

შებრუნდა. უკან, ღრუბლებში გაუჩინარდა. სიხარულით ევსება გული ნატას. მთელი სისწრაფით მომავალი დიდი, თეთრი გემი გამოჩნდა ზღვაზე. კუნძულისკენ აქვს გემი აღებული. ამერიკის დროშა ფრიალებს ზედ. თავისუფლების სიმბოლოდ ქცეული, ვარსკვლავებიანი, ღამაში დროშა. ეს ვინ დგას კაპიტანის ბოგურაზე? ვინაა ეს ბიჭი? ღმერთო, რა ნაცნობი სახე აქვს! ეს ხომ! ეს ხომ! „ბაკურ!“ — ნატა მთელი ძალით გარბის მოახლოებული გემისკენ. ფხოველი აღარ ელოდება ნავის ჩაშვებას, განსაცმლიანად ხტება გემიდან. ნაპირისკენ მოისწრაფის შხეფებში გახვეული...

კარის ჭრიალმა გამოაღვიძა. გათენდა? არა, ისევ ბნელა. ოთხი ღანდი უჩუმრად შემოლაგდა ოთახში. შიშისგან სუნთქვა შეეკრა ნატას. ერთ-ერთმა ასანთს გაჰკრა. იცნო ოთხივე. ჭონსონი, კაპიტანი სკვორცოვი და ორი ჯარისკაცი. ნელა დაიძრნენ მისკენ. ნატა წამოხტა, კედელს აეკრა. ჯო ჭონსონი მიუახლოვდა. არყის სუნი შეატერქვია ქალიშვილს.

— ჩაგვიშვი? — ხმადაბლა იკითხა.

— მე არავინ ჩამიშვია. ახლა კი გადით აქედან, სანამ ვიკვივლებ!

— იკვილებ? ვერ იკვილებ! — ჯონსონმა ტუჩებზე ააფარა ხელი. თმებით მოქაჩა. — შენ, შენ ჩაგვიშვი. შენ ჩაგვიფუშე ყველაფერი. ახლა ყველაფრისთვის გაბლვევინებთ... კარებმა კვლავ გაიჭრიალა. ყველა იქით შებრუნდა. ნამიცი და ყველაფერი, ყველა ერთმანეთში აირია. ოთახში სიკვდილის ლანდივით დაქროდა ვიღაც და მტკიცე ხელით სიკვდილს თესდა. არავინ ყვიროდა. არ ატყვილა სროლა. არავინ ითხოვდა შეველას და შებრალებას. ჯონსონის სისხლი სახეში შეესხა ნაცას. ფარანი აინთო. მისმა შუქმა სათითაოდ გადაუარა დახოცილებს. დაყვირება დააპირა. ტუჩებზე კვლავ აეფარა ხელი.

— წყნარად, ნაცა! მე ვარ! — ნაცა გელოვანის წინ რამაზანოვი იდგა.

— რა ჩაიდინეთ ეს? — ძლივს ამოილულულა.

— სხვა გზა არ იყო. თქვენ სიკვდილი გელოდათ.

— რატომ! რატომ!

— იმიტომ, რომ ნარკომატიას გადაუდევით გზაზე. თქვენ ბაკური იხსენით, მაგრამ სხვისი საათივით აწყობილი გეგმა ჩათუშეთ. ახლა კი რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავიდეთ აქედან.

— ბაკურის გარეშე მე არ წავალ არსად! — ნაცა კედელთან ჩაცუცქდა.

— მისმინეთ, ნაცა! — ახმედმა თუხით გადააბრუნა სკვარცოვის გვამი, გვერდზე მიაგდო. — ერთ საათში ითენებს. ჩვენ ჩვენი სიმართლის დამტკიცებას აქ ვერაფრით შევძლებთ. მე სამხედრო ტრიბუნალს გადამცემენ და დამხვრევენ. ჯანდაბას ეს ამბავი, არ ვწუხვარ ჩემს სიკვდილზე, მაგრამ მინდა სიმართლე არ დაიკარგოს. როგორც თქვენ, ქართველები ამბობთ: „სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგოს“.

— კარგით, ბატონო, მაგრამ როგორ გინდათ სიმართლის დამტკიცება? დამტკიცება იმის, რომ თქვენ უდანაშაულოდ არ დახოცეთ ეს ხალხი?

— სამანის ბანაკში დატოვებული კასეგა უნდა ავიღოთ! — ისეთი სიმშვიდით თქვა რამაზანოვმა თითქოს საკუთარი სახლის ეზოში აპირებდა შესვლას.

— კასეგა? — წამოიყვირა ნაცამ. — მართალი ხართ! მაგრამ როგორ ამოვიღოთ?

— მაგაზე შემდეგ ვითქვით. ახლა კი წავიდეთ.

— ბაკური? — ცრემლი მოაწვა, მუდარით შეხედა ახმედს, — რა ბედი ენია მას? იყავით მასთან?

— არა. მანქანა გამიფუჭდა გზაში და უკან დავბრუნდი. სხვა მანქანით ვაპირებდი წასვლას და რაციით გადმოსცეს კიდევაც პირველი საგუშაგოდან, რომ...

ჩაჩუმდა.

— რომ რა? ჩქარა თქვით!

— რომ ფხოველმა გაანადგურა თავდამსხმელთა მთელი ჯგუფი. ახლა ალბათ მამალი ინლაურივით გაფხორილი დადის იქ. აი, ამ ცნობის მიღებამ დააჩქარა თქვენთვის განაჩენის გამოცანა. მიხვდნენ, რომ ნებით თუ უნებლიეთ თქვენ იცოდით და გაეცით ეს საიდუმლო. ახლა ხვდებით ყველაფერს?

— ვხვდები. გმადლობ. მაგრამ...

— რაღა მაგრამ?

— მიჯობს მეც თქვენთან ერთად დამხვრიტონ, მაგრამ ბაკურის უნახავად მე არ წამოვალ. ახმედი კედელს მიეყრდნო. ჩაფიქრდა. ასე იღვა ერთ ხანს. გამოერკვა. თარანი გაუწოდა.

— მომინათეთ! — თურცელი ამოიღო. წერა დაიწყო. მორჩა. ქალაღი გაკეცა. — მე მას ბარათს ვუტოვებ. თუ მენდეთ, ბოლომდე მინდა, რომ მენდოთ, ნაცა. ამ ბარათს მიიღებს თუ არა, კვალში ჩავგვიდგება. მე საკმაოდ კარგად ვიცნობ მას. ახლა კი დროა...

მეორე ღამე. ღამის პირველი საათი. ბაკურ ფხოველი მგლური ნაბიჯით მიუყვება ბილიკს. ჩქარობს. იცის, საითაც მიდის. იცის, რაზვე მიდის... უკან დაბრუნდება? ჯანდაბას, თუ არ დაბრუნდება! მისთვის მხოლოდ ნაცას გადარჩენას აქვს აზრი. მას უკვე აღარ აინტერესებს საკუთარი თავი. როდესაც რაღაც მიზნისთვის სწირავ საკუთარ სხეულს, მხოლოდ იმ წუთებში ხედავ, რა მცირე მნიშვნელობა ჰქონია მას შენთვის.

„ჩემო სხეულო, მიმიფურთხებია შენთვის. მე ამოგყორცნილი ვარ შენგან, მე აღარ მაქვს გადარჩენის იმედი და აღარათფერი მჭირდება! მე უარყოფ ყველაფერს, რაც ამ წუთამდე ვიყავი. აქამდე მე არ ვფიქრობდი, არ ვგრძნობდი არაფერს — ეს მხოლოდ ჩემი სხეული იყო. მე იძულებული ვიყავი, ამ წუთამდე მომეყვანა იგი, როდესაც მიხვდი, რომ მას

არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩემთვის.

სიკვდილი ჩამსაფრებია ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ სიკვდილის მოლოდინში არა ვარ მე, რომელიც ყოველ მომდევნო წამს შეიძლება მოჰყვეს. არა! მე ყოველ წამს ხელმეორედ ვიბადები. ჩემი ცხოვრება სიხარულის ნიაღვარმა, ალტაცების უწყვეტმა ნაკადმა გაიტაცა. საოცრად, ალტაცებულად ვგრძნობ თავს. თითქოს ყოველ წამს ხელახლა ვიძენდე სიცოცხლეს, თითქოს ყოველ წამს ვიმსჭვალეობდე სიცოცხლის უფრო და უფრო მძაფრი შეგრძნებით. მე ვცოცხლობ. ცოცხალი ვარ ჯერჯერობით. სიცოცხლის წყარო ვარ მე! ვთვრები სიცოცხლით. ამბობენ, მეომარი ბრძოლით თვრებაო. სწორედ ეს არის სიცოცხლით თრობა...“

შეჩერდა. ბილიკი ორად იყოფოდა. უყოყმანოდ დაადგა მარჯვნივ მიმავალს. ცოცხალი ხნის შემდეგ მის წინ სინათლეები გამოჩნდა. პატარა, მბრუნავი სინათლეები. ყიშლავებიდან ძაღლების ყეფა ისმოდა. ფრთხილად შევიდა სოფელში. პირველივე სახლთან შედგა. მიმოიხედა. უხმაუროდ გადაეწვლია ღობეს. მკრთალად განათებულ ფანჯარას მიადგა. დააკაკუნა. სინათლე გაქრა. კარებისკენ ვიღაც წამოვიდა. გაიღო.

— რომელი ხარ? — სანადირო თოფმომარტყეული გამოვიდა შუახნის ავღანელი.

— ბაკური! — ფხოველმა გყვიამფრქვევი ძირს დადო. კიბებზე ჩამოჯდა. ავღანელმაც მის გვერდით ჩაიმუხლა.

— სახლში მარტო ვარ. შევიდეთ შიგნით! — მასპინძელი საკმაოდ გამართული რუსულით ლაპარაკობდა. — დაისვენე.

— დასასვენებლად არ მცალია. ახმელი ხომ არ გამოჩენილა აქეთ?

— ის და მისი თანმხლები ქალიშვილი შენ გელოდებიან! — გაიღიმა ავღანელმა.

— მე მელოდებიან?! — ბაკური შეაცხუნა მოულოდნელმა ამბავმა. რისხვა, ბრაზი მოულოდნელად გაუქრა. ფეხზე წამოდგა. — სად არიან?

გოგონა აქ არის ჩემთან. ახმელი კი ერთი საათის უკან ჩახანსურისკენ წავიდა. ბევბრი ვუშალე. თავისი გაიტანა მაინც. დილით დავბრუნდებიო.

— რისთვის წავიდა?

— არ ვიცი!

— სძინავს მას?

— მგონი, არა.

— ძია ქათუხუნ, განუხებთ, მაგრამ უთხარით, რომ მე მოვედი.

— რას ამბობ, შვილო! ახლავე! — ქათუხუნი სახლში შებრუნდა...

— ბაკურ! — ნატა კიბის საფეხურებს სირბილით გადმოეწვლო. როგორ ჩანს, არ ეძინა.  
— მოხვედი?! —

ყვლბე შემოეჭლო.

— ნატა! ამისხენი, რა მოხდა, — ბაკურ ფხოველის სახეზე სიცვიის ნიღაბია მხოლოდ...

ოთხი საათი იყო უკვე. ისხდნენ. ბაკურის მთელი არსება სინანულს მოეცვა. მისთვის ყველაფერი აშკარა იყო. რამაზანოვი ფხოველზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა სულით. მან მეგობრისთვის ყველაფერი გააკეთა. ყველაფერი, რისი გაკეთებაც უბრალო მოკვდავს შეეძლო.

— შეიძლება ძალიან ბევრის უფლებას ვაძლევ თავს, სიჩუმე ნატამ დაარღვია, — მაგრამ ძალიან მაინტერესებს, შემთხვევის ადგილზე რატომ გოვებ შენს ხელწერას და რატომ მაინც და მაინც ეშმას ახატავ?

ბაკურ ფხოველს ნაღველმა გადაურბინა სახეზე.

— ერთი პაგარა ბიჭი იბრძოდა ჩვენთან. ლიგველი იყო. მეოცნებე, მორიდებული, ამ დროს უაღრესად განათლებული მის ასაკთან შედარებით. მიყვარდა მასთან ჯლომა და საუბარი. საოცრად გულჩვილი იყო. პირველად მოკლული რომ ნახა, გული გაუხდა ცუდად. ჩემს გვერდით ცდილობდა ყოფნას სულ. არც მე ვიშორებდი გვერდიდან. როცა სიმშვიდე იყო, საათობით შეეძლო მჯდარიყო განმარტოებით და ლექსები ეწერა. რამდენიმე თვის უკან მე და ახმედი საქმეზე ვიყავით წასული. ისე მოხდა, რომ პირველი მე დავბრუნდი იქიდან. ცოცხალი აღარ დამიხვდა. საგუშაგოზე მყოფი მოეკლათ. ნანამები იყო. მკერდზე დანით ეშმა ჰქონდა ამოგვიტრული, უფრო სწორად — დახატული. არ ვიცი, შენ იცი თუ არა, ნატა, რომ არსებობს ავღანელთა ერთი სექტა, რომელიც ეშმას სცემს თავყანს. მათი გაკეთებული იყო ეს... როცა სამანის ვაჟმა თავი შემოგვაკლა, მის მკლაფზე ტატუირებული ამ სექტის ნიშანი, შავი

ეშმა შევნიშნე და მაშინ მომივიდა თავში ეს საშინელი, მანიაკური აზრი, შურისძიების მიზნით, მათივე ნიშანი დამეტოვებინა ყველგან. თუ რატომ გავაკეთე ეს, ჩემი მეგობრისთვის არ მითქვამს. არც დაინტერესებულა. ალბათ ომისგან გადაღლილის ჩვეულებრივ ახირებად ჩათვალა.

იჭიჭრიბანდა. ითენა კიდევ, როცა ახმელი მოვიდა. ნატა გაკვირვებული მიაჩერდა მეგობრებს, რომლებიც ძალიან უბრალოდ შეხვდნენ ერთმანეთს. არავითარი ხვევნა-კოცნა, გრძნობების ხმამაღლა გამოვლინება. ხელი ხელს დაურტყეს. ეს იყო და ეს. თითქოს არაფერი მომხდარიყოს...

— რა ქენი? — კითხულობს ბაკური. სადღაც იყურება შორს.

— წამოვიღე! — რამაზანოვმა ცელოფანგადახვეული კასეტა ნატას გაუწოდა. — ესაა?

— კი, ესაა! — სიხარულით უბრწყინავს სახე ქალიშვილს. — როგორ მოახერხეთ? იყავით შესული?

— არა! ორმოდან თვითონ ამოსულიყო და აქეთ მოდიოდა, — ავღანელს შეუბრუნდა. — ბატონო ქათუნ, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ აქედან, თქვენც გაერიდეთ ღროვებით აქაურობას.

— რაიმე სერიოზულია?

— კი. მომდევნ. წუთი-წუთზე აქ იქნებიან. რომ მცოდნოდა ბაკური უკვე აქ იყო, იოლადა აუურევდი მათ კვალს, მაგრამ ნატას მარტო დატოვება არ მინდოდა.

— საით აპირებთ? ქათუნმა ლეიბი ასწია. „კალაშნიკოვი“ ამოიღო. მჭიდი მოარგო. სარკმლიდან გახედა.

— საზღვარზე უნდა გადავიდეთ! — ხმადაბლა, ყრუ ხმით თქვა თხოველმა. ყველა მას მიაჩერდა.

— რატომ საზღვარზე?

— იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, სად ზის მათეის მამამთავარი. კი, ბატონო, ჩვენ ეს კასეტა წარუდგინეთ ჩვენს დაბვერვას, ჩვენი სარდლობის რომელიმე ხელმძღვანელს. და იქნებ ეს ყველაფერი იქიდან იღებს სათავეს? მერე რა ვქნათ? კასეტა გაქრება, ახმელი კი

საბრალოდ სკამზე აღმოჩნდება. ნულარ ვაყოვნებთ. რამდენი კილომეტრია საზღვრამდე?

— ორი. იმ კლდის იქით პაკისტანია! — ავღანელმა აღმოსავლეთისკენ გაიშვირა ხელი.

— ნავედით!..

— მე გაგაცილებთ! — მასპინძელმა კარი გამოიხურა.

— არა! — რამაზანოვმა მკლავში მოჰკიდა ხელი. — ჩვენ ისედაც საკმაოდ დავალებული ვართ თქვენგან. მადლობის მეტს ვერაფერს გეტყვით. დაე, ღმერთმა მაინც გადაგიხადოთ სამაგიერო ჩვენთვის განუელი სიკეთისთვის. ახლა კი მშვიდობით! თავს გაუფრთხილდით.

ქათუნს თვალები დაენისლა.

— ეჰ, ბიჭებო! მე თუ რაიმე მომივა, ჩემს მინაზე მაინც ვარ, მაგრამ თქვენ? დაიმახსოვრეთ ჩემგან, სადაც არ უნდა მოხვდეთ, ეცადეთ სამშობლოში დაბრუნებას, რადგან სამშობლო-დაკარგული კაცი ის აგორებული ლოღია, რომელიც არავინ იცის, სად დაიმახსვრევა. სხვის მინაზე, სხვის ცის ქვეშ არავის გაუხარია იცოდეთ! — მთებისკენ გაექცა მზერა, — არავითარ შემთხვევაში იმ ბილიკებით არ წახვიდეთ, საიდანაც დაქირავებულები შემოდიან. მშვიდობით, ბიჭებო!

სროლის ხმამ გაჰვეთა დილის სიჩუმე. ქათუნი არაბუნებრივად შეტოკდა, ხელები გადაიქნია და დაეცა. იმავე წამს ახმედის ცევიამ ლობიდან ჩამოაგდო ზედ ამოსული ავღანელი, რომელიც უკვე მეორე გასროლისთვის ემზადებოდა. ცევია თავში მოხვედროდა ქათუნს...

— მდინარის სანაპიროთი უნდა გავიდეთ! — ბაკურმა ალაგ-ალაგ ამომშრალ კალაპოტს გახედა! — ვიჩქაროთ, სანამ გზებს გადაკეტავენ.

მდინარისკენ დაეშვნენ. ნატა გელოვანს მასპინძლის ავტომატი ეჭირა ხელში.

— შეგიძლია სროლა? — ბაკურმა ლოდიდან ჩასვა.

— შეეძლებ! — ჯიუტი ნაპერწკალი კრთის მის თვალებში.

გარბიან. ალაგ ლამიანია კალაპოტი. სხვაგან ღორღი და უშველებელი ლოდებია. ნუთით შედგნენ.



— იქით კი გადავალთ, მაგრამ როგორ მიგვიღებენ პაკისტანელები?

ეს რამაზანოვის ხმაა. სიჩუმეა ჩამონოლილი. ფხოველი ჩუმად დგას. იგივე ფიქრი აწვალვებს მასაც.

— მაგაზე ნუ გეფიქრებათ, — იღიმება ქალიშვილი. — არსებობს პიროვნება, ვისი სახელიც გზას გაგვიკვალავს ყველგან.

— ვინაა?

— ბენაზირ ბჰუტო!

— შენ იცნობ მას? — ფხოველს აშკარად ეცყობა, არ სჭერა ნათქვამი.

— ჩემი მეგობარია. შტატებში ყოფნის დროს ჩემს ოჯახში ცხოვრობდა.

სიტყვა არც დაემთავრებინა, რომ თითქმის ყოველი მხრიდან სროლა ატყდა. მათ კვალდაკვალ, სანაპიროზე შემოვარდნილ ჯგუფს ცყვიამტვრქვევის ცეცხლი შეაგება ბაკურმა. წეროებივით დაითანგნენ თავდამსხმელები. ახმედ რამაზანოვმა ღურბინდით მოხსრიკა გასასვლელი გზა. ყოველი მხრიდან მორბოდნენ ავღანელი მებრძოლები. ფხოველი ერთი ნახტომით გაჩნდა ახმედის და ნატას გვერდით.

— ახმედ! ნატა წაიყვანე და წადი აქედან!

— მე აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. უშენოდ არსად წავალ! — ნატა გორაკზე გამოჩენილ ავღანელებს ავტომატის ჯერებით შეეგება.

— მე კი არა, შენ უნდა წახვიდე! — რამაზანოვმა სწრაფად ამოიღო მიზანში კლდეზე გადმოხრილი მეომარი. წამიც და მისი უსულო სხეული მდინარეში ჩაეშვა.

— ახმედ, მისმინე! პატიჟის დრო არაა ახლა. კი, მე წავიდოდი, მაგრამ ჩემი გზა მხოლოდ სიკვდილის გზა იქნება, შენ კი ნატასთვის სიცოცხლე ხარ. მისი გადარჩენა ხარ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ენები იცი. იოლად გახვალ თონს. მე კი! — ხმა ჩაეხლიჩა, — გადი! გაიყვანე დროზე! მე დაგიცავთ!

— ვერ წავალ!

— ნახვალ! ნახვალ, გესმის? — იყვირა ბაკურმა. — თუ ჩემი ძმა ხარ, ახლა მჭირდება შენი თავი. ნატა გაიყვანე! მოაშორე აქედან!

— კარგი! საზღვარზე გადავაცილებ და დავბრუნდები. მანამდე გაუძელი! — ახმედი ფეხზე წამოიჭრა. ნატა, მომყევი!

ნატას ტირილი წასკდა. ბაკურს მოეხვია.

— რატომ გვიცილებ თავიდან?

— იმიტომ, რომ ასეა საჭირო! იმიტომ, რომ იცოცხლოთ, გაჰყევი, ნატა... წადი! — თხოველმა თვალი აარიდა. რამაზანოვის ავტომატი თავის წამონწევის საშუალებას არ აძლევდა ავლნელებს.

— მიყვარხარ! — ჩაიჩურჩულა ნატამ.

გველნაპენივით შეტოვდა ბაკური. თვალები დახუჭა. ტუჩი ჩაიკვნიტა. სძლია თავს...

— ნატა! მე უკვე ბედნიერი ვარ. და თუ გინდა, რომ ეს ბედნიერება, ჩემი ბედნიერება დიდხანს გაგრძელდეს, წადი. ჩქარა წადი! — ხმას დაუნია. — ახმედი უკან აღარ გამოუშვა. ესაა ჩემი ბოლო თხოვნა...

ახმედს ხელჩაკიდებული მიჰყავდა ქალიშვილი. უკვე კლდეებს უნდა მოფარებოდნენ.

— ნატა! — მოისმა ბაკურის ხმა.

— თუ „შავი სახანა“ შენს სტატიებში როდისმე გაიხსენე, მის ეროვნებაზე ნუ დანერ ნურათერს. კარგი? — სროლის ხმაურში ჩესმა ნატას.

ტირილით მიჰყვა ქალი ახმედს...

გამოელია ცყვიები. ყუმბარები მოსინჯა. ბოლო საგამნე მოარგო ავტომატს. გაიხედა საზღვრისკენ ცყვიამფრქვევი, ახლა უკვე უსარგებლო ნივთად ქცეული, კლდიდან გადაავლო. „უკვე სამშვიდობოს იქნებიან! დროა, მეც გავიდე“. მის გვერდით ვეება კლდის ნაპრალი მდინარემდე ჩასდევდა. დაუყვა. ჩაჰყვა ბოლომდე. ზევით ახედა. ის ადგილი, სადაც ცოტა ხნის წინ თავს აფარებდა, კვლავ ცყვიის ცეცხლში იყო გახვეული. კლდის ძირს სირბილით დაუყვა. მის გვერდით რალაც გასკდა, რალაც აფეთქდა. აფეთქების ტალღამ ჰაერში აიტაცა,

კლდეს მიახეთქა და უგრძნობლად დასცა ძირს...

რა საზიზღარი სუნია! სად ვარ? თვალეები გაახილა. თავი წამოსწია. ხელეები გაკრული აქვს. თეხეებიც. რაღაც სარდათია. მყრალი, ნესტიანი. ვირთხამ ტანზე გადაურბინა. „ცყვედ ვარ! მაინც ცოცხლად ჩამიგდეს ხელში?!“ მწარედ გაელიმა. „მორჩა! ყველაფერი დამთავრდა.“ კედლისკენ მიცურდა. ბეჭებით მიეყრდნო. სადღაც, მაღლიდან ყრუ ხმები ისმის. კარი იღება. ვილაცყები შემოვიდნენ. სახეზე მიაწათეს. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. თეხები შეუხსნეს, ხელი მოკიდეს. გამოიყვანეს. მზემ თვალი მოსჭრა. შეკრული ხელეები ასწია. თვალეები მოიფშვინტა. მთელი სხეული ტეხდა. გაბრუებული თავი... მიმოიხედა. ავლანელთა ბანაკში იყო. მიდამოს გახედა. მთებში იყვნენ. სადღაც ძირს ძაფივით მოსჩანდა მდინარე. ტანზე დაიხედა. განსაცემელი ზედ შემოხეოდა. ხელი სისხლიანი ჰქონდა. „დაცემის დროს გადამჭრია ალბათ!“ მეომრები ბანაკში თითქმის არ ჩანდნენ. სულ რამდენიმე ათეული შეიარაღებული მიმოდიოდა ირგვლივ. ქალების და ბავშვების სიმრავლე იყო.

ხის ცოცხებისგან გაკეთებულ საჩრდილობელში მოხუცი კაცი იჯდა. თავთან დაცვა ედგა. მასთან მიიყვანეს. მოხუცი გრძელ წვერს თითებით ივარცხნიდა და ყურადღებით შეჰყურებდა თხოველს. თავისიანებს რაღაც უთხრა. ხელეებიც შეუხსნეს.

— ვინა ხარ? — იკითხა მოხუცმა.

— საბჭოთა ჯარისკაცი!

— ეროვნება. წოდება. გვარი, სახელი?

შვება იგრძნო. მიხვდა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვინ იდგა მათ წინ.

— რიგითი პეტროსიანი. ეროვნებით სომეხი.

— რატომ იბრძვი? — მოხუცი მოლუშული მისჩერებოდა.

— ჯარისკაცი ასრულებს ბრძანებას! — მოკლედ მოუჭრა. თვალი გაუსწორა.

— რამდენი წლის ხარ?

— ოცდასამის.

— კი მაგრამ, აქამდე რატომ არ იმსახურე? როგორც ვიცი, თვრამეტი წლის ასაკიდან

გინვევენ ჯარში?

— ინსტიტუტში ვსწავლობდი, — თავი დახარა ფხოველმა. თვალწინ დაუდგა ინსტიტუტში გატარებული წლები. თანატოლები. „ისინი ახლა ლექციაზე სხედან ან სადღაც რესტორანში, ბარში. მე კი!“

— რა გაქვს დამთავრებული?

— მეოთხე კურსზე ვარ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვსწავლობ... ვსწავლობდი!  
— ნაღვლიანად გაეღიმა.

— სად წავიდა „შავი სახანა“? — მოულოდნელად იკითხა მოხუცმა.

— ვინ? — ბაკური დაიძაბა. „ინყება!“

— იცი, ვისზე გეკითხები. შენ, შეუგნებლო, უვიცო ბიჭო, ის და მისი თანმხლები ქალი გაუშვი, თვითონ კი სასიკვდილოდ გასწირე თავი. შენი ხელით დღეს კიდევ ოცდაექვსმა დედამ და დამ მოისხა შავი. ოცდაექვსი სამშობლოს პატრიოტი შეენირა შენთან ბრძოლას. შენი მეგობარია ის?

— დიახ! — „ახმედი ჩემში ეშლებათ! ღმერთო! ესე იგი გავიდნენ!“

— მხოლოდ მაგ პასუხისთვის ხარ სიკვდილის ღირსი. მაგრამ სიკვდილიცაა და სიკვდილიც. — მოხუცი დაფიქრდა. — შენ კი წამებით ამოგხდი სულს. სულეიმან სამანმა იცის, როგორ მოექცეს მგრებს!

ბაკურ ფხოველი მღუპარედ შეჰყურებდა მოხუცს. სულეიმან სამანი! აი, თურმე როგორი ყოფილა ის!

იქვე ახლოს ცეცხლი ენთო. სამანმა ავღანურად რაღაც დაუძახა მეომრებს. ორივე ხელზე თოკები მოაბეს ბაკურს. ბოძზე მიაბეს გაშლილი ხელებით. ფეხები დაუბეს. ხალხი მათ შორიასლოს მოგროვდა. ცეცხლში რაღაცას აცხელებდნენ. წვერმოშვებული ავღანელი, რომელიც ცეცხლთან ცრიალებდა, ზეზე წამოდგა. ხელში მათრახი ეჭირა. მავთულისგან დაწნული, გაფარვარებული მათრახი. მისკენ წამოვიდა. წელზევით გაშიშვლებულს, მთელი ძალით გადაჰკრა ბეჭებზე. დამწვარი ხორცის სუნი აფარდა. არ უყვირია ფხოველს. სამანს მიშტერებული ჭიუტად იტანდა არაადამიანურ ტკივილს... მეორე ავღანელი დაიძრა მეორე

მათრახით...

ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა ადამიანის ნამება. სულეიმან სამანი გაოცებული უყურებდა ახალგაზრდა ცყვეს, რომელსაც ერთხელაც არ დაუკუნესია. ბოლო დარცმამზე თავი ჩამოუვარდა. სულეიმანმა ხელი ასწია. თოკები შესწნეს. ბაკური პირქვე დაეცა. საოცარი სიჩუმე გამეფებულიყო. ყველა უსიტყვოდ იდგა. თავი წამოსწია. სულეიმან სამანს გახედა. სამანს? არა! მის გვერდით მდგარ წყლის ჭურჭელს მისჩერებოდა. მიხვდა სამანი.

— დაალევინეთ!

დალია. მოგონდა. გაჭირვებით წამოინია. წამოდგა. ნელი ნაბიჯით წავიდა მოხუცისკენ. შეჩერდა მის წინ.

— უბრძანეთ, მომკლან!

სულეიმანი შეაძრწუნა ცყვის სიმშვიდემ, ფეხზე წამოდგა. ახლოს მივიდა.

— გტკივა?

— არა! — ცყვე გაღიმებას ცდილობდა. — არაფერი არ მტკივა. არაფერი, გარდა სულისა. სულის სიცარიელისა, — გაჭირვებით. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. — მე დაგიხოცეთ მეომრები, მოხუცო, მე მოგიკალით შვილი. მე ვარ ის, ვისი თავიც მილიონ ღოღარად გაქვთ შეფასებული. მე არა ვარ სიცოცხლის ღირსი. მომკალით! — დაბარბაცდა. თავი შეიმაჯრა. სიცოცხლეჩამქრალი თვალებით შეხედა სამანს.

— „შავი საგანა“?! — დაიხურჩულა სულეიმანმა. ზედ მიადგა. მხრებში ჩაავლო ხელი. შეანჯღრია.

— იცი, რას ამბობ? გაიმეორე, ვინ ხარ?

— ის, ვისაც თქვენ „შავი საგანა“ შეარქვეთ. ის, ვისი ხელითაც თქვენი შვილი, აბდულ სამანი დაიღუპა!

მოხუცმა თვალები დახუჭა. შეტორგმანდა. ხელი შეაშველეს. ჩამოჯდა. უსიტყვოდ, თქვიანად, თავჩახრილი იჯდა. თავი ასწია.

— სიკვდილს ითხოვ! მე არ მოგვლავ შენ. გაგიშვებ. გაგიშვებ ჩემი შვილის მკვლელს,

ბევრის, ძალიან ბევრის მკვლელს. შენი სიკვდილი მინდოდა, მაგრამ არა! არა ხარ სიკვდილის ღირსი. გახსოვდეს, უცხოელო, რომ ავლანელებმა ვიცით ვაჟუკაცი მტრის პატივისცემა, გინდაც მოსისხლის. მე გამაოცა შენმა სიმტკიცემ. არ ვიცი, სადაური ხარ, მაგრამ მუხლს ვიყრი იმ ერის წინაშე, ვინც შენ აგღზარდა. იმ დედის წინაშე, ვინც შენ გშობა და ძუძუ განოვა.

ბაკურმა მეგს ველარ გაუძლო. მონყვევით დაეცა. გული წაუვიდა.

— ექიმი! — დაიძახა სულეიმანმა. შუბლშეკრული დააჩერდა ფხოველის გაფითრებულ სახეს. — ექიმო, მიხედეთ და რაც შეიძლება მალე დააყენეთ ფეხზე! — შებრუნდა, მხრებში მოხრილი წავიდა კარვისკენ...

მზე ჩადიოდა...

## XI თავი

ისხდნენ. თანდათანობით ემატებოდა რესტორანს ხალხი. ცხელოდა.

— შემდეგ? — ეკამ ყავის ფინჯანი ხელში შეატრიალა. ფრთხილად დადგა.

— შემდეგ რა! ორი თვე მათთან ვინეჭი. მომარჩინეს და გამომიშვეს.

— ახმედი? ნატა?

— ნაწილში მისულს, მკვდრეთით აღმდგარს, ბიჭებმა გაბეთი „კრასნაია ზვეზდა“ მომიტანეს. პირველ გვერდზე ახმედის სურათი იყო. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიეცათ მისთვის.

— თვითონ სად იყო? ნატასთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა?

— არა! — გაელიმა ბაკურს. მხოლოდ მას არ დაეჭვებინა ჩემი დაღუპვა და მთებში მეძებდა...

— მაგრამ მან ხომ იცოდა, რომ ნატას შენ უყვარდი. რატომ, ან როგორ მოხდა, რომ ისინი შეუღლდნენ?

ბაკურ ფხოველს წამიერმა ჩრდილმა გადაურბინა სახეზე.

— ეს უკვე გვიან მოხდა... ჩემი ამბავია. მე ჩავერიე. ვატყობდი ახმედს თავდავიწყებით უყვარდა ნატა. მე რომ ის ცოლად მომეყვანა, მეგობარს ვკარგავდი. ახმედის დაკარგვას კი ვარჩიე მსხვერპლის გაღება... წლები დამჭირდა ნატას დასაყოლიებლად. როგორც იქნა დავარწმუნე, რომ ასე იყო საჭირო.

— შტატებში ჩადიოდი?

— არა. ოთხმოცდაორში ნატა მოსკოვში ჩამოვიდა. სამი წელი იმუშავა ამერიკის საელჩოში. მოსკოვში ვხვდებოდი. ყოველი მეორე კვირის ბოლოს თბილისში ჩამოდიოდა. ფეხით მოვიარეთ ფშაუ-ხევსურეთი, სვანეთი, მთა-თუშეთი, ყაზბეგი. ფეხით, არხოცის გავლით გადავედით ახმედთან გროზნოში.

— გასაგებია, — ეკა ფიქრიანად შეჰყურებდა ბაკურის მოლუშულ სახეს. — მაგრამ რატომ ცხოვრობდნენ ისინი ცალ-ცალკე?

— თავიდან ერთად ცხოვრობდნენ. შემდეგ კი ნატამ რატომღაც კვლავ შტატებში ისურვა დაბრუნება. ვფიქრობ, ბოლომდე ვერ გაუგეს ერთმანეთს. შეუღლებიდან სამი წლის შემდეგ ნატა შვილებთან ერთად ატლანტაში დაბრუნდა.

— ბაკურ! ნუ მინყენ, ძალიან გთხოვ, თუ შენი სულის რომელიღაც კუნჭულში დავინყებ ხელის ფათურს, მაგრამ მითხარი, მიუხედავად თქვენი მეგობრობისა, თქვენი ძმობისა, შენ ხომ ყოველთვის გიყვარდა ნატა და გიყვარს ამ წუთშიც?

ბაკური სკამის საბურგეს ისე გადააწვია, სკამმა ჭრიალი დაიწყო. სახე გაუფითრდა.

— ეკა, ნუ დაივიწყებ, რომ ნატა ჩემი მეგობრის ძეგლზე იყო! ამ თემაზე კი ნულარასოდეს ვისაუბრებთ... ხომ არ წაგიდეთ?

*ატლანტა. ახმედ რამაზანოვის დაკრძალვის დღე. გვიანი ღამე. მკრთალად მბჟუტავი ღამის ნათურა. ერთმანეთის პირისპირ სხედან ნატა და ბაკური. ბავშვებს სძინავთ.*

— რას დალევ? — ნატა წამოდგა.

— სულ ერთია.

— სოდიანი ვისკი?

— იყოს...

კვლავ დუმილი. უსაშველო, აუტანელი დუმილი... გლოვით გაჟღერებული ოთახის ჰაერით... ნატა ღვება. ოთახიდან გადის. შემობრუნდა. ხელში რაღაც უჭირავს. უხმოდ გაუნოდა ბაკურს. ფხოველმა დახედა. დალუქული ბარათი. ახმედის ნაწერი. იცნო.

„გახსენით ჩემი დაკრძალვის დღეს!“ — აწერია.

— როდის მიიღე? — ხელში ატრიალებს ბარათს.

— ერთი თვის უკან. მისი ბიძაშვილი ჩამოვიდა. მან ჩამოიგანა.

— გაეხსნათ?!

ნატა მხრებს იჩეჩავს. სიგარეტს იღებს. ხელი უთრთის. ბაკური ლუქს ხსნის. ფრთხილად იღებს ბარათს. ნატას აწვდის.

— შენ წაიკითხე, ხმამაღლა... ნატა თვალებს ხუჭავს... ფხოველი ნელა შლის.

„ვიცი, გული მიგრძნობს, რომ ჩემი დაკრძალვის დღეს ერთად იქნებით ჩემი მეგობარიც და ჩემი მეუღლეც. ბაკურ! ნატა! ალბათ თქვენ გახსნიით ამ ბარათს...“

ამ სიტყვებს გროზნოში ვწერ. ხვალ დილით ომში მივდივარ. ომში, ჩემთვის უსაყვარლესი ქვეყნის წინააღმდეგ. ქვეყნის, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების სამშობლოა. არ ვგრძობა, მიცნობთ მე, იცით, რომ სიკვდილის არასოდეს მშინებია. არც არასდროს მიფიქრია მასზე. ახლა კი წინათგრძნობა მაქვს ისეთი... ვიცი, რომ ჩემს ჩეჩნეთს ვეღარასდროს ვნახავ. გახსოვს, ბაკურ? ხშირად ღიღინებდი ხოლმე ვიღაც ქართველი ყაჩაღის სიტყვებს: „თუ ძალით არაფერს მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელს!“ მსგავსი განწყობილებით ვარ ამ წუთას. არ ვიცი, სად წამომენევა ქართველთა ტყვია. ამას არ ვდარდობ. ერთის მეშინია მხოლოდ, ძმაო! მკაცრია ბედისწერა, ვაი თუ შენმა ნასროლმა მომიღოს ბოლო?! არ ვიცი, როგორი იქნება ჩემი სიკვდილი, მაგრამ გჯეროდეთ, რომ არც ერთი ჩემი ტყვია ქართველთა წინააღმდეგ არ გაუარდება...

რა მოჰყვება ამ ომს? გულს გატკენთ ჩემი სიტყვები, მაგრამ აქ ქართული მხარე დამარცხდება. მოვლენებს თვალს ვადევნებ და ვიცი. ასე იქნება ეს. გულს ნუ გაიტყობთ. დამარცხება... გამარჯვება... მე კარგად ვერკევი ამ ფორმულებში. არის გამარჯვებები, რომლებიც ალათრთოვანებენ ადამიანებს და არის გამარჯვებები, რომლებიც ამდაბლებენ... ზოგ დამარცხებას დალუბვა მოაქვს, ზოგს კი — ერის, სიცოცხლის გამოღვიძება. ერის სიცოცხლე მის მოქმედებაში გამოიხატება და არა მდგომარეობაში.



ათხაზები არათერ შეაში არიან. თქვენ ჩრდილოეთის ვეშაპი გებრძვით. ათხაზები პაიკები არიან მხოლოდ.

ქართულ არმიას უკვე განწირულ, დამარცხებულთა ბრბოს ეძახიან. თუნდაც ასე იყოს... მაგრამ ღროებით დაბნეული ბრბო, თუ მასში არის თუნდაც ერთი ადამიანი, ვის შეგნებაშიც ეს ბრბო შეკავშირებულია, აღარ არის დაბნეულთა ბრბო. მშენებლობაზე მიზიდული ქვეები უნესრიგოდ დაყრილ გროვად ეჩვენება ადამიანს, მაგრამ სინამდვილეში ეს არაა ქვეების უნესრიგო გროვა, თუ მშენებლობაზე არის თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც მომავალ გაძარს ხედავს. ადამიანი მშვიდადაა, როცა მინდორში მოყრილი სასუქის ქვეშ მარცვალა მოქცეული. მარცვალი შეინოვს მის წვენს და ღვივდება.

ის, ვინც განჭვრეტამდე ამაღლდება, მარცვალი ხდება. ის, ვინც რაიმე ჭეშმარიტებას ჩასწვდა, ხელით მიათრევს მეორეს, რომ ეს ჭეშმარიტება გაუზიაროს. ის, ვინც რაიმე გამოიგონა, ცდილობს საჩქაროდ ამცნოს ადამიანებს თავისი გამოგონება. მე არ ვიცი, როგორ მოიქცევა ისეთი ადამიანი, როგორც შენ ხარ, ბაკურ, როგორ გამოხატავს თავის ზრახვებს. მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. მე ვიცი, რომ შენ საკუთარ მშვიდ რწმენას და სულის სიმტკიცეს გადასცემ ირგვლივ მყოფთ...

მინდა ჩანვლეთ გამარჯვების არსს: ის, ვინც წინასწარ ეძებს მნათეს ადგილს მომავალ გაძარში — უკვე დამარცხებულია. ის კი, ვინც გულით აგარებს მომავალი გაძრის ხატებას — გამარჯვებული. გამარჯვება სიყვარულის ნაყოფია. მხოლოდ სიყვარულის წინაშე ვლინდება ჯერ კიდევ გამოუქანდაკებელი ქანდაკების მოხაზულობა. მხოლოდ სიყვარული წარმართავს მოქანდაკის საჭრეთელს სრული გამარჯვებისკენ. გონება კი მხოლოდ მაშინ იძენს ფასს, როდესაც სიყვარულს ემსახურება.

მოქანდაკე მომავალ ქმნილებას დაატარებს გულით, მაშინაც კი, როცა არც იცის, როგორ დაიწყოს, როგორ გამოძერწოს ის. თითის ერთი გაჭრიდან მეორემდე, შეცდომიდან შეცდომამდე, წინააღმდეგობიდან წინააღმდეგობამდე, იგი აუცილებლად შექმნის უფორმო თიხისგან თუ ქვისგან თავის ქმნილებას. არც გონებას და არც ინტელექტს არა აქვს შემოქმედების უნარი. თუ მოქანდაკეს მხოლოდ ცოდნა და ინტელექტი აქვს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი ხელები გენიოსის ხელებია.

ჩვენ, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდილნი, დიდხანს ვცდებოდით ინტელექტის როლის შეფასებისას. არათრად ვაგვებდით ადამიანის არსს. ჩვენ გვეგონა, რომ მდაბალი სულის ადამიანების ვერაგულ ხრიკებს შეუძლია ხელი შეუწყოს კეთილშობილური საქმის გამარჯვებას, რომ მარტვე ეგობზმს შეუძლია თავგანწირულება გამოიწვიოს, რომ გულქვაობას და ამაო ლაყბობას ძმობის და სიყვარულის დამყარება ძალუძს. ჩვენ არათრად ვაგვებდით

არსს. კედარის თესლი, ადრე თუ გვიან, კედრად იქცევა, კვრინჩხის თესლი — კვრინჩხად. მე დიდი ხანია უარი ვთქვი განმესაჯა ადამიანები იმ საბუთების მიხედვით, რომლებიც მათ გადანყვევტილებებს ამართლებს. სიტყვების გულწრფელობის გამოცნობა ძალიან ძნელია, ისევე, როგორც საქციელის ნამდვილი მიზნისა. ადამიანი შინისკენ მიდის: მე არ ვიცი, რა მიაქვს მას იქ — ნაგავი თუ სიყვარული... უნდა შევეკითხო ჩემს თავს:

„რა ადამიანია ეს ადამიანი?“ და მხოლოდ მაშინ ვახდება ჩემთვის ცხადი, რისკენ მიუწევს გული და სად მიდის. ყოველი ადამიანი ბოლოს და ბოლოს მიდის იქ, საითაც გული მიუწევს...

მზისგან გამთბარი ყლორტი ყოველთვის იკატავს გზას ქვიან ნიადაგში. წმინდა ლოგიკოსი კი, თუ მას არავითარი მზე არ იზიდავს, პრობლემების ქაოსში გაიხლართება!

ბაკურ! ნატა! ადრე თუ გვიან ბნელში შთავინთქმებით. მინდა, რომ თქვენმა ქვეყანამ გათენებამდე გაძლოს. რა უნდა მოიმოქმედოთ, რომ გადაარჩინოთ იგი? როგორ უნდა იპოვოთ ამ ამოცანის უბრალო ამოხსნა? მას წინააღმდეგობა ელობება. აუცილებელია სულიერი მემკვიდრეობის გადარჩენა, თუ არა, ხალხის სული დაიღუპება. აუცილებელია ხალხის გადარჩენა, თორემ მემკვიდრეობა დაიღუპება. ლოგიკოსები კი ამ წინააღმდეგობის სიტყვიერ შერიგებას ვერ შესძლებენ, თანახმანი ვახდებიან ან სული გასწირონ, ან სხეული. ჯანდაბას ისინი! მინდა, რომ საქართველომ, ქართველმა ერმა სულითაც და ხორცილთაც მიაღწიოს განთიადამდე. იმისთვის, რომ სამშობლოს არგოთ, ვალდებული ხართ ყოველ წუთს მისწრაფოდეთ ამ მიზნისკენ სიყვარულით გამთბარი გულებით, სიყვარულის მთელი ძალით. ზღვა აუცილებლად გაიკვლევს გზას იქით, საითაც გაიწევს.

არც ერთი წუთით არ შეგეპაროთ ეჭვი გადარჩენაში. ჩემთვის გასაგებია სახე ბრძისა, რომელიც ცეცხლისაკენ მიდის. თუ უსინათლო ცეცხლისკენ მიდის, მას ცეცხლის მოთხოვნილება გასჩენია. ცეცხლი უკვე წარმართავს მას. თუ უსინათლო ცეცხლს დაეძებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან უკვე იპოვა იგი...

ეცადეთ, არასდროს აიცილოთ პასუხისმგებლობა დამარცხებისთვის, თუ არა ხშირად შეგრცხვებათ ამის გამო. თქვენ განუყოფელი ხართ საქართველოსგან. საქართველომ აღმაშენებლები, რუსთაველები, სააკაძეები, არსაკიძეები, თამარ მეფე აღზარდა. მაგრამ მან რეგენები, პოლიტიკანები და გაიძვერებიც გამოზარდა. იოლ საქმედ ნუ მიიჩნევთ რომ სოლიდარობა განუცხადოთ პირველთ და უარყოთ ყოველგვარი ნათესაობა მეორეებთან.

დამარცხება თიშავს. დამარცხება ანგრევს აგებულ მთლიანობას. ეს კი ერს სიკვდილს უქადის. იბრძოლეთ ყოველთვის ასეთი დაყოფის, გათიშვის წინააღმდეგ. ნუ დააკისრებთ პასუხისმგებლობას იმ თქვენს თანამემამულეებს, რომელნიც ისე არ იაზროვნებენ, როგორც

თქვენ. ერთმანეთთან კამათი, ქიშპობა სამართლიან მსაჯულთა გარეშე არათურთა მივიყვანთ. საბოლოოდ დამარცხდებით.

ყოველთვის გაიზრეთ საკუთარი ერის სირცხვილი! ეცადეთ გავლენა მოახდინოთ მის ბედზე. იგი განუყოფელი უნდა იყოს თქვენგან, როგორც თქვენ ხართ მისგან განუყოფელი. არ გაიზიარებთ მის დაცემას, მის შერცხვენას? ბედის ანაბარა მიაგოვებთ ერს და სამშობლოს? მაშინ ის დაიღუპება. თქვენ კი მარტო განაგრძობთ სიარულს, შეიძლება დიდებით მოსილნი, მაგრამ მკვდარზე უფრო გამოუსადეგარნი.

მე ჩაწვდი ყველა სარწმუნოების ერთ-ერთ საიდუმლოს: ადამიანმა ადამიანთა ცოდვა უნდა იგვირთოს... და ყველას ყველა ადამიანის ცოდვა აწვება გვირთად. განა შეიძლება ამაში სუსტის ფილოსოფია დაინახოს კაცმა? არა! ნაღდი გენერალი ბრძოლის მთელ პასუხისმგებლობას თავზე იღებს. იგი არ ამბობს: „ჩემი ჭარისკაცები დამარცხდნენ!“ ის ამბობს: „მე დაგმარცხდი!“ ნამდვილი ადამიანები მხოლოდ ასე იქცევიან...

ჩემზე ცოდვილი არ მეგულება ქვეყნად. მე ცოდვილი ვარ თქვენთან. ის ბედნიერი მომავალი, რომელიც თქვენ, ორივეს გელოდათ, მე დაგიმსხვრიეთ. მე შევკვეცე თქვენს ოცნებებს ფრთები. ბაკურ, ძმაო! ვიცი, დიდი ხანია მივხვდი, რომ შენ, მეგობრობას, მე შემომწირე ის, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასი, სათუთი და სანუკვარი იყო. შენ შეძელი მოგეთოკა ის გრძობა, რასაც სიყვარული ჰქვია და უცოცხლოდ მე გადმომილოცე, რაც მე არ მეკუთვნოდა. მეც თვალის დაუხამხამებლად მივიღე ის, ვინც და რაც მხოლოდ შენთვის იყო მოვლენილი ღმერთისგან. სამწუხაროდ, გვიან ამეხილა თვალი. გვიან მივხვდი, რომ თურმე ქალის პირველ სიყვარულს შემდგომი გრძობები უკვე ვეღარ გადათარავს. არ გადანაშაულებ, ნატა! მე შენ თანაგიგრძობდი უკვე იქიდან, რაც გავიგე, რომ ის ჩემთვის უბედნიერესი წლები, რაც ჩემთან გაატარე, მხოლოდ და მხოლოდ ბაკურის პატივისცემა, მისთვის მსხვერპლად გაღებული წლები იყო შენგან...

ერთმანეთს ჩვეულებრივად ვხვდებოდით. გრძელდებოდა ცხოვრება თავისი ცკბილ-მწარე ნიუანსებით, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს უკვე მკვდარი გვექონდა გული. და ეს ყველაფერი ჩემგან! ვიცი, ღმერთი არ მომიტყუებს ამ შეცოდებას. არ ვითხოვ. მეგობრის მოლაღატე ქვეყნად უმკაცრესი სასჯელის ღირსია.

მეგს აღარათურს ვამაგებ. აღარათურს ვწერ იმიტომ, რომ ის, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის, ვერ გავხდებ დამწერა. ის, რაც მინდოდა მეთხოვა — ვერ გთხოვეთ, რადგან ვაი თუ შეურაცხყოფილად იგრძნოთ თავი. თქვენ ხომ ქართველები ხართ! და თუ უჩემოდ მიხვდებით იმას, რისი თქმაც მინდოდა, გწამდეთ, ჩემი სული თქვენთან იტრიალებს და ბედნიერი იქნება! მშვიდობით სამუდამოდ!“

თქვენი ახმედ რამაზანოვი.

P.S. თუ შესაძლებელი იქნება, ბავშვები კავკასიურ, ქართულ ტრადიციებზე აღზარდე, ნატა! ბაკური ბარათს მაგიდაზე დებს. ნატა ფანჯარასთან მიმდგარა, ცრემლგამშრალს, ნერვიულად

უცახცახებს მხრები. დგება. მასთან მიდის. უხმოდ დგანან. მდუმარება გამეფებულია ქალაქში. სიჩუმეს პოლიციის მანქანების ხმა არღვევს.

— როგორ ფიქრობ, რისი თქმა უნდოდა? — თქვა ბაკურმა. — რის თხოვნას აპირებდა?

— არ ვიცი!

კვლავ დუმილი...

— გადაიღალე ალბათ, — ნატა მისკენ ბრუნდება.

— არა!

— როგორ არა! თვალეში გეცეობა, — სახეზე მიაჩერდა. — საოცრად შეიცვალე ამ ცამეც წელში.

— ვიცი, ნატა!

— გიხდება ჭალარა.

— მართლა?

— ნამდვილად.

— შენ კი იგივე დარჩი. წლებმა სილამაზე შეგმატეს.

— ეჭვი მეპარება.

— ასეა. რას აპირებ მომავალში?

— არაფერს!

— რაქს ჰქვია არაფერს?!

— ვიცხოვრებ ჩემთვის. შვილებს გავზრდი.

— სამსახური?

— ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვარ. გაეგარძელებ სამსახურს.

— ეს სამომავლო კითხვაა. ახლა არ არის ამის დრო. მაგრამ მაინც... დაოჯახდები? ელიმება ნატა გელოვანს.

— კიდევ ხომ არ გყავს ჩემთვის ვინმე შერჩეული? — მწარე ირონია კრთის მის ხმაში.

— ნატა!

— ოცდათორმეტი წელია ნატა მქვია. აქედან ცამეტი წელი, ყველაზე ლამაზი წლები შენს სიყვარულს შევალე. რა დამრჩა? არაფერი, გარდა დამსხვრეული ოცნებებისა და გაცრეებული იმედებისა.

— ისევ გიყვარვარ?! ნუთუ ეს წლები ჩემზე ფიქრობდი? — გაბზარულია ბაკურის ხმა.

— რა ვქნა, ვერ ვძლიე უძლეველს. მე ხომ ბაკურ თხოველი არ ვარ, რომ ერთ წუთში ამოვიშალო ყველაფერი, სიყვარულსაც ხელალებით ვერ ვაჩუქებ ვერავის.

— გეყოფა, ნატა!

— მეყოფა?! აღარაფერი ვთქვა?! კარგი, ბატონო, რახან არ გსურს სიმართლეს შეხედო თვალებში...

— თქვი! რაც გინდა, ის თქვი! — მარცხენა წარბი უცახცახებდა ბაკურს. ფანჯრის სახელურს მოსწია. ფანჯარა იღება. გრილ ჰაერს უშვერს გახურებულ სახეს.

— ნუ ყვირი! — ჩურცულებს ნატა. — ნერვები გღალატობს უკვე. ხომ გითხარი, გადაღლილი ხარ. წადი, დაიძინე.

— რა დამაძინებს? — ღრმად ქაჩავს სიგარეტს.

— მოისვენე, ასე სჯობია. ხვალ ტეხასში ნავიდეთ.

— სად?

— ტეხასის შტატში გადაფორინდეთ დილით. დეიდამ მიგვინვია ხვალ ვახშმად. კორსიკანაში ცხოვრობს.

— შენ არ გინდა მოსვენება?

— დავწვები მეც. ძილი ნებისა...

მხრებზე მსუბუქად ხევეს ხელს. ვერხვის ფოთოლივით თრთის ნაცას ცანი. სველი, მიბნედილი თვალები. გახსნილი ბაგეები. შუბლზე აკოცა. სანთებელას, სიგარეტის კოლოფს იღებს, სანოლი ოთახისკენ მიემართება...

— ნავიდეთ! — წამოდგა ეკა.

ნელი ნაბიჯით ჩაათავეს კიბეები. ეზოში შედგნენ. თვალი მოაგლეს რესტორნის შემოგარენს. ოთხი თვე იყო გასული მას შემდეგ...

— მარიკა არ გინახავს?

— მარიკა სოხუმშია!

— რა უნდა სოხუმში? — შეკრთა ბაკური.

— სამხედრო ნაწილს გაჰყვა.

— რომელს? — ფხოველი შეჩერდა.

— სახალხო ფრონტის ბატალიონს.

— „იმედს“?

— ხო.

— ეგენი განთიადში იბრძოდნენ, — დაფიქრდა. — კი. განთიადთან შეეხვედი „იმედის“ ბიჭებს. ბევრი დაეღუპათ. დიდი ხანი მარიკა მათთანაა?

— უკვე მთელი თვეა...

მანქანისკენ წავიდნენ...

გიორგი აბაშიძე და მამედ თანდილ-ოღლი აივანზე ისხდნენ. გივი მინდელი მოაჭირს გადაყრდნობოდა. წარბშეკრული გაჰყურებდა სიბნელეში შთანთქმულ მიდამოს.

— მოხდა რამე? — ბაკური გივის წინ შედგა.

— სოხუმი დაეცა! — კბილებში გამოსცრა მინდელმა.

— დიდი ხანია? — ფხოველის თვალებში ცეცხლმა იელვა.

— ორი საათის უკან!

— სოხუმში უნდა შევიდე! — ქურთუკი გაიხადა. მოაჯირზე მიაგდო. — ბატონო გიორგი, ვერგმფრენია საჭირო!

— მე ქორწილისთვის ვემზადებოდი. ეჰ! — ხელი ჩაიქნია მოხუცმა. — ვერგმფრენიც აქაა, იარაღიც და ცეცხლიც-ნამაღიც. მაგრამ რაღა აზრი აქვს თქვენს იქ შესვლას?!

ხალხი უნდა გამოვიყვანოთ! — სწრაფად შემობრუნდა მინდელი. — თუ კიდევ არის ვინმე ცოცხალი, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა.

— თქვენი ნებაა! — აბაშიძეს თვალები ცრემლში უგორავს.

— მეც უნდა წამოვიდე! — ეკა გივის ამოუდგა გვერდით.

— შენ აქ დარჩები!

— არა, ბაკურ! მეც იქ ვიქნები, სადაც შენ. არათუ არა მითხრა მეტი. მაინც წამოვალ. სჯობია დროზე მიხედოთ საქმეს...

აბაშიძეს ვერგმფრენი სოხუმს უახლოვდება. ილუმინატორებიდან მოჩანს ცეცხლში და ბოლში გახვეული ლამაზი ქალაქი. მფრინავმა ხელით მიიხმო ბაკური.

— ელაპარაკე! — რაციაზე ანიშნა.

— ვისი ვერგმფრენია? — ისმის რაციიდან ხრიალით.

— თურქი აურნალისგების! — მოკლედ გაეპასუხა ფხოველი. — დაგვრთავთ დაჯდომის უფლებას?

— მეტი რა გზაა! — ხრიალებს რაცია. — დაჯექით დროზე, ნულარ დაბოდილობთ ცაში.

— დავჯდეთ? — თვალებით ეკითხება მფრინავი.

— არა! — ბაკურმა რაცია გათიშა. — ქალაქის მეორე მხარეს უნდა გავიდეთ. იქაა ჩვენი ბანაკი. ტყეში. იქ გველოდებიან ბიჭები, — რაცია კვლავ ჩართო.

— რატომ არ ჯდებით? — ისმის ბრაზიანი ხმა.

— ქალაქს სურათებს ვუღებთ. ათ წუთში დავჯდებით.

— ღრობე ქენით! რა ღროს სურათებია ამ შუალამისას?! — ორსართულიანი გინებაც მოჰყვა ამ სიტყვებს.

ვერცმფრენმა გუგუნით გადაუარა ქალაქს.

— აი, აქ უნდა დავეშვათ!

— დავჯდებით კი?! — მფრინავი დაძახული იყურება ძირს.

— დავჯდებით! ამ ადგილას მინდორია...

ცოტაც და ბორბლები მინას ეხება. სწრაფად ხტებიან ვერცმფრენიდან. მინდელმა მიმოიხედა.

— სად არიან? არაფერ ჩანს.

ფხოველი ძირს, მინაზე დაიხარა. დაბალ ბალახში რაღაც მოსინჯა ხელით. აიძარტა.

— რას ეძებ? — გივი ტყისკენ იყურება.

— ტანკების ნავალია! — ყრუდ ამბობს ბაკური. რაღაც უნდა თქვას. ჩუმდება.

— რა უნდა აქ ტანკებს? — უცებ თვითონაც რაღაცას ხვდება. — იქნებ?! — აღარ ამთავრებს.

— ფარნები წამოიღეთ! — ბაკურ ფხოველი ნელი ნაბიჯით მიდის იქით, სადაც ბანაკი დატოვეს გუშინ. უკან მიჰყვებიან.

შუქებმა გადაუარა, გაანათა პატარა ტყვრი. გმინვა ამოხდა გივი მინდელს. გახევებული,



გამშრალი ღვას ბაკურ ფხოველი. ცახცახებს ეკა. მთვარე დანათის იქაურობას, ფარნებიც აღარაა საჭირო. ტანკების მუხლუხებით გადათელილა ყველაფერი. ფეხარეულმა ჩამოუარა მინდელმა დახოცილ მეგობრებს... უთვალავ გასროლილ ჰილზზე ფეხი ცურავს. მღუპარედ ღვანან ხეები — მეომართა დაღუპვის ერთადერთი მონმენი. ფხოველი ადგილიდან დაიძრა. სათითაოდ ნახულობს ყველას. ერთთან დაიხოქა. ეკაც მასთან მივიდა, თანარი აანთო. მიცვალებულს მიაშუქა.

— კახა! — შეჰყვირა. ჩაიმუხლა. — შენ რაღა გინდოდა აქ!

— ჩემს მოსაკლავად გამოაგზავნეს, — ეს უკვე აღარაა ბაკურის ხმა. ჩახლქილი ხმით ვიღაც სხვა ლაპარაკობს თითქოს. — მან კი აქ არჩია სიკვდილი.

ტყვიამფრქვევს ზედ დაჰკვდომოდა კახა თოფურიძე. ცარიელი მასრების გროვანა მის გვერდით. ტანკი გადაუტარებიათ ზედ. ფეხები გასრესილი აქვს. თვალეები ღიად დარჩენია, — ის რა არის? — ჩუმი კითხულობს ეკა. კახას თავთან, ხეს მისჩერებია. ხეზე ქალაღლია. ზედ დანა არჭვია. ფხოველმა დანა ამოაძრო. ქალაღლი გაშალა.

„ბაკურ! კარგია, რომ შენ და გივი მაინც არ ხართ აქ. თქვენი ნებართვის გარეშე ჩავეებით ბრძოლაში. შეგვეძლო გასვლა, მაგრამ არა! იქნებ მოასწრონ ევაკუაცია ხალხის, ქალების, ბავშვების. ორასამდე რუსი და კაზაკი გვიტყვს. ალყას გვარტყავენ. ტანკებიც გამოჩნდა. მშვიდობით, ძმებო! გვაპატიეთ!“

თვალეები დახუჭა. ფეხზე წამოდგა. გივი მინდელი ხესთან იჯდა. თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული. მასთან მივიდა. მხარზე დაადო ხელი. ამღვრეული თვალეებით ახედა გივიმ.

— რა ვქნათ?

— არ ვიცი!

— დანყნარდი, გივი. მიცვალებულებს უნდა მივხედოთ.

— რა გავაკეთოთ?

— შენ როგორ ფიქრობ?

— დროებით აქ უნდა დავმარხოთ.

— კი ალბათ ასე ატობებს. გივი წამოდგა. ამოიოხრა.

— ნიჩბები ვერცმფრენშია?

— ჰო!

— მე მოვიტან! — ეკა ვერცმფრენისკენ წავიდა.

— წავიდეთ, ადგილი შევარჩიოთ, — გივი მინდელი მხრებში მოხრილი, მძიმე ნაბიჯებით გაემართა ტყისკენ. ბაკური მიჰყვა...

ვერცმფრენს მიუახლოვდა ეკა. მფრინავები არ ჩანდნენ. „სად წავიდნენ?“...მეორე მხრიდან შემოუარა. ამაოდ. არაფერ იყო. ააბიჯა კიბეზე. ღია კარებში შევიდა. თანარი აანთო. სალონში დახოცილი მფრინავები გვერდიგვერდ იწვნენ. თავზარდაცემული შემობრუნდა, უკან უნდა გავარდნილიყო, რომ ვილაცის ხელი აეფარა სახეზე...

— ამ ხის ქვეშ ჯობია, — ბაკურმა გივის გახედა.

— აქ იყოს. ბაკურ, სამარეს მე გავეუთხრი, მხოლოდ...

— ორივე გავუთხრით, გივი.

— მიცვალებულს ხელს ვერ მოვკიდებ. მაპატიე ეს წუთიერი სისუსტე. არ შემოძლია.

— მე გადმოვასვენებ.

— წავალ, ეკას მივეხმარები. დააგვიანა, ვერ პოულობს ალბათ. ხომ არ დაგვაფინყდა?

— არა, ჩავანყვე. ტყვის ყუთები აწყვია მაღლიდან. გივი ვერცმფრენთან შედგა. მიმოიხედა.

— ეკა! — ხმადაბლა დაიძახა.

სიჩუმე ჩამონოლილიყო... ავბედითი სიჩუმე. მინდელმა იქით გაიხედა, სადაც ბაკური ეგულებოდა. დაძახება დააპირა. გადაიფიქრა. ფრთხილი ნაბიჯით ავიდა კიბეზე. სიბნელეში მოათვალიერა ვერცმფრენი. სინათლე აანთო. შემობრუნდა კიბის თავზე ვილაცის სილუეტი დალანდა. ერთი, მეორე, მესამე. ძირს, ბუჩქნარში ლანდები დაჰქროდნენ. გივის ბევრი აღარ უფიქრია. ავტომატის ცეცხლით გზა გაიკაფა. ძირს გადახტა.

— ბაკურ! ხათანგია!

ფხოველის ცევიამტრქვევმა ჯაგნარი გადასხიბა. წელზევით შიშველი გივის გვერდით გაჩნდა იმავე წუთში. გრიგალისებური ცეცხლით შებორკა, მინას გააკრა მათკენ დაძრული ლანდები.

— ეკა სადაა გივი!

— არ ჩანს!

„მაშინებს ჩემი მოულოდნელი ბედნიერება, ბაკურ! ასე მგონია, ღმერთიც და ეშმაკიც ჩემკენ იშვერენ ხელს და ხარხარებენ...“

— ეკა! — სასონარკვეთილი, არაადამიანური ხმით იღრიალა ბაკურ ფხოველმა. ხელყუმბარები ზედიზედ ისროლა. სახეშემოლი ბუჩქნარში შევარდა. ვილაც შეეფეთა. ერთმანეთს დაეჯახნენ. ფხოველმა ფეხის დარტყმით ძირს დასცა და გრძელი ჯერით შუა გადაჭრა. ზედ გადახტა. მის წინ ცოცხლის მტვრევით ვილაც გაიქცა. ესროლა. დილის რიჟრაჟში კარგად დაინახა, როგორ აიქნია ხელები უცნობმა და დაეცა. ახლომახლო აღარავინ ჩანდა. ფეხის ხმა მოესმა. გივი ცეისკენ გარბოდა. უცნობისკენ დაიხარა. გადმოაბრუნა. ავტომატი გვერდზე გადადო. წყალი შეასხურა სახეზე.

— ბაკურ! დაჭრილია!

მივიდა. დახედა. ოცდაათი-ოცდაათხუთმეტი წლის მშვენიერი ვაჟკაცი სიკვდილს ებრძოდა. თვალი გაახილა. ფხოველს შეხედა. მზერა მინდელზე გადაიტანა. გაოცება, სიხარული გამოესახა სახეზე.

— „კობრა“? — ჩუმი ხმით წარმოსთქვა.

თავი წამოაწევინა. მათარით მიუგანა წყალი ტუჩებთან. სიცოცხლე დაეცყო მომაკვდავის გალურჯებულ ტუჩებს. მადლობის ნიშნად ოდნავ მოუჭირა ხელი.

— მიცნობ? ვინ ხარ? — გივიმ სველი ხელი შუბლზე გადაუსვა. სუსტად გაეღიმა დაჭრილს.

— სოჭიდან ვარ. გიცნობთ, ბატონო გივი. გიცნობთ. ცუდია, რომ ამნაირად ვხვდებით ერთმანეთს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოთქვა.

— ქალიშვილი რა იქნა? — მინდელი თვალებში ჩააჩერდა.

— წაიყვანეს! — მოეშვა. დაიკვნესა.

— სად? ვინ წაიყვანა? — წყალი შეასხურა ისევ.

— ბატონო გივი! — დაჭრილმა ამოისუნთქა — მე თქვენ გყუილს ვერ გეტყვით. მეორეც, სულ რაღაც წუთებიღა დამრჩა სიცოცხლის და რა ამრი აქვს ჩემთვის სიცრუის თქმას?! ორი საათის უკან ვიღაცამ შეცდომაში შეგვიყვანა, თქვენზე გვითხრეს, თურქები ჯდებიანო. ქალიშვილი ფულის გამოძალვის მიზნით გავიტაცეთ, — თვალები დახუჭა. თავი გადაუვარდა.

— სად წაიყვანეს, სად ვეძებოთ? — ჩასძახა გივიმ. ოღნავ შეანჯღრია.

— ეშერაში. ქიმიური ლაბორატორიის... — ველარ დაამთავრა. უცნაურად გააკანკალა. გათავდა. მინდელმა ფრთხილად დაასვენა ძირს. წამოდგა. ბაკურს შეხედა. ფხოველი ხეს მიეყრდნო. სიგარეტს მოუკიდა.

— გივი! მე უნდა წავიდე.

— ერთად წავალთ!

— არა! არა, გივი! შენ უნდა დარჩე, ძმაო, — იქით გაექცა მზერა, სადაც დახოცილი ჯგუფის წევრები ესვენენ. — ბიჭებს უპატრონოდ ხომ არ დავტოვებთ. მიხედე მათ.

— მარტო რას გააკეთებ?

— არ ვიცი! ვიბამ რაღაცას. რაც გჭირდება, აიღე ვერცმფრენიდან. სანამ წავალ, დაგნაღმავ მას. დაე, წაიღონ აფხაზებმა! — თვალი გაუსწორა. — ამ ქვეყნად ადამიანებისთვის მე მხოლოდ უბედურება მომაქვს...

შებრუნდა.

გივი მინდელმა დაინახა, ფხოველის პირქუშ სახეზე როგორ ჩამოვორდა ერთადერთი ცრემლი...

## XII თავი

სიონიდან გამოვიდა მარია. შეჩერდა გაძრის კარებთან. მდუმარედ იდგა თავდახრილი. გამოერკვა. ჩანთა გახსნა. იქვე მდგარ ხელგანვდილ, შავებიან მოხუცს ფული ჩაუღო ხელში. კიბეებზე ავიდა. მანქანას მიაშურა. ნელი სვლით დაძრა...

„რატომღაც მგონია, რომ დიდი ხნის მოგზაურობის დასასრულს ვუახლოვდები. მე არაფერს ვხედავ ახალს, მაგრამ როგორც ახალგამოღვიძებული, ხელახლა ვხედავ ყველაფერს, რასაც უკვე დიდი ხანია აღარ ვაქცევდი ყურადღებას. ვხედავ სულ სხვა თვალთ...“

კიდევ ერთხელ გახედა სიონის გაძარს.

„ჩემი სულიერი კულტურა ადამიანის კულტურა დაფუძნებული. საუკუნეების მანძილზე იგი ცდილობდა ეჩვენებინა ადამიანი, რომელიც ცალკეული პიროვნებების მეშვეობით ვლინდება, თითქოს გვასწავლიდა, რაღაც ქმნილება დაგვეჩვენა ქვების გროვამში. იგი ქადაგებდა, რომ ადამიანი ცალკეულ პიროვნებაზე მაღლა უნდა ყოფილიყო... იმიტომ, რომ ჩემი სულიერი კულტურის ადამიანები განისაზღვრებიან ამ კულტურით. მასში, ისევე როგორც ყოველ არსში, არის რაღაც, რასაც მისი შემადგენელი ელემენტებით ვერ განმარტავ. გაძარი გეომეტრია და არქიტექტურაა. ქვები კი არ განსაზღვრავენ გაძარს, არამედ პირიქით, გაძარი ამდიდრებს ქვებს თავისი განსაკუთრებული შინაარსით. მისი ქვები გაკეთილშობილებულია იმით, რომ გაძრის ქვებია. სრულიად სხვადასხვანაირი ქვები ემსახურებიან მის მთლიანობას. თვით მახინჯი ქვებიც კი მონაწილეობენ საერთო ჰიმნში, რომელსაც გაძარი აღავლენს ღვთის სადიდებლად.“

საზოგადოებაში წესრიგის დამყარება იოლია, თუ ყოველ მის წევრს გარკვეულ წესს დაუმორჩილებს. ადვილია აღზარდო ბრმა, რომელიც უყოყმანოდ დაემორჩილება წინამძღოლს ან ყურანს. ამდენადვე ძნელია, გაათავისუფლო ადამიანი, საკუთარ თავზე ბატონობა ასწავლის მას.

რას ნიშნავს გაათავისუფლო? თუ მე უდაბნოში გავათავისუფლე ადამიანი, რომელსაც არაფერი აწუხებს, რა ფასი აქვს მის თავისუფლებას?! თავისუფლება მხოლოდ იმ ადამიანებისთვის არსებობს, რომლებიც რაიმესკენ მიისწრაფიან. უდაბნოში ადამიანის გაათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ წყურვილი აღუძრა მას და ჭისკენ მიმავალი გზა უჩვენო. მხოლოდ მაშინ შეიძენს მისი მოქმედება

აზრს. უაზრობაა გაათავისუფლო ქვა, თუ მიზიდულობა არ არსებობს. რადგან ქვა, კიდევ რომ გაათავისუფლო, სულერთია მაინც არ დაიძვრის ადგილიდან.

უხილავი გზა, რომელიც მიზიდულობის ძალამ გაკვალა, ათავისუფლებს ქვას. სიყვარულის უხილავი ძალები ათავისუფლებენ ადამიანს. ჩემი სულიერი კულტურა ცდილობდა ერთი და იგივე მეუფის მოციქულად ექცია ყოველი ადამიანი. იგი ადამიანს გზად ან მისი ნების გამოვლინებად თვლიდა, ვინც მასზე მალაა. იგი თავისუფლებას აძლევდა მას — იქ ასულიყო, საითკენაც მისი მიზიდულობის ძალები იზიდავდნენ.

მე ვიცი, საიდანაც წარმოიშვა ძალთა ეს არე, საუკუნეთა მანძილზე ჩემი სულიერი კულტურა ღმერთს ხედავდა ადამიანის მიღმა. ადამიანები ღმერთის მიერ იყვნენ ძმები. ადამიანები ღმერთის სახედ და ხატად იყო შექმნილი. ადამიანში ღმერთს სცემდნენ პატივს. ღმერთის ეს გამონაშუქი მის თანაზიარად ხდიდა ყოველ ადამიანს. ღმერთისადმი დამოკიდებულება ნათლად განსაზღვრავდა ყოველი ადამიანის ვალს საკუთარი თავისა და სხვებისადმი.

ღმერთის ჭვრეტა სათუქველი იყო ადამიანთა თანასწორობისა, რადგან ისინი თანასწორნი იყვნენ ღმერთის მიერ. ამ თანასწორობის აზრი ნათელი იყო, იმიტომ, რომ ადამიანები თანასწორნი იყვნენ მხოლოდ რაიმეს მიერ. ჯარისკაცი და მეთაური თანასწორნი არიან თავიანთი ერის მიმართ. თანასწორობა ცარიელ ბგერად იქცევა, თუ არ არის საერთო რამ, რითაც ეს თანასწორობა გამოიხატება.

ჩემთვის ცხადია, თუ რატომ იყო, რომ თანასწორობა, რომელიც ღმერთის უფლებების თანასწორობას წარმოადგენდა პიროვნებებში, კრძალავდა ცალკეული პიროვნების აღზევების შებღვას: ღმერთს შეეძლო თავის გზად აერჩია იგი. მაგრამ ვინაიდან, ამავე დროს, ღმერთს თანასწორი უფლებები ჰქონდა პიროვნებებზე, ჩემთვის ცხადია, თუ რატომ ეკისრებოდა მათ ერთი და იგივე მოვალეობა რატომ ემორჩილებოდნენ ერთსა და იმავე კანონებს. გამოხატავდნენ რა ღმერთს, მათ თანაბარი უფლებები ჰქონდათ. ემსახურებოდნენ რა ღმერთს, თანაბარი მოვალეობა ეკისრებოდათ.

რატომ არ ინვევდა ღვთის წინაშე თანასწორობა არც წინააღმდეგობებს და არც უნესრიგობას? დემაგოგია მაშინ იწყება, როდესაც საერთო საზომის უქონლობის გამო თანასწორობის პრინციპი იგივეობის პრინციპად იქცევა.

საიდან წარმოიშვა ადამიანის პატივისცემა ადამიანისადმი? სწავლულს პატივი უნდა ეცა

მგვირთავი მუშისთვის, რადგან ამ მუშაში იგი ღმერთს სცემდა პატივს, რომლის მოციქულიც მუშა იყო სწავლულის დარად. როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო ერთის ღირსება და მეორის ნიჭის შეზღუდულობა, არც ერთ ადამიანს არ ჰქონდა მორალური უფლება მონად ექცია მეორე ადამიანი: მოციქულის შეურაცხყოფა არ შეიძლება! ადამიანისადმი ეს პატივისცემა არ იწვევდა შეზღუდული ნიჭის, სისულელის ან უვიცობის წინაშე მონურ ქედის მოხრას, იმიტომ, რომ ადამიანში უნინარეს ყოვლისა ღვთის მოციქულის ღირსებას აუფასებდნენ. ამრიგად, ღმრთისადმი სიყვარული კეთილშობილურ ურთიერთობათა საფუძველს ქმნიდა ადამიანთა შორის, ვინაიდან ეს ურთიერთობა მოციქულთა ურთიერთობა იყო პიროვნებათა ხარისხის მიუხედავად.

მე ექიმი ვარ, ერთგული ჰიპოკრატეს ფიცისა. ჩემთვის ცხადია მოყვასისადმი სიყვარული. რასაც ბავშვობიდანვე მიწერავდნენ. მოყვასისადმი სიყვარული ღმერთის სამსახური იყო პიროვნების მეშვეობით. ეს იყო ღვთისადმი მიძღვნილი ხარკი, რაოდენ შეზღუდული ნიჭის პატრონიც არ უნდა ყოფილიყო თვით პიროვნება. ეს სიყვარული არ ამცირებდა იმას, ვისადმიც იყო იგი მიმართული, არ ბოჭავდა მას მაღლიერების ბორკილებით, ვინაიდან ამ ხარკს, მას კი არა, ღმერთს სწირავდნენ. ამიტომ იყო, რომ ეს სიყვარული არასოდეს იქცეოდა შეზღუდულობის, სისულელის და უვიცობის პატივსაცემად. ექიმის მოვალეობა იყო, სიკვდილის საფრთხეს არ მორიდებოდა და ემკურნალა შავი ჭირით შეპყრობილისთვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, რადგან ექიმი ღმერთს ემსახურებოდა. მას არ ამცირებდა ის, რომ ავაზაკის სანოლთან ათევდა ღამეს...”

სასტვენის ხმამ შეაწყვეტინა თქერი. ავტონისპექტორმა კვერთხით ანიშნა, შეჩერდიო. ახალგაზრდა ინსპექტორი მანქანას მოადგა.

— საგზაო-საპატრულო სამსახურის ლეიტენანტი ავთანდილ მიკუჩაძე. თქვენი საბუთები? მარიკამ უხმოდ გაუნოდა. ლეიტენანტმა საბუთები ხელში შეატრიალა. არ გადაუშლია.

მოჭადლოებულივით მისჩერებოდა. უკან დაუბრუნა.

— ცუდად ხომ არ ხართ?

— რა მეცობა ცუდად ყოფნის? — გაელიმა მარიკას.

— რა ვიცი. რატომღაც ასე მომეჩვენა. თითქოს გამოთიშული იყავით. წითელბეც ისე გამოიარეთ, არ შეგინელებიათ სვლა.

— მაპაგიეთ. თიქრებმა წამილო და...

— არათერია. კეთილი მგზავრობა. ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაჩერეთ. ინსპექტორი თავისი მანქანისკენ წავიდა.

„უიღვე კარგი, არ დაუაჯახე ვინმეს“, — გაუელვა თიქრმა. დიღმის მასივში იყო უკვე. „რა მინდა აქ?“ — სანაპიროზე ჩავიდა. არათერზე თიქრობდა. ქალაქისკენ შემობრუნდა. წელა მიყავდა მანქანა. თეთრი ნაჭერი იყო ხეზე გაკრული. ზედ წარწერა: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, როგორც ღაჭრილი ირმების ჭოვს წყარო ანკარა!“

თავისუფლება. თავისუფლება ადამიანის ამაღლების პირობათა ერთობლიობაა. იგი ზურგის ქარს წაგავს. მხოლოდ ქარის წყალობით იძენს თავისუფლებას იალქნიანი ნავი გაშლილ ბღვაში.

ბარათაშვილის ხიდზე გადავიდა. სახლისკენ წავიდა... „რა ვაკეთო სახლში? ქალაქში გავივლი ისევ!“ ოპერასთან შეაჩერა მანქანა. თეხით გაუყვა რუსთაველს. მიდიოდა მარიკა მალაშხია. მიდიოდა ლამაზი ადამიანების ხეივანში. მიდიოდა და თვალს არ უჭერებდა... მიდიოდა და მიდიოდა. სხვა საქმე ამ წუთებში არათერი ჰქონდა.

ირგვლივ სეირნობდნენ. იცინოდნენ.

თავი სიზმარში ეგონა... სიზმარში — ომის კომმარული დღეების შემდეგ. პოლიციელები ხმამაღლა ხარხარებენ. ვილაც ვილაცას კოცნის. საღარბაბოში შეიმალნენ. ბიჭებს თეძოები ვინრო შარვლებში გამოუკვართავთ.

მზე ჩადის...

ქალაქის თავზე საავდრო ღრუბლები წვება. შავ-იისთერი ღრუბლები... მწვანე დაისი. ნაყინის გამყიდველები...

ქვის მოაჯირზე ჭგუფ-ჭგუფად სხედან გოგონები და იცინიან. საღეჭ რეზინებს გვაცუნით ბერავენ.

ათორიაქებულია მარიკა. საგიჟეთში გონია თავი, საგიჟეთში, სოხუმის შემდეგ. როგორც იქნა, დაიგვრგვინა.

თალის ქვეშ მარტო ზის მარიკა და ესმის წვიმის შხაპუნი.



წვიმამ ერთბაშად დაუშვა. ქარი ამოვარდა. უცებ ცარიელდება პროსპექტი, თითქოს განგაშიაო. ისმის კარებების რახუნი. ასფალტზე წვიმა შხაპუნობს, თითქოს თეთრი ნარგიზების ქარი ამოსულაო.

ზის მარიკა. უყურებს წვიმას.

ხანდახან წვიმის შხეფები თალის ქვეშ აღწევს. წვიმას თალიდან ცემენტის ნალექი ჩამოაქვს. შავ კაბაზე თეთრი წინწკლები ჩნდება. უეცარ სიცივეს გრძნობს კანზე. ხანდახან ელავს, მაგრამ წვიმის შხაპუნი თვრავს გრუხუნს...

ზის. ითოშება.

ელვა თვალს სჭრის. ხედავს მოლურჯო სხივგარეულ იისფერ ღრუბლებს. თავს ეულად გრძნობს...

აღარ იცოდა მარიკამ, როგორ დაეღამებინა. რა მოეხერხებინა საკუთარი თავისთვის. უაზრო დღე იყო. თავს ვეღარ სცნობდა. დრო კი მაინც გადიოდა. საღამო მარადისობას ჰგავდა, წვიმიანი, ლურჯი და აუტანელი, მაგრამ მაინც მშვენიერი და უსასრულო.

თალის წინ, რომელსაც მარიკა შეჰუარებოდა, ძველი „ჟიგული“ შედგა. მძლოლმა ყურადღებით შეათვალიერა შავგანსაცმლიანი, ულამაზესი ქალიშვილი. ვეღარ მოაცილა მზერა.

— სველდები?

— ვსველდები! — ცივია მარიკას ხმა.

— ლტოლვილი ხარ? — მძლოლმა ოქროს კბილები გააელვა. ბარაქიან მუცელზე ხელი გადაისვა.

— რა ბრძანეთ? — გაოცება... სასონარკვეთა...

— რატომ გაცვია შავი, ვინ დაგელუბა?

— ქმარი! — მარიკა თვალეხს ხუჭავს. „სიზმარია?“

— შენი გულისთვის მოკლავდნენ შენს ქმარს, — გვერდით კარებს აღებს. — მოდი,

ლაჭექი.

მორჩილად ღვება მარიკა მალაშხია. წინიდან უვლის მანქანას. შიგ ჯდება. მძლოლი გაოგნებულია. ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულია თავის იოლ გამარჯვებაში.

— თუ შეიძლება, რუსთაველით გავიდეთ...

— კი გენაცვალე! — ადგილიდან მთელი სისწრაფით სხლიტავს მანქანას.

— როგორ შეიძლება მოგმართოთ? — მარიკა მისკენ ცრიალდება.

— გიორგი ვარ, თავართქილაძე, გია დამიძახე! — ოქროს კბილები ანათებს.

— თბილისელი ხართ?

— მოდი, ერთმანეთს გაუგოთ. თბილისელიც ვარ და კაი ბიჭიც ვარ. ჩემი ნაღდი გვარი ხაჩატურიანია. შენ ჩემი გვარი გინდა რო?! შენ ეხლა ფული გინდა. რაში გაინტერესებს, თბილისელი ვარ თუ ჩიკაგოელი. ამაღამ კაი ბაითში ავალთ, ვივრიალებთ... რას დალევ?

— უკვდავების წყალს! მიშოვი, გია?

— აუჰ! — „ასგრას“ კბილებით ღეჭავს მძლოლი. — შენ რა, შაყირბე ხარ?

— რა შუაშია შაყირი. შენ რა, უკვდავების წყალი არ დაგილევია? — ფანჯარას უწევს.  
— რა სუნი ავდის, გია. დიდი ხანია არ დაგიბანია?

— წინა შაბათს დავიბანე! იმის მერე შუქი არ იყო, — ხითხითებს. — ამაღამ შენ იქნები ჩემი მექისე.

— აქ გააჩერე! — ხმადაბლა ამბობს მარიკა.

— რა არი რო? — ხაჩატურიან-თავართქილაძე ოპერის წინ აჩერებს მანქანას.

ნელა გადადის მარიკა. თავისი მანქანისკენ მიემართება. კარებს აღებს. ცრიალდება.

— მოდი აქ! — ხელით იხმობს ხაჩატურიანს.

მძლოლი გაოგნებული მისჩერებია „მერსედესის“ გამოღებულ კარებს. ნელი ნაბიჯით

უახლოვდება მარიკას.

— მათხოვარო! — ხაჩატურიანის გასიებულ ყბაზე გალანუნებულმა სილამ გონს მოიყვანა იქვე მდგარი ავგონისპექტორი. „მერსედესი“ მიდის.

— ვინ ხართ? თქვენი საბუთები? — ინსპექტორი უკვე ჩახატურიანის წინ დგას.

— ჩემი შვილის მანქანაა. პურზე ვარ გამოსული.

— თქვენი მართვის მოწმობა?

— არა მაქვს.

— რა გვარი ხართ?

— თაუართქილაძე!

— ჰე! თაუართქილაძე... — ელიძეა ავგონისპექტორს. — გინდაც ბაგრატიონი იყოთ. მომყვით უკან! — მანქანისკენ მიემართება.

— სად მივდივართ?

— მაყარში არ გეპატიუებით. პოლიციაში!..

წვიმამ გადაიღო. ნანვიმარ ასტულგს ბული ასდიოდა. დედის ნახვა მოუნდა მარიკას. დოლიძის ქუჩაზე აუხვია. სახლი წინ თითქმის მთელ უბანს მოეყარა თავი. ჭოკერი... დომინო... ნარდი... საუბარი, გაცხოველებული კამათი კომუნიზმსა და კაპიტალიზმზე, ჩინეთზე, კუბაზე, ატომურ სიკვდილზე და კაცობრიობის გამოკვების საკითხზე, თუ კი იგი გაათკეცდება.

— როგორა ხარ, დედა?

— როგორ ვიქნები, შვილო.

— მამა სადაა?

— არ მოსულა სამსახურიდან. რას გიგავს კაბა?

— წვიმაში მოყვევი. ძალიან დასვრილია? — მარიკა სარკეში ათვალიერებს.

— საკმაოდ. გაიხადე. კაბების მეტი რა გაქვს?

— იყოს. სახლში გამოვიცვლი.

— ამაღამაც არ დარჩები ჩვენთან?

— არა. სამუშაო მაქვს.

— შენ მოგიკვდე დედა. გადაღლილი ხარ. რას აკეთებ მარტოდმარტო იმ გამოყრუებულ სახლში. გადმოდი ჩვენთან. შენს მეტი ვინ გყავს?

მარიკა ფიქრიანი თვალებით შეჰყურებს დედას.

— დედა, მე ფეხმძიმედ ვარ!

— მარიკა! — სიხარულისგან სუნთქვა ეკვრის დედას.

— კი, დედა.

— ღმერთო, რას მოვესწარი! — შვილს შუბლზე კოცნის. — ხომ არ ჩამოსულა ბაკური?

— არა! — სახეზე ნალევლი უთამაშებს მარიკას. — არაფერი ისმის მისგან. ჩამოსვლით ჩამოვა, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება.

— როგორ?

— ბაკურს სხვა უყვარს, დედა. მე ვიცი ეს. მინდა ბედნიერები იყვნენ. ეკა ნამდვილად ღირსია ბედნიერების.

— შენ? შენ რაღას იზამ, შვილო?

— არაფერს. პირველი მე მივალ და მთელი სულით და გულით მივულოცავ მათ. რომ იცოდეს, რა კარგი წყვილია! — ელიძება. — რა გატირებს, დედა?

— არ ვტირი. საჭმელს გაგიცხელებ!

— არ მინდა არაფერი.

— ყავა?

— ყავას ღავლე.

— ახლავე, შვილო!

ათი საათი იყო ღამის, როცა მარიკა მშობლებს გამოეთხოვა. ხვალ შემოვივლითო — დაპირდა. მანქანას ბაგეშეები შემოხვეოდნენ. მეზობლის ბაგეშეებს მიუაღერსა. მოეფერა. „აჭარასთან“ ახალგაზრდა კაცი ტაქსის გაჩერებას ამაოდ ღამობდა. „ნაცნობი სახე აქვს. ვინაა? ოხ! ეკას თანამშრომელი, სტამბულში რომ ჰყავდა. რა ქვია? თემური? ხო. თემურ კორძაია“. მანქანა ფეხებთან გაუჩერა. თემურმა უცებ იცნო. კარი გამოაღო. ჩაჯდა.

— საით, თემურ?

— სამსახურში, მარიკა.

— რა დროს სამსახურია ამ შუაღამისას? — მანქანა შემოაბრუნა.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია კორძაიამ. სიგარეტი ამოიღო.

— ხომ არაფერი მოხდა?

— მოხდა, მარიკა! — თემურს ხმა უთრთოდა. — საშინელება მოხდა. შენ არაფერი გაგიგია?

— არა!

— ეშერაში... ეკა დაიღუპა!

მთელი სისწრაფით მიმავალ და მოულოდნელად დამუხრუჭებულ „მერსედესს“ უკნიდან

„ვოლგა“ შეასკდა. განრისხებული გადმოიჭრა მძღოლი. წინა მანქანას მიადგა. საჭეზე თავჩამოდებული, გულამოსკვნით ქვითინებდა მარიკა ძალაშხია...

## XIII თავი

ცენტრალურ გზაზე მიაბიჯებს ბაკური. მხარილლივ ავტომატი. წელზე ხელყუმბარები. წინ, უკან, განუწყვეტლივ ნაკადად მიმოქრიან მანქანები. გამარჯვების სიხარულს ერთიანად აუტაცია დიდი და პატარა. მის გვერდით მანქანა ჩერდება.

— საით, ძმობილო? — მძლოლი გულთბილად იღიმება.

— ეშერაში! — თხოველი არც იყურება მისკენ. გზას აგრძელებს.

— მოდი, დაჯექი. იქით არ მივდივარ, მაგრამ ცოცხა მაინც შეგიძლოკლებთ გზას.

მანქანის უკანა კარს აღებს. ჯდება. მძლოლის გარდა კიდევ ორნი არიან. გალემილი მთვრალეები. მძლოლიც საკმაოდ ნასვამი ჩანს. იარაღი ფეხებშუა აუყუდებიან. აწყვეტილივით მიჰქრის „ჟიგული“. მძლოლი გვერდით იხრება. კონიაკის გაუხსნელ ბოთლს აღებს. აწვდის.

— გახსენი! გამარჯვების დავლით! საცობს ხსნის. აწვდის მძლოლს.

— მალე თბილისამდე ჩავსულიყავით! თბილისში დაგველიოს გამარჯვების აღსანიშნავად! — ცალი ხელით ძლივს იმორჩილებს საჭეს. სვამს. — დალიე!

— ვერ დავლევ! — თხოველი შავი სათვალისა და ყურადღებით ათვალისერებს თანამგზავრთა სასმელისგან შეშუპებულ, გამოთაყვანებულ სახეებს.

— ვერ დალევ? რატომ?

— გუშინ გამოვედი საავადმყოფოდან. ჯერჯერობით არ შეიძლება ჩემი დალევა.

— დაჭრილი იყავი?

— ჰო!

— მე თვითონ ხუთჯერ დამჭრეს ქართველმა ბოზებმა, — თანჯარაში იფურთხება, — მაგრამ გადავრჩი. მანქანის გარეხა იცი?

— ვიცი! შენ რა, მეომარი ხარ თუ სამიზნე?

— დავილაღე. მოდი ერთი, შენ დაჯექი ცოცხა ხანს. ცოცხას წაუვიძინებ. ნელა იარე. ეს

მანქანაც ქართველების მიმაქვს და მთელი მინდა სახლამდე ჩავიგანო.

ბაკური უხმოდ მიუტდა საჭეს. ახალი „06“ იყო. უნომრო. წითელი ფერის.

— საიდან ხარ? — სარკიდან გახედა მანქანის პაგრონს.

— არმავერიდან!

— შენი მეგობრებიც?

— არა, ესენი ტუათსედან, — მძლოლს უკვე თვალერბი ეხუჭება.

ფხოველი სწრაფად კეცავდა გზას. მოსახვევში უხეშად, მკვეთრად მოუხვია. მძინარეები ერთმანეთს დაეჯახნენ. არ გაუღვიძიათ. მანქანამ ტყისკენ გადაუხვია...

ემერის ქიმიური ლაბორატორია. საღამოს შვიდი საათი. საგუშაგოსთან წითელი მანქანა გაჩერდა. ჯარისკაცი მძიმედ წამოიბლაზნა. მანქანისკენ წავიდა. მძლოლმა კარი გახსნა. გადმოვიდა.

— ვისთან ხართ? — ნამძინარევი ჯარისკაცი თვალებს ახამხამებს.

— მეთაურს ვნახავ? — კითხვაზე კითხვას აგებებს მძლოლი.

— დილის ექვს საათზე მოვა.

— შტაბში ვინაა?

— არავინ! ნაწილის მორიგეა, მაგრამ ძინავს მასაც. ნასუამია.

— სად გაკრეფილან?

— აფხაზებმა გამარჯვების აღსანიშნავი სუტრა გაშალეს. იქ არის ყველა მიწვეული.

— აი რა, ძამიკო! — პირადობის მონშობას იღებს, ჯარისკაცს აწვდის. — როგორც ხედავ, ჟურნალისტი ვარ. უცხოეთიდან ჩამოსული. თითქმის ყველგან ვიყავი. ეშერა დამრჩა მხოლოდ. გავესაუბრო უნდა თქვენს ოფიცრებს. ღამის გასათევს ვერ ვნახავ აქ სადმე? მანქანაში ძილი უკვე აღარ შემძლია. სანოლი, ნორმალური დასვენება მომენატრა.

ჯარისკაცს თვალეები უნათღება. პირადობის მოწმობას ჩაჰკირკიტებს.

— ბედნიერი ხართ, ალექსანდრ მიხაილოვიჩ!

— ბედნიერი? რა მეტყობა ბედნიერების?

— ბედნიერი ხართ. ბარსელონაში ცხოვრობთ. ჟურნალისტი და ისიც „სარაგოსას“ კორესპონდენტი. მე კი ორ წელს ვაბარებდი ჟურნალისტიკაზე და ვერ მოვხვდი მაინც.

— ჯერ ახალგაზრდა ხართ. ცხოვრება წინაა. ჩააბარებთ. მაგაზე ნუ გეფიქრებთ. მთავარი მონდომებაა. რა გქვიათ?

— გენკა! — წამონითლდა. — უკაცრავად! სერჟანტი გენადი პეგროვი.

— რამდენი იმსახურეთ?

— წელიწადნახევარი, — გელეფონი აიღო. — რომელი ხარ! ვალოდია, მისმინე, ჟურნალისტია ესპანეთიდან ჩამოსული. ხო! ხო! ესპანეთიდან. ღამე უნდა გავათევიოთ, გაიგე? დილით ინგერვიუ უნდა აიღოს მეთაურისგან. რა? არ ვიცი! სილივიორსკოვის ოთახი ცარიელია არა? კარასებს მოანმენდინე. თეთრეული შეიტანეთ. ოც წუთში მოვალთ, ყურმილი დაკიდა. — მანქანა აქ იყოს თუ ბოქსში შევიყვანოთ?

— იყოს აქ. შეუძლის ვინმეს?

— არავის.

— გენადი, მანქანაში რამდენიმე ბოთლი კონიაკი მაქვს. შევძლებთ ცოცაოდენის დალევას?

— როგორ არა! — თვალეები უბრწყინავს სერჟანტს. — ერთი ბოთლი აქვე შეგვიძლია დავლიოთ, დანარჩენი შიგნით შევიტანოთ...

თერთმეტი საათია ღამის. მაგიდაზე ოთხი გამოცლილი ბოთლი დგას. პეგროვი მაგიდას მუშგს ურტყამს. ენა ერევა.

— მითხარი, ალექსანდრ მიხაილოვიჩ, რატომაა ეს ცხოვრება ასე მოწყობილი?

— როგორ? — ფხოველი ახალ ბოთლს ხსნის. ასხამს. გენკა სავსე ჭიქას იღებს. ერთ



ხანს უაზროდ აჩერდება, შემდეგ კი სვამს. დალევაც აღარ შეუძლია. წრუპავს.

— როგორ და ირგვლივ რატომაა უსამართლობა გამეფებული? რატომ? — ახალი დარტყმისგან მაგიდა ჭრიალს იწყებს. ბოთლები ზრიალებენ.

— ასეა და რას იზამ. ხომ არ გეძინება?

— არა! — პეტროვი თვალების გახელას ცდილობს, გამოთხიზლებას. — რასთან დაკავშირებით გინდა საუბარი?

— საკითხი ერთია: რუს სამხედრო მოსამსახურეთა როლი ქართულ-ათხაზურ კონფლიქტში. ალბათ უარს არ მეცყვით?

— არა! რატომ უარს?

— ყველაზე მეტად ერთი ნარკვევი მინდოდა დამეწერა, მაგრამ არ მომეცა საშუალება, — ბაკური მაგიდას დასჩერებია.

— რა ნარკვევი?

— ომი, ცყვე თვალთ დანახული! — პეტროვს შეხედა. სამწუხაროდ, რაც აქ ვარ, დატყვევებული ქალი ვერსად ვნახე.

— ალექსანდრ მიხაილოვიჩ, — გენადი ხმას იდაბლებს. — ცყვე ქალი აქ არის, მაგრამ...

— სად აქ?

— აი, იმ შენობაში, — თითის იშვერს გვერდით მდგარი ნაგებობისკენ. — მაგრამ მას თქვენ არავინ გაჩვენებთ.

— რატომ?

— ჩვენი სპეცგუთის ბიჭებმა აიყვანეს წუხელ და შემთხვევით ქართული დაზვერვის თანამშრომელი არ აღმოჩნდა?! — ილიმება პეტროვი. არადა ისეთი სიფრთხილია, სუსტი, ლამაზი გოგოა, მასზე ვინ იფიქრებდა, რომ უშიშროებიდან იქნებოდა?

— თვითონ თქვა, დაზვერვაში ვმუშაობო?

— პირადობის მონშობა აღმოაჩნდა თან. ხვალ დილით აფხაზებს უნდა გადასცენ.

— გენალი, ცოცა მეძინება, ფხოველმა გახსნილი ბოთლები პეტროვისკენ გადააწყო. — მოდი, ეს კონიაკები შენ წაიღე. მე კი თვალს მოვატყუებ. კარგი?

— დიდი მადლობა! — სერუანტი ბარბაციტ დგება. ბოთლებს იღებს. — ძილი ნებისა, ალექსანდრ მიხაილოვიჩ!..

სამი საათი. შუალამე. როგორც იტყვიან, წყალსაც ძინავს ამ დროს. მინისქვეშა ტალანში ფარნის შუქით მიიკვლევს გზას. მთავარი უკვე გაკეთებულია. ყველა გუშაგი მოხსნილია. ახლა მხოლოდ ეკას გამოყვანაა საჭირო. ბეტონის კედლებს სუსტი შუქი ურბენს. კედლებზე ისრები უჩვენებენ მიმართულებას. ცენტრალური გვირაბიდან ურიცხვი გვირაბებია გაყვანილი მარჯვნივ თუ მარცხნივ. სინესტეა. უეცრად ჩერდება. მთელი სხეული დაეძაბა. ღრმად შეისუნთქა. კიდევ ერთხელ დაეცოდა ჰაერი. ვარდის სუნი? რა უნდა აქ ვარდებს? გული ეკუმშება. ნუთუ?! ახსენდება.

მოსკოვი. 1978 წელი. ინსტრუქტორი გარკვევით ლაპარაკობს:

— შეიძლება გადაურჩეთ ნაღმს, ტყვიას, ყუმბარას, მაგრამ გახსოვდეთ, რეზინის განსაცმლის გარეშე ერთდეთ სამხედრო ქიმიური ლაბორატორიის ტერიტორიაზე შესვლას. შეიძლება გუშაგები არ იყვნენ არსად, მაგრამ არსებობს პრეპარატი, „დელ-ვა-2“. მისი მეშვეობით მიიღება ფერფლისებური ნაწარმი, რომელსაც ყრიან დასაცავი ობიექტის გარშემო. გიმეორებთ, რეზინის გარეშე შესვლა დამლუბველია! ოცდაათს საათში თქვენი ფეხები მოსაჭრელი გახდება. როგორც კი შეიგრძნობთ ვარდის სუნს, ვარდის მძაფრ სუნს, ეცადეთ ღრლით გააღწიოთ იქიდან!..

დაიხარა. ფარანი ძირს დააშუქა. საეჭვო აღარაფერი იყო. მიხვდა უკვე, რაც მოელოდა. ხელი გადაუსვა ტყავის „ბათინებს“. კედელთან მიჯდა. ფანარი ჩააქრო. აღარაფერზე ფიქრობდა. ასე იჯდა ოციოდე წუთი. რალაც ხმა ჩაესმა მაღლიდან. მანქანების გუგუნს გავდა. წამოდგა. ჭიქურ შეაბიჯა. გონება აღარ ემორჩილებოდა. კარებზე ანათებდა. უკვე იცოდა, მეთორმეტე ნომერში იყო ეკა. და აი N12. კარები დაკეტილია. პისტოლეტის ტყვიით იმტვრევა საკეტი.

— ბაკურ! — ეკას ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ ფხოველი მის გვერდითაა. კუთხეში მიმჯდარი წამოხტა. ყელზე ჩამოეკიდა. — აქ საიდან გაჩნდი?

— გავიდეთ, ეკა! — არაბუნებრივი ხმით დაილაპარაკა.

— რა მოგივიდა? დაჭრილი ხარ? — შეკრთა ეკა.

— არა! რისი დაჭრილი! წავიდეთ! — ხელში აიყვანა.

— მე თვითონ წამოვალ!

— არ შეიძლება! ხელი მომხვეი მაგრად! — ოთახიდან გავიდა.

მიდის ცალანში მძიმე ნაბიჯებით. მიდის ბაკურ ფხოველი. მიდის და იცის, რომ ყველაფერი დამთავრდა. არათურია. მთავარი ეკას გადარჩენაა. თვითონ კი... ოღონდ აქედან მოასწროს მისი გაყვანა და მერე ჯანდაბას. ფეხები როდის დაუნეებს ღპობას, ამას არ დაელოდება. პატარა, ერთი ციცქნა სპილენძის ტყვია გადააფინებს ყველაფერს...

ეზოში გამოვიდა. ეკა დასვა. ცისკრის ვარსკვლავი კიაფობდა სადღაც. თენდებოდა.

— მომყვი! — ხელი ჩაჰკიდა. შენობების ჩრდილი აიფარა. მანქანა იქვე იდგა. პეტროვს და ვილაც ერთს მაგიდაზე ჩამოედოთ თავები. მანქანის საბარგულიდან ავტომატი ამოიღო. მჭიდები, ხელყუმბარები, ყველაფერი მოხვეტა და მანქანის სალონში უკან დაიწყო.

— ეკა, მანქანის ტარებას შეძლებ?

— რა თქმა უნდა.

— დაჯექი, წავიდეთ.

ცენტრალურ გზაზე გამოვიდნენ.

— საით წავიდეთ? — ეკამ სვლა შეანელა.

— სოჭისკენ უნდა გავიდეთ! შენს დატოვებას მხოლოდ სოჭში შევძლებ მშვიდად, — ბაკური უკან გადწავა. თვალები დახუჭა. ტკივილები ჯერ არ დაწყებოდა.

— ჩემს დატოვებას? შენ სად აპირებ წასვლას?

— არსად, ეკა! არსად! მარცხნივ წადი!

ამომავალი მზის სხივები ათასფერებად ცვიოდა ზღვაში.

— გივი მარტო ღატოვე?

— კაფშირზე გავედით. ახლა გივი უკვე სოჭში იქნება. გადაასვენებდა ხალხს.

წინ მოსახვევი გამოჩნდა. გზა გადაკეტილია. „კამაზი“ გარდიგარდმო დაუყენებიათ.

— მარტონიუ გადადი! — ბაკურ ფხოველის ხმა კვლავ მშვიდია, როგორც ყოველთვის მსგავს სიტუაციაში.

მარტონიუ, ცყისკენ მიმავალ საურმე გზაზე კი არ გადავიდა, გადაფრინდა და ცყისკენ გაფრინდა წითელი „ჟიგული“. პიკეტზე მდგომები მანქანას ეცნენ.

— მოგვდევენ? — იკითხა ეკამ.

— ერთი „ნივა“ და სამი „ვილისი“, — ბაკურმა საბურვე გადაწია, უკან გადატყდა. — ცყემდე უნდა მივალწით, ეკა!

გაუჭირდა „ჟიგულს“. „ნივა“ უკვე უახლოვდებოდათ. ფხოველმა უკანა მინას ავტომატის კონდახი დაარტყა. გაამტვრია. ესროლა ზედ მოსულებს. „ნივის“ წინა საბურავები დასკდა. მანქანა მარცხნივ გაექცა მძლოლს. ბექობზე შევარდა და ამობრუნდა.

— ჩაგეთვალა! — გაელიმა ეკას. უცებ თვალები გაუფართოვდა. — გზა გათავდა, ბაკურ! — წამოიყვირა.

მათ წინ უზარმაზარ მოგეხილ ხეს გადაეღობა გზა. მიმოიხედა. „ვილისები“ უახლოვდებოდნენ. ცყე, გადარჩენის ერთადერთი საშუალება სულ ახლოს იყო. მანქანიდან გადმოვიდა.

— ჩქარა, ეკა! — მანქანას ამოეთვარა. „რაჟოკები“ წინ დაილაგა. — ცყეში შედი ჩქარა!

— შენ?

— დაგეწევი! წადი! — მანქანებს გახედა. — საით მიდიხარ! მე ამეთარე, ისე გადი! — მანქანაზე ჩამოაყრდნო მარცხენა ხელი. აძაგმაგდა ავტომატი. საპასუხოდ ათობით ავტომატი ახმაურდა.

გრასიდან კიდევ რამდენიმე მანქანამ გადმოუხვია. თხოველს აქედან გასვლა არაფრად უღირდა, მაგრამ თან ეკა ჰყავდა. მისკენ გაექცა მზერა. შეწყვიტა სროლა. მოცილდა მანქანას. ცყისკენ გაემართა. ავტომატი იქვე დააგდო. ცყის პირას, პატარა ნაძვის გვერდით ეკა იწვა...

ალარავინ ისროდა. მიუახლოვდა. ნელა დაიხარა. თავდაღმა იყო ჩამხობილი. ფრთხილად წამოიწია. თვალებში ჩახედა. ცოცხალია! სახე თანდათანობით კარგავს ფერს.

— ბაკურ! — დაიჩურჩულა. — მკივა!

— ნუ გეშინია! — მკერდზე მიიკრა.

— ბაკურ, აქ ხარ? — ეკამ თვალები გაახილა.

— აქა ვარ. აქ, შენთან! — უკვე უჭირდა ლაპარაკი. მარცხენა ხელზე სითბო იგრძნო. ეკას ბეჭებში მოხვედროდა ცყვია.

— გუშინ ხომ ჩვენი ქორნილი უნდა ყოფილიყო! — იღიმება ეკა. გონს მოდის. სიცოცხლე უბრუნდება თითქოს. — დამანვინე ბალახზე, ბაკურ! ხედავ? მინაა ჩემი საქორნილო სარეცელი. არ მინდოდა მეტი არაფერი. ნეცავ ახლა შენთან, ფშავში ვიყოთ. რა თბილი საბანი დამახურა მაშინ დედაშენმა! აქ კი რა საოცრად ცივა. თითქოს თოვლი არაა, მე კი ვიყინები. გადაღვლილი ნუ ხარ! შეგცივდება. არ გცივა?

— არა! — საკუთარი ხმა აღარ ესმის. იქნებ არც უთქვამს არაფერი?!

— მისმენ?

— ჰო!

— იცი? ყველა ყვავილზე მეტად ამ ქვეყნს იებს მიყვარდა. გაზაფხულზე, როცა ფული მქონდა, ყოველთვის ვყიდულობდი იებს და დედის საფლაგზე მიმქონდა. შენც ხომ მოიგან გაზაფხულობით იებს ჩემს საფლაგზე?

— ეკა!

— მაცადე! პირველ რიგში მომეცი პირობა, რომ იცოცხლებ! რას დადუმებულხარ? ჩემი სიყვარულისთვის უნდა იცოცხლო, ბაკურ, გესმის?

— მესმის!

— დაიფიცე!

— გეფიცები!

— ჩემს თავს?

— ჰო!

— კარგი! მჯერა, ბაკურ. ძია გიორგისთან, ჩემს მამობილთან ჩადი და უთხარი, რომ მე ის ძალიან მიყვარდა. შენ კი მიხედე შენს თავს. ნუ დაეცე სულით. ღმერთო! გავიყინე! ბაკურ! ხელავ? დედაჩემი! დედაჩემი მოვიდა! — წამოინია. ფხოველს ჩაეკრა. მოდუნდა. ღიმილი შერჩა სახეზე...

ბაკურ ფხოველმა თავი ასწია. ათეულობით თვალი მისჩერებოდა. უხმოდ იდგნენ მის გარშემო. თეხზე წამოდგა. ვილაც წამოვიდა. შედგა მის წინ.

— ბიძაშვილო! — ეს ხომ ვლადიმერ ვოლკოვი! — ვერ გიცანი! თავიდან რომ გამეგო, ეს შენ იყავი, აღარ ვასროდი ამ ქალს.

„სერიოზულს მხოლოდ მკვდარს მიხილავ!“... ბაკური ეკას დასჩერებოდა. გვიან, ძალიან გვიან მიხვდა, გვიან დავიდა მის გონებადღე, რა უთხრა ვოლკოვმა.

— შენ ესროლე? — ნელა შებრუნდა მისკენ.

— კი! მე ვესროლე!

— აწი ველარასოდეს ესერი უმწეო ქალებს, ველარასოდეს გააქცევ ქართველი „ჩმორიკების ჯოგს“, ველარასოდეს შეათრევ ქართველ გოგონებს სადარბაზოებში! — ფხოველი ყელში სწვდა ვლადიმერ ვოლკოვს...

სანამ გაოგნებული მებრძოლები გონს მოეგებოდნენ, ვოლკოვის უსულო სხეული ძირს დაეარდა. გაიხსაკუნა ავტომატებმა.

— არ ესროლოთ! — შამილ ბასაევი თავზე წაადგა ეკას ცხედართან ჩამუხლულ ფხოველს. დახედა მიცვალებულს.

— ვინაა შენი? — ხმადაბლა ჰკითხა.

პასუხი არ გაუცია ბაკურს. ხელში აიყვანა ეკა. ზეზე წამოდგა. ბასაევს შეხედა.

— შამილ! მოვა დრო და ღმერთი მოგიზღაურებს სამაგიეროს. მოგკითხავთ გადამწვარი ქართული ქალაქებისა და სოფლებისთვის. დანგრეული ოჯახებისა და ათასობით გაუბედურებული ადამიანისთვის! რისთვის იბრძვი? რა გინდა აქ? რუსეთი საერთო მტერია ჩვენი! დღეს ჩვენ დავმარცხდით? ხვალ უარესი დღე შენ და შენს ერს მოეწოდება. ჩვენი დამარცხებით კავკასია დამარცხდა, უგუნურო! მეცოდები!

თავდახრილი იდგა შამილ ბასაევი. ნელა დაიძრა ბაკურ ფხოველი. გარშემოჭარული მებრძოლები აქეთ-იქით მიდგნენ. შამილი გამოერკვა.

— ასლამაზო!

— გისმენ, შამილ!

— გაყვები ამ ქართველს და გადააცილებ ქართველთა პოზიციებამდე!

— გასაგებია!

— ჩემი მანქანით წაიყვანე! საკუთარი იარაღი თან გაატანე!

— მესმის!

გვიანი ღამე იყო. გიორგი აბაშიძე აივანზე იჯდა. მსახურმა ბარათი შემოუტანა.

— ვისგანაა?

— მამედ თანდილ-ოღლისგან!

— კარგი. ყავა მოიტანე.

აბაშიძემ ბარათი გაშალა.

„ბატონო გიორგი, მე თვითონ ვერ ვბედავ მოსვლას. გუშინ, დილის თორმეც საათზე ეშერის მახლობლად დაიღუპა თქვენი შვილობილი. გიცხადებთ ღრმა თანაგრძნობას...“

მეტი აღარათყერი წაუკითხავს. ხელი ჩამოუვარდა. მსახური უკან დაბრუნდა. ყავა

ფრთხილად დადგა. აბაშიძეს შეხედა. ელდა ეცა. ცოცხალივით, თვალთა იჭდა გიორგი აბაშიძე, მაგრამ მისი სული უკვე გაჰყვოდა სხეულს...

#### XIV თავი

დაავიწყდა ყველას მისი არსებობა. ეკას ცხედარი ვერტმფრენიდან მანქანაში გადაასვენეს. აეროდრომზე მალე უკვე აღარავინ იყო. თავდახრილი იჭდა კედელთან. ფეხების აუტანელი ტკივილი. სახეზე შემძმარი სისხლი. გახეული მაისური, სისხლით დასვრილი. თვალთან მური. ტრიალებს ფიქრის კარუსელი...

ზუგდიდამდე ჩამოაღწია. იცნო ლოთი ქობალიამ. სამთავრობო ჯარების სარდლობას დაუკავშირდა. გამოძებნა ვერტმფრენი. თბილისში გადმოაფრინეს...

წამოდგა. გასასვლელისკენ გაემართა. ფეხების ტკივილი გვინში ურცყამს. „სად მივდივარ? ვინ მელის? აღარავინ! ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა უკვე!“

შიაღწია გასასვლელს. თვალებიდან თითქმის ველარაფერს ხედავს. რკინის ცხურს დაეყრდნო. ტკივილები!

ხალხი ირევა. ნელი ნაბიჯით მიდის ტაქსებისკენ. მანქანები რიგში დგანან. ბოლო მანქანასთან მძღოლები ლაზღანდარობენ. საუბარი შეწყვიტეს.

— ქალაქამდე რომელი წამიყვანთ? — თითქოს სამარიდან ისმის მისი ხმა. უაზრო თვალებით იყურება მათკენ. გაოცებულები მისჩერებიან.

— ველოდებით ჩვენ! — პასუხობს ერთ-ერთი. ბურგს აქცევენ და აქეთ-იქით იფანტებიან.

ხალხით გატენილი ავტობუსისკენ წავიდა. გაჭირვებით მიაბიჯებს. უკვე ველარაფერს ხედავს. ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით შეძლო ფეხის აწევა. უკანა კარიდან ავიდა. რკინის სახელურს ჩაეჭიდა. თვალები დახუჭა.

მის გვერდით შუახნის ქალი დგას. იქვე — ახალგაზრდა გოგონა. ქალმა ხელით მინია ქალიშვილი.

— მოინი, ნანა, აქეთ. საიდან გამოტყვრა? ფუჰ! მანანნალა! — ზიზღით იბრუნა პირი.

— ჩუმაღ, დედა! სირცხვილია!



„მანანნალას“ არათფერი ესმის. გათიშულია უკვე. ავტობუსი ქალაქში შედის. ჩერდება. ვილაცეები ჩადიან. სხვები ამოვიდნენ. თვალებს ახელს. მის გვერდით ბიჭები დგანან. ღიმილით უყურებენ.

— გაგლეჯილ კაიფშია! — ამბობს ერთი.

— ლომკები! ლომკები! — ღილინებს მეორე.

— მაგრად უბეთქვია ვილაცას! — მესამე სიგარეტს უკიდებს.

— აუ! რა საათი უკეთია?!

ხარბი თვალით უყურებენ „მანანნალას“ მარჯვენა ხელს. უძვირფასესი, ლამაზი საათი თვალს იგაცებს.

ყველაფერი ესმის. ყველაფერი. მატიდან საათს იხსნის. ანვდის ერთ-ერთს. ბიჭების გაოგნებული სახეები. შემკრთალი თვალები.

— აიღეთ, ბიჭებო! საათი აღარ მჭირდება. დრო უკვე გაჩერებულია ჩემთვის. — დაბალი, ჩახლჩილი ხმით ამბობს.

ავტობუსი ჩერდება. საათს ერთ-ერთს აჩეჩებს ხელში. თავს ძალას აგანს. გაჭირვებით ჩადის. ჩადის და იქცევა. უკვე დაძრულია ავტობუსი.

— გააჩერე! — ღრიალებენ ბიჭები. — უკანა კარი გააღე!

ძირს ხტებიან. მხრებში უდგებიან „მანანნალას“. ფეხზე აყენებენ დაცემულს. წყალი მოაქვთ. თვალი გაახილა.

— არ მოგერიდოს, — ბიჭებიდან ერთ-ერთი მისკენ დაიხარა. — ამ უბნელები ვართ. რაში დაგეხმაროთ?

მიმოიხედა. მეტრო „რუსთაველთან“ იყვნენ : „რა მინდა შუა ქალაქში?!“

— არათფერში! გმადლობ! — რკინის მოაჯირს ჩაავლო ხელი. მეტროსკენ წავიდა. თავბრუ დაეხვა. შეჩერდა. „უნდა გაუქძლო! დიდუბემდე უნდა მოვითმინო! სახლამდე უნდა მივალწიო როგორღაც!“ დაიკვნესა. ფეხები უკვე დასკდომამდე ჰქონდა.

ხალხმრავლობა იყო მეტროს შესასვლელში. ის კი ველარაფერს ხედავდა. სახეების გარჩევა აღარ შეეძლო. გზას უთმობდნენ. ვილაცას მხარი გაარცყა.

— ნელა, შე მანანალა! — ბრაზით მიადახა ოცდაათიოდე წლის ქალმა. ჩაიფერთხა მკლავი.

შიგნით შევიდა. ახალგაზრდობა ჭგუფ-ჭგუფად იდგა. ვილაცეებმა დაცინვით შეავლეს თვალი, ვილაცეებმა — სიბრაღულით. სამსახურებრივი გასასვლელისკენ გაემართა. ველარ მიადნია. უროდარცმულივით შებარბაცდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდა. „გული ნამივა!“ კედელს მიეყრდნო. ნელა ჩაცურდა ძირს. ჩაჯდა. ორგველივ ყველაფერი ცრიალებდა. ვილაცამ მხარზე უხეშად დაადო ხელი.

— ეი, შენ!

თავზე პოლიციელი ედგა.

— ადექი დროზე, წადი აქედან! რას მიყურებ, არ გესმის?

— არ შემიძლია! — ძლივს ამოთქვა.

— ჩემი საქმე არ არის, რა შეგიძლია, რა არა! დროზე აიფერთხე აქედან! — რეზინის ხელკეცი ხელში შეათამაშა.

— მომეშვი რა, ძმურად! — „მანანალამ“ თავი კედელს მიაყრდნო.

— შენი ძმები ცყეში დარბიან! სანამ უკან შემოვბრუნდები, შენი ღუხი არ იყოს აქ! — პოლიციელი ბეჭების რხევით გასასვლელისკენ გაემართა.

ფეხებს უყურებს. იცის, უკვე შეუძლებელია „ბათინკების“ გახდა. ისინი უნდა დაიჭრას. კვივილისგან გული ეწურება. იცის, უკვე ველარ შეძლებს სიარულს. იცის, კარგად იცის.

მის ახლოს გოგონა დგას. ელოდება ვილაცას. სიბრაღულით მისჩერებია „მანანალას“. სახეზე აკვირდება. წინ წაიწია. ახლოდან შეხედა. „რა სიმპათიურია! გაპარსული, დაბანილი რომ იყოს, ამის გულისთვის გოგოები დახოცავენ ერთმანეთს! მანანალაა. დავიჭერო? განსაცემელი ახალი აცვია, მაგრამ სისხლში მოთხერილი. მგონი ესაა ამერიკული ფორმა. ჩემი ძმა სულ ამას ნატრობს. მთვრალია ვითომ? თითქოს ბრძოლიდან ახალი გამოსულიაო! იქნებ რაიმე უჭირს? იქნებ შეველა უნდა? მივიდე? კი, უნდა მივიდე, მგონი არ შემჭამს.“

ახლოს მივიდა. დაიხარა.

— დახმარება ხომ არ გინდათ?

„მანანალამ“ თავი ასწია. ქალიშვილს შეხედა. თავი დაუქნია.

„მთვრალი ნამდვილად არაა!“

— მითხარით, რა გინდათ?

— კალამი თუ გაქვთ? — ხმადაბლა, ძლივს გასაგონად ამბობს. მაქვს! — ქალიშვილი ჩანთას ხსნის.

— განუხებთ, დაიკო, მაგრამ... — ტუჩი ჩაიკვნიტა. — გელეფონის ნომერი ჩაინერეთ. იქნებ დარეკოთ...

— მითხარით! ამ წუთში დავრეკავ!

— 37-40-04. მარიკა მალაშხია იკითხეთ. მარიკა მალაშხია.

— რა ვუთხრა?..

— უთხარით, რომ... უთხარით, რომ აქ გამოვიდეს, — შუბლი ოფლით დაეცვარა. თვალები დახუჭა.

— თქვენი სახელი არაა საჭირო?

— მიხედება თვითონ!

— ახლავე დავრეკავ! — სირბილით წავიდა გელეფონებისკენ. ნომერი აკრიფა.

— უკაცრავად, მარიკა მინდოდა?

— მარიკა ვარ!

— მთხოვეს თქვენთან დამერეკა!

— ვინ გთხოვათ?

— არ ვიცი! ან დაჭრილია, ან მძიმედ ავადმყოფი.

— სახელი არ უთქვამს?

— არა! თვითონ მიხვდებო. გვარდიელის შარვალი და მაისური აცვია. უკვე ვეღარ ლაპარაკობს.

— სადაა?! — იკვილა მარიკამ.

— მეგრო „რუსთაველში“. შესასვლელში.

— ჩემს მოსვლამდე მიხედეთ! მოვდივარ!

ზის. თავისთვის მიმჯდარა კედელთან. გრძობას კარგავს. თვალდახუჭული, კედელზე თავმიყრდნობილი გარინდებულა. „ყველა ყვავილზე მეტად იებს მიყვარდა. გაზაფხულზე, როცა ფული მქონდა, ყოველთვის ვყიდულობდი იებს და დედის საფლაგზე მიმქონდა. შენც ხომ მოიგან გაზაფხულობით იებს ჩემს საფლაგზე?..“ ვეღარ მოვიგან, ეკა! ვერა! მაპატიე, ჩემო სიცოცხლე!

— რა გითხარი შენ? — პოლიციელმა მხრებში ჩააგლო ხელი. წამოსწია.

— გითხარი, მომცილდი! — „მანანნალას“ თვალებმა შეაკრთო წესრიგის დამცველი.

— იმუქრები კიდევ? — პოლიციელმა ხელკეტი ასწია დასარტყმელად.

„მხოლოდ მაგ პასუხისთვის ხარ სიკვდილის ღირსი. სიკვდილიცაა და სიკვდილიც. შენ კი წამებით ამოგბდი სულს. სულეიმან სამანმა იცის, როგორ მოექცეს მტრებს“. ანუელი ხელკეტი. ავღანელის მათრახი და პოლიციელის ხელკეტი ერთმანეთში აირია. დაბრუნდა, დატრიალდა მოგონების კარუსელი...

ფეხზე წამოიჭრა „მანანნალა“. ბოლო დარტყმას ჩააქსოვა, თან გაატანა დარჩენილი ძალა. პოლიციელი ჰაერში ავარდა, დაეცა და უგრძობლად გაცურდა ძირს. „მანანნალა“ კედელს მიეყრდნო ისევ. ჩაიჩოქა. მისკენ უკვე ხელკეტიანი პოლიციელები მორბოდნენ.

— ხელი არ ახლოთ! — დასარეკად გასული გოგონა ზედ გადაეფარა „მანანნალას“.

— გადი, გოგო! მოცილდი აქედან! — ზემდევისსამხრებიანი წინ მოიწევს.

— მადლობელი ვარ! წადით! — „მანანწალამ“ გოგონა ხელით განია უკან. — წადით, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი! — ზემდეგისკენ გაინია.

დაბარბაცდა... გვარდიელების პატრული შემოვიდა. ახალგაზრდა კაპიტანმა თვალი მოჰკრა, „მანანწალამ“ როგორ იტაცა მარცხენა ხელი მკერდზე, რაღაც ჩაბლუტა და ძირს დაეარდა. კაპიტანი მივიდა. ხელი გაუსხნა. ხელში ჩაბლუტული ტყვია და ჭვარი. დაანვა კაპიტანი ტყვიას. ჰილზიდან გამოავლო. ხელზე დაიფერთხა ჰოლზი. შიგ არაა წამალი. ჩახედა. პატარა ქალაღდი ამოიღო შიგნიდან. გაშალა. ფეხზე წამოვარდა.

— ჩქარა, ბიჭებო! მანქანა! ჩვენთანია! მაიორი ფხოველი...

მარიკა და რამდენიმე თეთრხალათიანი მეგროს გასასვლელში შეხვდნენ გვარდიელებს. მეგროსთან სასწრაფო დახმარების მანქანა დგას. მარიკამ მაჯა გაუსინჯა.

— მანქანაში წამოიყვანეთ! — მგვიცე ხმით იძლევა ბრძანებას. — დაანვინეთ!

— ნემსი გაუკეთა. ბაკურმა სუსტად დაიკვნესა. თვალი გაახილა.

— უკან დაინიეთ! ჰაერი შემოუშვით! — გვარდიელები უკან დგებიან.

— როგორა ხარ? — მარიკა დაიხარა.

— ფეხები! — დაიჩურჩულა.

— ფეხები გტკივა?

— ჰო!

— გახადეთ! — მარიკა თასმებს უხსნის. ექიმებს გვარდიელებიც ეხმარებიან, მაგრამ საშველი არ დაადგა ფეხსაცმლის გახდას. ფეხები დასიებულია.

— შემოაჭერთ!

ნელ-ნელა ჭრიან „ბათინკებს“. შემოაცალეს. ავადმყოფმა ამოისუნთქა. მარიკა ყურადღებით ათვალთვრებს გასიებულ, ალაგ ლურჯად, ალაგ წითლად აფერადებულ ფეხებს. სახე უფითრდება.

— საავადმყოფოში! — მანქანა იძვრება.

ბაკურმა ხელზე მოკიდა ხელი. მარიკას შეხედა.

— ნუ გემინია! — მარიკამ შუბლი მოუნმინდა.

— არ გინდა! ნუ განვაღლები ცყუილად, — ამოიხრა. — მე ვიცი, რაც მჭირს. ჩემი საშველი აღარაფერია.

— ნუ სულელობ! რაკი ჩემამდე მოაღწიე, საშველი გამოიძებნება. დანჯარდი!

— არ მჭირდება არავითარი საშველის გამოძებნა. არა! გესმის?! — წამოიყვირა. მოქნეული ხელი მთელი ძალით შემოარტყა მანქანას. წამოიწია. გული შეუღონდა ისევ.

— იჩქარეთ! — მარიკამ მძღოლს გახედა. სირენაჩართულმა მანქანამ სანაპიროსკენ გადაუხვია... მთელი ღამე არ მოცილებია ცელეფონს მარიკა. დილისთვის შეუძლებელი შესძლო. მოსკოვი ჩაერია საქმეში. გერმანიის საელჩო. მშვიდად ამოისუნთქა. ფულმა თავისი გააკეთა. დილის თორმეც საათზე ჰამბურგში გადაათრინეს.

ნაცნობების ფართო წრე. გერმანელი ექიმების დაძაბული სახეები. უხოელი ავადმყოფი — თითქმის განწირული. ფეხების ამპუტაცია გარდაუვალია თითქოს. პრესტიჟის ამბავი და...

— გილოცავთ! — პროფესორი ღიმილით უახლოვდება მარიკას. — კრიზისი გადაგანლია. მსგავსი შემთხვევა პირველი არაა ჩვენთვის. უკვე ოცი წელია, რაც რუსებმა ეგ პრეპარატი შექმნეს. ხშირად იყენებენ. მაშ ასე! ორი კვირის შემდეგ ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი პროცემების მაგიერ საკუთარი ფეხებით ივლის.

— შეიძლება ვნახო? — მარიკა ცრემლებს ყლაპავს.

— რა თქმა უნდა! მიბრძანდით!

თვალდახუჭული წევს. თავთან ახალგაზრდა ექიმი ქალი უბის.

— ძინავს? — ხმადაბლა იკითხა მარიკამ. ბაკურმა თვალი გაახილა.

— არა! არ ძინავს! შეგანუხე, მარიკა! ექიმმა მარიკას შეხედა:

— მე როგორც ვიცი, თქვენ ექიმი ხართ...

— დიახ!

— ამ შემთხვევაში, დაგტოვებთ. თქვენ უკეთ მიაქცევთ ყურადღებას. თუ რაიმე გახდა საჭირო, ღილაკს დააჭირეთ თითი, — ექიმმა ფხოველს ერთი კიდევ დახედა, ღიმილით დაუქნია მარიკას ხელი. ოთახიდან გავიდა.

— ტკივილები განუხებს კიდევ? — სკამზე ჩამოჯდა.

— არა! ალბათ უკვე შევძლებ სიარულს.

— ხომ არ გაგიჟდი? ორი კვირა ფეხს ვერ მოიცვლი ლოგინიდან! კარი გაიღო. ექიმი უკან შემოვიდა.

— თქვენთან სტუმრებია!

— სტუმრები? მობრძანდნენ! — მარიკა ფეხზე წამოდგა.

პალატაში ორნი შემოვიდნენ. ფხოველს სახე გაუნათდა.

— გივი! დათო! — წამოინია.

— ე ბიჭო, დაწეცი, თუ ძმა ხარ, ნუ ტოკავ გლახად! — მინდელი მოღუშული მიაჩერდა ბაკურის დაბინტულ ფეხებს.

— დაუაგვიანეთ, არა? — დათომ ხელი მოხვია. აკოცა.

— არა, არ დააგვიანეთ, — სევდიანი ღიმილი არ შორდება ფხოველის სახეს. — გაიცანით, ჩემი მეგობარია, მარიკა.

— ბაკური სუსტი გულის არაა! — გივი მინდელი მარიკას შეუბრუნდა. — მინდა სიმართლე ვიცოდე. კიდევ... — შეყოყმანდა, — კიდევ რაიმე ცუდია მოსალოდნელი?

— არათერი! ყველაფერმა გადაიარა. ორ კვირაში ფეხზე იქნება.

— ძალიან კარგი! ტკივილები ალბათ გაქვს ჭერჭერობით?

— არც ისე. საიდან გაიგეთ ჩემი ჰამბურგში ყოფნის ამბავი?

— ფირმის საიდუმლოებაა! — ნაძალადევად გაიღიმა მინდელმა. — ბაკურ!

— გისმენ, გივი!

— მე სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე უკან, შენთან დათო დარჩება. მარიკაც ხომ აქაა. საქმეებს მოვანესრიგებ და ისევ ჩამოვალ.

— ბიჭები... — ველარ დაამთავრა. ვერ თქვა ის, რის თქმაც უნდოდა.

— კი, ბაკურ! — მიუხვდა გივი. — კახა თბილისში გადავასვენეთ. დანარჩენი ყველა სოჭში.

— მათი დაკრძალვის ამბებია მოსაგვარებელი, — დაამატა დათომ.

— გარდა ამისა, — გივი შეიმშუშნა, — ეკას ძმა დაჭრეს. ჩვენ რომ იქ ვიყავით, მაშინ მომხდარა ეს. სერიოზული მდგომარეობაა. რეანიმაციაშია. ეკას ამბავი არ გაუგია.

— როგორ მოხდა? ვინ დაჭრა? — ფხოველს მინის ფერი დაედო სახეზე.

— „მხედრიონმა“. ეკას დაეძებდა თურმე. ბათუმისკენ წასულა. ალბათ მიხვდა, რომ აბაშიძესთან იქნებოდა. გზაზე დახვედრიან. მანქანის წართმევა მოუნდომებიათ. გაანამეს ხალხი ამ... — აღარ დაამთავრა.

— დათო! — ბაკურმა ხიგალიძეს შეხედა. — რა ქენი ჭინჭოლიას განძზე?

— გადავახურდავე. ათი მილიონი დოლარი აიღო. შენს სახელზე შევიტანე. მარიკამ წყალი მოსვა. ფხოველმა მას გახედა.

— ცხოვრებაში ერთადერთხელ ვიყაჩაღე, მარიკა! ვაჟა ჭინჭოლიას იახტიდან მისი კუთვნილი განძეული წავიღე...

ბაკური ჩათვიქრდა.

— შემცდარხარ, დათო! ჩემს სახელზე ფული ბანკში არასდროს ყოფილა და ისიც ამხელა თანხა. მე ფული არ მჭირდება. გამოიგანეთ უკან და ბიჭების დაკრძალვის ხარჯებს მოახმარეთ. მათ ოჯახებს გაუნანილეთ. გივი, თუ ძმა ხარ, ბესიკს მიაქციე ყურადღება. ნურათფერს, ნურავითარ ხარჯებს ნუ მოერიდები, მან უნდა იცოცხლოს, გამიგე? მე ვთხოვ ამას!

ხიგალიძემ და მინდელმა ერთმანეთს გადახედეს. გივიმ საათს დახედა.



— ბაკურ! მომისმინე ყურადღებით და ნუ შემანწყვეტინებ. პირველი — ეს შენი ფულის საკითხია. კი, შენი და არა ჩვენი. ეს ფული შენ არ მოგიპარავს. საკუთარი სიცოცხლის და რისკის ფასად აიღე მაშინ, როცა მას უკვე პატრონი აღარ ჰყავდა. პატრონს გააჩნია. ზოგი მკვდარი ათას ცოცხალს სჯობს. რა ითქმის ჭინჭოლიაზე? მე რომ ეს ამბავი ადრე მცოდნოდა, ათ მილიონს კი არა, ათჯერ მეტს ავიღებდი მისგან და თვითონ მას მონად გავყიდდი სადღაც, ისევე, როგორც თვითონ აკეთებდა. ჩვენი საძმოსთვის ათი მილიონი არაფერია, ზღვაში წვეთია. ეს ფული ჩვენ არ გვჭირდება. დალუპული ბიჭების დაკრძალვის ხარჯებიც გაღებულა და მათმა ოჯახებმაც მიიღეს ის თანხები, რაც მათ წლების მანძილზე წაადგებათ. ასე რომ, მაგაზე ნუ გეფიქრება. რაკი მათ გვერდზე არ გვეღირსა სიკვდილი, მიცვალებულთათვის მაინც გავაკეთებთ ყველაფერს, — წყალი დაისხა. — ნახევარი მილიონი წამოგიღეთ აქ. მოდი იმ ფულზე მეტს ნუ ვისაუბრებთ. ასე არაა, დათო?

— მართალია, ბაკურ! თუ მაინცდამაინც იმდენი გაქვს, რომ ეს ფული არ გჭირდება, ჩადე, ძმავო საქმეში. იყოს, იგრიალოს. გართმევს რამეს? მოგების მეტი შენ არაფერი დაგრჩება.

— მორჩით ამ თემაზე საუბარს! — მხარი იცვალა. — ეკა?

— მონვეა შეიძლება აქ? — გივიმ ათრთოლებული ხმით იკითხა.

— მონიეთ! — მარიკამ ფანჯარა გააღო.

— ბაკურ! ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ პატივი ვცეთ მის ხსოვნას. არ ვიცი, რა გითხრა, რით განუგეშო. ნუგეშისცემაც ბედმეტობად მიმაჩნია. რას იზამ. ღუმელის გვერდით არ დალუპულა ეკა. ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ... — თვალებში შეხედა, — ჩვენი ბრალია მისი დაღუპვა. ჩემი და შენი! მაპატიე სიმართლისთვის, მაგრამ ასეა. რისთვის წამოვიყვანეთ? რა უნდოდა მას იქ?! — თავი ჩახარა. — წამოვიყვანეთ? ჯერ ჩვენ უნდა დაეხოცილიყავით და ჩვენს შემდეგ ის! ბევრს არ გეტყვი არაფერს. ყველაფერს გავაკეთებ ისე როგორც საჭიროა, — ფეხზე წამოდგა. — რაც შეეხება მის ძმას, დღესვე აქედან მიმყავს პროტესორი. ხვალ ღამით დაგირეკავთ, რა მდგომარეობა იქნება თბილისში. წავედი! მალე ჩამოვალ! მიხედე თავს. ნახვამდის, მარიკა!

— ნახვამდის, ბატონო გივი! გმადლობთ!

— გაგაცილებ, — დათომ ჰიჭაკი გაისწორა. — არ გემშვიდობებით. მალე მოვალ. კარებში

გაღიღინებ. გივი მინდელი უცებ შედგა. ბაკურს გამოხედა.

— გუშინნინ, ლამის ორ საათზე გარდაიცვალა გიორგი აბაშიძე! გავიღინებ.

— „ბაკურ! ძია გიორგისთან, ჩემს მამობილთან ჩადი და უთხარი, რომ მე ის ძალიან მიყვარდა...“

„ჩვენი ბრალია მისი დაღუპვა!“ — ზარივით რეკს მინდელის სიგყვები.

ვიცი, გივი! ვიცი, ძმაო! უშენოდაც კარგად ვიცი, რომ მე ვარ და სხვა არავინ დამნაშავე მის სიკვდილში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მე ხომ ჩემს გარშემო მყოფთათვის ბედნიერება არასდროს მომიგანია. მე შეემწირა ის, ვინც სიცოცხლეზე, ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა. რაიმე აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას კიდევ?! არათფერი! სიყვარული, ნაღდი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის. ერთხელ მოვიდა ჩემთანაც. მე კი მოვსპე და გავანადგურე. ვერ შევინახე, ვერ გავუფრთხილდი მას. რაღა დამრჩა? აღარათფერი! არა! არა! არა!

გულაღმა იწვა. ჭერს მიშტერებოდა.

„შემომფიცე, რომ იცოცხლებ! იცოცხლებ მხოლოდ ჩემი სიყვარულისთვის!“ და მეც ფიცი მივეცი! ვიცოცხლებ. ვიცოცხლებ, ეკა მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ გაზაფხულზე მთაში მოკრეფილი იები მოგიგანო.

ტრიალებს, ტრიალებს ფიქრის, მოგონების კარუსელი.

„ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი, და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად...“ რესტორანი. ეკა მღერის. სულგანაბული ხალხი. ღიმილიანი სახეები.

„გრცხვენოდეთ! აქ რომ მოვდიოდი, მეგონა ოცნებაში წარმოდგენილი ჯენტლმენისკენ მივისწრაფოდი...“

— ოჰ! — აღმოხდა.

— ხომ არათფერი გინდა?

— არათფერი, მარი. რამდენი ღამეა არ გძინებია?

— არ მეძინება!

დათომ შემოალო კარი.

— რა ქენით? ნავიდა?

— კი, აეროდრომზე ნავიდნენ. ორ საათში გატურინდებიან. მარიკა, ნადით, დაისვენეთ. მე ვიქნები მასთან.

— მართალია. ნადი, მარიკა, მოისვენე. ეცადე დაიძინო.

— კარგით, ნავალ, — ჩანთა აიღო.

— სად იქნები? კროუფორდებთან?

— არა, სასტუმროში. იქნებ დაძინება შევძლო. დავრეკავ... ერთხანს უხმოდ ისხდნენ.

— მომანვეინე სიგარეტი, — ბაკურმა კარებისკენ გაიხედა.

— შენთვის შეიძლება მონვევა?

— არ შეიძლება, მაგრამ ძალიან მინდა. ერთი ღერი არაფერს მიზამს.

— რას აპირებ? — დათო ფანჯარასთან მიდის.

— არ ვიცი, დათო.

— დაბრუნდები საქართველოში?

— არ ვიცი! არაფერი არ ვიცი. მაგაზე არ მიფიქრია.

— არ გირჩევ საქართველოში ცხოვრებას, — ხიტილადე ჩაფიქრებული იყურება. — იქ ქაოსია დღეს. ნორმალური ადამიანის საცხოვრისი არაა იქ. დარჩი გერმანიაში, ან შტატებში ნადი. არც იტალიაა ურიგო. შენი შესაძლებლობების და ფულის პატრონი, მერნშუნე, ევროპის ქვეყნებში წინ წაინეგ. რა გელიძება?

— ვენეციაც არაა ცუდი, არა? ისეინე ნავებით. კარგი სვი, კარგი ჭამე... ავსტრალიას ხომ, ნულარ იტყვი, სხვა პლანეტაა.

— შაყირის დროა? რას ხედავ სასაცილოს, არ მესმის.

— ღათო! თუ დათქვრებულხარ ოდესმე, ყველა ქართველმა, ვინც ორიოდე ბინძურ კაპიკს იშოვის, რომ დაკრას ფეხი და კარგი ცხოვრების მოლოდინში ცხრა მთას იქით გადაიხვეწოს. ვინღა უნდა დარჩეს იქ?! აქ ფუფუნებით ცხოვრებას საქართველოს მინაზე მიტობს სიკვდილი. არ ვიცი, შეიძლება მოვიდეს დრო, როცა მეც უკანმოუხედავად გავრბოდე საქართველოდან, მაგრამ ჭერჯერობით არ ვაპირებ. მე იქ დედა მყავს. იქ გაითხრება ეკას სამარე და ყოველ გაზაფხულზე... იქ უნდა ვიყო! — შებრუნდა. ბალიშში ჩარგო თავი.

## XV თავი

— თქვენ გკითხულობენ!

— ვინაა?

— არ ვიცი, ახალგაზრდა ვაჟია ვილაც.

მამა დავითი ნელა წამოდგა. გამოიხურა სენაკის კარი. გამოვიდა. მძიმე ნაბიჯით ჩამოვიდა კიბეზე. ტაძრის შესასვლელთან თავდახრილი იდგა თეთრლაბადიანი ვაჟი. შემობრუნდა წინამძღვრისკენ.

— დილა მშვიდობისა, მამაო!

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს უფალმა! — უცნობის ხმა ეცნაურა.

— ველარ მიცანით ალბათ?

— სიბერე თავისას შვრება, შვილო!

— ოთხი თვის უკან, ღამით ვიყავი თქვენთან. ამ აივნისგან გამაყოლეთ ლოცვა-კურთხევა ფრონგზე მიმავალს.

— ბაკურ?! — ნათელი დაეფინა სახეზე მამა დავითს. — წამოდი ჩემთან!

უკან შებრუნდა. აივანზე ავიდა ისევ.

— ჩამოტეფი!

ხის ცახცახე დაჯდა ფხოველი. მის საპირისპიროდ ჩამოჯდა წინამძღვარი.

— მადლობა უთქვას, რომ სალ-სალამათს გხედავ, მაგრამ რაღაც უსაშველო ნაღველი გიჩანს თვალებში, შვილო!

— სულის სიმარტოვეზე მეტი საშინელება არაფერი ყოფილა ქვეყნად, მამაო! არც ომი, არც სისხლი, არც ცრემლი და არც სიკვდილი. მიჭირს, ძალიან მიჭირს.

— ბაკურ, შვილო! იმ ღამით, როცა პირველად მოხვედი ჩემთან, არ გვექონია ჩვენ ამის დრო, — წამოდგა. კარადა გამოაღო. პატარა დოქი, ორი ჭიქა და ყურძენი ჩამოდგა სამუფცა მაგიდაზე. ჭიქები შეავსო. — შენი ჩამოსვლა დავლოცოთ!

— გმადლობთ!

— დალიე! ჭაჭაა, ჩემი დანურული... სულიერი მოძღვარი თუ გყავს?

— არა!

— ცუდია. თუ სანინააღმდეგო არაფერი გაქვს, მომიყევი შენი ცხოვრება.

— სიამოვნებით! მოკლედ გეტყვით. ფშავში გავიზარდე...

— განყვეტინებ, შვილო! ფშავი ისტორიული ფხოვია, ხომ?

— დიას! იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. მამა ინჟინერი იყო, დედა — პედაგოგი. ერთადერთი და მყავს. სკოლის დამთავრებიდან მეორე წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩავირიცხე. მეოთხე კურსიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამინვიეს. ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის საზღვაო თელოტში მომიწია სამსახური, სადესანტო ნაწილში. ერთ დღეს კი რატომღაც მაინცდამაინც მე გამომარჩია სარდლობამ და მოსკოვში გამგზავნა სასწავლებლად. ჩემთვის იქ პლუტარქე არავის უსწავლებია. არც ბალზაკის და გოეთეს საკითხავად მეცალა. უმაღლეს დონეზე შემასწავლეს ადამიანის კვლის ხელოვნება, ხიდების, გზების, სახლების აფეთქება. უცხოელი, უმაღლესი კლასის სპეციალისტები გვასწავლიდნენ. მორჩა სწავლება. ოფიცრის წოდებები დაგვირიგეს და ავღანეთში გვიკურეს თავი. დავამხეთ ავღანეთის კანონიერი ხელისუფლება. წითელი არმია, სისხლით მოთხვრილი წითელი ხელებით, ტყვიით და ხიშტით შევედით თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის ტერიტორიაზე. ყოველ სიზმარს, რაოდენ საშინელიც არ უნდა იყოს, თავისი დასასრული აქვს. კოშმარებს თავს აღწევს ადამიანი, როცა იღვიძებს. და მეც გამოვიღვიძე, როცა დავბრუნდი...

წავედი ჭარში წმინდა, უმანკო სულით. იქიდან დაებრუნდი ჩამოყალიბებული მკვლელი — ჩაფურთხებული სულით, ცივი გონებით.

თბილისს მივაშურე. ძველ ინსტიტუტში აღარ გამიგრძელებია სწავლა. ოცდაათი წლის ვიყავი უკვე. სოფლის მეურნეობის სპეციალისტად მე არ გამოვდგებოდი. იმავე წელს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ვერც ის დავამთავრე. გამრიცხეს უნივერსიტეტიდან.

— რატომ გაგრიცხეს?

— ამორალური საქციელისთვის!

— უფრო ზუსტად?

— გახსოვთ ძმები ივერიელები? ჩიხლაძე, ფეცვიაშვილი? თბილისში მომხდარი ამავა, თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით?

— მახსოვს. კარგად მახსოვს! — სახე მოელრუბლა მამა დავითს.

— ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ... მე არ წავედი ამ საქმეზე. შემდეგ უკვე, როცა ყველაფერი დამთავრდა, გამრიცხეს. თურმე უნდა მივსულიყავი და უშიშროების კომიტეტისთვის განმეტყულებინა მეგობრების ჩანაფიქრი. ეს არ გავაკეთე. იმსჯელა კომკავშირის ბიურომ, ლეკანაგმა, ცხადია „კვბ“-ს ზენოლით. აღმოჩნდა, რომ ჩემნაირი ამორალური პიროვნებები უნივერსიტეტის ღირსებას ლახავდნენ.

როგორც იცყვიან, ფარ-ხმალი არ დამიყრია. ორი ინსტიტუტი დავამთავრე ამის შემდეგ — უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და უცხო ენების ინსტიტუტი, აღმოსავლური ენები. დავეუფლე სპარსულ ენას. ერთი წელი სპარსეთში გავატარე. ისევე ვფლობ სპარსულს, როგორც მშობლიურს. სტუდენტობის პერიოდში მთელი კავკასია ფეხით მაქვს შემოვლილი.

დაიწყო ეროვნული მოძრაობა. იმთავიდანვე ახლოს ვიყავი ბატონ მერაბ კოსტავასთან. მისი მეშვეობით გავიცანი ზვიად გამსახურდია. ეს წლები იყო ჩემთვის უბედნიერესი წლები. შემდეგ 9 აპრილი... თალხში ჩამჭდარი საქართველო...

გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. არჩეულ იქნა პირველი პრეზიდენტი. პირველივე დღეებიდან დავინიშნე სპეცდანიშნულების სამხედრო შენაერთის

ხელმძღვანელად, რომელიც ემორჩილებოდა მხოლოდ პრეზიდენტს.

როგორც ყოველთვის ხდებოდა ისტორიულად საქართველოში, ყველაზე დაახლოებული პირნი განუდგნენ პრეზიდენტს და საქართველო სამოქალაქო ომის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. განდგომილნი თბილისის ზღვაზე იყვნენ. აფთარივით ვგრძნობდი მოსალოდნელი სისხლის სუნს, ატმოსფერო თანდათანობით იძაბებოდა.

შევედი მასთან. სადღა იყო ის კაცი, ვისაც ვაღმერთებდი და პატივს ვცემდი?! სადღა იყო საქართველოს სათაყვანებელი პრეზიდენტი?! ჩემს წინ დაშინებული, შემკრთალი კაცი იდგა... მასთან იყო ვახტანგ ქობალია.

— ბატონო ზვიად, ნება მომეცით ვიმოქმედო! — გული დამენურა მის შემხედვარეს.

— რას ფიქრობ? — შემკრთალი ხმა. დაბნეული გამოხედვა. — რის გაკეთებას აპირებ?

— ავალ თბილისის ზღვაზე, გათენებამდე ავიყვან ხელმძღვანელებს. მათადმი დაქვემდებარებულ შენაერთებს განვაიარაღებ!

— შეიძლებ ამას?

თვალები გაუბრწყინდა ლოთი ქობალიას.

— შეიძლებ! — პირჯვარი გადავინერე. — ვფიცავ, უსისხლოდ მოხდება ყველაფერი. ერთ ხანს ჩაფიქრებული იდგა. შედგა კი:

— არა! — ცივი უარი. — არ შეიძლება ამის გაკეთება.

— რატომ? რატომ არ შეიძლება? — იყვირა ქობალიამ.

— იმიტომ, რომ მათ გარკვეული მასა უჭერს მხარს. შეიძლება უარესი მოხდეს.

— ბატონო ზვიად! მე მწამს, ყველაფერი კეთილად დამთავრდება. მივცეთ ფხოველს მოქმედების სრული თავისუფლება! — კიდევ ერთხელ სცადა ქობალიამ პრეზიდენტის დაყოლიება.

— არა! გითხარით, არა!

— შემდეგ უკვე გვიან იქნება! — მეტის ველარაფრის თქმა შევძელი.

— ვახტანგ! ბაკურ! ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, — პრემიერენტი ჩვენთან მოვიდა. — მე მჯერა, რომ ისინი თვითონ მოეგებიან გონს. არ გასწირავენ საქართველოს და მის მთავრობას. ახლა კი დროებით უნდა გამოგეთხოვოთ. უცხოელ ჟურნალისტებს უნდა შევხვდე.

გულშეკუმშული გამოვედი. უკვე ვიცოდი, რაც მოხდებოდა. პრემიერენტს სჯეროდა მათი, მე კი არა! მათი ნდობა უკვე აღარ შემეძლო. ადამიანი, რომელიც გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს ზურგში დანას ჩასცემს, განა ნდობის ღირსია?! არ შეიძლებოდა მათი ნდობა, ვისაც მოსკოვი აპროგრამებდა.

იმავე დღეს ყველაფერი მივატოვე და ჩემს მშობლიურ მთებს მივაშურე. უსისხლოდ შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება. არ ისურვა? რა მექნა! მე ქართველთა წინააღმდეგ ვერ აუნევი იარაღს, მამაო!

ექვს იანვარს დაამხეს საქართველოს მთავრობა. მთელი წელი სოფლიდან ფეხი არ მომიცვლია. შემდეგ კი... შემდეგ ისევ მომენატრა თბილისი. რა დამხვდა? რეგდასხმული ვიდექი. გადამწვარი, დანახშირებული, ტყვიით დადუღებული რუსთაველი...

შენწყვიტა საუბარი. სვეტიცხოველს მიაპყრო მზერა.

— შემდეგ?

— შემდეგ რა. თითქმის არაფერი. ერთფეროვნება. მოსაწყენი ცხოვრება.

— შენ მაინც მთავარი არ გითქვამს ჩემთვის.

— რას გულისხმობთ მთავარში?

— შენი პირადი ცხოვრება. რამდენი წლის ხარ?

— ოცდაცამეცის.

— მეუღლე გყავს?

— მყავდა, მამაო!

— გაცილდი?



— დიას! დიდი ხანია.

— მითხარი გულწრფელად. არავინ გიყვარს? საცოლვე არ გყავს?

— მიყვარდა. მყავდა. სამი კვირის უკან ჩემს ხელში დალია სული. მას შემდეგ გაერთიანდა ჩემთვის დღე და ღამე, განონასწორდა ნათელი და ბნელი. აღარაფრის აღარ მნამს. ყველაფერი ჩაკვდა, მოისპო ჩემში.

— ჰმ! ჩაკვდა! მოისპო! — გული მოუვიდა წინამძღვარს. — საქმეც ეგაა, რომ შენში არ უნდა ჩაკვდეს, არ უნდა მოისპოს არაფერი. შენ უნდა სძლიო თავს. დედის კალთას მოუცილებელი ბარცყი რომ იყო, ამას არ გეცოდო. მაგრამ შენ?! არ გეპატიება სასწონარკვეთა, სისუსტე. სწორედ ახლა, როცა სულიერ მარტობას განიცდი, უნდა შეძლო საკუთარი თავის ხელში აყვანა. შენ სხვა უფლება არ გაქვს. უნდა დაისახო რაღაც მიზანი და მისთვის იბრძოლო. იოლია სასწონარკვეთა, ძნელია დასახული მიზნის მიღწევა. გესმის, რას გეუბნები?

— მესმის, მამაო!

— ამასწინათ მითხარი შენ, ჩემი მიზანი ერთიაო: ჩვენი დაკარგული სოფლების და ქალაქების დაბრუნება! არაფერი გითხარი მაშინ. ვიცოდი, არ მოხდებოდა ეს. მართლაც, რაც გექონდა, ისიც გამოგვაცალეს ხელიდან. ახლა რას თქვამ? გააგრძელებ სამხედრო სამსახურს?

— არა! უკვე გავიხადე ფორმა და ალბათ აღარსოდეს ჩავიცვამ.

— აბა, რა მიზანი გაქვს?

— არ ვიცი! — ნაღვლიანი მხერა მიაპყრო წინამძღვარს. — ჯერ არ მიფიქრია სამსახურზე. გუშინ უშიშროებაში გამომიძახეს. გამაფრთხილეს, თბილისი დავტოვო.

— რაო?! — შეჰყვირა მამა დავითმა. — რა მიზნით?

— არ ვიცი!

— როგორ? არ იკითხე? რა გიპასუხეს?

— ასეა საჭირო!

— ასეა საჭირო? — წინამძღვარი ფეხზე წამოდგა. ადგილს ველარ პოულობდა აივანზე.  
— შენ თვითონ რა გადაწყვიტე?

— ხომ გითხარით, არაფერი! მე უკვე ველარ ვაბროვებ. ყველამ, ყველაფერმა ბურგი მაქცია. ცხოვრებამ დამცა და წამოდგომის საშუალებას არ მაძლევს. — ფხოველიც ფეხზე ადგა. — თავი შეგანწყინეთ ალბათ? წავალ ახლა! შემოგივლით კიდევ.

— ნუ სცოდავ ღმერთს! — მოიღუშა მამა დავითი. — სად აპირებ წასვლს?

— სოფელში ჯერჯერობით.

— შემდეგ?

— შემდეგ ვნახოთ, მამაო! ძალიან მინდოდა ვყოფილიყავი აქ, ჩემს მინაზე. მეკეთებინა რაღაც ხალხისთვის, მაგრამ თუ არ მომცემენ საშუალებას, წავალ უცხოეთში.

— უცხოეთში? — ახლოს მიინია ბაკურთან. — ეგ რამ გაფიქრებინა?!

— მაშ რა ვქნა? მირჩიეთ!

მამა დავითი ჩათიქრებული გაჰყურებდა ზედაზნის მიდამოს.

— უცხოეთში ვინ გყავს? რომელი ქვეყანა გაქვს მხედველობაში?

— შტატები! — ხმადაბლა თქვა ფხოველმა.

თვითმფრინავი აეროდრომზე დაეშვა. ნელი ნაბიჯით ჩამოდიან ტრაპზე ბაკურ ფხოველი და ნატა გელოვანი. შავი ლიშუბინები პირდაპირ აეროდრომზე შემოდიან და თვითმფრინავთან ჩერდებიან. შუა მანქანიდან შუახანს გადაცილებული მამაკაცი გადმოდის. შეიარაღებული დაცვა ირგვლივ ყველაფერს კეტავს. მამაკაცი ღიმილით უახლოვდება მათ. ნატას მოეხვია. აკოცა.

— გულს ნუ გაიტყვს! — ფხოველისკენ შებრუნდა. — ეს ახალგაზრდა...

— ჩემი მეუღლის მეგობარია საქართველოდან.

— ო! — მამაკაცი ყურადღებით მისჩერებია ბაკურს. — ეს ხომ არაა შენი ავღანური ნარკვევების გმირი? თუ არ ვცდები „შავი სახანა“?

— დიას! — ნაცამ ფხოველს შეხედა. — ბაკურ, გაიცანი! ბიძაჩემია. ჩემი დეიდის ქმარი. ქალაქ დალასის მერი.

— სასიამოვნოა! — მაგრად ართმევენ ერთმანეთს ხელს.

— აბა, წავიდეთ! — ქალაქის მერი მანქანისკენ მიემართება. უკან მიჰყვებიან. მანქანები ნელა მიიწევენ დალასის ქუჩებში.

— აქაა დეიდა? — კითხულობს ნაცა.

— არა. კორსიკანაში გველოდება. დეიდაშენს ვერაფრით შევაცვარე ეს ქალაქი. მარტოს მიწევს დალასში ცხოვრება. როგორ მოგწონთ ქალაქი? — მხარზე ოდნავ ეხება ქალაქის მერი ბაკურს.

— საუცხოოა! დიდებულია! — აღფრთოვანებას ვერ მალავს ფხოველი.

კორსიკანა. ნაცას დეიდის დიდებული სასახლე. გულთბილი მიღება. დეიდის ცრემლიანი სახე. პალმებით გადაბურული ხეივანი. მრავალრიცხოვანი სტუმრები. მანქანების, ახალგაზრდების სიმრავლე ირგვლივ. ნაცა გელოვანი აქეთ-იქით იხედება.

— ჯონი სადაა? — ეკითხება დეიდას.

— ველოდებით!

— სამსახურშია?

— არა! ვაშინგტონშია. ნანა უნდა ჩამოიყვანოს. წუთი-წუთზე მოვლენ. სამი საათის უკან დარეკეს, მოვფრინავთო!

— ნანა ჩამოდის? რა კარგია! — სიხარულისგან სახე უწითლდება ნაცას. — ბაკურ! ჯონი და ნანა ჩემი დეიდაშვილები არიან. ჯონი ძიების ფედერალურ ბიუროში მუშაობს, ნანა კი ვაშინგტონში სწავლობს. და რაც მთავარია, შენ ღღეს შესაძლებლობა მოგეცემა, კიდევ ერთხელ ნახო ცამეტი წლის წინანდელი ნაცა გელოვანი.

— სურათები გინდა დამათვალიერებინო?

— არა! — ეღიმება ნაცას. — შენ ნახავ ერთადერთ ხორცშესხმულ სურათს.

ბაკური კითხვით აჩერდება.

— დედა და დეიდა ცყუბები არიან. ისინი არ დაემსგავსნენ ერთმანეთს. დედაჩემი მთელი თხუთმეტი წლით აღრე გათხოვდა, დეიდა — გვიან. საოცრება მოხდა. ნანა ჩემი ორეულია, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემზე ათი წლით პატარაა...

გადის კიდევ ორიოდ საათი. სტუმრები აყოფნებენ დაჯდომას. და აი... მხიარული შეძახილები:

— ჯონი! ნანა!

და-ძმა სწრაფით ნაბიჯით უახლოვდება სტუმრებს.

— ჰელოუ! — ხელის აწევით, მხიარულად ესალმებიან მეგობრებს.

გაუნძრევლად დგას ბაკურ ფხოველი. „ნუთუ შესაძლებელია ასეთი მსგავსება?!“

ცამეტი წლის წინანდელი კადრები ცოცხლდება ისევ. მართალი თქვა ნატამ. მისი დაბრუნებული წლები, ახალგაზრდობა მის წინ დგას. მხოლოდ თვალები აქვს ნანას სხვა ფერი — მწვანე, მუქი მწვანე.

— ჩემი დეიდაშვილები! — წარუდგინა ნატამ და-ძმა და ფხოველი ერთმანეთს.

— ნანა! — ბაკურის ძლიერ მარჯვენაში იმალება მისკენ გამონვდილი სუსტი, სალუქი თითები... განუმეორებელი ღამე. სინამდვილე და ზღაპარი ერწყმის ერთმანეთს...

მეორე დილა. ახალგაზრდობა მანქანებით ბატონ-რეჟიში მიემგზავრება. მდინარე მისისიპი. თეთრი, პატარა გემი. ახალი ორლეანისკენ მიდიან გემით.

ვარსკვლავებით მოჭედული ცა. გემბანზე მარტოდმარტო დგას ბაკური. გრილა. ჩათეიქრებული გაჰყურებს მისისიპის უდაბურ, სიბნელეში ჩაძირულ სანაპიროს.

— არ გძინავთ? — ნანას ხმაა.

— არა. თქვენ რატომ არ დაიძინეთ?

— არ დამეძინა.

— მოისხით შეგცივდებათ, — ფხოველი ქურთუკს იხდის, ფრთხილად ახვევს ქალიშვილს მხრებზე. — ნატას ძინავს?

— არა. წერს. მასპინძელი ამას არ უნდა გვეითხებოდეთ, მაგრამ... დიდხანს დარჩებით

შტატებში?

— ალბათ ერთი ან ორი კვირა.

ნანა წყალს დასჩერებია. ბაკური აცყობს, რალაცის თქმა უნდა, მაგრამ ვერ გადაუნწყევტია, თქვას თუ არა.

— დალასის მერის ქალიშვილს მე ალბათ ვერაფრით დავეხმარები, — ელიძება. — მაგრამ მაინც... იქნებ საჭირო ვარ თქვენთვის? ხომ არაფერში შემიძლია დავეხმაროთ?

— ბაკურ! — მისკენ შემობრუნდა ნანა. — ეს ყოფილი საბჭოეთი როდია. აქ შტატებია. არაფერი მნიშვნელობა არ აქვს, მე მერის ქალიშვილი ვარ თუ უბრალო უმუშევრის. თუნდაც პრეზიდენტის შვილი ვიყო. მერე რა?! აქ ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ცხოვრობს ისე, როგორც მას სურს. თქვენ წარმოიდგინეთ, სულ არ ვარ აღფრთოვანებული იმით, რომ მამაჩემი ქალაქის მერია. ათასჯერ ჯობდა ჩემთვის, უბრალო ფერმერის ან ბიზონებზე მონადირის შვილად დავბადებულიყავი. მეცხოვრა სადღაც პრერიებში. მეჭენებინა უბელო ცხენები... რაგომ ილიძებით?

— მერედა წადით პრერიებში, აჭენეთ ცხენები, ინადირეთ და იცხოვრეთ. თუ ყველა ისე ცხოვრობს, როგორც მათ სურს, თქვენ რაგომ არ ცხოვრობთ თქვენი სურვილისამებრ?

— უსიერ პრერიებში ცხოვრების სურვილს ჩემსას წინ არაფერი დაუდგება, მაგრამ არსებობს ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც თავს ვიკავებდი დღემდე.

— რა მიზეზია? თინანსური პრობლემა რომ არ იქნება, ამას ვხვდები.

— არა, — ნანა თვალებში აჩერდება ფხოველს. — მიზეზი ერთია! მე დღემდე არ ვიცნობდი იმნაირ მამაკაცს, ვისზეც შევძლებდი დაყრდნობას. გამოჩნდით თქვენ და ვიგრძენი, რომ ხართ ის ერთადერთი, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი.

— ნანა! — ბაკური საჭირო სიციყვებს თავს ვერ უყრის. თვალებში ჩაჰყურებს ქალიშვილს. ერთბაშად მოდის გონს. — ის ყველაფერი, რაც თქვით, აბსურდია. ეცადეთ, რაც შეიძლება შორს იყოთ ჩემგან. მომერიდეთ, რადგან ყველას, ვინც ჩემს ახლოს ცდილობდა ყოფნას, მხოლოდ ცრემლი და ტანჯვა რეგებია ქვეყნად. ძილი ნებისა! მაპატიეთ!

ბრუნდება. კაიუტისკენ უნდა ნავიდეს.

— გახსოვდეთ! — წუთით აჩერებს ნანას სიციყვები. — მე ჯერ კიდევ პატარა ბავშვს მიყვარდით თქვენ. ბალიშქვეშ მენყო ნაცას ნარკვევები ავლანეთზე, ქართველზე, რომელსაც

„შავ სახანას“ ეძახდნენ. სიზმრებში ვხედავდი იმ კეთილ რაინდს, რომელიც გასაჭირში ჩავარდნილ მგერსაც კი ზედ ეფარებოდა და საკუთარ სიცოცხლეს არ ზოგავდა უმწეო ადამიანთა გადასარჩენად... დაიხსომეთ, რომ არსებობს ნანა უორბეკი, ინგლისელ ლორდთა შთამომავალი, ვის ძარღვებშიც ნახევარი ქართული სისხლი ჩქეფს და ვინც მთელი ცხოვრება დაგელოდებოდა თქვენ! ძილი ნებისა!

ბაკურ ფხოველს ქერთუკს უბრუნებს და კაიუტისკენ მიემართება. გემი ნელა მიაპობს მისისიპის ტალღებს...

— დაფიქრდი, შვილო! — მამა დავითი წვერზე ისვამს ხელს, — ნუ აჩქარდები. იცი, ალბათ, რას ნიშნავს ფრანგული სიტყვა „ნოსტალჟენ“. მამულის, საკუთარი ქვეყნისადმი სევდას! სადაც არ უნდა წახვიდე, რა ცხოვრებაც არ უნდა გექნეს, ადრე თუ გვიან შენს სულს და სხეულს ნოსტალგია მოიცავს და გული მაინც სამშობლოსკენ გამოგინევს. გახსოვდეს ჩემგან, ბებერი არწივი მთებში და კლდეებში ბრუნდება ყოველთვის, რათა იქ დაასრულოს სიცოცხლის დღენი, სადაც შობილა...

ლამის წყვილადს მოეცვა არაგვის ხეობის შემოგარენი. ჟინვალის წყალსაცავის თავზე გადაჭიმულ კლდოვან გზაზე ნელი სვლით მიიწეოდა „ბმე“. ნისლში ჩაძირულიყო გზის ეს მონაკვეთი. საჭეზე მსუბუქად ჩამოდებულ ხელში სიგარეტი უბოლაოდა ბაკურს. დაფიქრებული გაჰყურებდა ნაცნობ გზას. ამ მთრთოლვარე ნისლის მიღმა, როგორც სიზმარში, მოულოდნელად გამოგეცხადება ადამიანს საშავარდნისა და მალანლის, ახუნის, როშკისა და სინადაურას ცად აზიდული, ამაყი, უკარება მწვერვალები. ის არათერს ნიშნავს, რომ იცი და წინასწარ ელოდები მათ გამოჩენას, მაინც მოულოდნელად გამოგეცხადება...

ფხოველი მთელი არსებით აღიქვამდა დაქალაქებულ შემოდგომას. აღიქვამდა, როგორც საკუთარი სულის და სხეულის განუყრელ ნაწილს. შეგრძნება იმის, რომ თვითონაც ამ მთების, სისხლით და ოფლით გაპოხილი მინა-წყლის შვილი იყო, ძალას მაგებდა. ანანური! ბებრის ციხე! გომენრის, ქორსატეველას ციხეთა ნაშთები! რამდენმა თაობამ იცხოვრა ამ მინაზე, რამდენის მკლავი და ქედი გაცვდა, რამდენის ძვალი დაიფერულა, მაგრამ მოდიოდა ახალი თაობა, იბრდებოდნენ საარაგვოში და კვლავ იბრძოდნენ, კვლავ ეწეოდნენ ცხოვრების მძიმე ჭაპანს.

„მთიდან მოდიოდნენ ვაჟები კერკეცა, უკან ბრუნდებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად... მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა და რქებით ჩხვერაოდნენ კრწანისს და მარაბდას... მთიდან მოფრინავდნენ, მტრის ჟლეტა ნებავდათ და ბარში რჩებოდნენ სამარის ჭვრებადა...“

ნანყვეგ-ნანყვეგ გაურბინა გონებაში შოთა ნიშნიანის სტრიქონებმა. სახეზე მოისვა ხელი. ასფალტიანი გზა დაიწყო.

სისწრაფეს უმატა. ნისლი პატარ-პატარა ფთილებად ეწყო. ღრმად შეისუნთქა ღია თუჩრიდან მონახერი ნიაფი. როგორც არასდროს, ის ახლა გრძნობდა, რომ ქვეყნად ყოფნა ერთი დიდი ვალის გადახდაა საკუთარი მიწისა და ხალხის წინაშე. და ვინც ამას დროზე ვერ მიხვდება, მისი სიცოცხლე უქმი და მომცდარ მიწასავით უნაყოფო იქნება. თვითონ კი არ გააკეთა, რით გადაიხდა ვალი, რომელიც ქვეყნად მოსვლისთვის დააკისრა ვიღაც უხილაჟმა და ყოვლისშემძლემ?!

გუშინდელი დღე. უშიშროების კომიტეტი. ნაცნობი სახეები. თბილად ესაუბრებიან თხოველს. ბევრს იცნობს. ისინიც იცნობენ მას. ბევრი კარგი ბიჭი მუშაობს აქ.

— ბაკურ! — კიბეზე ვიღაც შედგა.

— გამარჯობა, ნოდარ! — გადაკოცნა. წლების წინ გაიცნეს ერთმანეთი ქორწილში ნოდარ ჩხეტიანმა და ბაკურ თხოველმა. სუფრაზე რაღაც გაუგებრობა მოხდა. საკმაოდ ნასვამმა ჩხეტიანმა ჯერ ბოთლი ესროლა ბაკურს, შემდეგ პისტოლეტი დააძრო... მეორე დღეს შეხვდნენ ერთმანეთს. სადღა იყო ის გამხეცებული სვანი? ნოდარი სახეანითლებული იდგა.

„რა ვქნა, მიყვარს შენი და!“ — ხმადაბლა უთხრა, თვალებში შეხედა ბაკურს. „ჩემი და თუ გიყვარს, მე რისთვის მიმეცებდი მოსაკლავად?!“ — გაეცინა ბაკურს. მას შემდეგ დამეგობრდნენ.

— ყველაფერი ვიცი, აღარაფერს გკითხავ. — ვილაცას მიესალმა ნოდარი. — გამომიარე სახლში, ვისაუბროთ.

— შევეცდები, ნოდარ!

— აქ ვისთან ხარ? ჩემგან არაფერი გჭირდება?

— არა! ვიღაც წულაიასთან ვარ დაბარებული.

— რა უნდა?

— არ ვიცი!

— მეორე სართულზე ადი და მარჯვნივ! მე საქმეზე გავდიოდი, მაგრამ დაგიცდი. გაიგე ერთი, რა უნდა მაგ ყოფილ კომკავშირის ვიროხას და ჩემთან შეძოდი მერე.

— კარგი, ნოდარ!

— ჩემთან ვარ. გელოდები!

კარებზე წარწერა. შეალო. მაგიდასთან მჯდომმა ერთი კი შეხედა შესულს, ხელით ანიშნა სკამზე და კვლავ ქაღალდებში დაიწყო ფათური. როგორც იქნა, მორჩა. ქაღალდები საქაღალდეში ჩააწყო. გვერდზე მისწია.

— თუ არ ვცდები, ფხოველი ბრძანდებით?

— დიას!

— სად იყავით აქამდე? დიდი ხანია გელით, ბატონო ბაკურ!

— ოქროს ქვიშებზე ვისვენებდი! — სიცივე ჟონავს ფხოველის ხმაში.

— სად?! — წულაია სათვალეს ირგებს.

— გითხარით, ოქროს ქვიშებზე. საერთოდ კი, როგორც ვხედავ, თანატოლები ვართ და ჯობია მომმართოთ ყოველგვარი ბატონობის გარეშე.

— როცა სუფრაზე ვზივარ და მეგობრების წრეში ვარ, იქ მსგავსი ტონით არც მე ვსაუბრობ, მაგრამ აქ სახელმწიფო დანესებულებაა, — უცებ უჭრის. — მე კომკავშირის ცეკაში ვმუშაობდი და...

— გეტყობათ! — აწყვეტინებს ფხოველი. — რისთვის დამიბარეთ?

— ბუჩუკური თქვენ გადმოასვენეთ?

— დიას!

— თოფურიძე?

— არა! ჩემმა მეგობრებმა.



— ვინ არიან თქვენი მეგობრები?

— არ იცნობთ!

— მაინც?

— რუსეთის მოქალაქეები არიან, მინდელი და ხიტილაძე. ამ წუთებისთვის ორივე გერმანიაშია. მისამართი გინდათ? ტელეფონიც მაქვს! — ელიძეა.

— გმადლობთ. არ მინდა.

— აბა რა გინდათ?

— თქვენ შეხვდით ვახტანგ ქობალიას?

— შეხვდით. სულ ხუთიოდე წუთით.

— მერე?

— მერე არაფერი!

— რა ვითხრათ?

— თბილისში საყვარელი ყოლია. მოკითხვა დამაბარა.

— მოეშვით ხუმრობას! — სახე უშავდება წულაიას.

ფხოველი ფეხზე ღგება. მისკენ მიემართება. მაგიდას ეყრდნობა ხელით.

— რა გქვიათ?

— ვახტანგი!

— ვახტანგ! კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ჩემზე უწყინარი კაცი თბილისში არ ღაღის. ისიც კარგად იცით, რომ მე ისეთი არაფერი მაქვს ჩაღენილი, რითაც შეგეძლოთ რაიმე ხელჩასაჭიდი მოგენახათ ჩემს წინააღმდეგ. ასე რომ ყოფილიყო, აქამდე უკვე ათასჯერ ამიყვანდით. ხომ ასეა?

უხმოდ ზის ვახტანგ წულაია.

— ძალიან გთხოვთ, მეტი აღარ შეწუხდეთ ჩემი გამოცახებით! — თხოველი კარებისკენ მიემართება. — სუფრაზე შეხვედრამდე, ბატონო ვახტანგ!

— ბაკურ!

— გისმენთ! — ბრუნდება. ვახტანგი ღვება. მის წინ ჩერდება.

— ბევრი კარგი გამეგო აქამდე თქვენზე. დღეს შევხვდით ერთმანეთს და მიუხედავად თქვენი აგრესიულობისა, პირდაპირ გეტყვით, მომეწონეთ. ჩემი რჩევა იქნება, დროებით დაგოვოთ თბილისი.

— სად წავიდე? — დაბალი, ნაღვლიანი ხმა.

— არ ვიცი! სადაც გინდათ! — წულაია თვალს არიდებს.

— რატომ? ვისთვის ვარ ზედმეტი?

— ასეა საჭირო. მეგის თქმის უფლება არ მაქვს.

— გასაგებია. გმადლობთ...

სიბნელეში ჩაძირულიყო შახგისკარი. ცენტრში არავინ იყო. ჟინჯლაავდა. მანქანა გზაზე გააჩერა. ეზოში შევიდა. ოღნავ ბჟუტავდა ლამპა. გადანეული ფარდიდან შეიხედა ოთახში. მაგიდასთან იჯდა დედა. რვეულებს ჩასცქეროდა. უყურა ერთხანს დედის ჩათუქრებულ სახეს. შემდეგ კი მძიმე, ხმაურიანი ნაბიჯებით გაიარა სახლის წინ. კარი შეაღო. შემკრთალმა ახედა ქალბატონმა თამარმა. კალამი მაგიდაზე დადო. ნამოდგა.

— შეილო! მოხვედი? — მოხვია. ცრემლები კრთის მშობლის თვალებში.

— მოვედი! ნუ ტირი, დედა! — ხელი მოხვია. ტახტზე ჩამოსხდნენ.

— ოთხი თვეა, რაც წახვედი. ნუთუ არ შეგეძლო ამ დროის მანძილზე შეგეტყობინებინა, რომ არათფერი ვიჭირდა?

— ვერ მოვახერხე.

— საყვედურის ღირსი ხარ. არ გასაყვედურობ მაინც. მითხარი, ნუ დამიძალავ, აფხაზეთში იყავი

ისე?

— ვიყავი.

— უკვე დროა, შვილო, სხვა ცხოვრებაზე იფიქრო. შენ ალბათ არ იცი, ყველა, ვისაც სამხედრო ფორმა გაცვიათ, როგორ ეზიზღებით ხალხს, საზოგადოებას.

— ვიცი, დედა! ვიცი, მაგრამ თუ ათასში ერთი ცალახიანი ღორი გამოერია, რა დააშავეს პატიოსანმა მეომრებმა? მეზრძოლები არ არიან დამნაშავენი, არა! ომში დავმარცხდით და ესაა მიზეზი ჩვენი სიძულვილის. რომ გავგემარჯვა? ხელის გულზე დაგვინწყებდნენ მაშინ გარებას და ის ერთი და ორი ცალახიანი ღორიც ოქროს მჭრელ მამლებად გადაიქცეოდა. გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! ამაშია საქმე.

— გაჭალარავდი, შვილო! უკვე დროა, ოჯახზე იფიქრო. შენ ვერ გაასწორებ ამ უსამართლოდ აწყობილ ქვეყანას. ოცდაცამეტი წლისა მთელი თხუთმეტი წლით ხნიერს გაუხარ.

— გახსოვს, დედა? შენ გვასწავლიდი ვაჟას სიტყვებს: „ლაშქრობამ ჩამამაბერა, ძალღოთ უმადურად გდებამა, სუ ომშია ვარ, რაც კია, ძუძუს მამსხლიტა დედამა...“

— ასეა. დალხინებული, ვარდებით მოფენილი არასდროს ყოფილა შენი ცხოვრების გზა, მაგრამ გული არ გაიტეხო. ყველაფერი გამოსწორდება. ადიდებული მდინარე კალაპოტს უბრუნდება ბოლოსდაბოლოს. ეკა სადაა? რატომ არ წამოიყვანე? რა მოგივიდა?

— არაფერი!

— სახე გაგიფითრდა. ცუდად ხარ, შვილო?

— არა! არაფერია, — ფანჯარასთან მივიდა. ფარდა განია. — ეკას შენ ვეღარასოდეს ნახავ.

— ბაკურ! რა მოხდა? თქვი, რას ჩაჩუმდი?

— ეკა გათხოვდა!

— რა თქვი?!

— ასეა! — ბაკური სიბნელეს მისჩერებია. — უცხოელს გაყვა.

— შემომხედე თვალებში! — თამარი ადგა. შვილთან მივიდა. — პირველად როდის იცრუე, გახსოვს, ჩემთან? როცა შენი კლასი „მაგალოზე“ წავიდა. მე ავად ვიყავი. საავადმყოფოში ვინეჭი. იქიდან გამოსულმა, ცხადია, ეს ამბავი გავიგე. მინდოდა დამესაჯეთ. ვინ იყო „მაგალოს“ ორგანიზატორი-მეთქი, რომ ვიკითხე, შენ ადექი და მე წავიყვანე კლასიო — მიპასუხე. გვიან გავიგე, შენ იმ დღეს თურმე საერთოდ არ ყოფილხარ სკოლაში. თურმე მაშინ, როცა კლასი გაკვეთილებს აცდენდა, შენ საავადმყოფოს კიბეებზე იჯექი და როგორ დამთავრდებოდა ჩემი ოპერაცია, იმას ელოდი. მაშინაც ასეთი თვალები გქონდა, შვილო, როცა პატარა ბიჭი ცყუილს მეუბნებოდი. ახლაც არ მეუბნები სიმართლეს. ეკა არ იყო ის, ვინც შენ ასე ჰაიჰარად მიგატოვებდა. რა მოხდა თქვენს შორის, მე არ ვიცი. მეგს აღარ გკითხავ. ალბათ არ თვლი საჭიროდ, რომ მეც ვიცოდე. ნება შენია, — შებრუნდა. — ისე კი იცოდე, თუ ღროებით რაღაცაზე გაეხუტეთ ერთმანეთს, ყველანაირად ეცადე ჩატყვილი ხიდის გამართლებას, რადგან ეკას დაკარგვით შენ ძალიან ბევრს დაკარგავ!

— ძალიან ბევრს? ცდები, დედა! მე მისი დაკარგვით ყველაფერი დაკარგე!

— კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი უსაშველო, აღარ იცევი? ბაკური დედისკენ შემობრუნდა.

— მაპატიე სიცრუისათვის, არ მინდოდა გული დამენწყვიტა შენთვის. ეკა... დაიღუპა!

— რა?! — ქალბატონი თამარი ჩაიკეცა...

## XVI თავი

„როგორც კი სოფელში ჩამოვალ, უთუოდ გავივლი ხეობაში. მიყვარს დილაბნელზე ჭიუხთა ციცაბო ბილიკებზე სხეულის მოღლა. აუცილებლად გავივლი ხოლმე მდინარეთა შესართავთან, სადაც წისქვილია. არ ვიცი, ჩემს თავს რა ამბავია, სოფელს მიუახლოვდები თუ არა, ჩემში უნებურად იღვიძებს ეჭვის გრძნობა — წისქვილი ხომ არ გაჩერდა-მეთქი? ნეტავ ისევ ბრუნავენ ქვები? ისევ რაკუნობს სარეველა? წისქვილის უძრავ ქვებზე მეტად გულისშემღონებელი ვერაფერი წარმომიდგენია რატომღაც.“

სკანდინავიის ნახევარკუნძულზე თორმეტი ათასი ქარის წისქვილიაო, სადღაც წავიკითხე. ამათგან დიდი ნაწილი დღესაც მოქმედია თურმე. ხალხი ეფერება, ალერსს არ აკლებს თავისი შორეული წარსულის უცყვ მონუმებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი თანამედროვე სათქვავეი ფაბრიკა შესცვლიდა იმ თორმეტი ათას წისქვილს. მე ქარის წისქვილები მხოლოდ

ესპანეთში დავინახე და ისიც თვითმფრინავის ილუმინატორიდან. ისინი მულტიპლიკაციური ფილმების გოლიათებივით მოჩანდნენ მინაზე. ასე მგონია, იმ დროს თვალი მოვკარი კეთილ იღალგოს დონ კიხოცს, რომელიც ავერ უკვე რა ხანია უიმედოდ იბრძვის ქარის წისქვილების წინააღმდეგ სიყვარულის სახელით და, რაც უფრო შეუძლებელია ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სახელით...

საქართველოში, თშავ-ხევსურეთში ქარის წისქვილები არ ყოფილა. აქ წყლის წისქვილებია. სულ რამდენია? — ეშმაკმა იცის. მხოლოდ ერთია ჩემს სოფელში. ამ დილითაც არ ვუღალატე ჩვეულებას. წისქვილს მივაკითხე. თითქოს ყველაფერი ისევე იყო, როგორც ჩემი ბავშვობის დროს, როგორც მამაჩემის პატარაობისას იყო ალბათ. ქვები ისევ ხმაურობდნენ. ადამიანები ახლაც ხმამაღლა ჩაჰყვიროდნენ ყურში ერთმანეთს, ჰაერი ახლაც თეთრი იყო, როგორც იმპრესიონისტების სურათებშია, ხოლო ჭერის კოჭებზე გაბმული აბლაბუდა ისევე იყო ფქვილის მცვრით გათეთრებული, როგორც უნინ...”

ბაკურ ფხოველი ხავსიან ლოდზე იჯდა და მონუსხულივით თვალდაუხამხამებლად გაჰყურებდა მშობლიურ მთებს. „ნუთუ შეიძლება ეს სილამაზე რამეზე გაცვალო?!“ შუბლი შეეჭმუნა. უცებ გაახსენდა...

წერეთელზე მიდიოდა. ვილაცამ ხელი გაუქნია. გაუჩერა მანქანა. ასე, ორმოცდახუთი წლის კაცი იყო აფორიაქებული მოვარდა მანქანასთან.

— განუხებთ, მეგობარო, მასივისკენ ხომ არ მიდისარ?

— რომელი მასივისკენ?

— დიღმის!

ბაკურმა საათს დახედა. დრო ჰქონდა. მამაკაცი ოფლს განიერი ცხვირსახოციტ იწმენდა.

— დაბრძანდით! ხომ არაფერი გიჭირთ?

— ფულის გადასახურდავებლად გავრბივარ. დოლარები უნდა მომიტანონ და დროში ვინვები.

— ამერიკაში მიემგზავრებით?

— თურქეთში!

— როდის?

— ხვალ.

— ლამაზი ქალაქია სტამბული. არც თუ დიდი ხნის წინ ვიყავი. სამოგბაურად მიდიხართ?

— სამუდამოდ!

— სამუდამოდ?

— დიახ! მეყო ამ მათხოვრების ქვეყანაში ცხოვრება! გავძეხი უკვე აქ ყველაფრით.

გავძეხიო? კაცი იყურება მშვიდად, მაგრამ გესლიანად. ესე იგი გამძღარა სამშობლოს სიყვარულით — თბილისით, მთანმინდით, რუსთაველით, 9 აპრილს დახოცილთა მემორიალით... გავძეხიო?! თითქოს სამშობლო მწვადი იყოს, ლუდი ან ქაბაბი, ანდაც სიმღერა, როცა გინდა მოისმინო!..

არაფერი უთქვამს ფხოველს. მეტი არაფერი უკითხავს, არც არაფერი განუმარტავს. მხოლოდ ერთს ნაგრობდა გულში: ამ კაცს არასდროს ემღერა ბოსფორის ნაპირებზე „მრავალჟამიერი“. ამიერიდან აღარ ეხსენებინა თამარი, დავითი, გიორგი, ლაშა... დაევიწყებინა, რომ სიონი თბილისშია, სვეტიცხოველი — მცხეთაში...

ბაკური ვერასდროს მიუტევებდა თანამგზავრს ამ ცოდვას. მაგრამ იქნებ სამშობლომ შეუნდოს? ამბობენ: სამშობლო დედააო! დედის გულმა მიტევება იცისო! დასაგმობია ეს აზრი. სიცრუეა. არც სამშობლო აპატიებს მოღალატეს არასოდეს. პატიება აღამიანების მოგონილია და მხოლოდ მათ შეუძლიათ მიუტევონ... სამშობლოსაც, თუკი მას ოდესმე რამე ექნება მისატევებელი... მაგრამ რაკი ჩვენი, აღამიანების სიცოცხლე ხანმოკლეა, სამშობლოსი კი — მარადიული, ვერასოდეს მოვესწრებით იმ დღეს, რომ სამშობლოს რაიმე ჰქონდეს მისატევებელი...

— აქ შემიჩერეთ! აიღეთ ფული!

მომავალ ემიგრანტს განვდილი ფული ხელში უცივდება. ბიზნარევი სიბრაღულით მისჩერებია მძღოლი.

— არათერი გინდათ. ჩაბრძანდით!

კაცი ფრთხილად კეცავს მანქანის კარებს. ჩქარი ნაბიჯით ცილდება უცხოურ მანქანას და უცნაურ მძღოლს...

ეკა!

ფხოველი მუხლებშია ჩაყუდებულ თოფს დაეყრდნო. თავი ჩაღუნა.

„განგების ხელი ურევია ჩემს ამ ყოფაში... რალაც შინაგანად მშლის, მფიგავს... შემოიჭერი ჩემს ცხოვრებაში, გიჟმაჟი, უცნაური, არათერის მომთხოვნი. სევდიანი თვალებით, ერთი ნაგლეჯი ბეცა და იღუმალი შრიალი რომ იხატებოდა მათში, თითქოსდა ერთთავად რალაცის განჭვრეტას, ამოცნობას ლამობენო. მოხვედი დაუკითხავად, ვაზივით ჩაენანი, ჩაეხლართე ჩემს ღლეებს, ცოცვით აჰყევი ჭივოს და დაჰკიდე სიყვარულის მტევნები. ყოველივე, რაც გებადა, შემომწირე და სამაგიეროდ არათერი, არათერი არ გითხოვია. ჩემს წინ ამიშვლებდი უმანკობას, ქალურ სილამაზეს, მე კი ფარდას ვუშვებდი და შუქს ვაქრობდი. ვერც ვერავინ გვნახა, ვერ გაუუბარეთ ვერავის ჩვენი სიხარული. ჩვენი სიყვარული მოგიბგებე კოცონს ჰგავდა. გვინდოდა შიგ გაგვევლო, გაგვერბინა. ის კი არ ვიცოდით, ცეცხლთან თამაში არ იქნებოდა...

ჩვენი სიყვარული ჭიაფერის სურათი იყო, ეს ფერი კი უკვდავია. მტვერი ჩამოაფერთხეთ და ვით პირველშობის ჟამს, გაცოცხლდებიან, აცივლივდებიან ჩალამებული ფერები.

ყველაზე მთავარი არავინ გვასწავლა. პირველ კლასში ანბანი გავიარეთ. ამას მერეც მოვასწარებდით. მერე გამრავლების ცაბულა დაგვაბეპირებინეს... მაგრამ არავინ გვასწავლა, როგორ მოვექცეულიყავით, როდესაც ცხოვრებაში სამუდამოდ გამოვეთხოვებოდით სიყვარულს, ახლობლებს, გარდასულ ღლეებს... მაშ, რისთვის გვასწავლეს ძველი და ახალი საუკუნეების ისტორიები, რა აზრი ჰქონდა?!

არავინ აგვიხსნა, ახლობლის ტკივილი როგორ ამოგვეცნო, ღუმილი როგორ გვესმინა, ისე როგორ გვეტანჯა, პირადი ღირსება არ შეგვლახოდა. ისლა დაგვრჩენოდა, ყოველივეს ჩვენ თვითონ ჩავწვდომოდით და გუმანით მივმხვდარიყავით.

კაცმა რომ თქვას, ყველაზე მთავარი ჩვენი გულის ჭრილობებით უნდა გამოვხატოთ. ერთი კია, რომ ჭრილობები შეხორცდება, მაგრამ მისგან კვალი ყოველთვის რჩება. ნაიარევი თუ არაა, გული რა გულია! ამ იარების წყალობით, კუნთების უბრალო გროვა ჩვენი

განვლილი ცხოვრების მოწმე და უკანასკნელი თანამოსაუბრე ხდება.

ყველაზე საშინელება კი ისაა, რომ ადვილად ვკარგავთ მას, რასაც ძნელად ვპოულობთ...“ ძაღლის ყეფამ გამოაფხიბლა. მისი მეძებრის ხმა იყო. ფეხზე წამოდგა. ყური დაუგდო. შორს, სადღაც კლდეებში ყეფდა „ქორისა“. ყეფა ნელ-ნელა მოიწვედა აქეთ. სათბილობელი იქვე დააგდო, თოფი აიგაცა და დაყუდებულ ტყიან გორას სირბილით აუყვა. იცოდა, შველსა და ირემს ნომერში ვერ აასწრებდა. ამას არც დარდობდა. ღიდი ხანი იყო, ფხოველი მათ აღარ სთოფავდა. „დათვის ხმაზე ყეფს! უნდა ავასწრო!“ უნაგირივით ჩატყვილ გორაზე შედგა. მიიხედ-მოიხედა. უკვე ნომერში იყო. ძაღლის ხმა ჭერაც შორიდან ისმოდა. საკეცი გამოსწია. ტყვია პირში მისცა. დახედა პაპისეულ მოკლე, კავალერისტის კარაბინს. ლულაზე ფრთაგაშლილი არწივი. წარწერა: „იმპერატორის საიარალო

ქარხანა. ტულა. 1913 წელი“. გაელიმა. მისი მეგობრები, ვისთან ერთადაც სანადიროდ უვლია, ყოველთვის დამცინავი ღიმილით უყურებდნენ ამ ათა-პაპისდროინდელ იარაღს. თავმოძნონედ შეათამაშებდნენ ხელში თანამედროვე „სკს“-ებს და „სვდ“-ებს. მაგრამ მათი ღიმილი თანდათანობით ქრებოდა. აკაკანდებოდა უახლესი კარაბინები. ნადირი გარბოდა... იქ კი, სადაც „იმპერატორსკი“ დაიქუხებდა, წელმოწყვეტილი ან თავში სასიკვდილოდ დაკოდილი ნადირი უკვე მონადირეს ელოდა. დღემდე ვერათურით შეეღია ბაკური ამ ლამაზ, ფაქიზად შენახულ, ოთხმოცი წლის თოფს.

ფოთლის შრიალი ჩაესმა. გაღმა ფერდაზე ადიოდა დათვი. შავი, ყელთეთრი, ჩერდებოდა. ძაღლს უბრუნდებოდა. ქვეს, ლოდებს ესროდა. „ქორისა“ დამფრთხალი გავარდებოდა უკან, ისევ შემობრუნდებოდა და გაკაპასებული ყეფით მისდევდა.

მუხლზე წაიხოქა. „პრიცელი“ გაასწორა. იგრიალა „კარაბინმა“. დათვი მოწყვეტილი ლოდივით დაგორდა. ხევში ჩაგორდა. მხიარულად დაიწკაუნკაუა მეძებარმა. დაჰყვა დაგორებულ ნადირს...

ბინდი წვებოდა, როცა სოფელს მიუახლოვდა. ჩამოჭდა. შეისვენა. მძიმე ზურგჩანცა მოიხსნა. სიგარეტს მოუკიდა.

— გფარავდეს, ხელს გიმართავდეს ნადირთ ანგელოსი! — მოესმა. თავზე თანასოფლეელი ედგა.

— იცოცხლე, ძია ლევან! მადლობელი ვარ! — ფეხზე წამოდგა ფხოველი.



— დაჯექი, დაჯექი, შვილო. დაღლილი იქნები, — ლევანმა ზურგხანთა შეათვალიერა. ზედ ტყავი იყო მაღლიდან დაკრული. — კაი დიდი ჩანს ეს ტიალი. საისაკ იყავ?

— გორმაღალაში!

— ყოჩაღ! კარგია.

— ძია ლევან, მე არ მცალია და რომც მეცალოს, ამდენი ხორცი არათურად მინდა. ადით ცხენი წაიყვანეთ. ხორცი ჩამოიგანეთ. ხეზეა დაკიდებული. დილაძდე არ გაფუჭდება.

— კარგი, ბაკურ! დილით ავალთ და ჩამოვზიდავთ. ახლა კი ისე ვერ გაგიშვებ. კაი ხანია არ მინახიხარ. ჩემთან შევიდეთ! — ზურგხანთას დასწვდა. — ჰანტის არაყი მიღვა. დამბალი ხაჭოც მამეძევება.

— დამბალი ხაჭო რო არ გეხსენებინა, არ წამოვიდოდი. — გაელიმა ბაკურს.

ნელი ნაბიჯით გაემართნენ სახლისკენ...

9 საათი სრულდებოდა. რის ვაი-ვაგლახით დააღწია მასპინძელს თავი. ლევანს არაყი მოჰკიდებოდა. სახეანთებული, მხრებგაშლილი ღიღინებდა ძველისძველი სიმღერის თავისებურ ვარიანტს: „თოვლი სთოვს. ჯიხვი ფეხს უცემს, გულს გიგლის მონადირეო, ვერ დაგვარ „ბერდანის“ ტყვია, სისხლი ვერ გაგადინეო...“

— მე წავალ! — ფეხზე დგება ფხოველი.

— მაიცა, კაცო, სად წახვალ! — წყრება ლევანი. — ვისაც ა ემ მთა-კლდეებში უნადირიათ და აღარ არიან, იმათი შესანდობარი არ დაგილევია.

— პირველად ეგ არ დავლიეთ?! — ელიმება ბაკურს.

— კაცო, ეს გამაგიჟებს! კიდევ რო დავლიოთ, არ შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ...

— ნუ დააღონე ე ბალღი, შე დანელეებულო! — უწყრება ცოლი მასპინძელს.

— დედაკაცო! რაც შენი საქმე არ არი, იმაში ცხვირს ნუ ჰყოფ, ათასჯერა მაქვს შენთვი ნათქვამი, — დამოძღვრა ლევანმა. — მაიცა, ჩონგურ მამანოდე! სიმებს ჩამოჰკრა. ცოლს

ღიმილით გახედა:

„ღუშმანიც არი დედაო, მონადირისა ცოლია, ჯერ შუალამე არ არი, გათენებული ჰგონია.

დასტოვებს თბილსა ლოგინსა, ცივ კლდეებს ცყეში სტოლია, არ მინდა ნადირის ხორცი, დანეც, ნუ დამაღონია...“

სინყნარეს მოეცვა სოფელი. ეზოში შევიდა. სიბნელეში მეორე მანქანა დაღანდა. ახლოს მივიდა. ნაცნობი მანქანა. მარიკას მანქანაა. ლუმელთან სხედან მარიკა და ქალბატონი თამარი.

— რა მოკალი? — მისალმების შემდეგ კითხულობს მარიკა.

— ხუთი სპილო, ორი ლომი, ერთი ნიანგი! — თითებზე ითვლის ბაკური.

— მთვრალი ხარ?

— მარიკა! ერთადერთი ადგილი, სადაც თავს ვგრძნობ ყოველგვარი კომპლექსების გარეშე, ეს ჩემი სოფელია. აქ მინდა ყირაზე დავდგები! მგონი ჯერჯერობით ქვეს არ ვისვრი?!  
— ღმერთმა გაშოროს! ბევრი დალიე?

— არა! — ხელს მაღლა აპყრობს. — ვფიცავ ნინოს ჯვარს! ხახულის ხეთისმშობელს! თამარის ხსენებას! სააკაძის გადაგეხილ ხმაღს!..

ელიმება მარიკას.

— ასეთი ფიცი ჯერ არ მსმენია! თამარი ნამოდგა.

— ვახშამი მზადაა, ბაკურ. შენ გელოდებოდით.

— გადავიბან, ჩავიცვამ და მოვალ! — ეზოში გავიდა. წელზევით გაიძრო. ყინულივით ცივ წყალს შეუშვირა გახურებული თავი. ცივი წყლით დაიბილა ტანი. ნასასმელარს ეამა წყლის სიციფე. აბანოში შევიდა. სანთელი აანთო. მთლიანად გაიხადა. ცივი შხაპის ქვეშ დადგა...

— გამოთხიბლდი?

— შედარებით. დედაჩემი სად წავიდა?

— მეზობლის ქალებმა დაუძახეს. ვილაცას უნდა დაეხმარონ მაგყლის დართვაში.

— ვივასშმთ, მარი!

— სიმართლე გითხრა, არ მშია.

— ეგ არ გამაგონო! სტუმრის მიღება ვის გაუგია მთაში უპურმარილოდ? დიასახლისობა შენზეა.

— სადიასახლისო აღარაფერია. დედა თამარმა ყველაფერზე იბრუნა.

— ძალიან კარგი! გთხოვთ! — ხელით ანიშნა...

— გემრიელი ხინკალია! — მარიკა ამბობს. უსიცივოდ სვამენ შამპანურს.

— უკვე ორი კვირაა, რაც თბილისიდან წამოვედი. რადიო აქ არაა, პრესა და ტელევიზია. ხომ არაფერია სიახლე?

— სიახლე? — მარიკა ხინკალს თეფშზე დებს. — გუშინნინ სალამოს ხუთ საათზე ბესიკი დაიღუპა! თხოველის ხელში მოქცეული თლილი, ძალაღი ჭიქა იმსხვრევა. ნამსხვრევებით დაჭრილი ხელიდან გამონადენი სისხლით ისვრება ქათქათა, თეთრი სუფრა. ბაკური ვერაფერს გრძნობს. გაოგნებული მისჩერებია მარიკას.

— ბინგი გაქვს სახლში?

— რა დროს ბინგია! — თხოველი ღრმად სუნთქავს. — წამოსვლის წინ ვნახე, უკვე გამოსული იყო მდგომარეობიდან. ექიმებს ველაპარაკე. ძალე თეხზე იქნებო, მითხრეს. თითქოს ყველაფერი ნორმალურად იყო, რა მოხდა?

— მოითმინე! — მარიკა ეზოში გავიდა. მანქანიდან წამალი, ბინგი აიღო. უკან შემობრუნდა. ბაკური კვლავ გაუნძრევლად იჯდა. — ხელი დაიბანე!

გადაუხვია. მაგიდა ააღავა. ლუმელთან დაჯდა. ცეცხლს დააჩერდა.

— მოკლეს! — ხმადაბლა თქვა.

— მოკლეს? ვინ?

— არ ვიცი! — მარიკამ მზერა გაასწორა. — ერთ კვირაში უკვე უნდა გამოეწერათ. წინა დღეს ვიყავი მეც. კარგად გამოიყურებოდა. ხუმრობდა კიდევ: „ეცეობა ჩემს დას ძალიან გაუტეხა სტამბული, შეიძლება მალე ვიღაც თურქთან ერთად მომადგესო!“ მეორე დღეს, როგორც მომსახურე პერსონალი ამბობს, სამნი მისულან. პოლიციის ფორმებით. თანამშრომლები ვართო, უთქვამთ. მათ წასვლიდან ათიოდე წუთში ექიმი შესულა...

თავი ჩახარა მარიკამ.

— მერე?

— ტყვიებით დაცხრილული ყოფილა სანოლში. როგორც ჩანს, უხმო პისტოლეტით მოკლეს. სროლის ხმა არ გაუგია არავის. მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო ფეხზე დგას. იმავე ღამეს გაირკვა, იმ „მხედრიონელთა“ მიერაა მოკლული, ვინც დაჭრა, მაგრამ რა გინდა გააკეთო, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, სად გაქრნენ, არავინ იცის.

— შენ საიდან იცი ეს ყველაფერი?

— იცნობ შენ ჩემს ბიძაშვილს, ლევანს. სამინისტროს სამძებრო განყოფილებაში გადაიყვანეს. წუხელ იყო ჩემთან. მან მითხრა. მკვლეელია ვინმე თამაზ შენგელია, მეტსახელად „კატა“, — მარიკა ადგა. ჩანთა გახსნა. მის ხელში ლამპის მკრთალ შუქზე პისტოლეტი აბრწყვილდა. — დაიბრუნე შენი იარაღი!

— არ დაკარგულა? — ფხოველმა ხელში შეატრიალა „ბერეტა“.

— არა, მე ვინახავდი, — ჩანთა, ლაბადა აიღო. — უნდა წავიდე!

— მეც მოვდივარ!

— ბაკურ! — მარიკამ ყველაფერი ტახტზე მიყარა. ყელზე შემოაჭლო ხელები. — არ ვიცი, სად აპირებ წასვლას, რას ფიქრობ ამ წუთში, მაგრამ შენ ვალდებული ხარ მოძებნო ბესიკ ბუჩუკურის მკვლეელი და პასუხი მოსთხოვო მას... იცი, რა პერიოდია დღეს. შეიძლება ძალიან ბევრს კიდევ შესტკიოდეს გული ბესიკზე, მაგრამ შეგნებულად მოარიდონ თვალი მკვლელს, რადგანაც არავის უნდა „მხედრიონთან“, ამ შეიარაღებულ ყაჩაღებთან და მკვლელებთან საქმის გამწვავება. ზოგი სამსახურს უფრთხილდება, უფრო მეტნი კი საკუთარ

სიცოცხლეს. „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო!“ — ნათქვამია. როგორც ვხედავთ, ყოველთვის არ ამართლებს. ორი ობლისთვის, ბესიკ და ევა ბუჩუკურებისთვის აღარასოდეს გამოცხვება ის. ჩვენ, მე და შენ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ბესიკის მკვლეელი დაუსჯელი არ დარჩეს.

— არ დარჩება! — ბაკურმა პისტოლეტი მაგიდაზე დადო. ფანჯარა გააღო. — არ დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ არ მინდა, ყველანაირად ვცდილობ ადამიანის მოკვლა, თიბიკური განადგურება არ დამჭირდეს.

— მე არ მითხოვია მისი მოკვლა. ის საბრალოდებო სკამზე უნდა დაჯდეს და პასუხი აგოს კანონის წინაშე.

— ჰმ! კანონის წინაშე?! — ნაღვლიანი ღიმილი გაკრთა ფხოველის ტუჩებზე. — მერე და სადაა კანონი? სახელმწიფოებრივი კანონი? არსად! დღეს საქართველოში ერთადერთი კანონი ბატონობს, ჭუნგლის კანონი! თუ ძლიერი ხარ — იცოცხლებ, თუ სუსტი — უნდა მოისპო! თუ იარაღი გიჭირავს ხელში, შენია ქვეყანა! არასოდეს მყვარებია სისხლი, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა მიყვარს. რადგან რაც არ უნდა საშინელი იყოს ომი, ის სულიერ სიდიადეს ავლენს ადამიანისას, რომელსაც ყოფნის კადნიერება, თავის უბოროტეს მემკვიდრეობით მგერს — სიკვდილს შეერკინოს. ვაი, რომ ყოველი გოჭი, რომელსაც უკან ვიგოვებთ, სისხლის ნიაღვარებად გვიღირს. განა ეს დიდი საფასური არ არის? განა ცალკეული ადამიანის სიცოცხლე იგივე არა ღირს, რაც მთელი თაობისა? ყოველი ცალკეული ადამიანი ხომ მთელი სამყაროა, რომელიც მასთან ერთად იბადება და მასთან ერთად კვდება. ყოველი საფლავის ქვის ქვეშ მთელი სამყაროს ისტორია ძევს. საქართველო თავისუფლების სასიძო იყო და ცხრა აპრილს სისხლიან ვარდებზე მორთო დიდებული საქორწინო ცეკვა... იქიდან მოდის ეს ყველაფერი. ჟამთა მსვლელობა თითოეულ ჩვენგანს მგვრად გვაქცევს და ქარს გაგვატანს. უკვალოდ გაქრება ცხოვრებაში მშენიერიც და მახინჯიც. სიკვდილი — ეს აყლაყუდა მშრალი პედანტი — არც ვარდს დაინდობს და არც ნარ-ეკალს. თვით უდაბნოში ამოსულ ერთადერთ ბალახის ღერსაც კი არ ივიწყებს. ანგრევს ბოლომდე და განუწყვეტლივ თელავს და მგვრად აქცევს მცენარეებსა და ცხოველებს, ადამიანებსა და მათ ქმნილებებს. და თვით ის ეგვიპტური პირამიდებიც კი, რომელნიც თითქოს ერკინებიან ნგრევისადმი მის გაათურებულ წყურვილს, მხოლოდ და მხოლოდ მისი ძლევაძმოსილების ნადავლს, გარდასულ დროთა ძეგლებს, ძველთაძველ მეფეთა აკლდამებს წარმოადგენენ.

იცი, მარიკა, დღეს გყეში მარტოკა ვიჯექი და რატომღაც სერვანტისის ღონ-კიხოტი

გამახსენდა. გელიძეა? კი, ასე იყო ნაღდად, თუმცა კი ჩემი აზრები და აკვიატებული იდეები სრულიად საპირისპიროა ლამანჩელის შეშლილობისა და ბოდვითი იდეებისა... ჩემს, შენს გარშემო დღეს ათასობით, ათიათასობით დონ-კიხოცია! სამწუხაროდ, მე მათნაირად არ ვაზროვნებ, ვმოქმედებ სრულიად განსხვავებული მიზნებით. მათ, დღევანდელ დონ-კიხოცებს, ჩვენ თანამედროვეებს, ლამანჩელისნაირად ქარის ნისქვილები გოლიათებად მიაჩნიათ, მე კი პირიქით! ამ გოლიათებში მხოლოდ ყოყლოჩინა ქარის ნისქვილებს ვხედავ. მათ ღვინის რუმბები მძლეობამდე ჯადოსნები ჰგონიათ, მე კი ამ ჯადოსნებში ღვინის რუმბებს ვჭვრეტ. მათ მათხოვრული ფუნდუკები — სასახლეებად, ვირების მარეკები — კავალერებად, მენახირე გოგონები სეფექალებად ეჩვენებათ. მე კი პირიქით, ყველაფერს ვხედავ და აღვიქვამ ისე, როგორც სინამდვილეშია. მათ თოჯინების კომედია სახელმწიფოებრივი აქტი ჰგონიათ, მე კი ჩვენი სახელმწიფოებრივი მოქმედებანი მხოლოდ და მხოლოდ თოჯინათა უბადრუკ კომედიად მესახება. დღემდე მე რომ შიშისა და ანგარების გამო უარი მეთქვა ყველაფერზე, შემძლო არხეინად მეცხოვრა ამ არსებულ „გონივრულ“ სამყაროში. მეცხოვრა ისე, როგორც ჩემს გარშემო მცხოვრებნი ცხოვრობენ და მათივე მსგავსად მონური სულის არსებანი მომემრავლებინა. დღეს კი იძულებული ვარ განუწყვეტლივ ვიბრძოლო და ათასგვარი გასაჭირი გადავიტანო. მოპოვებული გამარჯვებებიდან კი ერთიც არ არის ისეთი, რომ გულის სისხლად არ დამჯდომოდეს. ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოველი, ჩემს გარშემო ვპოულობ გველების ლორწოვან ნაკვალევს, შხამიან ნაკვალევს და ფერთხილობ, შეიძლება ფეხი დამიცდეს და მანამ ნავიქცე, სანამ ამის დრო დადგება. შენ შეიძლება გაიღიმო და ჩემი ამგვარი შეჭირვება უსაგნო ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნიო, სწორედ ისეთად, დონ-კიხოცს რომ ჰქონდა, მაგრამ საგანჯველს იმის გამო, რომ იგი ფანტაზიის ნაყოფია, ნაკლები ტკივილები როდი ახლავს თან. თუ ადამიანმა წარმოიდგინა, რომ შხამბალახა გადაყლაპა, ამით იგი შეიძლება ჩამოხმეს...

ჩაჩუმდა. შეხედა მარიკას, რომელიც გულხელდაკრეფილი მიყრდნობოდა კედელს.

— მეამბოხე სულის პატრონი ხარ!

— მეამბოხე? — მოღუშულმა ფიქრიანი მზერით გახედა მთვარის ნალევს. — შეიდი წლის უკან ერთი ძალიან კარგი მეგობარი გოგონა მყავდა. ლია ერქვა, რაიკომის მდივნად მუშაობდა, კომკავშირის. ლექსების წერა მისმა თვალეებმა დამანყებინა. სცადა ჩემში ჩანვლდოდა. ამაოდ! არაფერი გამოუვიდა. პირველად მან უწოდა ჩემს სულს მეამბოხე.

— ახლა აღარ მეგობრობთ?

— არა! შვიდი წელია, აღარ მინახავს.

— ცუდია, ბაკურ! მეგობრების და ისიც კარგი მეგობრების დაწინაყება არ შეიძლება. ნუ მოვიმიზებებთ უდროობას და ათას სხვას. მეგობრებს და მეგობრობას გაფრთხილება სჭირდება.

— ვიცი! ვიცი, მარი, მაგრამ მიუხედავად ურთიერთპატივისცემისა, საერთო ენა მე და ლიამ ვერ გამოვნახეთ, — თბილად გაიღიმა. — ვერც გამოვნახავდით. ის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით იყო თავგამოცენილი და იყო ურწმუნო, როგორც თომა.

— მე როგორც ვიცი, არც შენ ხარ დიდად მორწმუნე. ვიცი, რომ თქვენს წარმართულ ხატებში დადიხარ და კერპებს სცემ თავყვანს!

— მარიკა, ქრისტე ის ღმერთია, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს. არა იმიტომ, რომ კანონიერი ღმერთია, რომლის მამაც უკვე იყო ღმერთი და უხსოვარი დროიდან განაგებდა სამყაროს, არამედ იმის გამო, რომ თუმცა დაბადებით ზეციური ტახტის მემკვიდრეა, მაინც დემოკრატიულად არის განწყობილი და არ უყვარს სამეფო კარისთვის დამახასიათებელი ბრწყინვალე ცერემონიები, რადგან იგი არისტოკრატთა და ჭკუანაღრძობ სწავლულთა ან მუნდირებიან სამხედროთა ღმერთი კი არ არის, არამედ თავმდაბალი სახალხო ღმერთია, ღმერთი უბრალო მოქალაქეთა... ჭეშმარიტად, ქრისტე რომ ღმერთი არ ყოფილიყო, მე ავირჩევდი მას ამ თანამდებობაზე... რატომ გელიძება? ავირჩევდი და ჩემს მიერ არჩეულ ღმერთს ბევრად უფრო მეტი ხალისით დავმორჩილდებოდი, ვიდრე ძალად თავსმოხვეულებს და თვითმპყრობელებს...

— შენ კეთილ ქრისტიანად არასდროს მოიქცევი, — ხელი ჩაიქნია მარიკამ. — თუმცა თქვენ, ფხოველები, დიდმა თამარმაც ვერ მოგაქრისტიანათ.

— ცუცხლით და მახვილით არ გამიგია სარწმუნოების მიღება მე. დიდ პატივს ვცემ თამარის ხსოვნას, მაგრამ ამ ხეობაში რაც არ უკეთებია შაჰს თუ ხონთქარს, მისმა მხარგრძელებმა გააკეთეს. ძუძუს ბავშვები კალოებად ლენეს, გადაწვეს, დაანგრის და იავარჰყვეს ფხოვი. რომელი საათია?

— ნახევარია თორმეტის.

— ერთ საათში თბილისში ვიქნებით.

— ნავიდეთ! — მარცხე თვითონვე შეკრთო თავისი სიგყვის სევდიანმა ელფერმა.

## XVII თავი

„დადგება დღე და თავისუფლების მზე უფრო გაათბობს გარემოს, ვიდრე ვარსკვლავთა მთელი არისტოკრატია. გაიფურჩქნება ახალი თაობა, რომელიც თავისუფალ და ნებაყოფლობით ხვევნა-ალერსში ჩაისახება და არა იძულების სარეცელზე სულიერ მხარკეთა მთვალყურეობის ქვეშ. თავისუფლად დაბადებულ ადამიანთან ერთად მოეფლინებიან ქვეყანას თავისუფალი აზრები და გრძნობები, რომელთა შესახებ ჩვენ, თუნდაც სულით შეამბოხებებს, მაგრამ მონებად დაბადებულთ,

წარმოდგენაც კი არ გაგვაჩნია. მათაც ასევე არ ექნებათ წარმოდგენა, თუ რა შემადრწუნებელი იყო ის ღამე, რომლის წყვდიადშიც ჩვენ გვიხდებოდა ცხოვრება. რა საშინელი იყო ჩვენთვის მაჭლაჭუნა აჩრდილებთან, პირქუშ მიკიოტებთან და სათნოების თვალთმაქც სულწაწყმედილებთან ბრძოლა. ვაი ჩვენ, საბრალო მებრძოლთ! მთელი სიცოცხლე ამგვარ ბრძოლებს შევალეთ და ახლა, ოდეს ცხოვრება ცისკროვნდება, ჩვენ დაღლილ-დაქანცულნი, ფერმიხდილნი ვეგებებით მას. მზის ამოსვლის სიცხოველე უკვე ვეღარ შეგვიფაკლავს ვარდისფერად ღანვებს და ვერ გაგვითბობს ნაციებ გულებს. ვიფერფლებით, ვით გზადალეული მთვარე — მოკლეა ადამიანთა საეალი გზები და მათ სამანზე უღმობელი სამარეა პირაბჩენილი...“

ტელეფონის ჭიხურთან შეაჩერა მანქანა. საათს დახედა. ცხრა სრულდებოდა. უსიამო გრძნობებს ბადებდა მოღრუბლული დილა. ნომერი აკრიფა.

— ხომ არ გაგაღვიძე, ლელა?

— ბაკურ, შენ? სად იკარგები, სად?!

— კი, მე ვარ. ბაბა სახლშია?

— სახლშია. ძინავს ისევ. დილის ექვს საათზე მობრძანდა!

— არ გავიდეს არსად. საქმე მაქვს. ათისთვის მოვალ.

— კარგი! გელოდებით! აღარ გაქრე სადმე! მომსპო შენზე ფიქრმა!

„ვინ, ვინ ჩასწვდება ღმერთის ირონიას, რომელიც ათასგვარ წინააღმდეგობას ჰბადებს



სულსა და სხეულს შორის? ვინ იცის, რომელ თერძს უდგას პლატონის სული ამჟამად და რომელ მასწავლებელს — კეისრისა?! ვინ იცის, იქნებ გრიგოლ VII-ის სული სულთანის სხეულში იმყოფება და ათასი ცოლის მოალერსე მკლავებში თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე ოდესღაც წმინდანის ძონისთერ მანგიაში? იმ ორი ბოროტმოქმედის სული, რომლებიც მაცხოვრის გვერდით აცვეს ჯვარს, ახლა შესაძლოა გამოჩენილ მღვდელმთავართა სხეულებში სხედან და მგზნებარედ იღწვიან ორთოდოქსალური მოძღვრების მცნებათათვის? ჩინგიზ-ხანის სული, შესაძლოა, ახლა იმ რეცენზენტში ბინადრობს, რომელმაც არც კი იცის, რომ თავისი უერთგულესი ბავშვებისა და კალმუკების სულებს ცელავს ყოველნოუს კრიტიკულ ჟურნალში? ვინ იცის! იქნებ პითაგორას სული იმ საბრალო კანდიდატში გადასახლდა, რომელიც იმიტომ ჩაიჭრა გამოცდაზე, რომ პითაგორას თეორემის დამტკიცება ვერ შესძლო, მაშინ, როცა ბატონ გამომცდელეებში იმ ხარების სულები სახლობდნენ, რომლებიც თავისი თეორემის ამოხსნით გახარებულმა პითაგორამ მარადიულ ღმერთებს შესწირა?! ინდოელები არც ისეთი ბრიყვები არიან, როგორც ეს ევროპელებს ჰგონიათ. ისინი თაყვანს ცხოველებს ცემენ, რადგან მიაჩნიათ, რომ მასში ადამიანის სული ბინადრობს. და თუ ისინი ავადმყოფი მაიმუნებისთვის ლაზარეთებს აარსებენ, მსგავსად ჩვენი აკადემიებისა, ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგიერთ მაიმუნში დიადი მეცნიერის სული იყოს მოთავსებული, მით უმეტეს, რომ სრულიად აშკარაა ის ამბავი, რომ ზოგიერთ დიდ მეცნიერს მაიმუნის სული აქვს...”

კიბეები აათავა. კარებთან შედგა. ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

— სიცოცხლე ცოლის ძმას! — კარი ზაზამ გახსნა. გადაეხვია. — გამაგებინე ერთი, თუ ძმა ხარ, სად დადისარ? სოფელში ავალ — თბილისშიაო! თბილისში გკითხულობ — ათხაზეთშიაო! იქ პოზიციიდან პოზიციამზე დაგეძებდი — ვერსად გიპოვე!

— დიდი ხანია „მხედრიონელებმა“ პოზიციებზე დაინყეს სიარული? — გაეღიმა ბაკურს. მაცივარი გამოხსნა. — ცივი ლუდი გაქვს?

— მანდაა, ნახავ.

— ლელა სადაა?

— ბავშვები წაიყვანა ბაღში. მალე მოვა. მოეწვი მაგ ლუდს. კონიაკი დავლიოთ.

— არა, ზაზა. დალევა მერე. ახლა საქმეზე ვარ მოსული.

— ცუდი ხომ არაფერია?

— თქვენთან, „მხედრონიში“ არის ვინმე თამაზ შენგელია, იგივე „კატა“?

— იყო! — მოილუშა ზაზა.

— რას ქვია იყო?

— რას ქვია და იმას, რომ ჩვენი ბიჭები სადაც გადაეყრებიან მაგ ახვარს, ადგილზე ჩაცხრილავენ.

— რატომ?

— ძმურად, შენ პოლიციაში ხომ არ დაგინყია მუშაობა? რატომ და იმიტომ, რომ არაკაცია. არ მითხრა ახლა, რომ მან მოგაგზავნა ჩემთან.

— შენ მიცნობ, ზაზა, და იცი, რომ მე არავის არსად ვეგზავნები.

— ბოდიში!

— არ გინდა! ჩვენ შორის ბოდიშები განა საჭიროა?!

— რატომ დაგაინტერესა მაგ ტიპმა? კაცურს რომ არ გააკეთებდა არაფერს, ეგ ვიცი!

— სად შეეძლებ მოძებნას?

— რა გითხრა! — ზაზამ მხრები აიჩეხა. — მთლი „მხედრონი“ მაგას დაეძებს. დღემდე იმალება, მაგრამ სადამდე ირბენს?

— პაგარა ბიჭია?

— არა. ორმოცი წლის იქნება.

— რა იცი მის შესახებ?

— ბევრი რამ! — ზაზა დაფიქრდა. — თბილისელია. ორთაჭალელი. ახალგაზრდობის წლებში სხვათა ჭიბეებში გეოგრაფიულ აღმოჩენებს ახდენდა, რაც არ მოუწონეს და გარკვეული დროით ერთ თრიალ კეთილშობილურ დანესებულებაში გაამწესეს. სამჯერ თუ

ოთხჯერ ნაჯდომია. ორგანიზაციის შექმნის პირველი დღიდანვე მოვიდა ჩვენთან. ვენდეთ. გვეგონა, გვერდში ამოგვიდგებოდა. ან ვინ შეიტანდა თავიდან მასში ეჭვს?! სამაჩაბლოში პირველი ის გავარდა. ისეთი პატრიოტული აღგზინებით დაქროდა აქეთ-იქით, რომ... მერე კი... რომელი ერთი მოგიტვალო მისი „საგმირო“ საქმეებიდან... მის კისერზე რამდენიმე მკვლელობა, ძარცვა-დაყაჩაღებებს ხომ ნულარ იცევი! ერთი თვის უკან კი გაყიდა

„მხედრიონის“ კუთვნილი იარაღის დიდი პარტია. მას შემდეგ იმალება. შეიძლება საზღვარგარეთაც მოასწრო უკვე გასვლა.

— ეჭვი მეპარება. ორი დღის უკან ის თბილისში იყო.

— საიდან იცი? — სახე წამოენთო ზაზას.

— ჩემი მეგობარი მოკლა.

— მეგობარი? სად? როგორ?

— მანქანის წართმევა უნდოდათ. სროლის დროს დაჭრეს. საკამოდ მძიმედ. გერმანიიდან ჩამოიყვანეს ექიმები. გადარჩა. ფეხზე უნდა წამომდგარიყო ძალე. თამაზ შენგელიამ იცოდა, მისგან დაჭრილი თუ გადარჩებოდა, მის და მის მეგობრებს უკვე ჯვარი ჰქონდათ დასმული. პოლიციის ფორმებით შევიდნენ საავადმყოფოში და ლოგინში მწოლიარე ავადმყოფი მოკლეს.

— ნაბიჭვარი! — ზაზა ცელეფონს მისწვდა. — ალო! თემო, შენ? ბიჭები ვინ არიან მანდ? „კატა“ თბილისშია! არა! არ მგონია, რომ სახლში მივიდეს. წაიყვანე ბიჭები და სარაჯიშვილის ბინას მიაქციე ყურადღება. არ არსებობს, ადრე თუ გვიან არ გამოჩნდეს იქ. არა! არავითარი დალაპარაკება! ესროლეთ პირდაპირ! გვეყო მაგასთან ლაილაი! ჰო! სალამოს ნახაეთ! თუ რაიმე იყოს, გადმორეკე! — ყურმილი ჩამოღო. — სხვათა შორის, უშიშროების კომიტეტის დაინტერესებულია თამაზ შენგელიათი.

— ვინაა სარაჯიშვილი? რატომ ფიქრობ, რომ შენგელია მაინც და მაინც იქ მივა?

— ვინაა და ჩვეულებრივი „პუტანკა“! მაგრამ „კატა“ მასზე გაგიჟებულია. ყოველ-დღიურად თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც რომ არ ნახოს, არ შეუძლია.

— სად ცხოვრობს და რა ჰქვია?

— ხილიანის ოც ნომერში. ირმა ჰქვია.

— სადმე მუშაობს?

— არა, მგონი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს. საღამოობით „მეტეხში“ მოღვაწეობს.

— გასაგებია! — ბაკური ფიქრიანი თვალებით მისჩერებია სიძეს. — შენ როდემდე ფიქრობ „მხედრიონში“ ყოფნას?

— როგორ როდემდე?! — გაიოცა ზაზამ. — „მხედრიონი“ ჩვენი შექმნილია და ბოლომდე ვალდებული ვარ იქ ვიყო.

— ზაზა, მე შენ ჯეკუას არ გასწავლი, უბრალოდ ძმურ რჩევას გაძლევ, სანამ ღრთა, ღრმად ნუ შეგოპავ და მოეშვი „მხედრიონს“. მე არ მსურს, რომ ჩემი ღის ქმარი და ჩემი ღისშვილების მამა ვიღაცამ ან ყუმბარით დაგლიჯოს, ან ცყვიით ჩაცხრილოს. ფიზიკურ ანგარიშსწორებას თავი დაუანებოთ, ოდესღაც, ადრე თუ გვიან ჩანყნარდება ყველაფერი და ყოველ თქვენგანს პასუხი მოგვეთხოვებათ.

— რაზე მოგვეთხოვება პასუხი?! იმაზე, რომ ერს და მამულს ვიცავთ?!

— კაი, თუ ძმა ხარ, ნუ მაცინებ. ეგ შეგიძლიათ პარლამენტს და მის თავმჯდომარეს უთხრათ, ჩემთან კი ეს ზღაპრები რა საჭიროა?! სხვამ თუ არავენ, მე ხომ ვიცი, რომ შენ და ჩემს დას ელემენტარული პურის ფულიც კი ხშირად არ გქონდათ. ახლა საიდან? საიდან ეს იაპონური „პრისტავკა“ და გელევიზორი? საიდან მოიტანე ეგ ახალი „აუდი“? არ მითხრა ახლა, სიდედრმა მიყიდაო! არ გადამრიო! მე შენთვის, შენი უკეთესი მომავლისთვის გეუბნები ამ ყველაფერს. თუ სწორად გამიგებ — კარგია, თუ არა — ნება შენია! წავედი! — წამოდგა. — ლელას და ბავშვებს აკოცე ჩემს მაგიერ.

— სად გარბიხარ, ვერ გავიგე! მოითმინე ცოტა, მოვა ლელაც! — წყენა დაეცყო ზაზას.

— ეს თქვენ! — ფხოველმა ქურთუკის ქვეშიდან სქელი პაკეტი ამოიღო. მაგიდაზე დააგდო.

— ეს რაღა ჯანდაბაა? — ზაზამ პაკეტი გახსნა. გაოცებული დააჩერდა დოლარების სქელ დასტებს. ნიშნისმოგებით შეხედა ბაკურს. — არ მითხრა ახლა, ეს ფული თავდაცვის

სამინისგრომ მომცაო!

— არაა ეგ შენი და ლელას საქმე, საიდან ეს ფული. მილიონი დოლარია. გეყოფათ ჯერჯერობით, — თავი დახარა. — ზაზა, მე შეიძლება წასვლა დამჭირდეს და ძალიან გთხოვ, დედას მიაქციეთ ყურადღება.

— სად აპირებ?

— არ ვიცი! ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ ვიცი.

— უცხოეთი გაქვს მხედველობაში?

— ალბათ!

— რამ გაიძულა? — ზაზა ყურადღებით მიაჩერდა ცოლისძმას. — ხომ არაფერი გიჭირს? ჯერჯერობით სიტყვის თქმის უფლება გვაქვს, თუ მოითხოვა საჭიროებამ, პარლამენტს ყირაზე დავაყენებთ.

— არაა საჭირო! ბედნიერად, ზაზა!..

— ბაკურ! — კარებთან მისული შემოაბრუნა სიძის დაბალმა ხმამ. — ფული მეც მაქვს. როგორც ვხედავ, არც შენ გაკლია. რაც შენი და ჩემი მეუღლე გახდა, მას შემდეგ ერთი აზრი მიტრიალებს თავში. აქამდე არ მქონდა შესაძლებლობა იმის, რომ ამ მიზანს ფრთები შევასხა. ცხადია, შენთან ერთად.

— მითხარი!

— მოდი, მამაშენი მოვძებნოთ. რატომღაც წინათვრძნობა მაქვს ისეთი... ვფიქრობ, ის ცოცხალია!

— საიდან მოიგანე? — ბაკური უკან ბრუნდება. მოუთმენელი მღელვარებით მისჩერებია სიძეს. — რამ გაფიქრებინა, რომ ის ცოცხალია?

*1968 წელი. თბილისის აეროდრომი. ზამთარი. რვა წლის ბაკური და ხუთი წლის ლელა დედასთან ერთად აცილებენ მამას, ბურაბ ფხოველს. ბურაბი მოსკოვში მიდის. მოსკოვიდან საბჭოელ სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად კანადაში მიემგზავრება. მხიარულად ემშვიდობება ცოლ-შვილს. ორმოცი წლისაა ბურაბი. თვითმფრინავისკენ მიემართება სიარულის*

თავისებური მანერით. მძიმე ნაბიჯები... განიერი ბეჭები... უკან გადავარცხნილი შავი თმა... ასეთად დარჩა შეიღების ხსოვნაში.

— ერთი წლის მერე ჩამოვა ხომ, დედა? — ბაკური კითხულობს. სიამაყით გაჰყურებს მამის სპორტულ ტანს.

— ხო, შვილო!

გადის ორი თვე. ოჯახისათვის თავზარდამცემი ცნობა:

„დედოფალ შარლოტის კუნძულიდან გაურკვეველ ვითარებაში, უგბო-უკვლოდ გაქრა ინჟინერი ზურაბ ფხოველი“.

მას შემდეგ გავიდა ოცდახუთი წელი...

— დაჯექი! — ზაზამ კონიაკი გადმოიღო. ჭიქები შეავსო. — საქმე ისაა, რომ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ვილაც სისტემატურად მიგზავნის საჩუქრებს.

— საიდან?

— ღმერთმა იცის!

— რა საჩუქრებია ან რა კავშირი აქვს ამას მამაჩემთან?

— საჩუქრები უცხოეთიდან მოდის. წელან რომ მეუბნებოდი ეს ყველაფერი ყაჩაღობით გაქვს შეძენილიო, არ ამბობდი მართალს, მაგრამ არაფერი გითხარი. რასაც აქ ხედავ, — ოთახს მოავლო თვალი, — ყველაფერი იმ ვილაცისგან მივიღე. მანქანაც მანვე გამომიგზავნა. იცი შენ, რომ მე საქართველოს ფარგლებს გარეთ არავინ მყავს. თურქეთის გარდა არსად ვყოფილვარ და, ამდენად მეგობრებზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაშ რა ხდება? საიდან მოდის ეს სიკეთე? შემედავები ალბათ, მამაჩემი რომ ცოცხალი იყოს, ჯერ მე მომაქცევდა ყურადღებასო. ან სულაც, შენზე კი არა, ლელას სახელზე გამოაგზავნიდა საჩუქრებსო. მე ვთქვობ, მან ჩვენს შესახებ ყველაფერი იცის, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო არ შეიძლება დრომდე მისი გამოჩენა, ასე ვთქვათ, მკვდრეთით წამოდგა. აქ სადღაც, ამ ამბავში, ძალღის თავია დამარხული. უნდა ვითქვით ამ საქმეზე, ბაკურ!

— ლელამ იცის ეს?

— არა! ყოველ ახალმიღებულ ნივთზე ვეუბნები, რომ ვიციდე ან მეგობარმა მაჩუქა. არ

მინდა ავაფორიაქო, ბავშვობაში მიღებული სულიერი ტრამვა კვლავ განუუახლო. ჭერ შენტვის უნდა მეთქვა.

— მართალი ხარ, ზაზა, — თვალები დახუჭა. — ღმერთო! ნუთუ შეიძლება ეს სიმართლე იყოს?! თბილისში, აქ, ვაკეში ვცხოვრობდით. არაფერი გვაკლდა. დაიკარგა მამა. გაგვიჭირდა ცხოვრება. წელებზე ფეხს იდგამდა დედა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძნელი იყო მასწავლებლის ხელთვის ოჯახის და შვილების რჩენა. სოფელში წავედით, მამის სოფელში. გულთბილად მიგვიღო ნათესაობამ. არაფერს გვაკლებდნენ უმამოდ დარჩენილებს. წამოვიზარდეთ. იმდენად შეგუებულები ვიყავით უკვე სოფელს, რომ ქალაქისკენ გამოხედვა არც მე და არც ჩემს დას აღარ გვინდოდა. დავინწყებულნი გვეჩნდა, რომ თბილისელები გვერქვა ოდესღაც. მთები და ჩემი სოფელი, სადაც ვავიზარდე, ჩემი აქილევსის ქუსლია! კი მაგრამ, რომელი ქვეყნიდან მოდის საჩუქრები, რა უნდა ამის გაგებას?

— თურქეთიდან შემოდის, მაგრამ თურქეთში საიდან იგზავნება? ამის ამოხსნა ჩემს შესაძლებლობებს აღემატებოდა აქამდე. ჩემი აზრით, ამერიკიდან უნდა იგზავნებოდეს.

— ამერიკიდან? — ბაკურს სახე გაეხსნა. მზერა მომენტალურად მეოცნებე გაუხდა. — რის საფუძველზე დაგებადა ეგ აზრი?

— ყველაფერი დალუქული მოდის. ლუქებზე კი ამერიკის დროშაა ამოტვიფრული.

— ზაზა! — ფხოველი ფეხზე წამოდგა. — თუ ეს ყველაფერი სიმბარი არაა, თუ ის სადღაც არსებობს, თუ ცოცხალია, ვიპოვი მას!

— შენ მაინც უცხოეთში წასვლაზე ფიქრობ?

— ვნახოთ!

— უცნაურია ადამიანი, — ზაზამ კონიაკი მოსვა. — სამშობლოში ჩვენ გაუთავებლად ვბუზღუნებთ, ყოველგვარი სიბრიყვე და ყოველგვარი უმართებულობა ბრაზით გვასრჩობს. პატარა ბიჭებივით მუდამ მზად ვართ დავგოვოთ იგი და შორეულ ქვეყანაში გავიქცეთ. და ბოლოს, როცა მართლაც მოვხვდებით იმ შორეულ ქვეყანაში, ის კვლავ, ალბათ ძალიან შორეულად მოგვეჩვენება და ფარულად ვინაღვლებთ მშობელი ქვეყნის გაუვალ სიბრიყვეთა და უმართებულობათა შესახებ. მოგვენატრება კვლავ ვისხდეთ იქ, ძველსა და კარგად ნაცნობ ოთახში, მშობლიურ კერასთან...

სალამოს ბინდი წვებოდა. დოლიძის ქუჩიდან ხილიანზე გადაუხვია. ოცი ნომერი! მოშორებით გაჩერდა. ხის ჩრდილი თითქმის თარავდა მანქანას. გახდა ექვსი. შვიდის ნახევარი. მწუხრის ჩრდილები შავი ასპიგებივით იკლავებოდნენ კორპუსთა თავებზე. სულ უფრო და უფრო მეტი კაემნით აღსაესე სურნელს აფრქვევდნენ ქალაქს ასფალტის ტყვეობაში მოქცეული ხეები. მისგან წინ, ათიოდე მეტრში უნომრო „ჟიგული“ იდგა, იქვე — განათებული კომერციული ჯიხური. მანქანიდან გადავიდა. ჯიხურისკენ წავიდა. სივარეტი იყიდა და შემობრუნდა. „ჟიგულში“ მსხდომთ შავლო თვალი. ხუთნი ისხდნენ, ავტომატებით. „ზაზას ხალხია! ლანირაკები!“. გავიდა კიდევ ოციოდე წუთი. სახლის კარი გაიღო. ბაკურმა ხმადაბლა წაუსტვინა. „გემოვნება ჰქონია თამაზ შენგელიას!“.

ქუჩაში გამოსულმა ქალიშვილმა აქეთ-იქით მიმოიხედა, აუჩქარებლად დაუყვა ქუჩას. მანქანა დაძრა. ნელი სვლით მიყვა უკან. შავი ტყავის „მანგო“. შავი კაბა, შესხნილი. შავი ჩექმა. ყვითლად შეღებილი, მოკლედ აჭრილი თმა... „ჟიგული“ უკან მოდიოდა. „ჩათუშავენ ესენი ყველაფერს!“ მანქანა გააჩერა. გზა გადაუკეტა „ჟიგულს“, გადავიდა.

— ჩვენი ძმა, მართვის მოწმობა გაქვს შენ? — „ჟიგულის“ მძღოლმა ამრებით აათვალიერა ზედ მისული.

— მერე შენ რა? — გაეღიმა ბაკურს.

— ვინ მოგცა, მისი დედა ვატირე! არ იცი, სად უნდა გააჩერო მანქანა?

— თემო, შენ ხარ?

— მე ვარ!

— ზაზას ცოლისძმა ვარ! იქ ვიყავი, როცა დაგირევა. შენ სახლს მიაქციე ყურადღება. ამ გოგოს მე მივხედავ.

— კი, ძმაო! რაზვა ბაასი? — გაეცინა თემოს. — ამ წუთში ვბრუნდები უკან...

ქალიშვილი უკვე ცენტრალურ ქუჩაზე იდგა. მანქანას ელოდა. ტანის რხევით გამომართა მის წინ გაჩერებული მანქანისკენ. ბაკურმა წინა კარი გაუხსნა.

— მეტყებთან?! — თითქოს ნაცრისფერი, თითქოს მომწვანე თვალები ცნობისმოყვარედ აჩერდებიან მძღოლს.



— დაჯექით, ირმა! — ფხოველი სიგარეტს უკიდებს.

— მიცნობთ? — ილიმება.

— იცით? — მანქანა იძვრება. — ერთხელ გნახეთ და ვეღარ შევძელი თქვენი დავინწყება.

— მართლა? რას მელაპარაკებით! — ცინიზმი კრთის ირმას ხმაში. — ჩემი სახელი საიდან გაიგეთ? ან სად მნახეთ?

— „მეტეხში“! სამწუხაროდ, მაშინ მარტო არ იყავით.

— ვისთან ერთად ვიყავი?

— არ ვიცი! თბილისში ყველა ყველას არ იცნობს. მოდით, დღეს საღამოს უღალატეთ თქვენს ჩვეულებას. სადმე სხვაგან წავიდეთ? უარს ნუ მეტყვით!

— მაინც სად?

— ქალაქგარეთ!

— კარგით! იყოს დღეს ქალაქგარეთ, — კარებს ბეჭებით ეყრდნობა. ბაკურს აჩერდება. — საოცარია!

— რა? — ფხოველი გზას გაჰყურებს.

— რა და ის, რომ მე შენ „მეტეხში“ არასდროს მინახიხარ, — შენობით საუბარზე გადადის. — რა

გქვია?

— ბაკური! ნახული რომც გყავდე, ამით რა? ასე ადვილად იმახსოვრებ ყველა შემხვედრს?

— ყოველ შემთხვევაში, შენი სახე დამამახსოვრებოდა.

— ეს ალბათ საღამოს კომპლიმენტი? გმადლობ!

— არ ღირს! საით მივდივართ?

— მცხეთაში! შეიძლება ამაღამ უკან ვერ დავბრუნდეთ. თუაბნაში ხომ არ შენუხდებიან?

— არა! მარტო ვცხოვრობ! — ხმადაბლა ამბობს. — შენ მეუღლე გყავს?

— არა! მეუღლე არ მყავს. ჩემი გული კი ყოველთვის აღსავსეა სიყვარულით, ვიდრე ამ ქვეყნად ქალები არსებობენ. გაცივდება თუ არა ერთის მიმართ, მეორისადმი სიყვარულით ენთება უკვე. — ილიმება. — ისევე როგორც არასდროს კვდება ზეციური მეფე, ჩემს გულშიც არასდროს კვდება დედოფალი. მისი დევიზია: „დედოფალი მოკვდა?! გაუმარჯოს ახალ დედოფალს!“

— მიყვარს გულახდილობა! პატივს ვცემ მამაკაცს, ვისაც ირონია გააჩნია საკუთარი თავის მიმართ. შეიძლება მოვნიო?

— რა თქმა უნდა! იცი, ირმა? მაიმუნი მით უფრო სასაცილოა, რაც უფრო კარგად ბაძავს ადამიანს, ასევე ბრიყვებიც მით უფრო სასაცილონი ხდებიან, რაც უფრო ჭკვიანად მოაქვთ თავი.

— შენ რომელ მათგანს მიეკუთვნები? — ირმა სარაჯიშვილი ყურადღებით აკვირდება ბაკურს. — მხოლოდ სიმართლე! არ მჭირდება დათაფლული ენა, რამეთუ „სიტყვები იმისათვის არიან შექმნილნი, რომ დაფარონ ჩვენი აბრები“!

ბაკური დაიძაბა. „ჰმ! „პუტანკა“ უძახე შენ! ცალეირანის თრაზებით დაინყო უკვე!“

— ირმა! — ირონიული ღიმილი კრთის თხოველის სახეზე. — თუმცა მე თვითონ ჭკვიანთა რიცხვს არ ვეკუთვნი, მაგრამ დიდი ხანია, ამ პარტიას მივემხრე და ომს ვანარმობ ბრიყვთა წიააღმდეგ. ბრიყვები ფიქრობენ, რომ ისინი ჩვენ პირში ჩალაგამოვლებულნი დავტოვეთ. ისინი ამტკიცებენ, რომ ქვეყნად ჭკუის გარკვეული ღობა არსებობს მხოლოდ, და მთელი ეს ჭკუა, ღმერთმა იცის თუ როგორ, ჭკვიანებმა დაისაკუთრეს. ისე კი აღმაშფოთებელია მართლაც, როდესაც ხშირად ერთადერთ ადამიანს იმდენი ჭკუა აქვს მითვისებული, რომ მისი თანამემამულენი და მთელი მისი ქვეყანა სიბნელით არიან მოცულნი... აი ეს არის ომის მიზეზი! ჭკვიანებს თავი უაღრესად წყნარად, ზომიერად და ჭკვიანურად უჭირავთ, ისინი მგვიცედ სხედან არისტოტელსეულ ნაწარმოებთა ძველთაძველ ცომებს ამოფარებულნი. მათ უამრავი ქვემეხი და ჭურვი მოეპოვებათ. თოფისწამალიც ხომ მათივე გამოგონილია და ჟამიდან ჟამზე ისვრიან საფუძვლიანად არგუმენტირებულ ჭურვებს მონინააღმდეგის ბანაკში. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელნი რიცხვმრავალნი არიან, გამაყრუებლად ყმუიან და

ყოველდღიურად სულ ახალ-ახალ სისაძაგლეებს ჩადიან, რამეთუ ყოველი სისულელე სისაძაგლეა ჭკვიანისათვის. ისინი მხოლოდ ლაყბობენ, რათა დამალონ, რომ საერთოდ არავითარი ამრი არ გააჩნიათ, ამბობენ რაღაც მაღალთვარდოვან სიტყვებს და ხშირად სქელგანიან წიგნებსაც წერენ. კაცმა რომ ყური დაუგდოს, ისინი აღმერთებენ ამრების ერთადერთ კურთხეულ წყაროს, სახელდობრ — გონებას! ისინი გართულნი არიან მათემატიკით, ლოგიკით, სტატისტიკით, მანქანათა გაუმჯობესებით, მოქალაქეობრივი იდეალებით და ასე შემდეგ... ზოგიერთნი კი გულახდილად აღიარებენ, რომ მათ ჭკუის მცირე ნაწილი ხვდათ წილად, მაშინ, როცა სრულიად არა აქვთ ჭკუა. ამავე დროს აუცილებლად უმატებენ, რომ გონება არასაიმედოა, არსებითად, ის უთვასოა. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ, მათ იმდენი ჭკუაც არ გააჩნიათ, რომ ამის დამტკიცება შეძლონ. თავს გონების სუროგატებით, ფსევდოჭკუით ინუგეშებენ. მე მათ ვძულვარ! ამტკიცებენ, რომ ოდითგანვე მათ რიცხვს ვეკუთვნი, რომ მოღალატე ვარ და განდგომილი, რომელმაც განწყობა უნმინდესი კავშირი. მათი ამრით მე ახლა სულმდაბალი ჯაშუში ვარ, რომელიც ვუთვალთვალე მათ ბრიყვულ საქმიანობას, რათა შემდეგ ჩემს ახალ მეგობრებს სიცოცხლისთვის მივეცე მასალა. და იმდენად სულელი ვარ, რომ ვერ ვხვდები, რომ ეს უკანასკნელნი ჩემზეც იცინიან და არ მიყურებენ, როგორც თანასწორს. ბრიყვები ამაში მართალნი არიან!

მართლაც, ჭკვიანებს მე თავისიანად არასდროს მიუჩნევია ვარ და მათი თარული ხითხითი ხშირად ჩემვენ იყო მომართული. მე ვიცოდი, ვიცი ეს! ვიცი, რაოდენ არაბუნებრივია ჩემი მდგომარეობა. ყველაფერს, რაც არ უნდა გავაკეთო, ჭკვიანები სიბრიყვედ მითვლიან, ბრიყვები — ბოროტებად. საკმაოდ ბრძნული თქმულებაა: „მძიმეა ლოდი, გვითია ქვიშა, ბრიყვის რისხვა კი ორივეზე უმძიმესია!“ ალბათ უკეთესი იყო, ყველა ზეციური და ამქვეყნიური კანონით, ბრიყვთა შორის მეცხოვრა სამარის კარამდე. რა კარგად ვიგრძნობდი, იცი, თავს იმ ადამიანებს შორის? შეიძლება პრეზიდენტადაც კი ავერჩიე, ვინაიდან მე შემიძლია ყველა სფეროში ვივარგო. მე ხომ არც ისე ადვილად მივიჩნევ რუსი ჯარისკაცის ჩექმას ინდურ ლარნაკად. სახედარიც არასდროს ამერევა კურდღელში — როგორც ეს ხშირად ემართებათ! ჩემს ხასიათს, ჩემს რწმენას, ჩემს შთაგონებას. ამის გარდა, კიდევ მრავალი სიკეთის მოგანა შეეძლოთ ლოცვის წუთებში... სახელდობრ ჩემთვის!

ერთ გოგონას, რომელიც ჭკვიანია და მაინც ბრიყვთა ბანაკში გადასახლდა და რომლის თავშიც მზის სრული დაბნელება ჯერ კიდევ არ მომხდარა, როგორც ჩანს, შევეყვარდი და იცი, რა მითხრა?

„განა არ იცი, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ამაღლებენ მარგოლოდენ იმათ, ვინც თავს

იმდაბლებს მათ წინაშე?! ამასთან ერთად არც ღვთის მსახური ხარ! ნუთუ ასე ძნელია ნეგარი სახით თვალთა ზეაპყრობა, მორწმუნედ გადაჭლობილი ხელების სახელოებში შეწყობა, საღმრთო კრავივით თავის დაბლა დახრა და ბიბლიიდან დასწავლილი ადგილების ბუტბუტი?! მერწმუნე, არავინ მოგცემს ჭილდოს უწმუნოებაში, რადგან კომუნისტები აღარ არიან. მოყვასისადმი სიყვარულის მქადაგებელნი მძულვარებას არ მოგაკლებენ, ცილს დაგნამებენ და დევნილს გყოფენ! შენ ვერც ცაზე და ვერც დედამინაზე კარიერას ვერ გაიკეთებ!..“

ვიცი, მართალია ეს! მე ყოველივე გონებას შევწირე მსხვერპლად. მისგან კი არაფერი მიმიღია. მაინც არ შემიძლია უარყო იგი. და როგორც ერთ დროს ებრაელთა მეფე სოლომონ, იუდეველთა მოსალოდებლად, ვნებით გადაღველთილი შავკანიანი ასულის სახით ქებათა-ქების საგალობელში ხოცბას ასხამდა ქრისტიანულ ეკლესიას, მეც, ჩემს რიცხვმრავალ საგალობლებში ხოცბა შევასხი მის საპირისპიროს — გონებას, თეთრი და ცივი ასულის სახით, თან რომ მხიბლავს და თან უკუმაგდებს, ხან გამოლიმებს, ხან რისხვას მაგცხს. ესაა საიდუმლო ჩემი ცხოვრებისა და დღემდე უნუგემო სიყვარულისა. ეს მე დღემდე არავისთვის მითქვამს. შენი კითხვის პასუხია ეს. ჩემი საუბარი ჩემი სიბრძნე-სიბრიყვის შეფასებაში გამოგადგება, ირმა!.. შენ შეგაძრწუნებს ჩემი სისულელის მწვერვალები! ზევით ისწრაფვის აქოჩრილი მუხრანის გვერი. მუხრანის ზემოთ დანავარდობს ლალი არწივი, არწივზე ზემოთ დაცურავენ ღრუბლის ქულები, ღრუბლების ზემოთ კაშკაშებენ ცის ვარსკვლავები... ირმა, ეს უკვე ძალიან მაღალი ხომ არაა შენთვის?

— არა! — იცინის. — შემდეგ?

— ვარსკვლავთა ზემოთ დაფრინავენ ანგელოსები, ანგელოსების ზემოთ... არა! — ბაკურმა თავი გააქნია. — ამაზე ზევით ჩემი სისულელე ვერ ავა, მან ისედაც საკმაოდ მაღალ მწვერვალებს მიაღწია და თავბრუ ესხმის საკუთარი აღმაფრენისგან...

— შეუდარებელი ხარ! სად მუშაობ, ბაკურ?

— ფსიქიატრიულში! არ მეცყობა?

— ექიმი ხარ?

— არა! პაციენტი.

— გეყოფა! — გადამდები სიცილი აქვს ირმას. ელიმება ფხოველს. მცხეთაში იყვნენ უკვე.

— რესტორანში დავსხდეთ! — ბაკური ვიღაცას მიესალმა.

— არა რა! ძალიან ვთხოვ!

— რატომ?

— არ მინდა და იმიტომ! სადმე წყნარი ადგილი არ მოიძებნება მცხეთაში?

— „ხეკორძულაში“?!

— ეგეც რესტორანია?

— არა! საკმაოდ წყნარი ბარია.

— კარგი, შევიდეთ!

— ცნობისმოყვარე ნამდვილად არ ვარ, მაგრამ მაინც, რატომ თქვი უარი რესტორანზე?

— მე ცოცხალი „იმნაირი“ დამცველი მყავს, — იღუშება. — მეშინია, არ მიცნოს ვინმემ და ამბავი მიუგანოს.

— მერე და რა არის ამაში ცუდი, რომ მეგობართან ერთად ივასშმო? — გულუბრყვილად კითხულობს.

— ეჰ! — ამოიოხრა. — შენ არ იცნობ მას!

— კი მაგრამ, ვინაა ისეთი? მამა? ძმა? ბიძაშვილი?

— მამა, ძმა და ბიძაშვილი რომ მყოლოდა, იქნებ სხვანაირად წასულიყო ჩემი ცხოვრება... ვინაა და კაცი, რომელიც მე მალმერთებს, კაცი, რომლის მე მეშინია!

ბაკურმა სვლა შეანელა. ქალიშვილს შეხედა. უთრთის ხელი. თვალებში ცრემლი კრთის. არსენას ძეგლთან აჩერებს მანქანას.

— ცუდად ხარ? — მხარზე მოხვია ხელი. მიიზიდა. თავი ასწია ქალმა. შეხედა ცრემლჩამდგარი თვალებით.

— არ გინდა! ქუჩაში ნუ შემეხები. აილე ხელი! შენ არ იცი, ის რა საშინელი ცხოველია.

არც შენ დაგინდობს!

— აუ! — შიშით იღებს ხელს თხოველი. — ჩემგან რა უნდა?! ბაკურის შიშნარევი ხმა უცებ ამხიარულებს ირმას.

— ამ წუთში რომ დაგვადგეს თავზე და შეგაგინოს... ან, უბრალოდ, გითხრას, შენ იყო ძაღლიშვილი, თუ არ შემებრძოლო! ერთი პისტოლეტი შენ მოგცეს. როგორ მოიქცევი?

ბაკურ თხოველმა ხელები გაასავსავა.

— თავი დამანებე! რა ეშმაკად მინდა პისტოლეტი? ცხოვრებაში „სკრიპის“ მეტი არაფერი მჭერია ხელში.

— რას უპასუხებდი? მითხარი! — ირმამ მხარზე ჩამოაყრდნო ხელი.

— ხელი განი და სწორედ დაჯექი! რას უპასუხებდი? დაფხრიდი თავს ძირს და ვეცოდი: ბოდიშით, ბატონო! ეს გოგონა მე ჩემი ღისგან არ გამირჩევია, რაც შეეხება თქვენს კეთილშობილურ წინადადებას ორთაბრძოლის თაობაზე. მირჩევნია, ცოცხალი ვიყო და ძაღლის ლეკვი მერქვას, ვიდრე მკვდარი ლომი!

— მშიშარა! — ელიმება ირმა სარაჯიშვილს. სახეზე ეფერება. ნუ გეშინია. ის გუშინ რუსეთში წავიდა. ახლო მომავალში არ იქნება.

— რა უნდა რუსეთში? — მშვიდად ამოისუნთქა ბაკურმა.

— არ ვიცი! ალბათ კიდევ ჩაიღინა რაღაც და გაიქცა, — თვალეში ნაღვლიანი ჩრდილები უჩნდება. — დონეცკში აფარებს ხოლმე თავს. მისი და ცხოვრობს იქ.

— დონეცკში? — სიხარულს ვერ მალავს თხოველი.

— რა გიხარია?

— ირმა! შენ სერიოზულად გინდა ჩამოიშორო ის?

— მაგას კითხვა უნდა? მაგრამ შენ არ გაფხარ მის ჩამომცილებელს.

— მე არც ვაპირებ! დონეცკს ჩემი ძმა უყურებს.

— როგორ უყურებს? ქურდია?

— კი. მისამართი მომეცი და ის მიხედავს მას.

— მისამართი არ მაქვს! — იმედის სხივი უელავს. — ტელეფონი მაქვს.

— რა მნიშვნელობა აქვს. იპოვის მაინც. ასე რომ, ჩათვალე ის კაცი დღის წესრიგიდან ამოღებულად. ამის გარანტი მე ვარ. შენ ის აღარასოდეს შეგანუხებს... ნავედით?

თერთმეტი სრულდებოდა. ბარში მათ გარდა აღარავინ იყო. ირმა წამოდგა.

— ვაიმე! თავბრუ მესხმის!

— არაფერია! კონიაკის ბრალია! — ილიმება ბაკური. — ჰაერზე გავალთ და გაგივლის. ქარი, ცივი ქარი უბერავდა მტკვრიდან. ირმა აიბუზა.

— გცივა?

— შემცივდა ცოცა! მაგრამ არაფერია. შენ გამათბობ!

— დაჯექი! — მანქანის კარებს აღებს.

— სად მივდივართ?

— „აგურქარხნებში“.

— რა გვინდა იქ?

— აბა გარეთ ხომ არ გავათევთ ლამეს!

კბეებს აუყენენ. ფხოველმა კარები გახსნა. სინათლე აანთო. ირმამ ბინა მოათვალიერა.

— რა სიმყუდროვეა! ვისი ბინაა?

— ამ ლამით ჩვენია, — ქურთუკი გაიხადა. ირმა შემობრუნდა. წელზე შემოხვია ხელები. შეკრთა.

— ეს რა არის? აკი იარაღი არასდროს მჭერია ხელშიო?! — აბუსხული ტუჩები. შეცბუნებული თვალები.

— მიყვარს ასეთი სათამაშოები! — „ბერეგას“ მაგიდაზე დებს. — შამპანურს ხომ არ დალევი?

— არა! მოდი ჩემთან! — კისერზე ხვევს ხელს.

ბაკურმა ხელში აიგაცა, სანოლი ოთახის კარი ფეხით შეაღო.

— სინათლე ჩააქრე! — დაიხურჩულა ირმამ...

## XVIII თავი

### *დონეცკი. სამი ნოემბერი. საღამო...*

— თუნდაც ჭოჭოხეთი ჩაქრობას აპირებდეს, მე საკუთარი სულის შებერვით გავაჩაღებდი უკანასკნელ მბუჭავ ნაკვერჩხლებს, რათა ისინი კვლავინდებური ძალოვნებით აგიზგიზდნენ!..

რომ მოგესმინათ ამ ადამიანის ხმა, რომელიც ჩრდილოეთის გრიგალივით სისინებდა ამ სიგვეების წარმოთქმის დროს, გენახათ მისი ანთებული სახე, კამეჩის ქედისებური კისერი და ვეებერთელა მუშტები, დარწმუნდებოდით, რომ ეს ჭოჭოხეთური მუქარა ჰიპერბოლა არ იყო.

— დანყნარდი, თამამ! — წითელსახიანმა, ჩასუქებულმა რუსმა არყიანი ჭიქა ხახაში გადაიპირქვავა, სალის ნაჭერს დაავლო ხელი, ზედ მიაყოლა. — მე კი სამოთხეს ვარჩევდი მაინც!

— სამოთხეს? — მოსაუბრე შავი თვალებით გაბურღა თამამ შენგელიამ. — მე სამოთხეს ვერ გამოვუცხადებ ნდობას.

— რატომ?

— სამოთხის მიმართ ჯერ კიდევ ძალიან ადრე შემეპარა ეჭვი. პატარაობისას ხშირად ვწოლილვარ გულადმა ბალახებში. მიჭვრეცია ზეცისთვის და მიფიქრია: ნუთუ მართალია, რომ ზეცაში ამდენი დიდებული რამ მოიპოვება, როგორც ამას გაიძახიან? მაგრამ მაშინ, ვფიქრობდი მე, როგორ ხდება, რომ ამ სანუკუარი საგნებიდან არასდროს ვარდება ძირს არაფერი, თვით ერთი ბრილიანტის საყურეც კი, ან მარგალიტის გულქანდა, ან ანანასის ტორტის პატარა ნაჭერი მაინც? მხოლოდ სეცყვა და თოვლი, წვიმა რატომ მოდის იქიდან? ამას ვფიქრობდი და ამას ვფიქრობ დღესაც.



— ღლესაც? — ჩაეძია მოსაუბრე.

— კი, ღლესაც! ამ შენს სამოთხეში მთლად რიგზე არ უნდა იყოს ყველაფერი. ეჰ! — ხელი დაარტყა მაგიდას. — რა ვუთხრა ღმერთის სამართალს. ერთი-ორი საათით მაინც შეგვიშვა იქ „მხედრიონის“ ბიჭები და უცებ დავალაგებდით ყველაფერს. ძირს ჩამოვიტანდით სულ.

— სად ძირს?

— **Казел ты!** — გაცეცხლდა შენგელია. — სად ძირს და აქ, ჩვენთან, მინაბე. რა ჩემი თეხები უნდა განძს ცაში?

— საქართველოში ყველა შენნაირი ჭკვიანია? — გაელიმა რუსს.

— რაო? — ამღვრეული თვალები ბუდეებიდან გადმოცვენას ლამობს. — მაშინ რაგომ არ ამბობდი მაგას, როცა ჩემი დისთვის კარებს მიგალახებდი?

— კარგი! ვიხუმრე!

— იხუმრა! მეორედ კიდევ მასეთი ხუმრობა და! — მკერდს იღელავს, „მხედრიონის“ ჟეგონს იღებს.

— ხელავ? კარგად დააკვირდი! ეს „მხედრიონის“ ნიშანია. ჩვენ, ქართველები, წმინდა გიორგის, ქრისტეს მხედრები ვიყავით ყოველთვის. შენი დაცინვა უნდა ქართველობას?

— ვიცი! მე ქართველებს როდი ვაყენებ შეურაცყოფას. ისე კი ჯობდა, ქრისტეს მაგივრად ნამდვილი ღმერთისთვის გეცათ პატივი და ის გენამებინათ, ვინც მართლა ღმერთია.

— რას მიედ-მოედები? ვინაა მართლა ღმერთი?!

— იეჰოვა!

— ეგ ვილა ჩემი თეხებია?

— ლექსიკონი შეარჩიო ჯობია. იეჰოვა მამა ღმერთია.

— არ ვიცი მე მამა და მამინაცვალი. ვიცი ერთადერთი ღმერთი — ქრისტე! ეგ შენი იე... რა ქვიაო, რა თქვი?

— იეჰოვა!

— ეგ იეჰოვა საიდანლა მოათრიე, დაგესიზმრა?

— შენ ბევრი რამ არ იცი, თამაზ! გიმეორებ, სამყარო შექმნა მამა ღმერთმა, იეჰოვამ. ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა ახალგაზრდა, უწმინდესი და ულამაზესი ქალი, მარიამი. იეჰოვამ ანგელოს გაბრიელს დაავალა მასთან შუამავლობა. გაბრიელი მიდის მარიამთან და ეუბნება: „იეჰოვა კმაყოფილია შენით. შენ მალე ბავშვი გვეყოლება და სახელად დაარქმევ იესოს. ეს ბავშვი ღიადი იქნება და მას ეწოდება უზენაესი ღმერთის ძე. იეჰოვა მას გაამეფებს ისე, როგორც ადრე გაამეფა დავითი. მაგრამ იესო მარადიულად იმეფებს და მისი მეფობა არასდროს დასრულდება“. „როგორ შეიძლება ეს მოხდეს? — კითხულობს მარიამი. — მე გათხოვილი არ ვარ. არასდროს მიცხოვრია მამაკაცთან და როგორ შეიძლება ბავშვი გამიჩნდეს?“ „ღმერთის ძალა გადმოვა შენზე“ — უპასუხა გაბრიელმა. — ამიტომ ბავშვი ღმერთის ძედ იწოდება. ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი...“ და მალე, ჩემო თამაზ, ბეთლემში იშვა პატარა იესო! ესაა და ეს.

— როგორ იშვა, იეჰოვა იმ ქალთან არ წოლილა?

— არა!

— კაცურად, ეგ შენი იეჰოვა პედერასტი ხომ არ არის?!

სიძის გამგენარებული სახე. გადმოკარკლული თვალები...

*თბილისი. ორი ნოემბერი...*

— როგორა ხარ, სოსო?

— სად ხარ შენ? კაი ღროს მოხვედი. სტუმრები მყავს.

— თუ ძმა ხარ, არ მცალია. საქმეზე მოვედი.

— საქმე მოიცდის, ბაკურ!

— სხვა ღროს, ძამიკო. გითხარი, ნაღდად ღრო არ მაქვს.

— ხომ არაფერი გიჭირს?

— ბუჩუკურის ექსპერტიზაზე შენ იყავი ხო?

— კი!

— რა სისტემის იარაღითაა მოკლული?

— „პარაბელუმით!“

— სხეულიდან ამოღებული ტყვიები შენთან ინახება?

— არა, გამოძიებელთან. რად გინდა?

— სოსო, მჭირდება ერთი ცალი, რომელიც დაჭყლეტილი არ იქნება. შეგიძლია აიღო?!

— ძმა ძმისთვისაო! რაზეა საუბარი? ხვალ გამოდი ჩემთან! ავლაბარი. „ელია“.

— გამარჯობათ, დეიდა გელეციკ!

— ოო, ცავატანემ ბაკურჯან! მოდი! მოდი!

— ძია არგუმა სახლშია?

— კი! ავე ნარდსა თამაშობს. არგუშჯან!

— მოვდივარ! ოჰო! ამას ვისა ხედავ! — აქეთ-იქით იხედება. — ვაჰ! ვაჰ! შენ რა, დაცვის გარეშე ხარ?

— რად მინდა, ძია არგუშ, დაცვა?

— რა ვიცი, კაცო! — ხელებს შლის. — გუშინდელი „შპინგალეტები“ დღეს პოლკოვნიკებია, მაშ შენ გენერალიც აღარა, გო? შამო რა! — ფართოდ აღებს კარს. — ვაჰ! ეს რა მაშინა დაგითრევია!

— ჭიშკარს ნუ გააღებ. მეჩქარება. მალე უნდა გავბრუნდე. შევიდნენ. მასპინძლის ქალიშვილი სარკის წინ გრიალებს.

— პრივეტ, სუსანა!

— ეგრე იყოს! — სუსანა ღიმილით ბრუნდება მისკენ.

— ეხლავე მოვალ, ბაკურჯან! — არტუმა გადის.

— როგორ გიკითხო, ავლაბრის დემი მურო?

— როგორც მკითხულობ! ქუჩაში ზედ არ მიყურებ!

— სად ქუჩაში?

— გუშინნინ, საბურთალოზე, ქერათმიანი გოგო რომ ჩაისვი მანქანაში, მომსალმებოდი მაინც?

— სად იყავი? ვერ შეგნიშნე! — გულწრფელად შეწუხდა ბაკური.

— სად ვიყავი და იქვე ვიდექი. ლექციები დამიმთავრდა და მთელი ორი საათი იქ ვიყურე. ტრანსპორტი არ იყო.

— მაპაგიე, სუსანა!

— არათყრია. დღეს შეგიძლია გამოისყიდო.

— რა ხდება დღეს?

— კაროჩე, მე გავდივარ. ეცადე, მამაჩემს დროზე დააღწიო თავი და ბევრი არ დალიო. 6 საათზე ავლაბრის მეტროსთან დაგელოდები, — სუსანამ ჩანთა აიღო. არტუმა შემოვიდა.

— წახვედი სუსანჯან? მალე მოდი! — კონიაკი, ხილი მაგიდაზე დააღება.

— ამაღამ წინოსთან ვრჩები, მამა! სახლში არ მოვალ! კარგ ქეიფს გისურვებთ! — კარები გაიხურა.

— ძია არტუმი! მე დამლევი არა ვარ. შენი დახმარება მჭირდება.

— ეგ მერე! ოჯახი დავლოცოთ!

— გაგიმარჯოთ! — ბაკურმა ჭიქა აიღო.

— აბა მითხარი, რამ შეგანუხა?

— იარალი მჭირდება სასწრაფოდ!

— ვაჰ! შენა და იარალი გავიჭირდა?

— იარალს გააჩნია!

— რა მარკა გინდა, ცო, მითხარი!

— „პარაბელუმი!“

— ამ ატომის ხანაში რაღა ღროს „პარაბელუმი“? ახალი იარაღებია, რამდენიც გინდა!

— მჭირდება მხოლოდ „პარაბელუმი“! — სომეხის წინ ფულის დასტა დადო. — და მჭირდება ხვალ საღამომდე!

— რამდენია?

— არ ვიცი! ალბათ ორი ათასი. მგონი საკმარისია?

— ბაკურჯან! შეილო და ძმაო! — ფული უკან დააგდო მაგიდაზე. — თუ იარალი მართლა გინდა, ეს ფული შეინახე, რა! სომეხი კი ვარ, მაგრამ ნამუსი მაქვს. რაც შენ ჩემი ოჯახისთვის ზვიადის ღროს პატივი გაქვს ნაცემი, ერთი ანგია „დურათი“ კი არა, მთელი ზვოდის იარაღიც რო მოგცე, მაინც ვერ ამოვალ ვალიდან. შენ რო არ ყოფილიყავი მაშინ, მე ახლა აქ რა მინდოდა?! არარაგის მთებში, ქობში უნდა ვცხოვრობდე სადღაც! რას იბღვირები, ცო! არაფერი აღარ მითხრა! იარალს ახლავე მოგცემ, ეგ ეშმაკის მონაგონი ქალაღდეები კი, სანამ შემოვბრუნდები, აფერთხე აქედან!..

ექვსი სრულდებოდა.

— სუსანა!

— რა მალე მოხვედი?

— დაჯექი! — ფხოველმა მანქანა შეაბრუნა.

— სად მიდიხარ?! რა გვინდა ჩემს უბანში?

ბაკურ ფხოველი შუბლშეკრული გაჰყურებდა გზას. არცუშას სახლის მახლობლად შეაჩერა. სუსანასკენ შებრუნდა.

— ნადი ახლა სახლში! დაჯექი და იმეცადინე.

შემკრთალი აჩერდება. ღიმილი უნათებს სახეს. გადაინია. ლოყაზე აკოცა.

— კარგი ბიჭი ხარ! ნახვამდის!.. — ქურციკივით მიემართება სახლისკენ. საღამოს ათი საათი.

— ალო! დათო, შენ?

— მე ვარ! როგორა ხარ?

— ვარ რა! რა ამბებია თქვენს მოსკოვში? ისეთი არაფერი. ხომ არაფერი გიჭირს?

— გეგ ჩამოვალ! საღამოს. აეროპორტში დამხვდი.

— კარგი!

— ხუთშაბათისთვის დონეცკზე დამახვედრე ერთი ბილეთი.

— რა გინდა დონეცკში?

— საქმეა. მოსულა?

— მაშ როგორ! გელოდები!..

*თბილისი. 3 ნოემბერი. საღამო. 9 საათი.*

— რას აკეთებ? — მაგიდასთან თავდახრილ ფხოველს უკნიდან შემოხვია მარიკამ ხელები. — ვახშამი მზადაა.

— ახლავე, მარი. მაცადე ცოცა! — პისტოლეტის ტყვია ჰილზიდან გამოაძრო. ნამალი ქალაღდზე დაუშვა. თითით შეეხო. დააკვირდა. უკან ჩაყარა. ჯიბიდან რალაც პრიალა ქალაღდი ამოიღო. გაშალა. ჩათვიქრებული დაჰყურებდა ქალაღდში გახვეულ ცარიელ ტყვიას. პინცეტი აიღო. ჰილზს მოარგო. ჰილზიდან გამოღებული ტყვია ქალაღდში გაახვია. ღია თანჯრიდან შორს მოისროლა.

— ექსპერიმენტებს ატარებ? — მარიკამ შიშით დახედა შავ, ყორნისფერად მოელვარე იარაღს. — რა ჰქვია ამ პისტოლეტს?

— „პარაბელუმი“, — წამოდგა. — შეგიძლია მიმიწვიო ვახშმად!.. დონეცკი. 3 ნოემბერი. გვიანი ღამე.

— თამაზ, შენ რა, ტირი?

— არა! — შენგელიამ ანითლებული თვალები ძირს დახარა. — არ ვტირი. მაპატიე, სერგეი, წელანდელი უბრდელლობისთვის. არაფერ ვცდილობ გადავივინყო ყველაფერი, მაგრამ მაგიჟებს ეს დანყვევლილი არაფი.

— რა ყველაფერი? რის გადავინყებას ცდილობ?

— რატომ არ მეკითხები ან შენ, ან ჩემი და, რატომ ჩამოვედი? რატომ ვარ აქ?

— რატომ უნდა გკითხოთ? მოგენაცრა შენი და, მისი ოჯახი და ჩამოხვედი, რა არის ამაში უჩვეულო?

— ეს! სერგეი! სერგეი! რა გიჭირს შენ. ხარ ქარხნის დირექტორი, გყავს მოსიყვარულე მეუღლე, გაქვს წყნარი ოჯახი. ბედნიერი კაცი ხარ!

— შენს ბედნიერებას რაღა უშლის ხელს? თუ იქ არ გინდა ცხოვრება, საქართველოში, ჩამოდი აქ. ბინასაც მოგცემ და სამსახურსაც. ქალის პრობლემა რომ არ არსებობს აქ, ეგ იცი მგონი.

— ჩემი ბედნიერება? — მწარედ გაეღიმა თამაზ შენგელიას. — არა! ჩემთვის ბედნიერი დღე აღარასოდეს გათენდება. ერთილა დამრჩა, სერგეი, სიკვდილი! მაგრამ ჭერჯერობით არ მინდა მოვიდეს ჩემთან, რადგან არ მსურს არაკაცის სახელით წავიდე იმ ქვეყნად... მინდა როგორღაც გავაგებინო ჩემს მეგობრებს, „მხედრონს“, რომ იმ საქმეში, რომელიც უშიშროებამ წამომკიდა ზურგზე, ჩვილ ყრმასავით უდანაშაულო ვარ. და განა მარტო ერთი? რამდენი სველი საქმე? ეშმაკმა იცის! უშიშროების ბიჭები ხომ დიდოსტატები არიან ასეთი ამბების.

— მერედა, რატომ არ მიხვედი, რატომ არ აუხსენი ხალხს, რაც მოხდა?

— ვის რას აუხსნი?! ისე გექნაკურად გააკეთეს ყველაფერი, რომ ყველა კვალი ჩემკენ წამოვიდა. რა გინდა, სუფთად იმუშავეს! ყველა დარწმუნებულია დღეს, „მხედრონიც“ და პოლიციაც, რომ მეგობრების მოლაღატეც ვარ და მკვლეელიც. როგორ გინდა აუხსნა?

„შხედრიონელები“ „შაგები“ არ არიან, სერგეი! ქურდი სალად განსჯის ყველაფერს, გაარკვევს გასარკვევს. აქ კი ადგებიან და იმასაც არ იკითხავენ, მტყუანი ხარ თუ არა, პირდაპირ გაგიხვრეგნ შუბლს.

— თუ შეიძლება, მომიყევი, რა მოხდა?

— რატომ არა? შენი და ეთერის მეტი ვინ მყავს? დაე, თქვენ მაინც იცოდეთ სიმართლე... თბილისი. ოთხი ნოემბერი. დილა.

— „გოროლა“! გესმის ჩემი ხმა? „ლამურა“ ვარ!

— „გოროლა“! გისმენთ!

— „გოროლა“! ცუდად ისმის შენი ხმა. მისმინე! ვინცებთ მოქმედებას!

— რა ხდება?

— „გველგესლა“ ქალაქიდან გადის!

— რა მიმართულებით?

— ვილაცას აედევნა უკან. დიღმის მასივიდან უკვე გადის პირველი მანქანა მცხეთის მიმართულებით. „გველგესლა“ ორასი მეტრით უკან, კვალში უდგას!

— რა მანქანაა პირველი?

— უახლესი მოდელის ნაცრისფერი „ბმვ“.

— სახელმწიფო ნომერი?

— სამი „E“-747.

— ბაკურის მანქანა! — სახე აელუნა ნოდარ ჩხეტიანს.

— არ გეშლება? — თენგიზ გადალენდიაძე სიგარეტის ნაწივი ფანჯრიდან ისროლა.

— არა! ამასწინათ მანქანა დამჭირდა და ბაკურს ვთხოვე. მთელი ერთი კვირა მე მქონდა ეგ მანქანა. რა უნდა ფხოველისგან მაგ ახვარს?! „ლამურა“! მისმენ? რა ხდება?



— პირველი მანქანა მუხათგვერდის სასათლაოსკენ ავიდა!

— რა უნდა მუხათგვერდში? — ხმადაბლა, თავისთვის ჩაილაპარაკა ნოდარმა.

— ეკა! ეკას საფლაგია მუხათგვერდში! — თენგიზ გადालენდიამ საჭეზე ჩამოდო თავი... ამოიოხრა. ღუმილი გამეფდა...

ღილა. თერთმეტი საათი.

თავდახრილი ზის ეკას საფლაგთან. სამარისებური სიჩუმეა სამარეთა სამეფოში...

„მე კომედიას ვთამაშობ საკუთარ თავთან! საკუთარ ტანჯვა-წამებას ვნიღბავ და გულში მიყენებული ჭრილობებისგან სიკვდილის პირას მისული, კბილის ტკივილს ვუჩივი. შიგ გულში მაქვს კბილის ტკივილი... ტანჯვა ჭიასავით მიღრღნის გულს. უბედურება ქვეყნად თან მომყვა. იგი აკვანში იწვა ჩემს გვერდით და დედა ჩემთან ერთად ჩემს უბედურებასაც არწევდა. როცა დედა ნანას მიმღეროდა, ის ჩემთან ერთად ძილს ეძლეოდა, ხოლო როგორც კი თვალს გავახელდი, უმაღვე იგიც ახელდა თვალებს. ჩემს ზრდასთან ერთად იზრდებოდა ჩემი უბედურებაც... უბედური ადამიანი რაკი ერთი წაიბორძიკებს, თითქოს ნიუტონის კანონის შესაბამისად, სულ უფრო და უფრო მზარდი სისწრაფით ეცემა ძირს.“

ეკა! მივდივარ, ჩემო სიყვარულო! გამოსამშვიდობებლად მოვედი შენთან. ამ გვიან შემოდგომამზე იები ვერსად ვიშოვე! შავი ვარდები მოგიტანე ამჯერად! სადაც არ უნდა ვიყო, გაბათხულის მოსვლას მეც მოვეყვები შენთან, იებით ხელში. გზა და მანძილი ვერ დამაკავებს, ეკა! საფლავს ამოვანგრეე და გაბათხულზე შენთან მოვალ მაინც! იძინე წყნარად! არ იღარდო! ბესიკის მკვლელს თავისავე ტყვიას დაუბრუნებ უკან! სულ რაღაც საათებიღა დარჩა მას სიცოცხლის!

თავი ასწია. სამარის ქვიდან ეშმაკურად თვალემოჭეცული უმზერდა ეკა. წარწერა: „ეკა გურამის ასული ბუჩუკური. 1967-1993 წწ.“ ეპიტაფია:

„ღერწმების სიმაღლე ქარი, ღერწმების რწევა და ცედომა,

ჩამონისლული არე, მჭკნარი ფოთლების კედომა...

საით გავფრინდეთ, საით? გვიშვებს ქარი და ნისლი?!

შენ არა გქონდეს მაინც ფრთა, მოგეხილი ისრით!..“

სამარეზე სათუთდ დანყობილ ვარდებს თან ჩაჰყვა ფხოველის ცრემლიც...

*პირველი საათი.*

— რაგომ ხარ მონყენილი, დედა?

— სასიხარულო რაღა მაქვს, შვილო? რაგომ არ იხდი?

— უნდა დაგბრუნდე!

— სად მიდიხარ?

— დროებით უნდა წავიდე!

— სად?

— შტატებში!

— არ გკითხავ, თუ რაგომ! შენ არაფერს მეუბნები, მაგრამ დედის გული ყველაფერს გრძნობს, შვილო! გაიძულეს? წადი! წადი, ჩემო ერთადერთო! — მოინძინდა ცრემლი. — წადი, მაგრამ მომეცი პირობა იმისა, რომ სამუდამოდ არ ჩარჩები უცხოეთში.

— რას ამბობ, დედა? აპრილის ბოლოს აქ ვიქნები!

— ცუკილს ნუ მეუბნები! — მხრები უცახცახებს თამარს. — ბევრი აპრილი შემომეღვევა შენს მოლოდინში. ვიცი ეს... ნუ გაიტყვ გულს, შვილო! ასე იყო და ასე იქნება! გაიხსენე კონსტანტინეს სიტყვები: „თუ ვინმე ღირსეული გამოგვერია, დავესევით და ისე დავძიძგნით, როგორც დაკოდილ ძერას სუაუები!“ ასეთნი ვიყავით ქართველები. ასეთად დავრჩით, — გახგზე ჩამოჯდა. სახე ხელებში ჩარგო.

— დედა! — ბაკური გვერდით მიუჯდა. — ასე თუ ინერვიულებ შენ, მე ფეხის გადამდგმელი არა ვარ არსად.

— არა! შენ ჩემი გაზრდილი ხარ და ვიცი, სადაც გინდა წახვიდე, შენს კაცურ ღირსებას ყველგან შეინარჩუნებ, ბაკურ! შენ აღარა ხარ პაგარა ბიჭი და ვიცი ისიც, რომ მცდარ გზაზე აღარ დადგები. ამის იმედი მაქვს. სულ სხვა რამ მიკლაფს, შვილო, გულს!

— მითხარი, დედა!

— საზღვარგარეთ ფული გჭირდება! ფული, რომელიც მე არ გამაჩნია! რა მოგცე?! რა

გაგატანო?! — ისტერიული ტირილი აუვარდა. — ფქვილი გათავდა გუშინნინ! მალაზიიდან წამოვიღე ერთი ტომარა ვალად! ხელთასამდე მადროვეთ-მეთქი, — ვუთხარი.

აენვა ფულით სავსე ჭიბე ბაკურ ფხოველს. სიბრაღულით დააცქერდა დედის ფერმიხდილ სახეს. გული დაენვა. ხელი უნებურად ჭიბისკენ გაექცა. დროით შეძლო თავის შეკავება. ხელი მოხვია.

— ნუ დარდობ, დედა! ფული მაქვს! მარიკამ მომცა!..

*ორი საათი.*

— გამარჯობა, არჩილ!

— სიცოცხლე ბაკურს!

— საქმე მაქვს!

— კი გენაცვალე! — გამყიდველმა მალაზიის კარები მჭიდროდ მიხურა.

— არჩილ, დედაჩემს ვალი ჰქონია შენი!

— ძმურად, ეგ რა სალაპარაკოა? როცა ექნება! გავრბივართ სადმე?!

— მე გავრბივარ! ჰოდა ეს ფული აიღე! ათასი დოლარია. ამ ზამთარს რაც დაჭირდება, ფქვილი, შაქარი, მარილი თუ ნაფთი, ყველაფერი მიეცი, ძალიან გთხოვ! განუხებ, მაგრამ... კარგად!

— იცოცხლე, ძმაო! ჩემზე იყოს!

*ოთხი ნოემბერი. ოთხი საათი.*

— გისმენთ „ლამურა“!

— ნაცრისფერი მანქანა აინვალის მხრიდან უკან, თბილისისკენ ბრუნდება. „გველგესლა“ აუკიდა ისე! ახლოს მივიდა! კუდში მისდევს!

— ყურადღება! — გადალენდიას ხმაში მღელვარება იგრძნობა. — მოყვით უკან! ბულაჩაურის გადასახვევთან დაგხვდებით! უნდა ავიყვანოთ!

— იმ დღესაც მოვესწარი, რომ თანამშრომლებზე ვნადირობთ! მწარედ გაეღიმა ნოდარ ჩხეციანს. პისტოლეტის ტარში მჭიდი შეაგდო.

— თანამშრომლები ჩვენ ვართ. ეგ კი ეშმაკის თანამშრომელი იყო იმთავიდან! — მოიღრუბლა თენგიზ გაბაღენდია. — რა ვქნა, ნოდარ! მე ვერ დავეუშვებ, რომ ბესიკ ბუჩუკურის, ჩემი შვილობილის მკვლელობა აქ თავისუფლად იპარპაშოს! — საბურავების წივილით დაძრა მანქანა. — „კატას“ აკიდა თავის ჭკუით ყველაფერი. საცოდავი, ეშმაკმა იცის საით გადაიხვეწა?! თამაზ შენგელია, იგივე „კატა“, შაფხელი წარსულის მქონე, მთელი ასი თავით მაღლა დგას ამ არაკაცზე! ის თუ ხელმრუდობდა, ქურდობდა და მამაძაღლობდა, სამაგიეროდ მთელი სულით და გულით თავისი ერის და ქვეყნის პატრიოტია! მან ეს ათასჯერ დაამტკიცა ამ ომებში. ამ ნაძირალამ კი ისე გაუხადა საქმე, რომ კაცი საერთოდ გააქცია იმ ქვეყნიდან, რომლისთვისაც თამაზ შენგელიას მაგის წონა სისხლი აქვს დაღვრილი... სულ ბოლო გაგრიდან შენგელია გამოვიდა. ჩვენი ბიჭები ამბობდნენ, გიჟს ჰგავდა, ცარიელი ავტომატით მიიწეოდა ტანკებზე!

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ფხოველთან რა ესაქმება? ვფიქრობ და ამის ახსნა ვერ მიპოვია. რას დასდევს კუდში?

— ოხ, შე ძალად იურისტო! რა მიხვედრა უნდა მაგას? ვიცით, რომ სამი დღის უკან შენგელიას ცოლი თუ საცოლვე ბაკურთან იყო. როგორ ფიქრობ, ბაკურ ფხოველს ქალები შემოაკლდა? არა მგონია! მაშ რა მოხდა! რატომ დაინტერესდა ფხოველი ირმა სარაჯიშვილით? როგორც ყველა, ბაკურ ფხოველიც ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ „კატას“ — თამაზ შენგელიას ადგილსამყოფელი გაიგოს. იგივე სურვილი ამოძრავებს „გველგესლას“. რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოიკლას შენგელია. მოკლული თან წაიღებს მთელ საიდუმლოს. თვითონ კი ახლებურად შეუძლია ფრთების გაშლა, რამეთუ, მკვდრები არ ლაპარაკობენ. „გველგესლამ“ იცის, რომ ფხოველი შეძლებს თამაზ შენგელიას პოვნას, ადრე თუ გვიან. აი, ამიტომ არ შორდება კუდიდან. თუ ფხოველმა შენგელია მოკლა, ამით

„გველგესლა“ ერთდროულად ორ კურდღელს იჭერს, იცილებს ხელის გაუნძრევლად საშიშ მონქს და ამავედროულად ხელებზე ბორკილებს დაადებს ფხოველს მკვლელობის მოტივით.

— და თუ ფხოველმა არ მოკლა?

— მაშინ თვითონ „გველგესლა“ მოკლავს! მთავარი მაგისტრის შენგელიას მისამართის

დადგენაა, რასაც თხოველის მეშვეობით ფიქრობს. მაგრამ არც ჩვენ ვარჩევთ ბუმბულს, ასე არაა ნოდარ?

— ასეა, ბატონო თენგიზ!

### *ოთხი საათი და ოცდაათი წუთი.*

გაცილდა ბაზალეთის გადასახვევს. დაღვრემილი გაჰყურებდა გრანსპორტით გადაჭედებულ საქართველოს სამხედრო გზას. უსიამო ფიქრები შემოხვეოდა მთელ მის არსებას.

„მე მილიონებს აქეთ-იქით ვფანტავ, დედა კი თურმე არ შიშობს? მთელი ახალგაზრდობა შეიღების სამსახურს შეაღია, ჩვენ რით გადავუხადეთ? პირადად მე რა ვაუკეთე მისთვის? არაფერი! ახლაც ვგოვებ და ვგოვებ, ვის სინაბარას? ბაბას ადრე თუ გვიან დაიჭერენ, ლელა და ბავშვებიც დედას მისახელი გახდებიან. სად მივდივარ?! რა მინდა უცხოეთში? მეშინია?! კი, მაგრამ ვისი? ან რატომ? უშიშროების კომიტეტი შემავინროებს? ეს მათიქრებს? სისულელეა! ვახტანგ წულაიათი არც იწყება საქართველო და არც მთავრდება. როგორც არასდროს, ამ წუთებში მინდა რატომღაც დედის გვერდით ყოფნა, მისი სიახლოვე! მე კი რას ვაკეთებ? უკანასკნელი დამნაშავეს დარად, ერთი სული მაქვს, როდის გავეცლები აქაურობას! ახლა მმართველს ნებისყოფის მოკრება, საკუთარი თავის ხელში აყვანა!“

სარკისკენ გაექცა თვალი. თეთრი „მოსკვიჩი-რენო“, მოჰყვებოდა უკან. „ამ მანქანას დღეს მერამდენედ ვხედავ?“ სისწრაფეს უმატა. „რენო“ არ ჩამორჩა. „ვინ ეშმაკია?! მე მომდევს? თამაზ შენგელია ხომ არაა? აკი რუსეთშიაო? იქნებ ეს ყველაფერი ბლეფია? იქნებ ფეხი არ გაუდგამს არსად და მთელი ეს დრო თბილისში იყო? ვნახოთ!..“ ერთ კილომეტრში დისგანციას ჯიუტად იცავდა „რენო“. სარკიდან ამაოდ ცდილობდა ბაკური მძღოლის სახის დანახვას. გვერდით საშინელი შხულით გაიქროლა მანქანამ. თეთრი „07“ იყო. თვალი გააყოლა. „დაიღწევა სადღაც!“ ავიგული თვალს მიეფარა. წინ მოსახვევია. საკმაოდ დიდი სისწრაფით შევიდა თხოველი. მუხრუჭს დაანვა... თეთრი „07“ და შავი „ვოლგო“ გარდიგარდმო დგანან გზაზე. მის უკან მუხრუჭების ღრჭიალით „რენო“ ჩერდება. ოთხი ავტომანქანა მართული მამაკაცი აქეთ მორბის. ბაკურმა ანგარიშმიუცემლად „ბერეტა“ ამოიღო (გადარჩენის ინსტიქტი!). ერთი ეძახის რაღაცას. ნოდარი? ნოდარ ჩხეციანი! რაო?!

— ბაკურ! მანქანა გადააყენე! მოცილდი მანდელან!

მანქანა დაძრა. მარჯვნივ გადავიდა. რა ხდება? „რენო“ უკან ბრუნდება. ავტომანქანის ხმამ

გაჰკვეთა ჰაერი. შეძახილი:

— ვახტანგ! გეყო! თამაში წაგებულობ! ვადმოდი მანქანიდან!

„რენო“ შედგა. მძლოლი გადმოვიდა. ფხოველი გაოცებული მიაჩერდა. ვახტანგ წულაია?! დანდობილად მიდიან მისკენ. უცებ წულაიამ ხელი გაიქნია... „ნოდარ!“ — იყვირა ბაკურმა. დაინახა, როგორ გაგორდა ხელყუმბარა უშიშროების თანამშრომელთა ფეხებთან. გრიალმა გააყრუა მიდამო. ვახტანგ წულაიამ მანქანას მიაშურა...

ფხოველი ჩხეციანისკენ გაქანდა. თენგიზ გადალენდიას და ორ თანამშრომელს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდათ. ნოდარ ჩხეციანი გადმოაბრუნა. მარჯვენა მხარში და ფეხში იყო დაჭრილი. წამოსწია.

— გამაგრდი, ნოდარ!

— ბაკურ! — ჩხეციანმა დახოცილებს გადაავლო მისუსტებული მზერა. — წაილე ჩემი იარაღი და მიჰყე! ორჯონიკიძისკენ წავა! ეცადე, ცოცხლად აიყვანო! ბუჩუკური მაგან მოკლა!

— ბესიკი თამაზ შენგელიამ არ მოკლა?

— არა! „კატა“ ყველაფერში უდანაშაულოა. „მხედრიონის“ იარაღიც მაგან გაყიდა და ბესიკ ბუჩუკურიც მაგან მოკლა. უთხარი შენს სიძეს. მოძებნეთ ის კაცი, ცოდვია! წადი! ნუ აგვიანებ! კობის საგუშაგოზე თუ გადაგასწრო...

ნოდარს გული შეუღონდა.

— სად წავა! — ფხოველმა მიმოიხედა. მანქანები ჩერდებოდა. ხალხი აქეთ მოიჩქაროდა.

— რა მოხდა? — ავტონისპექტორები ხალხს მოარღვევენ.

— მიხედეთ ამას! — ბაკური მანქანას ეცა.

„სად წამიხვალ, სად! მიწიდან ამოგთხრი!“ მესამე სიჩქარე. მეოთხე, მეხუთე. სპიდომეტრს დახედა. ისარი ასოთხმოც კილომეტრს უჩვენებდა. „სულ ხუთი წუთით აღრეა წამოსული! ჟინვალამდე უნდა დავეწიო! მაგრამ ჯობია დასახლებულ პუნქტებს გავცილდე! ახლა გეტყვი, რაც მითხრა ქობალიამ! დედას გიტვირებ!“

საავარიო ნათურებანთებული მანქანა თეთრ ზოლზე მიდის. შემხვედრი მანქანები აქეთ-იქით ცვივიან. სიგნალებით აფრთხილებენ თავბრუსხვევებულ მძღოლს. ფხოველს აღარათყერი ესმის, მისი გონება მხოლოდ ერთ სურვილს აქვს შეპყრობილი: მალე დადგეს ის წუთი, როცა ვახტანგ წულაიას ჩახედავს თვალებში.

„ბერეგა“ „ბარდაჩოკში“ შეაგდო. „პარაბელუმი“ ამოიღო. ერთადერთი — თამაზ შენგელიასთვის გამიზნული, ბესიკ ბურჯუაძის სხეულიდან ამოღებული — ცყვია ლულაში შევიდა. გვერდით სავარძელზე დადო. ანანურს უახლოვდებოდა უკვე. „თავს აღარ ზოგავ, მანქანის მაქსიმალური სიჩქარით მიდიხარ, მაგრამ თვით მამა-ღმერთიც ვეღარ გიშველის, ბატონო ვახტანგ!“

დაეშვა ანანურის დაღმართზე და... ხიდზე ხალხი გროვდებოდა. გულმა რეჩხი უყო. აყაყანებული ადამიანები ძირს იყურებოდნენ.

— მოხდა რამე? — მანქანიდან გასძახა ვილაცას.

— მანქანა გადაუარდა!

— რა მანქანაა?

— „რენო“!

მანქანას მოაჭირი გადაემტვრია. ასი მეტრის სიმაღლიდან გადაშვებულიყო ხევში. ხიდს შემოუარა. ციცაბო თერღობიდან ჩავიდა ძირს. მიადგა მანქანის ნამსხვრევებს. პირველი, რაც დაინახა, ეს იყო ვახტანგ წულაიას მოწყვეტილი თავი. სისხლიანი თავი...

*სალამო. ცხრა საათი.*

— ზაზა, ერთგან უნდა გამყვე!

— ახლავე? მზად ვარ ცოლისძმის სამსახურისთვის! — ზაზა ნასვამია.

— არა, ხვალ დილით!

— სად?

— დონეცკში!

— სად?? — გაოგნებული სახე აქვს ზაზას.

— გითხარი! დონეცკში!

— რა დაგრჩენია იქ?

— თამაზი უნდა ჩამოვიყვანო!

— ვინ თამაზი, „კატა“? დონეცკშია? ოთში ამოვიღებ მაგ დამპაალს!

— ვერათერს ვერ უბამ! პირიქით, ჩახვალ და ბოდიშს მოუხდი!

— შენ რა, გაგიჟდი? რისთვის მოუხდი ბოდიშს?

— უნდობლობისთვის!

— უფრო გარკვევით?

— დაჯექი და მისმინე ყურადღებით!..

დონეცკი. შვიდი ნოემბერი.

— ბოდიშს ვიხდით, ეს კრაფჩუკის ბინაა?

— დიახ!

— თქვენ სერგეი ბრძანდებით?

— კი!

— ჩვენ თამაზის მეგობრები ვართ, სახლშია?

— მობრძანდით! სახლშია! — კარი ფართოდ გააღო.

გივი მინდელი, ზაზა ლომიძე და ბაკურ თხოველი სახლში შევიდნენ. დივანზე იყო მიწოლილი თამაზ შენგელია. წიგნს კითხულობდა. წამოინია. ადგა.

— ჩამოხვედი, ზაზა?



— როგორც ხედავ!

— აქ არათფერი არ გინდა, ჩავიცვამ და ქალაქგარეთ გავიდეთ სადმე.

— რა მინდა, ბიჭო, ქალაქგარეთ? — გაეცინა ლომიძეს. — იყინება ყველაფერი. ჭკვიანი კაცი გარეთ გაუა ახლა?

— დავილაღე, ზაზა! — შენგელიამ თვალი გაუსწორა. — აღარ შემიძლია მეტი. ვიცი, რისთვისაც ხართ ჩამოსულები. არაფრის დამტკიცება არ შემიძლია. ჩემი დის და ბავშვების თვალწინ ნუ გააკეთებთ ნურაფერს. გავიდეთ ქალაქიდან და იქ ქენით თქვენი საქმე.

— შენ ხომ არ გაათვრინე? — სახე შეეცვალა ზაზას. — იმას ფიქრობ, რომ შენს მოსაკლავად ვარ ჩამოსული?

— აბა?! — შენგელიამ მინდელს და ფხოველს გადახედა.

— რეაბილიტაცია! — გაიღიმა გვიმი.

— მაგხელა კაცს მეტი ჭკუა არა გაქვს თავში? რომ დალუნე თავი და გამოიქეცი, სად გამორბოდი?!

— ზაზა ახლოს მივიდა.— მოსულიყავი, გეთქვა, რაც მოხდა სინამდვილეში. როგორ ფიქრობ, არ გაგიგებდით?

— მაშ, იცით ყველაფერი? — თამაზმა მშვიდად ამოისუნთქა.

— ვიცით! ვიცით, თამაზ, და ბოდიშს გიხდი, ძმაო. გაიცანი, ახლობლები არიან!

— სერგეი! — შენგელია სიხარულისგან პაგარა ბიჭს დაემსგავსა. — აბა დავგვრიალდეთ მე და შენ! გაიგე, რა ხდება, შე ძველო? — სიძეს მოეხვია.

— არათფერი მესმის! — ხელები გაშალა სერგეიმ.

— დამტკიცდა ჩემი სიმართლე! დამტკიცდა! — ხმამაღლა ყვირის თამაზი. — უჩემოდ გაიგეს ყველაფერი!

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! — სხვა სიტყვა ვეღარ მოძებნა კრაფჩუკმა. — გაიხადეთ, ბიჭებო, დასხედით!

ბინდებოდა. კრაფჩუკების ჭერქვეშ სითბოს, სიკეთეს დაესადგურებინა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს ცვლიდა...

— მერე? — თამაზ შენგელიამ ბაკურს შეხედა. — ბუჩუკური რატომღა მოკლა?

— საავადმყოფოში ნოდარ ჩხეციანი ვნახე. მან მითხრა. ვახტანგ წულაიას დავალებული ჰქონდა ეკას მოკვლა. ამ მისიით მიდიოდა თურქეთში. თენგიზ გადალენდიამ გაიგო ეს ამბავი და ბესიკს შეაგყობინა. ბესიკ ბუჩუკური ბათუმთან დაენია წულაიას და მის ორ თანამზრახველს. სროლის დროს ორი მოკლა. თვითონაც მძიმედ დაიჭრა. ბუჩუკური მოკლული ეგონა წულაიას. თბილისში გაიგო, რომ ცოცხალი იყო. რაც გააკეთა, ეს თქვენც იცით...

სიჩუმე ჩამონვა.

— ჰა, თამაზ, — სერგეიმ ბეჭებზე დაუტყაპუნა ხელი, — ახლაც ჯოჯოხეთი გირჩევნია?

— არა! — გაეღიმა შენგელიას. — სამოთხე ჯობია. იქ საუცხოო ცხოვრებაა. სამოთხეში ხელთა აქვთ ყველაფერი, რითაც კი თავმეცხევა შეიძლება. იქ დიდიდან საღამომდე ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებს შეეცხევიან. საჭმელები დიდებულია: ირგვლივ შემწვარი ხოხბები დაფრინავენ. ნისკარტში სანებლით საფსე ლანგრები უჭირავთ და მეტად სიამოვნებთ, როცა მათ მიართმევენ. ნაირნაირი გორგები მზესუმზირებით იბრდებიან და ბრწყინავენ მზეზე. შიგ დანებია ჩარჭობილი... ყველგან გადმოსჩქეფს ლუდისა და შამპანურის ცივ-ცივი წყაროები. ხეებს ხელსახოცები ასხია. სამოთხის ბინადარნი ჭამენ, შემდეგ ხელსახოცებით ინმენდნენ პირს და კვლაც ჭამას განაგრძობენ; ამასთან კუჭი საერთოდ არ ეშლებათ. ისინი, აგრეთვე, გალობენ ფსალმუნს, ან ელაციციებიან ნაზ, საყვარელ, თითქმის შიშველ ანგელოსებს. ან კიდევ ალილუიას მწვანე მღვლოზე დასეირნობენ. საროსკიპოები არაა იქ, მაგრამ რად გინდა? ნებისმიერს მოკიდებ ხელს და სადაც გინდა და როგორც გინდა! უარს იქ არავინ გეუბნება... ტანზე თეთრი და ჰაეროვანი ტანსაცმელი მორგებულად ადგათ და არაფერი, არავითარი ტკივილი და წყენა არ არღვევს იქ უსაზღვრო ნეგარების გრძნობას, მაშინაც კი, როცა რომელიმე მათგანი შემთხვევით მეორეს მაზოლზე დააბიჯებს ფეხს და წამოიძახებს: „უკაცრავად!“ — დაზარალებული ნეგარი ღიმილით არწმუნებს: „ძმაო, შენს ნაბიჯს ტკივილი კი არ მოაქვს, არამედ პირიქით, სულზე უკვებესი ზეციური ნეგარებით მივსებს გულს“.

ზაზა ხარხარებდა. იცინოდა ყველა. თამაზმა სასმისები შეავსო.

— მაშასადამე, ხვალ მიდიხარ? — სერგეი შენგელიას მიუბრუნდა.

— ნეტავი ფრენა იყოს ამ ღამით და ერთი წუთით აქ გამჩერებლის დედა ვატირე! თბილისი მომენატრა, თბილისი! ჩემი თბილისი! მოდი, საქართველო დავლოცოთ! — ფეხზე წამოდგა, მეოცნებე თვალებით დააცქერდა სიძეს.

გაგიგონია შენ ის ქვეყანა, სადაც ლომონი ყვავილობს მარად?

სადაც დაქუთრულ მწვანე ფოთლებში ელავს ნარინჯი ბაჭალოს დარად, სადაც გაშლილა ცის კაბადონი, ლაყვარდოვანი და უსასრულო, სადაც ცისაკენ მიილგვის დაფნა და მოკრძალებით კანკალებს სურო? განა არ იცნობ შენ იმ ქვეყანას, სადაც ეს გული გატუნას ღამობს? გემუდარები, ო, იმ მხარეში, ჩემო ძვირფასო, წავიდეთ, წამო!..

### *მოსკოვი. 8 ნოემბერი.*

— ჩამოხვედით? — დათო ხიტალიძე აეროპორტში დახვდათ.

— თბილისზე ხომ არ აგიღია ბილეთები?

— კი! აგერ არის.

— რამდენ ხანში გადის?

— ორმოც წუთში! — დათომ საათს დახედა. — ბაკურ, შენ თბილისში წასვლაზე დროებით თავი უნდა შეიკავო.

— რა მოხდა?

— მარიკამ დარეკა. უშიშროების კომიტეტს სახლში გაუჩხრეკია. იარალი წაუღიათ. ჯერჯერობით არ ჩამოვიდეს!

ჭირისუფლებივით იდგნენ ბაბა ლომიძე, გივი მინდელი, თამაზ შენგელია. დაფიქრებული, თავდახრილი იდგა ბაკური. თავი აწია. ბიჭებს მოავლო მზერა. გაეღიმა.

— რა ცხვირპირი ჩამოგვირით? მონეტა გაქვთ რომელიმეს?

— რა?

— მონეგა! ჩვეულებრივი ხურდა ფული.

— მე მაქვს! — ზაზამ მონეგა გაუნოდა.

— ძმებო! — ფხოველმა ხელში შეათამაშა. — ჩემი გადანყვეცილება ურყევია. ნუ შეეცდებით გადამაფიქრებინოთ. ამ წუთას მონეგას ავაგდებ! თუ არიოლზე დაჯდა, ვბრუნდები თბილისში დაუყოვნებლივ, თუნდაც დახვრეცა მელიოდეს იქ! თუ რეშკაზე — მივდივარ შტატებში! ვფიცავ ეკას საფლავს, მის ხსოვნას, რომ გავაკეთებ იმას, რაც ვთქვი!

ჰაერში აისროლა. მონეგა წკრიალით დაეცა ძირს. ხუთივემ დახედა... ციოდა. სუსხი მეფობდა მოსკოვ-ქალაქს...

თბილისი 2001 წელი

## სარჩევი

პირველი ნაწილი.....	1
I ტაპი.....	1
II ტაპი.....	8
III ტაპი.....	14
IV ტაპი.....	17
V ტაპი.....	30
VI ტაპი.....	36
VII ტაპი.....	43
VIII ტაპი.....	47
IX ტაპი.....	51
X ტაპი.....	58
XI ტაპი.....	63
XII ტაპი.....	69
XIII ტაპი.....	77
XIV ტაპი.....	81
XV ტაპი.....	86
XVI ტაპი.....	92
XVII ტაპი.....	99
XVIII ტაპი.....	106
XIX ტაპი.....	114
მეორე ნაწილი.....	120
I ტაპი.....	120
II ტაპი.....	133
III ტაპი.....	142
IV ტაპი.....	151
V ტაპი.....	158

VI ტაბო	167
VII ტაბო	178
VIII ტაბო	198
IX ტაბო	208
X ტაბო	216
XI ტაბო	261
XII ტაბო	276
XIII ტაბო	285
XIV ტაბო	295
XV ტაბო	307
XVI ტაბო	323
XVII ტაბო	335
XVIII ტაბო	351
სარჩევი	372

